ი. ჭოჭუაშვილი

დიმიტრი ყიფიანი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, 1989

ᲙᲘ 3Გ7
უ . 408

წიგნში, კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის წყაროების განხილვისა და საკითხის კვლევაში ქართული აზროვნების მიერ მიღწეული დონის გათვალისწინების საყუძველზე, აეტორი ცდილობს წარმოაჩინოს დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და ნააზრევი XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

რედაქტორი გრ. მარგიანი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი პროფ. ა. ბენდიანიშვილი
ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ჩიქოვანი

0505040000
У ——————— 33—89
М 601(08)—88

ISBN 5—529—00239—0 © გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989

XIX საუკუნეში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა შორის დიმიტრი ყიფიანს საპატიო ადგილი განეკუთვნება.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია. ამიტომაც მისი სახელი წარუშლელია ქართველი ერის მეხსიერებაში. დ. ყიფიანის საგმირო და მოწამებრივი სიკვდილი ყოველთვის დადებით გავლენას ახდენდა და ახდენს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების განვითარებაზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დ. ყიფიანის ნააზრევისა და ნაღვაწის ორი ძირითადი მხარე: მისი მოღვაწეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში და მისი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

დ. ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი ავტორი შეხებია (არჩილ ჯორჯაძე, სიმონ ხუნდაძე, შალვა ჩხეტია და სხვ.). დ. ყიფიანი რთული, დიდი პიროვნებაა და მისი ღვაწლისა და ნააზრევის სათანადოდ ასახვა-შეფასება ადვილი საქმე როდია! ჩვენ ვბედავთ და ამ საქმეს ხელს ვკიდებთ იმ იმედით, რომ ხელს შევუწყობთ დიდი პიროვნების ნაღვაწის უკეთ წარმოჩენას. ვცადეთ ფაქტობრივი მასალა ნაშრომში ისე დაგველაგებინა, რომ დ. ყიფიანის პიროვნების თავისებურებანი ზედმიწევნით დაგვეკონკრეტებინა. ამ მიზნით, მოღვაწის ცხოვრების ცალკეული დეტალების წარმოდგენაც სასარგებლოდ გვეჩვენება.

ნაშრომში განხილულია როგორც დღემდე ცნობილი ფაქტები, ასევე ახლად გამოვლენილი მასალა, რომელიც, ვიმედოვნებთ, გააფართოებს მკითხველის წარმოდგენას მოცემულ თემაზე.

დ. ყიფიანი ღვიძლი შვილი იყო ჩვენი ხალხისათვის ბეცრის მასწავლებელი იმ ეპოქისა, როცა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ამ ეპოქის ტრაგიკულ ამბებში დ. ყიფიანს ერთ-ერთი უპირველესი როლის შესრულება მოუხდა. მის სახელს ქართველი ხალხის გულში მტკიცე ადგილი უჭირავს, ხოლო მისი ცხოვრება და ძოღვაწეობა ყოველთვის იქნება ყურადღების ცენტრში იმ ადამიანებისა, ვისაც თავისი წარმომშობი ხალხი და ქვეყანა, თავისი ერის ენა და ისტორია, თავისი ეროვნული კულტურა რამედ უღირს.

პირველი ნაწილი

I თავი

ცნობები დიმიტრი ყიფიანის ოჯახსა და მის წინაპრებზე

ზოგიერთი ცნობა დიმიტრი ყიფიანის გვარის წარმოშობასა და ოჯახზე

ყიფიანების გვარის წარმოშობაზე ქართულმა ხალხურმა ზეპირსიტყვაობამ შემოგვინახა მეტად საყურადღებო გადმოცემა: უძველეს დროს ყიფიანების წინაპრებს სვანეთში უცხოვრიათ. ბაგრატ მეფის დროს სვანეთის სოფელ წვირმში[1] ცხოვრობდა მორკინალი-მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა ათასი მორკინალი (რაინდი).

ბაგრატ მეფეს ხონთქარმა მეტისმეტად გაუჭირა საქმე. ოსმალეთის ჯარი გადმოსხა შავი ზღვის ნაპირს და დღე-დღეზე უნდა შემოსეოდა იმერეთს. ბაგრატ მეფემ მაშინვე აფრინა შიკრიკი გიორგი გოგიაძესთან სვანეთში და აცნობა: აბა, ჩემო გიორგი, როგორც იმედი მაქვს შენი, ახლავე შეიარაღდი შენის ათასის კაცით და ცხენისწყალს გადმოღმა მომეშველეო. გიორგიმ მოისმინა მეფის ბრძანება და შიკრიკი უკანვე გამოისტუმრა: მოახსენე იმერეთის მეფესა და ჩემს მბრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ ვეახლებიო.

გიორგი მეომრებითურთ გაუდგა გზას და დაბინავდა მურთან (ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას). აქედან შიკრიკი გაუგზავნა ქუთაისში ბაგრატ მეფეს და აცნობა: გეახელი, მეფეო.

მეფემ მოუსმინა შიკრიკს და ბრძანა: რაში მინდა შენი ბატონის მურში დაბანაკება, მე ის აქ მჭირდებაო. შიკრიკმა მოკრძალებით მიუგო მეფეს: ის სტუმარია, მეფეო, შენ მასპინძელი, სტუმარს იქ უნდა შეეგე-

---

[1] წვირმი ზემო სვანეთის ერთ-ერთი სოფელია, სადაც ყიფიანები დღესაც ცხოვრობენ (რედაქტორის შენიშვნა).

ბო. — კარგი, — ბრძანა მეფემ: — წადი და მოახსენე შენს ბატონს, მოვდივარ-თქო.

შიკრიკი გაბრუნდა. მეფე თავისი ამალით მურს გაეშგზავრა.

მორიგეებმა მოახსენეს გიორგის: მეფე მობრძანდებაო. გიორგი მყისვე გამოვიდა თავისი სადგომიდან და მეფეს შეეგება.

— ოჰ, ჩემო გიორგი გოგიაძე, რა ყიფიანი[1] რამა ხარ! — მიაძახა მეფემ და გადაეხვია გიორგის. მას აქეთ დაერქვა გიორგი გოგიაძეს ყიფიანი: გოგიაძე-ყიფიანი. შემდეგ და შემდეგ გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფიანი. გოგიაძის შთამომავლობა გაბრაყლდა და ზოგი ლეჩხუმს გადასახლდა, ზოგი რაჭას, ზოგიც შორაპნის მაზრაში[2]. მთავარი ისაა, რომ ყიფიანები შემდეგშიც თავდადებით ემსახურებოდნენ იმერეთის სამეფოს გაძლიერების საქმეს, კერძოდ, სოლომონ I-ის ერთგულ ფიციხკაცებს შორის ყიფიანებიც მოიხსენებიან[3].

დიმიტრის მამა ქოჩო ყიფიანი და მისი ბიძაშვილი მამისთვალი სვანეთიდან ქართლში გადმოსულან და დიდ ივანე აბაშიძესთან მოურავად დამდგარან. ქოჩო დასახლებულა ქვიშხეთს, მამისთვალი — ბეკაძს (ახლაც რომ ყიფიანთ უბანს ეძახიან).

აზნაურიშვილი ქოჩო ყიფიანი მშვიდობიანი და წყნარი ხასიათის ადამიანი ყოფილა. მას მიუტოვებია საბაბაშიო, რადგან აბაშიძეები ავიწროებდნენ, გადასულა სოფელ მერეთში და აზნაურ ფურცელაძეებთან ჩასიძებულა. ქოჩო ყიფიანს და მის მეუღლეს — ბარბარე ფურცელაძეს — ორი ქალი და ოთხი ვაჟი (ქაიხოსრო, გიორგი, იოსები, დიმიტრი) ჰყოლიათ. შვილებში დიმიტრი ნაბოლარა იყო. იგი დაბადებულა სოფელ მერეთში 1814 წლის 14 აპრილს[4]. ორი-სამი წლისას მამა გარდაცვლია. ამის შემდეგ დიმიტრის აღზრდისა და განათლების ხელშემწყობი პირობების შექმნაში დიდი როლი შეუსრულებია უფროს ძმას — ქაიხოსროს.

დიმიტრის ერთი და ცოლად ჰყოლია მუსხელიშვილს, მეორე — კვალიაშვილს[5].

დასაზუსტებელი ჩანს ნ. ყიფიანის ცნობა, რომლის მიხედვითაც,

---

[1] ყიფი — ამაყი. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი.

[2] არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 794. იხილე გომართელი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად. ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 116–117.

[3] სიკო კანდელაკი, სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, 1936, გვ. 44.

[4] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ჟურნალი „მოამბე", 1894, № 4; ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 2.

[5] იქვე.

დიმიტრი 7–8 წლისა ყოფილა, როცა დედა გარდაცვლია[1]. 1833 წლის თებერვალში დ. ყიფიანი აცხადებდა, რომ ამ დროს მას დედა ცოცხალი ჰყავდა.

დ. ყიფიანის ძმებიდან ქაიხოსრო 1867 წელს გარდაცვლილა, გიორგი — 1872 წელს, იოსები — ოცდაათიოდე წლისა.

დიმიტრის ჯერ კიდევ დედის ხელში უსწავლია მშობლიურ ქართულ ენაზე წერა-კითხვა, ლოცვები, ანგარიში, „ვეფხისტყაოსანი", „საღმრთო წერილი".

ქაიხოსროს, რომელიც სურამის საბაჟოში მსახურობდა, დიმიტრი მერეთიდან საცხოვრებლად სურამში წაუყვანია. დიმიტრი ბავშვობიდანვე სწავლისადმი დიდ მონდომებასა და ნიჭს ამჟღავნებდა და ის ქაიხოსრომ ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში (მოგვიანებით — პირველი კლასიკური გიმნაზია) გადაიყვანა.

დ. ყიფიანის აღზრდაში მნიშვნელოვანი ამაგი მიუძღვით თბილისში მცხოვრებ პროპორშჩიკ ნიკიფორე ფედოროვს და მის მეუღლეს მარიამ ყიფიანს (ეს უკანასკნელი დიმიტრის ახლო ნათესავი ყოფილა), რომლებიც უშვილონი იყვნენ და მამით დაობლებული მცირეწლოვანი დიმიტრი იშვილეს[2].

კეთილშობილთა სასწავლებელში დიმიტრიმ 7-8 წელს დაჰყო. ამ სასწავლებელში ყოფნის მთელ მანძილზე დ. ყიფიანს მთავრობის მიერ ყოველთვიურად 5 მანეთი თეთრი ეძლეოდა[3]. ატესტატი 1830 წლის 26 აპრილს მიუღია. ამის შემდეგ, მას სამაზრო სასამართლოში დაუწყვია მუშაობა, მაგრამ მთავრობას ამ თანამდებობაზე არ დაუმტკიცებია უტიტულო აზნაური — დ. ყიფიანის წინაპრები აზნაურთა წოდებაში დამტკიცებულნი არ აღმოჩნდნენ[4]. 1830 წლის ნოემბერში დ. ყიფიანი მასწავლებლად დაუნიშნავთ იმ სასწავლებელში, რომელიც მან დაამთავრა (1830 წლიდან ამ სასწავლებელს თბილისის გიმნაზია ეწოდებოდა).

1831 წლის 3 თებერვალს სწორედ ამ გიმნაზიის პირველი კლასის

---

[1] ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, დასახ. თხზ., გვ. 2.

[2] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში: სცსსა), ფონდი № 1457, საქმე 6, (რეეული VI), ფურც. 1113–1116.

[3] სცსსა, ფ. 1457, საქმე 6 (რეეული VI), ფურც, 1113–1116.

[4] გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (შემდეგში: „ლიტერატურის მუზეუმი"), № 2298 — ხ.

მასწავლებლად განუწესებია დიმიტრი მთავარმართებელ პასკევიჩს. დიმიტრი პირველ კლასს ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, არითმეტიკასა და გეოგრაფიას, ხოლო მეორე კლასის სუფთა წერას[1].

დ. ყიფიანის პედაგოგიური მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ის დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს, შემდეგ, იმპერატორის განკარგულებით ქალაქ ვოლოგდაში გადაასახლეს[2]. იქ დიმიტრი გააძწესეს გუბერნატორის კანცელარიაში, სადაც საკანცელარიო სამსახურის ჯერა საფეხური გაიარა და თავისი ნიჭისა და ენერგიული მუშაობის წყალობით 1835 წლის დეკემბერში გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობა დაიკავა. ვოლოგდის გუბერნატორის დახმარებით დ. ყიფიანი 1837 წელს საქართველოში დაბრუნდა. ის ჯერ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ მუშაობდა (თბილისის გუბერნატორთან), ხოლო შემდეგ დაინიშნა იმერეთის მმართველის — ესპეხოს (წარმოშობით ესპანელის) მდივნად. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორთან მდივნისა და «Закавказский вестник»-ის რედაქტორის თანამდებობაზე ყაკანსიის გახსნასთან დაკავშირებით, 1838 წლის აპრილში დ. ყიფიანი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს — ფალავანდიშვილს ქუთაისიდან თბილისში გადაყვანას სთხოვდა. ესპეხო კი დ. ყიფიანის მასთან დატოვებას და მისთვის ხელფასის გარდა დამატებით წლიურად 200 მანეთის დანიშნას ითხოვდა[3]. ესპეხოს თხოვნა არ დააკმაყოფილეს, დ. ყიფიანი სამუშაოდ თბილისში გადავიდა. 1839 წელს დ. ყიფიანი მთავარმართებლის კანცელარიის მაგიდის უფროსად მუშაობს, მომდევნო პერიოდში განყოფილების უფროსია, შემდეგ კი კანცელარიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. 1845 წლიდან ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველია, 1857 წლიდან — მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი[4]. 1850 წლის 6 დეკემბერს იმპერატორმა დ. ყიფიანს აზნაურის წოდება დაუმტკიცა[5].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 20838 — ხ.

[2] Акты собранные Кавказскою археографическую комиссию (შემდეგში «Акты»), т. VIII, Тифлис, 1881, с. 411; ლიტერატურის მუზეუმი, № 21095 ხ.

[3] სცსსა, ფონდი 16, აღწერილობა 1, საქ. 5591, ფურც. 111 -112.

[4] კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა (შემდეგში „რესპუბლიკური ბიბლიოთეკა"), ნიკო ნიკოლაძის არქივი, № 2—37; «Тифлисский вестник». № 132, 1875 г. «Наши современники»; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 306—307.

[5] სცსსა, ფონდი 13, აღწ. 23, საქ. 2296, ფურც. 46.

დ. ყიფიანი ვორონცოვთან დაახლოებული პირი იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1853—1855 წწ.) იგი ომერ-ფაშას წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის (სარდალი — ბებუთოვი) სამხედრო კანცელარიის უფროსია. დიმიტრიმ ადმინისტრაციულ სამსახურში დიდ წარმატებას მიაღწია. ვორონცოვის დროს მეფისნაცვლის საბჭოს კანცელარიის მმართველი იყო, ხოლო მურავიოვმა სამი კანდიდატურიდან — ბარონი ნიკოლაი, კრუსენშტერნი, დ. ყიფიანი — ეს უკანასკნელი დანიშნა სამოქალაქო მმართველობის კანცელარიის დირექტორად, თუმცა პეტერბურგმა ამ თანამდებობაზე დ. ყიფიანის ნაცვლად კრუსენშტერნი დაამტკიცა[1]. ბარიატინსკის დროს დ. ყიფიანი 1862 წლამდე მეფისნაცვლის საბჭოს წევრია, 1859—1867 წლებში კი სამეგრელოს მთავრის ქონებამამულის მეურვე.

დ. ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმებაში. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1864—1870 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას წინამძღოლობდა, 1876—1879 წლებში კი თბილისის ქალაქის თავის თანამდებობა ეკავა.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მეომართა ოჯახებზე საზრუნავად თბილისში შეიქმნა საზოგადოება, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც დ. ყიფიანი იყო [2].

დ. ყიფიანმა დიდი ამაგი დასდო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებას. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და დრამატული საზოგადოება (მისი მუდმივი თეატრით და დასით). ესენი „სულ ყიფიანის სიმხნევით, მისის სისხლით და ოფლით არიან დაარსებულნი, უესვმოდებულნი და წელში გამაგრებულნი", — აღნიშნავდა ყიფიანის ერთ-ერთი ბიოგრაფი, გამოჩენილი მოღვაწე ვალერიან გუნია[3].

დიმიტრი ყიფიანი ენერგიულად იღვწოდა თბილისში ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. 1840 წელს მან შეადგინა და მთავარმართებელს დასამტკიცებლად წარუდგინა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის წესდება". ერთ-ერთი პირველი წიგნსაცავი მისი ინიციატივითა და მეცადინეობით იმავე წელს დაარსდა[4].

1852—1869 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას

---

[1] Акты, т. XI, Тифлис, 1888, с. 669, 671.

[2] „დროება", № 224, 1879 წ. 30 ღვინობისთვე.

[3] „დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი", 1887, გვ. 12.

[4] ლიტერატურის მუზეუმი, № 2298 — ხ.

დ. ყიფიანი ორჯერ აურჩევიათ თბილისის სათავადასნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, იგი მხურვალედ მონაწილეობდა გიმნაზიის საქმიანობაში[1].

1885—1886 წლებში დ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადასნაურობის წინამძღოლია. 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მოკვლის გამო საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დასწყევლა. დ. ყიფიანმა ეგზარქოსს წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა დაეტოვებინა საქართველო. ამის გამო დ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან გადააყენეს და 1886 წლის ოქტომბერში ქალაქ სტავროპოლში გადაასახლეს, 1887 წლის 24—25 ოქტომბერს ღამით იგი რეაქციის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს[2].

დიმიტრის მეუღლე ნინო დუშეთის მაზრის აზნაურის იაგორ ჭილაშილის ასული იყო. ნინოს პაპა გაბრიელი (ხედმეტი სახელი გლახა) ერეკლე II ვაჟის — ვახტანგის ამილახვარი (შტალმეისტერი) გახლდათ. ცხოვრობდა დუშეთთან ახლოს—ამილახვრიანთკარში. 1803 წელს ვახტანგს პეტერბურგის გადასახლებაში გლახაც გაჰყვა (1819 წელს გარდაიცვალა). ამ გლახას შვილი იაგორი იყო ნინოს მამა. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, იაგორ ჭილაშვილი (1790—1838 წწ.) საქართველოს უმაღლეს მმართველობაში მსახურობდა, ბოლოს კი სამუდამოდ დაბინავდა დუშეთში, სადაც დიდი მამულები ჰქონდა. ნინო დაიბადა 1827 წლის 12 მაისს. ნინოს და მის დას ლიზას პეტერბურგში ეკატერინეს ინსტიტუტი დაუმთავრებიათ (1844 წ.). დიმიტრის და ნინოს 1845 წელს დაუწერიათ ჯვარი. ნინო ყოფილა უაღრესად კეთილი ქალი. ის ყოველთვის უღრმესი პატივისცემით ეპყრობოდა თავის მეუღლეს, რომელსაც „ღვთიურ დიმიტრის“ უწოდებდა. დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ ნინომ დატოვა თბილისი (სადაც მათი ოჯახი მუდმივად ცხოვრობდა) და ქვიშხეთში დასახლდა. ანდერძად დატოვა—სიკვდილის შემდეგ „ღვთიური დიმიტრის გვერდით დამასაფლავეთო“. იგი 1901 წელს გარდაიცვალა, ვაჟმა სურვილი აუსრულა.

დიმიტრის და ნინოს ექვსი შვილი ჰყოლიათ: ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. სამი ბავშვი პატარები მომკვდარან. დარჩენიათ ორი ვაჟი—ნიკო და კოტე და ქალიშვილი ელენე.

---

[1] «Тифлисский вестник», 1875, № 132; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1964, გვ. 308.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 349, 353.

უფროს ვაჟს ნიკოს (1846—1905) უმაღლესი იურიდიული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიუღია. XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში პეტერბურგში, სტუდენტთა ერთ-ერთი ფარული რევოლუციური საზოგადოების დამაარსებელი სწორედ ნიკოლოზ ყიფიანი ყოფილა.[1]. 1868 წელს ნ. ყიფიანი პოლიციას დაუპატიმრებია. ჩხრეკისას მას უპოვეს ნაწერები, მათ შორის გამოცანები (ვინ ახრჩობს ადამიანებს—მეფე, როდის იქნება უკეთესი ცხოვრება—როცა მეფეები აღარ იქნებიან...), მარსელიოზის ქართული თარგმანი, მიხაილოვისა და პრუდონის პორტრეტები; ჩერნიშევსკის, მიხაილოვისა და პისარევის ფოტოსურათები[2]. უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ მღელვარებაში მონაწილეობის გამო ნიკო პეტერბურგიდან 1869 წელს გადმოუსახლებიათ და მასზე პოლიციის მეთვალყურეობა დაუწესებიათ[3]. ნიკო მეტწილად ქუთაისში ცხოვრობდა და საუკეთესო დამცველად ითვლებოდა. ცოლად ჰყავდა გურული თავადის მიხეილ ერისთავის ასული ანასტასია (ტასო), რომელთანაც შეეძინა სამი ქალი და ერთი ვაჟი. ეს უკანასკნელი ორწლინახევრისა გარდაიცვალა. დიმიტრის გვარის გამგრძელებელი არ დარჩა[4]. 1883 წელს ტასო ქმარს გასცილდა[5] და კაზაკ ოფიცერს გაჰყვა. ნიკო კი საცხოვრებლად წავიდა საზღვარგარეთ, სადაც თავისი სიცოცხლის ბოლო 17 წელიწადი გაატარა. ქართულისა და რუსულის გარდა, ნიკოს კარგად სცოდნია ინგლისური, ფრანგული, იტალიური და სხვა ენები. 1895 წლიდან სიკვდილამდე ქალაქ ბრიუსელში ცხოვრობდა და, ჟან მარტენის გვარით, ენების პროფესორად ითვლებოდა. იგი გარდაიცვალა ბრიუსელში და იქვეა დასაფლავებული. მხოლოდ ამის შემდეგ გაიგეს, რომ პროფესორი ჟან მარტენი ნიკო ყიფიანი იყო[6].

ნიკო ყიფიანი ბრიუსელში ცნობილი იყო როგორც პოლიგლოტი. 1898 წლიდან ბრიუსელის უნივერსიტეტის რუსული სიტყვიერების კათედრის პროფესორად დანიშნეს. აქ იგი ასწავლიდა რუსულს, ფრან-

---

[1] ზ. მშველიძე, ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 179.

[2] პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბილისი, 1962, გვ. 210—211.

[3] სცსსა, ფონდი 17, აღწ. I, საქმე 26, ფურც. 3,76, 143.

[4] ნინო ტატიშვილი-ყიფიანის მოგონებანი დიმიტრი ყიფიანზე, ლიტერატურის მუზეუმი, № 13177 — ხ.

[5] ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 74.

[6] ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1966, გვ. 118—119.

გულს, იტალიურს და ინგლისურ ენებს[1]. ვექილობის გარდა, ნიკო ცნობილი ჟურნალისტი და ხალხური ნაწარმოებების გამომცემელი ყოფილა. მან პირველმა გაბოსცა არსენას ლექსი („დროება", 1872, № 6; „კრებული", 1872, № 7). მაინც კი ნ. ყიფიანი, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის კრიტიკოსი იყო[2]. გაბოდიოდა კრიტიკული წერილებით ქართველი მწერლების შემოქმედებაზე („დროება", 1871, № 8, 14 და სხვ.); წერდა ლექსებს და მოთხრობებს.

დიმიტრის მეორე ვაჟი კოტე (1849—1921), რომელიც განათლებით მეტყევე იყო (დამთავრებული ჰქონდა პეტროვსკო-რაზუმოვსკის ინსტიტუტი), ქართული სცენის გამოჩენილი მსახიობი გახდა. ცოლად ჰყავდა ქართველი აზნაურის—ბეჟან ტატიშვილის ასული ნინო. კოტეს შვილი არ ჰყოლია. ვაჟა-ფშაველას კოტე ყიფიანისათვის, 1914 წელს, მიუძღვნია ლექსი, რომელშიც მას „ქვეყნისათვის თავდადებულის ანათალი" და „უხმლოდ, უთოფოდ მებრძოლი, გამმტკიცებელი ენისა" უწოდა[3].

კოტეს მეუღლე—ნინო ბეჟანის ასული ყიფიანი /1867—1937/თავისი ქვეყნის პატრიოტი ქალი იყო. მას დიდ პატივს სცემდა დიმიტრი და შვილივით უყვარდა. დიმიტრისაგან უსწავლია ნინოს საშობლოს სიყვარული. ნინო ნაყოფიერ მთარგმნელობითს საქმიანობას ეწეოდა. კერძოდ, მან გადმოთარგმნა ჯიოვანოლის რომანი „სპარტაკი", რისთვისაც ქართველი მუშების მადლობა დაიმსახურა. საფხულობით ნინო ქვიშხეთში სცენის მოყვარეებს აგროვებდა ხოლმე, პიესებს აძზადებდა და წარმოდგენებს მართავდა როგორც ქვიშხეთში, ასევე ხაშურში, სურამსა და ბორჯომში. მიღებული შემოსავლით ნინო ეხმარებოდა ღარიბ მოწაფეებს, სტუდენტებს, სოფლის მასწავლებლებს და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მას თბილისშიც ბევრჯერ გაუმართავს წარმოდგენები. ნინოს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეუწირავს რვაასი ცალი „სპარტაკი" (ნახევარ ფასში) და 600 კვადრატული საჟენი საადგილო ადგილი. რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, საფაროვა-აბაშიძის იუბილეებზე ნინო ქალების წარმომადგენლად იყო ხოლმე და ყოველთვის გრძნობით და შინაარსით აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამდა. ნინოს ხელშეწყობით არჩილ ჯორჯაძემ შექმნა დ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საუც-

---

[1] ალ. კალანდაძე, დასახ. თხზ. გვ. 78, 83.

[2] იქვე, გვ. 68.

[3] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად (შემდეგში: თხზულებანი). ტ. II. თბ., 1964, გვ. 266—267.

ხოო ნაშრომი. ნინომ არჩილს ყოველგვარი მასალა მოუმზადა, თორემ ვინ იცის როდის ვეღირსებოდით ამ დიდებული ქართველის ბიოგრაფიასო—აღნიშნავდა ივ. გომართელი[1]. ნინო ყიფიანს თავისი საამაყო მამამთილის—დიმიტრის და თავისი მეუღლის—კოტეს—ხსოვნის აღსანიშნავად თავისი სახლი ქვიშხეთში ქართველი მწერლებისთვის გადაუცია, სადაც ისინი ზაფხულობით შემოქმედებითს შრომას ეწეოდნენ[2]. ნინოს ინიციატივით გაუხსნიათ რესტორანი „იმედი", რომლის შემოსავლიდან სტუდენტებს სტიპენდიები ჰქონდათ დანიშნული[3].

დიმიტრის ქალიშვილი ელენე (1852—1890) მუსიკოსი ყოფილა. ის ქუთაისელმა ანტონ ლორთქიფანიძემ შეირთო. ელენემ ფრანგულიდან თარგმნა მოთხრობები და მოლიერის რამდენიმე პიესა[4]. იგი მონაწილეობდა ქუთაისში „ქართული ბიბლიოთეკის" დაარსებაში. ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით, თავის დროზე ხალხოსანთა მიმდევარი ყოფილა[5]. მას შვილები არ ჰყოლია.

დიმიტრის ყველაზე უმცროსი შვილი არჩილი (დაბადებული 1866 წელს) 70-იან წლებში გარდაცვლილა. დიმიტრის დიდად განუცდია შვილის, შემდეგ კი შვილიშვილის სიკვდილი.

ვოლოგდაში გადასახლებამდე დ. ყიფიანი ცხოვრობდა თავისი მამობილის — ფედოროვის სახლში გრაფის ქუჩაზე (ამჟამად ფურცელაძის ქუჩა). გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ეს სახლი დ. ყიფიანმა შეისყიდა თავისი დედობილისაგან (ამ დროისათვის დაქვრივებულისაგან) და, როცა ცოლი შეირთო, აქვე დაბინავდა[6]. ამ სახლში ცხოვრობდა 1854 წლამდე. შემდეგ მას ეს სახლი გაუყიდია და 1855—1856 წწ. უკვე კომენდანტის ქუჩაზე შიოშვილის სახლში ბინადრობდა, 1857—1859 წწ. ამავე ქუჩაზე მიხაილოვის სახლში, 1860—1872 წწ. — კუკიაზე, ელიზაბედის ქუჩაზე მარკოზაშვილის სახლში, ხოლო 1873—1881 წწ. — არსენალის ქუჩაზე ფუგინოვის სახლში[7].

---

[1] ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 153.

[2] იოსებ იმედაშვილი, მოგონება წიგნში: კოტე ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1964, გვ. 184.

[3] გიორგი ტატიშვილის მოგონებანი დიმიტრი ყიფიანზე, ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[4] ქართველი მწერალი ქალები, „ივერია", 1889, №63.

[5] ლევან ასათიანის შენიშვნები, წიგნში: ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ტფილისი, 1936, გვ. 273.

[6] მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 211.

[7] შესაბამისი წლების «Кавказский календарь»-ი.

დიმიტრი ყიფიანი შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა. ხანში შესულსაც შერჩენოდა მომხიბვლელობა. მაღალი შუბლი, ფართო, ცნობისმოყვარე, ელვარე თვალები, ღაჟღაჟა სახე და სქელი ჭაღარა წვერი მის გარეგნობას უაღრესად შთამაგონებელ იერს ანიჭებდა. დიმიტრი მეტყველებდა საკმაოდ ორიგინალურად, ბოხი ხმით, მის ლაპარაკში ყოველთვის გამოსჭვიოდა ძლიერი გონება და საღი ლოგიკა[1].

დ. ყიფიანი შემკული იყო პირადი, შესაშური თვისებებით, რაც მას საზოგადოებაში დიდ ავტორიტეტს უქმნიდა. ნ. ნიკოლაძის თქმით, ამიერკავკასიის მცხოვრებთა თითქმის ყველა ფენა ყიფიანის პიროვნებასა და სახელს სიყვარულით და პატივისცემით ეკიდებოდა, მის გონებასა და პატიოსნებას ყველა ენდობოდა.

1845 წელს, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს დაფუძნებისთანავე, დ. ყიფიანი დანიშნეს საქმეთა მმართველად. ამ თანამდებობაზე მან 12 წელი გაატარა. მთავარი სამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობა მაშინდელი ადმინისტრაციული აპარატის ერთ-ერთი ღერძი გახლდათ. საბჭოს საქმეთა მმართველის კომპეტენციაში შედიოდა უამრავი საკითხი, რომელთა შორის იყო პროექტების მომზადება სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში გარდაქმნების ჩასატარებლად, ყველა საერობო და საქალაქო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საჭირო შემთხვევაში თანამდებობის პირებზე შესაფერისი საბრალდებო-საგამომძიებლო საქმეების შედგენა, პრივილეგიური წოდებების უფლებათა განსაზღვრა, სამოქალაქო და სამხედრო სახაზინო იჯარებსა და მიწოდებებზე ხელშეკრულებების საბოლოო გაფორმება და მათგან უფრო მნიშვნელოვან საიჯარო საქმეებსა და მიწოდებაზე საჯარო ვაჭრობის მოწყობა, თბილისის კომერციული სასამართლოს მოქმედებაზე ყველა საჩივრის განხილვა და ა. შ.

ამ საქმეებზე ერთადერთი მომხსენებელი და საბჭოს დადგენილებათა რედაქტორი დ. ყიფიანი ყოფილა. 1875 წელს ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა: მთელი მხარისათვის ცნობილია, რომ სამსახურიდან წასვლისას იგი ისეთივე ღარიბი იყო, როგორც სამსახურის დაწყებისას[2].

---

[1] «Тфилисский вестник» 1875, №132; რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ნ. ნიკოლაძის არქივი, № 2—37; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 312.

[2] «Тифлисский вестник», 1875, № 132; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 308.

დ. ყიფიანს ამშვენებდა შეუპოვარი და მტკიცე ხასიათი, დიდი გონება, ფართო ნიჭი და უნარი, უმწიკვლობა, პატიოსნება, მჩქეფარე ენერგია, იგი აღჭურვილი იყო დიდი ცოდნითა და გამოცდილებით. ამავე დროს ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც მუდამ წინ მიისწრაფვის. დიმიტრი ყოველთვის გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივი აზრის განვითარებას და მისი ნათელი გონებისათვის ყოველთვის გასაგები იყო საზოგადოების წინსვლისათვის აუცილებელი ახალ-ახალი მოთხოვნილებანი. „ყიფიანი გონებრივი და ზნეობრივი ღირსებებით მდიდარია, იგი წარმოადგენს ერთ მთლიან, ნათელ ნატურას, ურყევს პირველი დღეებიდან უკანასკნელ დღემდე", — აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე[1].

დ. ყიფიანის პირადი თვისებების დასასურათებლად არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. აქ მხოლოდ ზოგ მათგანს გავიხსენებთ:

მისი სიბეჯითისა და ენერგიის წყალობით, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ბრწყინვალედ მოეწყო სამეგრელოს მფლობელის დადიანის საქმეები. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს მფლობელის ოჯახსა და დ. ყიფიანს შორის გაუგებრობა წარმოიშვა. სამეგრელოს მფლობელმა საჩივარი აღძრა დ. ყიფიანის წინააღმდეგ. სასამართლომ უკანასკნელს 56 ათასი მანეთის გადახდა დააკისრა. როცა მოდავენი შერიგდნენ, მინგრელსკიმ აღმასრულებელი ფურცელი უკან დაუბრუნა და დიმიტრის მეუღლეს შეჰპირდა იმ ფულის უკან დაბრუნებას, რომელიც ამ ფურცლით გადაუხდია[2].

გ. ტატიშვილი მოგვითხრობს, რომ თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლად ყოფნის დროს, დიმიტრის კარდანახელმა მემამულემ დიმ. აფხაზმა თხოვნით მიმართა, ეშუამდგომლა, რათა მისი მამულები, რაც აღწერილი იყო ვაჭარ ფორაქიშვილის ორმოცი ათასი მანეთის ვალის გადაუხდელობის გამო, საჯაროდ არ გაეყიდათ და მისთვის კიდევ ორი თვე ედროვებინათ. დიმიტრიმ დაიბარა თავისი მეგობარი ფორაქიშვილი და შთააგონა შეეწყნარებინა ეს თხოვნა. ფორაქიშვილმა ვექსილები დიმიტრის მოსთხოვა, ვითომდა მხოლოდ იმისთვის, რომ მას მორალური გარანტია ჰქონოდა. მოვალემ ვალი არ გაღაიხადა და კრედიტორმა ვალის გადახდა სასამართლოს ძალით ყიფიანს დააკისრა.[3] (ერთი ცნობით — 32 222 მანეთი, მეორე ცნობით — 35 ათასი მანეთი)[4].

---

[1] იქვე, გვ. 312.

[2] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 34—35.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[4] «Тифлисский вестник,» 1875 № 132, ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 311; არ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 809.

ამ ვალის დასაფარავად დიმიტრიმ თავისი უძრავ-მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი გაყიდა.

უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ ფაქტზე მოიპოვება დიმიტრის რძლის, კოტე ყიფიანის მეუღლის — ნინო ტატიშვილის — მოგონებებში. ნინო და კოტე 1884 წელს შეუღლებულან. ამ დროს, ნინოს გადმოცემით, დიმიტრის ოჯახი ნივთიერად ძველებურ მდგომარეობაში აღარ ყოფილა. მისი მამულები დაგირავებული იყო იმ თავდებობის გამო, რაც ფორაქიშვილის ვალებში ჩაფლულ აფხაზს გაუწია. აფხაზმა თავისი სიცოცხლე ქეიფსა და დროსტარებაში დალია, ხოლო დიმიტრიმ ექვსი ათასი თუმანი გადაიხადა, რისთვისაც მამულების ნაწილი ბანკში დააგირავა, გაყიდვითაც ბევრი გაყიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში პენსიაც ებრებოდა; გაყიდა ეკიპაჟები, ცხენები, დაბოლოს, როგორც იქნა აფხაზის ვალი გადაიხადა. მამულების შემოსავლის მეტი წილი ბანკის სარგებელში მიდიოდა. ყოველივე ამან დიმიტრის ადრინდელი შეძლებული ოჯახი ქონებრივად დიდად დააქვეითა.

ნინო იხსენებდა: უკვე ჩემს დროს დაგირავდა ქვიშხეთის სახლი და კარმიდამოც. ამან ძალიან დამწყვიტა გული და ერთხელ შევბედე დიმიტრის საყვედური იმის გამო, რომ მან მოუწერა ხელი თავდებობისა ილარიონ ფორაქიშვილს. დიმიტრიმ სულაც არ იწყინა ჩემი საყვედური, თითქოს ეამა კიდეც, რომ მივეცი საბაბი თავის გამართლებისა და მომიყვა დაწვრილებით:

აფხაზმა მთხოვა, რომ დავხმარებოდი, ფორაქიშვილს კიდევ მიეცა მისთვის ვადა ვალის გადახდისათვის. ფორაქიშვილმა ჩემს თხოვნაზე თავის მხრივ თავდებობა მომთხოვა. მე გავიკვირვე ასეთი პირობა და შევეკითხე:

— ნუთუ აფხაზმა რომ არ გადაიხადოს, მე უნდა გადამახდევინო-მეთქი!

ჩემს შეკითხვაზე ფორაქიშვილმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ასე ღმერთი როგორ გამიწყრება და ცოლ-შვილს დამიხოცავს, რომ მე ეგ საქმე ჩავიდინო! მხოლოდ იმისთვის მინდა თქვენი თავდებობა, რომ აფხაზი მოგერიდებათ და თავის დროზე გადამიხდისო. ამაზე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე და ხელი მოვუწერე.

— მერე, რომ მოსულა თქვენთან ქვიშხეთში ფორაქიშვილი საქმის ასახსნელად და თქვენ კი კიბიდან ჩაგიგდიათ, არ მიგიღიათ, ეს რაღად უყავით. — ჩაურთე მე პასუხად, დიმიტრის ლმობიერებით გათამამებულმა.

— ეგ იმიტომ, რომ იმან თავის პატიოსან სიტყვას უმტყუნა და საჩივარი პირდაპირ ჩემით დაიწყო იმის მაგივრად, რომ აფხაზისათვის ესიელა! ის უდავოდ ღირსი იყო, რომ კიბიდან ჩამეგდო!

ფორაქიშვილს ვითომ უნდოდა, რომ დიმიტრიზე საჩივრის შეტანის შემდეგაც დაეჯერებინა იგი, აფხაზის შესარცხვენად მოვიქეციო ასე, მაგრამ ასეთი კეკემალულობით დიმიტრი ვერ აპატიებდა სიტყვის გატეხვას და დიმიტრიმაც ჩააგდო ის კიბიდან, თუმცა კარგად იცოდა, რომ შეურაცხყოფილი ფორაქიშვილი იმას აღარ დაინდობდა და აკი არც დაინდო, მთელი ვალი გადაახდევინა.

ახლა საინტერესოა როგორ გადაუხადა „სამაგიერო" დიმიტრიმ აფხაზის ცოლს.

რუსეთში სტუდენტობის დროს სილამაზით განთქმულმა აფხაზმა ცოლად შეირთო ძალიან მდიდარი კაცის ქალი, საქართველოში ჩამოიყვანა და მისი დიდი სიმდიდრე მოკლე ხანში გააქრო. როცა ცოლმა შეატყო, სულ ცარიელი დარჩებოდა, თუ თავს არ უშველიდა, სამშობლოში გაემგზავრა. კარეტით გზად მიმავალი ქვიშხეთში დიმიტრისთან ჩამოხტა. კარეტა დატვირთული იყო ძვირფასი ნივთებით, ტანსაცმლით და სხვ.

დიმიტრიმ სიამოვნებით მიიღო სტუმარი. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა მის პატივსაცემად, კარეტას ღამით საგანგებო დარაჯები დაუყენეს. მეორე დღეს აფხაზის ცოლი თავის გზას გაუდგა ისე, რომ დიმიტრისაგან ერთი სიტყვაც ვერ გაიგონა მისი ქმრის საქციელზე. და, ეს მაშინ, როდესაც მას უკვე მისჯილი ჰქონდა ვალის გადახდა. სასამართლოზე საქმის ყოველ გარჩევას დიდი აღელვება შეჰქონდა ოჯახში. დიმიტრი, ყველა გაჭირვების მხნედ გადამტანი, ცოლ-შვილის შეწუხებას ვერ იტანდა. აი, ასეთ დროს გაბედა აფხაზის ცოლმა ქვიშხეთში მისვლა დიმიტრისთან განძეულით სავსე კარეტით. მართლა დიდი ნდობა უნდა ჰქონოდა მას დიმიტრისა და კიდეც გაუმართლდა ეს ნდობა[1].

ვახტანგ თულაშვილი აღნიშნავდა: დ. ყიფიანი შეეწია ერთს ჩვენი საზოგადოების წევრს და ყველამ ვიცით, რომ ამით თითქმის თავისი თავი დაღუპა. ისიც ვიცით, რომ იმისთანა დროც დადგა მას შემდეგ დიმიტრისათვის, როცა თითქმის დღიური ცხოვრება უჭირდა. ვგონებ. კაცს ამაზე მეტი აღარა მოეთხოვება-რა[2].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13177—ხ.

[2] ვახტანგ თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, შენიშვნა. ჟურნალი „მოამბე", 1895, V, მაისი.

დიმიტრის ამშვენებდა თავმოყვარეობა, სიამაყე და გულადობა. „სადაც საჭირო იყო, მას სასჯელი და სიკვდილი ვერ შეაშინებდა, რომ სათანადო პასუხი არ გაეცა, არ შეეძლო“[1]. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „დ. ყიფიანი ერთი ისეთ გამბედავ და თავგამოდებულ ქართველთაგანი იყო ჩვენში, რომლის მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“[2]. გამბედაობაში მას ტოლი არ ჰყავდა[3]. ნიკო ლომოური დიმიტრი ყიფიანის, როგორც მოღვაწის, თვისებებს ასე ახასიათებდა: „იგი იყო კაცი ბრძენი, პატიოსანი, მხნე, გულადი; კაცი მარადჟამს თავგანწირული სამშობლო ქვეყნისათვის“[4].

დ. ყიფიანი სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად იღვწოდა საზოგადოების სასარგებლოდ, — ის არასდროს არ ჩაკეტილა პირად ნაჭუჭში. ვერც ხანდაზმულობამ, ვერც პირად ცხოვრებაში შეხვედრილმა არაერთმა მარცხმა გატეხა დიმიტრის ნებისყოფა, ვერ დაატოვებინა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი.

გიორგი წერეთელი 1884 წლის 29 ივნისს წერილით სთხოვდა ნ. ნიკოლაძეს მოეხერხებინა რკინიგზის მუდმივი ბილეთი დ. ყიფიანისათვის. საქმე ეხებოდა დიმიტრის პეტერბურგში მოგზაურობას: „ძალიან კარგი და დიდი ხელშეწყობაც იქნება, თუ რომ მოახერხებ ამას, არამც თუ საკუთრად დიმიტრი ყიფიანისათვის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისათვისაცა, რადგან ბევრი გვაქვს ასეთი საზოგადო საქმეები, სადაც დ. ყიფიანის გაგზავნა-გამოგზავნა ძალიან საჭიროა“[5].

ამრიგად, ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები მეტად საჭირო საზოგადოებრივი საქმეების მოსაგვარებლად დ. ყიფიანის უნარსა და ავტორიტეტს მიმართავენ და დიმიტრიც ხომ დაუღალავია!

დიმიტრის სიმხნევეს საზოგადოებრივ საქმეებში დიდად აფასებდნენ იმ დროის ჩვენი საზოგადოების მედროშენი. სახელდობრ, ილია ჭავჭავაძე 1885 წლის 28 აგვისტოს დ. ყიფიანს სწერდა: „ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხ-

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] „დიმიტრი ყიფიანი“, ტფილისი, 1892, გვ. 50.

[3] იქვე, გვ. 7.

[4] ლიტერატურის მუზეუმი, № 19683—ხ.

[5] რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, № 13—331.

მარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არაერთხელ დაგიმტკიცებიათ"[1].

ქართველ ხალხში დ. ყიფიანი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. „ივერიის" კორესპონდენტი აღნიშნავდა: ქართლში „ისეთი დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი დიმიტრის, რომ ყველა დედა ნატრობდა, რომ იმისთანა შვილი გამოსვლოდა"[2]. გურია-სამეგრელოში და რაჭა-ლეჩხუმში დიმიტრის ორასამდე ნათლული ჰყოლია[3]. ეს, ერთი შეხედვით, წვრილმანი, ცხოვრებისეული ფაქტი აგრეთვე მიუთითებს იმ ფართო კავშირურთიერთობაზე, რაც დ. ყიფიანს ხალხთან ჰქონდა.

ნატალია იოსების ასულ ყიფიანის გადმოცემით, თბილისში დიმიტრის სახლში დაიარებოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, მეფისნაცვალი, სხვა დიდი მოხელეები და სწავლულნი[4]. ნიკო ყიფიანის მოწმობით, დ. ყიფიანის ოჯახს დიდი მეგობრობა ჰქონდა გრიგოლ დადიანთან, რომელიც ლექსებს ბეჭდავდა „კოლხიდელის" ფსევდონიმით, ასევე ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და მის შვილებთან, ვახტანგ ორბელიანთან, პლატონ იოსელიანთან. დიმიტრისთან დაიარებოდნენ: თბილისის გუბერნატორი ორლოვსკი, გორის მაზრის უფროსი ელიზბარ ერისთავი, ეგზარქოსი ისიდორე, მღვდელი რომანოვი, გიმნაზიის დირექტორი დემენტიევი, რუსი მწერალი სოლოგუბი, ექიმი ამიროვი, არქეოლოგოსი ბერჟე, ინგლისელი მოგზაური კამერონი, სამეგრელოში ჩახიძებული ფრანგი გრაფი როზმორდიუკი, ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი ნ. კოლუბიაკინი, ერევნის გუბერნატორი მ. კოლუბიაკინი და სხვ.[5]

დიმიტრი შესანიშნავი მოსაუბრე ყოფილა. მას ჰყვარებია მუსიკა, სიმღერა და ცეკვა (ქართული, ევროპული). „მასთან ცხოვრება ეს იყო სიცოცხლეშივე სამოთხეში ყოფნა," — აღნიშნავდა დიდი ხნის შემდეგ დიმიტრის ერთ-ერთი ახლობელი[1]. დიმიტრის დიდად ჰყვარებია მხატვრული კითხვა. მისი რძალი ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა წერდა:

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით (შემდეგში „თხზულებანი"), ტ. 10, თბ., 1961, გვ. 106.

[2] „ნარევ-ნაკვეს-გასართობი", „ივერია", 1903, № 116.

[3] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 13.

[4] ნატალია იოსების ასულ ყიფიანის მოგონება დ. ყიფიანზე, ჩაწერილი მ. მოზდოკელის მიერ, ლიტერატურის მუზეუში, № 13225—ხ.

[5] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 18—20.

[6] გ. ტატიშვილის მოგონებანი დიმიტრი ყიფიანზე, ლიტერატურის მუზეუში, № 13502—ხ.

„ხშირად გვატკბობდა დიმიტრი თავისი ღვთაებრივი კითხვით“. შემოვუსხდებოდით მაგიდას დიდ დარბაზში და ვუსმენდით სულგანაბულნი მისი უაღრესად მეტყველი ხმით და სახით წაკითხულ რომელიმე კლასიკოსის ნაწარმოებს. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე მისი წაკითხული. მახსოვს, კითხულობდა ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტს“. ის ადგილი რომ წაიკითხა, სადაც აღწერილია ხანძარში მოხვედრილი ბავშვების გადასარჩენად გულქვა როიალისტის — ლანტენაკის — დაბრუნება ციხე-კოშკში, ყველას ცრემლი მოადგა თვალზე. მე კი წამსკდა ქვითინი, ძლივს დამამშვიდეს[1].

დიმიტრის ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი, სადაც „ნამდვილი ქართული სული ტრიალებდა“[2].

ერთი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილზე

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის ერთი საყურადღებო მომენტია ურმობისა და ჭაბუკობის წლებში დიდ ქართველ პოეტთან — ნიკოლოზ ბარათაშვილთან — მისი სიახლოვე.

ნიკო ყიფიანს წერილობით მიუმართავს თავისი მამისათვის შეკითხვით, იცნობდა თუ არა ის ნიკოლოზ ბარათაშვილს. დიმიტრიმ უპასუხა (1865 წლის 5 აპრილს), რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ის ძალიან ახლოს იცნობდა, ეძახდნენ ტატოს, ის გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანის დისწული იყო.

დ. ყიფიანი წერს:

ნიკოლოზის მამა მელიტონი თარჯიმნობით არჩენდა ოჯახს, მის ოჯახს შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნდა. ნიკოლოზი სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში. ის ჩემზე, მგონი, ორი წლით იყო უკან. შემდეგ გადავიდა გიმნაზიაში და მგონია მე-5 კლასიდან გამოვიდა. იძულებული იყო წასულიყო ელიზავეტპოლის მაზრის უფროსის თანაშემწედ. იქ ის კლიმატის მსხვერპლი გახდა.

შესანიშნავად ცეკვავდა ლეკურს, შეეძლო საუბრის გამოცოცხლება, ოჯახებში ყველგან შვილივით ჰყავდათ მიღებული. ახალგაზრდები, რომელთა შორის ნიკოლოზიც იყო, სანამ დავქორწინდებოდი, ხშირად ჩემთანაც იკრიბებოდნენ ხოლმე.

ერთ ასეთ შეკრებაზე ანდრია ხერხეულიძეს უკითხავს: ამბობენ,

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13177—ხ.

[2] იქვე.

ბერძნებში ყველას თავთავისი ღმერთი ჰყავდაო და ერთი მითხარით, ვირების ღმერთი ვიღა იყოო.

ამ გონებამახვილობის გამო, ტატო სიცილით გადაბრუნებულა, მაგრამ ჩქარაგე შეჩერებულა და უთქვამს: ამის შესახებ უნდა ჰკითხოთ პლატონს (იოსელიანს): «Ведь он между нами богослов (бог ослов)», ახლა მთელი კომპანია ჰომერული სიცილით იგუდებოდა. პლატონი გაცხარებულა და ყველასათვის სულელი უწოდებია. ტატომ უპასუხა: მადლობა ღმერთს ვერ იტყვი, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშა ვართ.

გარეგნობით ნიკოლოზს თავისი და ძლიერ ჰგავდა[1].

II თავი:

დ. ყიფიანის შეხედულებანი აგრარულ ურთიერთობაზე

მიწის საკუთრების ფორმებსა და ფეოდალურ ურთიერთობაზე

დიმიტრი ყიფიანი არაერთხელ შეხებია ფეოდალური ურთიერთობის საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სტატიები: «О состоянии имений в Грузии»[2]. «О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских»[3].

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ყიფიანი ზღვარს ავლებს, ერთი მხრივ, ფეოდალიზმსა და, მეორე მხრივ, ბატონყმობას შორის. მისი აზრით, ესენი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული საზოგადოებრივი მოვლენებია.

დ. ყიფიანის აზრით, ჩვენში ბატონყმობა X საუკუნიდან მაინც არსებობდა[4]. რაც შეეხება, ფეოდალიზმს, ის, გარედანაა შემოტანილი XIV საუკუნის დამლევს, როცა დასავლეთის საზოგადოებამ, რომელიც ავითარებდა და აუკეთესებდა თავის მოქალაქეობრივ ცხოვრებას, საბოლოოდ მოიცილა ეს უღელი და მიუგდო აღმოსავლეთსო[5]. ფეოდალიზმს ყიფიანი დასავლეთის კონტრაბანდად მიიჩნევდა[3]. ის წერდა:

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 14920—ხ.

[2] «Кавказ», 1848, № 2.

[3] «Кавказ», 1853, № 79, 80, 81, 83, 84.

[4] დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, სიმ. ხუნდაძის რედ., ტფილისი, 1930 წ. გვ. 89.

[5] Д. Кипиани, О том, о сем и между прочем о сословиях Закавказских (შემდეგში «О том, о сем»), с. 24.

[6] იქვე, გვ. 36.

ამიერკავკასიაში გამოფხიზლებულმა ფეოდალიზმმა თავის სასიკეთოდ გადაწყვიტა აქ დარჩენა. უკან დასაბრუნებელი გზა მას მოუჭრა მისადმი სავსებით მტრულად განწყობილმა პოლიტიკურმა წყობილებამ. წინ წასვლა შეუძლებელი იყო: კავკასიის მთიელთა მკაცრი თემები, რომლებიც იმდენადვე ჯიუტად იცავდნენ თავიანთ ზნე-ჩვეულებებს, რამდენადაც უხსოვარი დროიდან დაქუცმაცებული იყვნენ უამრავ წვრილ-წვრილ, მაგრამ სავსებით დამოუკიდებელ ერთეულებად და სრულიადაც არ ამჟღავნებდნენ მსგავსი სტუმრის მიღების სურვილს. თურქეთსა და სპარსეთში მთელი იერარქია თავმოყრილი იყო ერთი პიროვნების — ალაჰის — ჩრდილის ხელში და მთელი მოსახლეობა შეფარებული იყო მის ჩრდილს. ფეოდალიზმმა მიმოიხედა, დაინახა თავისი გამოუვალი მდგომარეობა, შესაძლოა მწარედ ამოიოხრა კიდეც ევროპაში თავისი ოთხსაუკუნოვანი მფლობელობის დაკარგვის გამო, მაგრამ გადაწყვიტა დაკმაყოფილებულიყო მცირედით და თავი შეაფარა მიმსდობ ქართველ ხალხს[1].

დ. ყიფიანს ფეოდალიზმი, როგორც ჩანს, წარმოედგინა აგრეთვე ისეთ საზოგადოებრივ სისტემად, როცა მოცემულ ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლება დანაწევრებულ-დაქუცმაცებულია. ფეოდალიზმის საკითხის განხილვისას დ. ყიფიანი ხაზგასმით მიუთითებდა როგორც ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმებზე, ასევე მსხვილი ფეოდალური გვარების პოლიტიკურ ბატონობაზე. ფეოდალური სახლის სიძლიერე მის მთლიანობა-გაუყოფლობაში მდგომარეობდა. ვახტანგის კანონების მიხედვით, პირველი რანგის თავადები (არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ორბელიანი, ციციშვილები) მეფის ნებართვის გარეშე ვერ გაიყრებოდნენ. ქართული კანონები იცავდნენ ფეოდალური წყობილების საფუძვლებს. ისინი გამოხატავდნენ მამულის გაუყოფლობის შენარჩუნებისაკენ მიმართულ მისწრაფებას.

ფეოდალური გვარის ეკონომიკური ძლიერება მიწაზე ფეოდალური გვარის გაუყოფელ საკუთრებას ემყარებოდა. დ. ყიფიანი, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, დედულ-მამულის მფლობელობის თავისებურებას იმაში ხედავდა, რომ ამ დროსაც (1848 წელს) მთელ გვარებს შორის არსებობდა გაუყოფელი მფლობელობის სისტემა, რომ უმეტეს წილად მამულები ძველებურად გაუყოფელი იყო[2].

---

[1] იქვე გვ. 24.

[2] «Кавказ», 1848, № 2.

დ. ყიფიანი მკაცრად აკრიტიკებდა ფეოდალურ სისტემას და საზ. გადოების ყურადღებას მიაქცევდა სქემის ეკონომიკურ მხარეზე, განსაკუთრებით მამულის მფლობელობის წესზე. გარკვეულ ეკონომიკურ საფუძველზე აგებული ფეოდალური სისტემა ემყარებოდა მსხვილ მემამულურ მიწათმფლობელობას და იმას, რომ სწორედ ამ ეკონომიკურ ბაზისზე იყო აგებული ფეოდალური გვარის პოლიტიკური ბატონობა. ვინც ებრძოდა ფეოდალურ სისტემას, მას, უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკური საფუძველი, მიწათმფლობელობის არსებული წესი უნდა დაერღვია. დ. ყიფიანის აზრით, ცალკე პიროვნების დამოუკიდებლობა და კერძო, ინდივიდუალური საკუთრების პრინციპი ცხოვრების წარმატების ურყევი საფუძველია. ეს იყო ახალ ეკონომიკურ პირობებში მოქმედი მემამულის თვალსაზრისი. მისთვის აღარ იყო საჭირო „მამულის გაუყოფლობა“, ფეოდალური მიწათმფლობელობის სისტემა. ყიფიანმა ნათლად შეიგნო ახალი ეპოქის ეს მოთხოვნილება და წამოაყენა კონცეფცია, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართული იყო ფეოდალური წყობილების და მის საფუძველზე აღმოცენებული იურიდიული ფორმების წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, ეპოქის მოთხოვნებს ეგუებოდა. დ. ყიფიანი მიუთითებდა, რომ ახლა ბუნებრივი პირობების მიხედვით მაღალი წოდების შეგნება და მისი მოთხოვნილებანი შეიცვალა და გაფართოვდა, მაგრამ მამულის მფლობელობის სისტემა თითქმის იმ პირობებში დარჩა, რომელშიც ასეული წლების უწინ იყო. ეს გარემოება ხელს უშლიდა ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას, მემამულეები მხოლოდ ყოველდღიური ლუკმისათვის ზრუნავდნენ და შესაფერისად არ იყო გამოყენებული ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე. კერძო საკუთრების პრინციპის ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის წარმატებას და მის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას. მემამულის ინტერესები და შეგნება გაფართოვდებოდა, იგი კულტურულად დაამუშავებდა თავის მამულს, რათა მიღებული პროდუქცია არა მარტო თავისი ოჯახის უშუალო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოეყენებინა, არამედ ბაზარზეც გაეტანა. ყიფიანი, ერთი მხრივ, სასტიკად ილაშქრებდა ფეოდალური წყობილების პოლიტიკური კარჩაკეტილობისა და დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ და მოითხოვდა მტკიცე ცენტრალიზებული ხელისუფლების დამკვიდრებას, მეორე მხრივ, მისი ეკონომიკური და სოციალური შეხედულებანი ვერ თავსდებოდნენ ძველი ფეოდალური სისტემის ფარგლებში და იგი ამ მიმართულებითაც ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა[1].

---

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი, 1936, გვ. 42-43.

დ. ყიფიანს არ გამოპარვია ის ცვლილებები, რაც მისი დროის ფეოდალური საგვარეულოს მფლობელობაში შეიმჩნეოდა. ის აღნიშნავდა, რომ უკვე აღარ არიან გვარის მამამთავრები, რომლებსაც შეეძლიათ განაგონ საერთო მეურნეობა და მიღებული ნაწარმის გაყოფის საქმე გვარის წევრთა შორის. არიან მხოლოდ მეთაურები იმ ოჯახებისა, რომლებიც უწინდელი გვარების დანაწევრების შედეგად გაჩნდნენ. მაგრამ ეს ცალკეული მფლობელები, რომელთაც ასე ვთქვათ, კერძო წესით უჭირავთ მთელი გვარის კუთვნილი მამულის ის ნაკვეთები, რომლებიც, მათი აზრით, ფორმალური გაყრის შემთხვევაში შეიძლებოდა რგებოდათ, ცდილობდნენ არა იმას, რომ გაუმჯობესებათა გზით ააშაღლონ მამულის ღირსება, არამედ იმას, რომ ამ მამულით თავი დაირჩინონ[1].

დ. ყიფიანის დაკვირვებით, როგორც აქ ზოტანიდი სიტყვებიდან ჩანს, ძველი დროიდან ჩვენში არსებული საერთო ფეოდალური მფლობელობის წესს, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისათვის, მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია. ამ დროს, გვარის საერთო ფეოდალური საკუთრება — მიწა — ცალკეული ოჯახების ფაქტიურ მფლობელობაშია გადასული, მაგრამ საგვარეულო მამულების გაყოფა იურიდიულად ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული. საგვარეულო მამულების გაყოფა-გამიჯვნის გარეშე დ. ყიფიანს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლა ვერ წარმოუდგენია.

ვახტანგის კანონებში აღნიშნული ფეოდალური გვარის წევრებსა და მათ ფეოდალ მეზობლებს შორის არსებული მტრობა, თვითნებობა და შურისძიება — ეს ის მანკიერებანია, რაც მამულებისა და მათი უშუალო მფლობელების უფლებათა გაუმიჯნაობის შედეგი იყო. ჩხუბი, კინკლაობა, თვითნებობა, ძალადობა, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობანი უმაღლეს წოდებას აღელვებდა. ასეთ ითარებაში ძლიერის უფლება იმარჯვებდა. როცა ბატონები ჩხუბობენ, გლეხებს საქონრე ეწვითო, — ანდაზის ენით შენიშნავდა ყიფიანი[2]. ასეთ ვითარებაში გვარის ყველაზე უფრო სუსტი წევრები ზარალდებოდნენ, გლეხის შრომა შესაფერისად არ ფასდებოდა, ხოლო მეურნეობის გაუმჯობესება ძალზე ძნელი მოსახერხებელი იყო. მეურნეობის წარმართვა დედულ-მამულის გაუყოფლობის, ფეოდალური გვარის ერთიანი მფლობელობის პირობებში უდიდეს დაბრკოლებას ხვდებოდა. ახალ ვითარებაში, ბუნებრივია, სულ უფრო მტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ ყოველმა ოჯახმა, ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი საკუთრება[3].

---

[1] «Кавказ», 1848, № 2.

[2] იქვე («Когда паны дрались, чубы болели у мужиков»).

[3] «Кавказ», 1848, № 2.

გაუყოფელი მამულის საერთო მფლობელობის უარყოფითს შედეგებს დიმიტრი ყიფიანი საკუთარი მაგალითითაც ცხადყოფდა. ის წერდა: როცა პეტერბურგში ვიმყოფებოდი, ამით გათამამებული ჩემი მონაწილენი გაუყოფელ მამულს სულ თვითონ ისაკუთრებდნენ, რის გამო ჩემს სახლში აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. ოთხი ათასი დესეტინა ფრიად ნაყოფიერი ძვირფასი მამული იმ დროს 400 მანეთ შემოსავალსაც კი არ მაძლევდა წელიწადშიო[1].

დ. ყიფიანის დაკვირვებით, ფეოდალური გვარის კოლექტიური საკუთრების დაშლისა და ინდივიდუალური საკუთრების თანდათანობით განმტკიცების ტენდენციის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, კერძოდ, მარცვლეული მეურნეობის გაფართოება. თუ, მაგალითად, 1799 წელს, რუსების თბილისში შემოსვლის დროს, დიდი გაჭირვებით შეიძლებოდა სამათასიანი ჯარისათვის სურსათის შეგროვება, 40-იანი წლების მეორე ნახევრისათვის მარტო აღმოსავლეთი საქართველო (ახალციხის მაზრის გამოკლებით) სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფდა 15 ათასკაციან ჯარს. ამგვარად ორმოციოდე წელიწადში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ მარცვლეულის, წარმოება მნიშვნელოვნად გაზრდილა, იგი დაახლოებით ხუთჯერ აღემატებოდა მე-18 საუკუნის დამლევის დონეს სასაქონლო ანუ ზედმეტი მარცვლეულის წარმოებით, და ეს მხოლოდ ჯარის გამოკვებისათვის საჭირო პროდუქტების ოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა, საერთოდ, და ქალაქის მოსახლეობა, კერძოდ, მატულობს და მთლიანად მის დასაკმაყოფილებლად კიდევ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმია საჭირო. საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის დანარჩენი მასის საჭიროებისათვის მარცვლეული შემოჰქონდათ ალექსანდრეპოლის, ახალციხის, ერევნის და, ეგრეთწოდებული, მუსლიმანური მაზრებიდან[2].

დ. ყიფიანი მიუთითებდა, რა ძლიერ იყო ჩვენში ფესვგადგმული ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც ახალ პირობებში გარკვეულ ანაქრონიზმს წარმოადგენდა და უკვე აღარ შეესაბამებოდა დროის მზარდ მოთხოვნას. ის აღნიშნავდა, თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ახლე-

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 77.

[2] «Кавказ», 1848, № 2.

ბურად წარმართვა და ეს მაშინ, როცა დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან კაპიტალისტური ურთიერთობის გავლენა სულ უფრო ძლიერდებოდა. ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის საფუძვლად ყიფიანს კერძო ინდივიდუალური საკუთრების განმტკიცება მიაჩნდა. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საერთო კრებაზე, 1856 წელს, ყიფიანი აღნიშნავდა: საჭიროა ითქვას ის საშინელი ჭეშმარიტება, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის წარმატებას: დღემდე ქართველ მემამულეთა შორის თითქმის არავინაა დარწმუნებული იმაში, რომ დღევანდელი მისი საკუთრება ხვალაც მისი იქნება[1].

ამასთან ერთად, ყიფიანის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პრივილეგიურ წოდებაში საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ მორალურ-ფსიქიკურ ჩვევებს, რომლებმაც ქართველ მემამულეებს სამეურნეო საქმიანობისადმი მიდრეკილება დაუკარგეს, ეს კი იმიტომ, რომ ხალხის ცხოვრება მრავალი საუკუნის მანძილზე საომარ ვითარებასთან იყო დაკავშირებული. დასახელებული „საზოგადოების“ შეკრებაზე ყიფიანი აღნიშნავდა: ჩვენ მხოლოდ იმას ვაკეთებდით, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვეწეოდით ჩვენი სარწმუნოებისა და ჩვენი სამშობლოს მტრებთან. ქართველი მემამულე მეომარი იყო, მეომარს კი მხოლოდ სიმამაცე, სიუხვე, ხშირად მფლანგველობა მოეთხოვება, მაგრამ არა მომჭირნეობა, არა ხელმოჭერილობა მეურნეობაში, რომლისთვისაც მას არ ეცალა[2].

ამრიგად, დ. ყიფიანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევდა მამულზე ფეოდალური გვარის საერთო ანუ კოლექტიური საკუთრების არსებობას. იგი მოითხოვდა ამ საკუთრების შეცვლას. გვარის ცალკეულ წევრ-მემამულეებს მთელი მამული მხოლოდ ინდივიდუალურ საკუთრებაში უნდა ჰქონოდათ. ასეთ შემთხვევაში, ყოველი მამული ზუსტად დადგენილი საზღვრებით მიწათმფლობელთა მეურნეობრივ საქმიანობას უდიდეს ბიძგს მისცემდა.

ეკონომიკის დარგში განხორციელებული ეს ღონისძიებანი პოლიტიკურ სფეროში მიმართული იყო ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ და ბურჟუაზიული ევოლუციის გზაზე შემდგარ მემამულეთა ინტერესებს შეესაბამებოდა.

დ. ყიფიანი ნათლად ხედავდა, რომ ცხოვრების ერთი ფორმიდან მე-

---

[1] Д. Кипиани, О путях к достижению цели общества, «Записки Кавказского общества сельского хозяйства», № 1, Тифлис, 1857, с. 53.

[2] იქვე, გვ. 57.

ორეზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო ერთბაშად და უმტკივნეულოდ. გადასვლის პროცესში დროს და გამოცდილებას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. ადვილი არ იყო მობრუნება მთელი თაობებისა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ პირობებში ცხოვრობდნენ. გადასვლა ცხოვრების ასეთი წესიდან, — წერდა დ. ყიფიანი,—რომელიც სრულიად ერთნაირი იყო მთელი თაობების მანძილზე, მხოლოდ ჩვენი მამების დროს დაიწყო. ეს გარდაქმნა დაიწყო არა საკუთრივ მეურნეობების გაუმჯობესებით, არამედ ჩვენი იდეების, ჩვენი აზროვნების წესის გადამუშავება-გარდაქმნით[1].

საქართველოს მემამულური მეურნეობის ახალ ყაიდაზე გადასვლა არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ამ მხრივ XIX საუკუნის შუახანებისათვის უკვე გარკვეული მიღწევები აღინიშნებოდა.

დ. ყიფიანი სავსებით კანონზომიერად მიიჩნევდა მიწის ინდივიდუალური საკუთრების განმტკიცებას არა მარტო ქართველ მემამულეთა შორის, არამედ აგრეთვე ამიერკავკასია-საქართველოს მუსლიმანური მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელთა შორისაც. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი პოზიცია ამიერკავკასიის, ეგრეთწოდებული, მუსლიმანური პროვინციების მოსახლეობის ზედაფენებისათვის უფლებრივი პრივილეგიების განმტკიცების საკითხის განხილვისას.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ხაზინამ დაიჩემა ის მიწები, რომელსაც ბეგები და აღალარები 1810 წლამდე ფლობდნენ. მუსლიმანთა მაღალი წოდება ამით დიდად უკმაყოფილო იყო. ვითარება ძალზე გამწვავდა. კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი იძულებული იყო შესაფერისი მანევრი განეხორციელებინა, რათა რუსეთის ცარიზმისათვის ამიერკავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში სათანადო სოციალური საყრდენი შეენარჩუნებინა. საქმის გარკვევაში ვორონცოვს ეხმარებოდა სამოქალაქო მმართველობის უფროსი გენერალი ლადინსკი. ორივე მოხელე იმ აზრისა იყო, რომ დაქვემდებარებულ ქვეყნებში მთავრობა ადგილობრივ არისტოკრატიას უნდა ეყრდნობოდეს და მისი საშუალებით განაგებდეს ხალხის სვე-ბედს, ხოლო სადაც არისტოკრატია წოდებად არ არის ჩამოყალიბებული, საჭიროა ამგვარი წოდების შექმნა.. 1846 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნდა უმაღლესი რესკრიპტი: ხანებს, ბეგებს, აღალარებს და მელიქებს სრულ საკუთრებად ეძლეოდათ ის მიწა, რასაც მათი გვარები ფლობდნენ რუსეთთან შეერთებამდე და რაც მათ ადმი-

[1] Д. Кипиани, О путях к достижению цели общества, «Записки Кавказского общества сельского хозяйства», № 1, Тифлис, 1857, с. 58.

ნისტრაციული წესით წაართვეს 1810 წელს; ჩამორთმეული მიწები მათვე უნდა დაბრუნებოდათ. ბეგ-აღალარების მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებს კერძო მესაკუთრეთა მიწებზე მცხოვრებნი უწოდეს და მათ, მიწათმფლობელთა სასარგებლოდ, განსასღვრული ხარჯის გადახდა დააკისრეს. ერთი სიტყვით, რესკრიპტით ბატონყმური წესის მსგავსი სისტემა მყარდებოდა. მაგრამ საქმის მსვლელობაში ბევრი რამ იყო დასაზუსტებელი. კერძოდ, დასადგენი იყო მიჯნები მამულებს შორის. ამას კი ბევრი შრომა დასჭირდა და მხოლოდ 1861 წლისათვის დასრულდა ამ მემამულეთა სიების შედგენა[1].

ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა. გამოჩნდნენ მოხელეები, რომელთა აზრით, საკითხის ამგვარი გადაჭრა არ იყო სასარგებლო. მეფისნაცვლის საბჭოს წევრი სმიტენი მიიჩნევდა, რომ მუსლიმანთა ზედაფენის წარმომადგენლებს მიწის მესაკუთრის უფლება სასამართლოს წესით უნდა დაემტკიცებინათ.

დ. ყიფიანი გადაჭრით დადგა ვორონცოვის პოლიტიკის იმ საწყისების დასაცავად, რომლის მიხედვითაც მუსლიმანური მოსახლეობის ზედა ფენა იურიდიულად საბოლოოდ ყალიბდებოდა, როგორც ფეოდალურ-პრივილეგიური წოდება. იგი მიიჩნევდა, რომ სასამართლოებს არ ძალუძდათ ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან აქ არ იყო მომჩივანი. მომჩივნად არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ბეგები, რადგან მათ არ იცოდნენ ვისთან უნდა დაეწყოთ დავა, ასევე მომჩივანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხაზინა, რადგან მთავრობამ 1846 წლის რესკრიპტით უკვე დააწესა მესაკუთრეობა, და ზედმიწევნით განხორციელება საჭიროაო,—დაასკვნიდა დ. ყიფიანი[2].

დ. ყიფიანი ბატონყმურ-ფეოდალური ხანის საქართველოს მოსახლეობას ოთხი წოდების სახით წარმოადგენდა: 1. სასულიერო წოდება, 2. თავადაზნაურობა, 3 გლეხობა და 4. მოქალაქეთა წოდება.

საყურადღებოა ქართული ფეოდალური საზოგადოების ორი ძირითადი კლას-წოდების შიდაკლასობრივი აღნაგობის ყიფიანისეული სურათი. ჩვენში არსებობდა: I უმაღლესი წოდება და II დაბალი წოდება.

უმაღლეს წოდებაში (ესე იგი, ფეოდალთა კლასში) ის შემდეგ ფენებს გამოყოფს: ბატონიშვილები, თავადები, აზნაურები.

აზნაურები თავისუფალი და პრივილეგიური წოდებააო,—მიუთითებდა ყიფიანი. ბატონიშვილებად იწოდებოდნენ როგორც მეფისწულები, ისე მთავრის შვილები.

---

[1] ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 799.

[2] იქვე

დაბალ წოდებაში გამოიყოფოდა: მსახური, მოჯალაბე, ყმა. სამივე ამ ფენის საერთო სახელწოდება იყო გლეხი, გლეხკაცი, ან ყაზახი[1].

იმერეთის მაგალითის განხილვისას დ. ყიფიანს მიაჩნდა, რომ მსახური არის შინამოსამსახურე (домашняя прислуга), ხოლო მოჯალაბეებს შინაყმათა ოჯახები შეადგენდნენ[2].

მფლობელობის ნიშნის მიხედვით გლეხთა წოდება აერთებდა სახელმწიფო უწყების, საეკლესიო უწყებისა და საბატონო გლეხებს.

სასულიერო წოდებაში სამ შტოს გამოყოფდა. ესენი იყო: მართლმადიდებლური, სომხურ-გრიგორიანული და რომაულ-კათოლიკური.

მოქალაქეთა წოდება, ყიფიანის აზრით, მხოლოდ თბილისის მცხოვრებთა შორის არსებობდა. ამასთან, მათი პირადი უფლებები ჯერ კიდევ არ იყო დადგენილ-განსაზღვრული[3].

მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობა ოფიციალურად ერთ წოდებას შეადგენდა, მის შიგნით, ცალკეულ ფენებს შორის სხვაობა თვალსაჩინო გახლდათ. ამასთან, განსხვავება უფრო მკვეთრი იყო, ერთი მხრივ, მთლიანად თავადაზნაურობის წოდებასა და, მეორე მხრივ, გლეხურ წოდებას შორის. ეს სოციალური განსხვავება ეკონომიკაშიც მკვეთრად ვლინდებოდა. დ. ყიფიანი არაერთხელ მიუთითებდა, რომ ვახტანგის კანონებით, ყოველივე გლეხისა ბატონისა არისო. ეს სოციალური განსხვავება სისხლის ფასშიც გამოიხატებოდა: გლეხის სისხლის ფასი 120 მანეთს შეადგენდა და, მაშასადამე, პირველი კლასის თავადის სისხლის ფასზე (15360 მანეთი) 128-ჯერ ნაკლები იყო.

ძლიერი თავადი იყო ის, ვისაც თავისი სამფლობელოს სტრატეგიულ პუნქტში კარგად დაცული და აღჭურვილი ციხესიმაგრე ჰქონდა. ძლიერ აზნაურსაც თავის სამფლობელოში კარგად გამაგრებული ციხე უნდა ჰქონოდა.

XIX საუკუნის შუახანებში წოდებრივი განსხვავება გარეგნულადაც (ტანსაცმელი, მორთულობა) შესამჩნევი იყო. სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები ურთიერთობის ფეოდალურ ეთიკას მკაცრად იცავდნენ[4].

---

[1] Д. Кипиани, О том, о сем... с. 19.

[2] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში: „ხელნაწერთა ინსტიტუტი"). დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივი, № 362.

[3] Д. Кипиани, О том, о сем... с. 48.

[4] იქვე, გვ. 26.

ქართველ მემამულეთა და გლეხთა შორის არსებული ურთიერთობის ზუსტი განსაზღვრა, გლეხთა გამოსაღებ-ვალდებულებათა სიდიდის დადგენა საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით, მთავრობის წრეებში ფრიად მნიშვნელოვან საქმედ ყოფილა მიჩნეული. საკითხის შესწავლაში, რაც ძირითადად 1841 წლისათვის დამთავრებულა, მთავარი შრომა დ. ყიფიანს გაუწევია[1]. მას მეფისნაცვლის საბჭოსათვის საქართველოში ბატონყმობის საკითხისადმი მიძღვნილი მოხსენება წარუდგენია. მოხსენებაში, რომელიც 1847 წლის 27 სექტემბრითაა დათარიღებული[2], აღნიშნულია, რომ საკითხი საქართველოში ბატონყმობაზე პირველად აღუძრავს სენატს 1820 წელს, როცა მას რუსი მოხელეების მიერ ეროვნებით ქართველი შინაყმების შეძენის საკითხი განუხილავს. სენატს 1823 წელს ეცნობა, რომ ქართველი ეროვნების შინაყმები მებატონეთა სრულ განკარგულებაში იმყოფებიან და რომ შეიძლება მათი გაყიდვა, დაგირავება და გაჩუქება[3].

გაკრიტიკებულია ბარონ განის შეხედულებანი, რომელთა მიხედვითაც საქართველოში თითქოს ბატონყმობა არ არსებობდა. განის ეს დებულება დ. ყიფიანს უმართებულოდ მიაჩნდა. მას ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულიდან მოაქვს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის დამადასტურებელი მასალა. ყმა გლეხის მიმართ მებატონის სრული უფლება მხოლოდ იმით იზღუდებოდა, რომ მეფის ნებართვის გარეშე მას არ შეეძლო თავისი ყმა დანაშაულისათვის სიკვდილით დაესაჯა. გლეხის სიკვდილით დასჯის შემთხვევაში კი მის მემკვიდრეს სამაგიეროს მიზღვევის უფლება არ ჰქონდა.

მოხსენებაში ლაპარაკია ქართველ ყმა გლეხთა ბეგარა-გადასახადებზე. აღნიშნულია, რომ ამ ბეგარა-გადასახადების ზუსტი აღრიცხვა ყოვლად შეუძლებელია და, რომ მათი სიდიდე უმეტეს შემთხვევაში მებატონეთა თვითნებობაზეა დამოკიდებული[4]. დ. ყიფიანი მიუთითებს,

---

[1] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тифлис, 1907, с. 289.

[2] დ. ყიფიანი, მოხსენება მეფისნაცვლის საბჭოსადმი ბატონყმობის შესახებ საქართველოში, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 49—99.

[3] იქვე, გვ. 49.

[4] დ. ყიფიანი, მოხსენება მეფისნაცვლის საბჭოსადმი ბატონყმობის შესახებ საქართველოში, 1847 წ. სექტემბრის 27. წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 51.

რომ გლეხთა გაჭირვებისას მებატონეები არათუ არ მოითხოვდნენ გადასახადების მთლიანად დაფარვას, არამედ ხშირად თვითონვე ეხმარებოდნენ გლეხებს მატერიალურად. გლეხები კი, თავის მხრივ, არაიშვიათად ზედმეტს იხდიდნენ მებატონეთადმი თავისი კეთილგანწყობილების გამო[1].

ამავე აზრს ავითარებდა ყიფიანი შემდეგშიც. მაგალითად, 1862 წლის 30 აპრილს ის აღნიშნავდა: „ძველთა დროთაგან ჩვენსა და ჩვენთ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდად ემსგავსება დამოკიდებულებასა ერთის ოჯახის, ერთის სახლის შვილებისასა. ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა ან ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემწუხებულნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსნი. იმათაც ისე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებლები და მტარვალები; ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი.—მარადის გაერთებული იყო ჩვენს შორის ჭირიცა და ლხინიცა. ერთმანეთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვათხევდით სისხლსა და ერთი ერთმანეთს ხელს უმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაჭირვებაში. მართალია, ამ გვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე აქა-იქ უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველს გვარს ცხოვრებაში; მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არას დროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის;—ამისათვის, რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითს ერთგულებისა ჩვენდა მიმართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ“[2].

ამრიგად, დ. ყიფიანი ჩვენში არსებულ ბატონყმობას ჰუმანურ საწყისებზე დამყარებულ წყობილებად მიიჩნევდა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. შესაძლოა ჩვენში არსებულ ბატონყმურ ურთიერთობაში ყოველთვის და ყველგან ურთიერთობის ყველაზე მკაცრი და ტლანქი ფორმები არ ბატონობდა /მაგალითად, კონკრეტულ-ისტორიული მასალით არ დასტურდება ჩვენში ეგრეთწოდებული „პირველი ღამის უფლების“ არსებობა/. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ბატონი და ყმა, მართლაც, ერთიმეორეს ეხმარებოდა, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო ბა-

[1] იქვე, გვ. 55.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 334; დ. ყიფიანის აზრი ბატონყობის გაუქმების საფუძვლების შესახებ, 1862 წ. 30 აპრილი, წიგნში: შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 110.

ტონსა და ყმას შორის არა კეთილი ურთიერთობა და ერთმანეთზე ზრუნვა, არამედ მწვავე კლასობრივი ბრძოლა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თვით XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში მებატონეთა მიერ ყმათა გაყიდვის აუარებელ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. ხოლო გლეხთა ჯგუფური ანტიბატონყმური გამოსვლები საქართველოში XV საუკუნიდან მაინც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა[1].

ქართული ბატონყმობის მკაცრ ხასიათზე მიუთითებს თვით დ. ყიფიანის ზემოთ დასახელებული, 1847 წლის მოხსენებაში მოტანილი, ფაქტობრივი მასალა. მასში ასახულია იმერეთიდან და სამეგრელოდან მრავალი გლეხის აყრა და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა. მოხსენებაში მოტანილია ცნობა თავისუფლების მაძიებელ გლეხთა რაოდენობაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ იუსტიციის სამინისტროს ცნობით, 1844 წელს თავისუფლების მაძიებელთა რიცხვი უდრიდა: მოგილიოვის გუბერნიაში—59-ს, ტულის გუბერნიაში—63-ს, ტამბოვის გუბერნიაში—72-ს. ხოლო თბილისის სამხედრო გუბერნატორის 1847 წლის ცნობით, საქართველო-იმერეთის გუბერნიაში თავისუფლების მაძიებელთა რაოდენობას ოთხი წლის მანძილზე (1843, 1844, 1845, 1846) 771 შეუდგენია (ესე იგი, წლიურად საშუალოდ—193)[2]. მაშასადამე, თავისუფლების მაძიებელთა, ესე იგი, ბატონყმური ურთიერთობით აშკარად უკმაყოფილო, აქტიურ გლეხთა რიცხვი, მოცემულ პერიოდში, ჩვენში შედარებით მეტი ყოფილა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. ამას გარდა, დასახელებული ოთხი წლის მანძილზე ფიქსირებული ყოფილა მებატონეთა მიმართ გლეხთა დაუმორჩილებლობის 133 შემთხვევა.

დ. ყიფიანი 1863 წლის აპრილის მოხსენებაში აღნიშნავდა: არავის გაუგონია, რომ 1812 წლამდის საქართველოში თავისუფლება ეძებინოს ვისმე ყმათაგანს, მერე კი ისე გახშირებულა, რომ თვით უმაღლესი მთავრობა იძულებული გამხდარა ამ საქმის მოსაგვარებლად ეზრუნა[3].

---

[1] დ. მეგრელაძე, გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში თბ., 1979, გვ. 151.

[2] დ. ყიფიანი, მოხსენება მეფისნაცვლის საბჭოსადმი ბატონყმობის შესახებ საქართველოში, წიგნში: შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 67—69.

[3] დ. ყიფიანი, 1863 წლის აპრილის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 208; П. В. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения (შემდეგში «СХАО»), — т. Тб., 1950, გვ. 54.

დაზუსტებას საჭიროებს დ. ყიფიანის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ჩვენში ყმათა მიერ თავისუფლების ძიებას თითქოს 1812 წლამდე ადგილი არა ჰქონდა. სინამდვილეში, საქართველოში ყმა გლეხთა მიერ ბატონყმური ურთიერთობიდან თავდახსნის მცდელობა მანამდეც, ესე იგი, 1812 წლამდეც საკმაოდ ხშირად გვხვდება. და ეს ხდებოდა როგორც დამოუკიდებელი ქართული სამეფოებისა და საძთავროების არსებობის პირობებში, ისე, განსაკუთრებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ეს მცდელობა ზოგჯერ ყმა გლეხის განთავისუფლებით მთავრდებოდა, რაზეც თავდახსნის წერილობითი აქტები დგებოდა. არქივში დაცულია, მაგალითად, 1793, 1800, 1801, 1802, 1803, 1804, 1805, 1806 და მომდევნო წლებში გაცემული არაერთი ასეთი წერილობითი საბუთი.

* * *

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული დ. ყიფიანის სახელთან. 1861 წელს, რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის პერიოდში, დ. ყიფიანს პეტერბურგში მოუხდა ყოფნა. იქიდან ის თავის მეუღლეს სწერდა, რომ რუსეთში „გლეხთა განთავისუფლება მშვიდობიანად სწარმოებს. არსად არავითარი უსიამოვნება და არც შეიძლება, რომ ყოფილიყო უსიამოვნება, რადგან საქმე ორივე მხარისათვის საუკეთესოდ გადაწყდა: გლეხებიც კმაყოფილნი არიან და არც მემამულეები დაზარალდნენ. ამ საქმის შიში აქვთ იმათ, ვისაც არ ესმის ეგ საქმე. და თუ საქართველოსათვის ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ეს საქმე, არ უნდა გვიხაროდეს, არამედ უნდა ვწუხდეთ“[1].

ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებს დ. ყიფიანის განწყობილებას, რომელიც იმაზე კი არ წუხდა, რომ საქართველოშიც უნდა გაუქმდეს ბატონყმობა, არამედ იმაზე, რომ ეს საქმე ჯერ არ იყო გადაწყვეტილი. არ. ჯორჯაძის აზრით, დ. ყიფიანი შორს იდგა, იმ რადიკალური წრეებიდან, სადაც დიდი უკმაყოფილება იყო იმის გამო, რომ განთავისუფლება სრულად არ მოხდა, და რომ ძველი წესი კიდევ დიდხნობით უნდა დარჩენილიყო. იგი შორს იდგა იმ ხალხისაგანაც, რომელიც ჯერ კიდევ ბატონყმობის უღლიდან განთავისუფლების წინ შფოთავდა

[1] არ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913. № 799.

და დრტვინავდა[1]. ამასთან, ყიფიანი მიესალმებოდა რეფორმას, ბატონყმური წყობილების დამხობას და გლეხთა განთავისუფლებას. ნიკო ყიფიანი აღნიშავდა: „გლეხების განთავისუფლება გულით უხაროდა დ. ყიფიანს, რადგანაც ყოველთვის იყო ადამიანთა თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის მომხრე. ბატონყმობა, როგორც ადამიანის დამამცირებელი და დამაზიანებელი, ეჯავრებოდა“[2]

საყოველთაოდ ცნობილია საგლეხო რეფორმის ბატონყმური ხასიათი, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ეს რეფორმა თავისი შინაარსით ბურჟუაზიული იყო და მნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა იმ სახითაც, როგორც ის განხორციელდა. ამდენად, ჩვენ გვიჭირს გავიზიაროთ ს. ხუნდაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დ. ყიფიანის „სოციალური იდეალები ბატონყმურ საქართველოში გამოიხატებოდა“[3]. როგორც დ. ყიფიანის მიერ მეუღლისადმი მიწერილი ბჯრათიდან ჩანს, ის სრულიადაც არ ებღაუჭება ბატონყმურ წყობლებას, სრულიადაც ან ნანობს ისტორიული სცენიდან ამ წყობილების წასვლის გამო. პირიქით, ამ საკითხის გადაწყვეტისას დ. ყიფიანი, საუსებით ითვალისწინებს და თანაუგრძნობს საერთო საკაცობრიო პროგრესის ძირითად მიმართულებას, რაც სათანადო სოციალური ხასიათის გარდაქმნებს გულისხმობდა.

ბატონყმობის თობაზე დ. ყიფიანის ოჯახის შეხედულება კარგად ჩანს აგრეთვე დიმიტრისადმი მისი უფროსი ვაჟის—ნიკოს—1864 წლის 28 ნოემბერს პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილიდან. — მივიღე შენი წერილი გლეხთა განთავისუფლებაზე, — წერდა ნიკო მამას, — გლეხობა გათავისუფლდა ისეთი პირუტყვული დამოკიდებულებისაგან, რომლის მარტო გაფიქრება სიწითლეს მოჰგვრის ჩვენს ბავშვებს თავისი წინაპრების გამო, ხოლო ჩვენს გამო თვითონ ვფითრდებოდით და ვწითლდებოდით. ესაა დიადი საქმე, საქმე რომელსაც შეუძლია გამოაცოცხლოს ჩვენი დასუსტებული ძალები, განაახლოს ჩვენი დრომოჭმული საზოგადოებრივი ცხოვრება. ახლა ჩვენს ჩამომჭკნარ ეროვნებას შეიძლება მომავალი ჰქონდეს: მოქალაქეთა რიცხვი გაიზარდა. გლეხობა შინაური პირუტყვი, ან მინდვრის მანქანა კი არ რის, არამედ ხალხია! 8 ნოემბერს თქვენთან რომ ვყოფილიყავი, ჭიქა კახურით ვადღეგრძელებდი მთელი ხალხის კეთილდღეობას და ახალ მოქალაქეებს[4].

---

[1] იქვე.

[2] ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 27.

[3] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 32.

[4] ლიტერატურის მუზეუმი, № 14978—ხ.

ამ წერილში, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია აზრი იმაზე, რომ პრივილეგიური წოდების ანაბრად დატოვებული ერი ჩამომჭკნარი, დაუძლურებულია. ამ ერს გლეხობის გარეშე, გლეხობისათვის მოქალაქეობრივი უფლების მინიჭების გარეშე წარმატების იმედი არ შეიძლება ჰქონდეს, ხოლო „ახალ მოქალაქეებს“, ესე იგი, ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს, რომლებმაც იურიდიული თავისუფლება მიიღეს, შეუძლიათ უზრუნველყონ ერის წარმატება. საკითხის ამგვარი დასმა და გადაწყვეტა სავსებით შეესაბამებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს.

საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისას დ. ყიფიანმა ყველაზე თვალსაჩინო როლი შეასრულა. კავკასიის ადმინისტრაციამ, რომელიც რეფორმისათვის მზადებას თავიდანვე შეუდგა, საკითხის დამუშავება გრიგოლ ორბელიანს და დიმიტრი ყიფიანს დაავალა. 1858 წელს, მეფისნაცვალს წარედგინა მოხსენება, რომელშიც ასახული იყო მათი თვალსაზრისი საგლეხო რეფორმაზე. მოხსენება ბარიატინსკიმ მოიწონა, მაგრამ საკითხი მმართველობის ზედა წრეებში უყურადღებოდ დატოვეს. 1861 წლის მარტში, პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე, მეფისნაცვალმა ადგილობრივ თავადაზნაურობას მოსთხოვა რეფორმისათვის მზადების დაწყება. თავადაზნაურობამ გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტის შედგენა დ. ყიფიანს დაავალა. მემამულეთა მიერ გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ყიფიანმა 1863 წლის აპრილისათვის შეადგინა მოხსენება და რეფორმის პროექტი, რაც თავადაზნაურთა სამაზრო ყრილობებმა 1863 წლის აპრილ-ივნისში განიხილეს. ყრილობებზე დამსწრეთაგან (552 კაცი) პროექტი მოიწონა და ხელი მოაწერა 536 კაცმა, დანარჩენებმა თავისი წინადადებები წარადგინეს.

სიმონ ავალიანი მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ყიფიანის სარეფორმო მოღვაწეობას: „დიმიტრი ყიფიანი იყო ერთი საუკეთესო მამულიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა, უნარი და ენერგია ამ საქმეს შეალია“[1]. ს. ავალიანი განსაკუთრებით აქებდა დ. ყიფიანის მიერ შედგენილ მოხსენებას. მართლაც, დიმიტრი ყიფიანის 1863 წლის აპრილის მოხსენება ყურადღებას იპყრობს არა მარტო საკითხების ღრმა ანალიზით, არამედ იმითაც, რომ მასში მეტად ხატოვნადაა წარმოდგენილი შექმნილი ვითარება, რომელიც ბატონყმობის გაუქმების

[1] სიმ. ავალიანი, დიმიტრი ყიფიანი და ბატონყმობის გაუქმება ტფილისის გუბერნიაში, „სახალხო გაზეთი“, 1912, № 568.

გარდუვალ აუცილებლობას კარნახობდა. გავიხსენოთ თუნდაც მოხსენების დასაწყისი:

„ერთს დიდიხნის სასახლეში ძველთაგანვე პატიოსანი გვარის ოჯახი ჰსცხოვრობდა თუმცა ღარიბად, მაგრამ სხვა და სხვა ბედის ტრიალისაგან ძლივს დამშვიდებული; — უკეთეს დროებას რომ ელოდნენ, ესპათ მეყვსეულად ხუროთმოძღვართაგან, რომ ახლავე უნდა გამოხვიდეთ მაგ სასახლიდან, თუ არა ზედ დაგენგრევათო. გამოვიდა კიდევ ცოტა ხანი და — აქ იჭექა კედელმა, იქ იჭექა; რღვევის მომასწავებელი ნიშანი გახშირდა და მაშინ კი ჰსთქვეს, უნდა მართლად გავლაგდეთ, თორემ სწორეთ ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმეო; თავი სად შეეფარებინათ არ იცოდნენ; მაგრამ იწყეს გამოლაგება იმედნეულებმა, რომ ღმერთი და ხელმწიფე არ გასწირავდნენ მსასოებელთა“[1].

მოხსენებისა და დებულების პროექტის შედგენისათვის ყიფიანს დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაუტარებია. 1862 წელს მან მებატონეებს 14 პუნქტისაგან შემდგარი კითხვარი დაუგზავნა და სთხოვა პასუხის დროზე დაბრუნება. 1863 წლის 8 იანვარს დ. ყიფიანი სწერდა ივანე ანდრონიკაშვილს: „ამ კითხვებზე პასუხები თელავიდან კარგა ხანია მომივიდა. გორის მაზრიდან მომდის მაგრამ დაყოვნებით. სიღნაღისა და თბილისის მაზრებიდან პასუხი ჯერ სრულიად არ მომსვლია. ქალაქიდან შემატყობინეს, საზოგადოებამ საქმე იმას მიანდო და პასუხებს რაღას ყლის, როგორც ამჯობინოს, ისე დასწეროსო. ასე თურმე ამბობენ.

მაგრამ ამ საქმეს შეთხზვა კი არა, შედგენა და შეზავება უნდა, სადაც მასალა საკმაო არ არის, იქ კეთილად რა შეზავდება? უმთავრეს მასალათა შორის მე თქვენი, მებატონეების, აზრი მჭირდება. ვითარცა მზარეულმა ან ვითარცა კალატოზმა, მოგთხოვეთ და მანამდისინ არ მიბოძებთ, ვერცა ვერას შევაზავებ, ვერცა ვერას ავაშენებ.

ამ მოლოდინში ვარ აქამდე და თუ აღარ დამაგვიანეს, რა რომ ჩემს მუშაობაზე ძიდგება საქმე, იმედი მაქვს მარტის დამლევამდის შევასრულო და გაზაფხულზედ მოგართვათ განსახილველად“[2].

მემამულეთა მიერ წარმოდგენილი აზრის გათვალისწინების სა-

---

[1] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მოხსენება ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებილებისადმი, 1863 წ. აპრილი. წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 182, 183. СХАО, т. II, Тб., 1950, с. 28; ლიტერატურის მუზეუმი. № 14751—ხ.

[2] ელ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი

ფუძველზე, დ. ყიფიანს 1863 წლის აპრილისათვის თავისი ცნობილი მოხსენებისა და დებულების პროექტის შედგენა დაუმთავრებია[1].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ დ. ყიფიანი ბატონყმობის გაუქმების სამზადისისას გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების მომხრე იყო[2]. ეს მოსაზრება ემყარება დ. ყიფიანის განცხადებას, რომ მიწა მემამულეთა საკუთრებაა. ამასთან დაკავშირებით დამატებით განმარტებას საჭიროებს დ. ყიფიანის თვალსაზრისი ყმათა განთავისუფლებისას მათი მიწით უზრუნველყოფის თაობაზე.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს დ. ყიფიანის შეხედულებათა დედააზრი დასახელებულ საკითხზე, გავიხსენოთ ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, რომელთა მიხედვითაც საგლეხო რეფორმა განხორციელდა.

ბატონყმობის გაუქმების ძირითადი პირობები, რაც საგლეხო რეფორმის 1861 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო აქტებშია ასახული, იმაში მდგომარებდა, რომ ამიერიდან იურიდიულად უქმდებოდა ფეოდალური საზოგადოების კლასები — ფეოდალ-მებატონეთა და ყმა გლეხთა კლასები. გლეხმა იურიდიული თავისუფლება მიიღო. მას უფლება ეძლეოდა თავისი შეხედულებისამებრ მოეხმარა საკუთარი ოჯახის დოვლათი. გლეხი თავის უძრავ-მოძრავი ქონების სრული ბატონ-პატრონი ხდებოდა, მაგრამ ძირითადი საწარმოო საშუალება — მიწა — ფაქტობრივად მემამულეთა საკუთრებად რჩებოდა. ამასთან, მემამულეები ვალდებული იყვნენ გლეხებისათვის მუდმივ სარგებლობაში გადაეცათ მიწის ნაკვეთები: საკარმიდამო, სახნავ-სათესი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები „გლეხთა ყოფა-ცხოვრების უზრუნველყოფისა და სახელმწიფოსა და მემამულეთა მიმართ მათზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით"[3]. ამ მიწებით (ეგრეთწოდებული „სანადელო" მიწები) სარგებლობის სანაცვლოდ ყოფილ საბატონო გლეხებს, რომლებიც ბატონყმობის გადავარდნის

წერილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 157.

[1] ეს პროექტი დაბეჭდილია... СХАО, т. II Тб., 1950 გვ. 118—129; შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 270—281.

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი გვ. 139; Г. М е г р е л и ш в и л и, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века, т. I, Тбилиси, 1960, с. 190.

[3] Общее положение о крестьянах, вышедших из крепостной зависимости, статья 3. წიგნში «Крестьянская реформа в России 1861 года (Сборник законодательных актов)», М., 1954.

შემდეგ დროებითვალდებულ გლეხებად იწოდებოდნენ, მემამულეებისათვის უნდა ეძლიათ სანადელო მიწებზე მოწეული მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ესე იგი, უნდა გადაეხადათ რენტა. ამგვარად, მიწა კი ეძლეოდათ, ანუ გლეხებს განთავისუფლებისას მიწა მიეცათ, მაგრამ არა სრულ საკუთრებაში. მაინც კი გლეხთათვის სანადელო მიწების გამოყოფა მიჩნეულია როგორც ბატონყმობიდან გლეხთა მიწიანად განთავისუფლება. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ გლეხობა რეფორმის შედეგად დიდად დაზარალდა — მას დიდი რაოდენობით ჩამოაჭრეს ის მიწები, რითაც ის რეფორმამდე სარგებლობდა.

ეს ძირითადი პრინციპები დაედო საფუძვლად რეფორმის მომზადებასა და გატარებას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. საგლეხო რეფორმის ეს პირობები, რაც ასახული იყო 1861 წლის 19 თებერვლის აქტებში, ქართველი მოღვაწეებისათვის სავსებით ცნობილი გახლდათ.

1862 წლის 30 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობისადმი წარდგენილ მოხსენებითს ბარათში დ. ყიფიანი აღნიშნავდა: „საზოგადო ჩვენი სურვილი არის: ყმებს თავისუფლება მიეცეს, ჩვენ სამაგიერო ფული მოგვეცეს და ადგილმამული ჩვენ დაგვრჩეს“[1]. ეს დებულება რეფორმის საერთო შინაარსს შეესაბამებოდა და რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას არ გულისხმობდა. როგორც ითქვა, რუსეთში საგლეხო რეფორმის გამოცხადების შემდეგაც მიწა მემამულეთა ფაქტობრივ საკუთრებას შეადგენდა: სანადელო მიწებით სარგებლობისათვის გლეხები მიწათმფლობელებს რენტას უხდიდნენ.

ნაყმევთათვის მიწის მუდმივ სარგებლობაში დატოვებას გულისხმობს დ. ყიფიანის იმავე ბარათის შემდეგი სიტყვები: „არა თუ ახლანდელს სახლკარობას არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილ-მამულსაც მივანებებთ, რაც რომ ამჟამად ხელთ უჭირავთ“[2]. ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ სრულიადაც არ არის ლაპარაკი ყმა გლეხთა ხელთ არსებული მიწის ფართობის რაიმე შემცირებაზე, მიწის ჩამოჭრაზე. როგორც ცნობილია, 1861 წლის კანონებით, განსაზღვრული იყო იმ მიწის ფართობი, რაც დროებითვალდებულ გლეხებს რჩებოდა, ხოლო ნადელების დაკანონებული ნორმის დაწესება თითქმის ყველა პირობებში გლეხებისათვის მიწის ჩამოჭრას ნიშნავდ.

„მემუარებში“ დ. ყიფიანი მოგვითხრობს, რომ საგლეხო რეფორმი-

---

[1] დ. ყიფიანის აზრი ბატონყმობის გაუქმების საფუძვლების შესახებ, 1862 წლის აპრილის 30, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 110.

[2] იქვე, გვ. 111.

სათვის მზადების პერიოდში თავადაზნაურობის საგუბერნიო საგანგებო ყრილობამ (თბილისში, 1862 წლის 30 აპრილს) შეიმუშავა შემდეგი წესები: „1. გლეხებს თავისუფლება მიენიჭოთ, მათი პირადი სამსახურის ნაცვლად ჩვენთვის ვითხოვთ ჯილდოს; 2. რაც მიწები უჭირავთ გლეხებს, დარჩეს მათ სასარგებლოდ იმ პირობით, რომ მიწის ჩვეულებრივი გადასახადი იხადონ; 3. ამ ჩვეულებრივ გადასახადს დაედვას ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, ნებაყოფლობით შეთანხმებაზე გადავიდნენ".

ამ დადგენილების მიღებისას მომხრე იყო 136 კაცი, მოწინააღმდეგე — 4 (ესენი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, ივანე მუხრანბატონი, დავით ჭავჭავაძე)[1].

მაშასადამე, საგლეხო რეფორმის მომზადების საწყის ეტაპზე დ. ყიფიანი აყენებს აზრს იმის შესახებ, რომ ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს მიწა სარგებლობაში უნდა გადაეცეთ, ესე იგი, ის გლეხთა მიწიანად განთავისუფლების მომხრეა. რეფორმისათვის მზადების მომდევნო ეტაპზე, როგორც ჩანს, თავადაზნაურობის უმრავლესობის ზეგავლენით, ყიფიანი აზუსტებს თავის მოთხოვნებს — ის გლეხთა უმიწოდ განთავსუფლებას და მათ ხიზნებად გადაქცევას მოითხოვს. იგი ასე მსჯელობდა: მართალია, გლეხს არ ექნება საკუთარი მიწა, მაგრამ ფაქტობრივად მის განკარგულებაში იქნება მემამულეთა თუ სახაზინო მიწები, რომლის სარგებლობისათვის გადასახადია დაწესებული. „ადგილ-მამული ჩვენს ქვეყანაში არც ეკლესიას აკლია და არც ხაზინას; არა თუ მათის უწყების კაცი, საბატონო მამულებზედ ხიზნად მყოფნი, ბევრი იმათზედ უმრავლესნიც მოთავსდებიან თავისუფალს ადგილ-მამულებზედ. სახაზინო მამულების გამგებელთ მეცადინეობა არასდროს დაუკლიათ, რათა ხიზნები თავისი უწყების ადგილზედ დაებინავებინათ. მაგრამ ზემორე მოხსენებული რიცხვი ხიზნებისა მაინც საბატონო ადგილ-მამულზედა რჩება და რიცხვი ესე უფრო და უფრო ჰმატულობს. — და აქამდე არც მაგალითი მომხდარა, რომ საქართველოში გაპროლეტარებულიყოს ვინმე, ესე იგი, უბინადრო კაცნი იპოვებოდეს სადმე, თუ არ რამდენიმე შინაყმა ობოლი. ქართველი კაცი თავის ადგილიდამ ადვილად არ დაიძვრის: მშობელი ქვეყანა უყვარს, სალოცავს ტაძარს უერთგულებს და მამაპაპის ძვლებს ვერ განეშორება, თუ საქმე დიდათ არ უჭირს, და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, რომ ხიზანს არცარა უჭირს და არცარა სათაკილოა იმის ყოფა-ცხოვრება; მამულის პატრონებსა და მათ შორის შეურყევლად არსებობს ხათრი და პა-

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 90.

ტივი ერთმანეთისა; ორისავე მხარისათვის ძვირად დაფასებული, ხიზნობა ძველთა დროთაგან არსებობს საქართველოში და არა თუ თავისუფალნი, საბატონო კაცნიც მრავალნი ეტანებიან ამ მდგომარეობას, რადგან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხრისათვის,— სწორეთ ამგვარსავე, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენნი შემდგომ განთავისუფლებისა. უკეთესში ამითი, რომ საუკეთესო ადგილ-მამულები ექნებათ და ყოვლად უეჭველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენ შორის ყოველი მიზეზი ერთი ერთმანეთზედ დამდურებისაცა და ჩვენს საშინაო საქმეში მმართველობისაგან ყოველ დღე გამორევისაცა“[1].

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ყმათა განთავისუფლების დებულების დ. ყიფიანისეული პროექტი 1863 წლის აპრილ-მაის-ივნისის თვეებში განუხილავთ თავადაზნაურთა საძმარო ყრილობებზე და ხმის უმეტესობით დაუმტკიცებიათ. თავადაზნაურობის მიერ მოწონებული დებულების პროექტის მე-3 მუხლში ნათქვამი იყო: „ბატონყმობაში რომ დამოკიდებულება იყო, იმის მაგივრად დაწესდება ამიერითგან ისეთი ნებაყოფლობითი დამოკიდებულება, რომელიც ძველს საქართველოს ჩვეულებით, ხიზანსა და მამულის პატრონსა აქვთ“[2].

ეს მუხლი მმართველობამ არ მიიღო, გადაწყვეტილი იყო საგლეხო რეფორმა საქართველოშიც იმავე ზოგად პრინციპებზე დაემყარებინათ, როგორც ეს მოხდა ევროპული რუსეთის გუბერნიებში: გლეხთა ხელში არსებული მიწების ერთი ნაწილი კვლავ მათთვის დაეტოვებინათ. მიუხედავად ამისა, დ. ყიფიანი მაინც იცავს თავის პროექტს და მისი განუხორციელებლობის შემთხვევაში წინადადებას იძლევა გლეხთა მხრივ მიწათსარგებლობის რენტის გადიდებაზე. დ. ყიფიანის კლასობრივი მრწამსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მისი სიტყვა წარმოთქმული საგლეხო რეფორმის საფუძვლების დამდგენ ამირკავკასიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე (1864 წლის 26 მაისი). იგი თავადაზნაურთა მოთხოვნებს ასე აყალიბებდა — საკითხის სამართლიანი გადაჭრა შეუძლებელია, თუ არ მივმართავთ ერთ-ერთ შემდეგ საშუალებას: 1. გლეხები ან ხიზნურ მდგომარეობაზე უნდა გადავიყვანოთ, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ამ ფენის უფლებების

---

[1] დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე ბატონყმობის გაუქმების შესახებ, 1863 წ. აპრილი, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 229–230.

[2] დ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის დებულების პროექტი, 1863 წ. აპრილი, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 271.

რაიმე შესწორების გარეშე. ამ შემთხვევაში ყმათა პირადი ვალდებულებების ნაცვლად მემამულეებს მიეცეთ თანხა იმ რაოდენობით, რამდენსაც იმპერატორი დანიშნავს. 2. ან, კომიტეტის წინადადების თანახმად, გლეხებს გამოეყოთ ნადელები, რომლიდან მიღებული მოსავლის ნახევარი მიწათმფლობელებს მიეცეთ — ამ შემთხვევაშიც მებატონეებს ყმათა პირადი ვალდებულებების სანაცვლოდ მიეცეთ ის ანაზღაურება, რაც წინა პუნქტშია გათვალისწინებული. 3. ან, კომიტეტის წინადადების თანახმად, გლეხებს გამოეყოთ ნადელები, მოსავლის $^1/_3$ განისაზღვროს მიწათმფლობელთა სასარგებლოდ და ამავე დროს მათ სასარგებლოდვე დარჩეს შრომითი ბეგარა: თითო ოჯახიდან თითო მუშაკი, ან მის ნაცვლად დაწესდეს ფულადი ღალა. ასეთ შემთხვევაში ფულადი დახმარება, რა ზომითაც არ უნდა იყოს, მაჩვენებელი იქნება ხელშწიფის უდიდესი მოწყალებისა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ[1].

დ. ყიფიანი მკვეთრად აყენებს საადგილმამულო რენტის გაზრდის საკითხს და ეს ხდება 1864 წლის მაისში, ესე იგი, რუსეთში რეფორმის გამოცხადების სამი წლის შემდეგ. ამ დროს, რასაკვირველია, ყველამ კარგად იცოდა, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს მემამულეთა სასარგებლოდ იმ ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რაც მათ მუდმივ სარგებლობაში გადაეცათ.

ქართველმა თავადაზნაურობამ, იცოდა, რომ მმართველობა შესაძლოა არ დასთანხმებოდა მის წინადადებას და აირჩევდა იმ გზას, როგორითაც რეფორმა რუსეთში განხორციელდა, ესე იგი, გლეხებს მუდმივ სარგებლობაში გამოეყოფოდა მიწის ნაკვეთები. ამ შემთხვევისათვის თავადაზნაურობა შეუსაბამოდ დიდ მადას იჩენდა: გლეხთა სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ითხოვდა რენტას მნიშვნელოვნად გადიდებული ოდენობით. ქართველ მებატონეთა ამ მოთხოვნის განხორციელება გლეხთა ექსპლუატაციის ხარისხს მკვეთრად გაზრდიდა და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა. საქმე ისაა, რომ ბატონყმობის დროს ყმა გლეხები საადგილმამულო რენტას მებატონეთა სასარგებლოდ უფრო ნაკლები რაოდენობით იხდიდნენ, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული საგლეხო რეფორმის მზადების პერიოდში თავადაზნაურობის

[1] დ. ყიფიანის სიტყვა, წარმოთქმული საგლეხო რეფორმის საფუძვლების დამდგენ ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომაზე თავისი პროექტის დასაცავად, 1861 წლის მაისის 26, წიგნში: შ. ჩხეტია; საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 320—321; СХАО, т. II, Тб., 1950, с. 214.

მიერ წამოყენებულ მოთხოვნებში. დ. ყიფიანის 1863 წლის აპრილის მოხსენებაში მოიპოვება მონაცემები მებატონეთა მიწით სარგებლობისათვის რენტის სიდიდის თაობაზე, სახელდობრ, რენტა ბატონყმობის გაუქმებამდე. უდრიდა: 1. ღალა-მოსავლის $^1/_3$—$^1/_{10}$ ნაწილს, ან ნათეს ფართობზე გადაკვეთით დღიურზედ კოდს (2 ფუთი 10 გირვანქა), როგორიც უნდა ყოფილიყო მოსავალი; 2. კულუხი — მოსავლის $^1/_5$—$^1/_7$ ნაწილს; 3. ბეგარა — გლეხურ კომლს წელიწადში 10—50 დღე უნდა ემუშავნა მიწათმფლობელის სასარგებლოდ[1]..

ქართველი თავადაზნაურობა გლეხთაგან დიდად გაზრდილ გადასახად-ვალდებულებების მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მოსავლის მხოლოდ მეოთხედის დაწესება მიწათმფლობელებს მეტისმეტ გასაჭირში ჩააგდებსო[2].

მეფის მმართველობამ ვერ გაბედა ქართველი თავადაზნაურობის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. გლეხებს გამოუყო მიწის გარკვეული ნაკვეთები, რომელთა სარგებლობის სანაცვლოდ დააწესა ნატურალური და ფულადი გადასახადი. გლეხები საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობისათვის იხდიდნენ ფულად გადასახადს (დღიურზე ჩვეულებრივ 3 მანეთს), სახნავ-სათეს მიწაზე ღალას — მოსავლის $^1/_4$-ს, სათიბზე — $^1/_3$-ს, კულუხს — $^1/_4$-ს.

როგორც ვხედავთ, ეს ნორმებიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ შემოსავალს, რასაც მებატონეები ბატონყმობის გაუქმებამდე ყმათა ხელში მყოფი მიწებიდან იღებდნენ.

მართალია, ჩვენი გლეხობა უმიწოდ არ გაუთავისუფლებიათ, მაგრამ ეგრეთწოდებული დროებით ვალდებულო ურთიერთობა მძიმე და წამგებიანი იყო ჩვენი გლეხობისათვის, ბატონყმობის გადავარდნიდან ოცი წლის შემდეგ დ. ყიფიანი მიიჩნევდა, რომ დროებითვალდებულ გლეხთა (ნაყმევთა) მდგომარეობა ხიზნებზე უარესიაო. 1884 წელს იგი წერდა: „საგლეხო რეფორმას ყველა ახლანდელი დროებითვალდებული გლეხი რომ ხიზნების მდგომარეობაზე გადაეყვანა, როგორც ამას

---

[1] დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე ბატონყმობის გაუქმების შესახებ. 1863 წ. აპრილი, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 212.

[2] დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე ბატონყმობის გაუქმების შესახებ, 1863 წ. აპრილი, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 321.

თავადაზნაურობა მოითხოვდა, მაშინ დროებითვალდებული გლეხები თავის ბედს დალოცავდნენო[1].

საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებისას გლეხობას დიდძალი მიწები ჩამოართვეს. აღმოსავლეთ საქართველოში დროებითვალდებულმა გლეხებმა ჩამონაჭრების სახით, რეფორმამდე მათ ხელში მყოფი მიწების 37,8 % დაკარგეს, მთელ საქართველოში კი მიწების მესამედი. სანადელო მიწის ფართობი უკვე XIX საუკუნის დამლევს თითოეულ გლეხურ კომლზე საშუალოდ მხოლოდ 1—1,5 დესეტინას შეადგენდა. ეს ფართობი არამც და არამც არ იყო საკმარისი გლეხის ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და იმისათვის, რომ მას შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. გლეხები იძულებული იყვნენ მიწათმფლობელთაგან იჯარით აეღოთ ის მიწები, რაც რეფორმის დროს მათვე ჩამოაჭრეს, დაემუშავებინათ აგრეთვე სხვა არასანადელო მიწები, სამაგიეროდ კი გადაეხადათ განუწყვეტლივ მზარდი საიჯარო ქირა. ჩვენში დროებით სავალდებულო ურთიერთობა ძლიერ გაჭიანურდა. თუ რუსეთში დროებით სავალდებულო ურთიერთობა ორ ათეულ წელს გაგრძელდა და 1883 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა, ჩვენში ეს ურთიერთობა 1913 წლის 1 იანვრამდე, ესე იგი, მთელი ნახევარი საუკუნე არსებობდა.

ხიზნობის შესახებ

როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმა ხიზნებს არ შეხებია. ხიზანთა უფლებები მიწათსარგებლობის დარგში იურიდიულად მოუწესრიგებელი იყო: ხიზანი მიწათმფლობელის თვითნებობაზე იყო დამოკიდებული — მიწის მესაკუთრეს ყოველთვის შეეძლო გაეძევებინა ხიზანი თავისი მამულიდან. ხიზნობა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული გორის, ქუთაისისა და თბილისის მაზრებში. ხიზანთა ძირითად კონტინგენტს ქართლის მთიანეთიდან ჩამოსული და დასავლეთ საქართველოდან გადმოსული მოსახლეობა შეადგენდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხიზნების საკითხი ცხარე დავის საგნად იქცა და მას ჩვენი არაერთი მოღვაწე შეეხო. დ. ყიფიანიც არ დარჩა ვალში და 1884 წელს პრესის ფურცლებზე ხიზნების საკითხისადმი მიძღვნილი წერილი გამოაქვეყნა[2].

---

[1] Д. Кипиани, Хизанский вопрос, «Юридическое обозрение», 1884, №165, с. 99.

[2] იქვე.

თუ 60-იან წლებში დ. ყიფიანი თავის სიტყვა-მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ ხიზნობა უძველესი დროიდან არსებობს, 80-იან წლებში ამ საკითხზე უკვე სხვა აზრისა იყო. ის მიუთითებდა, რომ ხიზნის ცნება წარმოშობილია ჩვენს თვალწინ, არავითარი ისტორიული ძეგლები არ შეიცავენ მითითებას, რომ თანამედროვე ხიზნის მდგომარეობა ცნობილი ყოფილიყოს წარსული ქართული რეჟიმის პირობებში.

დ. ყიფიანი მიმართავს ვახტანგ VI-ის კანონების შესატყვისი მუხლების, აგრეთვე სიტყვა ხიზანის ეტიმოლოგიურ ანალიზს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხიზნობა სრულიად ახალი მოვლენაა და მას ფესვები წარსულში არ გააჩნია. დ. ყიფიანის განმარტებით, ხიზნად იწოდება ის პირი, რომელსაც ჰქონდა თავისი მიწის ნაკვეთი, ან თავისი საკარმიდამო, მაგრამ მიწის უკმარისობის გამო თავის ყოფილი მებატონისგან ან სხვისგან იღებდა მიწას და მასზე დროებით სახლდებოდა; აგრეთვე — ხიზნად შეიძლება ყოფილიყო კაცი, რომელსაც საერთოდ არავითარი სხვა მიწა არ გააჩნდა გარდა იმისა, რასაც ხიზნური უფლებით ქირაობდა. ორივე შემთხვევაში ხიზანსა და მიწათმფლობელს შორის ხელშეკრულების ნიადაგზე მყარდებოდა დამოკიდებულება, რომელიც ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო და ორივე მხარის საერთო ინტერესებს გამოხატავდა.

ასეთი სოციალური ყოფა, დ. ყიფიანის აზრით, ორივე მხარისათვის იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ მიწის მესაკუთრენი იშვიათ შემთხვევაში ეუბნებოდნენ უარს ხიზნებს მიწის მიცემაზე; ხოლო ხიზნები, თავის მხრივ, იმდენად სინდისიერად ასრულებდნენ დაწესებულ პირობებს და თავს იმდენად თვლიდნენ უზრუნველყოფილად, რომ აჯობებდა საგლეხო რეფორმას ყმა გლეხები ხიზნებად გადაექციაო.

დ. ყიფიანის აზრით, არსებობდა ხიზანთა ორი ტიპი: ერთ ნაწილთან მიწის მესაკუთრეებს დადებული ჰქონდათ წერილობითი ხელშეკრულება, ხოლო მეორესთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა. საკუთრივ ხიზნებად, სწორედ ეს უკანასკნელნი იგულისხმებოდნენ. პირველი კატეგორიის ხიზნებს გააჩნდათ თავისი სახლ-კარი და საკომლო მიწა, ხიზანთა მეორე ნაწილი კი გარდა დაქირავებული მიწისა, ყოველივეს მოკლებული გახლდათ. მათი მდგომარეობა გარანტირებული არ იყო წერილობითი ხელშეკრულებით.

წერილის ბოლოს დ. ყიფიანი აყალიბებს თავის მოსაზრებას ხიზანთა საკითხის გადაჭრის თაობაზე.

— პირველ კრებაზე მე ვიკითხე, — მოგვითხრობს დ. ყიფიანი, — თუ რაში მდგომარეობს ხიზანთა საკითხი. მიპასუხეს, რომ გათვალისწი-

ნებულია ხიზანთა მიწით უზრუნველყოფა ისეთივე წესით, როგორსაც ამას ადგილი ჰქონდა ნაყმევ გლეხთა მიმართ. დ. ყიფიანი კითხვას, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ხიზანთა საკითხი, თავის მხრივ, პასუხობს: თუკი შეუძლებელია ხიზანთა უზრუნველყოფა სახაზინო მიწის ნაკვეთებით, მაშინ მთავრობას უფლება აქვს მემამულეებს ჩამოართვას ის მიწები, რაც საჭიროა ხიზნებისათვის. ამასთან, ეს ჩამორთმევა-გასხვისება მემამულეთა მიწებისა უნდა განხორციელდეს კანონით — განსაზღვრული წესით, ესე იგი, მთავრობას შეუძლია ჩამოართვას მემამულეებს მიწები მხოლოდ სათანადო (შესაფერისი) ფასის გადახდით და ისე დაასახლოს ამ მიწებზე ხიზნები.

ამრიგად, დ. ყიფიანი მოითხოვდა ხიზანი გლეხებისათვის გამოეყოთ ან სახელმწიფო მიწები, ან მემამულეთაგან ხაზინის მიერ გამოსყიდული მიწა. ამასთანავე, არ ჩანს, მოითხოვდა თუ არა ყიფიანი ამ მიწების გადაცემას ხიზნების სრულ საკუთრებაში. მაგრამ უამპირობოდაც ხიზანთა საადგილმამულო საკითხის მოწესრიგება გლეხთა ამ კატეგორიის ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ნიშნავდა.

ამგვარად, ბატონყმობის გაუქმების ოცი წლის შემდეგაც დ. ყიფიანი დარწმუნებული იყო, რომ მიწათმფლობელებთან გლეხობის ხიზნური ურთიერთობის დამყარება საუკეთესო საშუალება იქნებოდა გლეხთა საკითხის მოსაწესრიგებლად და წოდებათა შორის უფრო ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტმა, მისი აზრით, გლეხებისათვის უარყოფითი ნაყოფი გამოიღო. სულ სხვა გზით განვითარდებოდა გლეხთა ეკონომიკური ცხოვრება, გლეხი ბატონყმური მდგომარეობიდან თავიდანვე ხიზნობაზე რომ გადაეყვანათ. ასეთი ინსტიტუტი სასარგებლო იქნებოდა როგორც გლეხისათვის, ისე მემამულისათვის.

დ. ყიფიანი, ეტყობა, მიიჩნევდა, რომ ხიზნური ურთიერთობის ბაზაზე უფრო სრულად და უფრო სწრაფად შეიქმნებოდა მეურნეობის ფერმერული გზით განვითარების პირობები, რაც, თავის მხრივ, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის უფრო სწრაფ წინსვლას გულისხმობდა, ვიდრე მემამულური მეურნეობების კაპიტალისტურ საწყისებზე თანდათანობით გარდაქმნა. როგორც ჩანს, დ. ყიფიანი ვარაუდობდა, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა კატეგორიის შეუქმნელად, ყმათა პირდაპირ ხიზნურ მდგომარეობაზე გადაყვანით, ჩამოყალიბდებოდა ფერმერთა საკმაოდ მძლავრი ფენა და თანაც მემამულური მეურნეობები კაპიტალისტურ ყაიდაზე გადასვლას უფრო სწრაფად მოახერხებდნენ.

თუ აღნიშნული აზრის საბუთიანობას ვირწმუნებთ, მაშინ იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ დ. ყიფიანი, ობიექტურად, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ამერიკული გზის მომხრედ გვევლინება. განვითარების ამერიკული ტიპი კი, ეგრეთწოდებულ პრუსიულ ტიპთან შედარებით, როგორც ცნობილია, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის სწრაფ პროგრესს გულისხმობდა.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება

დიმიტრი ყიფიანი 1848 წელს წერდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ,ჩვენში ბოლო მოეღო გარეშე თუ შინაური მტრების პარპაშს და ქვეყნის განვითარება სწრაფი ტემპით წავიდა წინ. კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის მწარმოებელი მეურნეობა, მაგრამ განვითარების ტემპი, სოფლის მეურნეობის წინსვლა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი იყო. დ. ყიფიანი დასძენდა: მას შემდეგ, რაც საკუთრება და თითოეულის პირადი ხელშეუხებლობა დაცულია, საჭიროა, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამ საფუძვლის განვითარების ღონისძიებათა ამოძრავება[1].

სოფლს მეურნეობის წინსვლას, დ. ყიფიანის აზრით, ორი მთავარი დაბრკოლება ეღობებოდა: 1. საერთო ფეოდალური მამულების გაუყოფლობა და 2. თავადაზნაურობის დიდი დავალიანება. პირველ გარემოებაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება მეორე „ბოროტებას“, როგორც მას უწოდებს ყიფიანი, იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი მებატონეების დიდი ნაწილი, იმისათვის, რომ თავისი ღირსების მიხედვით იცხოვროს, უზარმაზარ ვალებს იღებს, რის შედეგადაც მათი მამული თითქმის მუქთად რჩებათ ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს. დ. ყიფიანი მოუწოდებდა: ჯერ ერთი, ფეოდალთა მიწა-მამული მემამულეთა ოჯახებზე გაეყოთ, და, მეორეც, რომ მემამულეებს თავისი ხარჯები შეეფარდებინათ მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის ოდენობისათვის. ამასთან ერთად, საჭირო იყო, მემამულეებს გაეუმჯობესებინათ თავისი მეურნეობა, გაეუკეთესებინათ მიწის დამუშავების წესები.

[1] Д. Кипиани, О состоянии имений в Грузии, «Кавказ», 1848, № 2.

ყოველივე ეს — საგვარეულო მამულების გაყოფა-გამიჯვნა, ოჯახის ხარჯების მამულის შემოსავალთან გაწონასწორება, სხვადასხვა სახის გაუმჯობესების შემოღება — იმ დროისათვის ნიშნავდა, მემამულური მეურნეობების კაპიტალისტურად გარდაქმნის მოთხოვნას. დ. ყიფიანს მავნედ მიაჩნდა მემამულეთა შორის გავრცელებული ის შეხედულება, თითქოს სასაქონლო-ფულადს მეურნეობაში ჩაბმა თავადაზნაურთა ღირსებას ამცირებდა. იგი წერდა (1848 წ.): განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც რუსი თავადაზნაურობა მრეწველობის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას ამყარებდა. მაგრამ დროის მოთხოვნილებამ აიძულა ის, უკუეგდო მავნე ცრურწმენები, ამჟამად რამდენია რუს წარჩინებულ გვართა წარმომადგენელი მძლავრი მეფაბრიკე და მრეწველი, რომლებიც ქართველ თავადაზნაურობისათვის საუკეთესო ნიმუშად გამოდგებაო[1].

მაშასადამე, XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში დ. ყიფიანი უკვე ყოველი ღონით ცდილობს შთააგონოს თავადაზნაურობას განვითარების კაპიტალსტურ ფერხულში ჩაბმის სასურველობა და აუცილებლობა. ამასთან, თავადაზნაურობამ არა მარტო სოფლის მეურნეობა უნდა წარმართოსო კაპიტალისტური გზით, არამედ გაბედულად შეიჭრას მრეწველობის სფეროშიც, სადაც, რუსეთის მაგალითის მიხედვით, ყიფიანს სურს, თავადაზნაურთაგან იხილოს სამრეწველო კაპიტალის მძლავრი წარმომადგენლები.

ამრიგად, დ. ყიფიანი გვევლინება ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარების მომხრედ, მეურნეობაში ძირეული ხასიათის გარდაქმნების მხარდამჭერად და არა რუტინისა და ჩამორჩენილობის აპოლოგეტად.

დ. ყიფიანის დაკვირვებით, მემამულური მეურნეობის გარდაქმნის პროცესი უკვე ჩვენშიც მიმდინარეობდა. იგი წერდა: კეთილგონივრული და მომჭირნე წესით მართვის მაგალითებს ჩვენ უკვე ვხედავთ საქართველოში, მაგრამ ასეთი მეურნეობანი ჯერ კიდევ ძალზე იშვიათიაო.

შემდეგშიც, კერძოდ, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში მოღვაწეობისას, დ. ყიფიანი სიტყვით და საქმით ცდილობდა ქვეყნის კაპიტალისტური პროგრესისათვის მხარდაჭერას.

დ. ყიფიანი იღვწოდა სოფლის მეურნეობის ახალ, რაციონლურ საფუძვლებზე გადაყვანისათვის. იგი იყო 1850 წელს დაარსებული

[1] «Кавказ», 1848, № 2.

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს წევრი, ვიცე-პრეზიდენტი და მთელი თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაციას.

1856 წლის დეკემბერში დ. ყიფიანი კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრთა კრების წინაშე წარდგა მოხსენებით, რომელშიც კიდევ უფრო ღრმადაა ჩამოყალიბებული მისი მოსაზრებანი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის კონკრეტულ გზებზე. ეს მოხსენება ნათლად წარმოგვიდგენს XIX საუკუნის 40—50-იანი წლების ქართველი საზოგადოების პროგრესული წარმომადგენლების შეხედულებებს სოფლის მეურნეობის დაწინაურების თაობაზე. ყიფიანი განვითარების ნიმუშად დასავლეთ ევროპის მეურნეობას მიიჩნევს. ჩვენ გვამოძრავებს, ამბობდა იგი, — მხურვალე სურვილი განვახორციელოთ ის გაუმჯობესებანი, რაც აითვისა დასავლეთის რაციონალურმა მეურნეობამ[1].

მართალია, დ. ყიფიანის მოხსენებაში არ ვხვდებით ტერმინებს „კაპიტალისტური განვითარება“ „მეურნეობის კაპიტალისტური გარდაქმნა“ და ა. შ., მაგრამ იგულისხმება, რომ მოხსენებაში საუბარია სწორედ წარმოების კაპიტალისტურ წესზე, ჩვენში მისი განვითარების შესაძლებლობასა და საჭიროებაზე. ეს იმიტომ, რომ მაშინდელი დასავლეთის რაციონალური მეურნეობანი კაპიტალისტურ საფუძველზე მოწყობილი მეურნეობანი იყო.

დ. ყიფიანს შესაძლებლად მიაჩნდა ახალი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების უკვე მიმდინარე სტიქიური პროცესის დაჩქარება. მისი აზრით, სწორედ ამისთვის იყო მოწოდებული კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. ყიფიანის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ "საზოგადოება“ საზღვარგარეთიდან იწერდა სხვადასხვა მცენარეებს და თესლეულს, შემოჰქონდა საძიწათმოქმედო იარაღები და მანქანები; ამასთან, მათი გამოყენების ცოდნის გავრცელების მიზნით, აქვეყნებდა შესაფერის ლიტერატურას, რასაც ადგილობრივ მეურნეებს უგზავნიდა.

დ. ყიფიანის მოხსენებაში რაციონალურ საწყისებზე მოწყობილი მეურნეობის არაერთი მაგალითია დასახელებული. ქებითაა მოხსენებული თავად დავით დიასამიძის მეურნეობა (გორის მაზრის სოფელი საქაშეთი). მართალია, დიასამიძე საკმარისად არ იცნობს მეურნეობის რაციონალური მართვის თეორიას, მაგრამ ეს ქართველი მემამულე და-

[1] Д. Кипиани, О путях к достижению цели общества, «Записки Кавказского общества сельского хозяйства», № 1, Тифлис, 1857, с. 48.

ჯილდოებულია საღი პრაქტიკული ნიჭით და ყველამ დაინახა, რა შესანიშნავად მოაწყო მან მეურნეობაო.

რასაკვირველია, წარმოების ახალი წესი უმტკივნეულოდ როდი იკვლევდა გზას, ყველა მოხალისე მემამულეს როდი შეეძლო მიეღწია შეუქცევადი წარმატებისათვის. მაგალითად, ყიფიანი აღნიშნავს, რომ 40-იან წლებში თავადმა სოლომონ გურგენიძემ (თელავის მაზრის სოფელი შილდა) გააფართოვა მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა. „პრიკაზში“ აღებული სესხი გურგენიძემ მეურნეობას მოახმარა. მაგრამ ამ ფულადი სახსრების დაბანდებას მევენახეობასა და მეაბრეშუმეობაში არ შეეძლო ერთბაშად მოეტანა სარგებლობა. „პრიკაზი“ სესხს მხოლოდ 3 წლის ვადით იძლეოდა. თანაც ერთ პირზე არა უმეტეს 3500 მანეთისა. ამის გამო იყო, რომ გურგენიძის მეურნეობა დაიღუპა. ახლა კი ასეთი რამ აღარ მოხდება, რადგან სესხი შეიძლება 37 წლით გაიცესო, — დაასკვნიდა მომხსენებელი.

ამავე მოხსენებაში მოტანილია სამეურნეო წარუმატებლობის ის მაგალითი, რაც თავად გიორგი ამილახვრის სახელს უკავშირდებოდა. ამ ქართველ თავადს საზოგადოების რჩევით, ხელი მიუყვია რაციონალური მებოსტნეობისათვის, გორთან ახლოს სოფელ ოთარშენში მდებარე მიწის ნაკვეთზე მოუწყვია მებოსტნეობის მეურნეობა, მაგრამ მიღებული პროდუქცია — ბრიუსელური ყვავილოვანი კომბოსტო — ვერ გაუსაღებია და ეს წამოწყება უშედეგო აღმოჩენილა.

ამრიგად, დ. ყიფიანი მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ განვითარების ახალ გზაზე მემამულური მეურნეობების წინაშე არაერთი პრობლემა იყო გადასაჭრელი, მაგრამ პროგრესის ტენდენციას როდი გამორიცხავს ცალკეული მეურნეობების წარუმატებლობა. მოხსენებაში მემამულე დიასამიძესთან ერთად დასახელებულია არაერთი მეურნე, რომლებიც გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ. ასეთი მეურნეობანი იყო, მაგალითად, მარისა და თავად მ. ერისთავისა გურიაში; თავად ნ. ჩიჯავაძისა და ლ. ქორქაშვილისა — იმერეთში; თავადების: ი. კ. მუხრანბატონის, გ. რ. ერისთავის, კ. მ. ერისთავის, რ. ი. ერისთავის, ფ. ზ. გურამიშვილისა — ქართლში; ს. ი. ანდრონიკაშვილის, დ. ი. აფხაზისა — კახეთში; ლ. ი. მელიქოვის, ზოგიერთი ორბელიანისა და ა. ე. გურგენ-ბეგოვისა — ქვემო ქართლში. მათ და ბევრ სხვას თავიანთ მეურნეობაში შეჰქონდათ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი[1].

---

[1] Д. Кипиани, О путях к достижению цели общества «Записки Кавказского общества сельского хозяйства», № 1, Тиф., 1857, с. 56.

დ. ყიფიანი არ ეთანხმებოდა იმათ, ვინც ქართველ მემამულეებს ბრალს სდებდა უსრულვყოფაში და მოშჭირნეობისადმი მიდრეკილების უქონლობაში. როგორც ცნობილია, ქართველ მემამულეთა დიდი ნაწილი თავის შეურნეობას ახალი წესით არ წარმართავდა, რასაც ყიფიანი იმით ხსნიდა, რომ ეს ცვლილებები ახალი დაწყებული იყო (ჩვენი მამების დროსო). საუკუნეების მანძილზე კი ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციით ქართველი მემამულე მეომარი იყო, მეომრისაგან კი შეგიძლიათ მოითხოვოთ ყოველივე, მაგრამ არა სამეურნეო ცხოვრების რაციონალურად მოწესრიგებაო.

დ. ყიფიანი კარგად ხედავდა იმ ინტენსიურ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებობდა. 1860 წელს ერთ თავის შენიშვნაში ყიფიანი მიუთითებდა: „ჩვენც გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ ფერმერობა რას ნიშნავს"[1].

სწორი არ არის ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, თითქოს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ დ. ყიფიანი იმდენად ჩამორჩა ცხოვრებას, რომ აღარ ესმოდა პროგრესის გზაზე ცხოვრების გადაყვანის საჭიროება. ამას აბათილებს, მაგალითად, დ. ყიფიანის წერილი „დროებისადმი" (1876 წ.), სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი საზოგადო და სამოქალაქო დაწყობილობა დღეს ასე იცვლება, ხვალ ისე: გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის წუთზედაც უზომოდ უმცირესი, და რაც გუშინ იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა სჩანდეს იმათი"[2].

ამრიგად, დ. ყიფიანი კარგად ერკვეოდა დროის ცვალებადობაში და მომხრე იყო ჩვენი ქვეყანა იმავე გზით განვითარებულიყო, რა გზითაც დასავლეთის ბურჟუაზიული ქვეყნები მიემართებოდნენ. მისი აზრით, პირველ რიგში მემამულეთა მეურნეობები უნდა გარდაქმნილიყო ბურჟუაზიულ ყაიდაზე.

საკითხის ამ ფონზე განხილვისას სადავოდ მოჩანს ს. ხუნდაძის დებულება, რომლის მიხედვითაც, დ. ყიფიანი ბატონყმური წყობილების დამცველადაა წარმოდგენილი. მკვლევარი წერდა: „ცხადია, ყიფიანს ესმოდა, რომ საჭირო არის ჩვენი ცხოვრების განახლება და გზის გაწმენდა ახალი ეკონომიკური წყობილებისათვის. მაგრამ ამ საკითხის დასმის დროს მან ვერ მოახერხა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა,

[1] „ცისკარი", 1860, მარტი, გვ. 143. ბაქარ ქართლელის თარგმანი.
[2] ს. ხუნდაძე, დ. ყიფიანი, გვ. 36.

ძველი შეხედულებებისაგან განთავისუფლება და შუა გზაზე შეჩერდა. ნახევრად ლიბერალურ პოლიტიკას დაადგა. მას სურდა ევროპის ეკონომიური და ტექნიკური მიღწევები დაეშყნა ბატონყმური ურთიერთობის ნიადაგზე. ერთი მხრივ, იგი ევროპის კულტურითა და ტექნიკით არის გატაცებული, მეორე მხრივ, ცდილობს დაიცვას ბატონყმური სოციალური ინსტიტუტი"[1].

ზემოთ გავეცანით დ. ყიფიანის შეხედულებას ბატონყმობაზე. სათანადო მასალა მოწმობს, რომ დ. ყიფიანი ბატონყმურ ურთიერთობას საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ მოვლენად მიიჩნევდა. ამასთან, იმ დროს ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული სათანადო პირობები რევოლუციური გზით ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნისათვის. და ამდენად, მეტისმეტი მკაცრი აღმოჩნდებით, თუ დ. ყიფიანის ნააზრევს ბატონყმობაზე დღევანდელობის პოზიციებიდან შევაფასებთ.

დ. ყიფიანს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის ჩამორჩენის დაძლევა, ეკონომიკური პროგრესი მხოლოდ ტექნიკური მიღწევების გავრცელებით არ ამოიწურებოდა. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შეკრებაზე წარდგენილ მოხსენებაში იგი აღნიშნავდა: საზოგადოების მოღვაწეობამ ვერ გამოიღო შესაფერისი ნაყოფი, რადგანაც ჩვენ საერთოდ ვართ ჩამორჩენილი. ევროპის სოფლის მეურნეობაში ახალი მიღწევები და ახალი იარაღები ადვილად იჭრება, ჩვენში კი ვერა. იმიტომ, რომ იქ ახალი გაუმჯობესებანი არა მარტო სოფლის მეურნეობაში ხდება, არამედ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრება თავისი შეუკავებელი ტემპით.

დ. ყიფიანი სავსებით ნათლად ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ დაუბრკოლებელი წინსვლისათვის საჭირო და საკმარისი იყო არა მხოლოდ ცალმხრივი ხასიათის ცვლილებები. საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა ძირითად სფეროში მომხდარი ცვლილებების, მათ შორის ბატონყმობის მოსპობის გარეშე, ჩამორჩენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაში დაძლეული ვერ იქნებოდა. ამ მხრივ დ. ყიფიანი უდავოდ პროგრესულ პოზიციებზე იდგა.

მოტანილი მასალა მოწმობს, რომ დ. ყიფიანი ყოველი საშუალებით ცდილობდა მხარი დაეჭირა ბურჟუაზიულ საწყისებზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, შესაფერისი სოციალური გარდაქმნებისა-

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 45.

თვის. შეუძლებელი ჩანს იმ აზრის გაზიარება, რომლის მიხედვითაც დ. ყიფიანის „სოციალური იდეალები ბატონყმურ საქართველოში გამოიხატებოდა“[1].

III თავი.

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა სამეგრელოში

დიმიტრი ყიფიანი სამეგრელოს მთავრის მამულის მეურვე

სამეგრელოს სამთავრო 1803 წელს რუსეთის მფარველობაში შევიდა. ეს სამთავრო საშინაო საქმეებში ავტონომიას ინარჩუნებდა და დადიანს მთავრის ხელისუფლება მემკვიდრეობით რჩებოდა[2]. მაგრამ ცარიზმის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ მთელს ამიერკავკასიაში მტკიცედ დაემყარებინა საკუთარი მმართველობის სისტემა და, ამ მიზნით, სამთავროებზე წინათ გაცემულ ავტონომიურ უფლებებს აუქმებდა[3]. ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1856 წელს მეფისნაცვლად დანიშნულ ბარიატინსკის იმპერატორი ავალებდა კავკასიის დამშვიდება-დამორჩილებას და მის შერწყმას იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან[4].

ყირიმის ომის დროს სამეგრელოს მთავარი ეკატერინე დადიანი მტკიცედ დადგა რუსეთის მხარეზე და ამით მას გარკვეული სამსახური გაუწია. მაგრამ ეკატერინეს ამ ნაბიჯსაც არ შეეძლო შეენელებინა ცარიზმის მისწრაფება გაეუქმებინა სამთავროთა ავტონომია. ეს ავტონომიები ხელს უშლიდა ცარიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური და დიდმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებას.

ყირიმის ომის დროს თურქთა ჯარმა ომერ-ფაშას მეთაურობით სამეგრელო დალაშქრა. მან 1855 წელს ზუგდიდი აიღო, ხოლო 1856 წელს თურქებმა მთავრის სასახლე გადასწვეს. შემდეგში ეს სასახლე დ.

---

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 32.

[2] მ. დუმბაძე, იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ. IV, თბ., 1973, გვ. 852—853.

[3] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ, 84.

[4] Акты, т. XII, 1904, с. 365.

ყიფიანმა განაახლა. მაგრამ ცეცხლმა ესეც გაანადგურა[1]. თურქების შემოსევამ სამეგრელოს მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა.

სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმებისათვის ცარიზმმა მარჯვედ გამოიყენა 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. ომერ-ფაშას შემოსევით აოხრებული სამეგრელოს აღდგენა ომით გაჩანაგებულ გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა. მათ ვეღარ შეძლეს მთავრისა და სხვა ფეოდალების გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და აჯანყდნენ[2]. ამ აჯანყების მთავარ მიზეზებად მიჩნეულია, ერთი მხრივ, გლეხთა და მემამულეთა გამწვავებული ურთიერთობა, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველობის სისტემა, რომელიც პარტიკულარული ფეოდალური სისტემის ნაშთს წარმოადგენდა[3]. გლეხთა გამოსვლამ ცარიზმს საბაბი მისცა სამეგრელოში ჯარი შეეყვანა. ეკატერინე დადიანი თავისი შვილებით პეტერბურგში გაიწვიეს, ვითომდა შვილების უკეთ აღზრდის მიზნით, არსებითად კი სამეგრელოში რუსული მმართველობა განამტკიცეს. 1857 წლის 26 სექტემბრის რესკრიპტით, სამეგრელოს დროებით მმართველად გენერალი კოლუბიაკინი დაინიშნა. ფაქტობრივად ეს იყო სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება. ამასთან, ეკატერინეს სამემკვიდრეო უფლებების შენარჩუნების გარანტია მიეცა — მემკვიდრე ნიკო დადიანი სრულწლოვანების შემდეგ კვლავ სამეგრელოს მთავრის ტიტულს მიიღებდა, მაგრამ ეს იყო ფიქცია. 1867 წელს ოცი წლის ნიკო დადიანს სამთავრო უფლებებზე ხელი ააღებინეს. მთავრის დაკარგული უფლების საკომპენსაციოდ მას ერთი მილიონი მანეთი მისცეს. დადიანის ტიტულიც გაუქმდა.

„საქმეშია" იმპერატორისადმი სამეგრელოს მთავრის — ნიკო დადიანის — მიმართვის პროექტი მთავრის უფლებაზე უარის თქმის თაობაზე. ის დაწერილია დ. ყიფიანის ხელით: მიმძიმს უარი ვთქვა მთავრის მემკვიდრეობითს უფლებაზე, მაგრამ თქვენ სურვილს ვასრულებ, — ნათქვამია მიმართვაში[4].

დ. ყიფიანის პირად არქივში მოიპოვება აგრეთვე სენატის ბრძანებულება სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და იქ რუსული მმართველობის შემოღებაზე, რომელიც ალექსანდრე II-ს 1867 წლის 4 იანვარს

---

[1] ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 56.

[2] ე. ორჯონიკიძე, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 218.

[3] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი. გვ. 85.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქიეი, № 422.

დაუმტკიცებია. ამ ბრძანებულებით ნიკო დადიანმა (1847—1902) მიიღო „უბრწყინვალესი თავადი მინგრელსკის“ ტიტული, რაც გვარში უფროსს გადაეცემოდა. გარდა ამისა, იმ კერძო ქონებიდან, რაც მას მემკვიდრეობით დარჩა, უნდა შექმნილიყო სამემკვიდრეო მამული, თავისებური ნაკრძალი[1]. ესეც, აგრეთვე გვარში უფროსს გადაეცემოდა მემკვიდრეობით[2]. ამრიგად, ამიერიდან დადიანის კერძო მამულებზე მაიორატული მფლობელობა წესდებოდა. დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ იმპერატორის ბრძანებულება თავადი მინგრელსკის მამულის ნაკრძალად გადაქცევის თაობაზე არ შესრულებულა[3].

იმპერატორის ამავე ბრძანებულებით, ნიკოს ძმას ანდრიას რჩებოდა იგივე ტიტული „მისი ბრწყინვალება“, ხოლო გვარი „დადიან-მინგრელსკისა“ ეძლეოდა.

სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში — სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის ფაქტობრივი გაუქმებიდან ამ გაუქმების იურიდიულ გაფორმებამდე განვლილ ხანაში — დ. ყიფიანი სამეგრელოში მოღვაწეობდა.

დიმიტრი ყიფიანი მოგვითხრობს, რომ როდესაც სამეგრელოს გარდაცვლილი მთავრის მეუღლე ეკატერინე მოსკოვში იმპერატორ ალექსანდრე II-ის კურთხევაზე იმყოფებოდა, სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ამიტომ შეიყვანეს იქ ჯარი და დაამყარეს „უშუალო მმართველობა“. ამან გამოიწვია 1857 წელს მთავრის მთელი ოჯახის პეტერბურგში გაწვევა, ხოლო სანამ ნიკო დადიანი სრულწლოვანი გახდებოდა, მისი ქონების დასაცავად მეურვეობა დაწესდა[4].

მეურვეობის ამორჩევა მიენდო მთავრის მშობელს, ხოლო მათი დამტკიცება — მეფისნაცვალს. 1857 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ მეურვეებად დანიშნა ბარონი ნიკოლაი და თავადი დავით ჭავჭავაძე. მთავრის ყმისა და მამულის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად შეიქმნა კომისია დ. ყიფიანის მეთაურობით. კომისიაში კიდევ ოთხი წევრი შედიოდა: მეფისნაცვლის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს საბჭოსა და ეკატერინე დადიანის თითო წარმომადგენელი[5].

დ. ყიფიანის გადმოცემით, კომისიას შემოუვლია ყველა სახასო სო-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 422, 443.

[2] Полное собрание законов российский империи, Собрание второе, том XLII, отделение первое, 1867, Санктпетербург, 1871, № 44082, № 44083.

[3] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 76, 458 („მემუარების“ ქართულ ვარიანტში ნაცვლად ნაკრძალისა წერია „საუფლისწულო„).

[4] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 55.

[5] „დროება“, 1880, № 210, „წერილი რედაქტორთან“, Акты, т. XII, Тифлис, 1904, с. 322, 336.

ფელი, სადაც მოხელეებს და კეთილსინდისიერ ხნიერ კაცებს ეკითხებოდა, თუ რა იყო სახასო საკუთრება მთავრისა, სად რა შენობა იყო იმისი და ვის რა გადასახადი ემართა. „რასაც ისინი ფიცით იტყოდნენ, ის იწერებოდა ინვენტარიაში და დამსწრენი ყველანი აწერდნენ ხელს“[1]. მთავრის მთელი აელა-დიდების 1857 წელს ჩატარებული აღწერა 1858 წელს მეფისნაცვალს წარედგინა. მთავრის ქონების მეურვედ დ. ყიფიანი დაუნიშნავთ 1859 წელს, როცა, — ამბობს იგი, — „პირველმა აპეკუნებამა ნიკოლაიმ და ჭავჭავაძემ დაახწიეს თავი ამ წარმწყმედელს წოდებას“[2]. ამის შემდეგ, 1867 წლამდე (როცა ნიკო დადიანმა უარი განაცხადა მთავრის უფლებებზე), დ. ყიფიანი მთავრის ქონების მეურვეა. 1867 წლიდან 1868 წლამდე ყიფიანი ყოფილა ნიკო დადიანის ქონების მმართველი (პატრონებისაგან რწმუნების წერილის ძალით)[3].

სერგი ჭილაია.წერს, რომ ეკატერინე ძმისა და სიძის მეურვეობის უკმაყოფილო დარჩა და ბარიატინსკის სთხოვა მცირეწლოვანი მთავრის ნიკო დადიანის მეურვედ მარტო დ. ყიფიანი დაემტკიცებინა. მეფისნაცვალმა შეასრულა ეს სათხოვარი, მით უმეტეს, მასაც ყიფიანი ერჩია, რადგან ეს უკანასკნელი მისი საბჭოს წევრი იყო, და ეგონა, როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი უაღრესად პრინციპული კაცი გახლდათ, მან რაკი დადიანის მეურვეობას ხელი მოჰკიდა, მოვალეობას ერთგულად ასრულებდა და დედოფლის ინტერესებს იცავდა[4].

მთავრის ოჯახის რუსეთში გაწვევის შედეგ, სამეგრელოში გავრცელდა აზრი, რომ მთავარი სამუდამოდ არის გადაყენებული და მამული ხაზინაზე გადადისო. ამიტომ სჯობს ადგილობრივებმა დაიტაცონ მამული, ვიდრე ხაზინაზე გადავიდოდეს, როგორც ეს გურიაში მოხდაო[5]. ამასთან, საიმპერიო ხელისუფლება მთავრის მამულის დაქუცმაცების მომხრე არ იყო. ამის გამო 1861 წლის აპრილში იმპერატორს დაუმტკიცებია კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილება სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენაზე[6].

მთავრის ქონებრივ უფლებებს დ. ყიფიანი ენერგიულად იცავდა, რის გამოც მას ბევრი უსიამოვნება შეხვედრია. იგი აღნიშნავდა: „იმის

---

[1] „დროება“, 1880, № 210, „წერილი რედაქტორთან“.

[2] იქვე.

[3] სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი, 1869, გვ. 4—5.

[4] სერგი ჭილაია, ეკატერინე ჭავჭავაძე, თბ., 1969, გვ. 434.

[5] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 57.

[6] იქვე, გვ. 60.

გულისათვის, რომ 1858 წელს არ ვათხოვე ჟური სამეგრელოს ხალხის ხმას და ამ ხნიდან მოყოლებული 9 წლის განმავლობაში თავგამოდებით ვიცავდი სამეგრელოს მთავრის სახლობის ინტერესებს, რომელზედაც თითქოს ღვთის წყრომა იყო გადმოსული, თავს დამატეხეს ისეთი სასჯელი, რაც შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ ელექტრონის განსაკუთრებული ძალით, ჩვენს სასამართლოებში ხანდახან გასაოცარი უსამართლობით რომ იფეთქებს ხოლმე"[1]. ამას ისიც დამატებია, რომ მთავრის ინტერესები გადამეტებული, ენერგიული დაცვისათვის ბარიატინსკის ყიფიანი მეფისნაცვლის საბჭოდან და, საერთოდ, სამსახურიდან დაუთხოვია.

დ. ყიფიანის მოღვაწეობით უკმაყოფილო დარჩენილა თვით მთავარიც. როგორც ითქვა, 1859 წელს დ. ყიფიანი ბცირეწლოვან ნიკო დადიანის ქონების მეურვედ დაინიშნა, ხოლო მთავარ მეურვედ ნიკოს დედა — ეკატერინე ითვლებოდა. ყიფიანის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად, დადიანის მამულის შემოსავალი მნიშვნელოვნად გადიდდა. მაგრამ ნიკო დადიანმა, როცა სრულწლოვანი გახდა, სასამართლო საჩივარი აღძრა ყიფიანის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ რვა წლის განმავლობაში ყიფიანს არ წარუდგენია ანგარიში, ხოლო 1868 წელს წარდგენილ შემოსავალ-გასავლის წიგნებში ზოგიერთი მომეტებული ხარჯია შეტანილიო. ყიფიანი პასუხობდა, რომ ის მოქმედებდა მთავარი მეურვის განკარგულების თანახმად და პასუხიც იმან უნდა აგოსო. ნიკო მინგრელსკიმ საჩივარი აღძრა დ. ყიფიანის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ესწრაფვოდა მისგან 113 ათასი მანეთი მიეღო. თბილისის საოლქო სასამართლოს საქმე 1871 წლის 9 აპრილს განუხილავს[2]. სასამართლოზე დ. ყიფიანმა დაამტკიცა, რომ მისი მეურვეობის დროს მთავრის ქონების შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა. ყიფიანის მეურვეობის დასაწყისში მთავრის მამულის წლიური შემოსავალი 227 მანეთს შეადგენდა, ხოლო როცა მან მეურვეობა დატოვა, მამულის შემოსავალი უკვე 70 ათას მანეთს უდრიდა. საოლქო სასამართლომ სარჩელზე ნიკო მინგრელსკის უარი უთხრა, მაგრამ სასამართლოს სააპელაციო ინსტანციაში მომჩივნის სასარგებლოდ დ. ყიფიანს 56 ათასი მანეთის გადახდა დაეკისრა[3] (სხვა ცნობით, 50 ათასი მანეთი)[4].

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები გვ. 65.

[2] „დროება", 1871, № 16.

[3] «Тифлисский вестник», 1875, № 132; რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, № 2—37; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 311.

[4] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 65—66.

ნიკო მინგრელსკისა და დ. ყიფიანს შორის ურთიერთობა უკვე 1868 წლისათვის სავსებით გამწვავებული ჩანს, ამას მოწმობს, მაგალითად, დ. ყიფიანის ბროშურა, შედგენილი თბილისში, 1868 წლის ნოემბერში. მასში დაწვრილებითაა აღწერილი დიმიტრის მეურვეობითი საქმიანობა 1859—1867 წლებში და მთავრდება ყოფილი მთავრის სახლის წევრებისადმი მიმართვით: რაც გეფიცებათ, იმის გულისათვის ახლა მაინც დამანებეთ თავი — ჩემის ცოლშვილისათვისაც მიმახედვინეთო[1].

მომდევნო პერიოდში ყოფილი მთავრის მამულებზე ნიკო მინგრელსკის უფლებები სადავოდ გამხდარა. კერძო პირებს ყოფილი სამთავრო მამულების ნაწილი მიუთვისებიათ. მინგრელსკის იურიდიული წარმომადგენლები შეეცადნენ ეს მამულები მინგრელსკისთვის დაებრუნებინათ, რისთვისაც სასამართლოში ერთბაშად ათასზე მეტი საჩივარი შეიტანეს. ამას თითქმის მთელი სამეგრელო აუმხედრებია და მომჩივანნი პროცესს პროცესზე აგებდნენ[2]. პეტერბურგში სამეგრელოს მამულის ამ მოუწესრიგებლობას ასე ხსნიდნენ, რომ „ქონებრივი უფლება მინგრელსკისა ჯერ არ არის გამორკვეული და მაიორატი არ არის ჯერ დამტკიცებული“[3].

ნ. მინგრელსკის საქმეების მოწესრიგების მიზნით, 1880 წელს, პეტერბურგში დაუარსებიათ საგანგებო უმაღლესი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ლივენი. წევრებად იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი კლუშინი და მაღალი რანგის მოხელეები — სტარიცკი, სმირნოვი, აგრეთვე დ. ყიფიანი[4].

ნ. მინგრელსკის ვექილი და იურისკონსულტი პეტერბურგში (1873—1894 წწ.) ვასილ მაჩაბელი თავის მოგონებაში წერდა: დიმიტრის ვალი დაადეს. ეს იყო იმ განხეთქილების მიზეზი, რომელიც ყიფიანსა და მინგრელსკის შორის მოხდა. მე გამოძიებული მქონდა ეს საქმე და ვიცოდი, რომ თუმცა ფორმალურად შეიძლებოდა მოთხოვნა ამ ფულისა, მაგრამ დიმიტრი მართალი იყო ამ საქმეში. მე ბევრჯერ მქონდა ნიკო მინგრელსკისთან ამაზე ლაპარაკი და ყიფიანს ყოველთვის ვამართლებდი.

---

[1] სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი, 1869, გვ. 32.
[2] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 69.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 72.
[4] ი ქ ვ ე.

— როცა, უმაღლესი ბრძანებით, შედგა კომისია (თავმჯდომარე ლიევენი) სამეგრელოს სამთავრო მამულების საქმეების გამოსარკვევად, — განაგრძობს ვ. მაჩაბელი, — მე ნიკო მინგრელსკის ვურჩიე მოეწვიათ ამ კომისიაში დ. ყიფიანი, როგორც სპეციალური მცოდნე სამეგრელოს მთავრის საქმეებისა. ამასთან, ვურჩიე, ის ვალიც, რომელიც მასზე ირიცხებოდა, სრულიად მოესპოთ. მე მხარი დამიჭირა გენერალმა სმირნოვმა. ნიკო მინგრელსკიც დაგვეთანხმა. მაშინ დიმიტრი მოიწვიეს და ჯამაგირიც დაუნიშნეს. ის ძველი ვალიც მოუსპეს[1].

კომისიას უსუნაესი მთავრობისათვის უნდა წარედგინა მოხსენება, რომელშიც გარკვეული იქნებოდა ის მიზეზები, თუ რა აბრკოლებდა იმპერატორის 1867 და 1873 წლების ბრძანების შესრულებას იმის თაობაზე, რომ „რაც სამეგრელოს მთავარს ადგილ-მამულები ეკუთვნოდა სახასოდ ან, ასე ვთქვათ, კერძოდ საკუთრებად, მთავრის შვილის თავად ნიკოლოზ მინგრელსკისათვის დაკრძალულ ქმნილიყვნენ საშვილიშვილო სამკვიდრებლად"[2]. კომისიას უნდა განესაზღვრა, მთავარს რა ეკუთვნოდა 1867 წლამდე, იქიდან რა უნდა შესულიყო ახლა ნაკრძალ საკუთრებაში და რა უნდა გამოკლებოდა თვითონ მინგრელსკისაგან გაცემული ან სასამართლოში წაგებული[3].

დ. ყიფიანის მეურვეობის პერიოდში სამეგრელოს მთავრის მამულის შემოსავალი, როგორც უკვე ითქვა, ყიფიანის მიერვე განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაზრდილა. ამასთან დაკავშირებით ყიფიანი იგონებდა: „სამეგრელოს მთავრის მამულმა პირველი აპეკუნების ხელში 1858 წელს 227 მანეთი მისცა წმინდა შემოსავალი. ჩემს ხელში ამ შემოსავალმა, მართალია, ერთბაშად არა, მაგრამ თანდათანობით — მეტადრე კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ 1861 წ. და 1867 წ. იანვარში მეორე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ — მიაღწია იმ ციფრამდე, 1857 წელს, როგორც საინვენტარო აღწერილობასა ჰქონდა ნავარაუდევი, ე. ი. 80 000 მანეთამდე, რომელშიაც შედიოდა 1867 წელს მთავრობისაგან დანიშნული მილიონის სარგებელიცა"[4].

ნ. ნიკოლაძე ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ყიფიანის, როგორც სამეგრელოს სამთავრო ქონების მეურვის, მოღვაწეობას. ამის

---

[1] ვასილ მაჩაბლის მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ, ნაწყვეტი „ჩემი თაყვანისცემიდან", „თემი", 5/XI — 1912, № 96.

[2] „წერილი რედაქტორთან" „დროება", 1880, № 210.

[3] იქვე.

[4] დ. ყიფიანი, შეშუარები. გვ. 65—66.

თაობაზე იგი 1857 წელს წერდა: „ჩვენმა მკითხველებმა იციან, როგორ ბრწყინვალედ და სამეურვეოსათვის სასარგებლოდ მოეწყო სამეგრელოს მფლობელის ოჯახის საქმეები ბ-ნ დ. ი. ყიფიანის მიერ მიღებულ ღონისძიებათა წყალობით. საკმარისია მარტო შეეადაროთ ამ ოჯახის ახლანდელი მდგომარეობა იმას, რასაც ვხედავთ ჩვენ გურიის, აფხაზეთის, სვანეთის და ა. შ. მფლობელ საგვარეულოებში, რომ გავიგოთ დ. ყიფიანის დამსახურება სამეგრელოს მფლობელის ოჯახის სასარგებლოდ“[1].

ა. ჯორჯაძეც მიუთითებდა, რომ იმ დროს, როცა დ. ყიფიანმა მეურვეობა ჩაიბარა, მთავარს შემოსავალი ჰქონდა 277 მანეთი, რვა წლის განმავლობაში კი შემოსავალმა აიწია 130 ათას მანეთამდე, ე. ი. 17 ათასი მანეთი წელიწადში. როდესაც ჩააბარა, იმ წელიწადს შემოსავალი ჰქონდა 80 ათასი მანეთი[2].

ა. ჯორჯაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება სამეგრელოში დ. ყიფიანის მოღვაწეობას, აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ერთმანეთს შეეჯახა ცარისტული მმართველობის (გენ. კოლუბიაკინი) და მთავრის მსრუნველობის (მეურვე ყიფიანი) ინტერესები; რომ ყიფიანი გამოვიდა მცველად იმგვარი სოციალური წესისა, რომელმაც გამოიწვია სამეგრელოს გლეხთა არეულობა, „რაკი მთავრის უფლებებს იცავდა... არ შეეძლო არ დაეცვა სოციალური წესიც ამ სამთავროში გაბატონებული“[3].

ს. ხუნდაძის აზრითაც, ყიფიანი ფაქტობრივად იცავდა ფეოდალურ მმართველობის წესს და იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიც უკვე იმყოფებოდა სამეგრელოს გლეხობა. ყიფიანმა დაწვრილებითი ცნობები შეკრიბა იმ გადასახადებზე, რასაც წინათ მთავრის გლეხები იხდიდნენ. შეადგინა აქედან საერთო ჯამი, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ არა ნატურით, როგორც წინათ, არამედ ფულადი გადასახადით. ს. ხუნდაძე დაასკვნის: „ასეთი იყო დიმ. ყიფიანის პოზიცია სამეგრელოს მთავრის საქმეებში. აქ დიმ. ყიფიანი მოქმედებდა როგორც მემამულე, როგორც აღმასრულებელი უმაღლესი ბრძანებისა. მაგრამ თვითმპყრობელობის კანონის ურყევად შესრულებისას დ. ყიფიანი არღვევდა სამართლიანობის კანონს, იცავდა დახავსებულ ფეოდალურ წყობილების

---

[1] «Тифлисский вестник», 1875, № 132; რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი, № 2—37; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 310—311.

[2] ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 809.

[3] იქვე, № 800.

ნაშთებს და მსხვერპლად სწირავდა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას მთავრის ინტერესებს"[1].

ვფიქრობთ, ა. ჯორჯაძე და ს. ხუნდაძე დ. ყიფიანის, როგორც მეურვის, როლის ზედმეტ დრამატიზებას ახდენდნენ — მის მოქმედებას მეტად მუქი ფერებით წარმოადგენდნენ. ამ ავტორებზე შესაძლოა გავლენა მოახდინა ბოროზდინის შეხედულებებმა ყიფიანის მეურვეობაზე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უკანასკნელი დ. ყიფიანის მიმართ ობიექტურობით არ გამოირჩეოდა.

ბოროზდინი აღნიშნავდა, რომ 1859 წელს დ. ყიფიანმა ბარიატინსკის წარუდგინა მოხსენება მცირეწლოვანი მთავრის მიმართ არსებული მეურვეობის საქმიანობაზე. თავის მოხსენებითს ბარათში ყიფიანი ჩიოდა სამეგრელოს მთელ ადმინისტრაციაზე და განსაკუთრებით კიცხავდა გენერალ კოლუბიაკინსო. თბილისში ამის გამო საგანგებოდ ჩამოსულმა კოლუბიაკინმა კი კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს ინსტანციას დ. ყიფიანის საქმიანობა სამეგრელოში იმდაგვარად დაუხასიათა, თითქოს მიზნად ისახავდა მთავრის მამულებში წინანდელი რეჟიმის აღდგენასა და ამასთან თითქოს ყიფიანი ცდილობდა გამოეგონებინა ახალი მეთოდები, რომლებიც გლეხთა მდგომარეობას უფრო მეტად აუარესებდა. ასეთ ახალ ღონისძიებათაგან მთავარი იყო გლეხთა ვალდებულება-გადასახადების თვითნებური შეფასება და მათი ფულზე გადაყვანა. მაგრამ რაკი ამ საქმეში ცარიზმის ადმინისტრაციამ მას მხარი არ დაუჭირა, მეურვე შეეცადა მთავრის მამულებში მოეწყო თავისი განსაკუთრებული სასოფლო მმართველობა, სახლთუხუცესობის მსგავსი რამ, ამან კი გლეხთა არეულობა გამოიწვიაო, — აღნიშნავდა კოლუბიაკინი, რომელსაც ბოროზდინი იმოწმებდა. ამას გარდა, — განაგრძობდა გენერალი, — ყიფიანმა თავადაზნაურთა კუთვნილ ექვსი ათას გლეხურ კომლს მოსთხოვა მთავრის დროს არსებული მმართველობისათვის საჭირო გადასახადი. კოლუბიაკინი დაასკვნიდა: მოთხოვნა უკანონოა, რადგანაც ამჟამად სამეგრელოს მართავს რუსული ხელისუფლება და ეს გადასახადი მის ხელში უნდა მიდიოდეს და არა მეურვეობის სასარგებლოდ იკრიბებოდესო[2].

ბარიატინსკიმ, ბუნებრივია, რუსული მმართველობის წარმომადგენლის მხარე დაიჭირა. მაშინ ყიფიანს ნებართვა უთხოვია პეტერბურგს გამგზავრებულიყო, რათა შექმნილი მდგომარეობა ეკატერინე

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 88.

[2] К. Б о р о з д и н, Закавказские воспоминания, СПБ., 1885, с. 405—406.

დადიანისათვის მოეხსენებინა. საქმე უმაღლეს სფეროებში გადასულა და იქ დიდად გახმაურებულა[1].

ბოროზდინს რუსულ გაზეთ „კოლოკოლიდან“ (1861 წ. 1 ოქტომბერი) მოაქვს ამონაწერი[2]. უცნობი ავტორი აღნიშნავდა, რომ ეკ. დადიანი და დ. ყიფიანი თუმცა ვალდებული იყვნენ არ ჩარეულიყვნენ მმართველობის საქმეებში, მაგრამ სისტემატურად ხელს უშლიდნენ კოლუბიაკინის განკარგულებებს, აპროტესტებდნენ. ყიფიანი, როგორც მეურვე და როგორც მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, სოფლების შემოვლის დროს დევნიდა და ცვლიდა არჩეულ სოფლის მამასახლისებს, მოსამართლეებს და გადასახადის ამკრებთ. იგი მოითხოვდა, რომ ის გლეხები, რომლებიც უწინდელ დროში სამუდამოდ განთავისუფლდნენ ყოველწლიური ვალდებულება-გადასახადისაგან, ხოლო მიწა გამოისყიდეს, ამიერიდან თავისი ნასყიდი მიწებითურთ დადიანის ყმებად დაწერილიყვნენ.

მაშასადამე ირკვევა, რომ ყიფიანის მეურვედ ყოფნის პერიოდში, ერთმანეთს დაუპირისპირდა რუსული მმართველობისა და სამეგრელოს ფიქტიური მთავრის ეკონომიკური ინტერესები. ვფიქრობთ, ბოროზდინი რეალურ ვითარებას ამახინჯებს, როცა მიუთითებს, რომ ყიფიანი რუსული ადმინისტრაციის ინტერესებს ლახავდაო. ცალკეულ შემთხვევებში დ. ყიფიანი შესაძლოა, იძულებული იყო ხოლმე გადაეყენებინა ან შეეცვალა სოფლის მოხელეები, რომელთაგან ბევრი, როგორც ცნობილია, თავის მოქმედებას სამართლიანობის პრინციპებზე არ აფუძნებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დ. ყიფიანს წინადადება შეუტანია მმართველობაში, რათა შემოეღოთ სოფლის მოსამართლეთა არჩევითობა სამეგრელოში[3].

ამ წინადადების განხორციელება, არჩევნების გზით სოფლის მოსამართლეთა ძველი შემადგენლობის შეცვლას გულისხმობდა. მაშასადამე, დ. ყიფიანი სადავო საქმეების გარჩევაში სამეგრელოს სოფლის მოსამართლეთა მოქმედების სამართლიანობა-ობიექტურობაში დარწმუნებული არ ყოფილა, ხოლო ახალი წესის შემოღება მოსამართლეთა დემოკრატიულ საწყისებზე შერჩევას გულისხმობდა. ეს ერთგვარად გააუმჯობესებდა მართლმსაჯულებას სამეგრელოს სოფლის პირობებ-

---

[1] იქვე, გვ. 406.

[2] იქვე, გვ. 413. ს. ხუნდაძემ გაარკვია, რომ ეს იყო გაზეთი „კოლოკოლი“.

[3] Акты, т. XII, 1904, с. 343.

ში, გაზრდიდა მოსამართლეთა პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

რუსული მმართველობისა და ყოფილი მთავრის ინტერესების წინააღმდეგობრიობას ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ჰქონდა ადგილი. დავა გლეხთა მასის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტის იმ წილსაა, რომელიც თითოეულ მხარეს უნდა რგებოდა, ხოლო რაიმე პოლიტიკური ხასიათის შეჯახება რუსულ მმართველობასთან (თითქოს ყიფიანის ზრახვები მიმართული იყო „ძველი რეჟიმის აღდგენისაკენ" — ბოროზდინი) მთავრის მეურვეთა მხრივ ფაქტობრივად გამორიცხულია. ამ გაგებით ბოროზდინიც და მის მიერ დამოწმებული „კოლოკოლის" კორესპონდენტიც უფრო ძლიერის ბატონობის მომხრეთა როლში გამოდიან, პროცარისტულ პოზიციებზე დგანან და არავითარ შემთხვევაში მშრომელთა ინტერესების დაცვას არ ითვალისწინებენ.

შემდეგ, თუ, ერთი მხრივ, მთავრის ინტერესები რუსული ადმინისტრაციის ინტერესებს არ ეთანხმებოდა, მეორე მხრივ, არსებობდა წინააღმდეგობა მთავრის ინტერესებსა და მისადმი დაპირისპირებულ სამეგრელოს თავადაზნაურთა ინტერესებს შორის. 1880 წელს „დროებაში" ვლ. მიქელაძე წერდა: „სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილმა ნიკო დადიანმა (მინგრელსკიმ) მეგრელებს ტყავის გაძრობა მოუნდომა: მთელ თავადაზნაურობას დაუწყო მამულების თაობაზე დავა. თუმცა მან ამით ვერა ავნო რა, მაგრამ ადვოკატებმა კი სწორეთ ერთი კი არა, ორი ტყავიც გააძრეს საბრალო მეგრელებს"[1].

მაშასადამე, როცა აღინიშნება მეგრელი გლეხობის ექსპლუატაციის გაძლიერება, ამ საქმეში ყოფილი მთავარი და მისი რწმუნებულები, ერთი მხრივ, თავადაზნაურობას უპირისპირდებიან, ხოლო, მეორე მხრივ, ცარისტულ მმართველობას. ყველა ისინი — სამივე ეს ძალა — უპირისპირდებოდა გლეხობას, რომელიც ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენდა.

* * *

როცა ლაპარაკია დ. ყიფიანზე, როგორც სამეგრელოს სამთავროს ქონების მეურვეზე, თავისთავად იბადება კითხვა — რატომ დათანხმდა იგი მიეტოვებინა სახელმწიფო სამსახური და ხელი მოკიდა ფრიად დაუწყობელი და დიმიტრის ბუნებისათვის შეუფერებელი, რამდენადმე საჩოთირო და თავსატეხი საქმისათვის — მეურვეობისათვის.

[1] „დროება", 1880, № 205.

თვითონ დიმიტრი განმარტავდა, რომ სამეგრელოს მთავრის ქონების მეურვედ მისი დანიშვნა დაკავშირებული იყო სამეგრელოს ბატონიშვილებისათვის მამულების შენარჩუნებასთან, რათა აქაური მიწები ცარიზმის საკოლონიზაციო ფონდში არ შესულიყო: „ეს იყო ჩემი საფიქრებელი და ამიტომ ვიყავ დიდათ თავგამოდებული“[1], ასე, რომ ერთდროულად თანხაც შევმატე დადიანებს და მამულიც შევუნარჩუნეო[2].

დიმიტრის რძალს (კოტეს მეუღლეს) ნინოს თავის მამამთილისთვის უკითხავს: მამა, როცა თქვენ სამეგრელოს მთავრის მზრუნველად იყავით, სამსახურს თავი რად დაანებეთო.

დიმიტრის ასეთი პასუხი გაუცია: რუსეთის მთავრობას უნდოდა მთავრის ობლებისათვის დაენიშნა პენსია, და სამთავროს სამაგიეროდ მიეცათ რაღაც გროშები, მათი შვიდასი ათასზე მეტი დესეტინა მამული კი გამოეცხადებინა სახელმწიფოს საკუთრებად. ეს რომ ასე მომხდარიყო, იქ აუარებელ მინდვრებს და ჭაობიან ადგილებს დააშრობდნენ და უსათუოდ კოლონისტებს დაასახლებდნენ. ეკატერინე დადიანი თანახმა იყო მთავრობის წინადადებაზე, მაგრამ, როცა მე ავუხსენი მას, თუ რა შედეგი მოსდევდა მამულზე ხელის აღებას და კოლონისტების გადმოსახლებას, დამეთანხმა და მომანდო საქმე ისე მეწარმოებინა, როგორც მე მესმოდა. მაშინ ავიღე შვებულება და წავედი პეტერბურგს, სამინისტროს მათს წინადადებაზე უარი განვუცხადე და წარვუდგინე შემდეგი მოთხოვნა: სამთავროზე ხელის აღებისათვის ობლებს მიეცეთ 2 მილიონი მანეთი და მათ საკუთრებად დარჩეს მთელი ის მამული, რაც დღეს ობლების მფლობელობაშია. პენსიაზე კი უარი განვაცხადე. ეს რომ მინისტრმა წაიკითხა, შემომხედა და მითხრა: თქვენ, რუსეთის სახელმწიფოებრივ სამსახურში თვალსაჩინო ადგილი გიჭირავთ და თქვენთვის უხერხული უნდა იყვეს, რომ არ იცავდეთ სახელმწიფოს ინტერესებს და იცავდეთ მთავრისა და მთავრის შვილებისას!

მე ვარჩიე დამეკარგა სამსახური, მაგრამ ობლებისათვის შემენარჩუნებინა მამული, რათა სამეგრელოს მინდვრები არ გამხდარიყო საკოლონიზაციო ადგილად. ეს იყო ჩემი საფიქრებელი და ამიტომ ვიყავ დიდად თავგამოდებული. იქვე შევედი კანცელარიაში, ვთხოვე ერთი ფურცელი ქაღალდი, დავწერე სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნა და შევუტანე მინისტრს. ვუთხარი, რომ მე ამ თხოვნას დღესვე

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] იქვე.

ეგზავნი თბილისში ვისთანაც ჯერ არს, რათა საჩსახურიდან გამათავისუფლონ-მეთქი.

დიმიტრიმ თუმცა სამსახური დაკარგა, მაგრამ მთავრის შვილებს ყველაფერი გაუკეთა — იმათი მამული საკოლონიზაციო ფონდში არ შესულა: — დღეს იქ ჩვენივე ხალხი სახლობსო, — დაასკვნიდა მოგონების ავტორი[1].

ჯერ კიდევ რუსეთთან სამეგრელოს სამფარველო ხელშეკრულების დადების დროს ყოფილა ლაპარაკი „რასკოლნიკებით" ამ ქვეყნის დასახლებაზე. სამეგრელოს მთავარი დადიანი თანახმა იყო მათი აქ დასახლებისა, თუ ისინი მთელი მოსავლის მეოცედ ნაწილს გადაუხდიდნენ[2]. შემდეგშიც, ცარიზმი მუდამ ესწრაფვოდა დაესახლებინა სამეგრელო (ისევე როგორც მთელი საქართველო და დანარჩენი ამიერკავკასია) კოლონისტებით.

1828 წლის 4 დეკემბერს ნესელროდე პასკევიჩს სწერდა: თქვენ უნდა ეცადოთ დაასახლოთ ძველი კოლხეთი—ბუნებით მეტად მდიდარი იმერეთი და სამეგრელო — თურქეთიდან ნებაყოფლობით გადმოსული ქრისტიანებითო (ესე იგი, სომხებით)[3].

ამ საკითხის გამო 1829 წ. 5 იანვარს პასკევიჩი ნესელროდეს პასუხობდა: იმერეთი და სამეგრელო კოლონისტების დასასახლებლად თითქოსდა მართლაც ძალზე მოსახერხებელი ადგილებია. მაგრამ მათი ბუნებრივი პირობები ამის სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებს. იმერეთისა და სამეგრელოს ტერიტორიების უმეტესი ფართობი დაფარულია ან უშველებელი გაუვალი ჭაობებით, ან წარმოადგენენ საცხოვრებლად უვარგის ტყიან მთებს. აქ ძალზე ცოტაა სახნავ-სათესად და მესაქონლეობისათვის გამოსადეგი ადგილები, ხოლო რაც არის, ისიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არის დაკავებული. ცოტა ხნის წინათ მეც ვეძებდი თავისუფალ სახაზინო მიწას იმერეთში 150 კომლ დუხობორთა დასახლებისათვის, მაგრამ ასეთი ადგილი ვერ აღმოვაჩინეთო.

პასკევიჩი იმპერიის დიდმოხელეს იმასაც შეახსენებდა, რომ სამეგ-

---

[1] გ. ტატიშვილის მოგონებანი დ. ყიფიანზე, ლიტერატურის მუზეუმში, № 13502—ხ. ფურც. 24—26.

[2] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. I, д. 866, л. 31.

[3] АКТЫ, т. VII, с. 772.

რელო ჯერ კიდევ სამთავროა, სადაც რუსეთის მმართველობისგან განსხვავებული საკუთარი კანონები მოქმედობსო[1].

მომდევნო წლებში ცარიზმი უკვე სრულიად უცერემონიოდ იქცეოდა და სამეგრელოს სამთავროს კოლონისტებით დასახლების წადილს იურიდიული კანონმდებლობითაც განამტკიცებდა.

1845 წლის ნოემბერში იმპერატორს დაუმტკიცებია მავნე ერესების მიმდევარი „რასკოლნიკების" სამეგრელოში დასახლების წესები. ცარისტული მმართველობის ამ ღონისძიებას პირველ წლებში შედეგი არ მოჰყოლია. კავკასიის მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი „კავკასიის კომიტეტის" თავჯდომარისადმი წარდგენილ ბარათში 1849 წლის 29 დეკემბერს აღნიშნავდა: აქამდე სამეგრელოში დასახლების მსურველი რასკოლნიკთა შორის არ აღმოჩნდა იმის გამო, რომ რასკოლნიკები თაყისთვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნევენ დასახლდნენ ამიერკავკასიის სხვა ადგილების სახაზინო და ნაწილობრივ მემამულეთა მიწებზეო.

მეფისნაცვალი განაგრძობდა: იმპერიის შიდა გუბერნიების მართლმადიდებელი სარწმუნოების (არარასკოლნიკები) სახელმწიფო გლეხები ხშირად მომმართავენ თხოვნით, რათა ისინი სამეგრელოში დავასახლო. ვორონცოვი სთხოვდა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეშუამდგომლა იმპერატორთან, დასახელებული მთხოვნელებისათვისაც მიეცათ სამეგრელოში გადმოსახლების უფლება.

კავკასიის კომიტეტმა ამიერკავკასიაში რუსი გლეხების დასახლებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა სასარგებლო და საჭირო საქმედ სცნო და კავკასიის მეფისნაცვლის წარდგინება, როგორც ამ მიზნის სრულიად შესაბამისი ღონისძიება, დაადასტურა. კავკასიის კომიტეტის ეს დადგენილება იმპერატორმა 1850 წლის 27 თებერვალს დაამტკიცა[2]. ამრიგად, იმპერიის საკოლონიზაციო ფონდში სამეგრელოს მიწა-წყალი ოფიციალურად ჯერ კიდევ სამთავროს ავტონომიის გაუქმებამდე ჩართეს; სამეგრელოს კოლონიზაციის ფართო პროგრამა დაისახა, მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ გადასაჭრელი რჩებოდა კოლონისტების დასახლებისათვის საჭირო ადგილების გამოყოფის საკითხი, რაც მთავრის მამულების სახელმწიფო ფონდში გადასვლის გზით უნდა განხორციელებულიყო.

---

[1] Акты, т. VII, ст. 774.

[2] Полное собрание Законов Российской империи, Собрание второе, том XXV, отделение первое, 1850, Санктпетербург, 1851, № 23949.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარება სამეგრელოს სამთავროში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფის მმართველობის მაღალ მოხელეებს მიენდო, მათ შორის ჯერ ბარონ ნიკოლაის და დავით ჭავჭავაძეს, შემდეგ კი დ. ყიფიანს. ამ შემთხვევაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე უპირისპირდება მეფისნაცვალს, რომელსაც ცარიზმის პოლიტიკის კონკრეტული ამოცანების შესრულება ევალებოდა. დიმიტრიმ შეძლო სამეგრელოს „სახასო" მიწების მთავრის საკუთრებაში შენარჩუნება და ამით ჩაშალა ცარიზმის განზრახულობანი. გადმოცემის თანახმად, დიმიტრის თავისი მეუღლისათვის პეტერბურგიდან წერილი გამოუგზავნია: ბარიატინსკის შამათი გავუკეთეო. დიმიტრის მეუღლემ სხვასაც აჩვენა ეს წერილი, რამაც ეტყობა დიმიტრის თანამდებობიდან გადაყენების საქმე დააჩქარა[1]. რაკი დ. ყიფიანმა ცარიზმის ბრმა იარაღის როლის შესრულება არ ისურვა, იგი შერისხულ იქნა. ყიფიანი სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს.

სამთავრო მიწების საკუთრებისა და მიწათსარგებლობის ფორმები

კავკასიის კომიტეტისადმი წარდგენილ მოხსენებაში დიმიტრი ყიფიანი წერდა: „ყოველი, რაც მთავარს ეკუთვნის, ხალხი სახასოს, სახაზინოს ეძახის: უძრავი ქონება, რომელსაც არა ფლობენ კერძო მესაკუთრენი, სახასოა ან სამთავრო, სადადიანო და ყველა ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. გლეხები განსაზღვრულ გადასახადს იხდიდნენ სახასოდ ხაზინაში"[2].

დ. ყიფიანმა შეძლო სამეგრელოს „სახასო" მიწები მთავრის საკუთრებად შეენარჩუნებინა. ამ მიწების უდიდეს ნაწილს შეადგენდა სამეგრელოს სვანეთი (ლენტეხი), ლეჩხუმი, შავიზღვისპირა ზოლი[3].

მთავრის მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხებზე სანადელოდ იყო გაცემული. გარდა ამისა, მთავრის მამულის ერთი ნაწილი ვაჭარ-ბელოსანთა ფენის წარმომადგენლებს ეჭირათ (ისინი მოქალაქეებად ითვლებოდნენ), მამულის სხვა ნაწილი კი იჯარით გაიცემოდა. მთა-

---

[1] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, газ. «Закавказская речь», № 132,9 июня 1912 г.

[2] არ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 800; ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 88.

[3] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», № 132,9 июня 1912 г.

ვარს ორი ათასზე მეტი კომლი ყმა გლეხი ეკუთვნოდა, უეჭველია ისინი მთავრის მიწებით სარგებლობდნენ. სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დადიანს ყმათა განთავისუფლების სანაცვლოდ დაახლოებით 375—400 ათასი მანეთი ერგებოდა[1].

მთავრის მიწებით სარგებლობდნენ, მაგალითად, სავაჭრო-სახელოსნო დაბა ლაილაშის (ლეჩხუმი) მცხოვრები ვაჭრები. დიმიტრი ყიფიანის სახელზე 1857 წლის 25 ოქტომბერს წარდგენილ თხოვნაში, რომელსაც ხელს აწერს 47 კაცი (სეფიაშვილები, მეგრელიშვილები, მოძღვრიშვილები, მარდახიაშვილი, ბებერაშვილი, კაჭკაჭიშვილი და სხვ.), აღნიშნულია, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულან და მთავარს მინდობიან. რაც აქ, ლაილაშს, დავესახლეთ და მთავრებმა მოქალაქეებად შეგვრაცხეს, ესე იგი, მოსვლის დროიდან, მოუშლელად გვქონდა ტყე, მინდორი და წყალი. ახლა კი, რაც მთავრის გადადგომა შეიტყეს, სოფლის მცხოვრებნი გვიკრძალავენ ტყით და მინდვრით სარგებლობას. ტყე და მინდორი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, ყოველთვის „სამთავრო ყოფილა და როგორადაც დღემდის გვქონია უზომავ, ეგრეთვე უნდა გვექნას", — წერდნენ ისინი[2].

„მენგრელიის სამთავროს ლაილაშის ქალაქში მცხოვრები ვაჭრების ალექსი და ივანე ჯანუაშვილების თხოვნაში" (1857 წ. 25 ოქტომბერი) აღნიშნულია, რომ: მიწის ნაკვეთი, რომლითაც ორმოცი წელია ვსარგებლობდით, რაკი სასახლის მახლობლად იყო, ჩამოგვართვა მთავარმა. ვთხოვეთ და მთავარი გვაძლევდა სამაგიეროს, მაგრამ სხვებმა გვიმტრეს და აღარ მოგვცეს. მთავარიც გარდაიცვალა და დავრჩით დაუმაყოფილებელიო[3].

ლაილაშელთა თხოვნა-საჩივრების პასუხად დ. ყიფიანს 1857 წლის 25 ოქტომბერსვე გაუცია განკარგულება ლაილაშის ნაცვლის ბეჟან ახვლედიანისადმი, რათა მას ლაილაშელი ვაჭრები გლეხთა თანაბრად უზრუნველეყო საძოვრებითა და ტყით „თავისუფალი სამთავრო მიწების" ხარჯზე[4]. ვაჭარ ჯანუაშვილებისათვის აგრეთვე უნდა გამოეყოთ ცალკე მდებარე მიწის ნაკვეთი.

---

[1] «Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани», Тифлис, 1868, с. 18; დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 75.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ე. ყიფიანის პირადი არქივი, № 397.

[3] ი ქ ვ ე, № 398.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 399.

სამთავრო ტყისა და მინდვრის (სახნავი, საძოვარი) საგრძნობი ნაწილი იჯარით გაიცემოდა. დ. ყიფიანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტყე და მამული გასცეს იჯარით. მიწათსარგებლობის ეს წესი, მისი აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდიდა მთავრის შემოსავალს. ყიფიანი წინადადებას იძლეოდა, რათა იჯარით გაცემისას გარკვეული სისტემის მიხედვით ემოქმედათ, კერძოდ, შემოსაყალის გაზრდის მისაღწევად უმჯობესი იქნებოდა საიჯარო მიწის საჯარო ვაჭრობით გაცემა. მაგალითად, ყიფიანი აღნიშნავს, რომ საჭილაოში კორძაიებს იჯარით აქვთ მიცემული 100 ქცევა ადგილი, რომლისთვისაც 520 მანეთი ამთავითვე სამთავროდ შემოაქვთ და იქვე 72 ქცევა ადგილიც უნდა გააშენონ მამულით სამთავროდ. იმნაირივე ადგილი კიდევ არის გაუცემელი, და თუ ისიც ვაჭრობით არ გაიცა, მთავარი ზარალს ნახავს, რადგან ტყე მცხოვრებთ მიაქვთ და უპატრონობით ადგილი რჩება ცარიელი, იგი მცირენაყოფიერია და უტყეო აღარად ეღირებაო[1].

იქვე, საჭილაოში, აგრეთვე 800 ქცევაზე მეტი სამთავრო სახასო სახნავ-სათესი ადგილები ყოფილა. იმათში 300 ქცევა — შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი ადგილები („ბელვანის" სახელწოდებით) — მცხოვრებლებზე გაიცემოდა იჯარით: წელიწადში ქცევაზე ორი აბაზიდან ათ შაურამდე იხდიდნენ. „ზოგნი სანაშენოთაც ითხოვდნენ მიწებს, რომლისთვისაც შემოაქვთ ამ თავითვე ქცევაზედ სამ-სამი მანეთი და ადგილს აშენებენ მამულით სანახევროდ მთავრისათვის", ხოლო სხვა რაც არის, მას გარდა, უკეთესი ადგილები იმაში იძლევიან ქცევაზე 4—4 აბაზს და ვაჭრობაში იქნება მეტიც გაიღონო. ყიფიანის აზრით, აჯობებდა და მთავრისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომ ეს ადგილებიც იჯარით გაცემულიყო.

დ. ყიფიანი წინადადებას იძლეოდა, რათა თეკლათისა და ჭალადიდის ათას ქცევაზე მეტი სამთავრო სახასო ადგილები სანაშენო იჯარით გაეცათ. იგი წერდა: ეს „საშეშე ტყიანი ადგილებია, რომლებისაც მუშტარი ბევრია, რომ თუ სანაშენოთ იჯარით მიეცემათ, — შეშისათვის ამ თავითვე შემოიტანენ სამთავროდ 3 მანეთიდგან 5 მანეთამდისინ და ადგილს გააშენებენ მამულით სანახევროდ ზემოხსენებულებისამებრ, და ჩვეულებაც დიდის ხნით ასე ყოფილა და თუ ეს ადგილებიც ასე არ გაიცენ, მაშინ შეშა გამოილევა იქ, რომელიც გარშემო მოსამძღვრეებს მიაქვსთ უპატრონობით და ცარიელი ადგილი აღარაფრათ ეღირება და თვით ამ ადგილებსაც შიგა და შიგ საყანეთ დაიჭერენ

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 455.

და ბოლოს სადავოდ გახდება და ესენი ყველა საზარალო იქნება მთავრის სახლისათვის, თუ კაცმა ყური არ უგდო"[1].

დ. ყიფიანი მოითხოვდა, რომ იჯარის წესი გამოეყენებიათ სხვა მამულების მიმართაც. მაგალითად, სალიპარტიანოში მდებარე მამულების გამო აღნიშნავდა, რომ იქ „მრავალი სამთავრო სახასო სახნავ-სათესი ადგილები და ღვინის მამულები" მთავრის დროს სხვადასხვა პირთ ეჭირათ და მარცვლეულის მოსავლის მეათედს, ხოლო მამულებიდან ღვინის ნახევარს მთავრის სასარგებლოდ იხდიდნენ. ეს პირები აგერ უკვე მესამე წელიწადია აღარაფერს იძლევიან და ამ შემოსავლის გადახდა ძათგან, ალბათ, შეუძლებელი იქნება. „მაშასადამე, იქაურნი მამულნიც, -- რომ ყველა იჯარით მიეცეს ვისმე კეთილსაიმედო პირს, — დიდად სამჯობინარო იქნება"[2].

სამთავროს ტყეში ხე-ტყის მასალის დამზადებისათვის გარკვეული გადასახადი ყოფილა დაწესებული. მაგალითად, სოფელ ჭალადიდის მცხოვრებნი დ. ყიფიანის სახელზე წარდგენილ თავის საჩივარში (1864 წ.) აღნიშნავენ, რომ მეურვეობის მოხელე ნიჟარაძე უკრძალავს მათ ტყითა და საძოვრებით სარგებლობას[3]. თავის მხრივ, ნიჟარაძე სამეგრელოს სამთავროს მეურვეობისადმი წარდგენილ პატაკში აღნიშნავდა, რომ ჭალადიდელები მთავრის კუთვნილ ჭალადიდის სატყეოში უნებართვოდ აშშადებენ ხე-ტყის მასალას და ფოთში ჰყიდიანო[4].

დ. ყიფიანის პირად არქივში მოიპოვება აგრეთვე სენაკის ოლქის უფროსის თანაშემწის — ჭიჭინაძის — მიერ შედგენილი აქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამეგრელოს სამთავროს ტყეების შემოწმებისას მისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ ნაჯახებით შეიარაღებულ გურულებს, რომლებიც უკანონოდ ჩეხდნენ ტყეს პალიასტომის ტბის მიდამოებში[5].

მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, მოწმობს, რომ დ. ყიფიანი სამთავროს სამფლობელოდან შემოსავლის გასაზრდელად საქმეს წარმართავს გარკვეული სისტემის მიხედვით, რომელიც დროის შესაფერისია. მწარმოებლის იძულებითი მიმაგრება მიწაზე და ძალდატანება კი არ მიაჩნია ყიფიანს მთავრისა და მიწათმოსარგებელეთა შორის ურთიერთობის ძირითად საშუალებად, არამედ სავსებით ნებაყოფლობითი პრინციპის

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 455.
[2] იქვე.
[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 434.
[4] იქვე, № 436.
[5] იქვე, № 435.

განხორციელება. იჯარას, რასაკვირველია, ფეოდალიზმის დროსაც ახედებით, მაგრამ მასობრივი მასშტაბით იჯარის გამოყენება უფრო კაპიტალისტური ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამ ახალი მოვლენის გაფართოება-განვითარებას უჭერს მხარს ყიფიანი თავის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობაში.

დ. ყიფიანის პირად არქივში დაცული ცნობით, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს საკუთარი მამული ჰქონდა (სადედოფლო საკუთრება). ამ მამულის მოვლა-პატრონობის საქმე, სამთავრო მამულების მსგავსად, სამეურვეო საბჭოს ხელში ყოფილა თავმოყრილი[1].

სამეგრელოს გლეხთა ზოგიერთი ბეგარა-გადასახადები

დ. ყიფიანის პირად არქივში არაერთი საყურადღებო ცნობა გვხვდება იმ ურთიერთობაზე, რაც მთავარსა და მის ქვეშევრდომ სხვადასხვა კატეგორიის გლეხებს შორის არსებობდა. კერძოდ, ყიფიანი გვაცნობს მთავრისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ყმა გლეხთა ერთ კატეგორიას — მოჯალაბეებს: სამეგრელოს სამთავროს მოჯალაბეებს „ბეგრად ზოგს სრულიად არა მართებსთ-რა პირადი სამსახურის მეტი და ზოგს თუმც მართებთ ბეგარაც, მაგრამ ძალიან ცოტა". მათი პირადი სამსახური მთავრისათვის უკვე მესამე წელიწადია საჭირო აღარ არის და ამის გამო „იგინი სრულიად თავისუფალნი არიან". მხოლოდ რამდენიმე მათგანი კი ახლაც არის ჯოგების მწყემსებად. მოჯალაბეები იხვეწებიან, რომ მათი სამსახური შეიცვალოს ფულადი გადასახადით, შემძლებელთათვის კომლზე 15 მანეთამდის, ღარიბებმა კი შეძლებისდაგვარად გადაიხადონო. მაგრამ სახლთუხუცესი თითოეული მოჯალაბე კომლისაგან მათი შესაძლებლობების განურჩევლად 30—30 მანეთს მოითხოვდა. რაკი მოჯალაბეებს არ შეეძლოთ ყოველწლიური გადასახადის ამ ოდენობით გადახდა, რჩებოდნენ ისევ თავისუფლად,და მთავარი მათგან აღარ სარგებლობდა[2].

ირკვევა, რომ მოჯალაბეთა ერთი ნაწილი ფულად გადასახადზე ყოფილა გადაყვანილი (ფულადი გადასახადი მათ შესაძლოა ადრიდანვე ჰქონდათ დაკისრებული). მათგან წელიწადში სულ 200—250 მანეთი შემოდიოდა. კომლზე იხდიდნენ 6—9 მანეთს. როგორც ჩანს, იმ მოჯა-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 454.

[2] იქვე, № 455.

ლაბეთა რაოდენობა, რომლებიც პირადი სამსახურის ნაცვლად ფულად გადასახადს იხდიდა, 30—40 კომლზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ საჭილაოში მრავალ სამთავრო სახასო ყმას, სხვათა შორის, მართებდა საფოსტო ბეგარა — "ესე იგი, ცხენის თხოება, გაგზავნ-გამოგზავნა". რადგან ამგვარი ბეგარა ახლა საჭირო აღარ არის, ბევრი მათგანიც თხოულობს მათ გაუქმებასა და სამთავროთ ფული შემოაქვთ შეძლებისდაგვარად, „მაშ სასარგებლო იქნება, რომ ნახევარს მაინც ამოეკვეთოს მათგან ეს ბეგარა და ნახევრის ეს ვალდებულება, მთავარიც რომ აქ იყოს, მაინც კმარა"[1].

დ. ყიფიანი განაგრძობს: ერთ კომლ სამთავრო ყმას, გვარად ხუბუტიას, რომელიც მთავრისგან არის დასახლებული ლესიჭინესა და კირცხს შორის ხობის წყლის პირზედ — 500 ქცევაზედ მეტი სამთავრო სახნავ-სათესი ადგილი და ტყე (საშეშე, საფიცრე, საყავრე) უჭირავს. რასაკვირველია, თვითონ ყველა სამუშაოს ვერ ერევა და სხვადასხვა პირთ აძლევს ადგილებს სამოდოთ და მოდს[2] თითონ იღებს; ფიცრის და ყავრის დამზადებისათვის შემოსავალს თვითონვე იღებს საკუთრად და თვით კი მთავარს ბეგარასაც არ აძლევს. მაშ უფრო სამართლიანი იქნება, მას დარჩეს რაც მისთვის საჭირო და სამყოფი იქნება, დანარჩენი კი მიეცეთ სამთავრო ყმებს, რომელთაც მიწა-ადგილი არა აქვთ, ე. ი. ოჯარით გაიცეს, და ისინი წელიწადში 100 მანეთს ყოველთვის შემოიტანენ სამთავროდ.

დ. ყიფიანს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვისაც, რომ სახასო ყმების აღწერა უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. იგი აღნიშნავდა: „პირველ აღწერილობაში რომ ზოგიერთი მოსახლე ერთ კომლად ჩაწერილი ყოფილა და ბეგარაც ერთის კომლისა შეწერია — ის ახლა თუმც ხუთ კომლად არის გაყრილი და თვითეული იმ პირველისთანა არის შეძლებით, მაგრამ ბეგარას კი მაინც იმავე ერთი კომლისას იხდის იქაურის ჩვეულებით; — მას გარდა, რომელიც იმ პირველის აღწერილობის დროს ღარიბი ყოფილა და მის გამო მისი ბეგარა შუაზედ გაუყვიათ და ნახევარი უპატიებიათ, — თუმცა ახლა შეძლებულათ არიან, მაგრამ რაც ჟურნალში არ უწერიათ მაინც მის მეტს არ იხდიან მეორე აღწერამდინ"[3].

დ. ყიფიანის არქივიდან მოტანილი ზოგიერთი მონაცემიც მოწმობს

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 455.

[2] მოდი—საოჯარო ქირა.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 455.

იმ თვალსაჩინო ქონებრივ-ეკონომიკურ განსხვავებას სამეგრელოში ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე, თვით ერთი და იმავე თანრიგის გლეხთა შორის რომ არსებობდა.

სამთავრო მამულის შემოსავალ-გასავალი

დ. ყიფიანის ხელნაწერ დოკუმენტებში ბევრი საინტერესო მონაცემი მოიპოვება XIX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იან წლებში სამეგრელოს სამთავრო მამულის შემოსავალ-გასავლის წარმოსადგენად. აი ეს მონაცემები (მანეთობით):[1]

წლები	შემოსავალი	გასავალი
1858	227	3 158
1859	9 672	9 473
1860	33 557	32 299
1861	20 084	10 249
1862	21 365	12 744
1863	19 334	26 415
1864	15 954	11 477
1865	92 184	26 253
1866	33 358	86 816
1867	37 140	

ამ მონაცემების მიხედვით, სამეგრელოს სამთავრო მამულის შემოსავალი ყველაზე დიდი ყოფილა 1865 წელს — 92 ათასი მანეთი, ხოლო გასავალი — 1866 წელს (86 ათასი მანეთი).

დ. ყიფიანის ხელით შედგენილ სხვა საბუთში, რომელიც, სამწუხაროდ, უთარიღოა, ჩამოთვლილია ის წყაროები, რომლებიც სამთავრო სახლის შემოსავალს ქმნიდნენ[2].

სამთავრო შემოსავალი ოთხი ძირითადი არხით მოედინებოდა: I. სარგო შემოსავალი, II. უსარგო შემოსავალი, III. სავარაუდო შემოსავალი, IV. შემოსავალი, რომლის ოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული.

I. სარგო შემოსავალს შეადგენდა ის თანხა, რასაც მთავარი იღებდა,

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 418.

[2] იქვე, № 456.

როგორც საკუთარი გლეხებისაგან (2 699 კომლი გლეხი და 119 კომლი მოჯალაბე), ასევე მემამულეთა ყმა გლეხების 5 498 კომლისაგან. ამ გზით, წელიწადში სულ 42 521 მანეთი მიიღებოდა.

II. უსარგო შემოსავალი მიიღებოდა: საკუთარი მიწებიდან და ვენახებიდან — 4 018 მანეთი; საღალო მუხლებიდან (ჭალადიდის ტყიდან დაფნის ფოთლის გატანისათვის — 300 მანეთი, პალიასტომზე თევზის ჭერას შემოჰქონდა 633 მანეთი); საქალაქო შემოსავალი და ვაჭართა გადასახადები—5382 მანეთი; რიონზე თითოეული ნავის მფლობელი ფოთიდან ან რედუტ-კალედან ცხენისწყლის შესართავამდე თითოეული რეისისათვის ბაჟად იხდიდა 3 მანეთს. ეს სულ შეადგენდა 1400 მანეთს.

III. სავარაუდო შემოსავალი: მთავრის გლეხთა პირადი სამსახური, კომლზე — 10 მანეთი, სულ — 21590 მანეთი, მთავრის მოჯალაბეთა პირადი სამსახური, კომლზე — 30 მანეთი, სულ — 3 570 მანეთი, მემამულეთა კუთვნილი გლეხების პირადი სამსახური, კომლზე — 4 მანეთი, სულ — 21 900 მანეთი.

სავარაუდო შემოსავალი მთლიანად დაახლოებით 47 060 მანეთით განისაზღვრებოდა.

IV. შემოსავალი, რომლის ოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული:

1. ბაჟი ხის ნაკეთობაზე (ჭალადიდის, სალხინოს, გორდის, ხვამლის, ხორგის ტყეებში). შემოსავლის რაოდენობა არ არის აღნიშნული.

2. ბაჟი გარე სამუშაოზე გასვლისათვის — 1750 მანეთი.

3. ბაჟი ჯვარის მთებში საძოვრებიდან (ხუთი წლის წინათ მიითვისეს დადეშქელიანებმა).

4. კულუხი ანუ სადედოფლო თითო ქილა[1] პური ლეჩხუმის ყველა გლეხისაგან.

5. მთავრის საკუთარ მიწებზე მიღებული მოსავლის მეათედი ნაწილი.

6. საუდიერო — ბანძაში თავად ფაღავას და ონოგში აზნაურ გაბუნიების ყველა გლეხისაგან, კომლზე: თითო ცხვარი, 2 ქილა ღომი, 2 კოკა ღვინო.

საუდიერო უნდა გადაეხადა ოდიშის ყველა საბატონო გლეხს, კომლზე 50 კაპიკი.

ყველა გადასახადის ჯამი შეადგენდა: გადასახადის უმაღლესი რაოდენობით, შემოსავლის — 136 ათას მანეთს, ხოლო უდაბლესი — 80 889

[1] ქილა უდრის ერთ ფუთს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VII გვ. 323.

მანეთს. ამაში იყო: საური, საუდიერო, სამოურავო, საციხო, საქალაქო გამოსაღები, გარე სამუშაოზე გასვლისათვის და ნაყებიდან მიღებული ბაჟი უმაღლესი ოდენობისას 41 606 მანეთს უდრიდა, უდაბლესისას — 14 288 მანეთს. სამეგრელოს მთავრის დანარჩენი და უფრო მნიშვნელოვანი ოდენობის შემოსავალი ძირითადად ფეოდალური რენტა-გადასახადებისაგან შედგებოდა.

დ. ყიფიანის გაანგარიშებით, მთავრის მამულიდან მიღებულ სუფთა შემოსავალს წლიურად შეუდგენია[1]:

1857—1859 წლებში	— 138 მანეთი, 50 კაპ.
1859—1861 წლებში	— 16 ათასი მანეთი
1861—1867 წლებში	— 26 ათასი მანეთი.
1867 წლიდან	— 76 ათასი მანეთი.

1857—1859 წლების შემოსავლის სიმცირე, ეტყობა, იმ დროს მომხდარი გლეხთა აჯანყებითაც აიხსნება.

დ. ყიფიანის აზრით, სანადელო მიწების გადაცემის შემდეგ, ნაყმევ გლეხთაგან ნიკო მინგრელსკის უნდა მიეღო წელიწადში არანაკლებ 63 ათასი მანეთის შემოსავალი. ამ თანხას შეადგენდა ყოველგვარი სავარგულის (სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, საძოვარი, ტყე) გადასახადი, რაც კომლზე საშუალოდ 15 მანეთს უდრიდა და საკარმიდამო ნაკვეთზე დაწესებული გადასახადი — კომლზე 3 მანეთი. ყველა დანარჩენი თავისუფალი ადგილ-მამული (ასი ათასობით დესეტინა მინდორი და ტყე, საღალო მუხლებით, რომელიც მინგრელსკის რჩებოდა და რაც, საერთო ჯამში, არანაკლებ ფართობს შეადგენდა იმასთან შედარებით, რაც გლეხებს ეძლეოდათ) მის მფლობელს აგრეთვე 63 ათას მანეთს მოუტანდა[2].

* * *

აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მთავრის ფეოდალური სახლი საკრედიტო ოპერაციებსაც ახორციელებდა. მაგალითად, 1860 წელს ფლიგელ-ადიუტანტ პოლკოვნიკ კონსტანტინე დადიანზე — სესხად, პროცენტების გადახდის წესით, 9 524 მანეთი გაუციათ[3]. სესხის ასეთი წესით გაცემა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. 1857 წელს შედგენილ მთავრის სახლის იმ მოვალეთა სიაში, სადაც ვექსილების

---

[1] სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი, 1869, გვ. 23.

[2] Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани. Тифлис, 1868, с. 18; სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი, 1869, გვ. 23.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, 418.

მიხედვით სესხად გაცემული თანხაა დასახელებული, მოტანილია მონაცემები 1847—1857 წლებში გაცემული სესხის რაოდენობაზე. მთავრის დებიტორებს უმეტეს შემთხვევაში სესხი აღებული აქვთ 100—200 მანეთის ოდენობით. ზოგჯერ სესხი ათასი მანეთის ოდენობითაა გაცემული. არის ორი ათასი მანეთისა და მეტი თანხის გაცემის შემთხვევები. 1849 წელს ორი ათასი მანეთი სესხად აუღიათ ელიზბარ, კაცია და გოგია დადიანებს. 1852 წელს 3 ათასი მანეთი — დათაია ჭედიას. სულ არის 165 ვექსილი, რომელთა მიხედვით, სესხად გაცემული ყოფილა 66 713 მანეთი[1].

ყოფილა შემთხვევები, რომ მთავრის სახლი, თავის მხრივ, ფულად ანაბრებსაც იღებდა, მაგალითად, ფულადი თანხა 5 ათასი მანეთის ოდენობით „შესანახად" ჰქონიაშემოტანილი მოსკოველ I გილდიის ვაჭარს მიხეილ სტეპანოვს. მთავრის ბიუჯეტის გასავალ ნაწილში მითითებულია, რომ ვაჭრისათვის ეს ფული პროცენტებით, სულ 5 161 მანეთი, დაუბრუნებიათ.

ამრიგად, სამეგრელოს მთავრის სახლი არც ამ თავისებური ანაბრების მიღებას ერიდებოდა, რომელიც, შესაძლოა, სესხად გაცემულ საერთო თანხაში ჩაერთოდა და გარკვეულ მოგებას იძლეოდა. ასე რომ, მთავრის სახლის ხაზინა თავისებური „ბანკის" ფუნქციებსაც ასრულებდა. მთავრის სალაროს მიერ განხორციელებულ საფინანსო ოპერაციებში უდიდესი უპირატესობა აქვს სესხის პროცენტებით გაცემას, სესხი გაიცემოდა უმთავრესად მემამულეებზე და ვაჭრებზე. ყიფიანის ცნობით, ვინმე ბესარიონ კორძაია წინათ დედოფლისგან ყოფილა დაყენებული სოხუმის ვექილად ბილეთების საქმეზე და მასთანავე მინდობილი ჰქონია „გავასხებული ფულების ამოგება, რომელიც იქაურ ვაჭრებს მართებდათ, — ამ ვალში ზოგიერთისაგან დუქნები ჩამოურთმევია და გაუქირავებია სამთავროდ"[2]. მაგრამ, — განაგრძობს ყიფიანი, — რადგანაც ახლა მეურვეობისაგან ქაღალდი აღარ მისცემია ამ საქმეზე, კორძაია სოხუმში აღარ დადის და აღარ იცის, თუ ამ დუქნების საქმე რა მდგომარეობაშია „და სხვა მოვალეებსეც ფულები იკარგებიან უპატრონობით".

მთავრის „გავასხებული" ფულების შემკრებად დასახელებულია აგრეთვე ნიკო დგებუაძე. დ. ყიფიანი მოგვითხრობს, რომ რაკი დგებუა-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 395. «Опись долгам по вексилям Мингрельского владетельного дома, составленная 1-го октября 1857 года».

[2] იქვე, № 455.

ძემ ერთხელ თავისი შეკრებილი სამთავრო „გავასხებული“ ფულები წარადგინა, მის შემდეგ რაიმე თანხა არ წარმოუდგენია. „ვიცით კი, რომ ყველა მოვალესთან მიდის და ვალსა სთხოვს, მაგრამ ჩვენთან კი არას ადგენს და საზოგადოდ ხმა ისმის, რომ გამორთმევის მაგიერათ მოვალეთ დროებას აძლევს და თვითონ ამით სარგებლობს მათგან, ამის გამო მთავარს ამაშიც ბევრი ზარალი აქვს, რადგან ბევრი ვალის სარგებელი თავნთან გათანასწორებული არის და აღარას სარგებლობს“[1].

მაშასადმე, ყიფიანს სრულიადაც არ ეუცხოება საქმის იმგვარად წარმართვა, როცა მთავრის სახლი მომგებიან ფინანსურ ოპერაციებსაც ეწევა. პირიქით, გასესხებული ფულის პროცენტის ამოღებაში ის მომთხოვნელობას იჩენს. ჩანს, რომ მთავრის სალაროც ეხმაურება დროის მოთხოვნას და ცდილობს საქმე ბურჟუაზიული წესით წარმართოს. ფეოდალური სახლის სალაროს დევიზი ამ შემთხვევაში წმინდა ბურჟუაზიულია: რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს.

სამეგრელოს მოსახლეობა

დ. ყიფიანის ხელით შედგენილ ერთ საბუთში — „ჩანაწერები სამეგრელოს სამთავროს ყმა გლეხთა შესახებ“ — სამთავროს მოსახლეობა (მარტვილი, სუჯუნა, ჯვარი, ზუგდიდი, ლაილაში, მური) 1854 წლისათვის შემდეგი რაოდენობითაა წარმოდგენილი[2].

თავადნი	232 კომლი,	128 მამრი,	622 მდედრი
აზნაურნი	1418 “	4122 “	4122 “
გლეხნი	17584 “	60049 “	47508
სულ	19234 “	64899 “	52252 “

აქედან იყო:

აზნაურნი	სამთავრო	— 564 კომლი
	საეკლესიო	— 246 “
	საბატონო	— 608 “
გლეხნი	სამთავრო	—2041 კომლი
	საბატონო	— 13765 “
	საეკლესიო	— 1778 “

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 455.
[2] ი ქ ვ ე, № 457.

როგორც ვხედავთ, სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობა აღრიცხულია არა მარტო საკუთრივ სამეგრელოსი (ოდიში), არამედ აგრეთვე ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაწილისაც. დ. ყიფიანის მეურვეობის დროს ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის ნაწილი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა[1]. იონა მეუნარგიას ცნობით, სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს (1813—1853) სამეგრელოს სამთავრო რვა მაზრად დაუყვია (ზუგდიდი, ჯვარი, ზუბი, სუჯუნა, საჭილაო, მარტვილი, ლაილაში, მური). მურის მაზრაში ლეჩხუმ-სვანეთის 45 სოფელი შედიოდა. ლეჩხუმის დანარჩენი სოფლები ლაილაშის ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენდნენ. შემდეგში, სამეგრელოს სამთავრო, მაზრების ნაცვლად, ცხრა საბოქაულოდ ყოფილა დაყოფილი[2]. ხოლო 1867 წელს სამეგრელოს ყოფილი სამთავრო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების სახით შევიდა[3].

ზემოთ მოტანილი ცნობების თანახმად, სამეგრელოს მოსახლეობის სოციალური აღნაგობა სამი წოდებითაა წარმოდგენილი (თავადნი, აზნაურნი, გლეხნი). აქ ცალკე გამოყოფილი არაა სასულიერო პირთა და ვაჭართა ფენები, თუმცა სამთავროში ასეთებიც არსებობდა. რაკი საბუთში ისინი ცალკე არ არიან გამოყოფილნი, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ერთი ნაწილი (უფრო დაბალი სამღვდელოება და ვაჭართა უმრავლესობა) გლეხთა წოდებიდან გამოსული პირებია, ხოლო მეორე ნაწილი — აზნაურთა წრიდანაა.

დასახელებულ საბუთში აღნიშნულია, რომ მთავარ ლევან დადიანის ასულს ნინოს (გენერალ ივანე მუხრანბატონის მეუღლე) სამეგრელოს სამთავროში საკუთარი ყმები ჰყოლია. ესენი ყოფილან: ლეჩხუმში — ნასიკელა საღინაძე თავისი ძმებით და ცოლ-შვილით, ოდიშში კი სოფელ ხეთას მცხოვრები ლატარიები. დადიანის ასულის ამ ყმებს სამთავრო გადასახადი არ ერთმეოდათ და ისინი ყმა გლეხთა საერთო რაოდენობაში აღრიცხვისას ეტყობა არც შეუტანიათ.

სხვა დოკუმენტებში გვხვდება მთავრის საკუთარი გლეხების რაოდენობრივი მონაცემები. სახელდობრ, ერთი უთარიღო საბუთის მიხედ-

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 15.

[2] ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 112—113.

[3] Полное собрание законов Российская империи, Собрание второе, том XLII, отделение первое, 1867, Санктпетербург, 1871, № 44467.

ვით, მთავრის საკუთარ გლეხთა რაოდენობა შეადგენდა 2 699 კომლს, ხოლო მოჯალაბეთა რიცხვი — 119 კომლს[1].

ამ დოკუმენტის იმ ნაწილში, სადაც საუბარია მთავრის სავარაუდო შემოსავალზე, აღნიშნულია, რომ გლეხები პირადი სამსახურისათვის იხდიდნენ კომლზე ათ მანეთს, რაც მთლიანად 21590 მანეთს შეადგენდა. მაშასადამე 540 კომლი ამ გადასახადიდან თავისუფალი ყოფილა. მოჯალაბეთა გადასახადი კი კომლზე 30 მანეთი. სულ მოჯალაბეთაგან მიღებული თანხა 3 570 მანეთს უდრიდა. ამ ანგარიშითაც მოჯალაბეთა რიცხვი 119 კომლი გამოდის. როგორც ეტყობა, ეს გადასახადი ყველა მოჯალაბეს ევალებოდა.

მოტანილ დაუთარიღებელ დოკუმენტში დაცული მონაცემები შეიძლება იყოს მოსახლეობის მომდევნო ხანის აღწერის მასალა. ეს აღწერა, ჩვენი ვარაუდით, 1866 წელს უნდა ჩატარებულიყო. ზემოთ უკვე მოვიტანეთ სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1854 წლის მონაცემები. დასახელებული საბუთის დათარიღებაში დახმარების გაწევა შეუძლია ყიფიანის ერთ სხვა, ასევე უთარიღო საბუთს, აქ მითითებულია: 12 წელია, რაც სახასო ყმები აღარ აღწერილანო[2]. რაკი ცნობილია, რომ აღწერა 1854 წელს ჩაუტარებიათ, 12 წლის ინტერვალი სწორედ 1866 წლამდე აღწევს. ამ დროს მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია 1854 წელთან შედარებით. მაგალითად, სამთავროს საკუთარ გლეხთა რიცხვი 658 კომლით არის გაზრდილი და შესაძლოა ეს მხოლოდ ბუნებრივი მატების შედეგს არ წარმოადგენდა.

დ. ყიფიანის მიერ შედგენილ დოკუმენტებში ასახული სამეგრელოს სამთავროს სოციალური სტრუქტურა ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურაა მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ყოველ შემთხვევაში 1866 წლამდე (სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმებამდე) სამეგრელოს მოსახლეობა ჩვეულებრივი ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წოდებათაგან (კლასებისაგან) შედგებოდა. აქ, ერთი მხრივ, ვხედავთ ფეოდალთა კლასს (თავადები, აზნაურები), ხოლო, მეორე მხრივ, ყმა გლეხებს. ფეოდალური ტიპისაა სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური ორგანიზაციაც, სადაც სამთავროს უმაღლესი გამგებელია მთავარი (1857 წლამდე). 1857 წელს სამეგრელოში რუსული მმართველობა დამყარდა და მთავრის პოლიტიკურ ძალაუფლებას

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 456.

[2] ი ქ ვ ე, № 455.

ფაქტობრივად ბოლო მოეღო, ხოლო 1867 წელს ნიკო დადიანმა უარი თქვა მთავრის ძალაუფლებაზე და მისი ეს ნომინალური უფლებები იურიდიულადაც გაუქმდა.

IV თავი.

დიმიტრი ყიფიანის მეურნეობრივი საქმიანობა და გლეხობასთან კონტაქტები

მეურნეობრივი საქმიანობა

დ. ყიფიანის ნამსახურობის ნუსხაში (1839 წ.შ.) აღნიშნულია, რომ მას გორის მაზრაში ძმებთან ერთად გაუკაფლად ეკუთვნოდა დედულ-მამული და ყმა გლეხები[1]. ნუსხაში აღნიშნული არაა არც მამულების ფართობი და არც გლეხთა რაოდენობა.

შემდეგში დიმიტრისა და მისი ძმების კუთვნილი მამულების ფართობი საგრძნობლად გაზრდილა. დიმიტრი ახალ მამულებს უფრო სყიდვის გზით იძენდა, თუმცა მის მეუღლესაც მშობლიურში მნიშვნელოვანი ფართობის მამული მოპყოლია. დიმიტრის შეუძენია ავალიშვილების კუთვნილი ბორჯომის ხეობის მამულის ერთი ნაწილი, აბაშიძისაგან — სააბაშიოს ზოგიერთი მიწის ნაკვეთი.

როგორც ცნობილია, ბორჯომის ხეობის მამულის ძირითადი ნაწილი, XIX საუკუნის შუა ხანებშიც, თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდა. ყიფიანის პირადი არქივის 1849 წლის ერთი საბუთი ადასტურებს, რომ ეს მამული — სახნავი, სათესი, საძოვარი, სათიბი, ტყე, აგრეთვე მდინარე მტკვარი სათევზაოდ — იჯარით ჰქონია აღებული ჯამბაკურ-ორბელიანს 2 400 მანეთად. ამავე საბუთში დასახელებულია მამულის საზღვრები: აღმოსავლეთით — ახალდაბა, დასავლეთით — საკირის ძიდგმა, ჩრდილოეთით — ილომის მთა, სამხრეთით — ქვაჯვარა, წითელი საყდარი და ტბა. საბუთში აღნიშნულია, რომ საძოვარზე ცხვარი თუშებსა და ქიზიყელებს დაუდიოდათ[2].

ავალიშვილების მიერ ბორჯომის მამულის იჯარით გაცემა ყიფიანს

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 20838—6

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 518.

უკანონო გარიგებად მიაჩნდა, რადგანაც ამ მამულის მეათედი ნაწილი თვითონ მას ეკუთვნოდა, ხოლო გარიგება მისი მონაწილეობის გარეშე იყო დადებული. ამის გამო ყიფიანს 1849 წელს სჩივარი შეუტანია გორის მაზრის სასამართლოში[1]. მის მიერ სენატში წარდგენილი სჩივრიდან (1858 წ.) ირკვევა, რომ მას ძმასთან ერთად, 1848 წელს უყიდია თავად ზურაბ ავალიშვილის მამულის ნახევარი, რაც მთელი ბორჯომის მამულის 1/10-ს შეადგენდა[2]. მანამდე ზურაბ ავალიშვილი მთელი ბორჯომის მამულის 1/5 ნაწილის მფლობელი ყოფილა.

იმპერატორის 1851 წლის ბრძანებულებით, ბორჯომის ხეობა ხაზინას გადაეცა. საბოლოოდ ეს აქტი 1852 წელს გაფორმდა. მამულის სამაგიეროდ ავალიშვილებს წლიური პენსიად 5000 მანეთი დანიშნათ. მათ პენსიის განაწილების აქტში ზურაბ ავალიშვილი არ შეიყვანეს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა უარი უთხრა სოფელ ბრეთში მდებარე თავისი მამული მათთვის გაეყიდნებინა. დ. ყიფიანმა სჩივარი აღძრა სათანადო ორგანოებში. ის მოითხოვდა ავალიშვილებზე გასაცემი პენსიის — 5 ათასი მანეთის — ერთ მეათედს (500 მან.), ანდა შესაფერისი ოდენობის ტყეს აჯამეთის მამულში, ან სურამის უღელტეხილზე[3].

1858—1866 წლებში ბორჯომის სახელმწიფო მამულს ეკავა 73319 დესეტინა ფართობი. აქედან: სახნავ-სათესი ყოფილა 529 დესეტინა, ტყე—53 238 დესეტინა, საძოვარი და სათიბი — 17 610 დესეტინა, სოფლების სამოსახლო ტერიტორია—83 დესეტინა, გზები—78, მდინარეები — 252 დესეტინა, მინერალური წყლების ტერიტორია — 1 529 დესეტინა. მამულის ტერიტორიაზე იდგა 3 345 500 ხე, ყოველწლიურად დასაშვები იყო 33 455 ხის მოჭრა[4].

1871 წელს ბორჯომის მამული მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს, აჩუქეს. ამ უკანასკნელის ბორჯომში დაუბარებია დ. ყიფიანი და შეუთავაზებია ბორჯომის მამულის თავის წილში მიეღო ან ტყეები წიფლისი და ჩუმათელეთი, ან, თუ მინდვრიანი მამული სურდა, დირბი, მოხისი და ქვენატკოცა. დიმიტრის უპასუხია: ჩვენ ახლა ორთავენი გორის მაზრის აზნაურები ვართ და რა გვიშავს, რომ ერთად ვიყვეთ და ვიუფლოთო.

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 519.

[2] იქვე, № 546.

[3] ე. აბულაძე, საავალიშვილოს გადაქცევა სახაზინო მამულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 330—331.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 554.

მაშინ ნახევრად ხუმრობის კილოთი უთქვამს მთავარს — თუ ნებით არა, ძალით ჩამოგართმევენო.

ეს ძლიერ სწყენია დიმიტრის, ამდგარა, წამოსულა და გამოსვლისას კარები ძლიერ გაიმოუჯახუნებია. მთავარს დასამშვიდებლად და დასაბრუნებლად გოფმაისტერი დაუდევნებია, მაგრამ დიმიტრი არ დაბრუნებულა, ჩამჯდარა თაიას „კაბრიოლეტში“, რომელიც იქ ელოდა და ქვიშხეთს, თავის სახლში წასულა. იქიდან კი გოფმაისტერს მისწერა: რადგან ძალა კანონი ყოფილა, გადაეცით მთავარს, რომ ბორჯომის მამულის საბადლოდ ტყიან მამულებს — წიფას, ფონას და ჩუმათელეთს ვიღებო[1].

არქივშია დ. ყიფიანისა და გენერალ-მაიორ ასტაფიევის მიერ შედგენილი აქტი (1871 წ.) ბორჯომის მამულის გამო დავის შეწყვეტაზე[2].

ყიფიანს ერთ-ერთი აბაშიძისაგან შეუძენია ავრეთვე მამულის ნაწილი. აქ მას ჰქონდა ტაშისკარი, სანინოჭაჭარაქი (ახალდაბა) და ქვიშხეთი. ამ მამულებიდან წიფა და ქვიშხეთის სახნავი მამულების ნაწილი თავისი ძმისწულებისთვის დაუთმია, თვითონ კი დარჩენია ხუთი ათას ჰექტარამდე ტყე უმთავრესად და სახნავი მამულები. მიწები ჰქონდა დუშეთის მაზრაშიც ამილახვრიანთკარში: ცოლის მამული სახლით. ეს მამული ათას ჰექტრამდე სხვადასხვა სავარგულს შეიცავდა[3].

დიმიტრის უფროსი ძმა ქაიხოსრო დიმიტრის ფულით მამულებს იძენდა და თავის სახელზე აფორმებდა. ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ ამ მამულებში ძმისწულებმა (თბილისის ყოფილი ნოტარიუსი დავით ყიფიანი, ალექსანდრე, მიხეილი — მასწავლებელი — და ლუარსაბი) დიმიტრი აღარ შეუშვეს და თავისი აშენებული სახლიდანაც კი დაითხოვეს. ძმებს ამ მამულების გამგედ ლუარსაბი ჰყავდათ. დიმიტრი ძმისწულებისაგან დიდად ყოფილა შეურაცხყოფილი. საჭირო გამხდარა გარეშე ხალხის ჩარევა. დიმიტრი მოითხოვდა: ქაიხოსრომ ჩემი ფულით რა მამულებიც იყიდა, ოთხ ნაწილად გაიყოს ძმებზეო. ქაიხოსროს შვილები კი მამულების ორ ნაწილად გაყოფას მოითხოვდნენ (მათსა და დიმიტრის შორის). შემდეგ ორ მათგანს დანაშაული მოუნანიებია და ბიძისთვის პატიება უთხოვია[4].

დ. ყიფიანის ერთ-ერთი ჩანაწერიდან ირკვევა, რომ დიმიტრისა და ქაიხოსროს შვილებს, 1882 წლის 28 აგვისტოს, მამული ორ ნაწილად

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანი პრადი არქივი. № 518.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[4] იქვე.

გაუყვიათ. დიმიტრის შეხვედრია 2331 დესეტინა (გაბოლმა ახალდაბაში — 216 დესეტინა, ტაშისკარი — 317, რიკოთის მიდამოებში — 1686, ქვიშხეთში — 112 დესეტინა). ქაიხოსროს შვილებს კი მიუღიათ ციხისძირის, მონასტრის, წიფის, ფონა-ჩუმათელეთის მიდამოების 2 477 დესეტინა მიწა[1]. ყიფიანს, გარდა ამისა, სხვა ადგილებშიც ჰქონია მამულები. მან თავისი მამული სამად გაუყო თავის შვილებს — ორ ვაჟს და ერთ ქალს. ელენეს გადასცა ტაშისკარი და ჩუმათელეთი — თითქმის ორიათას დესეტინამდე მიწა[2].

* * *

დიმიტრი ყიფიანი არა მარტო სიტყვით ქადაგებდა მეურნეობის ევროპულ, რაციონალურ საწყისებზე მოწყობის საჭიროებას, არამედ პრაქტიკულადაც შეეცადა სანიმუშო მეურნეობის მოწყობას, რაც სხვებისთვისაც კარგი მაგალითი იქნებოდა.

დ. ყიფიანს თავისი ნათესავისა და მოურავის, მეხილეობის სპეციალისტის — ისაია ფურცელაძის სამუალებით ქვიშხეთში ხეხილის ბაღი და ზვარი გაუშენებია. ეს ზვარი, საუკეთესო ჯიშის ვაშით, ბორჯომის რკინიგზის ქვიშხეთის ბაქნიდან დაწყებული მთამდე 13—15 დღიურზე (სხვა ცნობით 13—15 ჰექტარზე) იყო გადაჭიმული. ზვარშივე ყოფილა მოწყობილი საკალმახე, რომელშიც წყალი მუდმივად მოედინებოდა იქვე ახლოს მომდინარე დიდი ცივი წყაროდან. დიმიტრის თავისი საცხოვრებელი სახლის წინაც გაშენებული ჰქონია კარგი ვენახი, ხოლო ეკლესიის გვერდით მდებარეობდა მისი შესანიშნავი ხეხილის ბაღი.

ეტლისათვის საჭირო ცხენების გარდა, სხვა პირუტყვს, დიმიტრი ძალიან ცოტას ინახავდა, რადგან მშვენიერი ეზო (ბაღ-ვენახით), მეტის ყოლის საშუალებას არ აძლევდა. თუ ხარებსა და ძროხებს გაიჩენდნენ, ზვარში ინახავდნენ[3].

სანამ ი. ფურცელაძე ქვიშხეთში მოურავად იყო, დიმიტრის ხეხილის ბაღებსა და ზვრებს, როგორც წესი, დაქირავებული მეზვრე-მებაღეები და მათი მუშები უვლიდნენ. ესენი ჯამაგირს იღებდნენ, თანაც ზვრის პატრონი მათ ჭამა-სმითაც აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს,

---

[1] იქვე, № 14763—ხ.

[2] იქვე, № 13502—ხ.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

შესვრეებს საცხოვრებელი ბინითაც დიმიტრი უსრუნველყოფდა. მაგალითად, სვარში აგებულ სახლში ორი შესვრე ცხოვრობდა: დათია ხახნელიძე და ოქრო ჭანკოტაძე[1]. დიმიტრის, თავის მამულში, რამდენიმე შესვრე-შებაღე ჰყოლია, რომელთა შორის ერთი უფროსად ითვლებოდა (ბაგალითად, დათია ხახნელიძე). ამათ გარდა, დიმიტრის ქვიშხეთის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენტს შეადგენდა: მოურავი, ტყისმცველი, ბაღ-ვენახებში მომუშავე ხუთი-ექვსი კაცი, ორი დედაკაცი, ლაქია, მსარეული, ხაბაზი და სხვები[2].

ი. ფურცელაძის წასვლის შემდეგ სვარი იმდენ შემოსავალს ვეღარ იძლეოდა, დამუშავება კი ბევრი ჯდებოდა. ამის გამო, მეურნეობის ფაქტობრივ გამგებელს, დიმიტრის რძალს — ნინოს — სვარი გადაუცია მესვრეებისათვის მოსავლელად, რაშიც მოსავლის ნახევარს აძლევდა. ამრიგად, დ. ყიფიანის ქვიშხეთის მეურნეობის გაძღოლა, XIX საუკუნის 80-იანი წლების შუახნებიდან საზიარო სისტემის მიხედვით ყოფილა მოწყობილი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აგრეთვე საზიარო ურთიერთობის ფორმის კაპიტალისტური ტიპის მეურნეობასთან.

დ. ყიფიანს ი. ფურცელაძე მოურავად დიდხანს ჰყავდა. ბოლოს, უკანასკნელმა გადაწყვიტა მეხილეობის კულტურა შეეტანა დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში. მას დ. ყიფიანმა ფულით თუ საქმით დიდად შეუწყო ხელი და დაასახლა სოფელ მერეთში, სადაც ფურცელაძე სასწავლებლის მასწავლებლად დანიშნეს. ი. ფურცელაძემ თავისი დაფანტული პატარ-პატარა მიწის ნაჭრები სახლიკაცებს გადაუცვალა: ზოგს ერთიორად მისცა, ზოგს ერთისამად და შეადგინა ერთი დიდი ნაკვეთი, ზომით რამდენიმე ათეული ჰექტარი, რაშიც ხეხილი და ხეხილის სანერგე გააშენა (ქართლში გასავრცელებლად). ისაია ფურცელაძე უცოლშვილოდ გარდაიცვალა, დარჩა შესანიშნავი ხეხილის ბაღი, რომლის ბაზაზე საბჭოთა ხელისუფლების დროს საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა[3].

დიმიტრი მეურნეობრივ საქმეებშიც უშუალობით და უბრალოებით გამოირჩეოდა. იგი ქალების ოჯახურ საქმეებშიც მონაწილეობდა. „წარმოიდგინეთ დიმიტრი ყიფიანი, როდესაც წიწილ-კრუხის დაბინავებაში მეხმარებოდა“, — ეკითხულობთ მისი რძლის — ნინოს — მოგონებაში[4].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 13177—ხ.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[4] იქვე. № 13177—ხ

როგორც ზემოთ ითქვა, დ. ყიფიანი 1848—1871 წლებში თვითონ იყო ბორჯომის მამულის ერთი ნაწილის მფლობელი და მას უეჭველია პირდაპირი კავშირურთიერთობა ჰქონდა ბორჯომის ხეობისა და მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლებთან. ბატონყმობის გაუქმებამდე ყიფიანს საკუთარი ყმებიც ჰყავდა.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დ. ყიფიანი გლეხებთან ურთიერთობაში თავისი უფლებების დასაცავად არასოდეს მიმართავდა მკაცრსა და ტლანქ მეთოდებს. ყიფიანის აზრით, მემამულე არ უნდა სცილდებოდეს ლიბერალურ-ჰუმანური დამოკიდებულების ფარგლებს[1]. დაბალ წოდებასთან დ. ყიფიანის ასეთ დამოკიდებულებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: დ. ყიფიანი სოფელ ქვიშხეთიდან 1851 წლის 25 აგვისტოს გორის მაზრის სურამის საპოლიციო უბნის უფროსს სწერდა[2] — ჩემმა ყმამ სიმონ ბლუაშვილმა და მისმა მეუღლემ გუშინ ჩემს სახლში არაჩვეულებრივი უტიფრობა და უხეშობა ჩაიდინეს. მათი სანიმუშო სასჯელის გარეშე დატოვება ნიშნავს ამ საზიზღარი ბიწიერების წაქეზებას. გიგზავნით დასახელებული პირს და გთხოვთ გამოუცხადოთ, რომ მე მას ფიზიკურად არ დავსჯი და საბუშაოდ რომელიმე შორეულ სიმაგრეში არ გავაგზავნი. მკაცრი სასჯელის გარეშე ვტოვებ ასევე მის მეუღლეს, რომელიც კიდევ უფრო მეტადაა დამნაშავე, მაგრამ ჩემს სახლში ამიერიდან მათი დატოვება აღარ შეიძლება.

სიმონ ბლუაშვილი პატიმრად ამყოფეთ სამი დღის განმავლობაში, შემდეგ კი პირდაპირ შორაპნის მაზრის სოფელ ზედაუბანში თავის მამა ლაზარე ბლუაშვილთან გაისტუმრეთ. მისთვის საჭირო სასმელ-საჭმელისათვის ვატან აგრეთვე სამ მანეთს. მის მეუღლეს იმავე სოფელში პირდაპირ აქედანვე გავაგზავნი[3].

სხვა მაგალითი რეფორმის შემდგომ ხანას შეეხება: დ. ყიფიანს გორის მაზრაში ვრცელი ტყე ჰქონდა, რითაც გლეხები სარგებლობდნენ. ამ ტყეში, გარდა ყიფიანის მამულებით მოსარგებლე გლეხებისა, მრავალი სხვა სოფლის გლეხი შესულა და სატევე ხეები მოუჭრია. დ. ყიფიანმა აკრძალა ხეების უნებართვოდ მოჭრა. მისმა სოფელმა

---

[1] ს ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 102,105.

[2] ამ დროს სურამის საპოლიციო უბნის უფროსი (Сурамский участковый заседатель) ყოფილა თადეი გიორგი სიმონის ძე მაჩაბელი («Кавказский календарь» на 1851 г. отделение пятое, с. 12).

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 14918—ხ.

თხოვნა შეადგინა და პატიება სთხოვა, თან ძროხა მიაყოლა საჩუქრად. დიმიტრიმ ძროხა პატრონს დაუბრუნა: ღმერთმა პატრონს მოახმაროსო; დანაშაული და ჯარიმა აპატია; დაავალა — ამის შემდეგ ხე-ტყე უნებართვოდ არ მოეჭრათ[1].

გ. ტატიშვილის მოწმობით, დიმიტრის გლეხებთან დაახლოებული ყოფილა, — მათთან შუსაიფი ძალიან ჰყვარებია. ხშირად მიდიოდნენ მასთან გლეხები და თავის ჭირ-ვარამს შესჩიოდნენ. დიმიტრი თავის მხრივ დაამშვიდებდა ხოლმე მათ და სათანადო რჩევა-დარიგებას მისცემდა. გლეხებს შუდამ ეუბნებოდა: თუ ვინმემ გაგაჯავროთ, მთავრობის მოხელე იქნება ის თუ ჩემი ოჯახის წევრი და თანამშრომელი, სახლში მოვიდე თუ არა, მაშინვე მაცნობეთო. გლეხებიც ასე იქცეოდნენ და მათი საქმეც კარგად მიდიოდა: მთავრობის მოხელეებმა იცოდნენ, რომ დ. ყიფიანი გლეხების მფარველი იყო და მათ ცუდს ვერაფერს უბედავდნენ. ოჯახის წევრთაგან გლეხის შევიწროებას არავინ დაუშვებდა და მოურავიც ისეთი ინტელიგენტი პიროვნება ჰყავდა (ისაია ფურცელაძე), რომ ის გლეხთა შევიწროებას არ იკისრებდა.

როგორც უკვე ითქვა, დიმიტრი დუშეთის მაზრაში, ამილახვრიანთ-კარში ფლობდა ცოლის მამულსაც, რომელიც ათას ჰექტარამდე ფართობს მოიცავდა. ამ მამულში ბევრი გლეხი ცხოვრობდა. ისინი ბევრად ნაკლებ გადასახადს იხდიდნენ, ვიდრე სხვა მემამულეების გლეხები. გ. ტატიშვილი იგონებს: „თავის გლეხებთან დ. ყიფიანს დიდათ კარგი დამოკიდებულება და თითქმის ერთობა ქონდა; აგრეთვე სხვა მემამულეთა გლეხებთანაც კარგი დამოკიდებულება ქონდა და ყველანი თავიანთ გაჭირვებას უსათუოდ დიმიტრის შესჩივლებდნენ და სთხოვდნენ რჩევა-დარიგებას“[2].

საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც.

მიხეილ რომანოვის ბორჯომის მამულში მდებარე 25 სოფლის გლეხობის წარმომადგენლებს (225 კაცი) 1883 წლის 14 თებერვალს შეუდგენიათ სათემო განაჩენი, რომელშიც მათი გაჭირვებული მდგომარეობა იყო აღწერილი. განაჩენში გლეხები აღნიშნავდნენ, რომ ბორჯომის მამულის მოურავი ძალზე ავიწროებდა მათ უზომო გადასახადებით, რაც გლეხებს მათ მიერ სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი მიწებით და ტყით სარგებლობის სანაცვლოდ ევალებოდათ. მოურავი თვითნებურად ართმევდა გლეხებს ტყიდან გამოტანილ მორებს, იძულებულს ხდი-

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 103.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

და მათ, მამულის მმართველობის საჭიროებისათვის თივა და შეშა მიეზიდათ. გლეხების დაჭრა, ცემა-ტყეპა და სხვადასხვაგვარი შეურაცხყოფის მიყენება, ჩვეულებრივი ამბავი იყო. გარდა ამისა, მამულის სამმართველოს მომსახურე პერსონალი გლეხებისაგან ხშირად (ფულით და პროდუქტებით) ქრთამს თხოულობდა და სხვ.

გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის გამოხსნის საქმე გლეხებს თავისი წრიდან ამორჩეული წარმომადენლებისთვის — შაქარა ჩადუნელისა და სოსო პატარიძისთვის — მიუნდვიათ. ამ პირებს, თავის მხრივ, უფლება ეძლეოდათ თავისი რწმუნებანი სხვისთვის გადაეცათ.

გლეხთა რწმუნებულები, საზოგადოების განაჩენით ხელში, რჩევისა და დახმარებისათვის მისულან მეზობლად, სოფელ ქვიშხეთში მცხოვრებ დ. ყიფიანთან, რომელიც შეეცადა მხარეები მოერიგებინა — საქმე შინაურულად მოეგვარებინა. დ. ყიფიანს ბორჯომის მამულის მოურავი ვასილიევი „კეთილი საქმის მოსაგვარებლად" თავისთან მიუწვევია — სიბერე და უძლურება საშუალებას არ მაძლევს თვითონ მოვიდეო. საინტერესოა ვასილიევის პასუხი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ დ. ყიფიანს არც თუ ისე უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა გლეხთა ინტერესების დაცვის საქმეში. აი მაგალითი — ყიფიანისადმი გაგზავნილ წერილში მოურავი აღნიშნავდა: მთელი ხეობის, მთელი სააბაშიოს მცხოვრებნი ბაზრობებზეც კი ლაპარაკობდნენ, რომ მათ საჩივარი შეაქვთ მოურავზე და რომ ამ საქმეს წარმართავს და ხელმძღვანელობს დ. ყიფიანი[1]. ვასილიევმა ყიფიანთან შეხვედრა არ ისურვა. რაკი მოურავთან ვერაფერი გააწყო, ყიფიანს უშუალოდ მიხეილ რომანოვისთვის მიუმართავს, მაგრამ ასევე უშედეგოდ. მემუარებში დ. ყიფიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სოფლის საზოგადოებათა საჩივარი უყურადღებოდ დატოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჩივარი ჩემის მეშვეობით იყო წარდგენილიო[2].

მასალა მოწმობს, რომ საჭირო შემთხვევაში დ. ყიფიანი სრულიადაც არ ერიდებოდა ჩაგრულთა და დაცემულთა ინტერესების დაცვას. საყურადღებოა, რომ დ. ყიფიანი 1883—1884 წლებშიც კი, ე. ი. იმპერიაში რეაქციის პარპაშის შავბნელ პერიოდშიც, აშკარად გამოდის გლეხ-

[1] დ. ყიფიანის მოხსენებითი ბარათი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძისადმი ბორჯომის მამულში მოსახლე გლეხების შესახებ. 1884 წ. 16 მარტი. წიგნში: შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 478—479.

[2] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 112.

თა ინტერესების დამცველად. დ. ყიფიანის მოღვაწეობის მოცემულ ასპექტში განხილვისას ნაკლებად დამაჯერებელია მისი ისეთი შეფასება, რომლის მიხედვითაც, „ყიფიანი არასდროს არ ყოფილა გლეხთა, ხელოსანთა და მოსახლეობის ექსპლოატირებული ნაწილის მეგობარი“[1].

სამხედრო საქმეში გლეხობის გათვითმცნობიერების იდეა

XIX საუკუნის 60—70-იან წლებში რუსეთის იმპერიაში სამხედრო რეფორმები გატარდა. 1874 წლის 1 იანვრის კანონით, იმპერიაში შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა. ამიერიდან არმიაში გაწვევა ეხებოდა ყველა კლასისა და წოდების 21 წლის ასაკის ახალგაზრდას. სამხედრო სამსახურის ვადა 15 წელი იყო, აქედან: 6 წელი — ნამდვილი სამხედრო სამსახური და 9 წელი — თადარიგში ყოფნა.დასახელებული კანონი საქართველოსაც შეეხო:

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი გლეხი— ახალგაზრდები არ მიჰყავდათ არმიაში, მათგან იქმნებოდა მილიციის კადრები[2]. რაც შეეხება ქართველ თავადაზნაურულ ახალგაზრდობას, ის დიდი ხალისით შედიოდა რუსეთის არმიის სამსახურში (აგრეთვე მილიციაში). ქართველმა ოფიცრობამ რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში თავი ისახელეს, მაგრამ, საერთოდ, ქართველ ახალგაზრდობას 1874 წლამდე რუსეთის არმიაში სავალდებულო სამსახური არ ევალებოდა. ახალი კანონი ამ გამონაკლისს გამორიცხავდა. 1874 წლის კანონის განხორციელებისათვის სამზადისს ქართველ გლეხობაში შეშფოთება გამოუწვევია. კერძოდ, როცა საქართველოდან ჯარისკაცის გაყვანის მოთხოვნა შეუტყვიათ, დ. ყიფიანისათვის მესობელ გლეხებს დახმარება უთხოვიათ. ამბის თვითმხილველი მოგვითხრობს: ერთ დღეს დიმიტრის მთელი ეზო ქვიშხეთისა და ახლო-მახლო სოფლების გლეხებით გაივსო. დიმიტრის ვაჟმა კოტემ რომ დაინახა შეგროვილი ხალხი, გავიდა მათთან და ჰკითხა: ხალხო, რა გაგჭირვებიათო?

გავიგეთ დიმიტრი თბილისიდან მობრძანებულა და გვინდა მისი ნახვაო.

კოტე ავიდა თავის მამასთან მეორე სართულზე და ხალხის სურვილი მოახსენა. დიმიტრი მყისვე გლეხებთან ჩამოვიდა. გლეხებს თავიანთ წრეში წინდაწინ ჰყავდათ არჩეული ორი კაცი, რომლებსაც უნდა ელა-

---

[1] Г. И. Мегрелишвили, დასახ. თხზ., გვ. 186.

[2] А. Сумбатов, В мощных обятиях, Петроград, 1919, с. 33.

პარაკათ დიმიტრისთან. დიმიტრიმ ყველას საერთო სალმით მიმართა და ჰკითხა: ხალხო! რა გაგჭირვებიათ? — ხალხმა უპასუხა:

— ბატონო დიმიტრი! გაჭირვება დიდი გვადგია, რაზედაც ლაპარაკი თქვენთან ექნებათ აი, ამ ჩვენ ამორჩეულ კაცებს. ამის შემდეგ, არჩეული ორი კაცი: პავლე სუთიაშვილი და პეტრე ხაჩიძე, რომლებსაც მოხსენება ეკალებოდათ, წინ წამოდგნენ.

— ჩვენ შვილებს სალდათად გაყვანას უპირებენ და გაგზავნას ცივ რუსეთში, საიდანაც ნახევარი ცოცხალი არ დაბრუნდება, რადგან იქაურ ცივ ჰაერს ვერ აიტანენ. გთხოვთ დაგვეხმაროთ და უბედურება თავიდან აგვაშოროთ. — დიმიტრიმ ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ უპასუხა:

— ხალხო! უნდა გამოგიტყდეთ, მე თვითონ მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა იარაღის ხმარება ისწავლოს. ერთი თოფიანი მტერი რომ სოფელში შემოგვივარდეს, არავინ ვიცით იარაღის ხმარება, რომ მტერი მოვიგერიოთ. საერთოდაც ჩვენთვის საჭიროა იარაღის ხმარების ცოდნა, ბევრნაირი მოულოდნელი ამბებისათვის. ასე, რომ თქვენც ჩემსავით უნდა ფიქრობდეთ და შეურიგდეთ აბ გარემოებას. რაც შეეხება რუსეთში წაყვანას სასწავლებლად, ამისი მეც წინააღმდეგი ვარ, რადგან ადგილობრივაც კარგად შეიძლება სალდათის გაწვრთნა, გაძლევთ სიტყვას, ძალიან ვეცდები, რომ ამ მართლადა უბედურებისაგან დაგიხსნათ.

ამ დაპირებით ცოტა დაიმედებული გლეხები დიმიტრის მადლობით გამოეთხოვნენ, ნელ-ნელა, ბაასით, მსჯელობით დაიშალნენ. რამდენიმე საპატიო დამსახურებული გლეხი და ამორჩეული კაცები დიმიტრიმ სახლში დაიტოვა პატივსაცემად და მოსალაპარაკებლად, რათა გლეხები დიმიტრის აზრსა და პასუხზე უკმაყოფილონი არ დარჩენილიყვნენ.

„ვისი მიზეზით, ეს არ ვიცი, მართლადა რუსეთათ სალდათის წაყვანა საქართველოდან რამდენიმე წელიწადი შეჩერებული იყო“, — აღნიშნავს მოგონების ავტორი[1].

მოტანილი ამბების აღწერიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს დიმიტრის მიერ გლეხებისადმი ნათქვამი სიტყვები: „მე თვითონ მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა იარაღის ხმარება ისწავლოს... ჩვენთვის საჭიროა იარაღის ხმარების ცოდნა, ბევრნაირი მოულოდნელი ამბებისათვის“.

ცნობილია, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მისი მოსახლეობა, მრავალი საუკუნის მანძილზე, განუწყვეტლივ იყო ჩაბმული გარეშე

[1] გ. ტატიშვილის მოგონებანი დ. ყიფიანზე, ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

მტრებთან ბრძოლაში. იარაღს კარგად ფლობდა როგორც თავადაზნაურობა, ისე გლეხობა და სწორედ ამის გამო იყო, რომ მათ შეძლეს თავისი ქვეყნის, თავისი ეროვნული მეობის დაცვა და შენარჩუნება. მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ ვითარება შეიცვალა, საგარეო ომებში გლეხობა უშუალოდ იარაღით ნაკლებად მონაწილეობდა. დრო გადიოდა და შეერთებიდან 70—80 წლის გასვლის შემდეგ გლეხი ახალგაზრდობა იარაღს და საბრძოლო საქმეს, მასობრივად, ცხადია, ისე ვერ ფლობდა, როგორც თავის დროს დამოუკიდებელი საქართველოს თავადაზნაურობა და გლეხობა. როგორც ჩანს, დ. ყიფიანს ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა შენიშნავდა: სოფელში იარაღის ხმარება არ ვიცითო.

მართალია, თავადაზნაურობის ნაწილმა იცოდა იარაღის ხმარება, მაგრამ, ეტყობა, დიმიტრისთვის ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი. მას სურდა, რომ იარაღის ხმარებას, სამხედრო საქმეს მთელი ხალხი დაუფლებოდა. მოცემულ პერიოდში ხალხის სინონიმი გლეხობაა, იარაღის დაუფლებაშიც ერის გადამწყვეტ ძალას გლეხობა წარმოადგენდა და სწორედ მას ურჩევდა დ. ყიფიანი იარაღის ხმარების შესწავლას.

აქ გვახსენდება ვ. ი. ლენინის სიტყვები: ჩაგრული კლასი, რომელიც არ მიისწრაფვის იმისკენ, რომ ისწავლოს იარაღის ხმარება, ჰქონდეს იარაღი, ასეთი ჩაგრული კლასი მხოლოდ იმის ღირსი იქნებოდა, რომ მას ეპყრობოდნენ, როგორც მონებს[1].

ვფიქრობთ, დ. ყიფიანი შეიძთხვევით არ მოუწოდებს თავის ხალხს იარაღის ხმარების შესწავლისაკენ. მოცემულ ისტორიულ ეპოქაში მხოლოდ იარაღის ძალით შეიძლებოდა მჩაგვრელთა დამხობა, სოციალური და ეროვნული მონობისგან განთავისუფლება. დიმიტრის მიერ იარაღის დაუფლებისაკენ მოწოდება იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ მომავალში მშრომელ გლეხობას იარაღი დასჭირდებოდა თავისი კლასობრივი თუ ეროვნული მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ძნელი სათქმელია, როდის იყო დასახელებული ფაქტი. ეს ამბავი, შესაძლოა, მოხდა ან მაშინ, როცა გლეხობამ შეიტყო 1874 წლის 1 იანვრის კანონის შინაარსი, რომლითაც საყოველთაო სამხედრო ბეგარა წესდებოდა, ან როცა დაიწყეს გასაწვევი რეკრუტთა სიების შედგენა (ეს, ჩვენი ვარაუდით, 1878 წელს მოხდა და სწორედ მაშინ იყო ქიზიყელ გლეხთა გამოსვლაც)[2], ან როცა გამოცხადდა ამიერკავკასიის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 23, გვ. 96.

[2] 1878 წელს ქიზიყელ გლეხთა გამოსვლაზე, იხ. „ივერია", 1878, №№ 46, 47.

მცხოვრებთა ჯარში გაწვევის უმაღლესი ბრძანება (1886 წელს)[1]. სამხედრო სავალდებულო საიმპერიო ამიერკავკასიის ახალგაზრდებისათვის რეალობად 1887 წლიდან იქცა[2]. ჩვენის ვარაუდით, ეს ამბავი უფრო 1878 წელს, ან მის ახლო ხანებში უნდა მოხდარიყო. საქმე ისაა, რომ მანამდე ჯარში გაწვევის ახალ კანონს კონკრეტული გამოხატულება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. ამასთან, რაც გლეხები კოტე ყიფიანს ეუბნებიან: გავიგეთ, დიმიტრი თბილისიდან ჩამოსულაო, ეს აგრეთვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ დიმიტრი მუდმივად თბილისში მსახურობს. იგი 1876—1879 წლებში ქალაქის თავი იყო და, ბუნებრივია, ის მუდმივად ამ ქალაქში იმყოფებოდა. 1886 წელს კი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლია და, მაშასადამე, ის მუდმივად ქუთაისში იყო და არა თბილისში.

V. თავი

დიმიტრი ყიფიანი — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. მისი ღვაწლი თბილისის თავადაზნაურობის სააღგილმამულო ბანკის დაარსებაში

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი

სამსახურებრივ და საზოგადოებრივ სარბიელზე დ. ყიფიანის წინსვლას ხელს უშლიდა ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ნაწილის ოპოზიცია. მაგალითად, როცა კავკასიის მეფისნაცვალმა მურავიოვმა დ. ყიფიანი თავისი კანცელარიის მმართველად დამტკიცებისათვის პეტერბურგს წარადგინა, ამ ოპოზიციას საშინელი გნიასი აუტეხია. ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ამ ოპოზიციას „ვორონცოვის დასს“ უწოდებს, იგონებდა: მურავიოვმა კარგი საქმე ჰქმნა ქართველებისათვის. როგორც თვითონ ქართველი, ისე გულით ნამდვილი ქართველი და ქართველებისათვის კეთილგამზრახველი დიმიტრი ყიფიანი თავისი კანცელარიის მმართველად დააყენა. „ამისთანა (ჩვენგნით მოულოდნელი და უფიქრელი) ადგილი ქართველს ჩააბარა, მაგრამ გითხრათ? — ასეთი ყიჟინა შეიქმნა ვარანცოვის დასისაგან ყიფიანზე, რომ

---

[1] „ივერია“, 1886, № 192; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 8, თბ., 1957, გვ. 298.

[2] А. Сумбатов. В мощных обятиях. Петроград. 1919. с. 34.

რაღა ვთქვა. — „მურავიოვი ის ასეთი, ის ისეთი, ყიფიანი იმისთანა დიდს ადგილზე როგორ დააყენა?" — ასე გეგონებოდათ ერთი რაღაც დიდი უბედურება მოსვლიათო, ასე ღავღავებდნენ ისინი ყიფიანზე. აქის გამო იყო, რომ პეტერბურგიდან უარი მოვიდა ყიფიანის დანიშვნაზე[1].

ახლა კი გავიხსენოთ დ. ყიფიანის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად არჩევის ამბავი.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დიმიტრი ყიფიანი თავის წინამძღოლად (მარშლად) პირველად 1864 წლის 16 თებერვალს აირჩია, ხოლო ხელმეორედ — 1867 წელს[2].

თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნები შედგა იმ დროს, როცა ბატონყმობა საქართველოში ჯერ არ გაუქმებულიყო. ამ დიდ საზოგადოებრივ ცვლილებას ახლო ხანში ელოდნენ. თავადაზნაურობას სურდა მოთავედ ისეთი კაცი ჰყოლოდა, რომელიც მის ინტერესებს მაქსიმალურად დაიცავდა; აგრეთვე ის ფული, რასაც თავადაზნაურობა მიიღებდა, საქმის სასარგებლოდ ყოფილიყო გამოყენებული. ეს საქმე, პირველ ყოვლისა, სასწავლებლებში თავადაზნაურობის ბავშვთა აღზრდას გულისხმობდა. მეტი ნაწილი თავადაზნაურობისა იმ აზრისა იყო, რომ ამ საქმეს დ. ყიფიანის მეტი ვერავინ მოუვლიდა. იმ დროის გუბერნიის მარშალს მოეთხოვებოდა დიდი მოშზადება და არაჩვეულებრივი უნარიანობა. ყველა გრძნობდა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ მომავალი მარშლის კვერთხის მისაღებად და წინამდებარე უაღრესად დაძაბული საქმიანობისათვის სრულიად არ იყო საკმარისი მხოლოდ მაღალი ტიტული. ამის გამო უპირატესობა მიანიჭეს თავმდაბალ, უტიტულო, მაგრამ უაღრესად განათლებულ და შრომის იშვიათი უნარის მქონე დ. ყიფიანს, რომელმაც საგლეხო რეფორმის მოშზადებისას დიდი სამუშაოები შეასრულა[3].

თავადაზნაურობის მარშლობა ჩვენში რუსეთთან შეერთების შემდეგ დაწესდა. ყიფიანის არჩევამდე გუბერნიის მარშლებად მხოლოდ თავადური არისტოკრატიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ. თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნები პირველად 1803 წლის ივლისში (პავლე ციციანოვის მთავარმართებლობის დროს) ჩა-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1662, გვ. 13.

[2] ლიტერატურის მუზეუში № 2298—ბ.

[3] Г. Ж. Светлой памяти славного грузина Д. И. Кипиани (1814—1887), «Закавказье», 1912, № 107.

ტარებულა და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად თავადი გარსევან ჭავჭავაძე აურჩევიათ[1].

შემდეგში, 1812 წლიდან 1864 წლამდე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლებად ყოფილან:[2]

გენერალ-მაიორი კონსტანტინე მუხრანბატონი (1812—1839 წწ.),

გენერალ-მაიორი დიმიტრი ჯამბაკურ-ორბელიანი (1839—1855 წწ.),

გენერალ-მაიორი ივანე ჯამბაკურ-ორბელიანი (1855—1858 წწ.),

ფლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1858—1864 წწ.).

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადების რთულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ძირითადმა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა თავის წინამძღოლად პირადი ღირსებებით გამორჩეული პიროვნება დ. ყიფიანი აერჩია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენში არა მარტო გუბერნიის, არამედ მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლად წვრილი აზნაურის კანდიდატურა იქნა წამოყენებული.

ჩვენი იმდროინდელი დიდკაცობა და გენერლობა დ. ყიფიანის წინააღმდეგ გამოვიდა. ამბობდნენ: ჯერ ერთი, ეგ აზნაურიშვილიო, წინამძღოლი კი თავადი უნდა იყოსო; მეორეც, მთავარმართებლობა არ სწყალობს, ჯერ კიდევ მეფისნაცვალი ბარიატინსკი იყო მასზე გამწყრალი, რადგანაც მის დაუკითხავად სამეგრელოს მთავრის მეურვეობა იკისრა. ამის გამო მათ უთანხმოება ჩამოუვარდათ და, მაშასადამე, არც ერთი მისი შუამდგომლობა თავადაზნაურობის საჭიროებებზე არ გავაო[3].

მარშლის ამორჩევა მომხდარა ივანე მუხრანბატონის სასახლეში (შემდეგ იქ თბილისის კლუბი იყო). აქ, მთელ თავადაზნაურობას მოუყრია თავი და ცხარე პაექრობა გამართულა. ყიფიანის წინააღმდეგ გამოსულა გრიგოლ ორბელიანი და ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. მათ, თავადაზნაურთა ყრილობა უკმაყოფილების გამომხატველი გუგუნით შეხვედრია. ამის გამო ივანე მუხრანბატონს ყრილობის მონაწილეებისათვის „ბუნტოვშჩიკები" უწოდებია და დაუყვირია: „პროკუ-

---

[1] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под ред. К. Л. Зиссермана, т. I, вып. I, Тифлис, 1870, с. 37.

[2] სცსსა, ფონდი 12, აღწ. 4, საქმე 262, ფურც. 61.

[3] ვასილ მაჩაბლის მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ, გაზეთი „თემი", 1912, № 96

რორი მოვიდეს აქ, პროკურორიო"[1]. ყრილობის მონაწილეები შემკრთალან. პროკურორის სახელი იმ დროს საფრთხობელას ჰგავდა. ყრილობა გაურკვეველი მდგომარეობიდან ერთ ახალგაზრდა ოფიცერს (თავად ალექსანდრე არღუთაშვილს) გამოუყვანია. მას ხმამაღლა მოუჭრია სიტყვა გენერალ ივანე მუხრანბატონისათვის:

— რა არის ეს? თავადაზნაურობის ყრილობაზე პროკურორის გამოძახება, თავადასნაურთა შეკრების მონაწილეებისათვის ბუნტოვშჩიკების წოდება? ბუნტოვშჩიკებია არა უმრავლესობა, არამედ უმცირესობა, რომელიც არ სცნობს უმრავლესობის უფლებებს.

ყრილობა გამოერკვა. დაიწყეს ყვირილი: „ძირს მუხრანბატონი!", „გენერლებო წაეთრიეთ!" აი, მაშინ გრიგოლ ორბელიანს წარმოუთქვამს თავისი საგულისხმო ფრაზა: „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორეს".

დაიწყო კენჭისყრა. ჯერ გამოიძახეს მაღალი თანამდებობის პირები (ბობოლები) ათამდე გენერალს უარი უთქვამს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე. ყველაზე პირველად გამოიძახეს გრიგოლ ორბელიანი, ის ამდგარა და უთქვამს, რომ ყიფიანის არჩევას სახიფათოდ სთვლის (სამსახურიდან არის დათხოვნილიო!), რის გამოც უარს ამბობს კენჭის ჩაგდებაზე. კენჭისყრაში მონაწილეობაზე ასევე უარი უთქვამთ ივანე მუხრანბატონს, გიორგი მუხრანბატონს, პლატონ იოსელიანს (თვითონ უბრალო აზნაურიშვილს), გიორგი რომან. ერისთავს, ივ. შალიკაშვილს, მიხ. გაბრ. ყაზბეგს და სხვ[2].

როცა გამოუძახიათ გენერალი თარხანმოურავი და ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვი, ისინი თამამად ამდგარან, მისულან საარჩევნო ყუთთან და ჩაუგდიათ თეთრი კენჭი, ესე იგი ყიფიანისათვის ხმა მიუციათ. მათ შემდეგ იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს და ზაალ ბარათაშვილს აგრეთვე აშკარად ყუთში თეთრი კენჭი ჩაუშვიათ.

დ. ყიფიანი აირჩიეს. თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობამ დ. ყიფიანის მარშლად არჩევით, დიდგვაროვანთა ოპოზიციას „პანღური ამოჰკრა"[3].

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის შემდეგ,

---

[1] «Прокурора сюда, прокурора»

[2] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, შემუარები, გვ. 100; ვასილ მაჩაბლის მოგონება დ. ყიფიანზე. „თემი", 1912, № 96; А. П у р ц е л а д з е. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. «Закавказская речь», 1912, № 132.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 15026—ხ.

დ. ყიფიანს ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის უთქვამს: „თქვენ გადასდგით დღეს, ბატონებო, ძნელი და საგანგებო ნაბიჯი თქვენს სახოგადო ცხოვრებაში, თქვენი კენჭით თქვენ გადაისროლეთ წარსულის უფსკრულში ის ცრუმორწმუნეობა, რომლის ქვეშ თქვენ იმყოფებოდით. თქვენ მაღირსეთ დიდი პატივი, დამაყენეთ თქვენს მეთაურად, მთელ ქვეყნიერებაზე უძველესი თავადაზნაურობის სათავეში“[1].

დ. ყიფიანს ამავე სიტყვაში ჩამოუყალიბებია თავადაზნაურობის წინამძღოლის სტატუსი, რომ თავადაზნაურობის წინამძღოლის უფლება და მოვალეობა გამორკვეულია: მთავრობის წინაშე იგი თავისი წოდების წარმომადგენელია და მისი ინტერესების მოსარჩელე, წოდების წინ კი იგი — მთავრობის განკარგულებათა აღმასრულებელი[2].

შემდგომმა ამბებმა ცხადყო, რომ დ. ყიფიანის მარშლად არჩევამ თავადაზნაურობის იმედი სავსებით გაამართლა[3]. ამ თანამდებობაზე ყოფნისას დ. ყიფიანმა ქართველ თავადაზნაურობას მნიშვნელოვანი ამაგი დასდო. მან მთავრობისაგან ქართველი თავადაზნაურობისათვის გამოითხოვა ფულადი ანაზღაურება ყმა გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ნაცვლად. რუსეთის თავადაზნაურობას ასეთი ანაზღაურება არ მიუღია. ქართველ თავადაზნაურობას მეფის მთავრობამ ყმა გლეხთა მამრობითი სქესის თითოეულ სულზე 25—50 მანეთი გადაუხადა. მთავარი კი ისაა, რომ ყიფიანისავე ინიციატივით, ამ თანხის გარკვეული ნაწილის საფუძველზე, დაარსდა სათავადაზნაურო ბანკი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის პროგრესისათვის ხელშეწყობაში მცირე როლი როდი შეასრულა.

თბილისის საგუბერნიო ყრილობაზე თავადაზნაურობის უმრავლესობის თავის ზედაფენასთან შეჯახებისათვის იმპერატორსაც მიუქცევია ყურადღება. კერძოდ, გ. მუხრანბატონი აღნიშნავდა, რომ 1864 წლის 20 ივნისს, აუდიენციის დროს, იმპერატორი მას ეკითხებოდა იმ შთაბეჭდილებაზე, რაც გუბერნიის თავადაზნაურობის ახალ წინამძღოლად ყიფიანის არჩევას თავადობაზე მოუხდენია[4].

დ. ყიფიანი ექვსი წელი იყო მარშლად და თავადაზნაურობამ კარგად

---

[1] კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი, ცოტა რამ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან, გაზეთი „თემი“, 1912, № 78.

[2] ი ქ ვ ე.

[3] «Тифлисский вестник», 1875, № 132; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 4, 1964, გვ. 309.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბარონ ალ. ნიკოლაის ფონდი, № 41.

დაინახა მისი მოღვაწეობის დადებითი შედეგები. 1870 წლის არჩევნების დროს ხმა დაირხა; რომ ალექსანდრე II საქართველოში უნდა ჩამოსულიყო. ყიფიანის მოწინააღმდეგენი ვერ შეურიგდნენ აზრს, რომ მარშლად ყოფილიყო „აბაშიძეების ნაზნაურიშვილევი“. ისინი ივიწყებდნენ, რომ „ადრეც და ბოლოს დროსაც ჩვენს წინამძღვრებად იყვნენ საქართველოს პირველი გვარის შვილები, მაგრამ გაკეთებით კი ვერა გაგვიკეთეს რა“[1].

ხშირად ასმენინებდნენ დ. ყიფიანს, რაკი ხელმწიფე მოდის, წინამძღოლად განთქმული გვარის შვილი უნდა იყოსო, იქნებ ხელმწიფემ მოწყალება რამ გაიღოს ჩვენთვისაო.

ამიტომ, 1870 წლის მაისში, როცა მარშლის ამოსარჩევად თავადაზნაურობა შეიკრიბა, დ. ყიფიანმა (თუმცა მას კრების უმეტესი ნაწილი სთხოვდა კიდევ დარჩენილიყო მარშლად) უარი თქვა ამ თანამდებობაზე და ვერაფრით ვერ შეარყიეს მისი გადაწყვეტილება.

დ. ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოწყალებას რასმე უბოძებს საქართველოს, და თუ ვინცობაა ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არ ყოფილიყავი მარშლად, იქნება ეს არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნება, მართლა, ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისი, თუ ვინიცობაა ხელმწიფემ არავითარი მოწყალება არ ისურვა, და საზოგადოების წინაშე დამნაშავე გამოვალო.

თავადაზნაურობამ, მართალია, წინამძღოლად გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი ამოირჩია, 1871 წელს ალექსანდრე II საქართველოში მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ყველამ დავინახეთ, რა უნარიც გამოიჩინა ახალმა წინამძღოლმა და რა მოწყალება მიიღო საქართველოს თავადაზნაურობამაო, — შენიშნავს ვ. თულაშვილი[2].

ბანკის დაარსება

დიმიტრი ყიფიანი ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე ცდილობდა შეეგონებინა ქართველი თავადაზნაურობისათვის, თუ რა სარგებლობას მოიტანდა მეურნეობათა გარდაქმნა ახალი ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. მართალია, მემამულეთა ერთმა ნაწილმა შეძ-

---

[1] ვახტანგ თულაშვილი, შენიშვნა, ჟურნ. „მოამბე“, 1895, № V, მაისი.
[2] იქვე.

ლო თავისი მეურნეობრივი საქმიანობის ბურჟუაზიულ საწყისებზე დაფუძნება, მაგრამ მათი უმრავლესობა კვლავ ყმათა შუქთ შრომას ემყარებოდა. ბატონყმობის გაუქმებამ, ყმა გლეხთა იურიდიულმა განთავისუფლებამ, ასეთ მეურნეობებს მთლიანად მოურღვია საფუძველი. ამის გამო არაერთი მემამულური მეურნეობა დაეცა და განადგურდა[1].

არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთელი ქართველი თავადაზნაურობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების გულგრილი მაყურებლის როლში რჩებოდა. მემამულე თავადაზნაურობა იძულებული იყო ახალი ვითარებისათვის ფეხის აწყობას ცდილიყო. ქართველი მემამულეები მიისწრაფოდნენ, რათა თავიანთი ძალები გაეერთიანებინათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების საქმეში, მოეგვარებინათ სოფლის მეურნეობის მანქანებითა და იარაღებით მომარაგება. მემამულეები აფართოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკურ გადამუშავებას, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სასაქონლო პროდუქცია დაემზადებინათ გასაღების მიზნით. სახსრებს აბანდებდნენ სამრეწველო წარმოებაშიც. რეფორმის შემდგომი პერიოდის მემამულური მეურნეობა ქვეყნის ბურჟუაზიულ ეკონომიკასთან ათასგვარი ძაფებით იყო დაკავშირებული[2].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც ქართველმა თავადაზნაურობამ ახალი ვითარების შესაბამისად განახორციელა, იყო თბილისის თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის დაარსება. დ. ყიფიანმა მემამულეებს სთხოვა, რათა ბანკის მოსაწყობად გამოეყენებინათ იმ ფულადი თანხის ნაწილი, რაც მებატონეებმა ყმათა განთავისუფლების სანაცვლოდ მიიღეს.

ანტონ ფურცელაძე აღნიშნავდა, რომ დ. ყიფიანის შორსმჭვრეტელმა გონებამ მოისაზრა და ასწონა, რომ ცივილიზაციის უმთავრესი ფაქტორი არის სწავლა, განათლება, მეცნიერება. ჩვენს ბედზედ ეს მხნე, დიდი გონისა და ნიჭის კაცი, კაცი მოქალაქეობრივი გაბედულებისა იყო იმ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად. მან ისარგებლა ამით და შეუდგა ჩვენში სწავლა-განათლების მკვიდრად დაფუძნებას. მისი განზრახვით თავადაზნაურობას ბანკის დასაარსებლად უნდა გაეღო იმ ფულის ნაწილი, რაც მას ყმების განთავისუფლების სანაცვლოდ ხაზინიდან ეძლეოდა. იგი ამ საქმეს გასაოცარი სიმხნევით

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ტფილისის საადგილმამულო ბანკი, „ივერია", 1886, № 121, თხზულებანი, ტ. 7, თბ., 1956, გვ. 375.

[2] საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, II, 1975, გვ. 183—184.

და ცოდნით შეუდგა. დიმიტრიმ შესძრა ამ საქმეზე მთავრობა, გუბერნატორი ორლოვსკი, რომელიც მისი პირადი მეგობარი იყო; წერილებით, პირადი მოლაპარაკებით შესძრა მაზრების მარშლები, საქართველოს უპირველესნი პირნი, მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა, რომელსაც შესძახოდა, შთააგონებდა მომავალი თაობის წინაშე თავის ვალდებულებას და ევედრებოდა დახმარებოდნენ ამ დიდ საქმეში. ჩამოუარა მთელს ქართლ-კახეთს, დაუარა ოჯახებს. აიღო ნებართვა მაზრის თავადაზნაურთა კრებების მოწვევისა. ესწრებოდა ამ კრებებს. მხურვალე გულით, ცხარე, რიხიანი, შეწყობილი, დასაბუთებული სიტყვებით, თვით უაღრესად განათლებული ევროპის ერებშიაც ძვირად რომ გაისმის, შეასმენდა თავადაზნაურობას ამ დიდი საშვილიშვილო საქმის მნიშვნელობას[1].

1864 წლის 31 აგვისტოს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა დ. ყიფიანმა მაზრის მარშლებს მოუწოდა, რათა მებატონეებს ყმათა განთავისუფლებისათვის მიღებული ფულის ყოველი მანეთიდან აბაზი (20%) გადაეღოთ ბანკის დასაარსებლად. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ, თავის მხრივ, თავის ძმებთან ერთად, მიღებული თანხის 50%-ს აღნიშნული საქმისათვის გადასდებდა[2].

1864 წლის 9 ნოემბერს დ. ყიფიანმა უკვე აღმოსავლეთ საქართველოს მთელ თავადაზნაურობას მიმართა[3]. მიმართვაში ნათქვამი იყო:

ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს, იმათის სამსახურის მაგიერად ჩვენ ხელმწიფისაგან ფული გვეძლევა.

ჩვენში მე ისეთი შვილების პატრონი მამა არავინ მეგულება, რომ შვილებისათვის არ იზრუნოს, არც უშვილო მეგულება ისეთი, რომ იტყოდეს, მე კარგად ვიყო და ქვეყანა წყალსაც წაუღიაო.

ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ, რაც ახლა ფული გვეძლევა, მალე გაგვიქრება ხელში და რაც უფრო მალე შემოგველევა, უფრო ადრე სხვა ახალი გაჭირვება დაგვადგება და ვინ იცის.იქნება უფრო ძნელი და უფრო უკიდურესი გაჭირვებაც გაგვიჩნდეს.

მე ამას გირჩევთ, გთხოვთ, გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდვათ საკუთრად ქვეყნისათვის, სახვალიოდ, და თქვენის შვილებისა, შვილიშვილებისა და უშორესი შთამომავლობისათვის.

---

[1] ანტ. ფურცელაძე, სკოლა და ბანკი, „იერია", 1896, № 17.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 2298—ხ.

[3] „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლისაგან, საზოგადოდ თავადაზნაურობის წევრთა მიმართ" ტფილისი, 9 ნოემბერი 1864.

აქედან შედგება 300—400 ათასი მანეთი. „ამ ფულით შეიძლება და კანონიც გვაძლევს ნებას, რომ საკუთრად ჩვენი საერთო, სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნას". „სხვაგან თხოვნასა და ფულის გამსესხებლების მიმართვასა ეს არ ემჯობინება? უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარის ბანკიდამ გაგვქონდეს?".

ბანკში ძალიან მატულობს ფული, 8—10—15 წელიწადში ჩვენი აბაზი, ერთი ორად ან სამად იქცევა. თუ მანეთზე აბაზს შევიტანთ ბანკში, იქიდან ხელის გამართვის საშუალება ყოველთვის გვექნება. „და თუ ბანკის შემოსავლის რომელიმე ნაწილი ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, — მაშინ, — გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამასა, რაოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივ ვალდებულებასა და რაოდენად ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებას!! ხომ კარგად იცით, რომ დღეიდამ განათლებაღა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!"

მიმართვის ბოლოს დიმიტრი ყიფიანი ქართველ თავადაზნაურობას მოუწოდებდა: „ნუ ასჩქარდებით უარის სათქმელად, აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი, — და აქ თუ უარი წარმოვსთქვით, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ისეთი ცუდი საქმე დაგვეშართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს არ შეიძლებოდეს". ცოტა ხანში ერთად შევიკრიბებით და ერთად გავარჩიოთ საქმეო.

დ. ყიფიანმა ბევრ კერძო პირსაც გაუგზავნა წერილები და სთხოვა, მისაღები ფულის 20% გადაედოთ ბანკის თავნის შესაქმნელად. ამით თავადაზნაურობის საერთო ვალიც (ლაპარაკია თავადაზნაურობის წვრილმან ვალებზე ბატონყმობის გადავარდნის დროს) დაიფარებოდა და შესაძლებელი იქნებოდა თავადაზნაურთა 150 ბავშვის აღზრდა[1].

ამ მიწერ-მოწერაში მეტად საყურადღებოა დ. ყიფიანის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი. ეს წერილი და მომხდარი ამბავიც გვიჩვენებს, თუ რამდენად იყო ყიფიანი გატაცებული ამ საქმით: პირად თავმოყვარეობასაც არ ზოგავდა, ოღონდ შესრულებულიყო ის, რაზედაც იყო დამოკიდებული მომავალი თაობის სწავლა-განათლება. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ვიცით, წინააღმდეგი იყო ყიფიანის მარშლად არჩევისა, მათ კიდევ ბევრი სხვა უსიამოვნებაც მოუხდათ.

სწორედ ამ ამბების შემდეგ, დ. ყიფიანი გრ. ორბელიანს სწერდა (1864 წლის 31 აგვისტო):

„კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რამე ისეთი

[1] «Закавказье», 1912, № 107.

თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყვე წყრომისა, თუმცა-კი დიდის სიამოვნებით შევინანებდი, რომ ვიცოდე, რა არის ჩემი დანაშაული. მაგრამ რაც მოხდა — მოხდა. მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალებას: დიდ შეშფოთებას გეველდრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც უეჭველია ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენი კეთილი გულისაგან შეუწუნარებლად განაგებთ"[1].

ასე იმდაბლებდა ყიფიანი თავს საზოგადო საქმისათვის. მაგრამ ბევრად არც ამან გასჭრა. დიდკაცობის მეტმა ნაწილმა, დიდი მამულების მეპატრონეებმა ყიფიანს მხარი არ აუბეს[2].

დ. ყიფიანის მიზანდასახულობას — ბანკის დაარსებას და შემდეგ მიღებული მოგების ერთი ნაწილის თავადაზნაურობის ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმისათვის გამოყენებას — სერიოზული მოწინააღმდეგეები აღმოუჩნდა. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული დიმიტრის უფროსი ვაჟის ნიკო ყიფიანის მიერ პეტერბურგიდან მამისადმი გამოგზავნილ წერილში (1865 წლის 13 იანვარი). ნიკო თავის მამას სწერდა: მივიღე დეკემბრის თვეში გამოგზავნილი შენი წერილები. მწერ ბანკის მოწყობის თაობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამ საქმეს გააკეთებ სხვადასხვა დაბრკოლებებისა და ჩვენი ტიტულოსანი „ვაცების" — ერისთავების, ორბელიანების, მუხრანბატონების და სხვათა — უვიცობისა და თავისი ჭეშმარიტი ინტერესების გაუგებლობის მიუხედავად. ჩვენს შორის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილს სწორედ რომ ესენი შეადგენენ, ესენია ჩვენს წინსვლას რომ ამუხრუჭებენ. დროა თავიდან მოვიცილოთ ისინი; დროა თვითონ ვიმოქმედოთ და გავთავისუფლდეთ მათი გავლენისაგან[3].

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ ბანკის დაარსების იდეას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე გორის მაზრასა და თბილისში ჰყოლია. ამის თაობაზე ნიკო მამას სწერდა: გორში ბრძოლა შენი გამარჯვებით დამთავრდა. თბილისში, ვფიქრობ, უფრო მეტი ბრძოლა მოგელის, „ვაცები", უეჭველია, საშინელ წინააღმდეგობას გაგიწევენ, მაგრამ შენ იქაც გაიმარჯვებ. ხოლო სიღნაღი და თელავი, მე მგონია, შენი საქმისათვის ყველაზე უფრო თავდადებული მაზრებია[4].

ა. ფურცელაძის მოწმობითაც, დ. ყიფიანის წამოწყების წინააღმდეგ

---

[1] ანტ. ფურცელაძე, სკოლა და ბანკი, „ივერია" 1896, № 17.

[2] იქვე.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 14981—ხ.

[4] იქვე.

ბევრი მსხვილი მემამულე გამოსულა განსაკუთრებით გორის მაზრაში, ხოლო ეს მაზრა, სხვა მაზრებთან შედარებით, ყველაზე ძლიერი და ყველაზე გავლენიანი იყო. მსხვილ მემამულეებს შვილების აღზრდა ბანკის დაუხმარებლადაც შეეძლოთ. ამიტომ საჭირო იყო ღარიბი აზნაურობის მიმხრობა. ყიფიანის მომხრეებმა დიდი ენერგია დახარჯეს, რათა მემამულეთა უმრავლესობა თავისი საქმის სასარგებლოდ განეწყოთ.

დასახელებული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, თავადაზნაურობის სამაზრო კრებების მიერ მიღებული დადგენილებანი საფუძვლად უნდა დასდებოდა საგუბერნიო შეკრების გადაწყვეტილებას ბანკის დაარსების თაობაზე. ამასთან, საჭირო იყო თითოეული მემამულის დარწმუნება, რათა ბანკის დაარსების საქმეში მათ თავისი წვლილი შეეტანათ[1].

ვასილ მაჩაბელი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: როცა დ. ყიფიანის მოწოდება მამაჩემმა მიიღო, ჩვენ მივწერეთ დიმიტრის, რომ ერთი მეხუთედი ჩვენი ფულისა დაეკავებინათ და გადაედოთ ამ მეტად სასარგებლო და დიდებული საქმისათვის. სამწუხაროდ, ჩვენს გორის მაზრაში ისინი, ვისაც ბლომად გამოუვიდა ყმების ფული, არ დაეთანხმნენ ფულის გადადებას. მთელ ერისთავებში მარტო ერთი ბიძაჩემი — გიორგი ერისთავი („მამამზედ" წოდებული) — დაეთანხმა თავისი ხვედრის გაღებას, დანარჩენებმა თავისი ფული უბრალოდ მიფლანგ-მოფლანგეს. ის რვა ათასი თუმანი, რაც ყიფიანის წინადადებით შეკრიბა ყველა მაზრამ, უფრო ღარიბი თავადაზნაურობისგან იყო შეგროვილი. ასე რომ, უკვდავი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი რომ არა ცდილიყო და მთავრობისაგანაც არ მიეღო იმ რვაათას თუმნის გარდა სხვა თექვსმეტი ათასი თუმანი ბანკის დასაარსებლად, არ ვიცი ახლა რა ბანკი გვექნებოდა, ან ის ჩვენი დაწესებულებანი, რომელნიც ამ ბანკის წყალობით საზრდოობენ, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ[2].

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, განსაკუთრებით თერგდალეულები, მხურვალედ მიესალმა დ. ყიფიანის განზრახვას ბანკის დაარსებაზე და მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი მოგზაურობდა ქართლ-კახეთის მაზრებში და ცდილობდა თითოეული მემამულე დაერწმუნებინა წამოწყებული საქმის სარგებლიანობაში. ყოველივე ეს მემა-

[1] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, « Закавказская речь», 1912, № 131.

[2] ვასილ მაჩაბელი, მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ, „თემი", 1912, № 96.

მულეთა მიერ ფულის მიღებამდე უნდა გაკეთებულიყო. ამასთან, როგორც ა. ფურცელაძე მოგვითხრობს, წვრილი მემამულეების დარწმუნება, რათა მათ მიღებული ფულის ნაწილი ბანკის დასაარსებლად გადაეღოთ, ძალზე ძნელი საქმე ყოფილა. გარდა იმ გავლენისა, რაც მსხვილ მემამულეებს და ადგილობრივ მსხვილ მოხელეებს ჰქონდათ წვრილ მემამულეებზე, ამ უკანასკნელებმა კარგად იცოდნენ „პრიკაზის" საქმიანობაზე და ყოველგვარი ბანკების წინააღმდეგ წინასწარ იყვნენ განწყობილნი. მათი წარმოდგენით, „პრიკაზი" აზნაურობის გაღატაკების მიზნით იყო დაარსებული. ამიტომ საჭირო გახდა მათი დარწმუნება იმაში, რომ არც „პრიკაზი" იყო თავადაზნაურობის გაღატაკების მიზნით დაარსებული, პირიქით, ის დაარსდა მევახშეთაგან თავადაზნაურობის დახსნის მიზნით, „პრიკაზი" არაფერ შუაშია იმის გამო, რომ თავადაზნაურები, მევახშეებთან ანგარიშის გასწორებისა და პრიკაზიდან აღებული ფულის სასარგებლოდ მოხმარების ნაცვლად ამ ფულს ქეიფების მოსაწყობად და უსარგებლო ფუფუნების საგნების შესაძენად ფანტავდნენ, რომ განზრახული ბანკი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა სწავლა-განათლების მიზნით იქმნებოდა.

დ. ყიფიანის საბანკო იდეის აქტიური მომხრე ა. ფურცელაძე გორის მაზრაში განსაკუთრებით ღარიბ თავადაზნაურთა შორის მოქმედებდა. აქ მას ბევრი ნათესავი და ნაცნობი ჰყავდა. ამავე მაზრაში მოღვაწეობდა ვახტანგ თულაშვილი — გორის მაზრის მიჯნების დამდგენი კომისიის თავმჯდომარე. ვ. თულაშვილი თბილისის მაზრის თავადაზნაურობაზეც გავლენას ახდენდა.

გორის მაზრაში ბანკის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდნენ აგრეთვე საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, რომელიც წვრილაზნაურთა შორის დიდი ნდობით სარგებლობდა, ასევე მისი ვაჟი ზაქარია და მსხვილი მემამულე ივანე სულხანიშვილი.

ბანკის სასარგებლო აგიტაცია წარმატებით დამთავრდა. ამაში გადამწყვეტი როლი დ. ყიფიანის ავტორიტეტმა შეასრულა. ღარიბმა თავადაზნაურობამ განაცხადა, რომ ყმათა სანაცვლოდ მიღებული ფულის ნაწილს გადასდებდა ბანკისათვის, რაკი მოგება ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეს მოხმარდებოდა[1]. წინადადება ბანკის დაარსებისა თავადაზნაურობამ მიიღო 492 ხმით, 48 ხმის წინააღმდეგ.

1867 წლის მაისის ცნობით, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურო-

---

[1] А. Пурцеладзе. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. «Закавказская речь», 1912, № 131.

ბის მარშალს — დ. ყიფიანს — შეკრებაზე წაუკითხავს ბანკის დაფუძნების პროექტი. ბანკის წესდების შესადგენად კომიტეტი აურჩევიათ, მის თავმჯდომარედ იყო დ. ყიფიანი, წევრებს შორის გახლდათ ი. ჭავჭავაძე[1].

ბანკის წესდების შესადგენად დიმიტრი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ცნობილი რუსი ფინანსისტის ი. ჟუკოვსკის მონაწილეობით შედგენილ იქნა ბანკის წესდების პროექტი. თბილისში პროექტის განხილვას კლუბში დიდძალი ხალხი დასწრებია. დ. ყიფიანის წინადადებით, საზოგადოებას კომიტეტი აურჩევია. კომიტეტს ევალებოდა პროექტის განხილვა და მისი ისე შეცვლა, როგორც უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის. დიმიტრი ბანკის კომიტეტის თავმჯდომარეც ყოფილა და მომხსენებელიც. კომიტეტის წევრები ყიფიანის სახლში იკრიბებოდნენ. ბანკის საფუძველი, სხვათა შორის, უნდა ყოფილიყო დაგირავებული მამულის გაუყიდველობა ანუ პატრონისათვის წაურთმევლობა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბანკს თავის წევრთაგან გასაყიდად უნდა მიეღო სხვადასხვა სახის ნაწარმი (პური, ქერი, სიმინდი, ხილი, ღვინო, ხე-ტყე, შეშა და სხვ.). ვინც თავის ნაწარმს გაგზავნიდა, მას, წინასწარ, ფასის ნაწილი ეძლეოდა.

კომიტეტის უმეტესობამ ჟუკოვსკის ეს აზრი მოიწონა, ზოგი კი იწუნებდა: პროდუქტები გაგვიფუჭდება და ეს ბანკის საქმე არ არისო. დიმიტრი ემხრობოდა აზრს, რომლითაც ბანკს პროდუქტების გაყიდვის ფუნქციაც ეკისრებოდა.

კომიტეტის მოწონებული პროექტით დიმიტრი ყიფიანი კვლავ პეტერბურგს გამგზავრებულა, მაგრამ იქ ბანკის დაარსებაზე ნებართვა ვერ მიუღია იმ საბაბით, რომ შეუთავსებელია ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხის გაერთიანებაო[2].

ბანკის წესდება რომ პეტერბურგმა არ დაამტკიცა, ამაში ზოგი ბრალს სდებდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს[3].

შემდეგში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ახალმა წინამძღოლმა რევაზ ანდრონიკაშვილმა თავადაზნაურთა კრებაზე დასვა საკითხი ბანკის წესდების შესახებ. კრებამ შექმნა კომისია, რომელშიც

---

[1] „დროება", 1867, № 20.

[2] ვ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, შენიშვნა, „მოამბე", 1895, № V, მაისი; იოველ ასათიანი. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება (1864—1875 წწ.), თბ., 1879, გვ. 6.

[3] А. П у р ц е л а д з е, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», 1912, № 131.

შედიოდნენ გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი, დ. ჯორჯაძე, ნიკ. ჭავჭავაძე და სხვ. თავმჯდომარე რევაზ ანდრონიკაშვილი იყო[1].

კომისიამ უარყო პროექტით გათვალისწინებული მთელი რიგი ძირითადი დებულებები (გრძელვადიანი სესხის დაწესება, დაგირავებულ მამულებზე ურთიერთავდებობის შემოღება და სხვ.), რაც ახლად შექმნილი ბანკის პრინციპულ საფუძვლებს განსაზღვრავდა. კომისიის აზრით, ბანკის ძირითადი საქმიანობა თამასუქების დისკონტით უნდა შემოფარგლულიყო. ამასთან, ყოველ მაზრას ცალ-ცალკე ექნებოდა თავისი ბანკი, მოწყობილი იმ ფულით, რაც თითოეულ მაზრას ჰქონდა შემოტანილი. ამგვარად შეცვლილი წესდებით კი ბანკი, რასაკვირველია, ვეღარ გადაწყვეტდა ამოცანას, რომელიც ბავშვთა სწავლა-განათლების საქმისათვის ბანკის მოგების გამოყენებას გულისხმობდა[2].

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის დატოვების შემდეგ, დ. ყიფიანს არაერთი უბედურება დაატყდა თავს: გარდაიცვალა მისი ვაჟი არჩილი, პროცესი წააგო ნიკო მინგრელსკისთან და დიდი თანხის გადახდა დაეკისრა, ასევე დიდი თანხა უნდა გადაეხადა ვაჭარ ფორაქიშვილისათვის. დ. ყიფიანს ამ თანხების გადახდა არ ძალუძდა. იგი ეკონომიურად და სულიერად ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, იგი არ ივიწყებდა დაწყებულ საქმეს და იბრძოდა არა მარტო გვიანდელი კომისიის პროექტის წინააღმდეგ, არამედ თვით კომისიის წინააღმდეგ, რომელიც უკანონოდ არჩეულად მიაჩნდა. დიმიტრი გაემგზავრა კახეთში, რათა თავადაზნაურობის სამაზრო კრებებს დადგენილებით გამოეთქვათ პროტესტი კომისიის პროექტისა და თვით კომისიის წინააღმდეგ. ქალაქ თბილისში და თბილისის მაზრაში ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ვახტანგ თულაშვილმა, ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილმა, ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვმა, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ზაალ ბარათაშვილმა და სხვ. გორის მაზრაში თავადაზნაურობის კრების საშუალებით ზემოქმედების ცდიდან არა გამოვიდოდა რა, რადგანაც თითქმის მთელი ცენზიანი თავადაზნაურობა წინააღმდეგი იყო. ამის გამო ა. ფურცელაძეს დაევალა გორის მაზრის შემოვლა და წვრილი თავადაზნაურობის დარწმუნება, რათა მას პროტესტი განეცხადებინა როგორც კომისიის პროექტის, ასევე თვით კომისიის მოქმედების მიმართ (რამდენადაც კომისიამ თა-

---

[1] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Туласва, «Закавказаская речь», 1912, № 131.

[2] იქვე.

ვადაზნაურობის საგანგებო კრების მიერ მიცემული რწმუნებები დაარღვია). გორის მაზრის ბევრი თავადაზნაურის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო განცხადებები ა. ფურცელაძეს თავადაზნაურობის მორიგ საგუბერნიო ყრილობაზე წარუდგენია[1].

თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობაზე ბანკის კომისიის პროექტის გამო თავისი დადგენილებანი გაგზავნეს თავადაზნაურობის სამაზრო ყრილობებმა (გარდა გორის მაზრისა, საიდანაც, როგორც უკვე ითქვა, წარდგენილ იქნა ცალკე პირების საპროტესტო განცხადებები). ახლა საჭირო იყო საგუბერნიო ყრილობაზე ანდრონიკაშვილის კომისიის პროექტის შემუსრვა. ამ დროისათვის დ. ყიფიანს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, არ შეეძლო გამოეყენებინა თავისი ი შვიათი ორატორული მონაცემები. ა. ფურცელაძე იხსენებდა: სამაგიეროდ საგუბერნიო კრებაზე გამოვიდა შესანიშნავი გარეგნობის, გონიერი ინტელიგენტური სახის ახალგაზრდა ისეთი მქუხარე სიტყვით, როგორც ჩვენ მოგვისმენია მხოლოდ დ. ყიფიანისაგან. ასეთი სიტყვა პატივს დასდებდა ევროპის პარლამენტების ნებისმიერ ორატორს. ეს ახალგაზრდა კაცი იყო ილია ჭავჭავაძე[2]. მისი სიტყვის დროს კომისიის წევრები დარბაზიდან გაპარულან.

ყრილობამ კომისია არაკანონიერად არჩეულად ჩათვალა, ხოლო მის მიერ შედგენილი პროექტი უვარგისად სცნო. ეს ყრილობა 1872 წლის 25 ნოემბერს შემდგარა[3].

ახალმა კომისიამ, რომელშიც შევიდა ი. ჭავჭავაძე, გადაწყვიტა, რომ ძირითადი კაპიტალის — 240 ათასი მანეთის — საფუძველზე გაეცა ათჯერ მეტი სიდიდის სესხი, ესე იგი, 2 400 000 მანეთი. მიღებული მოგება უნდა მოხმარებოდა ბავშვების აღზრდას, გზებისა და არხების გაყვანას, თავადაზნაურთათვის სტიქიური უბედურებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და მსგავს სხვა საჭიროებებს[4].

1875 წელს თბილისში გაიხსნა სათავადაზნაურო ბანკი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა, ბანკმა ხელი შეუწყო მემამულურ მეურნეობათა ბურჟუაზიულ საწყისებზე გარდაქ-

---

[1] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», 1912, № 132.

[2] იქვე, № 138

[3] იოველ ასათიანი, თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება (1864-1875 წწ.), თბ., 1979, გვ. 7.

[4] «Закавказская речь», 1912, № 138.

შნას. ეს იყო კაპიტალისტური ხასიათის დაწესებულება, რომელიც ახალი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური კანონების მიხედვით მოქმედებდა და, მაშასადამე, სარგებლობა მოჰქონდა ბურჟუაზიული გარდაქმნების გზაზე დამდგარი მემამულეებისათვის.

ბანკის დაარსებისას, როცა ჯერ მხოლოდ მისი მოქმედების ძირითადი პრინციპები მუშავდებოდა, დ. ყიფიანი მიიჩნევდა, რომ ბანკიდან სესხად აღებულ ფულზე დაწესებინათ ისეთი პროცენტი, როგორსაც თავადაზნაურობა ჩათვლიდა მიზანშეწონილად. ამასთან, ყიფიანის თქმით, „რა დაგვიშლის ბანკს ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითაც შევიდოდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში, მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს — ასე, რომ ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითონ იმას, ან იმის შვილსა, თუ შვილის-შვილსა მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძლებოდეს და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენი შვილების და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ“[1].

მაშასადამე, ყიფიანის აზრით, სათავადაზნაურო ბანკში ისეთი სარგებელი დაწესდებოდა, როგორსაც თავადაზნაურობა მოისურვებდა. ხოლო რაც შეეხება ბანკში დაგირავებულ მამულს, ამ მამულს ბანკი პატრონს არავითარ შემთხვევაში არ გაუყიდდა. ეს მამული დროებით უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და ვალის დაფარვის შემდეგ კვლავ თავის მესაკუთრე-მემამულეს დაბრუნებოდა[2].

ბანკის წესდების შემუშავების დროს ყიფიანი იძულებული გახდა თავისი პირვანდელი გეგმისათვის გადაეხვია, ბანკისათვის საყოველთაო ხასიათი მიეცა და არა სათავადაზნაურო. ამ პროექტით ბანკს გლეხობისათვის უნდა გაეხსნა კრედიტი. ამიტომ ბანკი საზოგადოებრივი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი გახლდათ ნამდვილად კი ბანკი თავადაზნაურობისა იყო: რაკი ბანკი თავადაზნაურობის ფულით ფუძნდებოდა, მოგებაც ბანკსავე რჩებოდა. ყიფიანი ამჟამადაც ენერგიულად იცავდა ბანკში დაგირავებული მამულის გაუყიდველობის პრინციპს. იგი ამბობდა, რომ დაგირავებული მამული არასოდეს არ უნდა გაიყიდოს, თუ დამგირავებელმა ამის სურვილი არ გამოაცხადა. ბანკს უფლება ეძლევა მამულის შემოსავალზე იმ დრომდე, სანამ ვალი არ დაიფარება.

---

[1] „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლისაგან, საზოგადოდ თავადაზნაურობის წევრთა მიმართ“, ტფილისი, 9 ნოემბერი 1864 წ.; ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 157—158.

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 158.

ყიფიანი წინააღმდეგი იყო ბანკისათვის სააქციო ხასიათი მიეცათ. მას აშინებდა საბანკო საქმეში ბურჟუაზიული ელემენტების მოძალება. თუ ბანკის ძირითად თანხას შევაგროვებთ აქციებისაგან, მაშინ განსაზღვრული დროის შემდეგ, ჩვენ, ბანკის დამაარსებელთ, აღარ გვექნება ბანკზე არავითარი უფლებაო, — აღნიშნავდა ყიფიანი 1867 წლის მაისში გამართულ სათავადაზნაურო საგუბერნიო კრებაზე, რომელიც ბანკის დაარს[illegible]ის საკითხს მიეძღვნა[1].

შემდეგში ყიფიანი იძულებული გამხდარა ბანკის წესდება სააქციო სისტემაზე აეგო. როგორც ჩანს, ბანკის დაარსება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: ბანკის ძირითადი თანხა მცირე გახლდათ, მთავრობის დახმარება ამ მხრივ მდგომარეობას ვერ აუმჯობესებდა იმდენად, რომ საქმის დაწყება ძნელი არ გამხდარიყო. ყიფიანი ცელის თავის მოსაზრებას და ახალ პროექტს ადგენს, რომლის მიხედვითაც ბანკს სააქციო საზოგადოების ხასიათი უნდა მისცემოდა. ამ პროექტით, ბანკის ძირითადი თანხა 500 ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო. ეს თანხა უნდა შემდგარიყო 10 ათასი პაიდან; თითო პაი ეღირებოდა 50 მანეთი. 6 ათასი პაი თავადაზნაურობისა იქნებოდა, ხოლო 4 ათასი — განურჩევლად წოდებისა, ვინც კი მას იყიდდა[2].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 70-იან წლებში, ბანკის დაარსების საქმეში ყიფიანის აქტივობა თანდათან სუსტდება. ბოლოს ის სულ ჩამოსცილდა ამ საქმეს — 1875 წელს სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საქმეში ყიფიანს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. ამ გარემოებას ს. ხუნდაძე იმით ხსნის, რომ 70-იან წლებში თავადაზნაურთა საბანკო კომისიებში მონაწილეობას ღებულობდა მსხვილი არისტოკრატია, რომელსაც აგრერიგად „ვერ იტაცებდა ყიფიანის უტოპიური გეგმებიო"[3].

ახლად დაარსებული ბანკის ხელმძღვანელს — ი. ჭავჭავაძეს — კარგად ესმოდა ბანკის, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური დაწესებულების როლი. მართალია, ეს ბანკი თავადაზნაურობამ საკუთარი ინტერესებისათვის დააარსა, მაგრამ იგი ისტორიული აუცილებლობის გამო გასცილდა წოდებრივ ფარგლებს და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უწყობდა ხელს.

ბანკი თავადაზნაურობის, როგორც წოდების, განმტკიცებას კი არ უწყობდა ხელს, არამედ პირიქით, მის დაშლას, ახალი საზოგადოებრი-

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 805.

[2] იქვე.

[3] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 166.

ეი ურთიერთობის შესაბამის სოციალურ ნაწილად მის გარდაქმნას. თბილისის სათავადასნაურო ბანკი ჩვენში კაპიტალისტური განვითარების შედეგად შეიქმნა და მის ძირითად დანიშნულებას სწორედ რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ფინანსური დაწესებულების როლის შესრულება წარმოადგენდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დ. ყიფიანსა და ი. ჭავჭავაძეს შორის სათავადასნაურო ბანკისა და მისი მმართველობის პოლიტიკის გამო ცხარე კამათი გაიმართა. 1883 წელს სათავადაზნაურო კრებამ მოისურვა საბანკო საქმიანობაში ცვლილებების შეტანა. შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა განესაჯა ბანკის მოქმედება რვა წლის განმავლობაში (ბანკის დაარსებიდან აქამდე) და გამოერკვია, რა ცვლილებების განხორციელება იყო საჭირო. კომისიამ ყიფიანსაც სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი. ამის საპასუხოდ ყიფიანმა აღნიშნა, რომ ის არ თანაუგრძნობდა იმ პოლიტიკას, როგორსაც ბანკის ხელმძღვანელები ახორციელებდნენ: მე მინდოდა ბანკის დაარსება მიწის მფლობელთა და მიწის მუშაკთათვის, ეხლანდელი ბანკი კი ხელს უწყობს უფრო ქალაქის სახლების მეპატრონეებს, მის დამფუძნებელთ კი, ესე იგი, თავადაზნაურობას, კრედიტი გაძნელებული აქვს. მიწის მუშაკთათვის ხომ სრულიად დაკეტილია ბანკის კარებიო, — აღნიშნავდა ის[1].

დ. ყიფიანსა და ი. ჭავჭავაძეს შორის საბანკო პოლიტიკის გამო კამათი 1886 წლის „ივერიის" ფურცლებზე გაგრძელდა. პირველ წერილში ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ბანკები, რომლებიც თავადაზნაურობამ დააარსა (ერთ-ერთი დამაარსებელი მეც ვარო), დიდ პროცენტს ახდევინებს იმათ, ვისაც ვალი აქვს ბანკიდან აღებული, სახელდობრ, 10—12 %-ს. თქვენ ამბობთ, — წერდა ყიფიანი ბანკის ხელმძღვანელთა მისამართით, — რომ თქვენ ფულს სხვაგან იღებთ ჯერ და მერე ჩვენ გვაძლევთ, მაგრამ მათ აძლევთ მხოლოდ 6 %-ს, და რატომაა ასე დიდი პროცენტი ჩვენზეო. საჭიროა მცირე ვალის გამო ბანკში დაწინდებული მამული არ გაიყიდოს. ბანკი ისე გვექცევა, თითქოს აქ ამერიკელები იყვნენ მოსული თავისი ფულით, სინამდვილეში კი ეს ფული ჩვენ შევაგროვეთ, რათა ბანკი გაგვემართაო[2].

ბანკის საქმიანობის თაობაზე გამართულ კამათში დ. ყიფიანს ილიამ ვრცლად უპასუხა. ი. ჭავჭავაძე დ. ყიფიანს ეკამათებოდა იმ დებულების გამო, რომ ბანკმა დაგირავებული მამული არ უნდა ჰყიდოს, არამედ ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო.

---

[1] „დროება", 1883, № 121.

[2] „ივერია", 1886, № 109, „წერილი რედაქტორის მიმართ".

ი. ჭავჭავაძის აზრით, ყიფიანის ამ დებულებას რეალობასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა: „დიმიტრი ყიფიანის აზრი მართლა სასიამოვნო და სანატრელი ოცნებაა", — წერდა ილია[1]. იგი ყოველმხრივ ასაბუთებდა თავის აზრს ბანკის მოქმედების ხასიათზე და განმარტავდა, თუ რატომ არის შეუძლებელი ყიფიანის წინადადების განხორციელება.

ილია მიუთითებდა სამ პირობაზე, რომლებიც ბანკების მოქმედების საძირკველს შეადგენენ, სახელდობრ: 1. სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზედ შემოიტანს ბანკში შესაბამის თანხას და ბანკიც გადასცემს ფულის პატრონს; 2. ფულის პატრონი დარწმუნებულია წინათვე, თუ ვადაზედ სესხის ამღებმა ვალი არ დაფარა, დაგირავებული მამული გაიყიდება და გასყიდულის ფასით აღუდგება ნასესხები; 3. თუ ამითაც ვერ გაისტუმრა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავმდებისა, მისი პასუხისმგებელია.

„ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად. ტფილისისა და ქუთაისის ბანკებმა ათ მილიონზე მეტი ფული იშოვეს გასასესხებლად სამის უსათუო პირობითაო", — აღნიშნავდა ილია[2]. ბანკების არსებობის ეს სამი პირობა, ილიას თქმით, ვისიმე გამოგონილი კი არ არის, არამედ ისინი წარმომდგარნი არიან თვით კრედიტის ბუნებისაგან.

ერთი ვიკითხოთ, წერდა ილია, „რა მნიშვნელობა აქვს მამულების დაგირავებას, თუ პირობის გატეხას არ უნდა მოსდევდეს თვითონ მამულის გაყიდვა? მაშინ გირავნობა რა შუაშია და რა თამასუქია? აბა, ერთი მიდით გარეშე კაცთან და უბრძანეთ: ფული მასესხე, მამულს დაგიგირავებ, იმ პირობით კი, რომ თუ ნასესხები არ დაგიბრუნე, მამული არ გამიყიდოო. ხო? სასაცილოდ არ ეყოფით ფულის პატრონსა"[3].

დ. ყიფიანის მოსაზრებას ბანკში დაგირავებული მამულის გაუყიდველობის თაობაზე ილია ახლა სხვა კუთხით უდგება. იგი განაგრძობს: „იქნებ გვითხრან, რომ რაკი ბანკი ჩაიბარებს მამულს, თვითონ მამული თავისი შმოსავით გადაიხდის ვალსაო. ამასაც მეტად მოკლე ფეხები აქვს. თუ თვითონ პატრონმა ბანკიდამაც ფული აიღო მამულზედ და

---

[1] იქვე, № 111; ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 7, 1956, გვ. 352.

[2] „ივერია", 1886, № 103· ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 347.

[3] ი. ჭავჭავაძე, ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო, „ივერია", 1886, № 103; თხზულებანი, ტ. 7, თბ., 1956, გვ. 347— 348.

მამულს ისე ვერ მოუარა, რომ ვალს გასძღოლოდა, ბანკმა საიდამ და როგორ უნდა მოუაროს"[1]. ბანკებში დაგირავებულ მამულებზედ გაუსყიდავობის წესის შემოღება და განხორციელება ილიას ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა[2].

ილიამ აგრეთვე ცხადყო, რომ ბანკში დაგირავებული მამულის მეპატრონის მიერ შესატანი სარგებელი უდრიდა არა 10—12 %-ს, როგორც ამას დიმიტრი აღნიშნავდა, არამედ 4 %-ს.

ილია მიუთითებდა, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედი კანონები გარდუვალად იწვევდნენ საკუთრების ხასიათის ცვლილებებს: „ვერავითარი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხვირო ხელთ ეცლება და მიიზიდება ხვირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეზიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით"[3].

„ივერიაში" საბანკო საკითხებზე გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ დ. ყიფიანს თავის საბანკო პოლიტიკაში განუხორციელებელი იდეალები შეჰქონდა. ის ყოველი ღონით ცდილობდა თავადაზნაურობისათვის მამულები შეენარჩუნებინა, რაც შეუძლებელი იყო. ყიფიანის თვალსაზრისი საბანკო საკითხში უტოპიურ საფუძველზე იყო აგებული: ბანკს ისეთ მოვალეობას და ფუნქციებს აკისრებდა, რომელიც ბანკის შესაძლებლობას აღემატებოდა და განუხორციელებელი იყო მაშინდელ პირობებში[4]. ი. ჭავჭავაძესა და დ. ყიფიანს შორის გამართულ კამათში ილია სავსებით რეალურ ნიადაგზე იდგა, ხოლო ყიფიანის საბანკო პოლიტიკა არარეალური, განუხორციელებელი გახლდათ. ამის მიუხედავად მიუღებელია ყიფიანის ისეთ პიროვნებად წარმოდგენა, რომელსაც არ ესმოდა დროის მოთხოვნა, იმ ცვლილებების აუცილებლობა, რაც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებას მოსდევდა. საკმა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო, „ივერია", 1886", № 103; ტ. 7, თბ., 1956, გვ. 348.

[2] ბანკში დაგირავებული მამულის გაუსყიდაობის იდეის წინააღმდეგი იყო არა ერთი მოღვაწე. მათ შორის ბანკის წესდების სარედაქციო კომიტეტის წევრი ა. ზუბალაშვილი, რომელიც თვლიდა, რომ ასეთი იდეა უმაღლესი ხარისხის ჰუმანიზმს წარმოადგენდა, მაგრამ პრაქტიკაში მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ბანკი, როშელიც პრინციპად მიიღებდა გირაოს გაუსყიდაობას, უთუოდ გაკოტრდებოდა (იოველ ა ს ა თ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 5).

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, „ივერია", 1886, № 121; თხზულებანი, ტ. 7, გვ. 377.

[4] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 176.

რისია გავიხსენოთ, რომ ყიფიანმა პირველმა წამოიწყო ბანკის დაარსების მძიმე საქმე. ამასთან დაკავშირებით ილია „ივერიაში“ თავის პოლემიკას დ. ყიფიანთან შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვსთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თავის სახელის სასიქადულოდ... რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედავენ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის და ამ დიდი საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელი იქნება მის სახელთანა“[1].

მიწის საკუთრების ფორმების გარდაქმნა, საერთოდ, ფეოდალურ-მემამულური საკუთრების თანდათანობით შეცვლა პარცელური და კაპიტალისტური ტიპის საკუთრების ფორმებით, კერძოდ, ბანკების უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. ამრიგად, ბანკების, როგორც აგრარული ურთიერთობის გარდაქმნების მონაწილე ბერკეტების როლი განუზომლად დიდი იყო. ასევე ძლიერ დიდია დ. ყიფიანის ღვაწლი კაპიტალისტური ხასიათის ამ დაწესებულების დაარსებაში.

ქართველი საზოგადოების წინაშე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამსახურებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბანკის ოპერაციებზე დაკვირვება. ბანკის წესდებით, სუფთა მოგების 40 % ჩაირიცხებოდა ბანკის ხელუხლებელ ფონდებში, 10 % მოდიოდა ბანკის მომსახურე პერსონალის სასარგებლოდ, ხოლო 50 % საერთო სასარგებლო და სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებს ხმარდებოდა. ბანკის სუფთა მოგების ეს ნაწილი საგრძნობ თანხას შეადგენდა. მაგალითად, 1910 წელს ბანკის სუფთა მოგების 35 % (151 109 მანეთი) მოხმარებია საერთო საჭიროებებს, მოგების 10 % (43 174 მანეთი) სასოფლო-სამეურნეო კაპიტალს მიმატებია, ხოლო 5 % (21 587 მან.) საგანგებო ხარჯების დასაფარავად გადაუდვიათ[2].

ამის გამო იყო, რომ სათავადაზნაურო ბანკი წარმოადგენდა ქართუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, „ივერია“, 1886, № 154; თხზ., ტ. 7, გვ. 418.

[2] «Закавказье», 1912, № 111.

ლი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებების მთავარ მასაზრდოებელ რეზერვუარს. პრესამაც აღიარა, რომ ქართული თეატრი, სკოლა, თითქმის ყველა კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებანი (წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება და სხვ.) და ა. შ. უმთავრესად ბანკის სახსრებით არსებობდა[1].

VI თავი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა

მონაწილეობა ქართული თეატრის დაარსებაში

დიმიტრი ყიფიანი გასული საუკუნის 30-იან წლებში მონაწილეობდა სცენისმოყვარულთა წრეების საქმიანობაში. მას ჯერ ვხედავთ მანანა ორბელიანის თაოსნობით წარმოდგენილ „აქტისნაირ წარმოდგენაში" და შემდეგ ვახტანგ ორბელიანის წრეში[2]. 50-იან წლებში, გიორგი ერისთავთან ერთად, დ. ყიფიანი მონაწილეობდა ქართული პროფესიული დრამატული თეატრის აღდგენაში. ეს თეატრი მიზნად ისახავდა ქართულ საზოგადოებაში პატრიოტულ ძალთა გამოღვიძებას, ცხოვრების განახლებისათვის ხელის შეწყობას. დიმიტრი უშუალოდ მონაწილეობდა თეატრის საქმიანობაში და სცენაზეც გამოდიოდა. 1850 წლის 2 იანვარს, ისტორიულ სპექტაკლ „გაყრაში" დ. ყიფიანს შეუსრულებია ივანეს როლი, ხოლო იმავე წლის 3 მაისს „დავაში"—თავად იაია ჭიორელის როლი[3]. „გაყრაში" ყიფიანი შემდეგაც გამოდიოდა ივანეს როლში. იმის გამო, რომ მმართველობამ ყოველგვარი სუბსიდიები მოუსპო, ქართულმა თეატრმა 1856 წელს არსებობა შეწყვიტა და 1879 წლამდე მუდმივი, პროფესიული თეატრი აღარ არსებობდა[4].

გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ, მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი ცდილობდა კვლავ აღედგინა ქართუ-

---

[1] «Закавказье», 1812, № 111.

[2] „ქართული თეატრის მოღვაწენი", წიგნი II, დ. ჯანელიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 201.

[3] Акты, т. XI, 1888, с. 915.

[4] ვ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კულტურა XIX საუკუნეში; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 825.

ლი სცენა. დ. ყიფიანი ამ წამოწყებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. 60—70-იან წლებში დ. ყიფიანი მეთაურობდა თბილისის სცენისმოყვარეთა წრეებს და რეჟისორობდა მათ წარმოდგენებს[1]. სცენისმოყვარულთა ერთ-ერთ ასეთ წრეზე მოგვითხრობს ა. ფურცელაძე, რომელიც იხსენებდა, რომ 1860—1862 წლებში, როცა იგი სალდათის ბაზართან მდებარე პატარა ნესტიან ოთახში რამდენიმე სემინარელთან და კანცელარიის წვრილ მოსამსახურესთან ერთად ცხოვრობდა, მათთან მოდიოდნენ ხოლმე პეტრე უმიკაშვილი, დიმიტრის ვაჟი ნიკო ყიფიანი, ვასილ მაჩაბელი და სხვ. ამ წრის მონაწილე ახალგაზრდები კითხულობდნენ ახალი მიმართულების ლიტერატურულ ნაწარმოებებს, წერდნენ რეფერატებს. წრეში წარმოშობილა აზრი გაუქმებული ქართული თეატრის აღდგენისა. დაუწყიათ რეპეტიციები, მაგრამ სასცენო ხელოვნების გამოუცდელობა ხელს უშლიდა საქმის წარმატებას. რეპეტიციების დროს გამოჩენილა უცნობი ახალგაზრდა კაცი—ვახტანგ თულაშვილი—რომელიც დამწყებ მსახიობებს სასარგებლო შენიშვნებს აძლევდა. შემდეგ, სულ მალე, მათი სენაკი დიმიტრი ყიფიანს მოუნახულებია. ამას წრის წევრები გაუოცებია, რადგან მეფისნაცვალ მურავიოვის დროს დ. ყიფიანს კავკასიის სამოქალაქო მმართველობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა.

წრის „მსახიობებს“ დ. ყიფიანი მითითებებს აძლევდა ისეთი ცოდნით, რაც დიდი სცენის ბევრ რეჟისორს ჭკუის სასწავლებლად გამოადგებოდა[2].

დ. ყიფიანი კარგად იცნობდა თავისი დროის თეატრალურ ცხოვრებას. მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობის გამო პეტერბურგში ყოფნისას, 1860 წელს, იგი სისტემატრად ესწრებოდა ოპერისა და ფრანგული თეატრის სპექტაკლებს. ამ დროს პეტერბურგში საგასტროლოდ ჩამოსული ყოფილა სახელგანთქმული იტალიელი ტრაგიკოსი მსახიობი ქალი ადელაიდა რისტორი, რომელიც როლებს იტალიურ ენაზე ასრულებდა. პეტერბურგის თეატრალური საზოგადოებრიობა აღტაცებული ყოფილა ამ მსახიობის არტისტული ნიჭით. დ. ყიფიანი თავის მეუღლეს სწერდა: მეც ავიღე აბონემენტი ერთს სავარძლისა რისტორის და იტალიური ოპერის წარმოდგენებზე. მერე იცი რა მიჯდება, ძნელია ამის თქმა — 180 მანეთი! მაგრამ რას იზამ.

---

[1] „ქართული თეატრის მოღვაწენი“, წიგნი II, დ. ჯანელიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 202.

[2] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», 1911, № 256.

დ. ყიფიანს უნახავს რისტორი ლეგუვეს „მედეაში“, შილერის „მარიამ სტიუარტში“, კორნელის „ჰორაციუსში“ (კამილას როლში)... იგი აღტაცებაში მოუყვანია რისტორის საშემსრულებლო ხელოვნებას („საუცხოოდ თამაშობსო“). ყიფიანი აღნიშნავდა, რომ რისტორი თითოეულ მომდევნო სპექტაკლში სულ უფრო მაღლდებოდა — „ვერ წარმომიდგენია სადამდის მივა მისი თამაში, ასე თუ ამაღლდა თვითეულ როლში“. იგი დაასკვნიდა: „მე არც ისე იოლად ვაქებ ხოლმე მსახიობებს, მაგრამ რისტორის თამაში ყოველგვარ ქებაზე მაღლა დგას“.

დ. ყიფიანი მაღალ შეფასებას აძლევდა ბალერინა ნადეჟდა ბოგდანოვას „გრაციოზულ ცეკვას“.[1]

დიმიტრი იყო სცენის დიდი მოყვარული, ის თვალყურს ადევნებდა არა მარტო თბილისისა და იმპერიის დედაქალაქების, არამედ უცხოეთის, მათ შორის პარიზის სცენასაც. და არა მარტო თვალყურს ადევნებდა, სწავლობდა კიდეც სახელგანთქმული მსახიობების (ტამბერლიკი, ადელინა პატი და სხვ.) სასცენო ხელოვნებას. წრის გამოუცდელი ბიჭები დ. ყიფიანმა ნამდვილ მსახიობებად აქცია და მათ სულის მხნეობა, გამბედაობა თუ სითამამე ჩაუნერგა. ახალგაზრდებში ადრინდელი მორცხვობის კვალიც კი აღარ დარჩენილა, ისინი როლებს მთელი შეგნებით ითვისებდნენ.

მსახიობების მომზადების შემდეგ, დ. ყიფიანმა, წრის წევრების თხოვნის გარეშე, მათ დიდ სცენაზე გამოსვლის ნებართვა მოუპოვა. ქართულ წარმოდგენას, რომელსაც ბრწყინვალედ ჩაუვლია, დასწრებია თბილისის მთელი უმაღლესი წრე: მეფისნაცვლის მთელი ამალა, გუბერნატორი, წარჩინებული ვაჭარ-მოქალაქეები თავიანთი ოჯახებით. ბევრი მსურველი დარბაზში ვერ მოხვედრილა.

დამსწრე საზოგადოება სანახევროდ, თუ უფრო მეტად არა, შედგებოდა სომხების, რუსებისა და სხვა ერების წარმომადგენლებისაგან. ეს ყოფილა პერიოდი, როცა ყველა ერთად შრომობდა. ქართველი ახალგაზრდობა საქმიანობის ცენტრში იდგა, მაგრამ აქვე იყვნენ რუსები, სომხები, პოლონელები და სხვები. ყველა საერთო საქმისათვის იღვწოდა.

დასახელებული წრის მიერ დიდ სცენაზე დადგმული პირველი წარმოდგენის სუფთა შემოსავალს 800 მანეთი შეუდგენია. ეს ფული თბილისის გიმნაზიისათვის გადაუციათ, მისთვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობის შესაძენად[2]. აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლში ქალების

---

[1] დიმიტრი ყიფიანის წერილები თავის მეუღლისადმი, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, № 4.

[2] А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», 1911, № 256.

როლიც ვაჟებს შეუსრულებიათ (იმ დროს სცენაზე ქალების გამოსვლა სათაკილო საქციელად ითვლებოდა). შემდეგში წრეს შეემატნენ: ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, იოსებ მამაცაშვილი, გენერალი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ლომოური და სხვ. მალე სცენაზე ქალთა პერსონალიც გამოჩნდა. დ. ყიფიანმა ნება დართო თავის ქალიშვილს—ელენეს—მონაწილეობა მიეღო წრის წევრთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. სცენაზე გამოჩნდნენ სხვა ქალებიც: ელენე ბროძელი (შემდეგში ანტონოვსკაია), ბაბო ხერხეულიძე, დარია მამაცაშვილი, ოლღა და ლიზა ყასბეგები, ბარბალე ვაჩნაძე, ბარბალე გასპაროვა და სხვ. ამ დროს საქმეს ხელმძღვანელობდნენ და რეჟისორობდნენ ანტონ ფურცელაძე, ვახტანგ თულაშვილი და პეტრე უმიკაშვილი. წარმოდგენებიდან მიღებული ფულით სოფელ ხოვლეში სკოლა გაუხსნიათ. ამ ფულით აგრეთვე ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მისაღებად აგზავნიდნენ[1]. წრემ ქართულ სცენას არაერთი ნიჭიერი მსახიობი გაუზარდა. ქართულმა სცენამ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითშეგნების ამაღლებაში.

1879 წელს თებერვალში ილია აღნიშნავდა: ჩვენს სცენას ორს ღვაწლსა ვთხოვთ: პირველი, რომ ის იყოს ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, მეორე, იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზე უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითო. ილია განაგრძობდა: „ამბობენ, ამ საქმეში მეთაურობას ჰკისრულობს ჩვენი—ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე—დ. ი. ყიფიანი. ჩვენი ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ ჩააბარებენ ამ დიდს და მძიმე საქმეს, როგორიც ქართული სცენაა... თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა, რომელთაც დ. ი. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ სკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მიმდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. ღმერთმა ჰქმნას, რომ რამოდენადაც დ. ი. ყიფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს, იმოდენად ჩვენც შემწეობა და გულისტკივილი აღ-

[1] იქვე, 1911, № 257.

შოვუჩინოთ და მაშინ ჩვენის სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ იქმნება დამყარებული, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ"[1].

ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელთან ერთად დ. ყიფიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1879 წელს ქართული პროფესიული თეატრის მოღვაწეობის განახლებაში. იყო დრამატიული საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და შედიოდა მის გამგეობაში[2].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: 1864 წელს საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში დაიბადა აზრი, რომ რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელ ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანო. გლეხობა თავის ამ მეორე განთავისუფლებას უნდა მოელოდეს არა ბიუროკრატიისაგან, არამედ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობისაგან. საზოგადოება კი მხოლოდ მაშინ შესძლებს სამსახური გაუწიოს გლეხობას, როცა იგი შექმნის რაიმე ორგანიზაციას, რომლის მიზანი ხალხში განათლების მოფენა იქნება. ამ მოსაზრებამ წარმოშვა წადილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებისა.

ასეთი საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა ცალკეულ ოჯახებში. ერთი ასეთი იყო იოსებ მამაცაშვილის ოჯახი, სადაც იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროგრესულად მოაზროვნე რუსი და გაქართველებული სომეხი მოღვაწეები. ქართველთაგან აქ იყვნენ დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე. რუსთაგან პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი ნიჭიერი მეუღლით. 1870 წელს ამათ მიემატნენ მოსკოვში სწავლადასრულებულნი ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი[3].

ეს ის წრე იყო, რომელმაც შეგროვილი ფულით სოფელ ხოვლეში სკოლა გახსნა, ეს უნდა ყოფილიყო ოთხწლიანი სკოლა, სადაც ყველა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 41.

[2] ვ. გუნია, ქართული თეატრი (1879—1889), თბ., 1889, გვ. 16; „ქართული თეატრის მოღვაწენი", წიგნი II, დ. ჯანელიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 202.

[3] იაკობ გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, ჟურ. „განათლება", II, 1911 წ. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 391—397.

საგანი ქართულ ენაზე შეისწავლებოდა. მთავრობამ ნება დართო დედაენაზე ესწავლებინათ მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, მეოთხე წელს კი რუსულ ენაზე სწავლება მოითხოვა. საქმეს ცივი წყალი გადაასხეს, — ბიუროკრატიამ ქართული სკოლა დააკოჭლა.

წრის დავალებით ვ. თულაშვილს რუსეთში უნდა ეშოვა ანალოგიური საზოგადოების წესდება. თულაშვილმა წესდება ხარკოვიდან მიიღო. 1877 წელს ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს და ვახტანგ თულაშვილს უთხოვიათ დ. ყიფიანისათვის მონაწილეობა მიეღო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში[1]. დიმიტრის საღამო ხანს სწვევიან. ი. გოგებაშვილი წერს, რომ ჩვენს წინადადებას ჩვენი ძვირფასი მასპინძელი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდაო[2]. გადაწყდა: საზოგადოების წესდების შემუშავების მიზნით, დ. ყიფიანის სახლში შეკრებილიყვნენ ხოლმე. წესდების შედგენას მოანდომეს 1877 წლის ბოლო პერიოდი და 1878 წლის იანვარი. 1878 წლის 30 იანვარს, გრ. ორბელიანის სახლში, შეკრებაზე წაუკითხავთ წესდების პროექტი, რასაც დამსწრეთა მოწონება დაუმსახურებია[3]. კრების გადაწყვეტილებით, წესდება ხელისუფლების ორგანოებში დასამტკიცებლად უნდა წარედგინათ ი. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანს და ბ. ღოღობერიძეს. წესდება მთავრობას 1878 წლის 24 ივნისს წარედგინა, 1879 წლის 31 მარტს კი დამტკიცდა.

წესდების პროექტის შედგენის დროს დიდი კამათი გამოუწვევია მესამე მუხლს: „საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს"[4].

რუსეთიდან მიღებულ წესდებაში არ ყოფილა მუხლი დედაენაზე საგნების სწავლების თაობაზე, რადგანაც ის თავისთავად იგულისხმებოდა. ქართული „საზოგადოების" წესდებაში კი ასეთი მუხლი უსათუოდ უნდა ყოფილიყო. ამის თაობაზე განსაკუთრებით გარჯილა ი. გოგებაშვილი. იგი იხსენებდა: ავადმყოფობის გამო ერთხანს გამოვეთიშე წესდების შედგენის საქმეს, ხოლო როცა მიჩვენეს წესდების პროექტის ვარიანტი, რომელშიც დედაენაზე სწავლების შესახებ არაფერი იყო აღნი-

---

[1] ვახტანგ თულაშვილი, შენიშვნა, ჟურნ. „მოამბე", 1895, № V, მაისი, გვ. 44—53.

[2] ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, „განათლება", II, 1911 წ. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 394.

[3] ვ. თულაშვილი, შენიშვნა, „მოამბე" 1895, № V, მაისი,

[4] იქვე.

შნული, მე შევნიშნე: „თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველი ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მისი გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი. და მაშინვე ჩემი ხელით წესდებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ შავად, ჩავურთე შემდეგი პარაგრაფი: Общество достигает своей цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям языке и способствует обучению русскому языку»[1].

წესდების პროექტში სკოლებში ბავშვთა დედაენაზე სწავლების აღსანიშნავად საგანგებო მუხლის შეტანა იურიდიულადაც დასაშვები იყო, რადგანაც ის იმპერატორის რესკრიპტს ემყარებოდა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე II-ის 1864 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტით, „ინოროდცებს“ შორის სახალხო სკოლებში სწავლება დედაენაზე უნდა ყოფილიყო[2].

პროექტზე ცნობილ პირებს უნდა მოეწერათ ხელი, რათა მისი დამტკიცება გაადვილებულიყო. ეს საქმე ი. ჭავჭავაძეს, ვ. თულაშვილს და ბ. ღოღობერიძეს მიენდო. მაღალი თანამდებობის მქონე სომეხი მოღვაწეების მხრივ ხელის მოწერის საქმის მოგვარება დ. ყიფიანს უკისრია.

წესდების პროექტზე 126 დამფუძნებელმა წევრმა მოაწერა ხელი. ხელისუფლების მიერ საზოგადოების წესდების დამტკიცების საქმეში დადებითი როლი შეუსრულებია დ. სტაროსელსკის, რომელიც მაშინ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ყოფილა[3].

პირველ სხდომაზე (1879 წლის 15 მაისი) ახალ საზოგადოებას, გრ. ორბელიანის წინადადებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ეწოდა. საზოგადოებას გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აურჩევია დიმიტრი ყიფიანი, მდივნად — იონა მეუნარგია.

ახლად დაარსებულ საზოგადოებას ფართო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ნივთიერი სახსარი კი ძლიერ მცირედი ებადა. ამ დიდ ნაკლს წა-

---

[1] ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, „განათლება“, II, 1911 წ. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 394.

[2] იქვე, გვ. 395.

[3] ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, „განათლება“, II, 1911 წ. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4, გვ. 395; ნ. პაპაია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, „მაცნე“, 1979, № 2, გვ. 191.

მალი დასდო ი. ჭავჭავაძემ. სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მას წარმოუთქვამს მეტად შთამბეჭდავი სიტყვა ახლად დაარსებული საზოგადოების დიდ მნიშვნელობაზე და მალე მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი იქნა გადადებული. ამით მან საზოგადოება ფეხზე დააყენა და მოქმედებისათვის ფართო გზა გაუხსნა[1]. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. უმთავრესი და ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო სკოლების ქსელის ზრდა და გახსნილი სკოლებისადმი დახმარების გაწევა, მათი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება [2]. სხვა ერებისადმი დ. ყიფიანის დამოკიდებულებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვ. თულაშვილის მიერ შემონახული ერთი ცნობა. ის შეეხება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას. ვ. თულაშვილი გადმოგვცემს: 1878 წლის 30 იანვარს გრიგოლ ორბელიანის სახლში შევიყარენით, წავიკითხეთ საზოგადოების წესდება, რაც დამსწრეთ მოიწონეს.

წესდების პროექტის წაკითხვის შემდეგ, დიდხანს იყო ბაასი იმის გამო, თუ რა სახელი გვეწოდებინა საზოგადოებისათვის. გრ. ორბელიანი იმ აზრისა იყო, ის სახელი გვეწოდებინა, რომელსაც ამჟამად ვუწოდებთ. ამაზე დ. ყიფიანმა უპასუხა: ეგ სახელი ვერ გამოვა რიგიანი, რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა, წილი აღარ დაედებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა ვრცელდებოდეს წერა-კითხვა, და ეს, ჩემის აზრით, არ არის სასურველიო.

გრ. ორბელიანმა თქვა: ეგ დასამალავი არ არის, ყველამ გავიგეთ, შევიტყეთ და დავრწმუნდით, რომ სომეხნი, თუმცა ჩვენი მეზობლები არიან, მაინც იმათგან მტრობის მეტს არას უნდა მოველოდეთ, რადგანაც ამ ბოლოს დროს აშკარად გამოიჩინეს და დაამტკიცეს ასეთი თვისი განზრახვაო.

გიორგი რომანოზის ძე ერისთავმა (ატამანმა) დ. ყიფიანის მხარე დაიჭირა და გრ. ორბელიანს უპასუხა: ჩვენ მაგას არ უნდა გამოვუდგეთ; როგორც აქამდე ვყოფილვართ სომეხთათვის ერთგული მეზობელნი და ამხანაგნი ლხინსა და ჭირში, ისევ ისე დავრჩეთ; ხოლო სომხებს, როგორცა სურდეთ, ისე მოიქცნენო.

ამ კამათის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა, რომ სომხებსაც მიეღოთ მო-

---

[1] ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, ჟურნ. „განათლება", II, 1911 წ. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4, გვ. 397.

[2] ა. იოსელიანი, 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 657.

ნაწილეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში. ამის გამო საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებოდნენ მ. ტ. ლორის-მელიქოვი, ა. ს. ანანოვი, ს. შაჰ-პაროსიანცი და სხვ.[1]

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანები ყოველთვის განსაკუთრებული მეგობრული გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი ქვეყნის უძველესი მეზობლის—სომეხი ხალხის მიმართ. ეს გარემოება 1878 წლის 30 იანვრის შეკრებაზეც ნათლად დადასტურებულა. რაც შეეხება გრ. ორბელიანის სიტყვებს, ის, ვფიქრობთ, შეეხებოდა სომხური წარმოშობის ინტელიგენციის მხოლოდ იმ ცალკეულ წარმომადგენლებს, რომელთაც არამც თუ შეგნებული არ ჰქონდათ ქართველ-სომეხთა ურღვევი კავშირის მნიშვნელობა, არამედ სრულიად უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა და მისი კულტურის ხელოვნურად დამცირებით სომეხი ხალხის ისტორიას და კულტურას დიდებას შემატებდნენ. ასეთი პირების არაგონივრულ პოზიციებს, საბოლოოდ, სომეხი ხალხისათვის, რასაკვირველია, რაიმე სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. ცხადია, მხოლოდ მსგავსი სიტუაციების შექმნის მოყვარული პირები ჰყავდა მხედველობაში გრ. ორბელიანს, ისევე როგორც ი. ჭავჭავაძეს („ქვათა ღაღადში") და არავითარ შემთხვევაში მთელი სომეხი ხალხი, ან მთელი მისი ინტელიგენცია.

ნიკო ყიფიანი მიუთითებდა, რომ დ. ყიფიანი ყოველთვის ქადაგებდა სომეხ-ქართველთა მეგობრობის იდეას[2].

დ. ყიფიანი — სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე

რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფო ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ სასჯელის უმძიმეს ზომას — სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებდა. ამ ასპექტში საყურადღებოა, რომ 80-იანი წლების უმძიმესი რეაქციის პირობებში დ. ყიფიანი აშკარად გამოდის სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრედ.

1883 წელს „კავკაზში" მოთავსებული იყო ცნობა კავკასიის იურიდიული საზოგადოების სხდომის თაობაზე. სხდომაზე განუხილავთ

---

[1] ვახტანგ თულაშვილი, შენიშვნა, „მოამბე", 1895. № V, მაისი.

[2] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 37.

ვ. სმიტენის რეფერატი სიკვდილით დასჯაზე. რეფერატში ყოფილა მითითებული, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ზომა, ნაკლებად იყო გავრცელებული და ამას განსაკუთრებული ზიანი მოჰქონდა კავკასიაში, სადაც ყაჩაღთა ბრბოები თარეშობდნენ. სხდომის მონაწილე ფ. ბიკოვს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის გაუქმება, როგორც რუსეთის გუბერნიებში, ისე კავკასიაში, რადგანაც, მისი აზრით, აქ, არავითარი ისეთი თავისებურებები არ არსებობდა, რაც სასჯელის ამ ზომის არსებობას გაამართლებდა[1].

დ. ყიფიანს იმავე გაზეთში იმთავითვე გამოუქვეყნებია წერილი, რომელშიც სავსებით იწონებდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. ბიკოვისადმი მიმართულ ამ წერილში ყიფიანი აღნიშნავდა: თქვენს მხარეზეა ქრისტიანული ეკლესია, მთელი თანამედროვე ცივილიზაცია, პოლიტიკური ეკონომია, რომელიც კიცხავს სასარგებლო ძალების ყოველგვარ მოსპობას. დაბოლოს, თქვენს მხარეზეა ვნებებისა და ცრურწმენებისაგან თავისუფალი კაცობრიობის შემეცნება, რადგან სიკვდილით დასჯა ესაა მკვლელობა, უფრო გასაკიცხი, რადგან ის სასამართლოს სახელით სრულდება[2].

ეს ფაქტი, ვფიქრობ, მიგვანიშნებს არა მარტო დ. ყიფიანის დიდ ჰუმანურობაზე, არამედ იმაზეც, რომ ის აშკარად გამოდის არსებული რეჟიმისა და ტირანიის წინააღმდეგ, რომელიც თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების (ეგრეთ წოდებული, სახელმწიფო დამნაშავეების) სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. სასჯელის ეს ზომა სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებზეც ვრცელდებოდა, მაგრამ, ეტყობა, ამ უკანასკნელთ დ. ყიფიანი გარემოების მსხვერპლად მიიჩნევდა და სიკვდილით დასჯის გამოყენებას მათ მიმართაც არ იწონებდა.

[1] «Кавказ», 1883, № 31, «Хроника».
«Кавказ», 1883, № 34, «Хроника».

მეორე ნაწილი

VII თავი.

ზოგი რამ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის ისტორიულ გარემოზე

დ. ყიფიანის დროის საქართველოს ცხოვრებაშიც მიმდინარეობდა ის დიდი ცვლილებები, რასაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ადგილი ჰქონდა XIX ს-ის ცივილიზებულ სამყაროს საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამ ურთიერთობათა რთული პროცესებიდან ამჯერად ეროვნულ ურთიერთობებზე შევჩერდებით. ამ პერიოდში ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების პროცესი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებოდა. პროცესის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის აქტიური მონაწილე დ. ყიფიანი იყო.

გასული საუკუნე, აღებული მსოფლიო მასშტაბით, თითქმის მთლიანად, კაპიტალიზმის აღმავალი ხაზით განვითარების ხანას წარმოადგენდა. ეროვნული ურთიერთობების მხრივ, ეს ხანა ხასიათდება ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებით და ეროვნული ჩაგვრის საწინააღმდეგო ბრძოლის გაძლიერებით, ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ტენდენციის გაღრმავებით. ამავე დროს, ერებს შორის ვითარდება ყოველმხრივი ურთიერთობა, იმსხვრევა ეროვნული ზღუდეები, იქმნება ინტერნაციონალური ერთიანობა ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების და ა. შ. სფეროებში[1].

მაგრამ ეს ერთიანობა ვითარდებოდა თავისებურ ფორმებში, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა მის შინაგან ისტორიულ აზრს. ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება და ტერიტორიების შეურნეობრივი გაერთი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 14.

ანება მყარდებოდა არა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის საშუალებით, არამედ ერთი ხალხის მიერ მეორის დამორჩილების, ჩაგვრისა და ექსპლუატაციის გზით.[1].

დასავლეთ ევროპის ბევრი ხალხისგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიის არარუსმა ხალხებმა, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბება-განმტკიცების პირობებში ვერ მიიღეს სახელმწიფოებრიობა. აქ ეროვნული სახელმწიფოები არ შექმნილა. კერძოდ, საქართველომ თავისი დაკარგული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ აღიდგინა.

XIX ს-ის საქართველოს, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის, მთელ ისტორიას თან სდევს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს სამეფოს გაუქმების დღიდანვე იწყება და ამომდევნო პერიოდში სულ უფრო ფართოვდება[2].

რაკი საზოგადოდ ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების პროცესის დასრულება დაკავშირებულია ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვებასა და კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შექმნასთან, ამდენად ჩაგრულ ხალხებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სრული ძალით სწორედ ამ პერიოდში გაიშალა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ერის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები (ენა, ტერიტორია, ეკონომიკა, კულტურა, ეროვნული თვითშეგნება) ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვებამდე იქმნება. კაპიტალიზმის დროს ხდება რიგი ამ ნიშანთაგანის უფრო დახვეწა, რაფინირება, მათი მნიშვნელობის გაძლიერება ერის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. სავსებით დამაჯერებელია მკვლევართა მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, XIX ს. დასაწყისის ანტირეჟიმული გამოსვლები და 1832 წლის შეთქმულება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ეტაპებია[3].

1832 წლის შეთქმულების მარცხმა ცხადყო, რომ შემდეგში კარგა ხანს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება შეიარაღებული საშუალებებით შეუძლებელი გახლდათ. იცვლება ეროვნული ბრძოლის ტაქტიკა. თვითმპყრობელობისა და ეროვნული გადაგვარების

---

[1] И. Сталин, Марксизм и национально-колониальный вопрос, 1935, с. 103.

[2] მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ტ. IV, თბ., 1973, გვ. 819.

[3] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წ. თბ., 1980. გვ. 3—4.

მომხრე ადგილობრივი ძალების წინააღმდეგ მოწინავე ქართველი მოღვაწეები უპირატესად ბრძოლის მშვიდობიან საშუალებებს იყენებდნენ. იზრდება ბრძოლის მნიშვნელობა ეროვნული იდეოლოგიური პოზიციებიდან. ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის გადარჩენაში ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას უდიდესი როლი ენიჭება. ქართველი ხალხი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მისი წიაღიდან წარმოიშვნენ ისეთი მაღალი გონებისა და მხურვალე გულის პატრიოტები, როგორებიც იყვნენ სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეების მიერ შექმნილმა ბრწყინვალე ლიტერატურულმა ქმნილებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

შეერთების შემდეგ, საქართველო რუსეთის იმპერიის განაპირა ეროვნულ მხარედ გადაიქცა. მისი ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად ვითარდებოდა, როგორც მეტროპოლიის აგრარული დანამატის მეურნეობა; ადგილი ჰქონდა ხალხის კულტურულ მონაპოვართა შეუფასებლობას. გაუქმდა ქართული სახელმწიფო დაწესებულებები და შეიქმნა „საქართველოს უხენაესი მთავრობა“, რომელშიც 4 ექსპედიცია შედიოდა და სადაც ქართველები უკანა რიგში მოაქციეს, მთავარი როლი მიენიჭათ რუს მოხელეებს, ამათ კი ქართული ენა არ იცოდნენ. დაუყოვნებლივ ამოქმედდა რუსიფიკატორული პოლიტიკა: ყველა დაწესებულებიდან, თვით მართლმსაჯულების ორგანოებიდანაც განიდევნა ერთადერთი ხალხური ენა—ქართული. რუსული მმართველობის მიერ გახსნილ სასწავლებლებში სწავლება მოსახლეობისათვის სრულიად უცხო—რუსულ—ენაზე მიმდინარეობდა[1]. აღთქმული „დიდსულოვანი მფარველობის“ განხორციელება 1801 წლის შემდეგ რეალურად აგრეთვე იმაში გამოიხატა, რომ ჯერ „გარეგნულად საპატიო საბაბით“, შემდეგ კი ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე, ცარიზმი თანდათანობით სპობდა „მხარის“ კულტურული განვითარების ყველა ტრადიციულ ბურჯს. ქართველი თავადაზნაურობა, სანამ ის რაიმედ ვარგოდა, შეაბეს თვითმპყრობელობის, როგორც მაშინ მიიჩნევდნენ, სახელმწიფოებრივ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შოვინისტური საქმის უღელში, რომელიც სულ უფრო ძლიერ თელავდა ყოველივე „ინოროდცულს“. შემდეგში ეს თავადაზნაურობა ბედის ანაბრად იქნა მიგდებული. „შობლიური ეროვნული კალაპოტიდან“ ამოვარდნილი ქართველი თავადაზნაურობა სა-

[1] И. Джавахишвили, Грузия. Энциклопедический словарь, «Гранат», 7-е издание, т. 17, с. 206.

ჩოთირო ვითარებაში აღმოჩნდა: მას ამიერიდან „ზემოდან“ მიღებული ნასუფრალით უნდა ეცხოვრა[1].

ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები მეორე ავტოკეფალურმა ეკლესიამ მიითვისა. ეს იყო გაუგონარი შემთხვევა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში, რაც ყველა სხვა ავტოკეფალურმა ეკლესიამ დაგმო და გაკიცხა[2]. ქართული ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა დაიკავა მოხელე-ეპისკოპოსმა, რომელსაც საქართველოს ეგზარქოსი ეწოდებოდა. ეგზარქოსები იყვნენ მხოლოდ რუსები (პირველი ეგზარქოსის გამოკლებით), რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ და ამიტომ ისინი ვერც ჩაითვლებოდნენ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებად[3]. ცხადი გახდა, რომ საქართველოს საეგზარქოსოს, გარდა სახელისა, ქართული არაფერი გააჩნდა.

ნაცვლად ქართული არქაული მართლმსაჯულებისა, რომელიც ზოგიერთ ღირებულ რამეს შეიცავდა, შემოღებულ იქნა ახლებური, უფრო სრულყოფილ საწყისებზე მოწყობილი მართლმსაჯულება, მაგრამ ეს სიახლე სინამდვილეში არა იმდენად მართლმსაჯულების ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რამდენადაც საქართველოს ასიმილაციის იდეით. უხსოვარი დროიდან საქართველოს მართლმსაჯულებაში განუწყვეტლივ ბატონობდა ქართული ენა. ეს ტრადიცია არ შეწყვეტილა საქართველოს პოლიტიკური ჩაგვრის ყველაზე უმძიმეს მომენტებშიც მონღოლების, თურქებისა და სპარსელების დროს. მშობლიური ენა საქართველოში კალმის ერთი მოსმით გააუქმეს. მოიგო რაიმე ცარიზმის მართლმსაჯულებამ ამით? — საეჭვოა, თუ ყურს მივუგდებთ იმ დროის ქართველი მოსახლეობის ხმას. „რუსული უარი“, „რუსული კანონი“, „რუსული მართლმსაჯულება“ ქართულ ხალხურ ენაში თანდათანობით შეიცვალა სინონიმებით „აშკარა სიცრუე“, „აღმაშფოთებელი უკანონობა“, „უსამართლო სამართალი“. ქართული ენის განდევნით, თავისდაუნებურად, მართლმსაჯულება გადაიქცა ფორმალურ პროცედურად, რაც მთლიანად მოსამართლეთათვის უცხო ადამიანთა ჩვენებებს ემყარებოდა. მიუხედავად მოჩვენებითი უპირატესობისა, ახალი მართლმსაჯულების განხორციელება ხელს უწყობდა ქართულ მოსახლეობაში ცრუმოწმეობის

---

[1] Н. Марр, История Грузии (Культурно-исторический набросок), СПБ., 1906, с. 11—12.

[2] Н. Н. Дуровo, Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской, с списками 120 епархии и каталикосов мцхетских и имеретинo-абхазских, Москва, 1910, с. 12.

[3] იქვე.

გაძლიერებას, რაზედაც ასე ხშირად ჩიოდნენ ცარიზმის კავკასიელი მოხელეები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოხელეებს აკლდათ საზოგადოებრივი მოვლენების ჭეშმარიტი გაგების სურვილი. მათ არ ყოფნიდათ აგრეთვე ის მოქალაქეობრივი ღირსება, რომლის წყალობითაც უნდა ეთქვათ, რომ ამ ხალხს არ ესმისო ჩვენი სამართალი და ამიტომაც ეს ხალხი ისე ცრუობს ჩვენს სასამართლოებში, როგორადაც არსად და არასოდეს არ იცრუებდა ჩვენი დაწესებულებების გარეშეო[1]. რევოლუციამდელი რუსული ისტორიოგრაფიაც აღიარებდა, რომ ყველაზე უხეირო ნაწილი საქართველოში შემოღებული რუსული მმართველობისა მართლმსაჯულება იყო[2].

ამასთან, ცარიზმი დაჟინებით ცდილობდა საქართველო-ამიერკავკასიაში რუსებისა და აგრეთვე გარედან მოსული სხვა ხალხების დასახლებას, რათა შეესუსტებინა აბორიგენთა პოზიციები და შეექმნა თავისი კოლონიური პოლიტიკის ეთნიკური საყრდენი[3]. არაქართული მოსახლეობა 1800 წლისათვის თუ საქართველოს მთელი მოსახლეობის 11 პროცენტს არ აღემატებოდა, მე-19 საუკუნის დამლევისათვის ამ მაჩვენებელმა 32 პროცენტს მიაღწია[4]. მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, საქართველოში, არაქართველების დასახლება, რასაც ცარიზმი გეგმაზომიერად ახორციელებდა, ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის წინააღმდეგ მიმართული შორს გამიზნული ღონისძიება იყო. ამ მხრივ, ცარიზმის პოლიტიკის მიზანი უცვლელია მთელი XIX საუკუნის მანძილზე და შემდეგაც; 1901 წლის 1 მაისის კანონის თანახმადაც, ყველა თავისუფალი მიწა ამიერკავკასიაში უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ საკოლონიზაციო მიზნისათვის. რაც შეეხება ადგილობრივ მკვიდრთ, მათ ცარიზმი განიხილავდა, როგორც გაბატონებული ხალხის რაოდენობრივი ზრდის რეზერვს; ცდილობდა ამ ხალხების ასიმილაციას, რის გამოც სდევნიდა ყოველივე ეროვნულს. ადგილობრივი ენები გაძევებული იყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მთავრობამ სახელმწიფო ენად გამოაცხადა რუსული ენა, ზოგიერთ ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვის

---

[1] Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок), СПБ, 1906, с. 13.

[2] В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказъем, Тифлис, 1901, с. 38.

[3] დაწვრილებით იხილე: პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., თბ., 1949, გვ. 456—747.

[4] А. Сургуладзе, Очерки по истории грузинской культуры XIX века. Тб., 1980, с. 296.

ჩატარება აიკრძალა, ზოგიერთში კი დიდად შეიზღუდა. რუსულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა როგორც სასულიერო, ასევე საერო სასწავლებლებში[1]. ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანას შეადგენდა „ინოროდცული“ ახალგაზრდობის ხელმწიფის გავლენის ქვეშ მოქცევა. არარუსი ხალხები გადაგვარება-მოსპობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ყოვლისმომცველი ლაშქრობა ეწყობა ერის თავიდათავი დამახასიათებელი ნიშნების—ენის, კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების შესარყევად და მოსასპობად. ამ წადილის განხორციელებაში ცარიზმს მხარში ედგა იმპერიის ცენტრის მართლმადიდებლური ეკლესია, რეაქციული პრესა, განათლების უწყება და სახელმწიფო მმართველობის აპარატი. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ შავრაზმულ, კლერიკალურ გაბატონებულ ცარისტულ იდეოლოგიას—თავისი პობედონოსცევებით, კატკოვებით, იანოვსკებით, მხარს უმშვენებდა და ბანს აძლევდა არანაკლებ რეტროგრადული ქართული „კულტურა“ თავისი ზოგიერთი მუხრანბატონით, ჯაბადარით და სხვა გადაგვარებულებით.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე მოღვაწენი შესანიშნავად ხედავდნენ იმ საფრთხეს, რასაც ცარიზმი წარმოადგენდა ქართველი ხალხის არსებობისათვის. ცარიზმი სრულიადაც არ კმაყოფილდებოდა იმ ხელსაყრელი სტრატეგიული პირობებით, რასაც მას ამიერკავკასიაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა უქმნიდა. ის ყოველი ღონით ცდილობდა ამ ხალხების შთანთქმას, მათ სრულ მოსპობას.

ნ. ურბნელი ადარებდა ძველი დროის დამპყრობელთა მოქმედებას ახალი დროის სიუზერენის პოლიტიკასთან და აღნიშნავდა: ძველს პოლიტიკურ უღელს, ერთი ხალხის მეორესგან დაპყრობას სხვა ხასიათი ჰქონდა და სხვა მნიშვნელობა. პოლიტიკური უღელი როდი შეეხებოდა ხალხის ვინაობის აღმოფხვრას, მისი სულიერი და ზნეობრივი არსების დამახინჯებას. მაშინდელმა პოლიტიკურმა სიბრძნემ არ იცოდა ის იარაღი, რომელიც ძირეულად უარყოფს დამარცხებული ხალხის ისტორიულ სახეს, მის თვისებებს. უღელი მთლად მიმართული იყო ხალხის გარეგანი კეთილდღეობის, სიმდიდრის გასანადგურებლად. რაც შეეხება ხალხის „წმიდათა წმიდას“, მის სულიერ სამფლობელოს, რომელშიც

[1] მ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საეგზარქოსო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საიდსახურში (1811—1917 წწ.), თბ., 1971, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 98—99.

ყოველი ხალხის ღირსება გამოიხატებოდა, ისტორიული „მე" ხელუხლებელი რჩებოდა[1].

ი. გოგებაშვილი წერდა: მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ურცხვი მტერი სულ იმას ცდილობდა ჩვენთვის სარწმუნოება წაერთმია და ხალხი თავის რჯულზე გადაეყვანა, ხოლო ჩვენი ენის წართმევას, მის აღმოფხვრას და გაუქმებას არამც თუ არ ფიქრობდნენ, არამედ, პირიქით, თვითონვე სწავლობდნენ ჩვენს ენას. ამის გამო ჩვენი წინაპრები სარწმუნოებისათვის ბრძოლაში ფოლადივით იყვნენ გამოწრთობილი, ენისათვის ბრძოლა კი მათ სრულიად არ იცოდნენ, რადგან ამ ეროვნულ საუნჯეს მათ არავინ ართმევდა, არავინ აუქმებდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველყოფილია, „მაგრამ ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათს და განსაცდელს, რომელიც მოელის მის დედაენას და არა ზრუნავს შესაბამის ღონისძიებაზე"[2].

გასაგები მიზეზების გამო, ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლა იყო, რადგან „ენა ის იარაღია, რომლითაც ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი ინახავს თავის სახეს და რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, დაიცვას თავი ყოველი ჯურის დამპყრობლებისა და ასიმილატორებისაგან"[3].

სხვა ხალხების შთანთქმისადმი მისწრაფება, რასაკვირველია, მარტო ცარიზმისათვის როდი იყო დამახასიათებელი, არამედ ყველა მოძალადისა და დამპყრობლის მოქმედების ერთ ძირითად მიზანსწრაფვას წარმოადგენდა. კ. მარქსი აღნიშნავდა: „ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დამყრობელთა უახლოეს ამოცანას მუდამ შეადგენდა ადამიანების მითვისებაც"[4]. ამასთან, ცარიზმის პოლიტიკაში ნათლად მოჩანდა მისი სოციალურ-კლასობრივი პოზიცია. ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ საგანგებოდ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იმისათვის, რომ მასები უმეცრების წყვდიადში ჰყოლოდა[5].

---

[1] ნ. ურბნელი, ლიტერატურული შენიშვნა, „დროება", 1883, № 231.

[2] ი. გოგებაშვილი, ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, „ივერია", 1902, № 253; თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1954, გვ. 333.

[3] გ. მელიქიშვილი, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953, გვ. 4.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 410.

[5] შეადარ: И. Сталин, Марксизм и национально-колониальный вопрос, 1935, с. 61.

არარუსი ერების გათქვეფა-მოსპობა, მათი მრავალსაუკუნოვანი კულტურის გაქრობა, იმპერიაში მხოლოდ ერთი ხალხის კულტურისა და ენის გაბატონება, რასაც ასე გააფთრებით ესწრაფოდნენ რეაქციონერები, ნიშნავდა ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის მოსახლეობის სულიერი კულტურის გაღატაკებას. ამდენად ცარისტული დიდმპყრობელური შოვინიზმი მიმართული იყო მთლიანი საკაცობრიო ცივილიზაციის წინააღმდეგაც, ხოლო დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკის საპირისპირო მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, აგრეთვე საკაცობრიო ცივილიზაციისათვის ბრძოლაც იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმი ცდილობს იმპერიის შემადგენლობაში ჩართოს ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკური ერთეულები. ეს ამოცანა თანდათანობით იქნა განხორციელებული.

კავკასიაში ცარიზმის ამ პოლიტიკის განხორციელებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. განსაკუთრებით გართულდა კავკასიის მთიანეთის დამორჩილება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ცალკე პოლიტიკურ ორგანიზმს ქმნიდა და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. შამილი 1859 წელს იქნა დატყვევებული, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა,—კავკასიის მთიანეთის დასავლეთი ნაწილი ჯერ კიდევ იბრძოდა და მისი საბოლოო დაწყნარება 1864 წლისთვისღა მოხერხდა. ცარიზმმა კავკასიის ხალხებზე განუყოფელი პოლიტიკური ბატონობა გაავრცელა.

თვიმპყრობელობა, დამორჩილებული ხალხების წინააღმდეგ ყოველთვის აშკარა შეტევას არ ახორციელებდა. ცარიზმის პოლიტიკა, მაგალითად, კავკასიის აბორიგენთა მიმართ ყოველთვის არ ყოფილა სწორხაზობრივი. ეს გარემოება შეპირობებული იყო საშინაო და საგარეო ვითარებით, რისთვისაც ანგარიშგაუწევლობა არ შეეძლო ისეთ უხეშ ძალასაც კი, როგორიც ცარიზმი გახლდათ. საგარეო ფაქტორებს შორის გამოვყოფთ, კერძოდ, დასავლეთ ევროპის 1848—1849 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებს, პოლონეთის აჯანყებებს (1830—1831 წწ., 1863—1864 წწ.), ასევე პარიზის კომუნას (1871 წ.), რომელთაც კავკასიის ხალხებზე მცირე ზემოქმედება როდი მოახდინეს. ევროპის ხალხების რევოლუციურ გამოსვლებს არ შეიძლება არ გაემხნევებინათ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი. საშინაო ხასიათის პირობათა შორის, პირველყოვლისა ანგარიშგასაწევი იყო საქართველოს მოსახლეობის ანტირეჟიმული გამოსვლები და განსაკუთრებით კავკასიის მთიანეთის ხალხთა ანტიცარისტული ბრძოლა შამილის მეთაურობით.

შამილთან ბრძოლისას, ცარიზმი ამიერკავკასიის ხალხების ზედაფენებს იყენებს და თანაც ამ ხალხების ეროვნულ გრძნობებს ელაციცება. მაგალითად, XIX საუკუნის 40—50-იან წლებში და თვით 60-იანი წლების შუახანებამდე ამიერკავკასიის სამწერლობო ენებს, განსაკუთრებით ქართულს და თათრულს სკოლებში სწავლების პროცესში გარკვეული უფლებები ენიჭებოდა. კავკასიაში მოქმედი რუსეთის არმიის მეთაურთა შემადგენლობაში ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლებს საპატიო ადგილი ეკავათ.

იყო სხვა მომენტებიც, რომლის მოგვარების გარეშე ცარიზმი ჯერ კიდევ ვერ მიიჩნევდა თავს უძლეველ ძალად. საჭირო იყო ქვეყნის შიგნით, თვით რუსეთში, გამწვავებული სოციალური საკითხის გადაჭრა, საჭირო იყო ბატონყმობის გაუქმება. ამ ღონისძიების განხორციელების გარეშე რუსეთის სახელმწიფოს სოციალური საფუძვლები ნაკლებად მტკიცე იქნებოდა. რუსეთში ბატონყმობა 1861 წელს გაუქმდა. ამიერიდან ცარიზმს ხელები გახსნილი ჰქონდა. საქართველოში ბატონყმობის გაუქმება 1864 წელს დაიწყო.

დაახლოებით 60-იანი წლების შუახანებიდან ცარიზმის პოლიტიკა კავკასიაში უკვე უცერემონიოდ ხორციელდება. ამიერიდან პოლიტიკურ ამინდს არარუსი ხალხების მიმართ კატკოვები, პობედონოსცევები და ძმანი მათნი ქმნიან. ამ საქმეში კი მათ დიდად უწყობდა ხელს პოლონეთის აჯანყების დამარცხება.

მეფის რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში მუდმივი საზოგადოებრივი და ეროვნული ზავის პირობებში შეუძლებელი იყო ცხოვრება. საერთო საკაცობრიო პროგრესის დროს განმსაზღვრელი იყო არა მარტო რომელიმე მრავალრიცხოვანი ერის ინტერესები, არამედ აგრეთვე დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების ინტერესებიც ჩაგრული ერებისა, რომლებიც თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიისწრაფოდნენ (მაგალითად, პოლონეთის 1863—1864 წლების აჯანყებულები). მაგრამ რუსეთის სახელმწიფომ, შამილის დამარცხებისა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, შედარებით იოლად დაამარცხა პოლონეთი.

პოლონეთის აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლა ცარიზმის შოვინისტურმა თავადაზნაურულმა იდეოლოგიამ გამოიყენა რუსული „ეროვნული სულის“ განმტკიცებისა და არარუსი ხალხების მიმართ სიძულვილის გაღვივებისათვის. ამ დროს ფართო ასპარეზი დაეთმო კატკოვის „მოსკოვსკიე ვედომოსტისა“ და მის მსგავს სხვა გამოცემებს. ყოველივე ის, რაც ასიმილატორულ ინტერესებს არ ეთანხმებოდა, რაც „რუსული

სულის" გამომხატველი არ იყო, არაგონივრულად და, მაშასადამე, მოსპობის ღირსად ცხადდებოდა.

ამრიგად, ამიერკავკასიის სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების დამორჩილების პროცესის დამთავრების, შამილის დამარცხებისა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ცარიზმი "შეტევაზე გადადის. ამიერიდან ცარიზმი სულ უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს არარუს ხალხებს, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხებს და სულ უფრო დაუფარავად ამჟღავნებს დიდმპყრობელურ მისწრაფებებს.

ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკურ და ეროვნულ უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის სახელმწიფოს მმართველი წრეები კავკასიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ და სხვა მაღალ თანამდებობაზე ხშირად ნიშნავდნენ ისეთ პირებს, რომელთაც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმ ხალხებზე, ვისი მართვაც ევალებოდათ. ცნობილია რომ, როდესაც ერთმა პირმა მაღალჩინოსნად უმაღლესი თანამდებობა მიიღო, გულუბრყვილოდ გაიკვირვა და თქვა: ეს რა ამბავია, კავკასია ხომ ჩემთვის უცნობი მხარეაო. მას უპასუხეს: სწორედ ეს უკთესიც არის, თქვენ უფრო თავისუფლად იმოქმედებთო[1].

მაგრამ არა მარტო მმართველობა არა თვლიდა საჭიროდ გარკვეულიყო იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხების, მათ შორის ქართველების საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებში, არამედ, როგორც ნიკო მარი აღნიშნავდა, ინტელიგენციის არაერთ წარმომადგენელსაც მეტად ზერელე წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ისტორიულ წარსულსა და აწმყოზე, ხალხის კულტურასა და ზნე-ჩვეულებებზე. მაგრამ რა მოეთხოვებოდათ ცალკეულ უზრუნველ მოსამსახურეებს, ცარიზმის მოხელეებს, ისეთი ფაქიზი საგნის ირგვლივ მსჯელობისას, როგორიც არის ქართველთა ეროვნული სულიერი ბუნება, „როდესაც თვით სახელოვან რუსეთის პოეტს, საუკეთესო მგოსანს კავკასიის ბუნებისას, საქართველოს ეროვნული, თანამედროვე საუკეთესო წყაროებისაგან დამოწმებული რეალური პიროვნება „ღვთიური", ზნეობრივად ძლიერის თამარისა, ზნეობითის სინარნარით აღმტაცი და დამაშშვიდებელი ტყის ნადირთა, გადაუქცევია თავის ლექსში „თამარად" სახელდებულში, ქართველთა ეროვნული ბუნების წინააღმდეგ, ფანტასტიკურ ხატად ჯნებათაგან შეპყრობილის ქალისა, რომელიც ელის გამვლელსა და გაბომველს, ნებივრად მწოლარე თავის რბილს ბუმბულის ლოგინზედ"[2].

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 2.
[2] იქვე, გვ. 25.

ცარიზმის შეიქმნა ნაციონალისტურ იდეოლოგიას თავის არსენალში მოქმედების საკმაოდ რთული მეთოდები, ხერხები და საშუალებები მოეპოვებოდა. ამ იდეოლოგიის ერთი ძირითადი დევიზი იმაში მდგომარეობდა, რომ: თუ იმპერიის არარუს ხალხებს სურთ ჩამორჩენას თავი დააღწიონ და რუს ხალხს გაუთანაბრდნენ, საჭიროა თავისი ეროვნული სულიერი კულტურა უარყონ და რუსი ხალხის ენასა და მის კულტურაზე გადავიდნენ, სხვანაირად არარუსი ხალხები მსოფლიო ცივილიზაციას ვერ ეხიარებიან. ეს დევიზი კი არარუსი ხალხების ეროვნული არსებობის შეწყვეტას გულისხმობს.

კოლონიური პოლიტიკის ამ მიმართულების მესვეურთ არ სურდათ გაეხსენებინათ, ჯერ ერთი, ის, რომ ოდესღაც თვითონ ჩამორჩენილმა რუსმა ხალხმა სხვა ერებში გათქვეფისა და გადაგვარების გარეშე მიაღწია წარმატებას და, მეორეც ის, რომ რუსეთის იმპერიაში არაერთი ხალხი ცხოვრობდა, რომელიც თავისი კულტურის საერთო დონით სრულიადაც არ ჩამორჩებოდა პეტროპოლიას, ხოლო ზოგიერთი უსწრებდა კიდეც მას[1].

ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას და ქვეყნის წინსვლას ისახავდა მიზნად, რუსეთის ჭეშმარიტად მოწინავე მოღვაწეები სიმპათიით ეკიდებოდნენ. მაგალითად, რუსი მწერალი ე. მარკოვი აღნიშნავდა: „ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია; რომ ჩვენ თანასწორი ძმები ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ და უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველს ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით შეძენილს, ქართველთაგან პატივეცემულს და წმინდანად აღიარებულს, ყოველსავე განსაკუთრებულს თვისებას ქართველისას — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 498. П. И. Лященко. История народного хозяйства СССР, т. I, 1950, с. 551.

სა, ყოველივე ეროვნება ერთგვარად ბუნებრივია და ერთგვარად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება"[1].

როგორც ზემოთ ითქვა, პოლონეთის აჯანყებიდან დაწყებული რეაქცია შეტევაზე გადადის არარუსი ხალხების ეროვნული არსებობის წინააღმდეგ. ამ ამბავთან დაკავშირებით საყურადღებოა გერცენის „კოლოკოლის" გამოხმაურება ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ რეაქციის შეტევის გამო. არარუსი ხალხების წინააღმდეგ ლაშქრობა, რასაკვირველია, ხელს ჯურ შეუწყობდა რუსული მმართველობისა და რუსული დიდმპყრობელური პოლიტიკის ავტორიტეტის განმტკიცებას. სწორედ ამ საკითხზე, მაურამ დიდმპყრობელური პოზიციებიდან მოსოქვამდა „მოსკოვსკიე ვედომოსტი" (1865 წელი, № 194); ამ მოთქმასთან დაკავშირებით „კოლოკოლი" აღნიშნავდა, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ამიერკავკასიის მდგომარეობას წარმოგვიდგენს მეტად სამწუხარო სახით, — რა თქმა უნდა, რუსულ-კატკოვური ნაციონალისტური პოლიტიკის თვალსაზრისითო:

„საყვედური იმაზე, რომ რუსის სახელი ადგილობრივ მკვიდრთა შორის იქცა ცნებად ყოველივე დამცირებულისა, შეურაცყოფილისა და ცუდისა და ამიტომ მოთხოვნა ადგილობრივ ენათა აღმოფხვრისა, — ნუთუ არ ნიშნავს რუსეთის საშინლად დამცირებას ევროპის თვალში?

სად გაბედავენ ჩვენს საუკუნეში, გარდა რუსეთისა, გამოამჟღავნონ მსგავსი პრინციპები? ავსტრიაც კი, რომელსაც თვით რუსეთშიაც ეროვნებათა შთანთქმელს უწოდებენ, განა არ ანვითარებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის გემოვნებას ლიტერატურისადმი და ხელს არ უწყობდა ადგილობრივ ენათა დაწუშავებას?.."[2].

„კოლოკოლი" განაგრძობდა: „რუსის მთავრობამ ვერ მოხიბლა ადგილობრივი მცხოვრებლები ვერც სამართლიანობით და ვერც თავისი სამხედრო დიდების მიმზიდველობით. ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებს; მაგრამ ისინი არ სალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ, და, რომ ამიტომ არ უნდა მივცეთ კავკასიაში რუსებს უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთა საზიანოდ"[3].

---

[1] ციტატი მოტანილია ი. კაკუბაიძის თარგმანით, იხ. მისი შინაური მიმოხილვა, 1882 წელი, მარტი, „ივერია", 1882, № 111; თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 143—144

[2] «Колокол», 208. 15/XI — 1865; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ 310. „საქართველოდან".

[3] ი ქ ვ ე. გვ. 312.

ცარიზმის ღონისძიებანი მიმართული იყო, პირველყოვლისა, ადგილობრივი სამწერლობო ენების წინააღმდეგ.

ამ მხრივ, მაგალითად, საყურადღებოა კავკასიის ადმინისტრაციის ოფიციალური ორგანოს „კავკაზის" 1877 წლის აღიარება. გაზეთი გადმოგვცემს შემდეგ ფაქტს:

1828 წელს რუსის ჯარმა დაიკავა ახალციხე და გამოსტაცა თურქებს ახლანდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ეს მაზრები უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით. თურქეთის მიერ ამ ადგილების დაპყრობის შემდეგ აქაური მოსახლეობა გამუსლიმანდა, მაგრამ თავისი მშობლიური ენა შეინარჩუნა. იმის გამო, რომ ახლად შეერთებული კუთხის მცხოვრებნი ისლამს აღიარებდნენ, ამ მოსახლეობას თათრები უწოდეს. მაგრამ ამ „თათრების" წარმოშობის საკითხი ჩქარაგე გაირკვა. შემდეგში, თურქი მოლების ინტრიგისა და ასევე სხვა მიზეზთა გამო, შემოერთებული ქვეყნის მუსლიმანურ მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, რომ გადაწყვეტილია ეს მოსახლეობა, რომელიც ქრისტიანი ხალხის ენით ლაპარაკობს, ქრისტიანობაზე მოაქციონო. ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ ამ მოსახლეობამ დაიწყო თურქული ენის გამალებით შესწავლა, ხოლო ქართული ენის პოზიციები სულ უფრო სუსტდებოდა. ასე დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გათურქება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მართალია, თურქ მოლებს ამ მხარეში შემოსვლა აუკრძალა, მაგრამ მოლებმა საიმედო მომხრეები თვითონ აქაურ მოსახლეობაშივე გაიჩინეს. მათ შორის, ერთი ყველაზე ერთგული მომხრე თურქი მოლებისა აღმოჩნდა, რაც არ უნდა უცნაურად გვეჩვენოს ეს,... იმდროინდელი სასწავლო უწყება, რომელმაც ახალციხის მაზრაში დაარსებულ სკოლებში თურქული ენის სწავლება შემოიღო, იმის გამო, რომ ეს უწყება ადგილობრივ მოსახლეობას კვლავ თურქებად სთვლიდა[1].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ცარიზმის პოლიტიკის განხორციელებაში სახელმწიფო აპარატის მოხელეებთან, სამღვდელოებასთან და რეაქციული პრესის წარმომადგენლებთან ერთად, თავისი წვლილი შეჰქონდათ მეცნიერების ცალკეულ წარმომადგენლებსაც. მაგალითად, ბარტოლომეის რატომღაც მოსჩვენებია, რომ თუშები ჩაჩნურ ენაზე ლაპარაკობდნენ, რის გამოც მან წინადადება წამოაყენა თუშების სკოლებში სწავლება ჩაჩნურ ენაზე შემოეღოთ. მხოლოდ ბარტოლომეის

[1] «Кавказ», 1877, № 2.

გარდაცვალებამ შეუშალა ხელი ამ თავისებური ექსპერიმენტის განხორციელებას[1].

მეფის ხელისუფლება ამ თავისი პოლიტიკის განხორციელებას აუჩქარებლად, მეთოდურად ცდილობდა. მაგალითად, ყარსისა და ბათუმის ოლქების შემოერთების შემდეგ, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი ამ ოლქების ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ინსტრუქციაში აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო მოსახლეობის შემზადება რუსული მოქალაქეობრიობის „შესისხლხორცებისათვის". მთავრობის განსრახულებათა შესრულებისას ფრთხილად იმოქმედეთო, — წერდა მეფისნაცვალი[2].

შეიძლება გავიხსენოთ, რომ ასეთივე „ფრთხილი" იყო თურქების პოლიტიკა დაპყრობილი კუთხეების მიმართ. მაგალითად, თურქებს აჭარაში ჯარი არა ჰყავდათ და აქაურ მოსახლეობას გადასახადებს შედარებით ზომიერს ახდევინებდნენ[3]. ამავე დროს თურქეთის ხელისუფლება სულ უფრო ცდილობდა აეთვისებინა აჭარა, შეემოეღო იქ თურქული მმართველობის ყველა წესი[4]. სული სულს იცნობსო და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი რუსი სასულიერო პირი ბრძნულს უწოდებდა თურქეთის მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას და მის იმ ღონისძიებებს, რაც ქართველებისა და სომხების გადაგვარების მიზნით ხორციელდებოდა[5].

ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას თავისი მხარდამჭერნი იმპერიის არარუს ხალხებშიც ჰყავდა. მათ შორის იყო წარმოშობით ქართველი არისტოკრატი, კავკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთი დიდმოხელე გიორგი მუხრანბატონი, იგი 1864 წელს აღნიშნავდა: შორს არ არის ის დრო, როცა როგორც უკვე ახლა, ქართველი ხალხი რუს ხალხთან ერთად არა მარტო ერთ ეკლესიაში ივლის სალოცავად, არა მარტო ემსახურება ერთ მეფეს და რუსეთთან ერთად შეადგენს ერთ პოლიტიკურ სხეულს, არამედ გახდება რუსეთის სულიერი ცხოვრების სრული თანაზიარი. განვითარებული კლასებისათვის გარდა რუსეთისა უკვე ამჟამად

---

[1] «Кавказ», 1877, № 2.

[2] С. Эсадзе, Историческая записка, т. II, 1907, с. 261.

[3] იქვე, с. 256.

[4] Г. Н. Казбеки, Три месяца в турецкой Грузии, «Записки Кавказского отдела императорского русского географического общества», Книга X, выпуск I, Тифлис, 1876, с. 35—43.

[5] И. Восторгов, Церковная школа в Закавказьи, Журн. «Народное образование», т. I, книжка 3, март 1905, с. 319.

არ არსებობს სხვა სულიერი საშუალო; ამ კლასების გაკვალული გზით მოხდება აგრეთვე სხვა კლასების რუსეთთან თანდათანობითი შერწყმა[1]. შემდეგში გ. მუხრანბატონი შეეცადა დიდი ერების მიერ პატარა ერების შთანთქმის კანიბალური პოლიტიკა გაემართლებინა და თეორიულად დაესაბუთებინა.

მართალია, გ. მუხრანბატონის ანტიეროვნული, რეაქციული ქადაგება ქართველი და სომეხი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა მკაცრად გაკიცხა, მაგრამ ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას უმნიშვნელო ძალები როდი უჭერდა მხარს და არარუსი ხალხების დამღუპველი ამ პოლიტიკის შედეგი თანდათანობით თავს იჩენდა. პირველ რიგში გადაგვარებას იწყებს თვით ქართველი მოხელე-დიდკაცების ნაწილი (მუხრანბატონის ე. წ. „განვითარებული კლასები"). ილია სწორედ მათ შესახებ აშბობდა (1872 წ.)[2].

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმოთ ალისაკუთად!
შიშით — არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

ს. მგალობლიშვილი 1878 წელს წერდა: „ქვეყნისათვის, მართალია, გული შესტკივა ახალგაზრდობის ერთ ნაწილს. ამავე დროს დასტა-დასტა გახლავან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც თათქარიძეზე ბევრათ დაბლა დგანან. ისინი კვეხულობენ, რომ არაფერს აკეთებენ. კვეხულობენ, რომ ქართული კითხვა არ იციან და მისი კითხვა სძაგთ, მონატრულნი არიან, რომ ქართული ენა არ იცოდნენ. შემხვედრია ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ტრაბახობდნენ: ქართული კითხვა რათ მინდა, რომ ვიცოდეო, ძალათ გამომაწერინეს ქართული გაზეთი, ვჯიყინებ, ვჯიყინებ და ვერას ვიგებო. ისე ურცხვად ლაპარაკობენ ამ სიავაზაკეს, რომ ჟრუანტელი გამოვლის ტანში, ეს სულით-გულით სრული მახინჯები, ეს არაკაცნი!! რა კეთილს უნდა მოელოდეს ამათგან ადამიანი, ეს ავაზაკები პარპაშობენ და დამძრახი კი არავინ ჰყავთ, ან ვინ დასძრახავთ: ეს საქციელი ჩვენში „სწავლის ნიშანი" გახლავთ, დიდი ერთგულების ნიშანი გახლავთ"[3].

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბარონ ალ. პ. ნიკოლაის ფონდი, № 41.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1951, გვ. 97—98.
[3] „ივერია", 1878, № 2.

ამ მხრივ ვითარება არც შემდეგ შეცვლილა. 90-იანი წლების დასაწყისისათვის ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემდა.

— შეიძლება ვინმემა სთქვას: განა შეიძლება ისეთი კაცი იყოს, რომ იმას თავისი სამშობლო არ უყვარდესო? ვინ იქნება ის თავიდამ ხელაღებული, რომ თავის სამშობლო ერს პატივს არ სცემდესო? სწორედ ასე წარმოსთქვა ბ-მა ჭრელაშვილმა „იმედში“, რომ ჩვენი ერის მამულის მოყვარეობაზე განა ითქმის რამეო. ესე იგი ეჭვი არ არის, რომ ყოველ ქართველს თავისი სამშობლო ერი და ენა უყვარსო. დიაღ, შეიძლება განათლებულს ერში ასე იყოს, მაგრამ ჩვენში კი ერთობ იშვიათია. ასეთ გულგრილობას და გულ-ქვაობას ქართველი საზოგადოება დიდი ხანია რაც დაადგა. ამათში დიდი ხანია, რაც გაქრა ყოველნაირი ღირსება, კაცის ცნობა. განათლებით, მართალია, წინ მივღივართ, მართალია, ათასნაირი ოსტატობა და მსჯელობის შნოც შევიძინეთ, მაგრამ ამასთან საკმარისი გულქვაობა და უთანაგრძნობლობაც ჩავინერგეთ გულში, როგორც სამშობლო ქვეყნისა და ერის, ისევე ჩვენის მწერლობისა და დედაენის მიმართ. ასე იყო წინათ ჩვენში და ასეა დღესაც. ეს ითქმის უმეტესად ჩვენს მოწინავე პირებზე. ამათთვის სულ ერთია, გინდ ყოფილა ქართველი ერი და გინდ არა, ქართული ენა გინდ ყვავს შეუჭამია და გინდ ყორანს, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად. დიდი ხანია, რაც ამათ აკაკის ღამურას ქურქი წამოისხეს ტანზე, დიდი ხანია რაც ამათ ყველაფერზე გული აჰყარეს და ეს გულგრილობა თავიანთ შვილებს შემკვიდრეობით გადმოსცეს. მამებზე უმეტესად წახდნენ შვილები. ამათ რომ ვინმემ რამე ჰკითხოს ჩვენს საქმეებზე და მწერლობაზე, ესენი მაშინათვე ხარხარს დაიწყებენ, რა დროს ეგენიაო, შენგან არ მიკვირსო, დრო კოსმოპოლიტურია, ჩვენთვის სულ ერთიაო, ვინც უნდა იყოსო, გინდ ქართველი საქართველოში და გინდ სხვაო. ამას რასაკვირველია ესენი ათასნაირის ჰუმანურის გრძნობითაც მორთავენ და თავიანთ თავებს ისე აჩვენებენ ხალხს, თითქოს ესენი ამ კოსმოპოლიტურის აზროვნებისათვის ჯვარზე გაეკვრებიან, მაგრამ ეს მოჩვენებითია.

იყო დრო, რომ ზოგი ჩვენი მწერალთაგანი ცხარე ცრემლებს აფრქვევდა ჩვენი უბედური ცხოვრების, ჩვენი არარაობის გამო, და ამავე დროს, იყო ისეთი საზოგადოებაც, რომელიც ამ ცხარე ცრემლებს ხითხითით და გაკვირვებით უმზერდა. ასეთი ყალიბის ხალხი ჩვენში ბევრი იყო წინათ და ბევრია დღესაც[1].

ზ. ჭიჭინაძე, როცა ლაპარაკობს გადაგვარებულებზე, რასაკვირვე-

[1] „დიმიტრი ყიფიანი“, ტფილისი, 1892, გვ. 5—6.

ლია, აქ მხედველობაშია სამოხელეო ასპარეზზე დაწინაურებული პირები და არა ჩვენი ხალხის ჭეშმარიტად მოწინავე მოღვაწეები.

ამავე დროს, ჩვენი პუბლიცისტიკა ისტორიული ფაქტების მოშველიებით ცდილობდა გაემხნევებინა თანამემამულეები, ჩაენერგა ზიზღი ეროვნული მოღალატეებისადმი, რომლებიც უწინაც ცოტანი როდი ყოფილან. მაგალითად, „დროება“ აღნიშნავდა: მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ შაჰ-აბასის დრო ხელს უწყობდა ჩვენს მამულიშვილობას. არა. ჩვენი საშობლოს დამცირება მაშინდელ დროს, სხვათა შორის, იმისაგანაც მოხდა, რომ ცბიერმა სპარსეთის ყაენმა განხეთქილება შეიტანა საქართველოში, სხვადასხვა გზით შეისყიდა და მიიმხრო მრავალი თავადი თუ აზნაური. ჩაიხედეთ მატიანეში და განცვიფრდებით, — თუ რა სენად გადაიქცა მაშინ მამულის ღალატი, სამშობლოს გმობა. თვით წყეული გვამი „ავაზაკი“ კონსტანტინე შაჰ-აბასის ხელთაქმნილება იყო. ეს ყოველივე მართალია, მაგრამ დაჩაგრულს საქართველოს მაინც უხვად მოეპოვებოდა თავგანწირული მამულის შვილები[1].

ჩვენი პროგრესული პუბლიცისტიკა ასევე სასტიკად ამათრახებდა კოსმოპოლიტებს, კერძოდ, მათს მტკიცებას — ჩვენს პატარა ქვეყანაში როგორ ჩავეტევითო. „ივერია“ აღნიშნავდა: უკანასკნელ ჟამს ხომ გამოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი, რომელნიც ჩვენს ცხოვრებაში მაგოდენს ვერაფერს წარმოადგენენ, გული კი დიდი აქვთ და მაღლა უნდათ აცოცება, მაგრამ ცოდნა და ზნეობრივი ძალღონე არ შესწევთ; სამოქმედო პროგრამისათვის ვერ მიუგნიათ და თვისის არარაობის და სიმხდალის გადასაფარცხავად კოსმოსურ თეორიას ამოჰფარებიან, თავი კოსმოსის მოქალაქედ მოაქვთ. ასეთი თეორიის აღმსარებელთ საქართველო, პაწია ქვეყანა, ბაქო-ბათუმს შუა მოკრუნჩხული, აბა, როგორ დაიტევს! ან მათ მსოფლიო საკაცობრიო ოკეანე გულში ქართველური მამულიშვილობა რაღა შესამჩნევი წვეთი იქნება, მათთვის ენისა და სამშობლოსათვის ზრუნვა ხომ წვრილმანობა და შეუწყნარებელი ჩხირკედელაობა იქნებოდა?! მათის საგმირო საქმეებისათვის მთელი დედამიწის ზურგია გადაშლილი და არა ერთი ციდა საქართველო. ეს ჩვენი დღევანდელი გმირები სულმდაბალი, ნაცარქექიები არიან. კოსმოსური ენით ლაპარაკს კი არა, სოფლის კაცთან საუბარს ვერ შესძლებენ. ერთი ათად სამწუხარო ისაა, რომ ასეთი ვაჟბატონების მსგავსად, სამშობლო ენის საჭიროებას უარყოფენ და ზემოხსენებულ კოსმოპოლიტების ხმას სხვებიც აჰყოლიან[2].

---

[1] ნ. ურბნელი, ლიტერატურული შენიშვნა, „დროება“, 1883, № 231.
[2] „ივერია“, 1903, № 123.

ვაჟა-ფშაველა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმზე მსჯელობისას აცხადებდა: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ ხელს კეთილშობილური მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, არამედ შეუწყე კიდევაც ხელი, თუ შეგიძლიან. ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და რომ ის გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ ის კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის და ტვინის პატრონი, იგი თავისსავე შეუმჩნეველად დიდი მტერია იმავე კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს[1].

დუტუ მეგრელი მკაცრად გმობდა თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ქართველი ერის განვითარებისათვის ქართული ენა აღარ იქნებოდა საჭირო, რადგან ქართველი ხალხი უცხო ენის შეისწავლისთანავე ადვილად შეიძლებსო განვითარებას. აი, მაშინ, — განაგრძობს დუტუ მეგრელი, — ქართული ენის სულაც მოსპობის წინააღმდეგი აღარა იქნებარაო. აკი კარგად ცნობილი ქართველი მეწიგნენიც: მ. ნიკოლაძე, ბეჟანეიშვილი, ჭელიძე, რომელთაც მოწოდებით მიმართეს დააარსონ საგამომცემლო ამხანაგობა, თავის მოწოდებაში აღნიშნავენ: ქართველისათვის საჭირო გახდა გამოღვიძება, ტექნიკური და საშეურნეო ცოდნის შეძენა. ამისათვის ის ეძებს უბარ იარაღს, რომელსაც წიგნი ეწოდება, „დაეძებს მას შშობლიურ ენაზე, რადგან უცხო ენა მან არ იცის". შეწიგნეთა ამ სიტყვების გამო დუტუ მეგრელი სარკასტულად შენიშნავდა ამრიგად, „ქართველი იმიტომ კი არ ეძებს ქართულ წიგნს, რომ ქართველია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „უცხო ენა მან არ იცის"[2].

ჩვენი დემოკრატიული პრესა მკაცრად აკრიტიკებდა გადაგვარებულ ქართველებს, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ციხე-სიმაგრეს შიგნიდან ტეხდნენ. 1877 წელს „ივერიას" თავის ფურცლებზე მოჰქონდა ერთი ქართველი თავადიშვილის წერილის შინაარსი. თავადიშვილს თხოვნა გაუგზავნია რეალური სასწავლებლის დირექტორისათვის: ჩემ შვილს ქართულ ენას ნუ ასწავლითო. გაზეთი ამ ფაქტის გამო დასძენდა: „ეს ერთი და ორი არ არის. მეტად ცუდი ნიშანია ამგვარი ულმობელი უარყოფა დედაენისა"[3]. მომდევნო პერიოდში „ივერია" წერდა, რომ ქუთაი-

---

[1] „ივერია", 1905, № 172; ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 254, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 16.

[2] დუტუ მეგრელი. აქეთური-იქეთური, ერთი ფაქტის გამო, „ივერია", 1903, № 128.

[3] „ივერია", 1877, № 2.

სის გუბერნიის წარჩინებულ გვარის შვილებს (სამი წ-ლი, ერთი და-ნი ერთი წ-ძე, ერთი შ-ძე, ერთი ღ-ძე, ერთი ლ-ძე, ერთი გ-ძე და ქ-შვილი) ქუთაისის ორი სასწავლებლის უფროსების სახელზე ქაღალდი შეუტანიათ:

— საუბედუროდ მიგვაჩნია ჩვენს შვილებს ქართული აღარ ვასწავლოთ და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ გაანთავისუფლოთ ისინი ქართული ენის გაკვეთილებისაგანო.

— როგორაო, — გაკვირვებულან ორთა სასწავლებელთა უფროსები, — ქართველებს ქართულის სწავლა შეზიზღებიათო. ან კი რა ტომისა და სისხლის ადამიანი უნდა იყოს კაცი, რომელსაც ასეთი უხამსი საქციელი არ გააკვირვებს. დასახელებული პირები კი დაჟინებით თხოულობენ: ენა ამოგვგლიჯეთ პირიდან, ხორცმეტად მიგვაჩნიაო. ზოგიერთ ზემოხსენებულ მშობელს, თავისი შვილები 7 წლის ასაკიდან განსრახ დაუბინავებია ისეთს ოჯახებში, სადაც ქართულის ჭაჭანება არ ყოფილა, და მასწავლებლებიც იმის ცდაში ყოფილან, რომ ქართული დაევიწყებინათ. გაზეთი სხვა ხალხების წარსული ცხოვრების მაგალითებსაც იშველიებდა:

ბაბილონის ტყვეობაში მყოფმა ებრაელმა ყმაწვილებმა ანანიამ, აზარიამ, მისაელმა და დანიელმა ნაბუქოდონოსორის მდიდარ სუფრას ხმიადი არჩიეს და თავისი მამა-პაპის ადათი კი არ გასტეხესო[1].

უეჭველია, წარჩინებული წოდების ამგვარი წარმომადგენლები, რომლებზეც ზემოთაც ითქვა, ჰყავდა მხედველობაში მოსე ქიქოძეს, როცა ის აღნიშნავდა (1869 წ.): ჩვენ, ჩვენდა სასირცხვილოდ დავიწყეთ დედაენის უკადრისობა. ბრუნდე თუ მართალი, მცირე თუ უმცირესი, ყველა ერთბაშად ჰკეჭნის თავის ენას, ამ ენაზე ლაპარაკს ბევრნი არ კადრულობენ[2].

დუტუ მეგრელმა დაადასტურა, რომ თბილისში არაერთი ქართლელი ან კახელი თავადიშვილის ოჯახში უცხო ენა დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც მშობლიურ ენად იყო ქცეული, მშობლიურ ქართულს კი ძლივსღა ედგა სული სამზარეულოში და გოგო-ბიჭებთან. მწერალი გამოეხმაურა „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ ცნობას, სოგიერთი თავადური გვარის გადაგვარებული წარმომადგენლის მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო და აღნიშნა, რომ დასახელებული წარჩინე-

[1] „ივერია“, 1903 № 123.

[2] „მნათობი“, 1869, ივლის-აგვისტოს ნომერი, ციტ. გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, 1928, გვ. 230.

ბული გვარების ათი წარმომადგენლის მიმართვამ საშინლად გამაკვირვაო. სწორედ არ მეგონა, თუ რომელიმე „წარჩინებული" გვარიშვილი ჩვენში, თუნდაც გულში, წინააღმდეგი ყოფილიყო შვილებისათვის ქართულის სწავლებისა, ასე აშკარად, უცხოთა წინაშე გამოსთქვამდა ამ აზრს და საკუთარი ხელით გაითხრიდა თვისი ზნეობრივი არსებობის სამარეს.

ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება ზნეობრივი დაცემისა და გათახსირების გზაზე; ეს უკანასკნელი წერტილია ადამიანობისა, რომლის იქითაც ყოველივე ადამიანური ისპობა. მხოლოდ სულმდაბალნი და ავაზაკნი უარყოფენ ხოლმე თავის ვინაობას. თავისი ეროვნების უარისყოფაც იგივე ვინაობის უარისყოფაა, ხოლო ვინაობის უარისყოფა სრული ზნეობრივი გაკოტრება, ინტელექტუალური სიკვდილია ყოველ ცალკე პიროვნებისათვისო.

დუტუ მეგრელი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „თქვენს თავს, რაც გინდათ უყავით, ბატონებო, და, რა ნება გაქვთ, რომ საუკუნოდ ამახინჯებთ და აუბედურებთ თქვენს შვილებს, რომელნიც, იცოდეთ, მადლობას არ გეტყვიან ამისთვის"[1].

ჩვენი მოღვაწეები გაბედულად ებრძოდნენ მავნე ტენდენციას, რაც მაშინდელ მთელ რიგ არისტოკრატულ ოჯახებში მკვიდრდებოდა. ეს იყო ევროპეიზმით ზერელე გატაცება, ქართული ტრადიციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ქართული ენის აბუჩად აგდება და დავიწყება, ერთი სიტყვით, ნელი და უმტკივნეულო გადაგვარება[2].

ამ ტენდენციის საპირისპიროდ ს. მესხი აღნიშნავდა: „ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით, ჩვენის ჩვეულებით; ჩვენის ქვეყნით. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ჩვენის ნაციონალურის, განსაკუთრებულის თვისებებითა"[3].

ჩვენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს შესანიშნავად ესმოდათ მშობლიური ენის მნიშვნელობა ეროვნული კულტურის განვითარებაში. ამ დროს სავსებით დაიხვეწა ბავშვის დედაენაზე აღზრდა-განათლების ქართული პედაგოგიური სისტემა, ამ მხრივ კი განსაკუთრებული ღვაწლი იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის.

---

[1] დუტუ მეგრელი, აქეთური-იქეთური, ერთი ფაქტის გამო, „ივერია", 1903, № 128.

[2] ა კ ა კ ი ს ურ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე სახევარში, თბ., 1973, გვ. 99.

[3] „დროება", 1879, № 1, „ახალი წელიწადი"; ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1961, გვ. 113.

ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ ბავშვი, დაბადებიდანვე მოკლებული დედაენის გამაცხოველებელ გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნებას და ისეთივე უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ადამიანი, მევიოლინედ დაბადებული და მეფორტეპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამგვარი ბავშვი ეგვანება საცოდავ მერცხალს, რომელსაც ძალდატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერასდროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებით ნიჭს. ასე დასჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰღალატობს, არღვევს მის კანონებს და უკუღმართად იქცევა[1].

იაკობის აზრით, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედაენას აშორებს და უცხო ენას ასწავლის, ამით ის ხელიდან ართმევს თავის შვილს გონების სწორი განვითარებისათვის აუცილებელ ერთადერთ საშუალებას, ხოლო მის ნაცვლად ხელში აჩეჩებს იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომელიც არასდროს არ გაუწევს ბუნებითი იარაღის მაგივრობას[2]. ი. გოგებაშვილი იშველიებდა იან ამოს კომენსკის აზრს, რომლის თანახმადაც, ბავშვს ჯერ დედაენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი მეორის შემდეგ. თუ ერთ დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ[3]. ი. გოგებაშვილი წერდა: „ის მშობელნი, რომელნიც თავის შვილებს ზრდიან გარეშე დადაენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირს მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას, რომ ეს მშობელნი დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე"[4]. ქართული ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახში. ბავშვები პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ ხალხურ ლექსებს და ზღაპრებს[5]. „ახალი თაობა, აღზრდილი თვისი ენის, ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩად აგდებაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივი სიყვარულის მაგიერ სიძულვილს უჩვენებს მათ

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია", 1890, № 100; თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954 წ., გვ. 208—209.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 208.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 216.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 207.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 240.

და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა". ი. გოგებაშვილი დაასკვნიდა, რომ „მხოლოდ დედაენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა"[1].

როცა ლაპარაკია სხვა ხალხის კულტურისა და ენის მოძალებაზე, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ეროვნული გადაგვარების პროცესში პირველყოვლისა დაქვემდებარებული ხალხის პრივილეგიური ფენის წარმომადგენლები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ჩათრეული. მხოლოდ ხალხის მასა ინარჩუნებდა მტკიცედ დედაენას, ენისა და ეროვნების შემნახავი მხოლოდ მშრომელი ხალხი იყო. ამ ფაქტზე ქართულ პუბლიცისტიკაში მიუთითა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) 70-იანი წლების დასაწყისში[2].

ჩვენი მოღვაწეების შეგნებაში სულ უფრო ნათლად ისახებოდა მშრომელი ხალხის როლი თავისი ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად. ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: ბევრს არა სწყამს მომავალი ქართველი ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას. მაგრამ მათ რომ გაიცნონ, თუ რა გამრყვნელი და უდიერი ბიუროკრატიის ხელში იყო იგი მთელი საუკუნის განმავლობაში და, მიუხედავად ამისა, მაინც შეირჩინა ძალა ბრძოლისა და სიცოცხლისა, ისინი ირწმუნებენ ამ ერის მომავალს. ირწმუნებენ მომავალს არა ქართველი არისტოკრატიისას, რომელიც ჭენებით მიისწრაფება უკან, უფსკრულისაკენ, და უცხოელებზე ჰყიდის თავის მდიდარ მამულებს, მორწყულს ქართველი ერის სისხლით და ოფლით, არა ქართველი ბურჟუაზიისას, რომელიც უდღეური ბავშვივით წყალდება დედის მუცელში, არამედ მშრომელი ქართველი ხალხისას[3].

ამრიგად, ჩვენი ხალხის მესვეურნი პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ძალას სწორედ რომ გლეხობა და მშრომელთა სხვა ფენები წარმოადგენდნენ. ამასთან, მათ მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო თავადაზნაურობისა და ქართველი ბურჟუაზიის ჯანსაღი ნაწილის ჩაბმა და გამოყენება ეროვნულ მოძრაობაში.

---

[1] ი. გოგებაშვილი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია", 1890, № 100; თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954 წ., გვ. 210.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, № 49.

[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 521.

ნ. მარი წერდა: „თუ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მკვდარია, თუ საქართველოს თავადაზნაურობას ძალა არ შესწევს აღიღოს ქედითა თვისით ტვირთი ისტორიულის მომენტისა, ეს მშრომელი ნაწილი საქართველოს ერისა ჯერ ხომ ძალა გამოულეველია და ხელუხლებელი. ეს თვითმოქმედი მრავალტომოვანი გლეხობა საქართველოსა, როგორც მებრძოლი არა მხოლოდ კლასობრივად ეკონომიურის, არამედ, უეჭველია, კულტურის ინტერესებისათვისაც მრთელის საქართველოს ერისა“[1].

მშრომელი ხალხი არ შეიძლება დაინტერესებული არ ყოფილიყო ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტით. შეუძლებელი იყო მუშების[2], გლეხებისა და სხვა მშრომელთა სულიერი ნიჭის სრულ განვითარებაზე სერიოზული ლაპარაკი, როცა მათ, მაგალითად, სხვადასხვა სახის შეკრებებზე მშობლიური ენით სარგებლობის საშუალება არ ეძლეოდათ. როცა მშობლიური ენის განდევნის გამო სკოლები მათთვის ფაქტობრივად დახურული იყო[3]. ამიტომ ჩვენი პროგრესული პუბლიცისტიკა აღნიშნავდა: ეროვნული ენა, ეროვნული სკოლა, ეროვნული სასამართლო, ეროვნული პრესა, ლიტერატურა და სხვ. არავისთვის არ არის იმდენად საჭირო, რამდენადაც პროლეტარიატისათვის და დაჩაგრული გლეხობისათვის[4].

მავნე შედეგები და უდიდესი ზიანი, რაც დედაენის სკოლებიდან და სხვა დაწესებულებებიდან განდევნას მოსდევდა, ქართველი ხალხის ძირითად ნაწილს კარგად ჰქონდა შეგნებული. მაგალითად, „ივერია“ 1903 წელს აღნიშნავდა, რომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი პუბლიცისტები, თავადაზნაურთა კრებები, სოფლის ყრილობები, პეტერბურგში გაგზავნილი დეპუტაციები გამუდმებით ერთსა და იმავეს თხოულობდნენ, რომ ქართულ ენას სკოლასა და ეკლესიაში შესაფერისი ადგილი ჰქონდეს დათმობილი, რადგანაც უამისობამ ჩვენი ახალი თაო-

---

[1] ნ. მ ა რ ი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 21—22.

[2] მკვლევარები ადასტურებენ, რომ სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში, ბატონყმური ურთიერთობის პირობებში (ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, II, თბ., 1968, გვ. 196—197; გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, 1864—1917, თბ., 1976, გვ. 479);

[3] შეადრ.: И. С т а л и н. Марксизм и национально-колониальный вопрос. 1935, с. 13.

[4] ი ვ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, ეროვნული საკითხი, თბ., 1906, გვ. 50.

ბა დაამუნჯა, გონება გამოუფიტა, გამოაყეყეჩა და ზნეობრივად გამოათაყვანა. უამისობით აღზრდილმა თაობამ ვეღარ გამოიჩინა შემოქმედებითი ძალა, ასეთი თაობა ვეღარ შეიქმნა კულტურის განმავითარებელი და დამნერგავი[1].

ჩვენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზანმიმართულებას სწორედ რომ ქართველი ხალხის თვითმყოფობის, მისი არსებობის, მისი კულტურის გადარჩენა და განვითარება შეადგენდა. ერის მეობისა და არსებობის ძირითადი ნიშანი სწორედ რომ ენა ყო. „ჩვენი ენა არის ის უხილავი გენია, რომელიც თან ატარებს ქართველი ერის არსებობას“[2]. შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა გამოჩენილ მოაზროვნეთა ენის გარეშე ქართული კულტურის შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო. ჩვენი დიდი მოღვაწეები თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის, რაშიც დედაენას უპირველესი როლი ენიჭებოდა. დედაენის როლი აქ განიხილებოდა, როგორც აუცილებელი საშუალება ერებს შორის არსებული ფაქტობრივი უთანასწორობის (კულტურული, სამეურნეო, პოლიტიკური) დასაძლევად. სამოციანელების ლიტერატურული ბრძოლა ეს იყო საქართველოს გადასარჩენად გამართული ჭეშმარიტი ომი, წინა თაობების ოცსაუკუნოვანი ომების ნამდვილი გაგრძელება, მხოლოდ ეს იყო, რომ ბრძოლისათვის სრულიად სხვა იარაღი იყო გამოყენებული[3].

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის მითოლოგიურ სიუჟეტებსაც იყენებდნენ. ი. გოგებაშვილი ერთი განთქმული მითის შინაარს შეახსენებდა მკითხველს (1890 წ.): ბერძნული თქმულებით, დედამიწის შვილი ანთეოსი უძლეველი იყო მიწასთან კავშირით, რადგან თავის დედასთან — მიწასთან — შეხებით მარად განახლებულ ძალას იძენდა. მას შეხვდა ჰერაკლე. ორთა ბრძოლაში ჰერაკლემ ანთეოსი დაამარცხა იმით, რომ აიტაცა ჰაერში, მოსწყვიტა თავის მშობელ დედამიწას და იქ დაახრჩო.

ანთეოსივით ძლიერია ერი, საზოგადოდ, და ადამიანი, კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო მასავით სუსტდე-

---

[1] „ივერია“, 1903, № 123.

[2] უ ი ა რ ა ღ ო (კონდრატე თათარაშვილი), თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. I, 1957, გვ. 631.

[3] А. С у м б а т о в, დასახ. თხზ., გვ. 18.

ბა და იღუპება, როცა იგი შორდება ამ ნიადაგს და წყვეტს მასთან განმაცხოველებელ კავშირს[1].

საკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ქართველ იხტელიგენციას ყველა გზა, გარდა ეროვნული გადაგვარებისა, დახშული ჰქონდა, ქართველთა რეალური ეროვნული თვითშეგნება მაინც არ შეიძლებოდა გამქრალიყო. პირიქით, ჩვენმა ერმა, თავისი გამოჩენილი მოღვაწეების მეთაურობით შეძლო ეროვნული თვითცნობიერების გაღრმავება. XX საუკუნის დამდეგის პროგრესული პუბლიცისტიკა აღიარებდა, რომ ეროვნულმა თვითცნობიერებამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინო[2].

ამ საქმეში, ესე იგი, XIX საუკუნის ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებაში დ. ყიფიანმა თავისი წვილილი შეიტანა.

VIII თავი.

მოსაზრებანი დედაენაზე, საქართველოს წარსულსა და ქართველ ისტორიულ მოღვაწეებზე

საქართველოს წარსულსა და ქართველ ისტორიულ მოღვაწეებზე

დ. ყიფიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის შესწავლას, კიცხავდა იმ ავტორებს, რომლებიც ქვეყნის წარსულის შესწავლის მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებდნენ[3].

თავის ნაწერებში დ. ყიფიანი ცდილობს კრიტიკულად შეაფასოს ქართველი ხალხის წარსულის ამსახველი საისტორიო თხზულებები და მასში ნამდვილი და გაზვიადებული ერთმანეთისგან გააცალკევოს. 1854 წელს ის აღნიშნავდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" ზოგჯერ მოქმედებანი ზღაპრული ხასიათისაა, მაგალითად, გორგასლისა (იგი გორგასლანს უწოდებს)[4]. აქ არ არის დასახელებული ვახტანგ გორგასლის

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 237—238.

[2] ნ. მ ა რ ი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 60; А. Сумбатов, დასახ. თხზ., გვ. 18.

[3] ა. ც ი ნ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის საკითხები გაზეთ „კავკაზის" ფურცლებზე, „მაცნე", 1979, № 3.

[4] Д. К и п и а н и, Несколько мыслей, с. 32.

მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამბებში რა არის მიჩნეული ზღაპრულად, გაზვიადებულ ამბად. დიმიტრი ამავე წერილში, ცოტა ქვემოთ, კვლავ უბრუნდება გორგასალს და წერს, რომ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი ლაშქრობს პონტოს ზღვის სინოპის კედლებთან, ანატოლიის სიღრმეში, პალესტინაში, ინდოეთში და, მემატიანეთა მიხედვით, თვით აბაშეთშიც (აბისიანში) და ეს მართლმადიდებლობისა და მოკავშირეთა დასაცავად[1].

მ. ბროსეს მიერ ფრანგულად გამოცემულ საქართველოს ისტორიის შეფასებისას დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის საკუთრივ ისტორია, არის მხოლოდ დიდი მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად საჭიროებსო გადამუშავებას[2]. რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, გორგიჯანიძეს და ზოგიერთ სხვა ისტორიკოსს, მათ შემოქმედებაში, დ. ყიფიანის აზრით, არა მარტო ბევრი უზუსტობაა, არამედ ბევრი რამ დაუჯერებელიც[3].

დ. ყიფიანისათვის დამახასიათებელია რწმენა თავისი ქვეყნის ისტორიული ძალებისადმი. 1854 წელს იგი წერდა: საქართველომ 22 საუკუნის მანძილზე გაუძლო ჟამთა სვლას. საქართველო მოწმე იყო მრავალი სახელმწიფოს დამხობისა (ნინევია, ასურეთი, ფრიგია, ბაქტრია) და მხოლოდ მან ერთმა, XIX საუკუნისათვის შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ქრისტიანული მართლმადიდებლობა წარმართობასა, ცეცხლთაყვანისმცებლობასა და მაჰმადიანობას შორის 15 საუკუნის მანძილზე[4]. დიმიტრის ამ სიტყვებში გამოსჭვივის არამარტო მშობელი ქვეყნის წარსულის გამო სიამაყის გრძნობა; ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი იშვიათი გამძლეობის ქვეყნის არსებობა საკვირველებით კანონზომიერი და სასიქადულო მოვლენაა.

სტავროპოლის გადასახლებაში ყოფნისას დ. ყიფიანი კვლავ უბრუნდება ცივილიზებულ სამყაროში ქართველი ხალხის ისტორიული ადგილის საკითხს (რას წარმოადგენს ქართველი ხალხი?) და აღნიშნავს, რომ ქართველები ახალგაზრდა ხალხი როდია; მათი ისტორიული

---

[2] ახალმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ჯუანშერის აბაშეთი აფრიკის ეთიოპია კი არ არის, არამედ ირანსა და ავღანეთში სისტანის ტერიტორიაზე მდებარე „მცირე ქუშანთა" სახელმწიფოა, ხოლო აბაშები ჰუნი ქუშანები არიან და არა ეთიოპელები (იხ ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, რომელი ქვეყანაა „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების" აბაშეთი. „მნათობი", 1984, № 7).

[2] Д. Кипиани, Несколько мыслей, с. 5.

[3] იქვე, გვ. 6.

[4] Д. Кипиани, Несколько мыслей, с. 4.

არსებობა იწყება 300 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე. ჩანს, რომ დ. ყიფიანს ხალხის ისტორიულ არსებობად ხალხის სახელმწიფოებრივი არსებობა, ასევე დაწერლობის შემოღება მიაჩნია. იგი ეყრდნობა ისტორიულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც — „ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (ლეონტი მროველი). თავისი არსებობის მთელ მანძილზე, — წერდა დიმიტრი, — მტრები ყოველი მხრიდან იყვნენ მომდგარნი და ჩვენს ქვეყანას გააფთრებით ესხმოდნენ თავს.

თავდასხმელთაგან ყიფიანი გამოჰყოფს ჩინგის ყაენის ურდოებს, ჯელალედინს, მურვან ყრუს, თემურლენგს. ის დაასკვნის, რომ კაცობრიობის ამ უბედურობის მომტანთა არა ერთი დარტყმა საქართველომ მიიღო თავის თავზე და ის დასავლეთის ცივილიზაციას ააცილა[1]. ამრიგად, ხაზგასმულია ის დადებითი როლი, რაც ქართველმა ხალხმა დასავლეთის კულტურული სამყაროს მიმართ შეასრულა.

დ. ყიფიანი მიუთითებდა აგრეთვე, რომ ქრისტიანული ეკლესია საქართველომ ცეცხლისა და მახვილის მტრულ გარემოცვაში გამოატარა და გასხივოსნებული სახით შეინარჩუნა[2]. ყიფიანი, ერთი მხრივ, მიუთითებს იმ დიდ როლზე, რაც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ შეასრულა ქართველი ხალხის თვითმყოფობის შენარჩუნებაში და, მეორე მხრივ, აღნიშნავს საქართველოს დამსახურებას საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოებისა და კულტურის დაცვის საქმეში.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე დ. ყიფიანის მოსაზრება საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლის — წმინდა ნინოს — სადაურობაზე. ყიფიანს შავი ზღვის სამხრეთით მდებარე მხარე კაპადოკია ქართველი ტომის — ჭანების ანუ ლაზების — საცხოვრებლად მიაჩნდა. ამ ქვეყნიდან ჩვენკენ წამოვიდა ერთი ქალი და თავისი ქადაგებით ჩვენი ხალხი გააქრისტიანაო[3]. დიმიტრი ყიფიანს, ეტყობა, წმინდა ნინო ტომით ქართველად მიაჩნდა.

ამ შემთხვევაში დ. ყიფიანი, როგორც ეტყობა, იზიარებდა დ. ჩუბინაშვილის აზრს, რომლის მიხედვითაც წმ. ნინო ქართველი იყო — კაპა-

[1] Д. Кипиани, Записка о фактах, фурс. 22—23.
[2] იქვე, ფურც. 23.
[3] „ივერია", 1886, №15.

დოკიელი. მცირე აზიის ამ კუთხეში იმ დროს (IV საუკუნე) ქართველები ბლომად ცხოვრობდნენო[1].

საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული სიძლიერე, ყიფიანის აზრით, დასტურდება სამი ძირითადი მაჩვენებლით: 1) საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი გმირული ამბებით, 2) გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა სახელებით, 3) როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლებით.

დ. ყიფიანი 1878 წელს აღნიშნავდა: „ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზე გვემოწმებიან, ერთის მხრით, გმირული საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც, მაგალითად ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; მეორეს მხრით, გვემოწმებიან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხე-სიმაგრეები და ტაძრები შიგნით და ტაძრები გარეთ, დიდის სიშორიდან რომ მოგვითხრობენ ქართველების ქველობასა და ღვთის მოყვარეობას, — ათონის მთიდამ, მაგალითად, იერუსალიმიდამ“[2].

დ. ყიფიანი ქართველი ხალხის დიდ წინაპრებს შორის განსაკუთრებით თამარ მეფის სახელს გამოჰყოფს. თამარის დიდება... ხალხში იმდენად დიდი და ბრწყინვალეა, რომ მის წინაშე მკრთალად მოჩანან არა მარტო მეორე რანგის სახელგანთქმული პიროვნებანი, არამედ თვით გორგასალი და წმინდა დავითი[3].

დ. ყიფიანის აზრით, თამარის საუკუნე იყო საქართველოს ისტორიის ოქროს საუკუნე. ყიფიანი მოგვითხრობს: ჰკითხეთ პირველსავე შეხვედრილ ქართველ კაცს, ვინ შემოსა საქართველო დიდების შარავანდედით, ვინ გააფართოვა ქვეყნის საზღვრები, ვინ დათრგუნა მისი მტრები, ვინ განამტკიცა მასში მართლმადიდებლობა? დაუყოვნებლივ გიპასუხებენ — „თამარმა“. — ვინ ააგო ამ მაღლობზე ეს ტაძარი, ვინ აღმართა ეს ციხე-სიმაგრე? — შეეკითხეთ ძველი ხალხური დიდების ამ ძეგლებზე, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ, და თქვენ გიპასუხებენ — „თამარმა“[4].

დ. ყიფიანი ადასტურებს, რომ საქართველოს ისტორია ტრაგიზმით

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ტფილისი, 1936, გვ. 73.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 286.

[3] Д. Кипиани, несколько мыслей, с. 31.

[4] Д. Кипиани, Век царицы Тамары, «Кавказ», 1846, 17 августа, № 33.

აღსავსე მდიდარი და მრავალფეროვანი მოვლენებით გამოირჩევა. ქვეყნის წარსულში დრამატულ მოვლენებს ყოველდღე ჰქონდა ადგილი. დიდი მოურავი, მაგალითად, ამაღლებული დრამის სიუჟეტს წარმოადგენს[1].

თუ გავიხსენებთ, რომ დ. ყიფიანი წვრილაზნაურული ფენიდან იყო გამოსული, გასაგებია, რომ მისი სიმპათია გიორგი სააკაძისადმი აგრეთვე ამითაც უნდა ყოფილიყო შეპირობებული. ყიფიანი მიანიშნებდა: პირველხარისხოვან როლს შედარებით ნაკლებად წარჩინებული გვარის შვილებიც ასრულებდნენ ხოლმე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ხოლო მით უმეტეს ამჟამად ადამიანი პირადი ღირსებებით და არა შთამომავლობით. უნდა დაფასდესო.

დიმიტრის კალამს ეკუთვნის მაღალი პატრიოტული გრძნობების გამომხატველი ლექსი „ძველი მეგობრის პასუხი"[2], რომელიც ვახტანგ ორბელიანის ლექსს „ძველ მეგობარს" ეხმიანება[3]. დიმიტრის ამ პოეტურ ნაწარმოებში გვხვდება ისეთი დამახასიათებელი გამოთქმები, როგორიცაა „ცხებულთ ტომი შენი მშობელი", „კვლავაც ადი კავკასიონზე და გადმოჰხედე სამშობლოს შენსა", „რაინდებრივ თავის განწირვა, მშობელ ქვეყნისთვის, — საღმთო ნიჭისა დედაენისთვის მოღვაწეობა".

დიმიტრი მიმართავს მეგობარ პოეტს:

> გვამხილე რაც კი აღმდგენია მოთხრობის ძალით:
> რაც რომ შემძლეა გვემული სულის განმტკიცებისა, —
> სამშობლო ქვეყნის, სამშობლო ენის, —
> თუ ისე წავახდით და დავმცონარდით, რომ ერთი ქნარით
> ყურადღებასა ჩვენსას ეჭვობდე.
> „მოჰბერე შენი ცხოველი სული ძმობილთა შენთა".

ამ ლექსში დ. ყიფიანი მოწიწებით ახსენებს ქართველი ხალხის დიდ წინაპრებს. თავის მეგობარ პოეტს ის მოუწოდებს: მოდი და აგვიხსენი ჩვენ, შენს მოწაფეებს, „რა ჰქმნეს: ფარნავაზ, ან მირიანმა, სკიპტრა-მპყრობელთა; წმინდამან ნინო; ვახტანგ მგელ-ლომმა, დავით აღმდგენმა; თამარმა მზემან; დიმიტრიმ, არჩილ, ლუარსაბ, შალვამ, ბიძინამ, დავით და კონსტანტინემ; ერეკლე კახმან, პატარამ, მაგრამ დიდმა ერეკლემ".

თავისი ხალხის ისტორიისადმი დ. ყიფიანის დაძაბული ყურადღება

---

[1] Д. Кипиани, Несколько мыслей, с. 29.

[2] „დროება", 1883, № 231.

[3] ვახტანგ ორბელიანი, ძველს მეგობარს, 1883 წელი, „ქართული პოეზია", თხუთმეტ ტომად, ტ. 10, თბ., 1978, გვ. 105—106.

მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, სავსებით გასაგებია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს ნათლად ჰქონდათ გააზრებული ისტორიული წარსულის შემეცნების მნიშვნელობა ეროვნული კონსოლიდაციისათვის. მათი გაგებით, ხალხის შინაგანი კავშირის სიმტკიცე, უპირატესად, განპირობებული იყო ერთიანი ეროვნული ისტორიული წარსულით, რაც დიდ გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია“.[1].

ენის მნიშვნელობა

დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საყურადღებო დაკვირვებები გვხვდება ქართული ენის წარმომავლობასა და თავისებურებებზე. იგი მიუთითებს, რომ ზოგიერთები ქართულ ენას მიაკუთვნებენ ინდოგერმანულ (ინდოევროპულ) ენათა ჯგუფს, რომელიც წარმოდგება სანსკრიტიდან. ფორმით სანსკრიტის მსგავსია ქართული ასოები, არსებითი სახელები და თანდებულები, აგრეთვე ნაცვალსახელი[2]. მაგრამ, — განაგრძობს დიმიტრი, — ქართულის ინდოევროპულ ენათა ჯგუფისადმი მიკუთვნების აზრი, ფრიად საეჭვო საფუძველზე აგებულად მეჩვენება. ქართული ენა რჩება თვითმყოფადად, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი ნათესაობა არც ერთ ენასთან, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ არა მარტო დაშორებული ქვეყნების, არამედ კავკასიის ხალხები[3]. ამ ენის წარმოშობაზე ისევე ცოტა ვიცით, როგორც ქართველების წარმოშობაზე, რომლებიც ზუსტად ისეთივე დარჩნენ, როგორიც იყვნენ 300 წელს ქრისტეს დაბადებამდე. დ. ყიფიანს მიაჩნდა, რომ ქართული არის ჩინებული, უხვი, მდიდარი და უაღრესად მოქნილი ენა[4].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1877, № 9; თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1955, გვ. 9.

[2] Д. Кипиани, Несколько мыслей... с. 22.

[3] იქვე, გვ. 25.

[4] „ცისკარი“, 1860, № 1, გვ. VI.

დ. ყიფიანი იმოწმებს უცხო ენების მცოდნე ქართველების დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებს და აღნიშნავს, რომ არ არსებობს აზრი, რომლის ქართულად ნათლად გამოცემა სიძნელეს წარმოადგენდეს[1]. ჩვენი ენა, — განაგრძობდა დ. ყიფიანი, — ერთი ყველაზე მოხერხებული ენაა სიტყვების თამაშზე დამყარებული ისეთი კვანძების შესაქმნელად, რომლებიც გაოცებისა და აზრთა სხვაობის წყაროს წარმოადგენენ[2].

ქართულ პოეტურ ენას აქვს შესანიშნავი ღირსება: ფორმებისა და სიტყვების კონსტრუქციების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, სინონიმების სიუხვე, მარცვლოვანი მახვილის უქონლობა; აგრეთვე თავისუფლება, რომლითაც სარგებლობს პოეტი სიტყვების დაბოლოებისას. „ქართული ლექსის ფორმები უსასრულოდ მრავალი სახისაა"[3].

დ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ქართულ ენას აქვს ისეთი თავისებურებანი და ფორმების ისეთი სიმდიდრე-სიუხვე, როგორსაც ვერ წარმოიდგენს ევროპის ვერც ერთი ძველი თუ ახალი ენა[4]. ლექსის უნიჭო მჯღაბნელები, ისევე როგორც ყველგან, ჩვენს ლიტერატურაშიც გვხვდებიან, ამან მისცა საბაბი ვოლტერს სადღაც ეთქვა, თითქოს ქართველი პოეტები ჩვეულებრივად აზრის წინაშე რითმას უთმობდნენ უპირატესობას. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას რუსთაველზე, თმოგველზე, ჩახრუხაძეზე, შავთელზე, არც ბესიკზე, ჭავჭავაძეზე, ორბელიანზე, ბარათაშვილზე და სხვ.

დ. ყიფიანი ითვალისწინებდა დამწერლობის მქონე ენების ღირსებებს იმ ენებთან შედარებით, რომლებსაც ასეთი არ გააჩნდათ. მაგალითად, იგი უსაყვედურებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ერთ სიბრტყეზე აყენებდა ქართულ, სომხურ, თათრულ და ინგუშურ ენებს. ასეთი რამ ყიფიანს დაუშვებლად მიაჩნდა. ქართულ და სომხურ ენებს უძველესი დროიდან მდიდარი დამწერლობა ჰქონდათ, ხოლო ინგუშური მხოლოდ სალაპარაკო ენას წარმოადგენდა. თვით სამწერლებო ენებსაც განასხვავებს დ. ყიფიანი ერთმანეთისაგან განვითარების დონის მიხედვით. იგი ფიქრობდა, რომ დამწერლობის არამქონე ინგუშური ქართულ და სომხურ ენებ-

---

[1] Д. Кипиани, Несколько мыслей... с. 27.

[2] იქვე, გვ. 29.

[3] იქვე, გვ. 26.

[4] „საისტორიო მოამბე", 3, თბ., 1947, გვ. 379.

თან ახლოს ვერ მოვიდოდა. ამავე დროს მას რამდენადმე შესაძლებლად მიაჩნდა თათრულთან ინგუშურის შეპირისპირება[1].

დ. ყიფიანი აღნიშნავდა ქართული ენის რთულ ბუნებას და მისი შესწავლის სიძნელეებს. იგი წერდა: ქართული ენის შესწავლა ყოველთვის აშინებდა თვითონ ქართველებსაც. ახლაც ჩვენ დიდი პატივისცემით ვეპყრობით იმათ, ვისაც ვთვლით ქართული ენის კარგ მცოდნედ, ხოლო ასეთი პიროვნებანი ძალზე ცოტანი არიან და ეს იმიტომ, რომ სამეცნიერო წიგნები მაღალფარდოვანი, მძიმე, ბუნდოვანი სტილით იწერებოდაო[2]. დ. ყიფიანის აზრით, თავისთავად მოქნილი, ნარნარი, მწყობრი ქართული ზეპირმეტყველება, ქაღალდზე გადატანისას, რაღაც ბლანტ, მძიმე, არაბუნებრივ სახეს იღებს[3].

ცხადია, დ. ყიფიანის ეს შეფასება მხოლოდ ზოგიერთ ქართულ წიგნზე ვრცელდება და არა მათ უმრავლესობაზე. მაგალითად, ბიბლიის ქართული თარგმანი გამოირჩევა ბევრ სხვა ენაზე შესრულებული თარგმანებისაგან. არაერთი ადგილი ქართული ბიბლიისა საოცრად მომხიბლავია[4].

თვითონ დ. ყიფიანი ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. ასეთთა შორის ი. გოგებაშვილი პირველ რიგში დ. ყიფიანს ასახელებდა[5]. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი აგრეთვე „ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნედ“ დ. ყიფიანს მიიჩნევდა[6]. ს. მგალობლიშვილი აღნიშნავდა, „თუ როგორ ღრმად იცოდა დიმიტრიმ ქართული ენის ბუნება“[7]. 1860 წ. პ. უსლარი შესდგომია ქართული ზმნის შესწავლას პეტრე უმიკაშვილის შემწეობით. ეს უკანასკნელი, სწავლებისას, დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ქართული ზმნების უღვლილების ტაბუ-

---

[1] «Закавказье»: № 189, 23 августа 1912 г. «Материалы для биографии Д. И. Кипиани.

[2] Д. Кипиани, Несколько мыслей, с. 26.

[3] იქვე.

[4] პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა: « Ни славянский перевод, ни латинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский де — Saci, ни италянский псалмов, не могут оспаривать права превосходства и изящества у перевода грузинского. «Искатели поэзии грузинского слова, как в псальмах, так вообще в церковных книгах, найдут лучшие и богатые образцы выражений поэтических». «В них целое море красот слов» (П. Иоселиани, путевые записки, От Тифлиса до Мцхети, «Кавказ», 1871, № 40).

[5] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 386.

[6] ა. ორბელიანი, ქართული უბნობა ანუ წერა. „ცისკარი“, 1860, № 6.

[7] ციტ.: ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 41.

ლებს იყენებდა[1]. დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ტაბულა „წერა“ ზმნის უღლებისა სახელმძღვანელოთა კომიტეტს გადაეცა 1853 წლის 3 მარტს. ამ ტაბულას აკაკი შანიძე მაღალ შეფასებას აძლევს[2].

ალექსანდრე ორბელიანმა 1860 წელს სთხოვა დ. ყიფიანს შეედგინა „შემოკლებული სწორე ქართული გრამატიკა“[3].

შემდეგში დ. ყიფიანმა, მართლაც, შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, რაც 1882 წელს გამოსცა[4]. თავფურცელზე მოტანილი იყო გრ. ორბელიანის სიტყვები:

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაუცხოს ჩირქი ტაბარსა წმიდას.

წიგნის შესავალში დ. ყიფიანი აღნიშნავდა: ჩვენ გრამატიკის არაერთი წიგნი გაგვაჩნია, მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი აღარ იშოვებიან, და მეორეც, „ადვილადაც რომ იშოვებოდეს, საისტორიო მასალად კი გამოდგება, რასაკვირველია, მაგრამ სასწავლებლად აღარა“. ავტორი შესანიშნავად ასაბუთებდა სასაუბრო და მწიგნობრული ენის განუყრელი კავშირის მნიშვნელობას. იგი წერდა: „თუ რომ კაცი დროს არ მიჰყვა და თვისი ცოდნაც თან არ მიადევნა, იმისთანა საქმე დაემართება, რაც ბერძნულ გრამატიკას დაემართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღარავინა სწერდა ისე, როგორც ლაპარაკობდნენ, — და აღარავინ ლაპარაკობდა ისე, როგორც სწერდნენ. სამწიგნობრო და სასაუბრო კილოები მეტად დასცილდნენ ერთმანეთსა და სხვადასხვა გზას ისე გაუდგნენ, როგორც, ვთქვათ, ახლანდელი სასაუბრო და ძველი სამწიგნობრო ქართული; ან როგორც რუსული და სლავური; ძველი და ახალი ბერძნული ხომ ერთი ალთას მიდის, მეორე ბალთას“[5].

ნ. მარიც ადასტურებდა, რომ „არც იმისთანა განსხვავება, რომელიც ძველ ბერძნულს სალიტერატურო ენასა და ახალს ბერძნულს სალიტერატურო ენას შორის არის, არც იმისთანა არსებითი განსხვავება, რო-

---

[1] „ივერია“, 1882, № 1, გვ. 80—81, „უსლარი და მისი თხზულება „უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე“; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 190.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. § 342. თბილისი, 1943.

[3] ა. ორბელიანი, ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, 1860, № 6.

[4] დიმიტრიყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურღი, 1882.

[5] დიმიტრიყიფიანი, ახალიქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურღი. 1882, გვ. 9—10.

ძელიც სომხურ სალიტერატურო ენასა და ძველ სომხურს შუა არის და გინდ იმისთანა მაინც განსხვავება, რომელიც ახალ ასურულსა და ძველ ასურულს შუა არის, ქართულს მწერლობაში არ მოიპოვება"[1]. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ქართულმა სალიტერატურო ენამ შესამჩნევი ცვლილებები განიცადა. მეათე საუკუნიდან ქართულ მწერლობაში სამი უმთავრესი განმანახლებელი ცვლილება მოხდა: მეთორმეტე საუკუნეში ცვლილება მოხდა საერო ლიტერატურის განვითარებით; მეთექვსმეტე საუკუნეში — მეცნიერებისა და ხელოვნების აღორინების გამო; მეცხრამეტე საუკუნეში კი ევროპულ კულტურასთან სრული გათანაზიარებით. „ამ სამს მომენტში განახლება შეეხება ერთსა და იმავე ენას, რომელშიაც ამ განახლებას არავითარი ძირითადი ცვლილება არ შეუტანია. ფორმები ისევ წინანდელია (მხოლოდ რაც უფრო ძველია, უფრო რთულია), სიტყვებიც ისევ იმისთანანი არიან (მხოლოდ, რაც უფრო ძველია, უფრო ნაკლებად ურევია უცხო ენებიდგან ნასესხები სიტყვები)"[2].

თანამედროვეთა შეფასებით, დ. ყიფიანის გრამატიკა დაწერილია მეტად ცოცხალი კილოთი და ადვილად გასაგები ენით. — „მეტად საოხუნჯოს კილოთი და მასთანავე ადვილ გასაგების ენითაც", — წერდა ზ. ჭიჭინაძე[3].

კარგადაა ცნობილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადვილად გასაგები ენით გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენას. ამის თაობაზე ი. გოგებაშვილი 1886 წელს იხსენებდა: „ამ ოც-და-ათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ დროიდან, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა"[4].

დ. ყიფიანის მიერ ქართული ენის გრამატიკის გამოცემის თაობაზე გიორგი რომანის ძე ერისთავი 1883 წლის 12 ნოემბერს დიმიტრისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: ამგვარი მოქმედება დასავიწყო არ

---

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 22—23.

[3] „დიმიტრი ყიფიანი", ტფილისი, 1892, გვ. 46.

[4] ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო ბაასი, „ივერია", 1886, № 25, 26; თხზ. ტ. 2, გვ. 90.

არის არავისგან, მეტადრე მათთვის, ვისაც ესმის თავისი მოვალეობა ღვთისა და ხალხის წინაშეო[1].

დ. ყიფიანის „გრამატიკას“ აკაკი შანიძე შემდეგნაირად აფასებს: „გრამატიკაში, დ. ყიფიანის აზრით, შემოდის არა მარტო მორფოლოგია (დ. ყიფიანით — „ეტიმოლოგია“) და სინტაქსი, არამედ ორთოგრაფიაც... ამ ნაწილთაგან მას გამოქვეყნებული აქვს მარტო „ეტიმოლოგია“. უნდა ითქვას, რომ ავტორი რიგიანად ერკვევა მორფოლოგიურ საკითხებში, განსაკუთრებით სახელთა ბრუნება აქვს კარგად დამუშავებული. ზმნათა სირთულე და სიძნელე, მართალია, მასაც ვერ დაუძლევია სავსებით, მაგრამ ბევრი დეტალი კარგად აქვს გაშუქებული. დ. ყიფიანისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ზოგიერთ საკითხს ისტორიულად არჩევს, მოჰყავს სხვათა აზრი და თავის გაგებას უპირისპირებს, ამასთანავე ერთად იგი ზოგჯერ ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს ადარებს ევროპული ენების ფორმებთან (რუსულთან, ფრანგულთან, გერმანულთან, ინგლისურთან, ლათინურთან), ამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით მისი გრამატიკა წინანდელ გრამატიკებზე უფრო მაღლა დგას და, მათ შორის, დ. ჩუბინაშვილისაზედაც“[2].

დ. ყიფიანის მიერ შედგენილი გრამატიკის გამოცემის გამო რეაქციულ რუსულ პრესას უკმაყოფილება გამოუთქვამს. ამაზე დ. ყიფიანმა უპასუხა: ორი ათასი წელიწადია, რაც საქართველოში ქართული მწერლობა არსებობს და მაშ როგორ გნებავთ, ჩანს თქვენ გსურთ, რომ ეს ხალხი და ეს ენა დღეს აღარ არსებობდეს. ჩვენ, ჩვენს ერთმორწმუნე რუსეთს დიდის ერთგულებით შეუკავშირდით, სარწმუნოება ჩვენი ერთია, ჩვენ თითქმის ძმებად ვთვლით ჩვენს თავს, თქვენ კი გამოსულხართ და იმასაც კი გვიძრახავთ და მტრობაში გვართმევთ, რომ ჩვენ, ჩვენს ენაზე გრამატიკას ვბეჭდავთ[3].

ანტონ კათალიკოსის „ღრამატიკის“ ენის მიმართ დ. ყიფიანი ფრიად კრიტიკულადაა განწყობილი. მაგალითისათვის მოაქვს ანტონის წინასიტყვაობის ერთი ადგილი: „მნებავს ქაღალდსა ზედა მელენთა მიერ ნიშნოვანი ღრამმითა“ და თავის მხრივ შენიშნავს: „რაც ეს დაიწერა, მას აქეთ ჯერ არ გასულა ერთი საუკუნე; მაგრამ კი აღარავინა სწერს ასე და ლაპაკით ხომ — არა მგონია შეცდომა მომივიდეს, თუ ვსთქვი, ასე არც მაშინ ულაპარაკნიათ-მეთქი„[4]. დ. ყიფიანის აზრით, ლიტერატუ-

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1912, № 629.

[2] აკაკი შანიძე, იძულებითი განმარტება, ჟურნ. „დროშა“, 1969, № 1 (386),

[3] „დიმიტრი ყიფიანი“, ტფილისი, 1892, გვ. 51.

[4] დიმიტრი ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 10.

რული სამწერლობო ენის ერთადერთი საიმედო საფუძველი ხალხის ყოველდღიური სასაუბრო ენაა, რომლისგანაც გათიშვა ლიტერატურულ, მწიგნობრულ ენას მკვდარ ენად გადაქცევის საფრთხეს უქმნის.

დ. ყიფიანი ნათლად ხედავდა ქართული ცოცხალი სასაუბრო (სალაპარაკო) ენის მაღალ თვისებებს და ასევე ზოგიერთი მოაზროვნის მიერ ხმარებული სამწერლობო ენის მძიმე, ბუნდოვან სტილს მის ნაკლოვანებებს. ყიფიანი უკვე XIX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში აყენებდა საკითხს ლიტერატურული ენის ხალხურ ენასთან დაახლოების აუცილებლობისა და მძიმე ფორმებისგან ლიტერატურული ენის გაწმენდის თაობაზე.

დ. ყიფიანი ქართული ენის ღირსებას იმაშიც ხედავდა, რომ ხალხი XIX საუკუნის ბოლო ხანშიც თითქმის იმ ენით ლაპარაკობდა, რითაც ლაპარაკობდა X ან XI საუკუნეებში[1]. ის დიდად იღვწოდა ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდის დაცვისათვის.

დ. ყიფიანი 1879 წელს სოფელ ქვიშხეთიდან შექსპირის „მეფე ლირის" ქართული თარგმანის გამო ი. ჭავჭავაძეს სწერდა: „ვინც მიყვარს, მინდა რომ იმას წუნი არ ჰქონდეს და თუ შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა უთხრა... მეგობრულად. მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადაიკვლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი.

შრომა გაგიწევიათ დიდი; ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი. ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთად ერთი: კილო. — შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ ხმარობენ, მაგრამ კილო არის სასაუბრო; კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ.

თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, — ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სადმე ულაპარაკნიათ, არც სადმე ლაპარაკობენ.

სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის, — სხვა სრულებით არაფერი"[2].

თუ საქმე ენის სიწმინდეს ეხებოდა, დ. ყიფიანი არავითარ კომპრომისს არ სცნობდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ი. გოგებაშვილის

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 98.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 628; დიმიტრი ყიფიანის არქივი, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა გოზალიშვილმა, პროფ. შ. ჩხეტიას რედაქციით, თბ., 1951, გვ. XIII.

„დედა ენაზე" მისი რეცენზია (1876 წ.), რომელშიც აღნიშნულია: ი. გოგებაშვილის „დედა ენა" ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი. მაგრამ მოსწავლეთათვის გამოცემულს პირველ საკითხავს წიგნში შეცდომა არ უნდა იყოს რა, რომ ბავშვთა შემეცნებაში შეცდომები არ დამკვიდრდეს; მოსწავლენი იფიქრებენ, რადგან ასეა დაბეჭდილი, უთუოდ ასე უნდა იყოსო და დედაენა შეილახება[1].

თუ რას ფიქრობდნენ დ. ყიფიანის ოჯახში ქართული ენის ნორმებზე, ნათლად ჩანს დიმიტრის ვაჟის ნიკოს მიერ 1865 წლის 13 იანვარს პეტერბურგიდან მამისადმი გამოგზავნილ წერილში. თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით რუსულიდან თარგმნილი საკანონმდებლო აქტების ქართული ენის თაობაზე ნიკო აღნიშნავდა: ვაი, რა ბარბაროსული ენაა ამ წიგნის ქართული ენა! ასე უღმრთოდ ვინა და ვისთვის თარგმნა? რომელი გლეხი ან არაგლეხი გაიგებს ამ იოსელიანისებურ აბდაუბდას! დროა პარნასიდან გადმოვყაროთ ის ჭკუისკოლოფები, XIX საუკუნის ეს ალქიმიკოსები, რომლებიც ასეთი ენითა წერენო[2].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დ. ყიფიანი გამოდის მწიგნობრული ენისა და ხალხის ზეპირმეტყველების ერთმანეთთან მსგავსებისა და ერთნაირობის დაცვის პრინციპით. იგი აღნიშნავდა, რომ „ყოველი მწიგნობრობის უმთავრესი მისაღწევი საგანი არის ორი: 1. დაახლოება, რამდენათაც შეიძლებოდეს, სასაუბრო ენასთან, მაგრამ დაახლოება იმ განზრახვით, რომ თვით ენა გასუფთავდეს, დაშვენდეს და დაწმენდილ იქნეს ყოველი უგვანი და უშვერი ლექსისაგან და ადვილი გასაგონი იყოს ყველასათვის. 2. მართლწერა ისეთი იყოს, რომ სიტყვის ძირეული დასაწყისის გამოცნობა არასდროს არ გაჭირდეს: ეს დიდად საჭიროა"[3]. ამრიგად, დიმიტრის აზრით, სალიტერატურო ენამ უნდა გამოიყენოს სასაუბრო ენის მდიდარი არსენალი და თავის მხრივ, ლიტერატურული ენა სასიკეთო გავლენას უნდა ახდენდეს ხალხის სასაუბრო ენაზე, აუმჯობესებდეს მას.

დ. ყიფიანი შექმნილ ვითარებას ითვალისწინებდა, როცა ერების გამოღვიძებასთან, მათ განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა ერების დაახლოების პროცესი კულტურის, ეკონომიკის და სხვა სფეროებში. სხვა ენებთან ერთად დიდი მნიშვნელობისა იყო რუსული ენა, რო-

[1] ხელნაწერთა ინტიტუტი, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 143.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 14981—ხ.

[3] ციტ. ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, ლიტერატურული ნანაწერები, თბ., 1961, გვ. 33—34.

გორც რუსეთის საიმპერიო მმართველობის ენა, და დ. ყიფიანს ბუნებრივად მიაჩნდა რუსული ენის დაუფლების საჭიროება. ამასთან, იგი იცავდა ქართული ენის არსებობის უფლებას. იცავდა დებულებას რუსული და ქართული ენების თანაარსებობის შესაძლებლობაზე. ქართულ ენას აქვს თავის საკუთარ სამშობლოში არსებობის კანონიერი უფლება, — დაასკვნიდა დ. ყიფიანი[1].

ქართველი მოღვაწე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სხვა ენების შესწავლასაც. ამ შემთხვევაში დ. ყიფიანისათვის ამოსავალი დებულება ის იყო, რომ ვისაც თავისი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის[2]. თვითონ მან რამდენიმე უცხო ენა იცოდა და ამ ცოდნას ქართული კულტურის სასარგებლოდ იყენებდა. მთარგმნელობითი საქმიანობა მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა. მისი დამსახურებაა, რომ ქართველმა საზოგადოებამ უკეთ გაიცნო ევროპული მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლები (შექსპირი, მოლიერი, შილერი და სხვ.)[3]. დიმიტრიმ 1841 წელს თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა" (დაიბეჭდა „ცისკარში", 1859, № 5,6), „ორი ვერონელი აზნაური" (1865 წ.), „ვენეციელი ვაჭარი" (1872 წ.), მოლიერის „ჩინებული სასიძონი", ბომარშეს „სევილიელი დალაქი" და სხვ.

დ. ყიფიანი, „რომეო და ჯულიეტას" თარგმანით, უფრო დახვეწილი ლიტერატურული ენის დამკვიდრების წინამორბედ მოღვაწედ გვევლინება. ამ თარგმანში ადვილად გასაგებ ფორმებს მიმართავს, უახლოვდება სასაუბრო ენას, ბუნებრივად და სადად მეტყველებს[4]. ნიკოლოზ ბარათაშვილმა, იმავე 1841 წელს დ. ყიფიანის ამ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა და ის ქართული ლიტერატურის შენაძენად მიიჩნია[5]. გიორგი წერეთელი 1872 წელს აღნიშნავდა, რომ დ. ყიფიანი დიდი ხანია განთქმულია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც შექსპირის სამაგალითო — დახელოვნებული მთარგმნელი[6]. ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ დ. ყიფიანმა ქართული ლიტერატურა დაამშვენა უცხოელი მწერლების დიდებული თარგმანებით. შექსპირის, მოლიერის, ფიოლას, მიტჩელისა

---

[1] შდრ: ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები, თბ., 1941, გვ. 59.

[2] ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 35.

[3] „დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი", ტფილისი, 1887, გვ. 13.

[4] „ქართული თეატრის ისტორია", წიგნი II, დ. ჯანელიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 201—202.

[5] ნიკოლოზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, პოემა, წერილები, თბ., 1939, გვ. 80.

[6] „კრებული", № 8—9, 1872.

და სხვათა ნაწარმოებების მისეული თარგმანი უდავოდ სანიმუშოა[1]. სხვა მთარგმნელთაგან განსხვავებით, დ. ყიფიანი თარგმანებს 40-იანი წლებიდანვე დახვეწილი სალიტერატურო ენით ასრულებდა, ფართოდ იყენებდა ხალხურ გამოთქმებს, გასაქანი მისცა მსუბუქ, სასაუბრო ენას, რითაც საერთოდ ხელი შეუწყო ორიგინალური ქართული პროზისა და დრამატურგიის განვითარებას[2]. არნოლდ ჩიქობავა ადასტურებს, რომ დ. ყიფიანის თარგმანები სადა ქართული ენითაა შესრულებული[3].

გარდა მშობლიური ენისა დ. ყიფიანი შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას და ევროპულ ენებს. განსაკუთრებით კარგად სცოდნია მას ფრანგული ენა. მის სახლში ხშირად ამ ენაზე საუბრობდნენ. რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნას, ამასთან დაკავშირებით აგრეთვე საყურადღებოა დიმიტრის მიერ 1863 წელს მეუღლისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ამ დროს, დადიანის ტყე კონტრაქტით გადაცემული ჰქონია ამერიკულ ამხანაგობას. ამხანაგობის წარმომადგენელს კაპიტან პიერს არც რუსული და არც ფრანგული არა სცოდნია. ამის გამო დიმიტრის მასთან სიტყვიერი და წერილობითი ურთიერთობა ინგლისურ ენაზე უხდებოდა. „დილიდან ღამემდე ძიხდება მასთან ინგლისურად საუბარი, რის სანუგეშოდ მისტერმა პიერსმა მითხრა, რომ ინგლისურად მე მასზე სწორად და ნათლად ვწერ"[4].

სამოც წელს იყო გადაცილებული დიმიტრი, როცა ლათინური შეისწავლა. თავისუფლად კითხულობდა დედანაში ოვიდიუსისა და ვირგილიუსის თხზულებებს[5]. დიმიტრის ჩინებული წერილობითი თარგმანი ლათინურიდან ქართულად (ბოსვეტის სიტყვა პავლე მოციქულზე) დაცულია ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში[6].

დ. ყიფიანს რუსთაველის დიდი ქმნილების რუსულ ენაზე თარგმნაც უცდია. კერძოდ, დ. ყიფიანის ხელნაწერებში მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფი („ამირან დარეჯანის ძე") რუსული თარგმანის ორი ვარიანტი, შესრულებული დ. ყიფიანის ხელით[7].

---

[1] «Тифлисский вестник», 1875, № 132; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 310.

[2] ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, ლიტერატურული ნანაწერები, თბ., 1961, გვ. 29—30.

[3] ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ტფილისი, 1938, გვ. 7.

[4] ლიტერატურული მუზეუმი, № 14866—ხ.

[5] „დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი", ტფილისი, 1887, გვ. 13.

[6] ლიტერატურის მუზეუმი № 17462—ხ.

[7] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 113.

* * *

დ. ყიფიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ენას. იგი 1883 წელს წერდა: „დედაენა დიდი წმინდა რამ არის ყოველის ხალხისათვის"[1]. მისი აზრით, თუ დედაენა დავივიწყეთ, თუ ენა მოკვდება, მაშინ ხალხიც გადაგვარდება და დაიღუპება, გაქრება. 1860 წელს „ცისკარში" მოთავსებულ წერილში, იგი აღნიშნავდა: „ხომ გაგიგონია, ჩვენში რომ კაცი გადმოვარდნილა საიდამმე და თავისი ენა გადავიწყებია, გადარჯულებულიაო, იმისას იტყვიან, — და გადარჯულებული მთელს ქვეყანაზედ ისე მიაჩნიათ, არავინ რას დაჰსდევს, ყურს არავინ ათხოვებს და თუ ხმა ამოიღო სადმე, ეს ვიღა ოხერიაო, იტყვიან. — ვისაც თავისი ენა არ ახსოვს, იმას აღარც მამა გააჩნია, აღარც დედა, აღარც ნათესაობა და აღარც ტომობა, რომ გულის შემატკივარი ეგულებოდეს სადმე"[2]. ავტორი განაგრძობს, „რაც ამ ერთს კაცზედ ითქმის, ის მთელს ხალხზედაც ითქმის, მაგრამ ყოველივე უფრო საზარელი, უფრო გულის შემაძრწუნებელი, უფრო სულის აღმაშფოთებელი: რომელიც ხალხი თავის ენას გადაიგიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია რა, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარა აქვს რა და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ მისი სახსენებელიც აღარა დარჩეს რა, — და არა თუ მარტო თვითონ გამოწყდება ეს ხალხი, — თავისს სასიქადულო მამა-პაპათ ხსენებასაცა ისე გააქრობს, რომ ქვეყანაზედ აღარავინ იცოდეს აღარც იმათი სარწმუნოებისათვის მოღვაწეობა, აღარც იმათი ხან მტერთაგან წამება და ხან მტრებზედ ძლევამოსილი გამარჯვება"[3].

1880 წელს დ. ყიფიანი კვლავ უბრუნდება ქართული ენის საკითხს და ზიზღით მიუთითებს მათზე, ვინც ჩვენი ხალხის გადაგვარება-მოსპობას ისახავდა მიზნად. იგი წერდა: „მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთ თანასწორი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი როგორც პეტ-

[1] „დროება", 1883, № 4.

[2] „ცისკარი", 1860 № 1, გვ. III.

[3] „ცისკარი". 1860. № 1, გვ. IV.

რიწი, სჯულის-მდებელი, როგორც ვახტანგ; — რომელსაც აქვს ანბანი, უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან"[1].

მოტანილი აზრები გვხიბლავს თავისი ურყევი საბუთიანობით და დასკვნის უბადლო სიძლიერით. დ. ყიფიანი ქართულ ენას წარმოგვიდგენს, როგორც დიდი ტრადიციების მქონე კულტურულ-ისტორიულ ფენომენს. ხაზგასულია ის დიდი როლი, რასაც ქართული ენა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ასრულებდა და ის სრულყოფა, რაც ქართულ დამწერლობას აქვს. ენა რომელზეც შეიქმნა კაცობრიობის ერთი უდიდესი პოეტური ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი".

რასაკვირველია, დ. ყიფიანი ქართულ ენასთან დაკავშირებით შემთხვევით არ იშველიებდა ჩვენი ხალხისათვის ესოდენ სასიქადულო სახელებს. ვის არ ეამაყება იმის გახსენება, რომ ჩვენც იმავე ენაზე ვლაპარაკობთ, რა ენაზეც ლაპარაკობდნენ ჩვენი ხალხის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, ან გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი. ნათქვამიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აზრი ქართული ენის შევიწროება-განდევნისა ძალზე არაკეთილშობილურია, რომ ამ ენის დათრგუნვა-ჩახშობისაკენ მიმართული ქმედება ძნელად თუ ჩაითვლება დამსახურებად კაცობრიობისა და მისი ისტორიის წინაშე[2], რომ ხალხის ენის ხელყოფა — ესაა ხალხის არსებობის წმიდათაწმიდის ხელყოფა[3].

დ. ყიფიანი აგრეთვე მიმართავს უფრო ახლო დროის ისტორიულ მაგალითებს. იგი ასახელებს ქართული წარმოშობის გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეებს, რომლებმაც რუსეთს მნიშნელოვანი სამსახური გაუწიეს და საკითხს ასე სვამს: რა დაუშავა ქართული ენის ცოდნამ პეტრე ბაგრატიონს, პავლე ციციანოვს, დიმიტრი ორბელიანს, აფხაზს, სავარსამიძეს და სხვა ქართველ გმირებს, რომლებმაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობა[4].

დ. ყიფიანი შესანიშნავად ითვალისწინებდა ლიტერატურული ენის მნიშვნელობას ერის არსებობისათვის; იგი მიმზიდველი ფერებით ხატავს სინამდვილეს და ენის სიცოცხლე ხალხის სიცოცხლედ მიაჩნია, ხოლო ენის გადავიწყება ხალხის მოსპობად ესახება. სავსებით მართებულად, დიდი კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ენის გაქრობა მიჩნეულია ამ ენაზე შექმნილ სულიერ ფასეულო-

---

[1] „დროება" 1880, № 262.

[2] „Закавказье" 1912, № 190.

[3]. იქვე.

[4]. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 97.

ბათა ხელყოფად, მთელი ერის სიკვდილად და, მაშასადამე, საკაცობრიო ცივილიზაციის მძიმე დანაკარგად.

დედაენის საკითხით, ცხადია, მარტო დ. ყიფიანი არ იყო დაინტერესებული, მას მხარს უმშვენებდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები, მოწინავე ინტელიგენცია, განსაკუთრებით ი. გოგებაშვილი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ბირთვისათვის სკოლაში დადაენაზე სწავლების საკითხი მარტო წმინდა პედაგოგიური მნიშვნელობისა როდი იყო, მას უდიდესი ეროვნული და პოლიტიკური როლიც ენიჭებოდა. ჩვენი მოღვაწეები დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ თავისი ხალხის კულტურული დაწინაურებისა და ცივილიზებულ ერებს შორის მისთვის ადგილის შენარჩუნების საკითხს. ეს კი, მათი აზრით, შეუძლებელი იყო დედაენის საფუძველზე მოწყობილი სახალხო განათლების გარეშე და ისინი ასეთ დასკვნამდე მიდიოდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის რეალური სინამდვილის ანალიზის, ასევე ამ საკითხზე ევროპის მოწინავე ერების გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და სხვა ხალხების ისტორიული გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე.

ი. გოგებაშვილი, კერძოდ, დასახელებულ საკითხზე მსჯელობისას იშველიებდა რუს და უცხოელ მოაზროვნეთა (უშინსკი, ვესსელი, კარლ ფოხტი და სხვ.) გამონათქვამებს. მაგალითად, მას მოჰქონდა გერმანელი ფილოსოფოსის ფიხტეს სიტყვები: „მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან პროგრესის გზაზე დადგეს, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს თავის დედაენაზე“[1].

ამ მოსაზრების საფუძვლიანობის საილუსტრაციოდ ი. გოგებაშვილი ისტორიულ მაგალითებს იშველიებდა. იგი წერდა: უელსში დაახლოებით იმდენივე მცხოვრებია, რამდენიც საქართველოში. უელსელები ძლიერ განირჩევიან ინგლისელებისაგან და ლაპარაკობენ სრულიად სხვა ენაზე. უწინ მათ ზურგი ჰქონდათ შექცეული დედაენისათვის, არ ზრუნავდნენ ეროვნულ ლიტერატურაზე, მოკლებული იყვნენ ეროვნულ სკოლას, იქ მხოლოდ ინგლისური სკოლა არსებობდა. ამის გამო, უელსელები არა მარტო თვითონ იყვნენ უვიცნი, ბრიყვნი და ღატაკნი, არამედ ინგლისის წარმატებასაც ხელს უშლიდნენ, რადგან პარლამენტში გზავნიდნენ ძველი წესების დამცველებსა და რეტროგრადებს. ინგლისში უელსელები მასხარად ჰყავდათ აგდებული. მაგრამ იცვალა დრო. უელსელებმა შეიგნეს თავისი შეცდომა. მიაქციეს ყურადღება

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 228.

დედაენასა, დაარსეს ეროვნული სკოლები, მიჰყვეს ხელი მშობლიური ლიტერატურის აღორძინებას, დაარსეს ჟურნალ-გაზეთები და ისეთ წარმატებაში შევიდნენ, რომ თვით ინგლისზეც სასარგებლო გავლენა მოიპოვეს. ინგლისელები თუ წინათ უარყოფდნენ უელსელების დედაენასა და ეროვნებას, ცხადად მიხვდნენ, რომ ეს უარყოფა ორივე მხარისათვის შავნებელია და გულწრფელად მონაწილეობის მიღება იწყეს უელსის ენისა და ლიტერატურის შემუშავებაში[1].

საინტერესოა ი. გოგებაშვილის მიერ განხილული კიდევ ერთი მაგალითი:

ანდა ავიღოთ შოტლანდიისა და ბრეტანის მაგალითი. ორივე ხალხი კელტთა შთამომავალია. მხოლოდ ბრეტანი დასავლეთ საფრანგეთშია, ხოლო შოტლანდიას უჭირავს ინგლისის სახელმწიფოს ჩრდილოეთი ნაწილი. შოტლანდია XVII საუკუნეში უიმედო მდგომარეობაში იყო. მათ შორის უკიდურესი სიღატაკე, უვიცობა, სიმხეცე, ძარცვა-გლეჯა იყო გაბატონებული. ყველა მეზობელი ხალხი ზიზღით უყურებდა მათ და გადაგვარება-გაქრობას უწინასწარმეტყველებდა. მე-18 საუკუნის დამდეგს შოტლანდიის პარლამენტმა გამოსცა ბრძანება, რომ ყოველ სოფელში სკოლა გახსნილიყო შოტლანდიურ ენაზე. ეროვნულმა სკოლამ მოკლე ხანში სასწაული მოახდინა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შოტლანდიის ერი ავიდა იმდენადვე მაღლა თავის მეზობელ ხალხებზე ჭკუა-გონებით, ზნეობით, დოვლათით, რამდენადაც წინათ იყო ჩამორჩენილი. ახლა ყოველი მეზობელი პატივისცემით და შურით შესცქეროდა მას. დღესაც შოტლანდია ერთი უბედნიერესი კუთხეა ევროპისა.

სრულიად სხვა სურათს ვხედავთ ბრეტანში. ბრეტანელები ნიჭით შოტლანდიელებს არც უწინ დაუვარდებოდნენ და არც ახლა დაუვარდებიან. მაგრამ კეთილდღეობით კი განუზომლად უკან დგანან. ბრეტანი წარმოადგენს საფრანგეთის ერთ ღარიბ, უვიცს და ცრუმორწმუნეობაში ჩაფლულ კუთხეს. იმდენ რეაქციონერ და რეტროგრად დეპუტატს საფრანგეთის პარლამენტში არც ერთი კუთხე არა გზავნის, რამდენსაც ბრეტანი. ეს ჩამორჩენა ბრეტანს წილად ერგო იმის გამო, რომ იქ ხალხის განათლება მოწყობილი იყო არა ბრეტანულ ენაზე, არამედ ფრანგულზე[2].

---

[1]. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია", 1890, № 102; თხზულებანი, ტ. 2, გვ. 226–227.

[2]. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 228.

ი. გოგებაშვილი კიცხავს იმ დიდებულებს, რომლებიც უარყოფენ მშობლიურ ენას:

არაერთხელ მომხდარა, რომ რომელიმე ტომის მაღალი წოდება განზე გასდგომია თავის ენას და დედაენად დროებით დაწინაურებული ხალხის სახელმწიფო ენა გადაუქცევია. ამ მოვლენას ვხედავთ ავსტრიის სლავებისა და უნგრეთის ისტორიაში. იყო დრო, როდესაც უნგრეთის მაგნატები და სლავი პანები აღარ კადრულობდნენ დედაენას, ათვალწუნებული ჰქონდათ და თავის შვილებს აკვნიდან გერმანულ ენაზე ალაპარაკებდნენ. ამ ვაჟბატონებს ეგონათ, რომ თავის შვილებს დააწინაურებდნენ, მაღალ გონებრივ ხარისხზე აიყვანდნენ: ის კი არა გონების სისუსტე და სიმახინჯე მოიმკეს. ერთი რუსი ავტორის მოწმობით, უნგრელებისა და სლავებისათვის ეს ხანა იყო სრულიად უნაყოფო, თითქმის ვერც ერთს გამოჩენილი ნიჭის პატრონს ვერ მოსძებნიდით მათ შორის და იმდენად სუსტნი სჩანდნენ გონების ძალით და მხნეობით, რომ მათი უკვე აღარავის სწამდა და მათს გაქარწყლებას მოელოდნენ. მაგრამ როცა ერთნიცა და მეორენიც მიხვდნენ თავისი დაცემის მიზეზს, მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება თავის დედაენას, მშობლიურ ლიტერატურას და ისტორიას, ეროვნულს კალაპოტში დააწყებინეს დენა ევროპულ განათლებას, მაშინ გამოცოცხლდნენ, მოღონიერდნენ და არაერთი მაღალნიჭიერი პირი გამოიყვანეს საზოგადო ასპარეზზე, ამჟამად სავსენი არიან ბრწყინვალე მომავლის იმედით[1].

ამასთანავე ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ რუსეთშიც, უნიჭო მწერლების მაგიერ, სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ გრიბოედოვი, გოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი მას შემდეგ, რაც მაღალ წოდებაში ფრანგულის თაყვანისცემა შემცირდა და ჯეროვანი პატივი მიენიჭა რუსულ ენას, როგორც ოჯახში ისე სკოლაში.

ი. გოგებაშვილს დამაჯერებელი ფაქტები საქართველოს ისტორიიდანაც მოჰქონდა:

შევადაროთ აჭარლები და შავშელ-ერუშელები. უკანასკნელნი ძველ საუკუნეებში განთქმულნი იყვნენ თავისი მამაცობით, ვაჟკაცობით და საქართველოს წინა ბურჯს შეადგენდნენ. მაგრამ შემდეგში მათ ძალაუნებურად უღალატეს ეროვნებას და დედაენას, გასცვალეს იგი ოსმალურს ენაზე და ჩვეულებაზე. ვისაც ყაზბეგის მოგზაურობა წაუკითხავს, ეცოდინება, რომ ეხლა შავშელ-ერუშელები ყოვლად საცოდავნი,

[1]. ი. გოგებაშვილი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია“, 1890, № 102; თხზულებანი, ტ. 2, გვ. 225–226.

ძმდალნი და წყალწაღებულნი არიან. წინათ მათ შურით უყურებდნენ მეზობლები, ახლა კი დაბრიყვებულები და მასხრად აგდებული ჰყავთ. სრულიად სხვა სურათს ვხედავთ აჭარაში. აჭარლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, ძაგრამ ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდე დარჩნენ ქართველებად. და დახეთ, რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი[1].

ი. გოგებაშვილი განაგრძობს:

ახლა გაეიხსენოთ ჩვენი ზოგიერთი არისტოკრატული გვარეულობა, საიდანაც ქართული ენა და ქართული ეროვნება გამოძეებულია, და მივცეთ ჩვენ თავს კითხვა: მოიპოვება ამ გვარეულობათა შორის ამჟამად ერთი მაინც მაღალი ნიჭის და შესანიშნავის მხნეობის პატრონი? დიოგენის ფარნითაც რომ ეძებო, მათ შორის ვერ აღმოაჩენ ამგვარ პირსა.

ჩვენი სახელოვანი ადამიანები გამოვიდნენ იმ სახლობათაგან, სადაც ქართულ ენას და უველა ქართულ საუნჯეს დიდი პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ. და თუ ჩვენში იპოვებიან უცხო ენის კარგად მცოდნენი, ესენია, ვისაც პატარაობიდანვე ქართული ენა ზედმიწევნით შეუსწავლია და ამ ცოდნაზე აუშენებია რუსული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენების შესწავლა. მაგალითად, საკმარისია დავასახელოთ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი და სხვანი[2].

შოვინისტურად განწყობილი განათლების მუშაკები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლიდან ქართული ენა განედევნათ, არაიშვიათად თავს იმით იმართლებდნენ, რომ ბავშვების რუსულ ენაზე აღზრდა-განათლებას თვითონ ქართული მოსახლეობა მოითხოვსო. ამასთან დაკავშირებით მოსე ქიქოძე „მნათობში“ (1869 წ.) გამოქვეყნებულ წერილში აღიარებდა, რომ რუსული ენა უფრო „გამოსადეგია“ და მიტომ მშობლები უფრო იმაზე ზრუნავენ, რომ მათმა შვილებმა ეს ენა შეისწავლონო. ავტორი მშობლებს იმდენად არ ძრახავდა, რადგან მათ უნდათ შვილების კეთილდღეობა, ოღონდ აქ დამნაშავეა პოლიტიკური სისტემაო. ამავე დროს მ. ქიქოძე მშობლებს მოაგონებდა: „ჩვენ

---

[1] ი. გოგებაშვილი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია“ 1890 № 102; თხზულებანი, ტ. 2, გვ. 230; შეადარე: Г. Н. Казбеки, три месяца в Турецкой Грузии,» записки Кавказского отдела императорского русского географического общества», книжка X, выпуск I, Тифлис, 1876.

[2] ი. გოგებაშვილი, ძირითადი უკუღმართობა, „ივერია“ 1890, № 102; თხზულებანი, ტ. 2, გვ. 230—231.

უნდა გვქონდეს აზრში ის ჭეშმარიტება, რომ თუ კაცმა თავდაპირველად თავისი სამშობლო ენა არ შეისწავლა, სხვა ენის შესწავლა მეტად ძნელი არის"[1].

1881 წელს ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა იმ მიზეზებზე, რომლებიც მშობლებს აიძულებდა თავისი შვილებისათვის განათლება რუსულ ენაზე მიეღებინებინათ. ილია წერდა: „ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს, რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველგვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები კი, მაგალითად, ქართული ენა, ყველგან გამოდევნილია"[2].

* * *

ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალა მატულობდა. მოწინავე მოღვაწენი ცდილობდნენ ემხილებინათ შოვინისტური პოლიტიკა და მისი გამტარებლები, ცდილობდნენ ხალხის შეგნებაში გაეძლიერებინათ საკუთარი ეროვნული ღირსებებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამავე დროს, ქართველი თავადაზნაურობის მონარქისტული ნაწილი წელებზე ფეხს იდგამდა, რათა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება რუსეთის მონარქისადმი. მაგალითად, ილიას აზრით, ქართველი თავადაზნაურობის თვითამორჩეულმა დეპუტატებმა, ალექსანდრე II-ის მოკვლასთან დაკავშირებით, პეტერბურგში მთავრობას ეროვნული მოთხოვნები კი არ წაუყენეს, როგორც, მაგალითად, პოლონეთის დელეგაციამ, რომელმაც თავისი ენის თავისუფლება და თავისი ქვეყნისათვის სხვადასხვა უფლება მოითხოვა, არამედ — მიცვალებული იმპერატორის სახსოვრად ვენზელების დარიგება[3].

რეაქციის პერიოდში არარუსი ხალხების ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ამ დროს თვით ქართველი თავადაზნაურობა, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების მიუხედავად, არასახარბიელო მდგომარეობაში აღ-

---

[1] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 230; „მნათობი", 1869, ივლის-აგვისტოს ნომერი.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, შინაური მიმოხილვა, „ივერია", 1881, თებერვალი; თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 364.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 5, 1955 წ. გვ. 98—100.

შოჩნდა. ამ წოდების წარმომადგენელთა სახელმწიფო სამსახურში წინსვლა საგრძნობლად გაძნელებულა. აგრეთვე გართულებულა შესაფერის სასწაულებლებში თავადაზნაურთა შვილების მოხვედრის შესაძლებლობა[1]. ხოლო თუ პრივილეგიური წოდება ასეთ პირობებში იყო, ადვილი წარმოსადგენია როგორ მდგომარეობაში იქნებოდა დანარჩენი მასა.

რეაქციის პარპაშისა და ეგრეთ წოდებული „მცირე ერების" წინააღმდეგ შეშოტევის მძიმე პერიოდში დ. ყიფიანი ურყევად დგას თავისი ერის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე, კვლავ მედგრად იცავს დედაენის უფლებებს. 1883 წელს იგი პრესაში აღნიშნავდა, რომ „დედაენა წმინდა რამ არის ყოველი ხალხისათვის" და სკოლაში ბავშვმა ჯერ დედაენაზე უნდა ისწავლოსო[2]. ქართული ენის მაგალითზე აგებული ეს მსჯელობა ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამასთან, იგი იმ დროს მარტო ერთი რომელიმე ერის საჭირბოროტო საკითხს არ წარმოადგენდა. მას, უუფლებო, პატივაყრილი ერებისათვის საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა.

1884 წელს 22 ნოემბერს, დ. ყიფიანს სიტყვით მიუმართავს ეგზარქოს პავლესათვის: თქვენი ჩამოსვლისთანავე გაისმა თქვენი სიტყვები- „მოველ თქვენდა და მომაქვს მშვიდობა და კურთხევა", „მოველ აქ, დაუმთავრებელი დავამთავრო, ნაკლოვანებანი გამოვასწორო"[3].

დ. ყიფიანი თავისი ხალხის ღირსების შეგნებით ხვდება ეგზარქოსს, რომელსაც ეუბნება: ყოველი თქვენი ეს ნათქვამი მანიჭებს სიმხნევეს მოგესალმოთ ქართველი თავადაზნაურობის სახელით. შემდეგ კი დ. ყიფიანს კონკრეტული მოთხოვნები წაუყენებია ეგზარქოსისათვის და უთქვამს: „სემინარიაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას, ასე რომ სემინარიაში კურსდამთავრებული მღვდელი ხშირად არც კი იცნობს ქართული ეკლესიის ისტორიას და უჭირს კიდეც კითხვა ქართული ლოცვებისა და საეკლესიო წიგნებისა... ვაძლევ თავს ნებას და ვაწუხებ თქვენს მწყემსმთავრულ ყურადღებას იმ ცხადი ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ხალხს, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნეთა სახელოვანი წარსული, არ შეიძლება მოეთხოვოს დავიწყება იმისი, რადგან ანდერძი ჩვენი მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა არის — ერთგულება

---

[1] Д. Кипиани, Записка о фактах, ფურც. 4.

[2] „დროება", 1883, № 4.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 288; „საისტორიო მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 399.

ღვთისა, ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება“[1].

1885 წლის აგვისტოში, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნატორთან ერთად გამგზავრებულა ბათუმში კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან შესახვედრად. ქუთაისის გუბერნატორს და კავკასიის მთავარმართებელს — დონდუკოვ-კორსაკოვს — დ. ყიფიანის შეხვედრა მიხეილ რომანოვთან არასასურველად მიუჩნევიათ. ბათუმისაკენ მიმავალ დიმიტრის, გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე გუბერნატორის დავალებით ეკითხებოდა, თუ რატომ მიდიოდა იგი ბათუმში. ბათუმში კი დიმიტრისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვითონ დონდუკოვ-კორსაკოვს უკითხავს: თქვენ კი რისთვის მოსულხართო?[2].

დ. ყიფიანს ბორჯომამდე მიუცილებელია მიხეილ რომანოვი: გზადაგზა, რკინიგზის თითქმის ყოველ სადგურზე მიხდებოდა ჩამოსვლა, რათა დიდი მთავრისთვის ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენლები წარმედგინაო, — იხსენებდა დიმიტრი. ეს შეხვედრები დონდუკოვ-კორსაკოვს, როგორც ჩანს, არ მოსწონდა.

1885 წ. 5 ოქტომბერს, ქუთაისში, მიხეილ რომანოვისათვის ვახშამი გაუმართავთ. ვახშამზე, ქუთაისის ქალაქის თავს ლ. ასათიანს რომანოვისადმი მიმართულ თავის სიტყვაში გამოუთქვამს უკმაყოფილება იმის გამო, რომ დიდი მთავრის მმართველობის წლებისაგან განსხვავებით, ამჟამად ჩვენ კვლავ უკან გვაქვსო, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც ვერ შესცვლის ჩვენს უსაზღვრო ერთგულებას ხელმწიფე იმპერატორისადმიო. დ. ყიფიანს აგრეთვე დაუდასტურებია აზრი თავადაზნაურობის გრძნობების უცვლელობაზე.[3] ასეთი განცხადებები კარგად მოფიქრებულ ტაქტიკურ მანევრს წარმოადგენდა. აქ ძირითადი აზრი ჰქონდა იმის აღნიშვნას, რომ ახალი პირების მმართველობის წლებში ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება დიდად გაძლიერდა.

11 ოქტომბერს დ. ყიფიანი ბორჯომში სწვევია მიხეილ რომანოვს ახსნა-განმარტების მისაცემად. დიდმთავართან საუბარში დიმიტრის აღუნიშნავს, რომ თავადაზნაურობა გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამს, რაკი ზოგიერთი ადგილობრივი ადმინისტრატორი ისე ბღარ

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 229.

[2] Д. Кипиани, Записка о фактах, ფურც. 2; „საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 447.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 289.

უცქერის ქართველებს, როგორც ეს შეესაბამებოდა ხელმწიფის კეთილგანწყობილებას, რაც მას, ძველი მართლმადიდებლური და სახელმწიფოში თავისი სურვილით შესული ხალხისადმი ჰქონდა; რომ ამჟაად ჩვენთვის გაძნელებულია სხელმწიფო სამსახურში მოხვედრა-დაწინაურებაც და სასწავლებლებში მოხვედრაც. და რომ საერთოდ ჩვენ უკვე აღარ გვეპყრობიან იმ გულითადობით, როგორც ეს იყო ოთხმოც წელზე მეტი ხნის მანძილზეო[1].

ამის საპასუხოდ დიდმთავარს აღუნიშნავს: ქართველების შევიწროება არასდროს არავის მოსვლია აზრად. არათუ ხელმწიფე იმპერატორს, უმაღლესი ადმინისტრაციის არც ერთ პირს არა აქვს უმცირესი ეჭვიც კი ქართველების უდავო ერთგულებაზე და ამის გამო არ არსებობს თქვენი დაჩაგვრის რაიმე სურვილიო. დიმიტრის უთქვამს: — თქვენი უმაღლესობის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია და სრულიად დამაშოშმინებელი . მაგრამ თუ აღმოჩნდება, მაგალითად,ისეთი ფაქტები, როცა ერთ-ერთი აქაური გიმნაზიის დირექტორი ეცდება, რომ გიმნაზიაში არც ერთი ადგილობრივი არ იყოს; ან კიდევ ნაბრძანები თუა სოფლის სკოლებში მთელი სწავლება თავიდანვე გადაყვანილ იქნას რუსულ ენაზე, რომელიც ბავშვებმა არ იციან, და ამრიგად სასკოლო საქმე მოეწყოს პოლიტიკურ ნიადაგზე, რაც ჩვენს მიმართ სრულიად უადგილოა, — მაშინ მეძლევა თუ არა ნება ფაქტების გამო თქვენ გაცნობოთ?

დიდი მთავარი დათანხმებია: — გთხოვთ, მაცნობეთ!

მიხეილ რომანოვთან 11 ოქტომბრის საუბრის შინაარსის ორი წერილობითი ეგზემპლარიდან დიმიტრის ერთი ქუთაისის გუბერნატორისათვის პირადად ჩაუბარებია, მეორე კი — თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიისათვის გადაუცია. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ სმეკალოვს, თავისი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ დონდუკოვ-კორსაკოვისათვის წარუდგენია.

პეტერბურგისაკენ მიმავალ დიდ მთავარს, თბილისის სადგურზე, 13 ოქტომბერს დონდუკოვ-კორსაკოვთან უსაუბრია დ. ყიფიანის ახსნა-განმარტებისას წამოჭრილ საკითხებზე და ქართველებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის ასეთი გაუგებრობის წარმოშობის გამო სინანული გამოუთქვამს.

ათიოდე დღის შემდე, თბილისში ყოფნისას, დ. ყიფიანი რომ მი-

---

[1] Д. Кипиани, Записка о фактах, ფურც. 3—4; „საისტორიო მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 448.

ულია, მთავარმართებელს გამოუთქვამს გულისწყრომა ქუთაისისა და თბილისის ქალაქის თავების მიმართ, მათ მიერ დიდი მთავრის პატივსაცემად გამართულ წვეულებათა გამო. შემდგომ შესდგომია თვით დიმიტრის გაკიცხვას, რომ მან გაბედა და ასე უადგილოდ ელაპარაკა მიხეილ რომანოვს „რაღაც წარმოსახვითს შევიწროებაზე". ამასთან, თავის მხრივაც დონდუკოვ-კორსაკოვმა დაადასტურა ყოველივე ის, რაც დიდმა მთავარმა უთხრა იმ სიძნელეებზე, მკვიდრთაგან გამოსულ პირებს რომ ხვდებოდათ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას. სასწავლო საკითხებზე კი მთავარმართებელს უთქვამს, რომ სახალხო განათლების საქმეები მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, და ამიტომაც მათზე არაფრის თქმა არ შეუძლია, — წერდა დ. ყიფიანი[1].

შემდეგში, 1885 წლის 26 დეკემბერს დიმიტრის პეტერბურგიდან მიუღია დონდუკოვ-კორსაკოვის მიწერილობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იმპერატორის დავალებით ყიფიანს საყვედური ეცხადებოდა დიდ მთავრთან საუბრის შინაარსის ორ ცალად გავრცელების გამო. გარდა ამისა, იმავე მიწერილობით, მთავარმართებელი მოითხოვდა დაწვრილებით განმარტებას იმ ფაქტებისას, რომელთა გამოც დ. ყიფიანმა რომანოვს მიმართა.

აღნიშნულ ფაქტებზე დ. ყიფიანს წერილობითი განმარტება 1886 წლის 8 იანვარს წარუდგენია[2]. ამ განმარტებაში დიმიტრი აღნიშნავდა: ფაქტები, რამაც მაიძულა მიმემართა დიდი მთავრისათვის ორგვარი სახისაა: 1) სიძნელეები სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებისას და 2) გაუგებრობანი სახალხო განათლების საქმეში.

დ. ყიფიანი წერდა: როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო უწყებების განკარგულებაში რომ ნამდვილად მოიპოვება საბუთი პირველი რიგის განცხადებისათვის, ეს თქვენ თვითონ დაადასტურეთ ჩემთან პირად საუბარში თბილისში 23 ოქტომბერს[3].

მეორე რიგის ფაქტების გამო დიმიტრის შემდეგი სახის ცნობები მოჰყავს. ა) 1881 წლის იანვარში მეფისნაცვალის მიერ დამტკიცებული

---

[1] Д. Кипиани, Записка о фактах, ფურც. 6.

[2] სცსსა, ფონდი 12, აღწერილობა I, საქმე 326, ფურც. 12.

[3] ცენტრიდან კავკასიის ადმინისტრაციას რომ ამის თაობაზე სათანადო მითითებანი გააჩნდა, ამას მოწმობს, მაგალითად, განათლების მინისტრის ი. დელიანოვის 1883 წლის მიმართვა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი. მასში აღნიშნული იყო. იმის გამო, რომ ქართველებსა და სომხებს შორის ეროვნული დაპირუპირებლობისაკენ მისწრაფება შეიმჩნევა, აღგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში ისინი არ უნდა დავუშვათ (ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს. წიგნი II, თბ., 1959, გვ. 138).

სასწავლო გეგმის თანახმად, სოფლის დაწყებითს სკოლებში მეცადინეობა პირველი ორი წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ბავშვთა მშობლიურ ენაზე, მაგრამ 1885 წლის იანვარში ეს განკარგულება გაუქმებულ იქნა არა ხელისუფლების, არამედ უშუალოდ ადგილობრივი სასწავლო საქმის უფროსების მიერ.

ბ) 1885 წლის ივლისში, მაზრების პოლიციის განკარგულებით, სოფლის საზოგადოებებს გამოეცხადათ, რომ სოფლის ნორმალურ სასწავლებლებში ბავშვების ძიბარების მსურველებს თვითონ უნდა ეზრუნათ, რათა მათ ბავშვებს მშობლიურ ენაზე შეესწავლათ წერა-კითხვა. აბის გარეშე ბავშვები სასწავლებელში არ მიიღებოდნენ; გ) მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოწყობილ ერთ სასწავლებელში 15 აგვისტოს მიღება შეწყდა, ხოლო სექტემბერსა თუ ოქტომბერში იღებდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიისა თუ სტავროპოლის გუბერნიის მცხოვრებთა შვილებს, რომელთა ჩამოსაყვანად საგზავრო ხარჯები თვითონ სასწავლებელმა გაიღო; დ) ერთმა საშუალო სასწავლებელმა იშუამდგომლა, რომ ამ სასწავლებლის პანსიონატში, რაც ადგილობრივი თავადაზნაურობისათვის იყო გახსნილი, მიეღოთ გადამდგარი სალდათების შვილები.

დიმიტრი განაგრძობდა: აღნიშნული ფაქტების სრული სიზუსტის პასუხისმგებლობას არ ვკისრულობ, მაგრამ შემიძლია მოვიტანო უკვე ყოვლად უდავო, ერთი შედარებით ახალი ფაქტი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის არსებული სასწავლებლებიდან ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვაზე. მოციქულთა დროიდან, ეს ენა, სამეგრელოს მოსახლეობისათვის წარმოადგენს ღვთისმსახურებისა და კულტურის ენას, რომელსაც ყველა კარგად იგებს. ახლა კი იქ შეაქვთ ახალი კულტურა, ანბანი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ადგენენ ევროპული ანბანებიდან და მისი დახმარებით იქნება მეგრული ენის სწავლება. ასეთ ლოგიკურ თანმიმდევრობას შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, რომ ქართული ენის ზოგიერთ სხვა განშტოებათა (ბათუმ-აჭარული, თუშურ-ფშაურ-ხევსურულ-მოხევურ-ინგილოურ-მთიულურ და სხვ) კულტურების არსებობისათვისაც მოგვეხმო. მაგრამ ეთანხმება კი ეს შეხედულებებს იმ ხელისუფლებისა, რომელმაც თავის სახელმწიფოში შეიფარა და შეიტკბო მრავალტანჯული და ძველი მართლმადიდებელი საქართველო[1].

დ. ყიფიანის მოხსენებას შედეგი არ მოჰყოლია. დიმიტრი წერდა:

---

[1] სცსსა, ფონდი 12, აღწერა I, საქმე 326, ფურც. 12.

რასაკვირველია სრულიად არაფერი გაკეთებულა იმ ფაქტების შესამოწმებლად, რომლებზეც იყო ლაპარაკი, სახელდობრ, იმ ფაქტებზე, სასწავლო უწყებას რომ შეეხებოდა და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ ჩემს მიმართ გულისწყრომა გამოთქვეს, რაკი მათზე დიდ მთავარს მოვახსენეო[1].

დ. ყიფიანის განცხადებასთან დაკავშირებით იანოვსკის წარუდგენია განმარტება, რომელშიც უარყოფდა დ. ყიფიანის მიერ მოტანილ ფაქტებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა დ. ტოლსტოიმ სავსებით საკმარისად ჩათვალა იანოვსკის უარყოფა: ყიფიანის მიერ წამოყენებული ბრალდებები არავითარი შეწუნარების ღირსი არ არისო, — სწერდა იგი დონდუკოვ-კორსაკოვს 1886 წლის 24 აპრილს[2].

რა თქმა უნდა, კავკასიის ადმინისტრაციის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ადგილობრივი ხალხების ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, მხოლოდ ამ ადმინისტრაციის თვითნებობით არ აიხსნება. ეს ადმინისტრაცია წარმოადგენდა „უმაღლესი ნების" — იმპერიის უმაღლესი მმართველობის ნებასურვილის — გამტარებელს, რისთვისაც ძალ-ღონეს არ ზოგავდა. კავკასიის ადმინისტრაციის ღონისძიებანი საერთო საიმპერიო, გულდასმით წინასწარ შემუშავებული გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ცარიზმის აგენტები ესწრაფოდნენ სახელი გაეტეხათ ქართველი ხალხის დედაენისათვის, ცდილობდნენ ეჭვქვეშ დაეყენებინათ ქართული ენის ღირსებანი.

ამ რიგის ავტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ იანოვსკის თანამებრძოლი, გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი სემიონოვი. ეს, უკანასკნელი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ქუთაისის მასწავლებელთა კრებაზე მოითხოვდა: ბავშვებს თავის დედაენაზე კი არა, თავიდანვე მდიდარ რუსულ ენაზე უნდა მივაწოდოთო ცოდნა[3].

სემიონოვის საპასუხოდ „დროება" წერდა: ეს იგივეა, რომ მასწავლებელს ჰკითხო — სიბნელეში უნდა ასწავლოს ოსტატმა შეგირდს თუ სინათლეში, ან სწავლის დროს ყირაზე უნდა იდგნენ შეგირდები თუ მერხებზე ისხდნენ! როგორც ის არის ცხადი, რომ სიბნელეში და ყირაზე დგომის დროს არაფრის სწავლება არ შეიძლება, ისე ისიც ცხადია,

[1] Д. Кипиани, Записка о фактах... ფურც. 8.
[2] სცსსა, ფონდი 12, აღწ. I, საქმე 326, ფურც. 29.
[3] „დროება" 1880, № 209; ს. მესხი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 332.

ყმაწვილს, რომელმაც მშობლიური ენის მეტი არა იცის რა, სხვა, უცხო ენაზე სწავლის მიღება არ შეუძლია[1].

რაფიელ ერისთავი გმობდა სემიონოვის ცდას, რაც ქართული ენის დამცირებას ისახავდა მიზნად: როგორ ასწავლით ქართველები გეომეტრიას, ხომ არა გაქვთ ქართველებს გეომეტრია, გაქვთ განა საჭირო ტერმინებიო და ა. შ. რაფიელი შენიშნავდა — სემიონოვი იქნებ ნიშნს გვიგებს — „აბა რა ენა გაქვთ და რის იმედით შეისწავლით რასმეო"[2].

„ქართული ენა დიაღ მდიდარია". „მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდის ქართული ლიტერატურა კიდევ გვარიანად მიდიოდა. ქართველებს ჰქონდათ ფიზიკაც, გეომეტრიაც, ლოღიკაც, ესთეტიკა, თეორეტიკა, რითორიკა, საფილოსოფოსო წიგნები და თარგმანიც თითქმის ყველა კლასიკოსებისა.

მაშინდელი ქართული თხზულებანი რომ შევადაროთ იმავე დროის ევროპული ლიტერატურის ნაწარმოებებს, მე მგონია, რომ მრავალზე უკეთესნი თუ არ აღმოჩნდებიან პირველნი, უკან მაინც არ ჩამორჩებიან უკანასკნელებს. მაგრამ რა ექნა იმისთანა ქვეყანას და ხალხს, რომელსაც გარს ეხვივნენ დაუცხრომელნი მტერნი რჯულისა და მამულისა, და სდევნიდნენ ისე დაუცხრომლათ, როგორითაც არც ერთს ევროპის სამეფოს ხალხს არ დაჰმართვია; და ისე გამუდმებით, რომ თითქმის წელიწადი არ გაივლიდა, რომ საქართველო არ შეევიწროებინათ ურჯულოთა".

რ. ერისთავი დაასკვნიდა: „აი მიზეზები, რატომაც — ქართული ლიტერატურა შებრკოლებულია და არა სდგას თანასწორ ევროპის ლიტერატურისა". ბევრი საგნის გარშემო არსებული წიგნები ზოგი გვაქვს და ზოგიც გვქონია. მაგრამ მრავალი ამგვარი საუნჯე დაგვწვია და მრავალი დაკარგულა შემოსევების დროს.

რ. ერისთავი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ქართულ ენაზე მრავალი ისეთი ტერმინი მოიპოვება, რომლის ნაცვალი (შესატყვისი) ბევრ კულტურულ ენას არ გააჩნდა. იგი მიუთითებდა: „მე ასე ვგონებ, რომ ბუნების ისტორიისათვის, თუ რუსულმა ენამ არ იხმარა ლათინური სიტყვები ვერას მოახერხებს და ქართულს კი არ გაუჭირდება. — ვთქვათ მაგალითად, უნაბი, ლაფანი, სხვადასხვა რიგი ხილი, სხვადასხვა გვარი ყურძენი, — ამაების სახელები არ არის რუსულში". „ბევრი ისეთი მცენარეებიც არის ჩვენს ქვეყანაში, რომ

---

[1] „დროება", 1880, № 209; ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 332.

[2] რაფიელ ე რ ი თ ა ვ ი, რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს, „დროება", 1880, № 212.

ჯერ ბუნების მეცნიერთაც არ უწოდებიათ სახელები და ჩვენში კი არსებობენ. როგორათაც: თობალახი, ქრთილი, ადრეულა, ალილეწა, ამუჯა, ანჩხლა, ბეჟანა, გარდამრიდა, გობისცხვირა, დულუმბო და სხვანი ძრავალნი".

მაშ ისევ სჯობია, სემიონოვი ამ გვარებში არ გვეჯიბრებოდეს და ნიშნს არ გვიგებდესო, — წერდა რაფიელი.

მოტანილი მოსაზრებანი რ. ერისთავის სათანადო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენდა. კერძოდ, მას შეუდგენია „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი", რაც 1873 წელს დაისტამბა[1]. ამ ლექსიკონის შედგენისათვის 1873 წელს მას მიენიჭა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დიდი ვერცხლის მედალი[2].

ქართული ენის ღირსებების დამცრობის ცდას აგრეთვე მკაცრად გმობდა ნ. მარი. ის აღნიშნავდა, რომ საუბარი ქართული სალიტერატურო ენის სისუსტეზე ზნეობრივის გაწვრთნისათვის, არის ტენდენციური ხერხიანობა, გამოგონებული იმისათვის, რომ გაამართლონ ქართული ენის განდევნა სკოლებიდან[3].

რაკი ზოგიერთი რეაქციონერი ამტკიცებდა, თითქოს ქართული ლიტერატურა სუსტი ლიტერატურა იყო, ნ. მარის აზრით, აქედან ჩანდა ის, რომ მათ სრულიად არ იცოდნენ ქართული ლიტერატურა, არ იცოდნენ, რომ იგი აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის ერთი უმდიდრესი საუნჯეთაგანია[4]. ეკლესიის უცოდინარი მსახურნი ყოვლად უსაფუძვლოდ ქართულ ლიტერატურას ბრალს სდებდნენ სისუსტეში. და ეს მაშინ, როცა „ჩვენ სპეციალისტებსაც ჯერ კიდევ სავსებით არ შეგვისწავლია მთელი ქართველი ერის კულტურული ნაღვაწი და ჩვენ მცირედ რაიმე ვიცით და მცირედ რასმე ვწინასწარმეტყველებთ"[5].

ნ. მარი განაგრძობს:

ქართული სალიტერატურო კულტურის მაღალ დონეზე მიგვანიშნებდა, მაგალითად, ის ფაქტიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში, როცა თვით საბერძნეთში ნეოპლატონური ფილოსოფია დაცემული იყო, ქართველმა მწერალმა იოანე პეტრიწმა მოგვცა ყოვლად უნაკლო და სწორი

---

[1] «Записки Кавказского общества сельского хозяйства», № 1—4, Тиф. 1873.

[2] И. Иоселиани, Культурно-экономические записки (сборник), 1902, «Празднование юбилея кн. Р. Д. Эристова».

[3] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 35.

[4] იქვე გვ. 15.

[5] იქვე გვ. 16.

თარგმანი პროკლეს „ღვთისმეტყველებრივს ფილოსოფიისა“ და შეადგინა თავის დედაენაზე შესანიშნავი განმარტება ამ თხზულებისა. და ეს იყო მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში ჰქონდათ მარტო „წიგნი პიზუსთა“, ეს წამხდარი თარგმანი პროკლეს შემოკლებულის სახელმძღვანელოსი“, ხოლო მეთერთმეტე საუკუნეში ქართული საეკლესიო გალობა იყო თავისებური, ნაციონალური, ახალ ბერძნულ საგალობლებს ადგენდნენ ქართულ საგალობელ ნორმებთან შეთანხმებით[1].

ქართული ანბანი

დიმიტრი ყიფიანი შეეხო ქართული ანბანის წარმოშობასა და ღირსებებსაც. მისი აზრით, ჯერ შეიქმნა ძველური ანბანი, ხოლო შემდეგ—საეკლესიო. მხედრული ფარნავაზის დროინდელიაო, ამბობს ყიფიანი და იქვე დასძენს: ცხადია, ძნელია დავამტკიცოთ ამ აზრის უდავო სისწორე. მხედრულის შექმნის თაობაზე კვლევის შედეგებს ასე განაზოგადებს: ნუმიზმატიკური მასალით ბარათაშვილმა დაამტკიცა, რომ მხედრული ასოები არსებობდა ჯერ კიდევ VII საუკუნეში. ყიფიანი ცალკე გამოყოფს იმ მკვლევარებს, რომელთა აზრითაც, მხედრული მე-14 საუკუნიდან არსებობს[2]. როგორც ჩანს, გაიმეორა მაშინდელ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ ფარნავაზმა შექმნა მხედრული, ხოლო ქრისტიანულმა სასულიერო წოდებამ IV კუნეში შექმნა ხუცური დამწერლობა, რათა ხალხს ხელი აეღო წარმართობის ხანის ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვაზე[3].

დ. ყიფიანი ნაკლები ნდობით ეკიდება მტკიცებას ქართული ანბანის არაქართულ წარმომავლობაზე. იგი მიუთითებს: ზოგიერთი ავტორის თქმით, მესროპმა გამოიგონა სომხური საეკლესიო და ქართული მხედრული ასოები; თუმცა სომხებს არა აქვთ და არც ადრე ჰქონიათ ცალკე საეკლესიო ანბანიო[4].

დ. ყიფიანის აზრით, ქართული ანბანი არა მარტო ძველია, არამედ ის თავისი ღირსებებითაც გამორჩეულია. ქართულ ენას „აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან“[5]. ასეთ დასკვნამდე

---

[1] იქვე, გვ. 18—19.

[2] Д. Кипиани. Несколько мыслей... с. 12.

[3] შეადარ. История Грузии с. Баратова, тетрадь I. Древняя история Грузии. СПБ., 1865. с. 27—28.

[4] Д. Кипиани. Несколько мыслей... с. 13.

[5] „დროება“, 1880. № 262.

ყიფიანი მიდის იმის საფუძველზე, რომ ქართულ ანბანს ქართული ენის ყველა ბგერისათვის სათითაოდ თავისი აღმნიშვნელი გრაფიკული გამოსახულება მოეპოვება და ამის გამო ითვლება იგი ყველაზე სრულყოფილ და ყველაზე მარტივ ანბანად ყველა ანბანთა შორის[1].

ქართული ანბანის უაღრესად დახვეწილობის ფაქტს არაერთი მკვლევარი აღნიშნავდა: მაგალითად, პ. უსლარი წერდა: „თუ დავაკვირდებით ქართულ ანბანს შესახებ თვით ქართული ენისა, არ შეგვიძლიან არ გამოვტყდეთ, რომ იგი ჩინებულად შეფარდებულია და საკვირველად ზედ გამოწყობილი; იმისთანა განვითარებული ანბანი არ მოიპოვება მთელს ქვეყანაზედ: ყოველი ხმა გამოიხატება განსაკუთრებითის ნიშნით, და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ხმას აღნიშნავს. ყოველს ევროპელს ენებში მოიპოვება ფეხწამოსაკრავი და საბორძიკო სიძნელე მართლწერა, მაგრამ ქართველებისათვის არ არსებობს იგი განვითარებული ანბანის წყალობით"[2].

მკვლევარ-ენათმეცნიერთა მიერ ქართული ანბანის უპირატესობის აღიარების ფაქტს დ. ყიფიანი შეჯამებული სახით წარმოგვიდგენდა: „რაიცა შეეხება ქართულ ალფაბეტს, არავინ არ ცილობს ახლა იმაზედ, რომ ეს ალფაბეტი უფრო სრულია ყველა იმ ალფაბეტებზედ, რომელიც კი ახლა არსებობენ"[3].

საყურადღებოა დ. ყიფიანის დაკვირვება ქართული ასოების ლამაზად წერაზე. კერძოდ, ვართანოვის მიერ შედგენილი „ქართული დამწერლობის" გამო წარდგენილ რეცენზიაში დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ვართანოვს ქართული ანბანის მოხაზულობა ევროპული ანბანისათვის შეუფარდებია. დ. ყიფიანის აზრით კი: 1. ქართული ასოების წერა საერთოდ განსხვავდება რუსული და ევროპული ასოების წერისაგან. ქართული ასოების მოხაზულობა სწორი და ერთნაირი სიმსხოსი უნდა იყოს; 2. ასოების წერისას გვერდი უნდა ავუქციოთ კუთხოვან და გადატეხილ ხაზებს; 3. ასოების ნაწილები, რომელიც შეადგენენ ხაზს, ასე თუ ისე მრგვალი უნდა იყოს და ამგვარად შედგენილი სტრიქონი არ უნდა სჭრიდეს თვალს, არ ღლიდეს მხედველობას; უნდა იყოს ვერტიკალურად და არ უნდა იყოს დახრილი არც მარჯვნივ

[1] «Закавказье», 1912, № 190.

[2] „ივერია", 1882, № 1.

[3] „დროება", 1883, № 1.

და არც მარცხნივ. რაც შეეხება ასოების გამოკვეთილობას, ეს თავისთავად იგულისხმება[1].

დ. ყიფიანის თავისთავად საინტერესო დაკვირვებანი და დასკვნები ქართული ანბანის სიძველისა და მის დახვეწილობაზე, ცხადია, აგრეთვე მკითხველს განუმტკიცებს აზრს, რომ ასეთი ძველი და სრულყოფილი დაბეჭდილობა, როგორიც ქართული ანბანია, რომლითაც წერდნენ პოეტები, ფილოსოფოსები, სჯულშდებლები და რომელმაც, მაშასადამე, დიდი საშსახური გაუწია ჩვენს ხალხს, ანბანი, რომელიც თავისი თვისებებით არის უკეთესი ყველა ანბანთა შორის, არსებობის საუკუნეებით კანონიერ უფლებას ინარჩუნებს და მას, როგორც საკაცობრიო კულტურის ერთ მნიშვნელოვან განძს, შოფრთხილება ესაჭიროება.

ქართველთა ზოგიერთი ტრადიცია და ზნე-ჩვეულება

დიმიტრი ყიფიანმა ქართულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა.

თავის ერთ-ერთ მოხსენებაში 1863 წელს იგი ამბობდა: „ქართველი კაცი თავის ადგილიდამ არ დაიძვრის: მშობელი ქვეყანა უყვარს, სალოცავ ტაძარს უერთგულებს და მამა-პაპის ძვლებს ვერ განეშორება, თუ საქმე დიდად არ უჭირს"[2].

დ. ყიფიანი ცნობას გვაწვდის ცალკეული წოდებების წარმომადგენელთა ზნე-ჩვეულებებსა და სამოსზე. 1849 წელს ბორჯომის ხეობაში მას შეხვედრია შესანიშნავი და მდიდრული ტანსაცმლით შემოსილი 150-მდე ცხენოსანი გურული და იმერელი თავად-აზნაური. ყოველი მათგანი სრული შეიარაღებით ყოფილა აღჭურვილი. ეს გუნდი ბორჯომის წყლებიდან ბრუნდებოდა[3]. ყიფიანი მოგვითხრობს, რომ განსაკუთრებით საქართველოს შავიზღვისპირა კუთხეებში პირველივე შეხედვით ადვილად განვასხვავებდით აზნაურს გლეხისაგან, ხოლო თავადს აზ-

---

[1] ქ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კავკასიის სასწავლო ოლქის მუშაობაში დ. ყიფიანის მონაწილეობის საკითხისათვის. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, 1959, გვ. 202.

[2] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ძეხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე ბატონყმობის გაუქმების შესახებ, 1863 წლის აპრილი, წიგნში: შ. ნ ი ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში., გვ. 229.

[3] Д. К и п и а н и. О том, о сем... с. 18.

ნაურისაგან. თუ თქვენ შეგხვდებათ მხედარი, რომელსაც გულზე ვერცხლის ჯაჭვი ჰკიდია, ულვაშები შეღებილი აქვს, ხოლო ფეხებზე დეზები უკეთია, — დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ შეგხვდათ ჭეშმარიტი აზნაური. უბრალო ადამიანს ან გლეხს უფლება არა აქვს ატაროს მკერდზე ვერცხლის ჯაჭვი, გაიკეთოს დეზები, ან შეიღებოს ულვაში, ხოლო თუ ჯაჭვი, უფრო დიდი და მასიურია, იშვიათად ოქროსი, უფრო კი ვერცხლისა, ხოლო ფეხებზე აქვს დეზები, რომელიც ზოგჯერ ვერცხლისაა — თქვენ შეხვდით თავადს[1].

წოდებათ შორის მტკიცედ დადგენილი ეთიკური ურთიერთობა არსებობდა. შეხვედრისას უფროსი (ესე იგი, ხედაფენის წარმომადგენელი) პირველი მიესალმებოდა უმცროსს (ქვედა ფენის წარმომადგენელს). საწინააღმდეგო მოქმედება დიდ უხრდელობა-სიბრიყვედ ითვლებოდა. სიტყვა „ბატონო“ მიმართვის ჩვეულებრივი ფორმა იყო.

დიმიტრი მიუთითებს, რომ ქართველებს შორის ულვაში პატივით სარგებლობდა[2]. იგი მოგვითხრობს: ერთი რაჭველი პირველად მოხედა სამოქალაქო მოხელესთან და მაშინვე უკან გამობრუნდა — მოხელეს ულვაში არა ჰქონდა, რის გამოც რაჭველმა ის აგრეთვე სინდისს მოკლებულად მიიჩნია.

ერთმა იმერელმა, მევახშე შავლოხასაგან ისესხა 15 მანეთი, რაშიც 10 საპალნე ღვინო უნდა გადაეხადა. თამასუქის ნაცვლად კრედიტორს თავისი ულვაშის ღერი მისცა. მოსავალი არ მოვიდა და იმერელმა ვალი ვერ გაისტუმრა. მაშინ შავლოხამ მოვალის ულვაშის ღერი ქაღალდიდან ამოიღო და ყველას დასანახად მას დააჯდა. ასეთი რამ, ხალხის თვალში, ულვაშის პატრონის უდიდეს დამცირებად ითვლებოდა და მოვალე იმერელი გადაიხვეწა აჭარაში, სადაც მთელი 12 წელი დახეტიალობდა. ერთხელაც, ონიდან საჩხერისკენ მიმავალ გზაზე, მევახშე ხეზე ჩამოხრჩობილი ნახეს, ხოლო ვალის აღებიდან 13 წლის შემდეგ, იმერელმა შავლოხას ცოლ-შვილს მიუტანა 10 საპალნე ღვინო, რაც მას ემართა, თუმცა ოჯახმა არაფერი იცოდა ამ ვალისა.

ქართველთა ხნე-ჩვეულებაში საპატიო ადგილი ეჭირა სტუმრის პატივისცემით მიღების ჩვეულებას. იმ 150 ცხენოსანს, რომელთაც დ. ყიფიანი ბორჯომის გზაზე შეხვდა, ორი დღე მასპინძლობდა ერთი ადგილობრივი აზნაური, — მას დიდი ლხინი გადაუხდია. სტუმრის წვევა ღვთის წყალობად ითვლებოდაო, — წერდა დიმიტრი.

---

[1] Д. Кипиани, О том, о сем... с. 25—26.

[2] იქვე, გვ. 27.

1838 წელს შორაპანზე გაუელია მთავრის სახლის წარმომადგენელს, რომელსაც ბევრი თავადი, უფრო მეტი აზნაური და მრავალი მსახური ხლებია. ძათთანვე ყოფილა მაზრის უფროსი თავისი ამალით. ყველა ისინი ისტუმრა ღარიბმა აზნაურმა და ესოდენ საპატიო სტუმრების პატივსაცემად გამართულ ვახშამზე დახარჯა მთელი თავისი წლიური შემოსავალი. ღამის გასათევად მან სტუმრებს დაუთმო თავისი საცხოვრებელი წაბლის ხის სახლი, მეორე ასეთივე სასტუმრო სახლი და მსახურთათვის განკუთვნილი ჩეხის ფიცრისაგან აგებული ორი პატარა სახლი. არ იფიქროთ, რომ აზნაური შეწუხებულია, ის სავსებით ბედნიერია თავისი მოულოდნელი სტუმრებითო, — აღნიშნავდა დიმიტრი[1].

სტუმრის პატივისცემის ჩვეულება არსებობდა არა მარტო პრივილეგიურ წოდებაში, არამედ გლეხთა შორისაც. ყიფიანი მოგონებაში წერდა: ბორჯომის გზაზე შეხვედრილ იმერლებთან ერთად ვქეიფობდით ორი დღე-ღამე და მესამე დღეს გავიყარენით. გზაში მოგვისწრო ნიაღვარმა და შევეფარეთ ერთი აზნაურის გლეხთან. ის სიღარიბეს უჩიოდა, მაინც კი სულ ერთი საათის განმავლობაში მოიტანა გემრიელი ჩიხირთმა, შეშწვარი ქათამი, ცივად ძეხარშული დედალი, ქათამი ბროწეულის წვენით, გემრიელი ხორბლის პური და ერთი თუნგი (5 ლიტრა) ღვინო. „რა ბედნიერად ჩასთვლიდა თავს ანრი IV მისი ქვეშევრდომებიც ასეთი ღარიბები რომ ყოფილიყვნენ, როგორც ეს გლეხი", — წერდა ავტორი[2].

დ. ყიფიანი ადასტურებდა, რომ XIX საუკუნის შუახანებში ამიერკავკასიაში კვლავ ცოცხლობდა, ალბათ, იაზონის მიერ 3150 წლის წინათ შემოტანილი, მხიარული დროსტარებით განთქმული ჰომერული ნადიმები[3].

---

[1] Д. Кипиани, О том, о сем... с. 31.

[2] იქვე, გვ. 31.

[3] იქვე, გვ. 18. ა. ხისურშვილი მოგვითხრობს, რომ XIX ს. 40-იანი წლების შუახანებში, მას. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსის მაზარ ქ. ჩოლოყაშვილის ამალის შეკრებულობაში, სოფ. მარნიდან ართანისა და შილდის გავლით ყვარელში უმოგზაურია. ის წერდა: „Мы пробыли несколько дней, пируя у князей Чавчавадзе поочередно. Принимали нас, благодаря значению и родственным связям Чолокаева, везде отлично и вся поездка—дней десять--была рядом кутежей, о которых трудно дать понятие тем, кто сам их не видел. и питье, и еда, и пение в размерах героев Иллиады» (А. Л. Зиссерман. Двадцать пять лет на Кавказе. (1842—1867), ч. I—II, с. Петербург, 1879, с. 43—44)

დიმიტრი თავთონაც შესაფერისად იცავდა სტუმრის მიღების მამა-პაპურ ტრადიციას. იყო უხვი, პურმარილიანი, თავაზიანი. სუფრაზე ოხუნჯობდა, მხიარულობდა. მის სუფრაზე ღვინოს თიხის ჩარექებით ჩამოარიგებდნენ ხოლმე. დიმიტრი სადილად ერთ ჩარექაზე მეტს ღვინოს არავითარ შემთხვევაში არ დალევდა. სიმთვრალემდე არც თვითონ მივიდოდა და არც სტუმარს მიიყვანდა. სტუმრები ძალიან უყვარდა. აზარტულ თამაშობებს (ბანქო და ა. შ.) მის ოჯახში ადგილი არ ჰქონდა[1].

დიმიტრი მორალური სიწმინდის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. 1860 წლის მაისში, იგი პეტერბურგიდან სწერდა თავის შეულლეს: ამ დღეებში მე, ქ-ნი ივჩენკო და ალექსანდრე საჯაფხულო ბაღში ვსეირნობდით. აქვე იყვნენ უამრავი ქალები კავალრებით. პირველსავე შემხვედრთა შორის იყო ქ-ნი მარჩენკო. ჩემს დანახვაზე მისმა თვალებმა გაოცებისაგან გაიელვეს, თითქოს იმის გამო, რომ მე მასთან კი არა, რომელიღაც სხვა ლამაზმანთან დავდიოდი. აქ არავის არ შეუძლია იგულისხმოს, რომ შეიძლება არსებობდეს არასაძრახისი ნაცნობობა. ზნეობრივი სიფაქიზე — ეს ანაქრონიზმია, ბნელი გაღმოცემაა! საბრალო ხალხი![2].

დ. ყიფიანი და ახალგაზრდობა

დ. ყიფიანის ერთი ბიოგრაფი წერდა: რვა წლისა ვიყავი პირველად დიმიტრი რომ გავიცანი. ყმაწვილებს მუდამ გვარიგებდა: ისწავლეთ და გამოადექით თქვენს მშვენიერ, ტურფა სამშობლოს. იყავით მართალნი, პატიოსანნი, მოსიყვარულენი მოყვასისა და თქვენი ერისა. გიყვარდეთ სხვა ერებიც და იყავით მათი პატივისმცემელნიო.

ყმაწვილებს რომ დაგვიწყებდა მუსაიფს, უსათუოდ გვაცნობდა სამშობლოს ტანჯულ წარსულს და აწმყოსაც, თვითმპყრობელობის დროს არანაკლებ ჩაგრულს და შეურაცხყოფილს. ცდილობდა ჩაენერგა ყმაწვილებში სამშობლოს დიდი სიყვარული, რისთვისაც საჭირო იყო სწავლა-განათლებით შეიარაღება და მაღალი შეგნების გამომუშავება; ცდილობდა ჩაენერგა მათთვის მისწრაფება, რომ სამშობლო მტრისგან დაეცვათ და კულტურულად აეყვავებინათ[3].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი. № 13502—ხ.

[2] იქვე. № 14782 -ხ.

[3] იქვე. № 13502—ხ.

ვასილ მაჩაბელი გადმოგვცემს: გიმნაზიის მეხუთე კლასში ვიყავი, როცა გავიცანი დიმიტრის ბავშვები. მე მათ ოჯახში დავდიოდი. მაშინ ისინი ვორონცოვის ძეგლის ახლოს ცხოვრობდნენ. იქ მე პირველად ანტონ ფურცელაძემ წამიყვანა. შემდეგ არაერთხელ ვიყავი მათთან. საღამ-საღამოობით დ. ყიფიანი ხშირად გვიამბობდა ძველ ამბებს მამა-პაპათა დამსახურებაზე. ზოგჯერ გვიკითხავდა ხოლმე სხვადასხვა პიესებს, წერილებს და ჩვენც განცვიფრებით სულგანაბულნი ვუსმენდით მის მკაფიოდ, დინჯად და მშვენიერად გამოთქმულ სიტყვებს წაკითხვის დროს ვერ შეამჩნევდით მას რაიმე სიტყვის ჩაფუჩეჩებას, რა ნაკლსაც ამჟამად ბევრს ჩვენს ლიტერატორს შეამჩნევთ[1].

ამავე დროს დ. ყიფიანი ცდილობდა ახალგაზრდობისათვის თავიანთი ძალების რაციონალურად გამოყენების ჩვევები ჩაენერგა. ი. მანსვეტაშვილი მოგვითხრობს: პეტერბურგში სწავლის პერიოდში ქართველი სტუდენტების კრებებს ესწრებოდნენ აკაკი და ნიკო ნიკოლაძე. ერთხელ დიმიტრი ყიფიანიც გვეწვია, ჩვენს კამათში ჩაერია და გვირჩია: ჯერჯერობით დიდ საქმეს ნუ შეეჭიდებით. კარგი პატრონი სახლის შენებას რომ დააპირებს, ჯერ მასალის მომზადებას შეუდგება და მერე შენობას დაიწყებსო.

მის სიტყვებს ახალგაზრდებმა ალღო ვერ ავუღეთ. იგი ჭკვიანი კაცი იყო, მიხვდა, მაშინვე ზრდილობიანად გამოგვემშვიდობა და წავიდა[2].

ნიკო დადიანი და ნიკო მარი

შევჩერდეთ იმ ფაქტზე, რომელიც ნათლად ახასიათებს დ. ყიფიანის ოჯახის წევრებისა და მათთან ახლო მყოფი პირების ეროვნულ მრწამსს. დიმიტრის ერთ-ერთი ბიოგრაფი გ. ტატიშვილი მოგვითხრობს: კოტე ყიფიანი და ნიკო დადიანი ერთად იყვნენ შეზრდილნი, რის გამოც ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ.

ერთხელ სუფრაზე ყოფნისას ნიკოს მიართვეს წერილი. მან გახსნა, წაიკითხა და კოტეს გადასცა: ნახე ეს ხულიგანი რას მიბედავსო.

ქუთაისში მოსულიყო მღვდელი ვოსტორგოვი და იქიდან ეს წერილი ვიღაც პოლიციის მოხელის ხელით გამოეგზავნა. ვოსტორგოვი სთხოვ-

---

[1] ვასილ შ ა ჩ ა ბ ე ლ ი. მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ, გაზეთი „თეკში", 1912, № 96.

[2] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი. მოგონებანი. ტფილისი, 1936, გვ. 73.

და ნიკო დადიანს დაედასტურებინა, რომ მეგრელები ცალკე ეროვნებაა, რომელსაც ქართველ ერთან საერთო არა აქვს რა, რომ მეგრელებს აქვთ თავიანთი ენა, დამწერლობა, ლიტერატურა და ისტორია.

კოტემ რომ წაიკითხა, უთხრა: ეს წერილი მამაჩემს ჩავარდნოდა ხელში, ვიცი რასაც იზამდა და შენც გმართებს, დიდი ყურადღება მიაქციო ამისთანა გარეწრის საქციელსო.

ნიკო თავის კაბინეტში გავიდა პასუხის დასაწერად, ხოლო შემდეგ თავისი პასუხი იქ მყოფთ წაუკითხა:

— მღვდელო, თქვენმა ხულიგნურმა წერილმა დიდათ გამაკვირვა, რომ ღვთის მსახური, რომელიც მოვალეა პატივი სცეს ხალხის ისტორიას, ეცნობოდეს მას და ახარებდეს მისი ძმური ერთობა, სულ სხვა გზას დასდგომია. თქვენ გიკისრიათ როლი იუდასი და ცდილობთ გაყაროთ ძმები და მტრათ გახადოთ ერთმანეთისა. სამეგრელო, ქართლი, კახეთი, მესხეთი, გურია, იმერეთი და სხვ. ეს გეოგრაფიული სახელებია, სადაც ცხოვრობენ ქართველები, რომელთაც აქვთ ერთი საზოგადო ენა და დამწერლობა, თვისი ლიტერატურით, ხოლო თქვენ გინდათ თვითნებურად ყოველივე ეს ასიმილაციისათვის გამოიყენოთ. ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ, რაც მოხსენდება თვით ხელმწიფეს[1].

სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს დავათარიღოთ ამბავი, რომელზედაც ახლა იყო მოთხრობილი. ერთი კი ცხადია, ეს ამბავი იმის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაცნიკო დადიანს მთავრის უფლებაზე უარი ათქმევინეს, რადგანაც მოგონების ავტორი მას მინგრელსკად იხსენიებს. შესაძლოა, ეს ფაქტი 90-იანი წლებისაა, რა დროიდანაც ჩვენში ვოსტორგოვი მსახურობდა. ი. გოგებაშვილი წერდა: ვოსტორგოვი ჯერ საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო თბილისის ქალთა გიმნაზიაში, სადაც სულ ორი წელი გასძლო. შემდეგ, ექვსი წლის მანძილზე გამოუცვლია ოთხი-ხუთი თანამდებობა და, ბოლოს, საქართველოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურის თანამდებობაზე დაუნიშნავთ[2]. ვოსტორგოვი ქართველებისადმი აშკარად მტრულად იყო განწყობილი. მაგალითად, სიონის მუზეუმის მისამართით, სადაც ინახებოდა უმდიდრესი ძველი ქართული ხელნაწერები და სხვა ისტორიული განძეულობა, ვოსტორგოვს უთქვამს: საჭიროა ეს დამპალი ნაგავი დაწვანო[3]. „ქართველები მე სიტყვით დამიწყე-

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 204.

[3] იქვე, გვ. 211.

ბენ ლანძღვას, მე კი მათ საქმით მოვუღებ ბოლოს", — პირში ეუბნებოდა თურმე ის ქართველებს. „ტყუილუბრალოდ კი არ გამოვითხოვე უფლება, რომ ყოველწლიურად წავიდე ხოლმე პეტერბურგში", — დასძენდა ის[1].

საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ხედამხედველი ვოსტორგოვი დიდად გარჯილა ამ სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარებისათვის. ამასთან, 1904 წელს, მას პეტერბურგში, სინოდის წევრებისა და სხვა წარჩინებულ პირთა კრებაზე წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიც არ დაკმაყოფილებულა სასკოლო საქმეებში თავისი ღვაწლის აღნუსხვით და საერთოდ მთელი ქართველი ერის დახასიათება განუზრახავს. ვოსტორგოვის ეს გამოსვლა სინოდის ჟურნალში დაუსტამბავთ[2]. ვოსტორგოვი ეხებოდა საქართველოს ისტორიასაც და ისტორიულ გეოგრაფიასაც, კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხსაც, ეროვნულ ურთიერთობასაც, რელიგიის საკითხებსაც და ა. შ. ეს იყო ტიპური შავრაზმელი კლერიკალის ლაშქრობა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

დეკანოზ ვოსტორგოვის გამოსვლას უმალვე პასუხი გასცა ნ. მარმა. მან ცხადყო ვოსტორგოვის სრული უვიცობა საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის ელემენტარულ საკითხებში. მიუთითა, რომ ვოსტორგოვი მსჯელობდა ადგილობრივ ენებზე ისე, რომ არც ერთ ენაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა[3]. ნ. მარმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის გამგებლობა ებარათ ადგილობრივი პირობების უცოდინარ, სრულიად არაკომპეტენტურ პირებს, რომ რუსული ეკლესიის სასულიერო პირები და რუსული მმართველობის მოხელეები შეკავშირებულ ძალად გამოდიოდნენ ქართველი ერის წინააღმდეგ. ნ. მარი დაასკვნიდა, რომ ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ ბრძოლას ვოსტორგოვი და მისი თანამოაზრენი განმარტავდნენ, როგორც რუსული ეკლესიისა და რუსეთის სახელმწიფოს დიდებისათვის მზრუნველობას.

ნ. მარმა აშხილა არარუსი ხალხების მოძულე შავრაზმელი კლერიკალები, მიუთითა ქართველი ხალხის ისტორიულ დამსახურებაზე მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე და დაადასტურა, რომ ქართველ ხალხს ისტორიული არსებობისა და განვითარების ყველა საფუძველი და ყველა უფლება ჰქონდა.

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი. გვ. 221.

[2] Прот. И. Восторгов, Церковная школа в Закавказии, Журнал «Народное образование». Издание учебнаго Совета при святейшем синоде, т. I. книжка 3, Март, 1905, с. 307—337.

[3] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება. ჭუთაისი, 1905. გვ. 5.

ნ. მარის დარტყმა რეაქციონერი ვოსტორგოვისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს უკანასკნელი კავკასიიდან აიბარგა, მაგრამ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ შხამს კვლავ ანთხევდა. კერძოდ, წასვლის შემდეგ, ვოსტორგოვი გამოსულა მოსკოვში „რუსი ადამიანების“ ყრილობაზე. ეს გამოსვლა ნ. მარმა შეაფასა, როგორც „გველურ სიბრძნეს მოკლებული გველური სისინი“[1].

დეკანოზი ვოსტორგოვი, ქართველებისა და სომხების ეს „დაუძინებელი მტერი“ (ნ. მარი), კერძოდ, თავს ესხმოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის იდეას და აცხადებდა, რომ ეს არის პოლიტიკური საკითხი, რომლითაც ინიღბება კავკასიის რევოლუციაო. სომხებს კი ბრალს სდებდა: მათ სურთ შექმნან დიდი სომხეთი, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი ნახჭევნამდე მოაღწევსო[2]. ნ. მარმა ცხადყო ამ პოლიტიკური მაბეზღარის მიერ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა. უარყოფილ იქნა ვოსტორგოვის ბრალდება, თითქოს „ქართველთა მიერ ავტონომიის მოთხოვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაში გამოიხატებოდა“. აღინიშნა, რომ ქართველები საქართველოს ავტონომიას დიდი ხანია მოითხოვდნენ სავსებით აშკარად და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისაგან დამოუკიდებლად[3].

IX თავი

დ. ყიფიანის შეხედულებანი პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებზე

საქართველოს რუსეთთან შეერთება

ამ საკითხს დ. ყიფიანი არაერთხელ შეხებია. იგი ამ შეერთებას ერეკლე მეორის სახელს უკავშირებდა. 1853 წელს დ. ყიფიანი წერდა: საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მეფე — ერეკლე II, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს წარმატებით ებრძოდა მტრებს, სულ

[1] Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок), СПБ., 1906, с. 6.

[2] იქვე, გვ. 8.

[3] იქვე, გვ. 10

უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი წინამორბედები ტყუილად როდი მიმართავდნენ რუსეთის მონარქებს. ერეკლე ხედავდა, რომ რუსეთის მფარველობის გარეშე საქართველო შეიძლება დაიღუპოს იმ პოლიტიკური ქარტეხილებისაგან, რაც ქვესი საუკუნის განმავლობაში მის შიგნით და მის ირგვლივ ბობოქრობდა. 1783 წელს ერეკლემ ეკატერინეს მფარველობა მიიღო, ხოლო ალექსეს ვაჟმა გიორგი XII-მ თავისი სამეფო 1800 წელს საბოლოოდ გადასცა რუსეთის ხელმწიფის უშუალო გამგებლობაში[1].

ამრიგად, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხში, დ. ყიფიანი ორ ეტაპს გამოჰყოფს: 1. საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა 1783 წელს 2. რუსეთთან საქართველოს სამეფოს შეერთება 1800 წელს. ეს შეეხება ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო უშუალოდ რუსული გამგებლობა იმერეთში 1810 წელს იქნა შემოღებული, გურიაში — 1829 წელს. დანარჩენი ნაწილნი კი: სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, რომელთაც საკუთარი მთავრები ჰყავდათ, რუსული გამგებლობის ზერელე ზედამხედველობას მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდნენ[2].

რუსეთთან საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დაკავშირება ფორმდება 1783 წლის ტრაქტატით და გულისხმობს რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლას ავტონომიის უფლებით. შემდეგში, 1801 წელს, ეს სამეფო იმპერიის უშუალო გამგებლობაში მოხვდა. ამას თანდათანობით მოჰყვა რუსული მმართველობის გავრცელება საქართველოს სხვა ნაწილებზე. მოვლენათა ამ ჯაჭვში ფუძემდებლურია. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა. რაც შეეხება დანარჩენ აქტებს (1801 წელს — ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, 1810 წელს იმერეთში მეფობის გაუქმება, 1857 წელს სამეგრელოსა და სვანეთის ავტონომიების გაუქმება და სხვ.). ეს უკვე ცარიზმის ცალმხრივი აქციებია. ამ აქციებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა 1783 წლის ტრაქტატის პრინციპები. საქართველო რუსეთთან კავშირს ეძებდა. ის რუსეთის მფარველობაში ნებაყოფლობით შევიდა და ცარიზმის „ხალხთა საპყრობილეში“ კი აღმოჩნდა[3].

---

[1] Д. Кипиани. О том, о сем 47—48.

[2] დ. ყიფიანი. ნაშრომები, გვ. 13.

[3] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II. თბ., 1965, გვ. 263.

დ. ყიფიანი საყვედურს გამოთქამდა ცარიზმის მმართველობის მიმართ: 1783 წლის ხელშეკრულების ძალით, რუსეთს საქართველოსათვის მფარველობა უნდა გაეწია სპარსეთ-ოსმალეთს საპირისპიროდ, ცარიზმი კი ამ მფარველობას არ უწევდა ქართველ ხალხს და 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანისა საქართველო ააოხრა და ააწიოკა. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში. აქა-იქ დაიწყეს ლაპარაკი: რუსეთის მეფის მფარველობაში შესვლა რაღას ნიშნავსო. შემდეგ, გრაფ ზუბოვის სარდლობით, რუსეთის ჯარმა ვითომდა ქართველების საშველად გამოილაშქრა. ეს ჯარი კასპიის დაყოლებაზე მდებარე განცალკევებულ და დაშორებულ დარუბანდის, ყუბის, ბაქოს და თალიშის სახანოებს შეებრძოლა და დაიმორჩილა. საქართველოში უკმაყოფილონი კი ამბობდნენ: სპარსეთის შაჰმა გაანადგურა ჩვენი დედაქალაქი და შებილწა ჩვენი ტაძრები, ჩვენი მფარველი მთავრობა კი კასპიის კიდეებზე სჯის სხვა ხანებს, რომელთაც არაფითარი ბრალი არა აქვთო[1].

მეფე გიორგიმ, მაძის სიკვდილის შემდეგ, გადწყვიტა რუსეთს უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა, რათა რუსეთს ქვეშევრდომად მიეღო საქართველო. საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი ქართველთა შორის მოსალოდნელი მღელვარების გამო 1802 წლამდე თბილისში არ გამოუცხადებიათ. ხოლო, როცა სიონის ტაძარში 1802 წლის 12 აპრილს წაიკითხეს, ის არც უთარგმნიათ ქართულად, ესე იგი, იმ ხალხის ენაზე, რომლისთვისაც იყო შედგენილი. ამავე დროს არ დაუწყებიათ სიონთან მისასვლელი ქუჩების ჯარით ავსება, რის საჭიროებაც სრულიად არ იგრძნობოდა[2]. როცა მანიფესტის ის სიტყვები წაიკითხეს, რაც ქართულად საკმაოდ ეხერხებელად ჟღერს („და სხვა და სხვა და სხვაო")[3], ტაძარში უკმაყოფილების გამომხატველი ისეთი ხმაური ამტყდარა, რომ არაფერი შეეძრებოდა. ახალმა მმართველობამ დაიწყო, რომ არ შეიძლებოდა ქართველების წინაშე ტაძარში წარმოთქმა ისეთი სიტყვებისა, რომელიც ქართველებისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას გამოხატავდა[4]. მთავარმართებელმა ნორინგმა ტაძარში შეკ-

---

[1] საწყისია ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 82. Д. И. Кипиани, Казарменное дело, т. е. дело о грузинском заговоре 1832 года. Автограф. № 83; დ. ყ ი ფ ი ა ნ ი. 1832 წლის შეთქმულება ანუ ყაზარმობა (გადმოთარგმნილი კოტე ყიფიანის მიერ. 1893 წ. ნოემბერი). დ. ყ ი ფ ი ა ნ ი. ტეტყარები, გვ. 117.

[2] იქვე.

[3] «И прочая и прочая».

[4] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი. ტეტყარები, გვ. 119.

რებილო მოსთხოვა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის მიღება, ვინც უარს აცხადებდა, მას აპატიმრებდნენ[1].

რა თქმა უნდა, მანიფესტის გამოცხადებისას გამოწვეული არეულობის ჭეშმარიტი მიზეზი მანიფესტის შინაარსსა და მის გამოცხადების წესშია საძიებელი. დიდი უკმაყოფილება დაბადა საქართველოში შეფობის მოსპობამ და ჯარის საშუალებით მანიფესტზე ერთგულების ფიცის დადებამ.

როგორც ჩანს, დ. ყიფიანს რამდენადმე არასუსტი წარმოდგენა ჰქონდა გიორგი XII-ის ეგრეთწოდებული „საიდუმლო პუნქტებზე" და 1801 წლის მანიფესტებზე. ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამო, დ. ყიფიანი წერდა: „ისეთი ენით არის დაწერილი, საცა აშკარად მოჩანს დიდსულოვნება და კეთილი განსრახვანი კურთხეული შეფისა. ამ მანიფესტს იმდროინდელ ქართველობაზე ისეთივე დამამშვიდებელი მოქმედება უნდა მოეხდინა, როგორც ახდენს იგი დღესაც"[2].

ცნობილია, რომ პავლე I-ის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე იმპერატორის მიერ 1800 წლის 18 დეკემბერს იყო ხელმოწერილი, 1801 წლის 18 იანვარს კი გამოქვეყნდა პეტერბურგში. მანიფესტში სრულიად გამოტოვებული იყო საკითხი ბაგრატიონების დინასტიურ უფლებებზე (გიორგი XII შემკვიდრედ თავისი ვაჟის დავითის დამტკიცებას თხოულობდა). ალექსანდრე I-ის მანიფესტით (1801 წლის 12 სექტემბერი) ხელშეორედ დადასტურდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, თუმცა იმპერატორი თვითონ იყო დაეჭვებული ამ აქტის კანონიერება-სამართლიანობაში[3]. ალექსანდრე I-ის ყოყმანი იმით იყო გამოწვეული, რომ იგი აშკარად გრძნობდა უსამართლობას, რომელსაც რუსეთის მთავრობა აკანონებდა საქართველოს საშინაო თვითმმართველობის მოსპობით და მისი შეუვანით უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში[4].

საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხის განმარტებისას დ. ყიფიანი მიუთითებდა, რომ ეს შეერთება უპირობო არ ყოფილა. დ. ყიფიანი 1880 წელს წერდა: „ხალხის ენის შებღალვა ხომ ამ ხალხის წმიდათაწმიდის შებღალვაა. ქართველებს არ უნდა აკადრონ ეს. ნუ დაი-

---

[1] И. Джавахишвили, Грузия, Энциклопедический словарь «гранат», 7—е издание, т. 17, с. 206.

[2] ა. ჯორჯაძე. დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913., № 794.

[3] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тифлис, 1907, с. 27.

[4] „სახალხო გაზეთი", 1913, № 794.

ვიწყებთ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის. ქართველები რუსეთის მოსარქეა ქვეშევრდომობაში ნებაყოფლობით და შეგნებულად შევიდნენ"[1].

ვფიქრობთ, დ. ყიფიანის ტერმინებით — „ნებაყოფლობით" და „შეგნებულად" — გამოხატულია ქართველი ხალხის ნებისყოფა, კონცენტრირებული 1783 წლის ტრაქტატში. ეს ნიშნავდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას ფართო ავტონომიური უფლებებით და არა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს უპირობო ინკორპორაციას. 1801 წლის მანიფესტებით კი საქართველოს არავითარი ავტონომიური მმართველობის უფლებები აღარ რჩებოდა. რასაკვირველია, ქართველმა ხალხმა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებულ უფლებებზე „ნებაყოფილობით" და „შეგნებულად" როდი აიღო ხელი. დ. ყიფიანი მიუთითებდა ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა მიმართ ხელმწიფის შეიარაღებული ძალების უცერემონიო მოქმედებაზე (ქართლ-კახეთის საშეფო სახლის წევრების რუსეთში იძულებითი გადასახლება, სოლომონ II-ის შეპყრობა, საომარი მოქმედება იმერეთში, სამეგრელოში მიწევის გარეშე ჯარის შეყვანა და სხვ).

დ. ყიფიანმა მშვენივრად იცოდა, რომ ერთადერთი კანონიერი ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ეს არის 1783 წლის ტრაქტატი და რომ სხვა რაიმე ხელშეკრულება ხელმოწერილი ორივე იურიდიული მხარის მიერ არ არსებობს. გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები" მეფის მიერ ხელმოწერილი არ ყოფილა და, მით უფრო, მას ხელშეკრულების ხასიათი არ ჰქონია. ამასთან, თვით „სათხოვარი პუნქტებიც" შეიცავდა ქართული სახელმწიფოებრიობის გარკვეული ავტონომიური ფორმით შენარჩუნების მოთხოვნას (ქართული საშეფო დინასტიისათვის მმართველობის უფლების შენარჩუნება)[2].

ნ. მარი აღნიშნავდა: ქართველებმა იციან, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება უწინააღმდეგოდ არ მომხდარა და ახლა, როდესაც რუსეთთან შეერთების დროიდან ას წელიწადზე მეტი გავიდა, ისინი ყურადღებით ეცნობიან უძლურის უმცირესობის მხრივ წინააღმდეგობის მოტივებს და, სამწუხაროდ მათდა, ტყობილობენ, რომ მაშინდელი პროტესტი და წინააღმდეგობა მეტის თანაგრძნობის ღირსი ყოფილა ხალხის მხრით[3].

---

[1] „სახალხო გაზეთი", 1913, № 807.

[2] შდრ. А. А. Цагарели, Непререкаемая права Грузии на признание независимости и на востановление её государственных границ, Тифлис, 1919, с. 5—14.

[3] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 13.

ივ. ჯავახიშვილი კიდევ უფრო აზუსტებდა ამ აზრს და წერდა, რომ იმ დროს, შესაძლოა, ხალხის საყოველთაო პროტესტს რაიმე შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ ძალთა გაერთიანებას ხელს უშლიდა განსხვავებული თვალსაზრისის მქონე პოლიტიკური ჯგუფების მოქმედება. ეს ჯგუფები იყო: 1. ბატონიშვილ დავითის, 2. ბატონიშვილ იულონის და 3. რუსეთის მთავრობის ემსხრეებისა. დავითის მომხრენი მეფის ტიტულის შენარჩუნებას მოითხოვდნენ; იულონის ჯგუფი რუსეთის მხოლოდ პროტექტორატს სცნობდა საქართველოსადმი, რომელიც შინაურ საქმეებში ღამოუკიდებლობას ინარჩუნებდა; რუსოფილები ცარიზმის სრული გაბატონების მომხრეები იყვნენ[1].

მაშასადამე, ნ. ბარს და ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდათ, რომ კრიტიკულ მომენტებში ეროვნული ერთსულოვნება რომ ყოფილიყო, საქართველოს, შესაძლოა, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული გარკვეული ავტონომიური უფლებები შეენარჩუნებინა.

დ. ყიფიანი 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევს ფუძემდებლურ დოკუმენტად და აღნიშნავს, რომ საქართველოს დაკავშირება რუსეთთან მოხდა ნებაყოფლობით, მშვიდობიანი გზით. ქართველი ხალხი რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში თავისი ნებით შევიდა და, მაშასადამე, მას გარკვეული უფლებები რჩებოდა. დ. ყიფიანი ერთმანეთისგან მიჯნავს ორ მოვლენას: ერთი ხალხის მეორე ხალხთან ნებაყოფლობით დაკავშირებას და ერთი ხალხის მიერ მეორის იარაღის ძალით დამორჩილებას. ეხებოდა რა ესპანელების წინააღმდეგ ამერიკელი ინდიელების ბრძოლის საკითხს, დ. ყიფიანი 1858 წელს წერდა: „ისპანიელებმა რომ იარაღით დაიპყრეს ეს ქუეყანა, ხალხიც იარაღისავე შიშით დაიმონეს და არა იმ უფლების ძალითა, რომელსაც ნებით ემორჩილება ხალხი“[2].

დ. ყიფიანის რწმენით, არა მარტო ის ხალხი, რომელიც სხვა სახელმწიფოს ნებაყოფლობით უკავშირებს თავის ბედს, არამედ თუნდაც დაპყრობილი ხალხი, თავისი ინდივიდუალური არსებობის უფლებას ინარჩუნებს.

დ. ყიფიანი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს რუსეთთან იმ სახით დაკავშირების ფაქტსაც, რა სახითაც ის სინამდვილეში განხორციელდა: ამიერიდან საქართველოს გარეშე მტერი აღარ ემუქრებოდა, აღიკვეთა ძმათამკვლელი შინა ომები. შესაძლებელი გახდა აგრესო-

---

[1] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПБ., 1906, с. 10.

[2] დ. ყიფიანი, ზჷმა, „ცისკარი“ 1858, № 9, გვ. 17.

რი შეზობლების მიერ მიტაცებული რიგი ტერიტორიების დაბრუნება. მაგალითად, 1878 წელს დ. ყიფიანი მოუთითებდა იმ გადამწყვეტ როლზე, რაც რუსეთმა შეასრულა აჭარის განთავისუფლების საქმეში. „ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, ჩვენ რომ დიდებულის რუსთ ხელმწიფისათვის არ მიგვეცხო თავი. იმისმა ღვთიურმა ხალხთათვის ზრუნვამ მოგვმადლა ეს შეერთება ამდენის ხნის დაშორებულებსა“[1].

ასე აფასებდა დ. ყიფიანი საქართველოს რუსეთთან დაკავშირების მნიშვნელობას, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ მეფის მმართველობა თავიდანვე ასიმილატორულ პოლიტიკას ატარებდა. დაწესებულებიდან განიდევნა ქართული ენა, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა. ხელმწიფის ჯარი, რომელსაც მოსახლეობის ყველა ფენა დასწყისში დიდი აღტაცებით შეხვდა, ჩქარავე ყოვლად უცერემონიოდ ექცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას: არაიშვიათად მაძაცებს ცემით სულსა ხდიდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ; თვით უღელში ქალების შებმის შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი[2]. ძალადობის აქტებს ვხვდებით არა მარტო XIX საუკუნის დასაწყისში, არამედ შემდეგაც. მაგალითად, პრესამ 1883 წელს მკითხველებს გააცნო შემდეგი ფაქტი. სოფელ ცხინვალში დროებით მდგარა კახეთა ეგზეკუცია, რომელიღაც ოფიცრის მეთაურობით. ამ უკანასკნელის ბრძანებით, ოთხი კახაკი გაეშართა სოფელ ერგნეთში ოფიცრისათვის რომელიმე ლამაზი გოგონას მოსაყვანად. კახაკებმა დიდი გულმოდგინებით შეასრულეს თავისი ოფიცრის სურვილი: მოიტაცეს გლეხის ახლად დანიშნული ლამაზი ახალგაზრდა ქალიშვილი და თავის ატამანს მიჰგვარეს. უბედური ქალიშვილის მშობლების გოდებისა და მთელი სოფლის აღშფოთების პასუხად

---

[1] ხელნაწერია ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 286, დ. ყიფიანის სიტყვა აჭარა-ქობულეთის შემოერთების დროს.

[2] აი, მაგალითად, რას აცხადებდნენ მთიულეთის 1804 წლის აჯანყების მონაწილენი: „ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ“. „ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ, ჩვენ ერთობით ეს აწ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეცემინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოგვეკიდოთ, ცოლშვილი შიგ შეეყაროთ, ჩვენ შიგ შეეღებეთ და დაეწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ახე დაეიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა“ (Акты, т. II, Тифлис, 1868, с. 311); იხილე აგრეთვე: ალ. ფ რ ო ნ ე ლ ი, მთიულეთი 1804 წ., ტფილისი, 1896, გვ. 60; ი ს ი ვ ე: აჯანყება კახეთისა (1812 წ.), ტფილისი, 1907, გვ. 5,28—44,93—91

ოფიცერმა განაცხადა, რომ ქალიშვილის გაუპატიურების სანაცვლოდ რვა თუმანი გადაიხადა[1].

დ. ყიფიანის მსჯელობას საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით დაკავშირებაზე მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ დიდმპყრობელური ხელისუფლების არაერთი აგენტი ცდილობდა საეჭვოდ გაეხადა ეს ფაქტი: რაკი ეს ქვეყნები დაპყრობილია, იქ ცარიზმის ყველა მოქმედება ყოველგვარი კონტროლის გარეშე შეიძლება იდგესო. მაგალითად, დეკანოზი ვოსტორგოვი აღნიშნავდა: ფიქრობენ, ვითომც მთელი საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს... საქართველო, რომელიც რუსეთს შეუერთდა 1801 წელს, შეადგენდა მხოლოდ ახლანდელ თბილისის გუბერნიას. აი, ეს იყო, რაც თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს. სხვა ყოველივე ამიერკავკასიაში რუსეთმა იარაღით დაიპყრო[2].

თავისი ნაციონალისტური წადილის გასამართლებლად რეაქციონერები ეფარებოდნენ მყვირალა ფრაზას: ესა და ეს მხარე რუსი ხალხის სისხლითაა ნასყიდიო. ასეთ მსჯელობათა საპირისპიროდ აღინიშნებოდა: ქართველები არა თუ ფიქრობენ, დარწმუნებულიც არიან, და ამის საბუთიცა აქვთ, რომ მთელი საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს, რადგანაც ერთიანის ნაციონალურ-კულტურული საქართველოსათვის ერთი მისი სამეფოთაგანის რუსეთთან შეერთება ნიშნავდა არსებითად მთელი საქართველოს გადაცემას. ამას მოითხოვდა მთელი ხალხის ნამდვილად ფხიზელი გულის ზრახვანი, მტკიცედ დარწმუნებული, რომ რუსეთი ერთგულად აასრულებდა იმას, რასაც მაშინ და მერმეც საქართველოს გულუხვად ჰპირდებოდა — და ყოველ შემთხვევაში ქართველები მაშინ სრულიადაც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი ბედი და მათი ნაციონალური განათლება დროთა განმავლობაში რეაქციონერებს ჩაუვარდებოდათ ხელში[3]. რაც შეეხეა ფრაზას ამა თუ იმ ქვეყნის სისხლით ნასყიდობის თაობაზე, ამასთან დაკავშირებით მითითებული იყო: გარდა იმისა, რომ საქართველო რუსების მიერ არ არის „სისხლით ნასყიდი", ივიწყებენ, რომ მთელი ეს მხარე და მის გარშემო მდებარე ქვეყნები მრავალგზისაა მორწყული ქართული სისხლის ღვარებით. ყოველი მტკაველი მშობლიური მიწის თავგანწირული დაცვით

[1] შინაური ქრონიკა, „დროება", 1883, № 265; „Разныя Известия", „Юридическое обозрение", 1884, № 145.

[2] И. Восторгов, Церковная школа в Закавказии, Жур. „Народное образование», т. I, книжка 3, март, 1905, с. 309.

[3] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 14.

ქართველებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ მშობლიური სამეფო, რომელიც საყრდენი გახდა კავკასიაში რუსეთის შემდგომი წინსვლისათვის. ამ სიტყვების ავტორი — ნ. მარი — რეზონულად კითხულობდა: ან იქნებ ქართველი ხალხის სისხლი არ არის ანგარიშში ჩასაგდები?[1].

1832 წლის შეთქმულება

ა. ჯორჯაძე ფიქრობდა, რომ დ. ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების უნებური მონაწილე იყო. 1832 წლის შეთქმულებაში „მონაწილეობას იღებდა საუკეთესო ნაწილი იმდროინდელი ახალგაზრდობისა, რომლის ქსელში თავისდაუნებურად გაება დიმიტრი ყიფიანიც"[2]. ამასვე იმეორებს გ. მეგრელიშვილი: დ. ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების შემთხვევითი მონაწილე იყო. ის აშკარად ხედავდა რომ, როგორც წვრილი აზნაურობის წარმომადგენელი, ჯობდა ცარიზმის მხარეზე დამდგარიყო, ვიდრე ბატონიშვილებისა და წარჩინებული ფენის მხარეზე[3].

1832 წლის შეთქმულებაში დ. ყიფიანის შემთხვევითს მონაწილეობაზე მსჯელობა ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია. ვითომ რატომაა მეუძლებელი, რომ დ. ყიფიანი შეგნებულად დაკავშირებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის შეთქმულებას? — თუ გავიზიარებთ მეხედულებას, რომლის მიხედვითაც, 1832 წლის შეთქმულება რეაქციულ-მონარქისტული იყო, მაშინ, მართლაც, ძნელი იქნება ვამტკიცოთ, რომ ყიფიანმა ამ შეთქმულებაში შეგნებულად მიიღო მონაწილეობა. მაგრამ დიდი ხანია არსებობს აზრი, რომელიც 1832 წლის შეთქმულებს შორის გამოჰყოფს პროგრესულ ნაწილს. მაგალითად, შალვა ნუცუბიძე აღნიშნავდა, რომ 1832 წლის შეთქმულთა შორის, ერთი მხრივ, იყვნენ რეაქციონერები, რომლებიც მონარქიზმს ესწრაფოდნენ. ისინი რუსეთის თვითმპყრობელობას საკუთარ ქართველ თვითმპყრობელს უპირისპირებდნენ[4]. ხოლო მეორე ჯგუფი ქართველი მეფობის აღდგენას კი არ მოითხოვდა, არამედ — რესპუბლიკური რეჟიმის დამყარებას. ეს ჯგუფი ს. დოდაშვილისა იყო, მასში შედიოდნენ ყიფიანი, ავთანდილაშვილი, მამაცაშვილი[5].

---

[1] Н. марр, История Грузии (культурно-исторический набросок), გვ. 8.
[2] არ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი", 1913, № 794.
[3] Г. И. Мегрелишвили, დასახ. თხზ., გვ. 229.
[4] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958, გვ. 463.
[5] იქვე, გვ. 464.

ქართველი საზოგადოების რეაქციულ ნაწილს თავისი იდეოლოგია და პოლიტიკური პროგრამა გააჩნდა. მისგან არსებითად განსხვავდებოდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ბანაკი, რომელმაც მეტად თუ ნაკლებად გარკვეულად შეითვისა რესპუბლიკური იდეები, პირველნი, რეაქციული პროგრამის ნიადაგზე, თიშავდნენ საქართველოს და რუსეთს, რესპუბლიკელები უკავშირდებოდნენ რუსეთის მოწინავე ბანაკს და რუსეთის განთავისუფლებაში ხედავდნენ საქართველოს განთავისუფლების გზას. ამ ნიადაგზე ისინი რუსეთთან საქართველოს შეერთების აქტში პროგრესულ შინაარსს დებდნენ, რაც მომდევნო ისტორიამ გაარკვია და აღიარა, როგორც თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირი[1].

ალექსანდრე ბენდიანიშვილი მიიჩნევს, რომ 1801 წლის მანიფესტის გამოცხადებისთანავე ქართველმა ხალხმა დაიწყო ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, გარკვეულ დრომდე, მაღალი წოდება და ხალხი ბაგრატიონთა მონარქიის აღდგენას მოითხოვდა. უფრო მოგვიანებით აღმოცენდა რესპუბლიკური იდეებიც. ორივე შემთხვევაში ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა[2].

სხვა მკვლევართა აზრითაც, 1832 წლის შეთქმულება ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული და აღნიშნულია მთელი შეთქმულების პროგრესული როლი. შეთქმულები იბრძოდნენ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ესწრაფოდნენ, რომ თავიანთი სამშობლო დამოუკიდებელი, თავისთავადი განვითარების გზაზე გამოეყვანათ[3]. საკითხისადმი ამ კუთხით მიდგომისას არ შეიძლება დ. ყიფიანი შეთქმულებისადმი სრული თანაგრძნობით განწყობილ პიროვნებად არ მივიჩნიოთ. 1832 წ. შეთქმულება წრეში დ. ყიფიანი, როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძის რეკომენდაციით მოხვედრილა[4].

თავის მემუარებში დ. ყიფიანი აღნიშნავდა: 1832 წლის შეთქმულების წინ მითხრა ერისთავმა: „შენაც სავსებით შეგიძლია იგრძნო სიყვა-

---

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958, გვ. 465.

[2] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ., თბ. 1980, გვ. 99.

[3] მ. გოცაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 20—30-იანი წლების მიჯნაზე, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 956.

[4] სცსსა, ფ. 1457, საქმე 1 (რეული I), ფურც. 43; საქმე 6 (რეული VI), ფურც. 1113—1116.

რული და თავდადება შენი სამშობლოსადმი, რომელიც ახლა საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშია[1].

ამ რამდენიმე სიტყვით დ. ყიფიანი ძალიან ბევრს გვეუბნება. აქ გამოკვეთილია სამშობლოს ცნება არა რუსი მონარქისტის გაგებით, არამედ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი განსაზღვრით: სამშობლო და საქართველო ტოლფასოვანი ცნებებია. სამშობლო კრიტიკულ, გაჭირვებულ მდგომარეობაშია და როგორ შეიძლება მისმა შვილმა სიყვარული არ იგრძნოს და თუ საჭირო იქნება, თავიც არ დადოს მისთვის.

დ. ყიფიანი მოიხსენიებს შეთქმულთა მოღვაწეობის ისეთ დამახასიათებელ მომენტებს, როგორიცაა მათი საუბარი საფრანგეთის რევოლუციაზე[2], უსამართლო მმართველობისაგან, ანუ ცარიზმის ბატონობიდან საქართველოს განთავისუფლებაზე[3], თავისუფლებისაკენ მათ მოწოდებაზე. დ. ყიფიანი გადმოგვცემს: ერთი შეკრების დროს შეთქმულებმა თავისუფლების სადღეგრძელო დალიესო[4]. სხვა შეკრებაზე გამოითქვა აზრი: საქართველო გავათავისუფლოთ რუსებისაგანო[5]. შეთქმულთა შორის პოპულარული ყოფილა გ. ერისთავის პოემა „ზარე და ყანიმათ", რომლის ძირითად აზრს შეადგენენ სიტყვები: ძაშინ რატომღა გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განკდევნით ჩვენის საძძღვრით მამულის მტერთა![6] დ. ყიფიანი ადასტურებს, რომ შეთქმულებს განზრახვის სისრულეში მოყვანა სურდათ პოლონელებთან ერთად (ერთდროულად), მაგრამ პოლონელების დამარცხებამ ჩაშალა მათი გეგმები[7].

საყურადღებოა დ. ყიფიანის ჩვენება, რაც მას 1833 წლის 7 თებერვალს დაკითხვაზე მიუცია. მოქმედების იმ საშუალებებზე, რის გამოყენებასაც შეთქმულნი აპირებდნენ, დ. ყიფიანს უთქვამს: „ჩემ თავად არავითარი ღონისძიება არ მიგულებოდა, რომელსაც ჩვენი შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინება შესძლებოდა, მხოლოდ... რათა ჩვენი განზრახვა შევასრულოთ, საჭიროა ყველამ ტფილისში ჩამოიყვანოს თავისი გლეხები, ვისაც რამდენი შეუძლია, აქ კი თვითონ იესე ფალა-

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 139.
[2] სცსსა, ფ. 1457, საქმე 1 (რეესტრი 1) ფურც. 67.
[3] სცსსა, ფ. 1457, საქმე 6 (რეესტრი VI), ფურც. 1113—1116.
[4] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 141.
[5] იქვე, გვ. 145.
[6] გიორგი ერისთავი, ხიზულებანი, თბილისი, 1966, გვ. 92.
[7] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 135.

ვანდოვი თავს მოუყრის უქმად მოხეტიალე ლოთებს. წინასწარ კი უნდა ადგილობრივი უმაღლესი მოხელენი სადმე ვახშმად იქნენ მიწვეულნი; აქ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და გენერლები ყველა ამოვხოცოთ, შემდეგ თავს დავესხათ არტილერიის არსენალს, პურის მაღაზიებს, ჰაუპტვახტსა და სხვა სახაზინო ადგილებს; ამნაირად ხელთ ვიგდებთ რა თავიდანვე წარმატებას, უნდა ვეცადოთ ჩვენი მოქმედება საქართველოს სხვა ქალაქებზეც გავავრცელოთ, ვეცადნეთ თავს დავესხათ ჯარის ნაწილებს და გადაუჭრათ გზები საერთო შესაკრებელისაკენ. ამის მეტი მე არც არა ვიცოდი რა და არც ვიცი"[1].

დ. ყიფიანი შეთქმულებაში მონდომებით არის ჩაბმული. პირველსავე ჩვენებაში ის აღიარებს: „მე გადაეწყვიტე არ ჩამოვრჩენილიყავი მათ" (შეთქმულებს), მან იცის საიდუმლო ანბანი და ხალისით თანხმდება რუსეთში წავიდეს ბატონიშვილებთან ამბების წასაღებად[2].

ყოველივე ეს სავსებით ნათლად ახასიათებს დ. ყიფიანს, როგორც შეთქმულების აქტიურ მონაწილეს. ჩვენ გავეცანით მის შეხედულებებს საქართველოს მაშინდელ მდგომარეობაზე, როგორც საკმაოდ კრიტიკულზე. იმასე, რომ საჭიროა მისი განთავისუფლება მეფის რუსეთის სახით მოხვეული მძაფრადისაგან. ამასთან, ჩანს, რომ შეთქმულებს სავსებით კონკრეტული მიზნები ჰქონდათ დასახული. შეთქმულება მოფიქრებულია ფართო ასპექტში (პოლონეთის აჯანყებასთან შეთქმულთა გამოსვლის დაკავშირება) და ის თავიდანვე შეტევითი ტაქტიკის განხორციელებასაა აგებული. ამ გეგმებთან დ. ყიფიანი მჭიდროდაა დაკავშირებული. მართალია, ის არ იყო შეთქმულების მეთაური, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილს შეთქმულების ბელადობა არც მოეთხოვებოდა, მით უმეტეს, რომ შეთქმულთა შორის არაერთი გამოჩენილი, დიდად ავტორიტეტული მოღვაწე იყო გარეული.

თუმცა, შეთქმულთა განზრახვა — ცარიზმის მხრივ ჩაგვრისაგან საქართველოს განთავისუფლება — მაშინდელ პირობებში ვერ განხორციელდებოდა: მეტად უთანასწორო იყო ძალები, მაგრამ თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის გამოხსნისაკენ მისწრაფების ფაქტი თავისთავად დიდი შემართებისა და მიზნის მიმყოლთა კეთილშობილობის მაჩვენებელია. დ. ყიფიანის მონაწილეობა შეთქმულებაში სავსებით ბუნებრივი და

---

[1] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. 1832 წლის შეთქმულება, ტ. II. თბ., 1970, გვ. 251; სცსსა, ფ. 1457, საქმე 6 (რვეული VI), ფურც. 1113–1116.

[2] მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ, თხზ. II, გვ. 210. შდრ.: სცსსა, ფ. 1457, საქმე 1, ფურც. 63; საქმე 3 (რვეული III), ფურც. 375; საქმე 6 (რვეული VI), ფურც. 1113–1116.

კანონზომიერია. ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი და სხვა პატრიოტები მაღალი ეროვნული შეგნებით გამოირჩეოდნენ.

პოლიტიკური შეხედულებანი

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის ზოგი მკვლევარი დ. ყიფიანს თვითმპყრობელობის მომხრედ და მის დამცველად მიიჩნევს. ა. ჯორჯაძე წერდა, რომ ყიფიანის თვალში რუსეთის ხელმწიფე უანგარო და ყოველი სიკეთის მქონე მმართველი იყო[1], რომ მისი დევიზი გახლდათ უმაღლესი მთავრობისადმი ერთგულება[2]. ა. ჯორჯაძის განცხადებით, დ. ყიფიანს მიაჩნდა: არსებული წესების უვარგისობა და ხალხის უკმაყოფილება ბრალია უვიცი ტიტულარული მრჩევლებისა, უმაღლესი მმართველობის განზრახვანი კი ყოველთვის არიან და იქნებიან კეთილნი — აი დოგმა, რომელზედაც ყიფიანი იდგა და არ ღალატობდა სიცოცხლის განმავლობაშიო[3].

ს. ხუნდაძე აღნიშნავდა: „დ. ყიფიანი შეურყეველი სიმტკიცით სდგას მონარქიული პრინციპის ნიადაგზე. მას ერთი წუთითაც არ მოუსურვებია ამ პრინციპისათვის ეღალატა. მონარქიზმი სავსებით შეზრდილი იყო მის აზროვნებასთან და მისი მოღვაწეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა“[4]. „დ. ყიფიანი უერთგულესი პატრიოტი იყო რუსეთის ტახტისა“[5].

გ. მეგრელიშვილის აზრითაც, დ. ყიფიანი იყო ურყევი მონარქისტი. სახელმწიფოს მართვის რუსული პოლიტიკური სისტემა მას სრულყოფილ სისტემად მიაჩნდა[6]. დ. ყიფიანი დარწმუნებული იყო, რომ გარუსების პოლიტიკა ცარიზმის ზედაფენის პოლიტიკა კი არა, კაცკასიის ადმინისტრაციის გონებაშეზღუდული წარმომადგენლების — დონდუკოვ-კორსაკოვის, იანოვსკის და საქართველოს ეგზარქოსის — პოლიტიკა გახლდათ[7]. პირველი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ

---

[1] არ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 797.

[2] ი ქ ვ ე, № 795.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ს. ხუნდაძის წინასიტყვაობა წიგნში: დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, ტფ., 1930, გვ. XXIII.

[5] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 31.

[6] Г. И. Мегрелишвили, დასახ. თხზ., გვ. 230.

[7] ი ქ ვ ე, 234.

ყიფიანი ენერგიულად უჭერდა მხარს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას[1], ხოლო 40—50-იან წლებში ყიფიანი რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკით აღტაცებული იყო[2].

ამრიგად, დასახელებული მკვლევარების თვალსაზრისით გამოდის, რომ დ. ყიფიანი სავსებით იზიარებს რუსეთის მონარქიული მმართველობის ძირითად პრინციპებს და, მაშასადამე, ცარიზმის კოლონიური ეროვნული პოლიტიკის მომხრეცაა. ვფიქრობთ, დ. ყიფიანის ამ სახით წარმოდგენა მეტისმეტი სიმკაცრეა და ისტორიულ სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება. როგორც ჩანს, დასახელებული მკვლევარები ამგვარ შეფასებას ამყარებენ ყიფიანის ცალკეულ გამონათქვამებზე, რასაც მის ზოგიერთ გამოსვლაში ვხვდებით.

ფრიად საყურადღებოა არსებული სახელმწიფო-პოლიტიკური წყობილებისადმი ყიფიანის დამოკიდებულების საკითხი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ფაქტს, ყიფიანი არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მოთხოვნით აშკარად არ გამოდიოდა. პირიქით, ყიფიანი ლაპარაკობდა „ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი“ ერთგულების აუცილებლობაზე და ა. შ. მაგრამ გასათვალისწინებელია, ჯერ ერთი, ის, რომ დ. ყიფიანი, ეტყობა, იმიტომ იშველიებდა რუსეთის იმპერატორის სახელს, რომ ამით რამდენადმე გაეადვილებინა ქართველებისათვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, რაშიც მეფის მმართველობას მცირე როლის შესრულება როდი შეეძლო. შემდეგ, დ. ყიფიანის ცალკეული გამონათქვამების განმარტებისას არ შეიძლება დავივიწყოთ ის ვითარება, რაც იმ დროს იყო შექმნილი. საქმე ისაა, რომ იმ დროისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება არც თუ ისე ადვილი გახლდათ. გავიხსენოთ, თუნდაც პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 60-იან წლებში. მაშინ რუსი ინტელიგენციის არაერთი გამოჩენილი წარმომადგენელი უჭერდა მხარს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას[3]. ფრ. ენგელსი მიუთითებდა, რომ დაიწყო თუ არა პოლონეთის 1863 წლის აჯანყება, რუსეთში სტუდენტთა მოძრაობა და ხალხის ღრმა ღელვა მაშინვე დამთავრდა და რუსულ შოვინიზმს დაუთმო ადგილი[4]. ამ ვითარებაში მონარქიული

---

[1] Г. И. Мегрелишвили, დასახ. თხზ., გვ. 230.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 17.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, 2-ое издание, т. 18, с. 554.

წყობილების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა მეტად რთული პირობების დაძლევას გულისხმობდა. ამასთან, დ. ყიფიანის ესა თუ ის გამონათქვამი, სრულიადაც არ სცვლიდა მისი მოქმედების მიზანმიმართულებას არსებული პოლიტიკური წყობილების პირობებში ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას რომ ისახავდა მიზნად. ასე რომ, თუ ჩვენ გვხვდება წინააღმდეგობრიობა ყიფიანის შეხედულებებში (მის ცალკეულ გამონათქვამებში), რაც მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას არ ემთხვევა, ეს ეტყობა გამოხატულებაა იმ წინააღმდეგობრივი პირობებისა, რითაც XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრებისეული სინამდვილე ხასიათდებოდა. შემდეგ, დ. ყიფიანი მკაცრად ილაშქრებდა საქართველოს ფეოდალური წყობილების პოლიტიკური კარჩაკეტილობისა და დაქუცმაცების წინააღმდეგ. იგი აღნიშნავდა იმ დიდ სიკეთეს, რაც საქართველოს მოუტანა რუსეთის დამკვიდრებამ გარეშე მტრების ალაგმვით და შინაური ანარქიის აღმოფხვრით[1]. დ. ყიფიანს არ შეეძლო არ დაენახა, რომ მთელი რიგი ხალხების გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში, თუნდაც რუსული მონარქიული ხელისუფლების თაოსნობით, მოცემულ დროსა და პირობებში გარკვეულ როლს ასრულებდა ამ სახელმწიფოში შემავალი ხალხების წინსვლისათვის. ეტყობა, არსებულ ვითარებაში, დ. ყიფიანი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების გარდა ვერ ხედავდა სხვა ძალას, რომელიც შესძლებდა იმპერიაში შემავალი ხალხების ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის თუნდაც ნაწილობრივ ხელშეწყობას. საქართველოს თავადაზნაურთა შეკრებაზე 1848 წელს დ. ყიფიანს უთქვამს: თუ ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილური სახელი, თვითეული ჩვენთაგანისათვის ცნობილია, რომ ამით ჩვენ დავალებული ვართ თვითმპყრობელური და ერთმმართველური ძალაუფლებისგან. ცხადია, თვითმპყრობელობა და ერთმმართველობა ერთადერთი საწყისია, რომლისაგანაც გამომდინარეობდა, მათი სიმაგრე-სიმტკიცის შესაბამისად, ჩვენი როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო კეთილდღეობა[2].

იმ დროისათვის, დ. ყიფიანს, ეტყობა, რეალურად არ მიაჩნდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ეროვნული კუთხეების ხალხების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. რუსეთის მონარქიის სახელმწიფოებრივი ძალები მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ ცალკეუ-

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 42—43.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 137.

ლი ერების ძალებს, რაც პოლონეთის აჯანყების, ასევე 1832 წლის შეთქმულების შაგალითზეც კარგად ჩანდა.

დ. ყიფიანის ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა XIX საუკუნის ისეთი მოვლენები, როგორც იყო ევროპის ხალხების ეროვნული გამოღვიძება და მათ მიერ სახელმწიფოებრიობის მოპოვება, რაც მათს ყოველმხრივ განვითარებას, რა თქმა უნდა, დიდად უწყობდა ხელს. რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხები კი იძულებული იყვნენ არსებულ პოლიტიკურ პირობებში ცდილიყვნენ სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის განხორციელებას და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას.

ვფიქრობთ, ძნელი დასაჯერებელია აგრეთვე ზოგიერთი ავტორის მითითება დ. ყიფიანის პოლიტიკური მიამიტობის თაობაზე. საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, თითქოს დ. ყიფიანი და მისი თანამებრძოლები ვარაუდობდნენ, რომ ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და საზოგადოებრიობის ყოველი მიღწევა რუსეთის თვითმპყრობელს სიხარულს ჰგვრიდა[1]. ანდა, თითქოს ყიფიანი გულუბრყვილოდ ფიქრობდა: იმპერატორი თუ გაიგებს საქმის ვითარებას, დონდუკოვ-კორსაკოვს ქართველთა დევნაზე ხელს ააღებინებსო[2].

მაგალითად, დ. ყიფიანის ცდა იმპერიის უმაღლესი გამგებლისათვის ეცნობებინა კავკასიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ანტიქართული აქციების თაობაზე, გამოწვეული ჩანს არა იმპერატორისადმი გულუბრყვილო რწმენით, არა იმით, რომ დ. ყიფიანი იმპერიის მესვეურს წარმოიდგენდა ისეთ ძალად, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით გატარებული კოლონიური პოლიტიკისაგან შორს იდგა. დ. ყიფიანის ამ მოქმედებაში უფრო ღრმა მიზეზებია საძიებელი. ცნობილია, რომ ყოველ მმართველობას მოქმედების გარკვეული ფარგლები გააჩნია, რომლის გადალახვა მისი საგარეო თუ საშინაო პრესტიჟის შელახვას ნიშნავს. ამის გამოც, თვით ყველაზე რეაქციული მმართველობა იძულებულია მიმართოს ხოლმე მანევრირებას. არაიშვიათად ხდება, რომ მმართველობის ზედა რგოლი, ხალხის გარკვეულ ფენებში ერთგვარი ნდობის შესანარჩუნებლად, თავის დანაშაულს გადააბრალებს ხოლმე მმართველობის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ პირებს. ავი საქმეების ერთგვარად შემაკავებელი ინსტინქტები, რაც მეფის მმართველობას მეტ-

---

[1] Г. Н а т а д з е, Сулхан Баратов как историк Грузии, Тифлис, 1934, с. 12—13.

[2] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრიეი ძალები; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" ტ. V, თბ., 1970 გვ. 668.

ნაკლები ზომით გააჩნდა, შესაძლებელი ჩანდა გამოყენებულიყო პატარა ერების წინააღმდეგ მიმართული აქციების ერთგვარ შესარბილებლად.

ადვილი შესაძლებელია, ეს ვარაუდი ამოძრავებდა დ. ყიფიანს, როცა სტავროპოლის გადასახლებაში ყოფნისას ცდილობდა იმპერატორთან აუდიენციის მიღწევას. ყიფიანმა, ცხადია, იცოდა, რომ თვით ყველაზე რეაქციული მმართველობა მანევრირებას მიმართავს ხალხის შეცდომაში შესაყვანად, ცდილობს ქვეშევრდომნი თუ გარეშენი დაარწმუნოს, რომ მისი მმართველობა ხალხისათვის ყველაზე სამართლიანი და ყველაზე მეტი სიკეთის მომტანია. მაგრამ დიმიტრის ვარაუდი არ გამართლდა — ალექსანდრე III მეტისმეტად შუბლმაგარი რეაქციონერი გახლდათ.

შეუძლებელია დავიჯეროთ, თითქოს დ. ყიფიანი პოლიტიკაში იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ მთელი პოლიტიკური სისტემის უარყოფითი თვისებები მხოლოდ ცალკეული მოხელეების, ან თუნდაც მარტო იმპერატორის ნაკლად მიეჩნია. თუ დ. ყიფიანის გამოსვლებში ისმის სიტყვები რუსეთის სახელმწიფო ტახტისადმი ერთგულებაზე, ეს ეტყობა ტაქტიკური მანევრი უფრო იყო, ვიდრე რწმენა. მეფის მმართველობის მოხელეს, როგორც ოფიციალურ პირს, სადღაც, ევალებოდა სიტყვიერად დაედასტურებინა მონარქისადმი ერთგულება, რათა შეენარჩუნებინა საზოგადოებრივ საქმეებზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

როცა საქმე ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფობას ეხებოდა, დ. ყიფიანი სავსებით და მთლიანად თავის ხალხის მხარეზე იდგა, ესე იგი, ეროვნულ საკითხში სავსებით ეწინააღმდეგებოდა რუს მონარქისტთა მიზნებს. ს. ხუნდაძე სავსებით მართებულად აღნიშნავდა: „ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ დ. ყიფიანი ქართველი ერის დენაციონალიზაციისა და რუსებში გათქვეფის მომხრე ყოფილიყო. წინააღმდეგ, ყიფიანის პოლიტიკა და აზროვნება არსებითად ეწინააღმდეგება ამგვარ დასკვნებს"[1].

მონარქისტად ჩაითვლება არა დ. ყიფიანი, არამედ, ვთქვათ, სენატორი გიორგი მუხრანბატონი და ძმანი მისნი, რომლებსაც ქართველი ხალხის ინტერესები უყოყმანოდ ჰქონდათ გაწირული თავისი კარიერისტული ზრახვების სასარგებლოდ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ დ. ყიფიანმა, ცხადია, კარგად იცოდა, რომ მმართველობა არ მოიწო-

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 30.

ნებდა მის საქმიანობას, რაც არარუს ხალხებში ეროვნული შემეცნების გაღვიძება-განვითარებას უწყობდა ხელს. დ. ყიფიანი თავისი ცხოვრების სავალ გზაზე მრავალ ხიფათსა და დაბრკოლებას ხვდებოდა. მას, ისევე როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეებს, ბრძოლა უხდებოდა ისეთ მოწინააღმდეგეებთან, როგორიც იყვნენ კატკოვი, იანოვსკი, ეგზარქოსი პავლე, დონდუკოვ-კორსაკოვი და საერთოდ მთელი მონარქიული მმართველობის ზედა ფენა. ქვეყნის ყველა რეაქციული ძალა (მმართველობა, ეკლესია, სკოლა, პრესა) არარუსი ხალხების წინააღმდეგ გასაოცარი ერთიანობით მოქმედებდა. ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში დ. ყიფიანი ერთიანი, მონოლითური პიროვნებაა.

დ. ყიფიანს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის დიდმპყრობელური ხასიათი, რაც აგრეთვე კარგად მოჩანდა საქართველოს მაგალითზე, იმ ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, ჩვენში რომ ეს მმართველობა იყენებდა.

ახასიათებდა რა 1832 წლის შეთქმულების წინა პერიოდში საქართველოში დამყარებულ რუსულ მმართველობას, დ. ყიფიანი წერდა: რუსები სრულიად არ იცნობდნენ არც ხნე-ჩვეულებას ქართველებისას, არც მათ კანონებს, მათთვის უცნობი იყო ქართველთა დაწესებულებანი, ან ის, თუ როგორ იყო მოწყობილი სამართალი და ადმინისტრაცია. მათ იმთავითვე შემოიტანეს წესები, შიდა გუბერნიებში რომ არსებობდა, და როგორც ადმინისტრაციული ისე სასამართლო საქმის წარმოება რუსულად შემოიღეს. ადმინისტრაციის განზრახვანი და სვე-ბედი ხალხისა ორი-სამი გაუნათლებელი თარჯიმნის ხელში ჩავარდა. ოსმალები, სპასელები და ლეკები აღარ გვემუქრებოდნენ. ამ გარემოების გამო დროებით კიდევ შეიძლებოდა შეწყნარება იმ გაუგებრობისა, რომელიც დამყარდა ხალხსა და მმართველობას, მოსამართლეთა და მომჩივანთა შორის. მოთმენა შეიძლებოდა, მაგრამ გაუგებრობა დღითი დღე იზრდებოდა. ამავე დროს ბატონიშვილები რუსეთისკენ გახიზნეს, ამითაც აწყენინეს ბევრს. სისასტიკეს და უსამართლობას ხედავდნენ ამ განდევნაში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ დედოფლის თავგადასავალმა. გენერალი ლაზარევი შეეცადა ძალით გამოეყვანა ოთახიდან დედოფალი, მაგრამ მძალადე ხანჯლით მოკლეს. დედოფალმა ეს მკვლელობა თვითონ დაიბრალა. იგი ტამბოვის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში გაამწესეს. ხალხში კი წყრომით ლაპარაკობდნენ — „ძალდატანება დედაკაცზე, რომელიც არაფერში დამნაშავე არ

იყო. ძალადობა მართლმადიდებელ ქალზე, გვირგვინოსან დედოფალზე?“[1].

ამისთანა მიოქმა-მოთქმა ფრიად ხშირი იყო მაშინ საქართველოში და რასაკვირველია, ხალხმა უფრო უგულოდ დაუწყო ყურება ახალ წესწყობილებას[2].

რუსეთის არც ერთი კანონი არ იყო ქართულად გადმოთარგმნილი და არც თვით რუსულ ენაზე იყო მაშინ გამოცემული კანონთა სრული კრებული. მეფე ვახტანგის სამართალიც არ იყო რუსულ ენაზე გადათარგმნილი, მხოლოდ 25 თუ 30 წლის შემდეგ გადათარგმნეს და დაურიგეს მაღალ მოხელეებს. 1859 წელს ვახტანგის სამართალი რუსული სამართლით შეიცვალა ქართლ-კახეთში, იმერეთსა და გურიაში, ხოლო 1870 წელს — სამეგრელოში. ადვილად წარმოსადგენია, თუ რას სჩადიოდნენ ყველა ეს ტიტულოსანი მრჩევლები, რომელთა ხელშიც იყო ხალხის ბედი. მათ ამ ხალხისა არა ესმოდათ-რა და თვით ხალხსაც ამათი არა ესმოდა-რა. ასე, რომ დიდი თვითნებობა სუფევდა[3].

ამრიგად, დ. ყიფიანი აღწერს რა რუსული მმართველობის შეთქმულებამდელ პერიოდს, მიუთითებს ახლად შემოღებული მმართველობის არა უბრალო ნაკლოვანებებზე, არამედ ამ მმართველობას ანტიქართული ხასიათის მახინჯ მმართველობად წარმოადგენს. ადგილობრივი მმართველობის საქმიანობა, სავსებით გასაგებად, საერთო საიმპერიო პოლიტიკის ჭრილშია გააზრებული.

ცარიზმის საერთო კოლონიურ-დიდმპყრობელური ხასიათის მისწრაფებათა დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია მოტანილი დ. ყიფიანის მემუარებში. იგი მოგვითხრობს: 1866 წელს მე ვიყავი პარიზში და იქ ეკატერინე დადიანთან დაახლოებული ფრანგის ოჯახში სადილის დროს გამაცნეს ინგლისელი ცოლ-ქმარი ურკხარტები, დ. ყიფიანი გვაცნობს, რომ ეს ურკხარტი XIX ს-ის 30-იან წლებში კონსტანტინოპოლში ყოფილა საელჩოში. ამ ურკხარტის აზრით, რაც კი რამ სიბოროტე ხდებოდა დედამიწის ზურგზე მისები ერთადერთი ცარიზმი იყო. ოღონდ კი ყველგან მოიპოვოს მფლობელობა ცარიზმმა და ამისთვის არაფერს არ დაზოგავს არც ფულითა და არც ხნეობით; ხოლო სხვა სახელმწიფოთა მოწინავე პირთ იმდენად აკლიათ შორსმჭვრეტელობა, ან

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 82, 83; დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 122; არ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 794.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 82, 83; დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 122.

[3] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 123.

ისე ეხარბებათ რუსული ოქრო, რომ ეყიდვინებიან რუსეთსო[1]. (მართლაც კ. მარქსის მიერ შედგენილ საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის შანიფესტში აღნიშნული იყო: რუსეთის ბარბაროსული სახელმწიფოს თავი სანკტპეტერბურგშია, ხოლო ხელები ევროპის ყველა კაბინეტშიო)[2]. რუსეთიო აშბობდა ინგლისელი ურკხარტი, თავის დღეში არ შეჩერდება არც უსაშართლობის, არც შეუბრალებლობის წინაშე, ოღონდ კი თავისი გულისწადილი განიხორციელოსო.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ახიის რაც შეიძლება მეტი ტერიტორიების დაპყრობის მისწრაფებით, ცარიზმი შესაფერის პოლიტიკას ახორციელებდა. ის ამისათვის იყენებდა დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ ყოველგვარ წინააღმდეგობასა და შეჯახებას[3].

დ. ყიფიანის სიტყვებში მეფის რუსეთი წარმოდგენილია საგარეო ასპექტში და, ცხადია, მისი სახელმწიფო პოლიტიკა რომელიმე მოხელის მოქმედებამდე არ დაიყვანება. აქ, ისევე როგორც ზემოთაც, რომანოვების რუსეთი დახასიათებულია მთლიანობაში და არა მოხელეთა რომელიმე ცალკეული ჯგუფის ნაკლოვანებათა მიხედვით, თუმცა ამ გარემოებასაც მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა. საყურადღებოა, რომ დ. ყიფიანი დაუფარავი აღშფოთებით აღწერს რუსეთის მმართველობის მიერ საქართველოში განხორციელებულ უბოდიშო ასიმილატორულ ღონისძიებებს, მაროვის იმ წესებს, რაც აქ, მკვიდრთა ინტერესების ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე შემოუღიათ. ამასთან, დ. ყიფიანი სრულიად არ ცდილობს ნამუსი მოსწმინდოს რუსეთის ხელისუფლების როგორც საგარეო საქმიანობას, ასევე იმპერიის არარუსი ხალხებისადმი მის დამოკიდებულებას. პირიქით, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, დ. ყიფიანი ნათლად გვიჩვენებს ცარისტული მმართველობის რეაქციულ სახეს. იგი ცხადყოფს, რომ ცარიზმი თავისი არსებობის მთელ მანძილზე განუხრელად ატარებდა არარუსი ხალხების აბუჩად აგდების პოლიტიკას.

დ. ყიფიანის აღწერით, თვით სასამართლო რეფორმის გატარების პერიოდში, როცა ცარისტული მმართველობისათვის აბორიგენებთან დამოკიდებულების საკითხში თითქოს ბევრი რამ უკვე ნათელი უნდა ყოფილიყო, ასეთ ინციდენტს ჰქონია ადგილი: ახალი მოსამართლეების არეოპაგი შეკრებილა, რათა გადაეწყვიტა საკითხი, თუ რომელ

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები. გვ. 115.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 2-е издание, т. 16. М., 1960. с. 11.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 159.

ენაზე უნდა გაეგზავნოს უწყება სასამართლოში გამოძახებულ სოფლის მცხოვრებსო.

—რასაკვირველია რუსულ ენაზე, — ამბობდნენ ერთნი.

—მაგრამ რუსული ენა მათ არ იციან, — პასუხობდნენ მეორენი.

—დაე ისწავლონ, — გადაწყვიტეს პირველთ[1].

ვფიქრობთ აქ კომენტარი ზედმეტია.

დ. ყიფიანი კარგად ხედავდა, რომ 1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის მანიფესტებით რუსეთის ცარიზმმა საქართველოს ყოველგვარი ავტონომიური უფლებები წაართვა, ქართველ ხალხს თავისი სახელმწიფოებრიობა მოუსპო. გაუქმდა ქართული პოლიტიკური მმართველობა, დამყარდა ცარიზმის მმართველობა. საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმის, ტერიტორიული საზღვრები ჩამოშალეს და ის იმპერიის შემადგენლობაში უშუალოდ ჩართეს. ცარიზმმა ხელი მიჰყო ქართველი ხალხის ენისა და კულტურის შეზღუდვა-მოსპობის პოლიტიკის გატარებას. ცარიზმი მეთოდურად ახორციელებდა ქართველ ახალგაზრდობაში ეროვნული თვითშემეცნების აღმოფხვრის გეზს. ამ ამოცანის გადაჭრაში უპირველესი როლი სკოლიდან და დაწესებულებებიდან ადგილობრივი ენების განდევნას ენიჭებოდა. აბორიგენ მოსახლეობას უნდა შეეთვისებინა შეხედულება ადგილობრივი ენებისა და კულტურის არასრულფასოვნებაზე.

ასიმილატორული პოლიტიკის გამტარებელთა საქმიანობის ერთი დეტალის თაობაზე დ. ყიფიანი გადმოგვცემს:

ერთ დიდ მოხელეთაგანს შეუტყვია, ამა და ამ სასამართლოში მწერლები ხანდახან ქართულად ლაპარაკობენო. დაებარებინა მდივანი და ებრძანებინა, — არამც და არამც ქართული ლაპარაკი აღარ გაბედონ, თორემ ისეთ საქმეს გადავყრი, რომ სულ კუდით ქვა ვასროლინოო.

გამოვიდა თუ არა ეს ხმა, ყველამ ამოიკვეთა ლაპარაკი; მაგრამ ქართული კი არა, რუსული. ქართულს რომ მიდგეს ფეხი და ამ დედაენით ლაპარაკში გაიმართნენ, მაშინ დაინახეს, რომ რუსულს თურმე მეტად ამტვრევდნენ და უწყალოდ ამახინჯებდნენ.

ამ მოკლე ხანში გარემოება ისე შეიცვალა, რომ ახლა რუსული კარგად იმან იცის, ვინც თავისი ქართული იცის კარგად[2].

დ. ყიფიანი საუკეთესოდ სცნობდა ქართველი ხალხისადმი მტრულად განწყობილ სწავლულ და უსწავლელ ასიმილატორებს: ჩვენში იყვნენ ისეთი ჩვენი მოძულეები, როგორც, მაგალითად, ბარტოლომეი,

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 98.

[2] „დროება" 1880, № 262.

უსლარები და ლევაშოვებია[1]. დ. ყიფიანს მოაქვს თავისი ამ დებულების დამადასტურებელი ფაქტები:

ქართველები კავკასიის ყველა ომებში რუსებთან ერთად მონაწილეობდნენ; ამასთან, ზოგჯერ, ბრძოლების მთელი სიმძიმე ქართველების წილად მოდიოდა. მაგალითად, 1855 წელს, გურიაში არც ერთი რუსის ჯარისკაცი არ იყო. ჭოროხიდან მტერი მოიწევდა და ქვეყანას იცავდა მხოლოდ გურულების მილიცია, რომელშიც შევიდა კველა გურული, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. ეს ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა ბაშკადიკლარის ბრძოლაში გამარჯვებულმა სარდალმა გენერალმა ვ. ბებუთოვმა. მიუხედავად ამისა, გურულების ამ რაზმს უსლარი და ლევაშოვი სანდოდ არ ცნიჩნევდნენ[2].

იმავე 1855 წელს, როცა ომერ-ფაშა თავისი არმიით შემოიჭრა სამეგრელოში, რუსეთის ჯარმა დატოვა სამეგრელო, ხოლო იქაური მილიცია, რომელშიც თითქმის მთელი ადგილობრივი თავადაზნაურობა იყო გაერთიანებული, დაიფანტა, რათა თავისი ოჯახები გადაერჩინა. ეს მოქმედება გენერალმა ბებუთოვმა კანონიერად მიიჩნია, ხოლო უკანდახეული არმიის შტაბის უფროსმა უსლარმა მეგრელებსაც ესროლა ტალახის გუნდა: მათ ღალატი დასწამა.

ამავე დროს კი რუსეთის რაზმის არიერგარდში მყოფ იმერეთის მილიცია გადმოვიდა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე და მისმა მეთაურმა მოხუცმა პოლკოვნიკმა თავადმა სიმონ წერეთელმა ბრძანა: „შეჩერდით! არც ერთი ნაბიჯი უკან! აქ დავიხოცებით, მაგრამ ჩვენს მიწაზე მტერს არ შემოუშვებთ". და ასე იდგა გენ. ბებუთოვის მოსვლამდე, შემდეგ კი მდინარეზე უკანეე გადავიდა, რათა ომერ-ფაშას უკანდახეული ძალებისათვის მოსვენება არ მიეცა[3].

ამის საჩვენებლად თურას წარმოადგენდნენ ქართველთა მოძულე ეს მოხელეები, საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითად, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ვ. ლევაშოვის მიერ ძველი ქართული საეკლესიო ძვირფასი ნივთების (ხელოვნებას შესანიშნავი ნიმუშები) დატაცების ფაქტი[4]. ლევაშოვი ქართველმა მოღვაწეებმა ამხილეს ეკლესია-მონასტრების ძარცვაში და მთავრობა აიძულეს, რომ იგი კავკასიიდან გაეძევებინა[5].

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 98.

[2] იქვე.

[3] Материалы для биографии Д. И. Кипиани", „Закавказье", 1912, № 190.

[4] Е. Марков, Очерки Кавказа II изд. 1904, с. 231—234.

[5] Л. Чикованя, Неизвестный псевдоним Акакия Церетели, „Литературная Грузия" 1966, № 6.

ცნობილი ენათმეცნიერი პ. უსლარი და ნუმიზმატი ი.ბარტოლომეი კავკასიაში ყოფნისას აქტიურად მონაწილეობდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებაში. ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ვ. ივანენკო ადასტურებს, რომ სვანეთის სამთავროს ავტონომიის გაუქმების ინიციატორი და მთავარი დამნაშავე პ. უსლარი იყო. იგი ამ დროს ქუთაისში რუსის ჯარის საოლქის შტაბის უფროსია. მეტისმეტად მოვინისტურად განწყობილი უსლარი დაჟინებით არწმუნებდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს -- გაგარინს არა მარტო სამეგრელოს, არამედ სვანეთის სამთავროს ავტონომიათა გაუქმების საჭიროებაში[1].

1857 წლის ივლისში ბარიატინსკის ბრძანებით სვანეთისაკენ დაიძრა ოთხი რაზმი, რომლებსაც პოლკოვნიკი პ. უსლარი მეთაურობდა. კონსტანტინე დადეშქელიანი დაუყოვნებლივ მიეგება უსლარს და სთხოვა ჯარი შეეჩერებინა, რადგანაც მას ფიქრადაც არ მოსვლია რუსეთის ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. უსლარმა ლაშქრობა განაგრძო, კონსტანტინე კი გაგარინთან გაგზავნა.

ქუთაისში კონსტანტინე დადეშქელიანს მეთვალყურედ პოლკოვნიკი ი. ბარტოლომეი მიუჩინეს. მაშინაც კი, როცა დადეშქელიანი გაგარინის სასტუმრო დარბაზში იმყოფებოდა, აქვე აუცილებლად ცხადდებოდა ბარტოლომეი და დამსწრეებს ართობდა (მართალია, ფრანგულ ენაზე) იქვე მყოფი კონსტანტინე დადეშქელიანზე მოყოლილი ჭორიკნული ამბებით. უსლარის დაბრუნების შემდეგ, კონსტანტინეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. უსლარს ეშინოდა, რომ კონსტანტინეს ის არ მოეკლა და მასთან შეხვედრას გაურბოდა.

რომელიღაც ვიგინდარამ შესთავაზა კონსტანტინეს წერილობით მიემართა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-თვის და ეთხოვა რუსეთის მეფესთან გამოსარჩლება. პროვოკაცია, როგორც ჩანს, ბარტოლომეიმ მოაწყო და წერილიც მაშინვე მის ხელში აღმოჩნდა. უკანასკნელმა არ დააყოვნა და ეს „საქციელი“ პოლიტიკურ დანაშაულად მონათლა. ბარიატინსკის ბრძანებით (1857 წლის ოქტომბერი) კონსტანტინე ერევანში უნდა გადაესახლებინათ, კონსტანტინემ ველარ აიტანა ამდენი ტანჯვა-წვალება, მოკლა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი და მასთან მყოფი რამდენიმე კაცი. ამის გამო კონსტანტინე დადეშქელიანი დახვრიტეს.

---

[1] В. И. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, с. 518.

დ. ყიფიანის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსის გარკვევისათვის აგრეთვე საყურადღებოა მისი წერილი, რომელშიც იანოვსკის შეხედულებანია შეფასებული (1881წ.). დ. ყიფიანი თავის პოზიციას შემდეგნაირად განსაზღვრავდა:რაკი კამათს ორი საყრდენი გააჩნია — პედაგოგიური და არაპედაგოგიური, პირველი კატეგორიის საკიოხებში მე გამოვდივარ როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავჯდომარე, „ხოლო მეორე კატეგორიის საკითხებს მე ვუდგები როგორც ნამდვილი ქართველი"[1].

ამრიგად, დ. ყიფიანი პირდაპირ მიუთითებს, რომ არაპედაგოგიურ (ამ შემთხვევაში — პოლიტიკურ) საკითხებში ის ქართველი ერის წარმომადგენელია და მისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამოდის. ასეთი პოზიცია, საკმაოდ გასაგები მიზეზების გამო, რუსული მონარქისტული პოზიციების სრული საპირისპიროა. დ. ყიფიანი არა მარტო არ იდგა რუსულ მონარქისტულ პოზიციებზე, არამედ ის ააშკარავებდა ასიმილატორთა ნაციონალისტურ პოლიტიკას და სასტიკ ბრძოლას ეწეოდა მის წინააღმდეგ[2]. ამიტომ იყო, რომ ქართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბანაკის მეთაურები დ. ყიფიანს წარმოადგენდნენ ისეთ მოღვაწედ, რომლის მთელი ენერგია, მიელი ძალა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. გამოჩენილი ქართველი პროგრესული მოღვაწეები დ. ყიფიანს იმავე ბანაკის წარმომადგენლად ეიიჩნევდნენ, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდნენ, ბოლო ეს ბანაკი მონარქისტია ბანაკი კი არ იყო, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი ბანაკი.

ზემონათქვამიდან, ვფიქრობთ, გამომდინარეობს, რომ დ. ყიფიანი წარმოგვიდგება არა რუსეთის სახელმწიფო-პოლიტიკური წყობილების თაყვანისმცემლად და მონარქიის დამცველად, არამედ ისეთ მოაზროვნედ და მოღვაწედ, რომლისთვისაც სავსებით ნათელია ცარიზმის პოლიტიკური სახე, ერთა მოძულეობის მისი პოლიტიკის არსი. დ. ყიფიანი იყო ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე და არამც და არამც რუსეთის მონარქიის კოლონიური ეროვნული პოლიტიკის დამცველი. დ. ყიფიანი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელია. საკითხი ასე დგას: ან გაბატონებული ერის მონარქიისადმი თაყვანისცემა და მისი პოლიტიკის მიმდევრობა, ან ჩაგრული ერის განმა-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 98.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 2298—ხ.

თავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობა, ორივე აღნიშნული მიმართულების ერთმანეთთან შეთავსება კი შეუძლებელია.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე დ. ყიფიანს თავისი შეხედულება წერილობით არ დაუტოვებია. მაგრამ რაკი იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლების მხარდამხარ იღწვოდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იზიარებდა სამოციანელთა თვალსაზრისს, რომლითაც გათვალისწინებული იყო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა („ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს"), ხოლო ბრძოლის ცალკეულ ეტაპებზე, მათ ტაქტიკურ ნაბიჯს — რუსეთის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას — ემხრობოდა.

ეროვნულ შეხედულებათა სოციალური საფუძველი

სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ცდას, დ. ყიფიანის მოღვაწეობა და შეხედულებანი ეროვნულ საკითხში შემოზღუდონ წვრილაზნაურის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ჰორიზონტით. მაგალითად, ს. ხუნდაძის აზრით, დ. ყიფიანის „ეროვნულ-პოლიტიკური იდეალები, მისი ხაზი განათლების საკითხში პირდაპირ გამომდინარეობდა წვრილ თავადაზნაურთა ინტერესებიდან"[1]. დ. ყიფიანის აზროვნება თავისი სოციალური საფუძვლებით გამოხატავდა ახალი სოციალური ფენის—მოხელე აზნაურის სულისკვეთებას და მისწრაფებას[2]. მისი მსოფლმხედველობა გამოხატავდა მომაკვდავი კლასის ინტერესებს, მისწრაფებებს და სულისკვეთებას[3]. დ. ყიფიანი იყო წვრილი თავადაზნაურობის ფენის იდეოლოგი[4].

ვფიქრობთ, დ. ყიფიანის ნააზრევის ასეთი კვალიფიკაციით, ს. ხუნდაძე თავისებურ ხარკს უხდიდა იმდროინდელ კონიუნკტურას და სინამდვილეს დოგმატურად ხსნიდა.

ასეთი ნატურალისტური მიდგომით, რა თქმა უნდა, გაძნელდება დ. ყიფიანის, ამ დიდბუნებოვანი მოაზროვნისა და მოღვაწის, მართებული

---

[1] ს. ხუნდაძის წინასიტყვაობა წიგნში: დ. ყიფიანი, მემუარები. გვ. XVIII; ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 25.

[2] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 47.

[3] იქვე, 48.

[4] იქვე, გვ. 176—177.

დაკვირვება. რაღა ღირსებაა მოღვაწისათვის, თუ ის თავის წვრილაზნაურულ ღობე-ყორეს ვერ სცილდება, ყოველ საკითხს, მათ შორის ეროვნულს, მხოლოდ წვრილი აზნაური მფლობელის, ან წვრილი მოხელის თვალით შეჰყურებს.

რასაკვირველია, ეროვნულ საკითხში, ვთქვათ, თავადაზნაურობის წარმომადგენლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მათი სოციალური წრის ინტერესები, ბევრი მათგანი მხოლოდ ამ ინტერესებით იზღუდებოდა, მაგრამ ასეთებს დიდი პიროვნება იმით აღემატება, რომ ვიწრო წოდებრივ და პიროვნულ ინტერესებზე მაღლა ერის ძირეულ ინტერესებს აყენებს.

უსაფუძვლო იქნება იმის მტკიცება, რომ მთელი ქართველი თავადაზნაურობისათვის ერის სულიერი ცხოვრება უცხო რამ იყო, რომ ის თავისი ერის ინტერესებს მთლიანად იყო გამოთიშული. ეს კია, რომ ეროვნული გადაგვარება, როგორც ზემოთაც ითქვა, XIX საუკუნეში უფრო მეტად თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ზედაფენებს შეეხო.

დ. ყიფიანი თავისი ეროვნული შეხედულებებით გამოხატავდა არა მარტო წვრილაზნაურული ფენის ინტერესებს, არამედ რეალურად უფრო მეტს; იგი ერის უდიდესი უმრავლესობის, ესე იგი, მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე იდგა. ეს იმდენად, რამდენადაც: 1. ეროვნული თავდაცვის ინსტინქტი, ეროვნული გადარჩენისაკენ მისწრაფება მეტ-ნაკლები ზომით, მართალია, ერის ყველა საზოგადოებრივ ფენას ახასიათებს, გადაგვარების მოსურნეთა გამოკლებით, მაგრამ ეროვნული თვითმყოფობის მატარებელი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რომ მშრომელი ხალხია. 2. ერის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით, ყველაზე მეტად დაინტერესებულია მშრომელი ხალხი, რომელსაც XIX საუკუნის 70—80-იანი წლების საქართველოში შეადგენდა გლეხობა და სხვა მშრომელები, მათ შორის ფორმირებაში მყოფი მუშათა კლასი. ხალხის ეს ძირითადი მასა იყო ერის ის ნაწილი, რომელსაც თავისი კლასობრივი შეგნებისა და საერთოდ კულტურული დონის ასამაღლებლად ყველაზე მეტად სჭირდებოდა თავისი დედაენის უფლებების დაცვა და გაფართოება; მშრომელი ხალხის ეკონომიკური და მითუმეტეს ეროვნული და პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლაში დედაენის პირველხარისხოვანი იარაღის როლის შესრულება უხდებოდა.

ისე რომ, დ. ყიფიანის ეროვნულ შეხედულებათა სოციალურ ფესვებს საზოგადოების მხოლოდ ერთ და, მით უმეტეს, მომაკვდავ წოდებასთან როდი მივყევართ. ეს ფესვები უპირველესად მშრომელი ხალხის

გულში იდებდა სათავეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, გამომხატველი იყო ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა და მომაკვდავი ფენების მისწრაფებებთან მას არაფერი საერთო არ გააჩნდა. აქ ჩვენ არაფერს ვამბობთ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ყველაზე სიცოცხლისუნარიან ფენებზე, რომელთა ეროვნული ინტერესები მშრომელი ხალხის ინტერესებს ემთხვეოდა.

შესაძლოა, თანამედროვე მკითხველში განცვიფრებას აღძრავს ის ფაქტი, რომ დ. ყიფიანი მეფის მმართველობის სამსახურში იმყოფებოდა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ისტორიული ვითარება, რომელშიც მოქმედებდნენ ჩვენი მოღვაწეები. ს. ხუნდაძე სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ დ. ყიფიანი „სახელმწიფო სამსახურს უყურებდა არა როგორც თავის გამორჩენის წყაროს, არამედ როგორც საზოგადოებრივ-ეროვნულ მოვალეობას, როგორც საზოგადოებრივ სამსახურს"[1]. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ დ. ყიფიანის, როგორც მოხელის, მოქმედებას თუკი შეეძლო გამოეწვია ქართველი ხალხის ინტერესების ოდნავი შელახვაც კი, იგი დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ სტოვებდა მოხელის სამსახურს. ასე მოიქცა დიმიტრი, მაგალითად, როცა საამეგრელოს ტერიტორიის ნაწილის საკოლონიზაციო ფონდში მოხვედრის საფრთხე წარმოიშვა: მან დაუყოვნებლივ შეიტანა თხოვნა გადადგომაზე[2].

როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა კლასობრივ პოზიციებზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული და კლასობრივი ინტერესების მიმართება ყოველთვის როდია სწორხაზობრივი. ცნობილია, რომ ერის ცხოვრებაში წარმოიშობა ხოლმე ისეთი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა მიმართ ერის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს თავიანთ შეხედულებებსა თუ მისწრაფებებში გააჩნიათ დამთხვევის წერტილები. ჩვენთვის საინტერესო მომენტში, XIX საუკუნის საქართველოში, ყველა პატიოსანი მოღვაწისათვის, ხალხის რომელი ფენიდანაც უნდა ყოფილიყო გამოსული, დამთხვევის წერტილებს წარმოადგენდა დედაენისა და ეროვნული არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

1812 წლის მაგალითი ცხადყოფს, რომ იმპერიის მოსახლეობის კველა სოციალური ფენა, მთელი რუსი ხალხი აღდგა უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ, რათა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაეცვა. ამ შემთხვევაში რუს ხალხს დამპყრობელი ეროვნული დამონებით

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 26

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502–ხ.

ემუქრებოდა და მთელი რუსეთი აღდგა ძის წინააღმდეგ. ვინ დაიწყებს იმის გამორკვევას, თუ ბოროდინოს ბრძოლის მონაწილე მეომრების საბრძოლო განწყობილებას რომელი სოციალური მოტივები განსაზღვრავდა. იგივე ითქმის კრწანისის ბრძოლის მონაწილე ქართველი მეომრების თავდადებაზე.

რაც საქმე ეხება ეროვნულს, მით უმეტეს, როცა საფრთხეშია ერის თვით არსებობა, ეროვნული თვითმყოფობის დასაცავად ერის ძირითად ნაწილთან—მშრომელ ხალხთან—ერთად გამოდის ყოველი პატიოსანი, ყოველი ცოცხალი, ყოველი ღირსეული, რაც კი ერს მოეპოვება, იმ გადაგვარებული ელემენტების გარდა, რომლებიც არაიშვიათად თავის ერს თვითონვე უგალობენ სულთათანას. ფრ. ენგელსი მიიჩნევდა, რომ სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი უცხოელ დამპყრობთა მარწუხებშია, ის აუცილებლობის გამო მთელ თავის ძალასა და ენერგიას გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმართავს[1].

ცნობილია, რომ თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებით დ. ყიფიანი განმანათლებლებს მიეკუთვნება[2]. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით კი—„განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე, საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ“[3]. ისევე როგორც ილია და მისი თანამებრძოლები, დ. ყიფიანი ეროვნულ საკითხში გლეხობისა და სხვა მშრომელთა ეროვნული დროშით, ერის სიცოცხლისუნარიანი ყველა სოციალური ფენის სანუკვარი მიზნებით გამოდიოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეები, უპირველეს ყოვლისა, ეხმიანებოდნენ მშრომელი მასების ეროვნულ ინტერესებს, რადგანაც ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტით სასიხლხორცეულად დაინტერესებულია მშრომელი ხალხი—გლეხობა, მუშები, ხელოსნები და ა. შ. გავიხსენოთ ა. ჯაფარიძის სიტყვები: „თუ ბურჟუაზია დაჩაგრული ერისა დაინტერესებულია დაიცვას ბაზარი, პროლეტარიატი იმავე ერისა დაინტერესებულია დაიცვას ენა, ეს იარაღი მისი კლასიური ინტერესების შეგნებისა. ასე, რომ ნაციონალურ ბრძოლაში მთე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 2-ое издание, т. 18, Москва, 1961, с. 555.

[2] მ. გაფრინდაშვილი, ქართველი ერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ.V, თბ., 1970, გვ. 474—475.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 656.

ლი ერი (ჩაგრული) ერევა და იღებს აქტიურ მონაწილეობას... რადგანაც უკანასკნელი არის მართლა ნაციონალური ბრძოლა და არა მარტო ბურჟუაზიის ბრძოლა"[1]. თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შშრომელი ხალხი და მისი წარმომადგენლები თავდადებას არ გამოიჩენენ, მაშინ ხალხი, ერი, როგორც გარკვეული ეთნიკურ-ისტორიული ერთობა დაიღუპება. საფრთხეში მყოფი ხალხის ეროვნული არსებობის შენარჩუნებისათვის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო, აშკარა თუ ფარულ ბრძოლაში დიდი როლი ენიჭებოდა ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებას, ეროვნული სიამაყის გრძნობის აღზრდას ჩაგრული ერის საზოგადოებაში.

ბუნებრივია, დ. ყიფიანი ცდილობდა ეს გრძნობა გაეღვივებინა თავის თანამემამულეთა შორის. თვითონაც ხომ დიდად ამაყობდა თავისი ეროვნული წარმომავლობით. მაგალითად, 1863 წელს, ერთ-ერთ შეკრებაზე, მსმენელებს თავის გულისნადებს უზიარებდა და ამბობდა: „მე სატრაბახოდა მაქვს, რომ მომმე ვარ თქვენი. შვილი ვარ საქართველოსი"[2].

მეფის მთავრობის ჯილდოები

დ. ყიფიანმა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადების საქმეში მთავარი როლი შეასრულა. მისი ეს შრომა, მმართველობამ წმინდა ანას ორდენით აღნიშნა, ეს მაშინ, როცა რეფორმის მომზადების მეორე ხარისხოვან მონაწილეებს უფრო მაღალი ჯილდოები მისცეს. ამასთან დაკავშირებით ნიკო ყიფიანი, 1865 წ. თავის მამას პეტერბურგიდან სწერდა: „გიორგი მუხრანბატონმა საგლეხო საქმეების დამთავრებისათვის მიიღო ვლადიმირის მე-2 ხარისხის ორდენი თუ საიდუმლო მრჩევლობა (ზუსტად არ მახსოვს). სხვებმაც მსგავსი რაღაცეები მიიღეს. შენ კი ანას ორდენი—რაღაც ზიზილ-პიპილებით რა გაეწყობა? ეს იმას ნიშნავს, რომ — კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო! დაე იყვიროს: ჩვენც ნახირ-ნახირო. მთავრობასაც რა უთხრა: შეარცხვინა ღმერთმა! არა გწყალობენ რაღა! ჯანი გავარდეთ, თუ არა გწყალობენ. რათ გვინდა მაგათი წყალობა"[3].

---

[1] გაზ. „ჩვენი ცხოვრება", 1906, № 9.

[2] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, 1863 წლის აპრილი, მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებებზე. წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 193.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, №.14981—ხ.

თვით დიმიტრი ასე გადმოგვცემს მისი დაჯილდოების ამბავს: — მე მივიღე ანას პირველი ხარისხის ორდენი არა როგორც განსაკუთრებულმა მოღვაწემ ამ რეფორმისა და არა როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლმა, ამ საქმეშიც რომ თვისი მაღალი ღირსების სრული შეგნება გამოიჩინა, — მივიღე როგორც საგლეხო კომიტეტის წევრმა.

... ზეიმის დაწყების წინ მომიახლოვდა გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი და გადმომცა ბარონ ნიკოლაის დიდი წუხილი, იმის გამო, რომ კომიტეტის მთელ შემადგენლობაში ყველაზე ნაკლები ჯილდო მე მომცეს. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ჩემი აზრი ცალკე მქონდა შეტანილი. ლორჯს-მელიქოვს მე ვუპასუხე: — გაისარჯეთ, ჩემს მაგივრად უთხრათ ბარონს, რომ დიდი მადლობელი ვარ მოსამძიმრებისათვის. ხოლო რაც შეეხება თვით ჯილდოს, მე არ დავიშლიდი ჩემი აზრის შეტანას იმ შემთხვევაშიც, რომ მცოდნოდა წინათ მიღებულ ჯილდოებსაც წამართმევდნენ. სიმართლე ჩემთვის ყველაზე მაღლა დგას. ეს იმან კარგად უწყის[1].

დ. ყიფიანის აზრი რევოლუციონერ მოღვაწეებზე

დ. ყიფიანი, როგორც ჩანს, თავისი დროის რევოლუციონერი მოაზროვნეებისა და მოღვაწეების სახელებს ინტერესით და პატივისცემით ეკიდებოდა. 1865 წელს, ცარსკოე სელოდან გამოგზავნილ წერილში დიმიტრის ვაჟი ნიკო თავის მამას ატყობინებდა ახალ ამბებს; კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ მას შეხვედრია დადეშქელიანი, რომელიც უკვე ორი თვეა პეტერბურგშია და ჩქარა ოდესაში იქნებაო. დიდი მთავარი ჰპირდება იქიდან საქართველოში გადაყვანას. მას იმერეთში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობის მიღება სურს. წერილის ავტორი ძალიან აქებდა დადეშქელიანს: „ის დიდებული ადამიანია, საქმიანი, ნაკითხი, თანამედროვე". დადეშქელიანი მომრიგებელ შუამავლად იყო ნერჩინსკში. იგი მიამბობდა მიხაილოვზე და ჩერნიშევსკიზე, "რომლებთანაც ნერჩინსკში კარგი ნაცნობობა ჰქონდა"[2].

როგორც ცნობილია, ნერჩინსკი 1826—1917 წლებში პოლიტიკური კატორღისა და გადასახლების ადგილად ითვლებოდა. 1864 წლიდან აქ კატორღაშია ნ. ჩერნიშევსკი. რაც შეეხება მიხაილოვს, მისი სახელი წერილში მითითებული არ არის. ის, ალბათ, ცნობილი პოეტი-რევო-

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 102.
[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 15 ბ03—ხ.

ლუციონერი მ. ი. მიხაილოვია (1829—1865). იგი აგრეთვე ნერჩინსკის კატორღაში იმყოფებოდა, სადაც ჩერნიშევსკის ხვდებოდა (1864 წელს).

თავის სხვა წერილში, იმავე 1865 წელს, ნიკო ყიფიანი თავის მამას პეტერბურგიდან ატყობინებდა: „კიდე ახალი ამბავი. ერთი რუსი პუბლიცისტი და ლიტერატორი სერნო-სოლოვიევიჩი (ჩერნიშევსკის მსგავსი) იგზავნება ციმბირში, მაღაროებში. ესეც რუსების პროგრესი და განათლება“[1].

მართლაც ცნობილია, რომ ნ. ჩერნიშევსკის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ნ. სერნო-სოლოვიევიჩი (1834—1866) პეტროპავლოვსკის საპატიმროდან 1865 წლის ივნისში ციმბირში გაუგზავნიათ.

ამ წერილებიდან ჩანს, რომ, დ. ყიფიანი და მისი ვაჟი დიდი ყურადღებითა და სიმპათიით ეკიდებოდნენ ცარიზმის მიერ დევნილ გამოჩენილ რევოლუციურ მოაზროვნეებს. სხვანაირად ვერ აიხსნება წერილებში მათზე ყურადღების გამახვილება. შვილს რომ არ სცოდნოდა მამის შესაფერისი განწყობილება, წერილში ასეთ საკითხებს სრულიადაც არ შეეხებოდა. ცარიზმის მოწინააღმდეგეთა მარტო ხსენება ისეთ კონტექსტში, როგორსაც წერილებში ვხვდებით, აშკარად მიუთითებდა ცარიზმის პოლიტიკისადმი უარყოფითს დამოკიდებულებაზე.

როგორც ირკვევა, დიმიტრის დიდად იტაცებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების სახელები. მაგალითად, ნიშანდობლივია, რომ მას თავისი ვაჟისათვის გაუგზავნია გარიბალდის ბიოგრაფია. ამის თაობაზე ნიკო ყიფიანი 1861 წლის მარტში თავის მამას სწერდა: „ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები, მეტადრე გარიბალდის ბიოგრაფია. მე ძლიერ შემიყვარდა ისა, რაც წავიკითხე... მაგისი პატიოსნება და ვაჟკაცობა. მე იტალიაში რომ ვყოფილიყავი, უეჭველად წავიდოდი სამსახურათ იმის ჯარში. მაგრამ ქართველი ვარ, ჩემი ვალია ვემსახურო საქართველოს და ვიყო იმისთვის სასარგებლო“[2].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 14981—ხ.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 14958—ხ; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს მოამბე, თბ., 1963, გვ. 276.

X თავი

XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ცარიზმის შემოტევის ზოგიერთი მომენტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცარიზმი აბუჩად იგდებდა იმპერიაში მცხოვრებ „ინოროდცების" ეროვნულ ინტერესებს, დაჟინებით ცდილობდა განეხორციელებინა ამ ხალხების ეროვნული მოსპობის პოლიტიკა, რომელიც გარკვეულ მოქნილობას ამჟღავნებდა. ცარიზმის შეტევა არარუსი ხალხების ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, ხან ფარული, შენიღბული ფორმით მდორედ მიედინებოდა, ხან კი უფრო შემტევი, მკვეთრად გამოსახული ხასიათისა იყო და პოზიციური ბრძოლიდან ხელჩართულ ბრძოლაზე, ხიშტით შეტევაზე გადასვლას გვაგონებდა.

მაგალითად, XIX ს-ის 40—50-იან წლებში ცარიზმი ქართული კულტურის მიმართ რამდენადმე შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. ამ პერიოდში კავკასიის ამბებში გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო შამილთან ბრძოლა, რომელშიც ქართველი თავადაზნაურობა აქტიურად მონაწილეობდა. ამის გამოც იყო, რომ ცარიზმი ამ წოდებას გარკვეულ ანგარიშს უწევდა. ეს გამოიხატებოდა სამოქალაქო თუ სამხედრო იერარქიაში ამ წოდების წარმომადგენელთა წინწაწევით, სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებით და ა. შ.

დიმიტრი ყიფიანი იგონებდა: მე ვიყავი მოწმე, როცა გენერალმა ბარონმა ვრანგელმა სოხოვა ვორონცოვს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში მისი ქალიშვილი გაეთავისუფლებინათ ქართული ენის სწავლებისაგან. მას ვორონცოვმა უარი უთხრა: თუ თქვენ ვარაუდობთ, რომ თქვენს ქალიშვილს ცხოვრება აქ არ მოუხდება, მაშინ არავინ გიშლით სასწავლებლად მიაბაროთ პოლტავის ან სხვა რომელიმე ინსტიტუტში[1].

თვით 60-იანი წლების დასაწყისში, ცარიზმი ჯერ კიდევ რამდენადმე თავშეკავებით იქცეოდა. ა. ფურცელაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს იყო დრო, როცა „მოსკოვსკიე ვედომოსტისა" და „რუსკი ვესტნიკის" სამრეკლოებიდან ჯერ კიდევ არ ისმოდა ერების დევნის მაუწყებელი ზარების რეკვა"[2]. თბილისში ერთად იღვწოდნენ ქართველები, სომხები,

---

[1] „Закавказье", 1912, № 190; აგრეთვე: ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, ტფილისი, 1894, გვ. 11—12.

[2] А. Н. П у р ц е л а д з е. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. „Закавказская речь», 1911, № 256.

რუსები, პოლონელები და სხვა ერის წარმომადგენლები. ისინი საერთო საქმეს აკეთებდნენ იმ რწმენით, რომ იმპერიის თითოეული ერის განვითარება და პროგრესი საერთო სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. ფიქრობდნენ, რომ რაც ნაკლებად ვითარდებიან სხვადასხვა ხალხები, რაც ნაკლებადაა მათში ინტელექტუალური ძალები, მით უფრო სუსტია სახელმწიფო. ამის გამო, სუსტად განვითარებული ხალხების წინსვლისა და მათი კეთილდღეობის ამაღლებისათვის საერთო ძალები უნდა იქნეს გამოყენებულიო[1].

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკას, ბუნებრივია, არც ის იყო უცვლელი და ერთფეროვანი. ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკა იყენებდა უპირატესად ბრძოლის მშვიდობიან ფორმებსა და ლეგალურ საშუალებებს, თუმცა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში, სხვა მეთოდების გამოყენებაც არ იყო გაბრიცხული. ყოველთვის ენიჭებოდა უდიდესი მნიშვნელობა ეროვნულ იდეებზე ყურადღების გამახვილებას, ამ იდეებზე ხალხის აღზრდას. ჩვენი მოღვაწეები ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მოსახლეობის ყველა ფენაში განემტკიცებინათ ეროვნული თვითშეგნება. ამ მხრივ დამახასიათებელია. დ. ყიფიანის მოღვაწეობის, მაგალითად, ისეთი მომენტები, როგორიც იყო 40—50-იან წლებში სკოლებში ქართული ენის სწავლების სავალდებულო წესის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა, ქართული პრესისა („ცისკრის" ხელახალი გამოცემა) და ქართული თეატრის აღდგენაზე გაწეული შრომა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი სკოლების დაარსება და სხვ. ძნელია გადაჭარბებით შეუფასდეს ქართული პრესის, ქართული თეატრის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში.

XIX საუკუნის 60—80-იან წლებში, დ. ყიფიანი შეუპოვრად იბრძვის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრების, ყოველგვარი რეაქციონერების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩეოდა „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორი მ. კატკოვი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში იგრძნობოდა რეაქციის მწვავე სუსხი[2]. პოლონეთის 1863—1864 წლების აჯანყებიდან დაწყებული, განსაკუთრებით მისი ჩაქრობის შემდეგ, დიდმპყრობელუ-

[1] იქვე.
[2] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 50.

რი შოვინიზმი თავის მიზნებს აღარ მალავდა. რეაქციული ძალები აშკარა შეტევაზე გადადიან. კერძოდ, რუსული რეაქციული პრესა, კატკოვის მეთაურობითა და თვითმპყრობელობის კარნახით, სასტიკ ბრძოლას ეწეოდა არარუსი ხალხების ეროვნული არსებობის წინააღმდეგ. პოლონეთის აჯანყების პერიოდში, დიდმპყრობელური ნაციონალისტური პოლიტიკა სავსებით ნათლად გამოისახა.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის" 1864 წლის 7 აგვისტოს მოწინავეში კატკოვი შემდეგნაირად მსჯელობდა: პრუსიაში ცხოვრობს ერთი ერი, ავსტრიაში კი, პირიქით, მრავალი ხალხია, ამიტომ ავსტრიის იმპერატორი ქვეშევრდომებისადმი მიმართვისას იძულებულია გამოიყენოს მრავლობითი რიცხვი და არა მხოლობითი, როგორც ამას აკეთებს ფრანგების იმპერატორი, ან პრუსიის მეფე. რას არ მისცემდა ავსტრიის იმპერატორი, რომ შეეძლოს მიმართვისას ნაცვლად ხალხებისა, იხმაროს სიტყვა ხალხი. რადგან, დაასკვნიდა კატკოვი, — სახელმწიფოს შემადგენლობაში ერების სიმრავლე არა ძალის, არამედ სისუსტის ელემენტებიაო[1].

კატკოვი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ რუსეთის იმპერია მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. 1864 წლის 9 ნოემბრით დათარიღებული ნომრის მოწინაკეში იგი წერდა: რუსეთს უჭირავს მეტად ვრცელი უსარმაზარი სივრცე, ის მთელი სამყაროა, რომელშიც ერთი კი არა და რატომ ოცი მაინც სხვადასხვა ჯურის ხალხი არ ცხოვრობს[2].

მაგრამ უცრად კატკოვი ივიწყებს რუსეთის იმპერიის ეროვნული შედგენილობის 1864 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ მაჩვენებელს (ოცი ჯურის სხვადასხვა ხალხი მაინც ცხოვრობსო) და 1865 წლის სექტემბერში (№ 211) აცხადებს: რუსეთის სახელმწიფოს უსაზღვრო სივრცეზე (პოლონეთისა და ფინეთის გამოკლებით) არის მხოლოდ ერთი რუსი ხალხი, ინოროდცების ელემენტების მინარევებით, რომლებსაც, არავითარ შემთხვევაში, არა თუ პოლიტიკური, არამედ ეთნოგრაფიული გაგებითაც არ შეიძლება ხალხის სახელი უწოდო.

. ასე, რომ კატკოვს, იმპერიის არარუსი მოსახლეობა ხალხის სახელწოდების ღირსადაც კი არ მიაჩნდა, ხოლო იმპერიაში ფინეთისა და პოლონეთის ავტონომიის ელემენტების არსებობა მის სასტიკ გულისწყრომას იწვევდა. კატკოვის აზრით, პოლონეთისა და ფინეთის ეს გან-

[1] М. Катков. Собрание передовых статей Московских ведомостей, 1864, №174. СПБ., 1897.

[2] იქვე, № 246.

ცალკავება ხელოვნურადაა შექმნილი და არავითარი ისტორიული საფუძვლები არ გააჩნია[1]. მის თვალში ბოროტი განზრახვაა ის აზრი, რომ ვისურვოთ ამიერკავკასიაც ისეთივე ურთიერთობაში იყოს იმპერიის უმაღლეს მმართველობასთან, როგორც ვთქვათ, პოლონეთი, თავისი განსაკუთრებული დაწესებულებებით[2].

ხალხი, კატკოვის განმარტებით, არის ერთიანი ტომობრივი წარმოშობის ადამიანთა მასა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ერთიანობა, აქვს ერთი ენა, თავისი სოციალური ორგანიზაცია (სახელმწიფო) კლასები (უდაბლესიდან დაწყებული უმაღლესამდე) და მთლიანი ტერიტორია. არარუსი ხალხებს ამ ნიშნების აჩრდილიც კი არ გააჩნიათო, — დაასკვნიდა იგი[3]. კატკოვის მიერ რუსეთის იმპერიაში ერების არსებობის უარყოფა ემყარები იმ აზრს, რომ—ყოველგვარი ეროვნება სხვა არა არის, თუ არა სახელმწიფოს ჩანასახი, ხოლო სახელმწიფო სახელმწიფოში არის დიდი ბოროტება[4].

რუსული რეაქციული პრესა 60-იან წლების შუახანებში და შემდეგაც დაჟინებით მოითხოვს იმპერიის არარუსი ხალხების რუსეთთან შერწყმა-გათქვეფას. 1865 წელს კატკოვი წერდა: „Times“ სამარლიანად შენიშნავს, რომ სახელმწიფოს განმტკიცება შეუძლებელია, თუ მასში მოსახელე სხვა ერები ცხოვლად შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ გრძნობებსო[5]. ახლა უკვე არასაკმარისია გარეგანი სახელმწიფოებრივი ერთიანობა. საჭიროა შინაგანი კავშირი, საჭიროა ეროვნული ერთობა, რაც განმტკიცდება სახელმწიფოებრივი განვითარების ეროვნული მიმართულებით[6].

არარუსი ხალხების შთანთქმის იდეა უფრო სრულად და ნათლადაა ჩამოყალიბებული კატკოვის გაზეთის 1865 წლის № 207 მოწინავეში, სადაც ნათქვამია: რუსეთი გადარჩება, გადარჩება მისი ქვეშევრდომების შერწყმით ერთ პოლიტიკურ ერად, მასში შევა ყველა უსასრულოდ დაქუცმაცებული, ერთმანეთისაგან უაღრესად განსხვავებული ინოროდცული ელემენტები, რომლებიც მოკლებული არიან დამოუკიდებელი არსებობის შინაგან ძალას, მაგრამ რომელთა უნარი აქვთ თავისი შერწყმით გაამდიდრონ საერთო მთელი და ნაყოფიერად ვითარდებოდნენ

---

[1] М. Катков, Собр. пер. ст., 1865, № 207, № 211.
[2] იქვე, № 154.
[3] იქვე, №211.
[4] იქვე, 1866, № 18.
[5] იქვე, 1865, № 207.
[6] М. Катков, Собр. пер. ст., 1865, № 1.

საერთო საფუძველზე. კატკოვი ამტკიცებდა, რომ რუსეთში იყო ერთი გაბატონებული ხალხი და ერთი გაბატონებული ენა[1]. ყველა სხვა ხალხისა და მათი ენების არსებობა კი დროებით მოვლენად მიაჩნდა.

კატკოვი დაუფარავად ილაშქრებდა აგრეთვე ამიერკავკასიის ერების წინააღმდეგ. იგი კბილებით იცავდა ცარიზმის პოლიტიკას, რომელმაც მცირე როლი როდი შეასრულა კავკასიის მთელი რიგი ხალხების მშობლიური ადგილებიდან აყრასა და თურქეთში გადასახლებაში. კატკოვი აღნიშნავდა, რომ 1864 წელს, კავკასიის „დამშვიდების" დამთავრებასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატაში შეტანილი ყოფილა შეკითხვა რუსული იარაღის წარმატების გამო კავკასიის მთიელთა თურქეთში გადასახლების თაობაზე. სახელმწიფო მდივანს გრაფ რასელს უპასუხია: დაწვრილებითი ცნობები მთიელთა გადასახლებაზე ფრიად სამწუხარო ხასიათისაა და ამასთან ადგილი ჰქონდა სიმკაცრესო[2].

ინგლისის პარლამენტში საკითხების ასეთ შეტანას და მათზე ამგვარი პასუხის გაცემას კატკოვი არ იწონებდა, და, თავის მხრივ, ცდილობდა მსგავსი ცოდვები ინგლისის მთავრობისათვისაც მოენახა: ირლანდიიდან ამერიკაში ყოველწლიურად გადასახლებულ ათასობით ადამიანს რითი ეხმარებითო. — ეს იყო შენიშვნა ერთი იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ქომაგისა სხვა იმპერიის პოლიტიკის ხელმძღვანელებისადმი.

კატკოვის იდეალი იყო რუსებით დასახლებული კავკასია და აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციის ვალდებულებაა ამიერკავკასიაში რუსული ენის გავრცელებაო[3]. მან წინადადება წამოაყენა თურქეთში გადასახლებული აბორიგენების ნაცვლად, დასავლეთ კავკასიაში დაესახლებინათ კაზაკები—მათზე უკეთ ვის შეუძლია მხარის გარუსებაო[4].

კატკოვი თავხედურ პოლიტიკურ ინტრიგად მიიჩნევდა გერცენის „კოლოკოლის" ცნობას: ქართველი ხალხი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იმსჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეითო[5].

ქართველი ხალხის წინააღმდეგ კატკოვის გამოხდომებს შორის ამჯერად გამოვყოფთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" 1865 წლის ორ მოწინავე სტატიას (№ 194, № 250). მათში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მაშინდელი წინამძღოლის დ. ყიფიანის სახელია ნახსენები. კა-

---

[1] М. Катков, О самодержавии и конституции, 1905, с. 21.

[2] М. Катков, Собр. перед. статей. 1864, № 118.

[3] იქვე, № 180.

[4] იქვე, 1887, № 13 ბ.

[5] М. Катков, Собр. пер. статей, 1865, № 154.

ტკოვი ქართველ ხალხს ბრალს სდებდა სეპარატისტულ მისწრაფებაში[1]. აგრეთვე მიუთითებდა, რომ თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლა ევროპულ აჯანყებას გვაგონებს — მის მონაწილეებს იარაღი ტანსაცმლისქვეშ ჰქონდათ დამალული, ხოლო ეროვნული იდეის მფარველი ნაპოლეონი დიდი პატივისცემით სარგებლობს ქართველებში, რომელთაგან ბევრმა თავის ბავშვს მისი სახელი დაარქვაო. ბრალდებად იყო წამოყენებული ისიც, რომ ქუთაისის გიმნაზიის შეგირდები სწავლებას დედაენაზე მოითხოვენ, ხოლო სამურზაყანოში ბავშვებს სკოლაში დასაწყისიდანვე რუსულ კი არა, ქართულ ენაზე ასწავლიანო. კატკოვი აგრეთვე აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავს ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლს უწოდებდა[2].

კატკოვი დანაშაულად მიიჩნევდა ქართული პატრიოტული გრძნობის არსებობასაც კი. იგი წერდა: ჩვენ დარწმუნებული ვართ; რომ ქართული პატრიოტიზმი სხვა არა შეიძლება იყოს რა, თუ არა წმინდა რუსული პატრიოტიზმი... ჩვენ არ ვცნობთ ამიერკავკასიაში არც ქართულ და არც სომხურ ნაციონალიზმს[3]. კატკოვს დაუშვებლად მიაჩნდა თვით „ქართველი თავადაზნაურობის“ მოხსენიება. მას არ სურდა ეცნო ქართველი თავადაზნაურობის დამოუკიდებელი არსებობის ფაქტი რაიმე თავისებური სახით. კატკოვი წერდა: თავადაზნაურობა ესაა პოლიტიკური ორგანიზაცია, ხოლო გამოთქმა „ქართველი თავადაზნაურობა“ ესაა მცდარი, არასწორი გამოთქმა[4].

კატკოვის ამ ლაშქრობას წინ აღუდგა დ. ყიფიანი. იგი წერდა: 194-ე ნომრის მოწინავე სტატია ეხება მრავალ საგანს, რომლებიც გაერთიანებულია მხოლოდ ერთი გაუგებარი სურვილით, დაამტკიცონ ამიერკავკასიაში სავსებით უცხო მისწრაფებათა არსებობა[5]. ყიფიანი თანამიმდევრულად აბათილებს კატკოვის მტრულ, ცილისმწამებლურ ბრალდებებს.

თბილისის მშრომელი მოსახლეობის 1865 წლის გამოსვლის თაობაზე დ. ყიფიანი სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნევდა მტკიცებას, თითქოს, გამოსვლის მონაწილეებს იარაღი ტანსაცმლის ქვეშ ჰქონდათ დამალული. ამ საგანზე საუბარი მწვავე ხასიათს იმის გამო უფრო იღებ-

---

[1] М. Катков, Собр. пер. статей, 1865, № 194.

[2] იქვე.

[3] იქვე, № 250.

[4] იქვე, № 250.

[5] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივი, № 78.

და, რომ იმ დროს უცხოეთის პრესაში გამოჩნდა შეფასება, რომლითაც თბილისის ღარიბი ხალხის, ამქართა გამოსვლა მიჩნეულ იქნა რუსეთის იმპერიის ნგრევის სიმპტომად. ასეთი რამ, ეტყობა, ძალზე გამაღიზიანებელი უნდა ყოფილიყო იმ პერიოდში, ესე იგი, პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ამ დროს, უცხოეთის პრესის მოწმობით, რუსეთში ძალზე ფართოდ იშლება რუსული ულტრანაციონალისტური სულისკვეთება[1]. ამგვარი ვითარების გათვალისწინებას ემყარებოდა დ. ყიფიანი, როცა ცდილობდა შერბილებულად წარმოედგინა 1865 წლის ამბები. თავის პასუხში დ. ყიფიანი ისტორიულ ფაქტებსაც იშველიებს: მსგავს ამბებს, თუმცა არა ასეთი შედეგებით, ადგილი ჰქონდა თბილისში 1829, 1830 და 1853 წლებში, მხოლოდ ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. ამ გამოსვლებში ადგილი არ ჰქონია მკვლელობას და თვით უმცირესი ზარალიც კი არავის მოსვლიაო.

დ. ყიფიანი ასევე იძულებული იყო უარეყო მტკიცება ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის არსებობაზე. აგერ, რუსეთის ცარიზმმა მოახრჩო პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა[2] და ასეთ ვითარებაში, რეაქციული პრესის ფურცლებზე, არარუსი ხალხების ეროვნული თავისუფლების იდეა ნაკლებ პოპულარული იქნებოდა.

კატკოვის ცნობას—ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეები ქართულ ენაზე სწავლის შემოღებას მოითხოვენო—დ. ყიფიანი პასუხობს: ამ ბრალდებას დამახინჯებული ფაქტი უდევს საფუძვლად. ქუთაისის გიმნაზიის ერთმა მასწავლებელმა თავის უფროსებს გააცნო საკუთარი აზრი დაწყებით კლასებში საგნების ქართულ ენაზე სწავლებაზე მანამ, სანამ ბავშვები რუსულ ენას იმდენად არ დაეუფლებოდნენ, რომ შეძლებდნენ უკვე ამ ენაზე განეგრძოთ სწავლა. ამის გამო, ბავშვებში სხვაგვარი აზრებისა და სხვა ხასიათის პოლიტიკურ მისწრაფებათა არსებობის ვარაუდი ნიშნავს მათში იმ ბოროტების აღმოჩენას, რაც საგანთა ბუნებაში არ იგულისხმება.

ნაპოლეონის სახელთან დაკავშირებით ყიფიანმა აღნიშნა, რომ ორ ბავშვს დაარქვეს ნაპოლეონის სახელი მისი დიდი საქმეების გამოო.

სამურზაყანოს სკოლებში ბავშვების ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით დ. ყიფიანი წერდა: ადმინისტრაციულად სამურზაყანო

---

[1] М. Катков, Собр. пер. ст. 1866, № 65.

[2] აღსანიშნავია, რომ 1863 წელს თბილისში შეკერებიათ ფულადი სახსრები და პოლონელი პატრიოტებისთვის გადაუგზავნიათ (Я. Г. Хуцишвили, Отклики на польское восстание 1863 г. в Грузии, « История СССР» № 5, 1964).

არ შედის არც სამეგრელოში და არც აფხაზეთში. სამურზაყანოელები მეგრული წარმოშობისანი არიან და საერთო, სახალხო ენა მათთვის მეგრულია. ამასთან, მათში მოდურია აფხაზური ენა, ხოლო სამურზაყანოელების სამწერლობო ენა ქართულიაო[1]. კატკოვის მიერ სამურზაყანოელი ბავშვების ქართულ ენაზე სწავლების გაკიცხვა, დ. ყიფიანის აზრით, იმის შედეგი იყო, რომ კატკოვის ორგანოს კორესპონდენტები სამურზაყანოელთა გვარტომობაში ვერ გარკვეულან და ისინი შაპსუღებად ან წებელდელებად მიუჩნევიათ. მაშასადამე, დ. ყიფიანი სამურზაყანოელებს ქართველი ხალხის ნაწილად მიიჩნევდა და ამ ხალხის ბავშვთა ქართულ ენაზე სწავლებას სავსებით ბუნებრივ და გასაგებ საქმედ თვლიდა[2].

წერილის ბოლო ნაწილში დიმიტრი განმარტავდა, თუ რატომ იყო ბუნებრივი ქართველი თავადაზნაურობის აღმნიშვნელი ტერმინის ხმარება. იგი საკმაოდ დაწვრილებით ჩამოთვლიდა იმ მრავალმხრივ დამსახურებას, რაც ქართველ თავადაზნაურობას თავისი ქვეყნისა და რუსეთის წინაშე მიუძღოდა. ამ მსჯელობის აზრი ნათელი იყო. წოდება, რომელსაც ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის, როგორც თავისი ხალხის გადარჩენის საქმეში, ასევე რუსეთისა და საქართველოს საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, სრული უფლება აქვს ატაროს თავისი ნამდვილი სახელი, ხოლო მისი წინამძღოლი ასევე უფლებამოსილია ამ წოდების ეროვნული კუთვნილებაც აღნიშნოსო.

დ. ყიფიანის მიერ კატკოვის გამოსვლაზე გაცემული პასუხები მოწმობს, თუ რა ვითარება იყო შექმნილი იმპერიაში პატარა ერებისათვის, როცა თვით მშობლიურ ენაზე სწავლის სურვილის გამოთქმა, ანდა ბავშვისათვის რომელიმე გამოჩენილი უცხოელი მოღვაწის სახელის დარქმევაც კი დიდ ცოდვად ითვლებოდა. ცხადია, ასეთი რამ დღევანდელი ადამიანისათვის ძნელი გასაგებია, იმ დროს კი, თავისი ხალხისათვის ესოდენ თავდადებული და უაღრესად გამბედავი მოღვაწეც კი იძულებულია მანევრირებას მიმართოს, ანგარიში ჩააბაროს რიგ ელემენ-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 78.

[2] სამურზაყანოში (მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია) 70-იანი წლების დასასრულს 29 ათას სულს (4 ათასი კომლი) უცხოვრია. მათგან, დაახლოებით 1500—2000 სული, ოჯახში და საზოგადოებაში უპირატესად აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო სამურზაყანოელების დანარჩენი მასა, ესე იგი, უდიდესი უმრავლესობა თავის მშობლიურ სალაპარაკო ენად მეგრულ ენას მიიჩნევდა. ბოლო დრომდე აფხაზურ ენას სამურზაყანოს უმაღლესი წოდება თავადაზნაურობა იყენებდა, რაც მას თავმოსაწონ საქციელად ესახებოდა (Ал. Цагарели, Мингрельские этюды, Вып. I спб., 1880, с. IX).

ტარულ საკითხებზე, რათა რამდენადმე შეარბილოს ანტიქართული განწყობილება, რომლის შექმნას რუს ხალხში კატკოვები დაჟინებით ცდილობდნენ. შექმნილ სიტუაციაში ეს იყო გონივრული ნაბიჯი, რადგან, ნ. ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ პერიოდში ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეეძლო მიეყვანა საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამას წინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი რუსი ლიტერატორი ცარიზმის ძიერ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგი ხალხის მიმართ განხორციელებულ ბარბაროსულ ღონისძიებებს იმით ამართლებდა, რომ ვითომ ეს ხალხები რუსეთისადმი მკვეთრ წინააღმდეგობას აბრძავნებდნენ და მთავრობა სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო[2].

კატკოვის გამოხდომას გამოეხმაურა „კოლოკოლი", აღნიშნა არარუსი ხალხებისადმი ცარიზმის ველური დამოკიდებულების ფაქტები და თვითმპყრობელური პოლიტიკა დაახასიათა როგორც ბარბაროსულ მისწრაფებათა გამოხატულება. წერილის ავტორი წერდა: „თქვენ გადაასახლეთ ჩერქეზები საშუბლო მთებიდან და ეხლა თხოულობთ სხვა ეროვნებათა აღმოფხვრას... როგორ მოჩანს ყველა ამაში მონღოლური მიდრეკილება, რომელიც ფიქრობს ააგოს თავისი დიდება განადგურებასა და ნანგრევებზე"[3].

80-იანი წლების რეაქციის პერიოდში ი. ჭავჭავაძემ სათანადოდ შეაფასა კატკოვის ბოროტმოქმედება, როგორც პოლიტიკური დამბეზღებლობა. ილია წერდა: „ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავათ იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს... ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი, იმიტომ, რომ მაბეზღარას ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული-კი იარაღაყრილია"[4].

ილია აღნიშნავდა, რომ რუსეთში ერების დაბეზღებას ოციოდე წლის ისტორია ჰქონდა და ის კატკოვისა და მისი კომპანიის სახელთან

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1962, გვ. 264—265.

[2] Е. Сельдерецкая, Очерки современного кавказа, часть I, Berlin, 1870, с. 64.

[3] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1962, გვ. 310.

[4] ი. ჭავჭავაძე, კატკოვის პასუხად, „დრ.ება", 1882, № 40; თხზულებანი, ტ. 8, 1957, გვ. 8.

იყო დაკავშირებული. კატკოვს არ დარჩენია რუსეთის არც ერთი ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადადგომის სურვილი არ დაეწამებინოს. „ჩვენს საქართველოზედაც არა-ერთხელ გამოულაშქრია ბ-ნ კატკოვს, ორგულობა შეუწამებია და გადადგომის სურვილი დაუბრალებია“[1].

კატკოვი იმდენად გათავხედდა, რომ თავის ორგანოში შეურაცხყო ერის ღირსებისა და პატიოსნების ემბლემა—ქართული დროშა: „საშობლოს“ დადგმაზე დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებს და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზამენო[2]. ილია გაბაგრძობდა: „რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მისი დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მიედინება ბ-ნ კატკოვისკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „Московские ведомости“ ჰქვიან. ოღონდ-კი ორგულობა შესწამეთ რომელსამე ერს რუსეთისას და ბ-ნი კატკოვი ხელაპყრობით მოგეგებებათ“[3].

კატკოვი განასახიერებდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იმ მიმდინარეობას, რომელიც მოითხოვდა იმპერიის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ყველა ცალკე ერისა და ეროვნების რუსებში მთლიანად გათქვეფას. ეს იყო მებრძოლი ცარისტული სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი[4].

ეს ნაციონალიზმი, არარუსი ხალხების გათქვეფა-მოსპობის საკითხში უდიდეს როლს ანიჭებდა როგორც რუსულ ეკლესიას, ასევე რუსულ სკოლას. დასახული ამოცანის გადაწყვეტაში ორივე ეს უწყება ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა[5]. ამასთან, მათთვის სრულიადაც არ ყოფილა უცხო მეტად საჩოთირო მეთოდების გამოყენება. თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ეკლესია თავის საქმეს აკეთებს არა სიყვარულის გამო, არამედ ივიწყებს თავის დანიშნულებას და ზრუნავს მხო-

---

[1] იქვე, გვ. 10.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 12.

[3] იქვე, გვ. 9—10.

[4] ა. ჯორჯაძე, დიმიტრი უოფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 806.

[5] „Наше духовенство вообще и наши миссионеры в особенности настаивают на том, что процесс обрусения инородцев должен начаться прямо с религии. Другие наши деятели, — Светские педагоги,—заботяться об обрусении инородцев только в умственном и нравственном отношениях, отвергая религиозную сторону дела, и могучим рычагом этого процесса считают русскую школу, а вней — русский язык» (М. А. Миропиев. К вопросу о просвещении наших инородцев. „Русская школа» 1901, № 5—6).

ლიდ იმისათვის, რომ პოლიციის თვალში კარგი სახელი დაიმსახუროს. მას უხარის, ხალხის გონების დახშვა და დაბნელება[1]. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ საქართველოს ეკლესიის რუს გამგებლებს პოლიციასთან და მის საიდუმლო სამსახურთან აშკარა კავშირურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული[2].

სკოლაც და ეკლესიაც, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი ენების წინააღმდეგ ლაშქრობდა. რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი 1867 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ არარუსი ტომების თანდათან განათლება, მათი დაახლოება რუსულ სულთან და რუსეთთან მომავლის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა[3]. ეს იყო საიმპერიო მმართველობის მითითება სკოლის მეშვეობით ასიმილატორული პოლიტიკის გაძლიერების თაობაზე.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, გლეხობასაც უნდა გახსნოდა გ'ხა სკოლისაკენ. გლეხებმა მასობრივად შექმნეს დაწყებითი სკოლები. ამასთან, ამ სკოლების გახსნა მაზრის უფროსისა და გუბერნატორის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა. სკოლების ხელმძღვანელობა პოლიციას ჰქონდა დაკისრებული. მდგომარეობა სავალალო იყო. მასწავლებლობა უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ მღვდლებს ჰქონდათ დავალებული, ხოლო სკოლისათვის საჭირო მთელ ხარჯს სოფლის მცხოვრებნი იხდიდნენ. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც დიდი ამბავი იყო, რომ გლეხობას შვილებისათვის წერა-კითხვის სწავლების საშუალება მიეცა[4].

1867 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის —ნეველროვის მიერ შედგენილ იქნა სასწავლო უწყების დებულების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად ჯერ მეფისნაცვლის საბჭოს წარედგინა, ხოლო შემდეგ „კავკასიის კომიტეტს". ამ პროექტით სასწავლო უწყება უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილებოდა. უწყების სათავეში (კავკასიაში) იდგა ოლქის მზრუნველი, რომელთანაც საბჭო უნდა დაარსებულიყო. სახალხო სკოლების ხელმძღვანელობისათვის უნდა შემოღებულიყო სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობა. გიმნაზიები, რეალური

---

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 50.

[2] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в, с. 41.

[3] „Русская школа», 1901, № 5—6, с. 121.

[4] გრ. გიორგაძე, სახოგადოებრეი ურთიერთობა საქართველოში, 1928, გვ. 233; ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1951, გვ. 76—79.

სასწავლებლები და პროგიმნაზიები უშუალოდ ოლქის მზრუნველს ემორჩილებოდნენ. სახალხო სკოლების დირექტორს სხვადასხვა ადგილას ჰყავდა სახალხო სკოლების ინსპექტორები. სამრევლო-საეკლესიო სკოლები სახალხო სკოლების ინსპექტორებს უნდა დაქვემდებარებოდნენ.

ადგილობრივი ენების (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) სწავლება სავალდებულო იყო მხოლოდ მოსამზადებელ კლასებში, ხოლო პროგიმნაზიაში (ესე იგი, პირველ ოთხ კლასში) მას სწავლობდნენ სურვილის მიხედვით, რისთვისაც ცალკე გადასახადს იხდიდნენ — მოწაფეზე სამ მანეთამდე.

პროექტს დართული ჰქონდა გაკვეთილების ცხრილი. ცხრილის თანახმად, თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას მოსამზადებელ კლასებში კვირაში 4 გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, რუსულ ენას კი—35. ქუთაისის გიმნაზიის ცხრილში ქართული ენა სრულებით არ იყო მოხსენებული. რუსულ ენას კი დათმობილი ჰქონდა 39 გაკვეთილი.

მეფისნაცვლის საბჭომ 1872 წლის 4—13 მაისს განიხილა ეს პროექტი და დაამტკიცა, მხოლოდ ის წინადადება შეცვალა, სადაც ლაპარაკი იყო ადგილობრივ ენებზე. ადგილობრივი ენები სავალდებულო გახადა გიმნაზიებში, მოსამზადებელ და პროგიმნაზიულ კლასებში და ამავე დროს დაადგინა: პედაგოგიურმა საბჭომ გადაწყვიტოს, თუ რამდენი გაკვეთილი უნდა დაეთმოს ადგილობრივ ენებს, და სასწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცოსო. ამ შესწორებით მიიღეს ნეველოვის პროექტი.

მართალია, ადგილობრივი ენების სწავლება ცნობილ იქნა სავალდებულოდ, მაგრამ ეს ვალდებულება ფიქცია იყო, რადგან გაკვეთილების განაწილება მზრუნველ ნეველოვს უნდა დაემტკიცებინა, იგი კი ადგილობრივ ენებს არა სწყალობდა[1].

განათლების უწყებას არ ჩამორჩებოდა ეკლესია, თუ როგორ იყო შეყვანილი ქართული ენა ქრისტიანულ ქართულ ეკლესიაში, ამას ერთი მაგალითიც ნათელყოფს. „დროება“ 1880 წელს აღნიშნავდა: 14 იანვარს წმინდა ნინოს დღესასწაულის დღეს, სიონის ტაძარში წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო. რაც გვინახავს და გაგვიგონია, წინა წლებში ამოდენა ხალხი არ ყოფილა ამ დღესასწაულზე. მომეტებულად უფრო, ეგრეთწოდებული, დაბალი ხალხი ესწრებოდა, მთელი ტაძარი გაჭედილი იყო. ამის მიზეზს თვით ეკლესიაში შეიტყობდით: ძლივს ჩვენი

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 233—234.

გალობა გავიგონეთო, ჩვენი გალობით წირვაო. ამ დღეს წირეა ქართველ სამღვდელოებას შეუსრულებია[1].

გრ. ორბელიანი მოგვითხრობს, რომ 1872 წელს სინოდისა და არქიელის განკარგულებით თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლება იკრძალებოდა იმის გამო, რომ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ამიერიდან ქართულ ენაზე აღარ შესრულდებოდა.

ამ ბარბაროსულ განხრახვას საზოგადოება აღუშფოთებია. ქართველი სამღვდელოება შეკრებილა და გრ. ორბელიანისათვის შეჰწეობა უთხოვია. გრიგოლი ლევან მელიქიშვილისადმი მიმართულ წერილში აღნიშნავდა: „აღკრძალვა ქართულთა ლოცვისა ქართველთ ეკლესიაში სისულელეზე უარესია. „ჩვენს ეკლესიაში უნდა აღუკრძალონ სწავლა ქართული ენისა, რადგან არა აქვს ამ ენას მდიდარი ლიტერატურა, და ამის მაგიერ უნდა შეჰოიტანონ ბერძნული ენა. საწყალი სულხანოვი, რომელსაც არ მოსწონებია ეს განკარგულება და უთქვამს, რომ საქართველოში მღვდლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, დაუთხოვიათ სემინარიიდან, ვითარცა წინააღმდეგი მმართველობისა და საშიში კაცი[2].

გრიგოლი თავის რძალ სოფიოსადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „ამას იქით ქართველის მღვდლისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლო დაკარგვა დროისა, მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულისა ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერმა, რევიზორმა და შეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა (ხელაძემ), რომელმანცა თავგამოდებით გულს მოდგინებით და დიდის მჭერმეტყველობით რჩევაში დაამტკიცა, თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე გაქრება სახსენებელი ქართულის ენისა! ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე გამცემელი იუდა"[3].

გრ. ორბელიანს ქართველი სამღვდელოების თხოვნა მოუხსენებია მეფისნაცვლისთვის, რომელსაც აღუთქვამს დახმარება, თუმცა უხალისოდ. გრიგოლი აღნიშნავდა: დიდ მთავარს ეწყინა სინოდისა და არქიელის ასეთი განკარგულება. მომავალ თვეში პეტერბურგს აპირებს გამ-

---

[1] „დროება", 1880, № 11.

[2] ე. მ ა ღ რ ა ძ ე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1973, გვ. 269; ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრ. ორბელიანის ფონდი, № 485.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 271.

გზავრებას და იმედი გვაქვს, რომ სამღვდელოებას გეგმას ჩააშლევინებსო.

ს. მგალობლიშვილი აგრეთვე წერდა: ხმა მოვიდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში სულ მთლიანად აპოკვეთეს სამშობლო ენის სწავლება. სინოდისაგან მოვიდა ქაღალდი, რომ ქართული ენა მაღალ კლასებში აღარ ასწავლონ, — მხოლოდ მოსამზადებელ კლასებში რჩება. ქართულის ადგილს, სლავური გალობა, ბერძნული და ლათინური ენები დაიკავებენ. მეტრიკები მღვდლებმა რუსულ ენაზე უნდა სწერონ. რომელ მღვდელსაც სლავურ ენაზე წირვა-ლოცვა არ შეეძლება, დაითხოვენო. ერთ ქართველს მასწავლებელს პროექტი წარუდგენია—ქართული ენა საჭირო არ არის, ამის მაგიერად ძველი ენები—ბერძნული და ლათინური—დაგვაწესოთო. რაღა კატკოვი და ლეონტიევი რუსეთში და რაღა ეს ჩვენში[1].

როგორც ჩანს, მეფის მთავრობა იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილებისათვის. ამასთან, ქართული ენის გაუქმება სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში არ შეესაბამებოდა თვით ცარიზმის მიზანს—გაევრცელებინა და განემტკიცებინა მართლმადიდებლობა კავკასიაში. ამ საქმეში ქართულ ენაზე მომზადებულ მღვდლებს მცირე როლის შესრულება როდი ევალებოდათ. ამიტომ, 1873 წლიდან, სინოდმა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში კვლავ შემოიღო ქართული ენის არასაშტატო საათები—კვირაში ორი საათი და სემინარიის ოთხ უკანასკნელ კლასში ქართული საღვთო წიგნების კითხვა[2].

ეკლესიისა და განათლების უწყების ბნელ ძალებს ზურგს უმაგრებდა და აქეზებდა რეაქციული პრესა, რომელიც უარყოფდა კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივ ენებზე სწავლების აუცილებლობას. გაზეთი „გოლოსი" (1872, № 170) მოწინავეში წერდა, რომ ქართველს, იმერელს, მეგრელს ერთმანეთის ლაპარაკი სრულიად არ ესმით და ამის გამო თუ კავკასიის ყველა წვრილი ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოვინდომეთ, მაშინ იქაურ სასწავლებლებში ვინ მოსთვლის რამდენი ენის სწავლება დაგვჭირდებაო. ამიტომ კავკასიის წვრილი ერებისათვის აუცილებლად საჭიროა თავი დაანებონ მშობლიურ ენებს და თუ წარმატება და ყოვლის მხრივ რუსეთთან გათანასწორება ჰსურთ, რუსული ენა და ცივილიზაცია შეითვისონო[3].

---

[1] „დროება" № 1872, № 41.

[2] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, 1928, გვ. 272

[3] შეადრ. „დროება", 1872, № 45; ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, გვ 287

1876 წელს „კავკაზმაც“ ადგილი დაუთმო რეაქციონერთა ანალოგიურ გამოხდომას[1]. ქართლში ცხოვრობს თორმეტ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხი, ცალკეული სოფლების სკოლებში ვხვდებით სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს, რომელთაც ერთმანეთის არა გაეგებათ რა, და ასეთ პირობებში ველურობა იქნებოდა მოგვეთხოვა მასწავლებლისაგან, რომ ის იყოს მეტყველი თავის მოსწავლეთათვის. ი. გოგებაშვილმა ნათელყო მთელი ამ მსჯელობის უსაფუძვლობა, თითქოს, ქართლში ერთ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ერთი ქართველი ხალხის მაგიერ, თორმეტ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა. აი, როგორ იბადება ჩვენში აზრი სახალხო სკოლების მუნჯ მასწავლებლებზე, რომელთაც შესაძლებლობა არ ექნებათ ერთი გასაგები სიტყვა მაინც უთხრან თავიანთ მოსწავლეებსო, დასძენდა იგი[2].

მონაჭორი იმაზე, თითქოს საქართველოს, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ ერთმანეთისა არ ესმოდათ, ესე იგი, თითქოს მათ არ გააჩნდათ საერთო ლიტერატურული დედაენა (სამწერლობო ენა), შოვინისტურ წრეებს იმისთვის სჭირდებოდათ, რათა დაემტკიცებინათ: სახელმწიფოში მრავალი ერის არსებობა კულტურის განვითარებას აბრკოლებსო. ეს წრეები ცდილობდნენ ხალხისათვის ჩაენერგათ აზრი პროგრესის, ცივილიზაციის სიკეთის მხოლოდ ერთი, მრავალრიცხოვანი ხალხის ენით მისაწვდომობაზე. უგულებელყოფილი იყო ის ისტორიული ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის ხალხების ცივილიზაციის შექმნაში მრავალი ერი მონაწილეობდა, რომ მისი მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურა იმპერიის ყველა ხალხის შემოქმედების შედეგი იყო.

რეაქციონერები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ კავკასიის ხალხების მიერ მიღწეული ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური განვითარების დონე. მაგალითად, აღინიშნებოდა, რომ რუსების მოსვლამდე ამიერკავკასიის საზოგადოებრივ ურთიერთობაში რაღაც ქაოსი მეფობდა, რომ თითქოს არ იყო გზები, არ არსებობდა ვაჭრობა, ხოლო მოსახლეობა თითქმის მხოლოდ მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდა[3]. ასეთი მტკიცება კი, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება. მაგალითად, საქართველოს კულტურული განვითარების დონის გამო ჩვენი პუბლიცისტიკა რეაქციონერებს მოაგონებდა, რომ საქართველოში, სადაც ყოველთვის მრავალი სხვადასხვა მოდგმის ხალხი ცხოვრობდა,

---

[1] „Кавказ“,1876, № 135, 140.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1955 გვ. 73.

[3] М. Катков, Собрание передовых статей... 1865, № 194, с. 554.

ძველის ძველთაგანვე გამეფებული იყო განსაზღვრული კულტურული ცხოვრება, რომელიც ხელს უწყობდა და ზრდიდა კანონზომიერებით თანაშეზომილს სხვადასხვა ეროვნებათა საურთიერთო ცხოვრებას. აი, ეს კულტურული ბურჯი უზრუნველყოფდა შინაგანს მშვიდობიან აყვავებას, თუმცა გარეშე მტრებთან ომი თითქმის ყოველთვის შეუწყვეტელი ყოფილა. რუსეთის მთავრობამ დიდი ხნის განმავლობაში დღევანდელს მოძრაობამდისაც (მხედველობაშია 900-იანი წლების დამდეგის ამბები. ი. უ.) ვერ მოახერხა მოესპო კავკასიაში ავაზაკობა, მაშინ როდესაც ძველად კიდეც კეთდებოდა და კიდეც ინახებოდა თავ-თავის ადგილას ის ნივთიერ-კულტურული საუნჯე, რომელთა ნაშთებმა განაცვიფრა ქრისტიანული ხელოვნების საუკეთესო მეცნიერები და გული წარსტაცა მათ. შემდეგ კი ეს ნაშთები გახდა კავკასიის ავაზაკთა და სხვა მტაცებელთა სანუკვარ საგნად ამ ჩვენს კულტურულ საუკუნეში[1].

ძველად ამ ქვეყანაში ყოფილა არაჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრების ეპოქები. მაგალითად, სომხის მემატიანე მსითარ აირივანქელი ამბობს, რომ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში მეფე გიორგი III-მ სრულიად მოსპო ქურდობა და ავაზაკობა. მაგრამ რა საშუალებით მოხერხდა ეს საქმე? განა საერობო მცველების შემოღებით? დაკარგვით? საპყრობილეებით? შეშინებით? არა. მხოლოდ ადგილობრივის ეროვნული კულტურის აღორძინებით[2].

* * *

70—80-იანი წლების მიჯნაზე განსაკუთრებით ძლიერდება ცარიზმის მისწრაფება—ქართველი ხალხის ერთ-ერთი ძირითადი ეთნიკური ნაწილი—მეგრელები—ქართული კულტურისგან ჩამოეცილებინა. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია იანოვსკის მიერ ახალსენაკში გამოთქმული მოსაზრებები.

„დროებაში“ (1880 წლის 30 ნოემბერი) მოთავსებული ინფორმაცია აღნიშნავდა: ამ მოკლე ხანში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი ყოფილა ახალსენაკში და დაუთვალიერებია იქაური სასოფლო სასწავლებელი. სხვათა შორის, რუსულად დაუწყია ლაპარაკი სკოლაში ახლად შემოსულ შეგირდებთან. ბავშვებს, რასაკვირველია, მისი საუბარი ვერ გაუგიათ.

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 52—53.

[2] იქვე, გვ. 53.

—რატომ არ იციან რუსულიო, — უკითხავს ბატ. იანოვსკის სკოლის მასწავლებლის ბატ. ლომისაძისაიავის.

—წელს სექტემბერში შემოვიდნენ ესენი სკოლაში, ჯერ ქართულს ვასწავლიო და შემდეგ რუსული უნდა დავაწყებინოო, — უპასუხნია მასწავლებელს.

ამ პასუხს ძალიან გაუჯავრებია ბატ. იანოვსკი:

—როგორ თუ ქართულს ასწავლითო! მე შევნიშნე, რომ თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიურსაო! თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისა! ქუთაისის მასწავლებელთა კრების გადაწყვეტილებას მე არასოდეს არ დავამტკიცებო! და სხვ. და სხვ.

რას ნიშნავს ეს სიტყვები? რა „სხვა მიზანზე“ ამბობს ბატონი იანოვსკი?—რაღაც ცუდი სიო ქრის ამგვარი სიტყვებისაგან, განსაკუთრებით როდესაც ამას წარმოსთქვამს, მთელი კავკასიის მხარის სწავლა—განათლების გამგე პირი[1].

„დროების“ მომდევნო ნომერში მოთავსებული იყო ს. მესხის „ღია წერილი ბატონ იანოვსკისადმი“, რომელშიც მხილებული იყო ამ უკანასკნელის ასიმილატორული პოლიტიკა სახალხო განათლების სფეროში[2].

ამჯერად იანოვსკიმ ვეღარ გაბედა აშკარად გამოეთქვა თავისი აზრი.

„ღია წერილის“ გამოქვეყნების შემდეგ, უმალვე, პრესაში გამოქვეყნდა ახალსენაკის მასწავლებლის წერილი. ავტორი ცდილობდა რამდენადმე შეერბილებინა იანოვსკის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები[3]. გამოქვეყნდა აგრეთვე კოლექტიური განცხადება ახალსენაკის მაზრის უფროსის, მომრიგებელი მოსამართლისა და ქალაქის დეპუტატის ხელმოწერით. ეს პირები ამტკიცებდნენ, რომ ოლქის შრომუნველს არ უთქვამს ის, რასაც მას „დროება“ მიაწერსო.

მომდევნო პერიოდში დ. ყიფიანს, ახალსენაკის ამბებთან დაკავშირებით, ეტყობა გარკვეული კვლევა ჩაუტარებია და იმ დასკვნამდე მისულა, რომ „ღია წერილში“ იანოვსკისადმი წაყენებული ბრალდებები სავსებით შეეფერებოდა სინამდვილეს.

1881 წლის 13 თებერვლით დათარიღებულ წერილში დ. ყიფიანმა ამხილა იანოვსკის ბნელი, მავნე აზრები, მიმართული ადგილობრივი ხალხების ახალგაზრდა თაობის წინააღმდეგ, აგრეთვე, მკაცრად გაკი-

[1] „დროება“, 1880, № 253.
[2] იქვე, 1880, № 254.
[3] იქვე, 1880, № 259.

ცხა იანოვსკის დამცველების პირფერობა და ფლიდობა. დიმიტრი აღნიშნავდა: იანოვსკი „დროებაში“ მოტანილ სიტყვებს უარყოფს—ეს სიტყვები არც ერთი მასწავლებლისათვის და არც ერთ სასწავლებელში მე არასოდეს არ მითქვამსო.

მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა:

1) ყველა აქაურ სახალხო სკოლაში, სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულების ძალით, არსებობს სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ზონარგაყრილი დავთრები, რომლებშიც სიტყვასიტყვით შეაქვთ სხვა-ასხვა უფროსებისა თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირთა ბიერ სკოლის ნახვისას გამოთქმული განკარგულებები და შენიშვნები. ამასთან, არავინ ამბობს, რომ ახალსენაკის სკოლის ასეთ დავთარში შეტანილი არ იყოს ის შენიშვნები, რაც იანოვსკიმ იქ ყოფნისას გაჰოთქვა.

2.) მაზრის უფროსმა ბებურიშვილმა, მომრიგებელმა მოსამართლემ ბერიძემ და ქალაქის დეპუტატმა ჟვანიამ თავისი ძხარდაჭერით შეარცხვინეს სასწავლო ოლქის მზრუნველი და თვითონაც თავი შეირცხვინეს იმით, რომ მოგვეელინენ იმის მოწმედ, რის ნახვაც მათ არ შეეძლოთ: ახალსენაკში იანოვსკის ყოფნის დროს არც ერთ მათგანს ის არ უნახავს, არც ერთი მათგანი არ ხლებია მას ახალსენაკის სკოლის დათვალიერებისას, არ მოუსმენია სკოლის მასწავლებელთან ან ზედამხედველთან მისი საუბარი სკოლაში თუ სკოლის გარეთ.

ეს ორი ფაქტი გვაიძულებს მივმართოთ იანოვსკის ზუსტ სიტყვებს: ამ სიტყვებით არც ერთი მასწავლებლისათვის და არც ერთ სასწავლებელში არასდროს არ მიმიმართავსო. ამ ლოგიკით, „ღია წერილის“ ავტორს შეეძლო ეთქვა: დიახ! თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით! თქვენ მიმართეთ არა მასწავლებელს და არა სასწავლებელში, არამედ სასწავლებლის ინსპექტორს ან ზედამხედველს ან სასადილოში ან ბუფეტში[1].

იანოვსკისადმი წაყენებული ბრალდებების დამადასტურებელ საბუთად დ. ყიფიანს ისიც მიაჩნდა, რომ ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი მარსოვი, შესაძლოა აგრეთვე იმის გამო გადაიყვანეს ქუთაისიდან ბაქოსა და დაღესტანში, რომ მან გაჩუმება არჩია ახალსენაკის საქმეების გამო, რომლის მოწმე ისიც იყო[2].

ახალსენაკის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი ლომინაძე შეეცადა იანოვსკის რეაბილიტაციას. მაგრამ ის იძულებული გამ-

[1] «Закавказье», 1912, № 189.

[1] იქვე, № 190

ხდარა სიმართლის ნაწილი მაინც დაედასტურებინა. ამ მასწავლებლის მოწმობით, იანოვსკისთან შემდეგი შინაარსის საუბარი გამართულა:

—ჩემთან ყოფნისას მსრუნველმა მკითხა, როგორ ვასწავლი მე ყმაწვილებს. მე ვუპასუხე: ჯერ ვასწავლი ქართულს და მერე რუსულს დავაწყებინებ-მეთქი. ამაზე იანოვსკიმ თქვა:

—ჩემი აზრით, რადგან მეგრელების დედაენა მეგრული არის, ამისათვის შეიძლებოდა მეგრულიდან პირდაპირ რუსულზე გადასულიყავით.

—მე კი ვამტკიცებდი, რომ, თუ ქართული არ შეისწავლეს ბავშვებმა, ისე რუსულზე გადასვლა არ შეიძლება-მეთქი, რადგანაც ამ ქართულ ენაზე წარმოებს მწერლობა და ეს ენა უნდა ჩაითვალოს მეგრელების დედაენად, როგორც მქონებელი ანბანისა და საზოგადოდ ძირითადი ენა ყველა ქართველებისა[1].

იანოვსკი, ეს [illegible]ულებრივი პოლიტიკური მაბეზღარი და ფარისეველი, რომელსაც სხვა ხალხების ბედი ჩირადაც არ უღირდა და მათს გადაგვარება-გადაშენებას სერიოზულად ცდილობდა, თავისი სიკვდილის წელს გამოქვეყნებულ „მოგონებებში“ იმას კი არ იხსენებდა, რა ზიანიც ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსწავლე თაობის აღზრდა-განათლების საქმეს მიაყენა, იმას კი არ ნანობდა, რომ სისტემატურად აბეზღებდა ამიერკავკასიის ხალხებს იმპერიის ხელისუფლებასთან, არამედ გულაჩუებით იგონებდა: ჩემს ბავშვობაში, მოსწავლედ ყოფნისას, ერთი ბავშვი, რომელმაც მეორეს სცემა, დავასმინე და აქამდე ვნანობ, რომ ეს გავაკეთე[2].

XI თავი

80-იანი წლების რეაქცია

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს საქართველოში შავბნელი რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა, ასიმილატორული პოლიტიკა დაუფარავად მოქმედებდა. ალექსანდრე III-ის დროიდან საქართველოში მხო-

[1] „დროება“, 1880, № 259.

[2] К. П. Яновский. Воспоминания и мысли. «Русский вестник», 1902, № июнь-ноябрь. с. 133.

ლოდ პოლიციურ-რეპრესიული ღონისძიებები ტარდებოდა[1]. ამბების თვითმხილველის, შემდეგში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის — გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის—მოწმობითაც, ისეთი ფრიად კონსერვატიული მმართველის დროს, როგორიც იყო ალექსანდრე III (მის დევიზს ახალგაზრდობიდანვე ნაციონალიზმისადმი თავდადება წარმოადგენდა), მწვავე ასიმილატორული პოლიტიკა უაღრესად რელიეფურად გამოიკვეთა[2]. 70—80-იან წლებში რეაქციის სულისჩამდგმელებს კ. პობედონოსცევს და დ. ტოლსტოის, ალექსანდრე III-ის გამეფების შემდეგ მეტი გასაქანი მიეცათ. ამ დროიდან იწყება აღვირახსნილი, წარმოუდგენლად უაზრო და მხეცური რეაქცია.

თვითმპყრობელობის ძველმა ნაციონალიზმმა ადგილი დაუთმო შემტევ შოვინიზმს, რომელმაც არარუს ხალხებსე იერიში მიიტანა და მათ ეროვნულ არსებობას დაემუქრა. 1882 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლობა და დაწესდა კავკასიის მთავარმართებლობა.

მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი პეტერბურგში გაიწვიეს. კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა ა. დონდუკოვ-კორსაკოვი (1882—1890), მძვინვარე რეაქციის ერთგული აგენტი. დონდუკოვ-კორსაკოვის კავკასიის მთავარმართებლად დანიშვნით საქართველოში დასაბამი ეძლევა აშკარად რეაქციულ დიქტატურას[3]. საქართველოს ეგზარქოსად პავლეს (პეტრე ლებედევი) დანიშვნით რეაქციას ახალი ძალა შეემატა[4]. კავკასიის ადმინისტრაციის რეაქციული პოლიტიკის გატარებაში აგრეთვე დიდ როლს ასრულებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი. ეს სამეული, კავკასიის არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული აქციების განმახორციელებელ თავისებურ ოპერატიულ შტაბს წარმოადგენდა, რომელიც საიმპერიო ხელისუფლების მიზანდასახულებათა შესრულებისას ფრიად დიდ გულმოდგინებას იჩენდა. ამასთან, კავკასიაში მომსახურე მოხელეების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში იმპერიის

---

[1] И. А. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., с. 40.

[2] Г. А. Багратион-Давидов, Мой воспоминания, г. Боржом, 1927 г. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, S—78, გვ. 176.

[3] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 228.

[4] ლებედევი საქართველოს ეგზარქოსად იყო 1882 წლის 16 ივლისიდან 1887 წ. 29 სექტემბრამდე. გადაყვანილ იქნა ყაზანში, სადაც გარდაიცვალა (Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Е. К. Тифлис, 1901, გვ. 28--29).

ცენტრალური აპარატის წარმომადგენლებიც და სხვა მოხელეებიც უშუალო, ქმედითს მონაწილეობას იღებდნენ.

ამიერკავკასიისა და საერთოდ იმპერიის სხვა არარუსი ხალხების წინააღმდეგ მეფის მმართველობა ორგანიზებულად გამოდიოდა. ამასთან, ცარიზმის მოხელეთა საქმიანობაში პოლიტიკური სპეკულაციის მეთოდს შესაფერისი ადგილი ეკავა. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ რუსეთის რეაქციის ერთ-ერთი ბურჯი, სინოდის ობერ-პროკურორი კ. პობედონოსცევი, რომელიც იმის გამო წუწუნებდა, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში რუსებს ავიწროებენო. ალექსანდრე III-ისადმი მიმართულ წერილში (1883 წ.) პობედონოსცევი აღნიშნავდა: პოლონელები, კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად, ცდილობენ კათოლიკობაზე მოაქციონ და პოლონელებად გახადონ რუსი ტომის ადამიანები. რუსების ეროვნული გასრესის მიზნით, ისინი ცდილობენ შეცვალონ რუსული ანბანი ლათინურით, განდევნონ რუსული ენა სკოლიდან, რუსი სამღვდელოება შეცვალონ ლათინური სამღვდელოებით, რუსული მონასტრები და სასულიერო სკოლები ჩაგდონ იეზუიტთა ხელში. ამჟამად მთელი პარლამენტური ხელისუფლება მადიარებისა და პოლონელების ხელშია—ისინი შეუბრალებლად და უსინდისოდ ახშობენ ყველა სხვა ხალხს. რაც შეეხება არჩევნების სისტემას, ის, იმავე უნგრელებისა და პოლონელების მიერ ისეთი ცბიერებით არის მოწყობილი, რომ არავითარ სხვა სლავურ ეროვნებას არ შეუძლია პარლამენტში ძლიერი ხმა ჰქონდეს. თვით გალიციაში, სადაც მთლიანად რუსები ცხოვრობენ, მთელი ადმინისტრაცია და ძალაუფლება პოლონელების ხელშია. პობედონოსცევის აზრით, ყველა ის უკანონობა, რასაც ავსტრიაში ჰქონდა ადგილი იქაური პარლამენტური მმართველობის გამო იყო[1].

ავსტრია-უნგრეთის მთელ რიგ ხალხებს (რუსები და სხვა სლავები, იტალიელები და ა. შ.), მართლაც ავიწროებდა მმართველობა. ამასთან, ლენინის აზრით, ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები დაჩაგრული სლავები მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე სლავები მეფის რუსეთში—ამ ნამდვილ „ხალხთა საპყრობილეში"[2]. პობედონოსცევისათვის, რა თქმა უნდა, უცნობი არ იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ხალხის უუფლებო მდგომარეობა, მაგრამ ამის თაობაზე არაფერს ამბობდა და ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, რომ იმპერიის ყველა არარუსი ხალხი ვალდებული იყო ელოცნა რუსეთის იმპერატორზე იმ სიკეთის

[1] Письма Победоосца к Александру Ш. т. II, М., 1926, с. 9—13, 11 Марта 1883 г.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 367—368.

გამო, რაც მას ამ სახელმწიფო გაერთიანებაში ჰქონდა დათესილი. პობედონოსცევი, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებდა ავსტრიის იმპერიაში რუსების და, საერთოდ, სლავების შეკიწროებაზე, მეორე მხრივ, სრულიად არაფერს ამბობდა ცარიზმის პოლიტიკაზე, რომელიც არარუსი ხალხების ძალდატანებითი ასიმილაციისაკენ იყო მიმართული, უფრო მეტიც, იგი უშუალოდ და ძალზე აქტიურად მონაწილეობდა ამ პოლიტიკის გატარებაში.

ასე იყო საერთოდ. როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა ვთქვათ ალჟირის გაფრანგებაზე, ინდოეთის გაინგლისელებაზე ან ავსტრიისა და გერმანიის სლავიანთა გაგერმანელებაზე, რეაქციონერებს „თუ არ გაბრაზებით და დორბლით პირზე, ისე ხმის ამოღება არ შეუძლიათ“. როცა უცხო ქვეყნებს შეუხება საქმე რადიკალებიც არიან და ერების დამცველნიც, ხოლო როცა რუსეთის იმპერიის ხალხებზე ლაპარაკობენ, მაშინ კი მათი ლოგიკა იცვლება და ჩვენი გვარტომობისა და ენის შეცვლას გვირჩევენო—წერდა „დროება“[1].

ყველაზე დახავსებული რომელიმე პროფესიონალი ასიმილატორიც კი, ცარიზმის ამა თუ იმ ღონისძიებას საქართველოში წარბშეუხრელად რომ ატარებდა, ამავე დროს, ხშირად აღტაცებით ხვდებოდა გარიბალდის გამარჯვებას ავსტრიელებზე, ან აღშფოთებას გამოთქვამდა ირლანდიაში გატარებული ინგლისის პოლიტიკის გამო[2].

პობედონოსცევის აზრით, ავსტრიაში მცხოვრები რუსებისა და საერთოდ სლავების ეროვნული ჩაგვრა პარლამენტური მმართველობის შედეგი იყო, რუსეთში კი შეუზღუდავი მონარქია არსებობდა, ამის გამო, აქ ერებს შორის ურთიერთობაში, არ შეიძლება რაიმე უსამართლობას ჰქონოდა ადგილი. რუსეთში არ არის პარლამენტური დაწესებულების მსგავსი რამ, არის ძლიერი მონარქია და ესაა მთავარი. მონარქია წარმოადგენს ძირითად გარანტიას, რომ ხალხებს შორის ყოველგვარი სიკეთე სუფევდეს.

პობედონოსცევი, ისევე როგორც არაერთი სხვა რეაქციონერი, ხალხთა ბედის საკითხს პოლიტიკური საკითხისადმი დაქვემდებარებულ მომენტად მიიჩნევდა და აქედან გამომდინარე დაასკვნიდა: მონარქიის ყოველი ღონისძიება მხოლოდ ხალხთა სიკეთისაკენ არის მიმართული და, ცხადია, შეუძლებელია ასეთი მმართველობის პირობებში რაიმე ეროვნულ შევიწროებაზე ლაპარაკიო.

---

[1] „დროება“, 1876, № 14.

[2] А. Сумбатов. В мощных обятиях. Петроград, 1919, с. 51.

ავსტრიის მმართველობის ღონისძიებების შეფასებისას იქაური სლავების მიმართ პობედონოსცევი აღნიშნავდა: როგორი უგუნური უნდა იყოს მთავრობა, რომელიც უშვებს ასეთ უკანონო დევნას, რითაც ტყუილუბრალოდ აღიზიანებს მთელ ხალხს[1]. პობედონოსცევის აზრით, ავსტრიის მმართველობა (მონარქია) უგუნურია, რაკი ის პარლამენტურ საწყისებს ეყრდნობა, ხოლო რუსეთის იმპერიის მმართველობა არ შეიძლება არ იყოს გონიერი, რადგან ის წმინდა მონარქიულ საწყისებზეა აგებული. პობედონოსცევს უდიდეს მკრეხელობად მიაჩნდა გაფიქრებაც კი რუსეთის სახელმწიფოს მართვაში რაიმეს შეცვლაზე. იგი წერდა: რამდენად უგუნურნი, რამდენად დაბრმავებული იყვნენ ის ქვაზი-სახელმწიფო რუსი ადამიანები, რომლებმაც განიზრახეს რუსეთის თითქოს განახლება და არეულობა-ამბოხებათა აღკვეთა მთავრობის მიერ რაღაც წარმომადგენლობითი პალატის დაარსებით[2]. პობედონოსცევი თრთოდა იმ აზრის გამო, რომ რუსეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის მიერ წამოყენებული პროექტები მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვის ლიბერალიზაციას, რასაც, მისი აზრით, თვითმპყრობელობის საფუძვლების შერყევა შეეძლო.

რეაქციის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და სულისჩამდგმელი პობედონოსცევი მოქმედებდა არა მხოლოდ განსჯის სფეროში, იგი ფრიად ოპერატიულადაც მონაწილეობდა ცალკეული კონკრეტული საკითხების გადაჭრაში. მაგალითად, კისლოვოდსკში პობედონოსცევისა და დონდუკოვ-კორსაკოვის 1886 წლის ზაფხულის მრავალი შეხვედრები და თათბირები იმით დამთავრდა, რომ სინოდის ობერ-პროკურორმა, კავკასიის მთავარმართებელზე უწინ, იმპერატორის წინაშე დააყენა საკითხი დ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნასა და გადასახლებაზე, რითაც უზრუნველყო ამ ყოვლად უსამართლო და უკანონო ღონისძიების განხორციელება[3]. ცოტა ხნის შემდეგ კი სინოდის ობერ-პროკურორი იმპერატორს პირდაპირ კარნახობდა: ჩვენ მოგვიწევს მნიშვნელოვნად შევცვალოთ თბილისის სასულიერო სემინარიის დამრიგებელთა კორპორაცია, საერთოდ, და ყველა ქართველი დამრიგებელი... თბილისიდან შიდა გუბერნიებში გადავიყვანოთო[4].

80-იანი წლების რეაქცია მიმართული იყო მთელი რუსეთის რევო-

---

[1] Письма Победоносцева к Александру III, т. II, с. 9.
[2] იქვე, გვ. 12.
[3] იქვე, გვ. 112—113.
[4] იქვე, გვ. 116.

ლუციურ-პროგრესული ძალების წინააღმდეგ. ამასთან, რეაქცია განსაკუთრებული გააფთრებით რუსეთის იმპერიის არარუს, ჩაგრულ ხალხებს უტევდა. ცარიზმი არარუსი ხალხების მოსპობას მათი ასიმილაციით და მათ შორის კოლონისტების ჩასახლებით ცდილობდა. კულტურის, პრესის, განათლების და საეკლესიო სფეროში დამკვიდრდა მკაცრი ზედამხედველობა და ცენზურა. ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ წიგნებსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა შეშვეობით ხალხში ვრცელდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ჰუმანისტურ-პროგრესული და დემოკრატიული შეხედულებანი. ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე წარმომადგენლების დევნა ყოველდღიურ მოვლენად იქცა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიძრაობის გამოჩენილ წარმომადგენლებზე, რომლებიც ქართულ ენასა და მრავალსაუკუნოვან კულტურას იცავდნენ, საგანგებო პოლიციურ მეთვალყურეობას აწესებდნენ. მათი დევნა, შევიწროება, ხოლო ზოგჯერ დაპატიმრებაც ჩვეულებრივი ამბავი იყო[1]. რეაქციის ძალები საქართველოში საგანგებო ღონისძიებებს ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ენის მოსასპობად, ქართული ენის დასანაწევრებლად და სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთისათვის დასაპირისპირებლად, დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად[2]. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში თვით სიტყვა „საქართველოს“ შეტანაც კი აკრძალული იყო[3].

ეს იყო იმპერიის ეგრეთ წოდებული მცირე ხალხების (მათ შორის ქართველების) ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი, რომელზედაც ნ. ლომოური აღნიშნავდა: „ადამიანი მწუხარებით სავსე გულით დასცქერის ამ უკუღმართ წუთისოფელს, საიდგანაც სამართალი და პატიოსნება ძალმომრეობას განუდევნია და თვით გარდაქცეულა ცხოვრების უპირველეს კანონად. რა უნდა ჰქმნას პატიოსანმა მოღვაწემ იმისთანა დროს, როდესაც მხეცური ძალა, გაიძვერობით და ვერაგობით შემოსილი, კაცობრიობას თვის კერპად აღუმართავს და მის ბომონს, სისხლითა და ცრემლით შესვრილს, მოწიწებით, გულმოდგინით თაყვანს სცემს“[4].

---

[1] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. 5, თბ. 1970, გვ. 643.

[2] ი ქ ვ ე, 1970, გვ. 644.

[3] გ რ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 254.

[4] ლიტერატურის მუზეუში, № 19683—ხ.

80-იანი წლებიდან, შავი რეაქციისა და ეროვნული დევნის გაბატონების გამო, ქართველი ხალხი არაჩვეულებრივად მძიმე რეპრესიების ბრჭყალებში მოექცა. რეაქციამ შეუტია ქართულ ენას, სკოლას და დაგმო ქართველთა ის უფლება, რომელიც მათ სამსახურში თანამდებობის დაკავებისას ენიჭებოდა. მმართველობამ ადამიანთა ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლებების წინააღმდეგ გაილაშქრა. ცარიზმი არარუსი ერების წარმომადგენლებს საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა სფეროში სდევნიდა.

აქ ლაპარაკია ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებების ისეთ შელახვაზე, რაც საზოგადოების მხოლოდ ნაწილს კი არ ეხება, მხოლოდ ცალკეულ მოქალაქეებზე ან რომელიმე სოციალურ ფენაზე ან ჯგუფზე კი არ ვრცელდება, არამედ მთელ ერს მოიცავს. ამ დროს დევნას განიცდი მთელი ერი და ასეთ შემთხვევაში შელახულია არა მარტო ცალკეული ჯგუფების მოქალაქეობრივი უფლებები, არამედ შელახული და უგულებელყოფილია მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესები და მისი უფლებები თვით არსებობისა. ასე, რომ, 80-იანი წლების ცარიზმის პოლიტიკის მიზანი იყო არა მარტო ადამიანთა მოქალაქეობრივი უფლებების შელახვა, არამედ მთელი არარუსი ერების უფლებათა გათელვა და აბუჩად აგდება.

ასიმილატორული პოლიტიკის გამო ცარიზმსა და არარუს ხალხებს შორის გადაულახავი უფსკრული იყო შექმნილი[1]. მათ შორის ურთიერთობას ანტაგონისტური ხასიათი ჰქონდა. ხელისუფლების ორგანოები და მათი წარმომადგენლები ხალხში ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ეს კარგად ჩანდა 80-იანი წლების საქართველოს მაგალითზეც.

„ტრიუმვირატს", რომელსაც მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარქოსი პავლე და სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი შეადგნდნენ, დავალებული ჰქონდა დაეგეგმა და განეხორციელებინა კავკასიის ხალხების ეროვნული არსებობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი. მმართველობის ამ წარმომადგენელთა აშკარად მავნე საქმიანობა ყველასათვის ცხადი იყო. ამის გამო, 80-იან წლებში მმართველობის ამ წარმომადგენელთა მისამართით ხალხში საიდუმლოდ გავრცელდა აკაკი წერელის დამცინავი ლექსი „ახლანდელი პოლიტიკა" („მოლამ, ყადმა და ჰაჯიამ შეჰკრეს კავშირი ძლიერი...")[2].

---

[1] Тезисы к XII съезду РКП (б), одобренные ЦК партии (1923 г.). И. Сталин. Марксизм и национально - колониальной вопрос, 1953, стр. 105.

[2] აკაკი წერეთელი, ახლანდელი პოლიტიკა, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1950, გვ. 172—173.

აკაკის ეს ლექსი დაუყოვნებლივ გადაუთარგმნიათ პოლონეთში და იქ თურმე ოჯახებში როიალზე ამღერებდნენ[1].

ცარიზმის მოხელეები ყოველად უცერემონიოდ მოქმედებდნენ. აი, როგორ ახასიათებდა ახალი ეგზარქოსის „მოღვაწეობას“ ი. გოგებაშვილი: — მხოლოდ წელიწადზე ცოტა მეტმა განვლო, რაც კავკასიაში ჩამოვიდა საქართველოს ახლანდელი ეგზარქოსი პავლე, მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაში მან ცხადად გამოავლინა თავისი ტომობრივი განკერძოებულობა და მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემულობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა, თუმცა ის პირველად არ ხედავს თავის წრეში მწუხარებით მოსაგონარ მსგავს მოღვაწეებს[2].

ქართველებს აკრძალული აქვთ იოცნებონ არა მარტო საქართველოს ეგზარქოსის მაღალ პოსტზე, არამედ სასულიერო სემინარიის რექტორისა და ინსპექტორის თანამდებობაზედაც კი. ქართველები მხოლოდ მეორეხარისხოვან თანამდებობაზე — სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველებად—დაიშვებოდნენ, ხოლო პავლემ თავისი ჩამოსვლის პირველსავე დღიდან მიზნად დაისახა ყველა ქართველი ზედამხედველის გადაყენება. პავლეს ამ მისწრაფებამ, რომელიც ყველასათვის ცნობილი ვახდა, პირადი ინტერესების ნიადაგზე ახლანდელი ზედამხედველებით უკმაყოფილო პირთა შორის გააღვიძა მდაბალი ინსტინქტები, წააქეზა ისინი ინტრიგებისათვის, საწინააღმდეგო მოქმედებისა და დაბეზღებისათვის. თბილისის, თელავისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები უკვე დათხოვნილი არიან და შეცვლილი არაქართველებით. სხვა ზედამხედველების მდგომარეობაც შერყეულია და ყველაფერი მზადაა მათ დასათხოვნად. ეს მოქმედება განსაკუთრებით უსამართლო იყო, რადგან ეს ზედამხედველები, გარდა თითო-ოროლა გამონაკლისისა, იყვნენ ნიჭიერი, საქმიანი და უანგარო პირები, რომლებიც ენერგიულად და გონივრულად განაგებდნენ მინდობილ საქმეს. პავლეს დანიშვნამდე ცოტათი ადრე, გამოჩენილმა პედაგოგმა მიროპოლსკიმ, როგორც სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრმა, მოახდინა ქართული სასულიერო სასწავლებლების რევიზია, უდიდესი ქებით მოიხსენია ყველა ზედამხედველი და დააყენა რუსეთის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა გვერდით.

[1] ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 492.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I თბ., 1965, გვ. 416.

ღაახლოებით 1886—1887 წლებში შედგენილ თაეის ჩანაწერებში ი. გოგებაშვილი გვაცნობს ეგზარქოს პავლეს მიერ გატარებულ რეპრესიულ ღონისძიებებს:

1. პავლეს დანიშვნიდან მცირე ხნის შემდეგ ადგილი ჰქონდა სასულიერო სასწავლებლების ქართველი ზედამხედველების შეცვლას არაქართველებით. ამ უკანასკნელთ ქართული ენა არ იცოდნენ და იძულებული იყვნენ თარჯიმნების საშუალებით ესაუბრათ მოსწავლეთა მშობლებთან და სასწავლებლებში ახლად მოყვანილ ბავშვებთან. 2. პავლეს დროიდან მოსპეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში საღმრთო ისტორიის და კატეხიზმოს სწავლებისას. შეკვეცეს ქართული ლიტერატურის პროგრამა და შემოფარგლეს იგი ზოგიერთი საეკლესიო-ღვთისმსახურების ნაწარმოებით; საეალდებულო გახადეს ქართული სასულიერო ლიტერატურის უსათუოდ რუსულ ენაზე სწავლება, შესღუდეს აგრეთვე ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში ამავე ენის გაკვეთილებზე. არასავალდებულო გახდა ქართული ენის შესწავლა ქართველი ხალხის მომავალ მოძღვართათვის. ამის გამოა, რომ ზოგიერთი ქართველი სემინარიელის ატესტატში ვხვდებით ქართულ ენაში ნიშნის მაგივრად შენიშვნას—„არ უსწავლიაო". 3. ეპარქიული სასწავლებლის ინსპექტორმა პრიხოდინმა ინსპექტორის ადგილი დაკარგა იმის გამო, რომ მან აღძრა შუამდგომლობა საგანგებო თანხის გამოყოფაზე ქართული ენის გაკვეთილების რიცხვის გასაღიდებლად. 4. პავლე არამც თუ თვითონ არ ცდილობს ისწავლოს ქართული ენა და ღვთისმსახურების დროს ლოცვები წარმოთქვას ქართულ ენაზე, არამედ სხვა რუსებსაც არ აძლევს საშუალებას ისწავლონ თავისი მრევლის ენა. 5. ალექსანდროვის ეკლესიაში, რომლის მრევლი ნახევრად ქართველებისგან შედგება, ორივე მღვდლად რუსები დანიშნეს, მათ ქართული ენა არ იციან და მრევლის ქართულ ნაწილს არა აქვს შესაძლებლობა მოისმინოს წირვა-ლოცვა გასაგებ ენაზე, რაც ეწინააღმდეგება ერთ-ერთი მსოფლიო კრების დადგენილებას. სასულიერო ხელისუფლებამ გასცა ბრძანება, რომლის თანახმად, ქართველს არა აქვს უფლება ითხოვოს დიაკვნის ადგილი სოფლებშიც კი, თუ მან არ იცის რუსული ენა. 7. ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და მისი ნოტებზე გადაღების მიზნით, ჩამოყალიბდა კომიტეტი, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი, რომელიც ამ საქმის საწინააღმდეგო აზრს ადგა; ეს საქმე ჩაიფუშა, ხოლო როცა ამ აზრის განხორციელებას ხელი მოჰკიდა თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა და შეუდგა ქართული გალობის

ნოტებზე გადაღებას საქართველოს ეპარქიის ქორეპისკოპოსის ალექსანდრეს მატერიალური დახმარებით, ქართული საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნენი—მღვდლები კარბელაშვილები—ბოლოდნელად თბილისიდან პროვინციაში გადაიყვანეს, რის გამოც იპოლიტოვ-ივანოვი იძულებული გახდა შუა გზაზე მიეტოვებინა საეკლესიო სიმღერების ნოტებზე გადატანა. 8. სემინარიაში ისეთი გულმოდგინებით ახორციელებენ დამსჯელ ზომებს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილ და გარიცხულ მოსწავლეთა რიცხვი ორმოცდაათამდე აღწევს. ამის გამო სემინარიის პირველ კლასში შესული ოთხი მოსწავლიდან მხოლოდ ერთი ამთავრებს კურსს, ხოლო დანარჩენ სამს ითხოვენ ან რიცხავენ სემინარიიდან. 9. არავინ ზრუნავს სემინარიელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. სემინარიელების ფერმკრთალობამ, ღონემილეულობამ, მათმა ღარიბულმა ჩაცმულობამ ყველა გააკვირვა ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს. 10. ადრე უფროსის უხეშად შეურაცხყოფისათვის მოსწავლეს სჯიდნენ, ხოლო უფროსი გადაჰყავდათ შიდა რუსეთში, ახლა კი (პავლეს დროს) მოსწავლეს რიცხავენ, ხოლო უფროსებს დაუყოვნებლივ აჯილდოებენ და ტოვებენ თავის ადგილზე. 11. სემინარიაში თორმეტი დამრიგებლიდან მხოლოდ სამია ქართველი. არც ერთი ქართველი არ არის პედაგოგიური საბჭოს წევრი, რომელიც მოსწავლის ბედს წყვეტს. 12. ახლანდელი რუსი დამრიგებლების წრე არის კორპორაცია, რომელიც ყოველივე ქართულს უარყოფითად უყურებს. მას არ სურს იცოდეს არც ენა, არც ისტორია და არც ყოფაცხოვრება იმ ხალხისა, რომლისათვისაც მოღვაწეებს ამზადებს. ისინი ზრუნვით, ჰუმანურად ეპყრობიან რუს მოსწავლეებს, ხოლო ქართველებს—გულცივად, მკაცრად[1].

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად ჯერ კიდევ 1878 წელს დანიშნეს კ. იანოვსკი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1899 წლამდე დაჰყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ის დაუცხრომლად ცდილობდა სკოლიდან ადგილობრივი ენების განდევნას. მადლიერმა საიმპერიო ხელისუფლებამ 1900 წელს იანოვსკი სახელმწიფო საბჭოს წევრად დანიშნა. იმავე წელს გამოიცა მისი „ფიქრები სწავლა-აღზრდის შესახებ", რომელშიც ჩამოთვლილია მის მიერ გაზიარებული იმ დროის პედაგოგიკის პრინციპები. ავტორი აღნიშნავდა, რომ აღზრდის მიზანს უნდა შეადგენდეს მოსწავლეებში ქრისტიანული ზნეობისა და ისეთი გრძნო-

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის. თხზულებანი, ტ. 2, თბ. 1954, გვ. 149.

ბების განვითარება, როგორიცაა მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ, სიკეთისა და სილამაზისაკენ! აგრეთვე პატრიოტული სულისკვეთების გამომუშავება[1].

რასაკვირველია, იანოვსკისათვის ჭეშმარიტება, სიკეთე, პატრიოტიზმი და ა. შ. ისეთი ცნებებია, რომლებიც მხოლოდ ცარიზმის ერთგული ქვეშევრდომების აღზრდა-ჩამოყალიბების ინტერესებით უნდა ყოფილიყო შეპირობებული.

დასახელებულ ნაშრომში იანოვსკი იძლევა გიმნაზიის სანიმუშო ცხრილს. მასში თორმეტი საგნის სწავლება იყო გათვალისწინებული, რომელთაგან ხუთი ადგილი ენებს ეკავათ (რუსული, ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული)[2]. იმ გიმნაზიებისათვის, რომლებშიც უმრავლესობას არარუსი მოსწავლეები შეადგენდნენ, ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სასწავლო ცხრილის იმგვარად შეცვლას, რომ რუსული ენისათვის უფრო მეტი გაკვეთილები დაეთმოთ. არარუსი ბავშვების მშობლიური ენისათვის, იანოვსკის ცხრილში ადგილი არ გამოინახა. გარდა ამისა, ამ ბავშვებისათვის მიუწვდომელი რჩებოდა თავისი ხალხის ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია. ასეთი იყო იანოვსკის მისწრაფება „სიკეთისა და ჭეშმარიტებისაკენ".

* * *

კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველად კ. იანოვსკის დანიშვნას ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი გარკვეული იმედებით შეხვედრია. კერძოდ, „დროება" აღნიშნავდა: „აქ კი დღემდინ მუდამ და ყველგან ირღვეოდა პედაგოგიის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზე უნდა მიიღოს პირველ-დაწყებითი სწავლაო. სხვა, გარეშე მიზეზებმა, სრულებით არა-პედაგოგიურ მიზეზებმა და გარემოებამ დაავიწყებინა, გაათელვინა ფეხ-ქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება". და „თქვენგან მოველით ახლა ამ ჭეშმარიტების აღდგენასო"[3].

---

[1] К. Т. Яновский, мысли о воспитании и обучении, СПБ., 1900, с. 5.

[2] იქვე, გვ. 142—143.

[3] „დროება", 1878, № 267; ს. მესხი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 104.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იანოვსკი სიტყვით მხარს უჭერდა ბავშვების მიერ მშობლიური ენის შესწავლას. ეტყობა ეს იყო მანევრი, რათა საზოგადოებისათვის თავი სწავლა-განათლების ჭეშმარიტ მზრუნველად მოეჩვენებინა. სინამდვილეში იანოვსკის მიერ გამოთქმული სურვილი ლიტონ სიტყვას წარმოადგენდა, რადგან მის განსახორციელებლად საჭირო საფუძვლების შექმნისათვის არაფერი კეთდებოდა.

იმდროინდელი პრესა გვაცნობს იანოვსკის ტაქტიკის ერთ დეტალს. ქუთაისში ყოფნისას, 1879 წლის დასაწყისში, იანოვსკის დაუვლია იქაური სასწავლებლები და ყველაგან რჩევა მიუცია, რომ დედაენის (ესე იგი, ქართული ენის) სწავლას ჯეროვანი ყურადღება უნდა ექცეოდესო. იანოვსკის ასეთი მოწოდება „დროებას" რამდენადმე სანუგეშო ნიშნად მიუჩნევია, მაგრამ იქვე აღუნიშნავს, რომ ცარიელი რჩევით ამისთანა საქმეში ბევრი არა გაეწყობა რაო. გაზეთის აზრით, მშობლიური ენის შესწავლა მხოლოდ მაშინ შეიძლება რიგიანად, როდესაც: ა)ქართული ენა სავალდებულო საგანი გახდებოდა გიმნაზიებსა და საზოგადოდ ყველა სასწავლებელში, ესე იგი, როდესაც ყველა მოვალე იქნებოდა, ისეთივე ყურადღება მიექცა ამ ენის შესწავლისათვის, როგორც ჰქონდა, მაგალითად, რუსულ ენას, მათემატიკას, საღმრთო წერილს და სხვა საგნებს; ბ)როდესაც ქართული ენის მასწავლებელს საშსახურში შტატის მასწავლებლად ჩარიცხავდნენ, ესე იგი, მიანიჭებდნენ ყველა იმ უფლებასა და უპირატესობას, რაც სხვა საგნების მასწავლებლებსა ჰქონდათ; გ) როდესაც ქართული ენის სწავლება პროგიმნაზიულ კლასებში კი არ გათავდებოდა, არამედ ყველა კლასებში იქნებოდა დაწესებული; დ) როდესაც ქართული ენის პროგრამაში, თვითონ ენისა და ლიტერატურის გარდა შეტანილი იქნებოდა, შეძოკლებით მაინც, უმაღლეს კლასებში საქართველოს ისტორია[1].

შემდეგში იანოვსკი, უკვე ყოველგვარი რევერანსების გარეშე მოქმედებდა და მთელი ძალით ცდილობდა არარუსი ხალხების მოსწავლე ახალგაზრდობის გადაგვარების საქმის წინ წაწევას. 1880 წელს „დროებაში" დაბეჭდილი „ღია წერილის" ავტორი სერგეი მესხი იანოვსკის მისამართით აღნიშნავდა: ჩვენ აღტაცებული ვიყავით, როცა თქვენი დანიშვნის ამბავი შევიტყვეთ. თქვენი წინა მოადგილის ნეველოვის გამოცვლამ გაგვახარა. „ის კაცი არ გვიყვარდა, და არ გვიყვარდა იმიტომ, რომ თავის უმაღლეს თანამდებობის აღსრულების დროს ის უფრო სხვა

[1] „დროება", 1879, №59; ს. მ ე ს ხ ი. ტ. III, 1964, გვ. 146—147.

მიზნებს მისდევდა... პოლიტიკოსმა დასძლია იმაში პედაგოგი. ნაციონალური ვიწრო მიზნების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე"[1]. სამწუხაროდ, რაღაც სხვა ხმები გვესმის თქვენს საქმეებზე. თქვენ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა შეკრებას მისწერეთ, რომ ეცადეთო, მასწავლებელთა კრებამ გადაწყვიტოს, რუსული ენის შესწავლა სასოფლო სკოლებში პირველ წლიდანვე დაიწყონ შეგირდებმაო. ნამდვილად ვიცით, რომ ის აზრი, რასაც ქუთაისის მასწავლებელთა კრებაში იცავდა სემიონოვი—სოფლის სკოლებში პირველ წელიწადსავე უნდა დაიწყონ ქართველმა ბავშვებმა რუსული სიტყვების გაზეპირებაო —არის თქვენი და არა სემიონოვის აზრი. „დროების" წინანდელ (№ 253) ნომერში მოთავსებული იყო თქვენი სიტყვა ახალ-სენაკის სკოლის მასწავლებლისადმი. თუ როგორ გაუჯავრდით ამ მასწავლებელს: რატომ წელს შემოსულ ბავშვებს. რუსულად არ ასწავლი, არამედ ქართულადო. „თქვენ ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო! თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო! ქუთაისის მასწავლებელთა კრების გადაწყვეტილებას მე არასოდეს არ დავამტკიცებო და სხვ."

სერგეი მესხი თავის „დია წერილში" მოაგონებდა იანოვსკის: „ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით სცხოვობს; ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყვეტლად, მოუსვენრად იბრძვის თავისი დედა-ენის, სარწმუნოების, ენისა და ერობის დასაცავად. თითო მტკაველი თავისი სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს სწავლისა, ყოველი ლექსი (ესე იგი, სიტყვა, ი. უ.) თავის სამშობლო ენისა ათას, ათი ათას თავის საუკეთესო შვილად უღირს".

დ. ყიფიანი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა 1880 წლის შემოდგომაზე დატრიალებულ ამბებს /იანოვსკის შენიშვნებს ახალსენაკში/ და „დროებაში" მოთავსებული წერილით მკაცრად დაგმო რეაქციის აგენტთა შავრაზმული ღონისძიებანი[2]. დ. ყიფიანის ამ წერილის შესახებ რედაქცია შენიშნავდა: ეს ჩინებული წერილი, ჩვენდანებურად, სწორეთ ისე და უნაკლოდ ვერ იბეჭდება, როგორც პატივცემულმა ავტორმა გამოგვიგზავნაო.

დ. ყიფიანის წერილში აღნიშნული იყო: თუკი იანოვსკის გამოსვლაზე დარბეული ხმები სიცრუეა, რატომ არ ამბობენ ქუთაისის მასწავლებელთა კრების თავმჯდომარე მარსოვი ან გორის სემინარიის დირექტორი სემიონოვი, ჩვენს მოთავეს ცილს სწამებენო.

---

[1] „დროება", 1880, № 254; ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 335.

[2] „დროება", 1880 № 262.

პრესის მხილების გამო, იანოვსკი იძულებული იყო უკან დაეხია, რათა როგორმე მოეხსნა მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, თუმცა თავის არაპედაგოგიურ განზრახვებზე ხელი არ აუღია. თავისი პასუხი მან „კავკაზში“ გამოაქვეყნა[1].

ი. ჭავჭავაძემ ჯეროვნად შეაფასა იანოვსკის ეს გამოსვლა. ილია „დროებაში“ აღნიშნავდა: „ჩვენ დიდის სიამოვნებით ვერწმუნებით ბ-ნ იანოვსკის და ამასთან გვიხარია, რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენ სამწუხაროდ, აქამომდე საკვეხურადა ქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ მოხელეებსაც“[2].

ილიას ეს სიტყვები მოწმობს, რომ იანოვსკი თავის საძრახის საქმიანობაში სრულიადაც არ იყო მარტო. ეს კია, რომ ბევრი სხვა მოხელისაგან განსხვავებით, ის უფრო დიპლომატურად მოქმედებდა და საჭირო შემთხვევაში მანევრირებას მიმართავდა. კერძოდ, სიტყვიერად აცხადებდა, რომ ყველა დაწყებითს სკოლაში სწავლება უპირატესად დედაენაზე უნდა მიმდინარეობდესო, სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი პუბლიცისტები ბრალს სდებდნენ იანოვსკის იმის გამოც, რომ მან ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს დაავალა, რათა ქუთაისის სოფლის სკოლების მასწავლებელთა ყრილობას მიეღო დადგენილება სოფლის სკოლებში პირველსავე სასწავლო წელს რუსული ენის სწავლების დაწყების თაობაზე.

დ. ყიფიანიც გადაჭრით იცავდა პედაგოგიური მეცნიერების იმ ძირითად პირნციპს, რომლის მიხედვითაც, ბავშვები დაწყებით სკოლაში მხოლოდ თავის დედაენაზე უნდა სწავლობდნენ და რომ დაწყებით კლასებში (მით უმეტეს, სწავლების პირველივე წლიდან) ორ ენაზე სწავლების შემოღება უარყოფითად მოქმედებს ბავშვის გონების ბუნებრივ განვითარებაზე. პედაგოგიკის მიღწევების გათვალისწინების საფუძველზე დ. ყიფიანი მიუთითებდა:

1). იანოვსკის მოსაზრება პედაგოგიკის იმ პრინციპის დარღვევაა, რომლის მიხედვითაც ბავშვებმა განათლება დასაწყისიდან თავის დედაენაზე უნდა მიიღონ. ეს არის მეცნიერების მიერ შემუშავებული ჭეშმარიტება; 2) იანოვსკის მოქმედებით ირღვევა მეორე საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ რაც უკეთ იცი შენი კულტურული ენა, მით უფრო ად-

[1] «Кавказ», 1880, № 348.

[2] „დროება“, 1881, № 33; ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 273.

ვილად შეისწავლი მეორე კულტურულ ენას, ხოლო რაც უფრო საფუძვლიანად ფლობ ორ ენას, მით უფრო იოლად შეიძენება მესამე ენა და ა. შ.; 3) თუ ზემონათქვამი უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, მაშინ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ენის ერთდროულად შესწავლის პრაქტიკა მავნე არ იყოს ბავშვის პედაგოგიური განვითარებისათვის[1].

დ. ყიფიანი აგრეთვე მიუთითებდა, რომ სწავლების წესი, რომელსაც იანოვსკი აკანონებდა, ეწინააღმდეგებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მე-3 პარაგრაფს, რომელშიც ნათქვამი იყო: საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს მშობლიურ ენაზე, რომელიც ესმით მოსწავლეებს[2].

იანოვსკის მოთხოვნით, არარუსი ეროვნების სამწლიან სკოლებში რუსული ენის სწავლება ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ კურსის დასრულების შემდეგ, ბავშვებს შესძლებოდათ რუსულ ენაზე არა მარტო ტექსტის წაკითხვა, არამედ წაკითხულის გადმოცემა, როგორც მშობლიურ, ასევე, შესაძლებლობისდაკვალად, რუსულ ენაზე. ეს მიზანი, იანოვსკის აზრით, შემდეგნაირად განხორციელდებოდა: წლის მანძილზე პირველი განყოფილების პირველი ნახევარის სწავლება მხოლოდ დედაენაზე უნდა ყოფილიყო. წლის მეორე ნახევარში კი რუსული ზეპირი მეტყველებისათვის ყოველდღიურად 30—45 წუთი უნდა დაეთმოთ. სწავლების მეორე წელს რუსულ ენას ყოველდღიურად ერთი გაკვეთილი (დღიური 4 გაკვეთილიდან) ეთმობოდა. მესამე განყოფილებაზე, რუსულად წაკითხული, ბავშვებს შეძლებისდაგვარადვე უნდა გადმოეცათ (მოეთხროთ). დ. ყიფიანს მიაჩნდა, რომ საკითხის ასე დაყენება ეწინააღმდეგებოდა პედაგოგიკის ზემოაღნიშნულ პრინციპებს (არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სასწავლო წლის პირველ ნახევარს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს). დიმიტრი დაასკვნიდა, რომ სადაც პრაქტიკულად ნაცნობი ენა და უცნობი ენა ერთდროულად ისწავლება, იქ გონებრივი ვარჯიში ადგილს უთმობს მექანიკურ შრომას, ეს კი ბავშვის ბუნებას თრგუნავს და აბეჩავებს[3].

გარდა ამისა, დ. ყიფიანი იცავდა იმ უცილობელ აზრს, რომ პედაგოგმა უნდა იცოდეს მოსწავლეთა დედაენა, სხვაფრივ სწავლების პროცესში წარმატება ვერ მიიღწევაო.

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანიის პირადი არქივი, № 98.

[2] იქვე.

[3] «Закавказье», 1912, № 189.

როგორც ცნობილია, ჩვენს სკოლებში (უფრო კი ქუთაისის გუბერნიაში) ხშირად პედაგოგებმა სრულიად არ იცოდნენ თავისი მოსწავლეების მშობლიური ენა და მუნჯური მეთოდით სწავლებას მიმართავდნენ. მმართველობა მომხრე ყოფილა ამ მეთოდის გამოყენებისა, რადგან ამ საშუალებით ადვილად იხშობოდა არარუსი ეროვნების ბავშვის თანდაყოლილი ინდივიდუალური სიჭა. სასულიერო მმართველობას სამოქალაქო მმართველობასთან ერთად მიუღწევია იმისთვის, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის საეკლესიო სამრევლო სკოლებიდან სრულიად განდევნეს ქართული ენა. ამავე დროს საეკლესიო სკოლების საოლქო უწყების ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ ეს არის წმინდა საქმე ეკლესიისათვის და უდიდესი საქმე სახელმწიფოსათვის[1]. ამის გამო აღინიშნებოდა, რომ ეს არის „არა წმინდა საქმე," და „მბიმე ცოდვებით აღსავსე" მოქმედება[2], რომ ის ეწინააღმდეგება ოფიციალური სახელმწიფო რელიგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას, კერძოდ პავლე მოციქულის სიტყვებს: „უკეთუ ვილოცვიდე უცნობითა ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონება ჩემი უნაყოფო არს".

ი. გოგებაშვილი ფიქრობდა, რომ სკოლები, საიდანაც განდევნილია ქართული ენა (მაგალითად, სამრევლო სკოლები,), ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს დაცემულ ხალხს, პირიქით, უფრო ძირს დასწევს მას და ბევრით უკეთესი იქნება დაიკეტონ ისინი ჩვენში. ი. გოგებაშვილი აყალიბებს პრინციპულ დებულებას, რომ „სკოლა ორპირი ხანჯალია: აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი: აუგუნურებს და აველურებს, თუ უკუღმართობის გზაზედ არის დაყენებული"[3].

როგორც ზემოთ ითქვა, სერგეი მესხის „ღია წერილის" პასუხად „კავკაზში" გამოქვეყნებული იანოვსკის სტატია, მასში გამოთქმული ნაციონალისტური, არაპედაგოგიური აზრების გამო დ. ყიფიანმა მკაცრად გააკრიტიკა.

დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ვორონცოვის დროს სკოლებში ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყო. ამ ენის მასწავლებლები პედაგოგიური საბჭოს წევრები იყვნენ, ხოლო ამ საგნის ქულები, ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორც სხვა დისციპლინებისა. ამჟამად კი

---

[1] И. Восторгов, Церковная школа в Закавказии, «Народное образование», т. I, Книжка 3, март, 1905, с. 337.

[2] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 50.

[3] ი. გოგებაშვილი, დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი, „ივერია", 1901, № 145; თხზულებანი ტ. 3, გვ. 261.

იმ ენას ასწავლიან მხოლოდ მსურველებს, მხოლოდ პირველ სამ-ოთხ კლასში, თანაც კვირაში მხოლოდ ერთ საათს უთმობენ. ქართული ენა ასევე დევნილია სასულიერო სასწავლებლებში, რომლებიც მღვდლებს ამზადებენ. ამ უკანასკნელთ არა მარტო არ შეუძლიათ თავის ენაზე დაამოძღვრონ ხალხი, არამედ მათთან შესაფერის საუბარსაც ვერ ახერხებენო.

დ. ყიფიანი ეხებოდა იანოვსკის წერილის იმ ნაწილსაც, რომელშიც მისი ავტორი აცხადებდა: სავსებით თანავუგრძნობ ქართული ენის უკეთესად სწავლების საქმესო. დიმიტრი ამ სიტყვების გამო შენიშნავდა: ამისათვის დიდი მადლობა, მაგრამ მახსენდება ერთი ხალხური ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს". რაკი ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ შეურწროებულია ქართული ენა ჩვენს სასწავლებლებში, სადაც არა თანაგრძნობა, არამედ ქართული ენისადმი აშკარა მტრობაა გაბატონებული, სიტყვები ქართული ენის უკეთ სწავლებისადმი თანაგრძნობაზე უფრო ირონიას შეიცავს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ირონია სხვა არაფერია, თუ არა ჩინგის ყაენისებური ირონია.

დ. ყიფიანი ააშკარავებდა იანოვსკის იმ ხრიკებსაც, რასაც მისი უწყება საკადრო პოლიტიკაში იყენებდა. ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი, ქართული ენის კარგი მცოდნე მარსოვი, რომელიც ეტყობა ბრმად არ მიჰყვებოდა იანოვსკის მითითებებს, „საკუთარი სურვილით" (როგორც ეს მიღებულია მსგავს შემთხვევაში) გადაიყვანეს ბაქოსა და დაღესტანში იმავე წოდებით. იქ ის, რასაკვირველია, არ იქნება იმდენად ხელისშემშლელი ხალხის ასიმილაციის საქმეში, რადგანაც იქ თავისუფალია სახალხო ენის ცოდნის მძიმე ცოდვისგანო, — შენიშნავდა დ. ყიფიანი[1].

იანოვსკი 1881 წელს ადგენს ახალ სასწავლო გეგმას და ამასთანავე აქვეყნებს ცირკულარს, რომელთა მიხედვით, ყველა ტიპის სკოლებში დაწყებითი კლასებიდანვე დედაენის სწავლება ქართულ სკოლებში არასავალდებულოდ იქნა მიჩნეული. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, სკოლაში პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასებში უმნიშვნელო რაოდენობის საათები ეთმობოდა და ისიც მხოლოდ ყველა გაკვეთილების ბოლოს, როცა ბავშვი გონებრივად და ფიზიკურად მოქანცული იყო.

იანოვსკის მიერ მომდევნო პერიოდში გატარებული ღონისძიებები

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, №98

სკოლიდან ქართული ენის სავსებით განდევნას ისახავდა მიზნად. დედაენის სწავლება საოჯახო საქმედ გამოცხადდა და ისიც მხოლოდ იმდენად და იმ მიზნით, რომ ქართულის ცოდნას გაეადვილებინა რუსული ენის შესწავლა. სასწავლო უწყების ცირკულარები ოსტატურად გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ქართველი ბავშვები სკოლის გარეთ დარჩენილი იყვნენ. ამის შედეგად, მაგალითად, თბილისის რეალურ სასწავლებელში 1888 წელს 258 მოსწავლიდან ქართველი იყო მხოლოდ 27 (სომეხი—136, რუსი——138, გერმანელი—24) და ეს საქართველოს დედაქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში[1].

იანოვსკის ანტიპედაგოგიური სისტემა სავალალო მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო ქართველ ბავშვებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე პედაგოგებსაც. „გამოსავალი" ეგრედ წოდებული „მუნჯური მეთოდის" შემოღებასა და დანერგვაში გამოინახა. გაზეთ „ცნობის ფურცელში" დასასტამბად გადაცემული ყოფილა კარიკატურა, რაც ცენზურას აუკრძალავს: მასწავლებელს უნოდ, ხელების, ფეხების და მთელი სხეულის მოძრაობით უნდა აეხსნა ბავშვებისათვის ისეთი მოვლენები, როგორიცაა ძაღლის ყეფა, ყირამალა გადასვლა, ტანისამოსის გახდა, დაწოლა, თავის ჩამოხრჩობა და სხვ[2].

მასწავლებელს თვითონ უნდა წარმოედგინა მოწაფეებისათვის ქათმის მიერ კვერცხის დადების პროცედურა. ამისათვის მასწავლებელი უნდა ჩაცუცქულიყო, ქათამივით დაეკაკანა და დაბლიდან გამოეღო კვერცხი. ეს იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცკის მიერ შექმნილი ეგრეთწოდებული თვალსაჩინო სწავლების სისტემა[3].

ლევიცკიმ ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს საპირისპიროდ შეადგინა სახელმძღვანელო, რომელიც აგებული იყო „მუნჯურ მეთოდზე". ესე იგი, რუსული ენა ბავშვს ისე უნდა ესწავლა, რომ ქართული არ გაეგონა. ამ გზით სავსებით ისპობოდა ქართული ენის შესწავლის საშუალება. ეს იყო ამ სახელმძღვანელოს პოლიტიკური ასპექტი. გარდა ამისა სახელმძღვანელო ვერ აკმაყოფილებდა პედაგოგიკის მინიმალურ მოთხოვნილებებს. სასწავლო უწყებამ, ცხადია, მოიწონა ლევიცკის წიგნი და ცდილობდა გაევრცელებინა ის ნაცვლად გოგებაშ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ისევ განათლების საკითხებზე, „ივერია", 1889, № 229; თხზულებანი, ტ. 4, გვ. 362.

[2] ეს კარიკატურა გამოქვეყნდა „საისტორიო მოამბე", ტ. 5, თბ; 1950, გვ. 7.

[3] А. Сумбатов, დასახ. თხზ. გვ. 21.

შვილის სახელმძღვანელოსი, რომელიც ქართული ენის საშუალებით და დახმარებით რუსული ენის შეთვისებას გულისხმობდა[1].

გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ კლასში, ეგრეთ წოდებულ პროსემინარიაში, ახლად ჩარიცხული ქართველი ბავშვებისათვის ქართულად სწავლების საშუალება არ მიუციათ. პროსემინარიის მასწავლებელს ნათიევს შემოუღია ქართული სიტყვების რუსული ასოებით წერა და რადგანაც რუსულ ანბანს არა აქვს თხუთმეტამდე ნიშანი ჩვენი ბგერების აღსანიშნავად, ამიტომ ნათიევს მოუგონებია ახალი ასოები. ნათიევის უბადრუკ და მავნე ვარჯიშს ილიამ შესაფერისი პასუხი გასცა[2].

სკოლიდან, ქართული მშობლიური ენის განდევნისაკენ მიმართულ ღონისძიებებს არ იზიარებდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი პედაგოგები. ისინი იმასაც მოითხოვდნენ, რომ რუს პედაგოგებს თვითონ შეესწავლათ ქართული ენა, ლიტერატურა, ადგილობრივი ხალხის ზნე-ჩვეულება. ასეთი პირები გამონაკლისს შეადგენდნენ. მათ დიდი რწმენა და გაბედაობა უნდა ჰქონოდათ, რომ იმ დროს ასეთი ლიბერალური და „ანტისახელმწიფოებრივი" აზრი გამოემჟღავნებიათ და დაეცვათ.

XII თავი

ქართველთა ეროვნული შემადგენლობა და ბრძოლა საქართველოს დანაწევრება-გათიშვასთან

დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ქართველები თავის ქვეყანას, უწინაც და ახლაც, საქართველოს (იგივე ივერია) უწოდებენ, ხოლო მცხოვრებნი თავის თავს ყოველთვის ქართველს უწოდებდნენ. ამბობენო, განაგრძობდა დიმიტრი ყიფიანი, რომ სიტყვა „გრუზია" რუსულ ენაზეა შედგენილი სახელი „გეორგიას" თათრული გამოთქმიდან — „გიურჯი", „გიურძი", „გიურზი", „გრუზი". სხვები რამდენადმე განსხვავებულად წარმოთქვამდნენ ამ სახელს სიტყვა „გეორგიადან", რასაც ამ ქვეყანას ბერძნები უწოდებდნენ, როგორც უპირატესად მიწათმოქმედი ხალხით დასახლებულს[3].

---

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, 261—262.

[2] ი. ჭავჭავაძე, ეიცინოთ თუ ეიტიროთ, „ივერია", 1877, № 10; თხზულებანი, ტ. IV, გვ. 318.

[3] Д. Кипиани, Несколько мыслей, с. 16.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზთან დაკავშირებით დ. ყიფიანი წერდა (1853 წ.): თუმცა ამჟამად ქართველებად იწოდებიან საკუთრივ თბილისის გუბერნიის მცხოვრები ქართველები, მაგრამ ჩვენ ამ ტომს მივაკუთვნებთ არა მარტო იმერლებსა და გურულებს, რომლებიც ფარნაოზამდელი ხანის ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთი სარწმუნოებისა იყვნენ, არამედ, ამ ტომს ეკუთვნიან მეგრელები, აფხაზები, სვანები და თვით ამჟამად გამაჰმადიანებული ქობულეთელები, აჭარლები, ლაზები და ჭარ-ბელაქნელი ინგილოები[1].

დ. ყიფიანის მიერ ქართული ეთნოსისადმი აფხაზების მიკუთვნება, როგორც ჩანს, შეიძლება აიხსნას ქართველთა და აფხაზთა ხანგრძლივი და მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობით, ბევრმხრივი საერთო ისტორიული ბედით, რაც ორივე ხალხს აკავშირებდა; იმით, რომ აფხაზეთი ყოველთვის წარმოადგენდა მთლიანი საქართველოს ნაწილს. ქართველ მოაზროვნეს აფხაზები ეთნო-კულტურულად იმდენად მახლობელ ტომად მიაჩნდა, რომ მათ ქართველ ტომთა რიგში ათავსებდა.

დ. ყიფიანს აფხაზების მიმართ ღრმა პატივისცემა იმითაც გამოუხატავს, რომ მას ანჩაბაძისა და ინალიფას გვარების ურთიერთობაზე წარმტაცი გადმოცემა ჩაუწერია. გადმოცემაში მოთხრობილია ქალ-ვაჟის ურთიერთსიყვარულსა და თავდადებაზე, მამაკაცთა ქველობის მაღალ გრძნობებზე[2].

ბუნებრივია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ხალხის წარმოშობა-შთამომავლობაზე, არა მარტო წმინდა თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭებოდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის განმტკიცებასა და ეროვნული თვითცნობიერების გაღრმავებაში.

ამის საპირისპიროდ, რეაქციული წრეები ესწრაფოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების შესუსტებას, ქართველი ერის დაშლას, ცდილობდნენ ქართველი ტომები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში მეფის მთავრობა ხოტბას ასხამდა ქართველობის საუკუნოვან ბრძოლებს თურქი მტაცებლების წინააღმდეგ და ქართველებს მოუწოდებდა მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ თურქების წინააღმდეგ ომში. ომის დამთავრე-

[1] Д. Кипиани. О том, о сем; с. 32.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 77

ბის შემდეგ კი მთავრობამ დაივიწყა თავისი მოწოდებანი და ახლა ცდილობდა, შთაეგონებინა, რომ ცალკეული ქართველი ტომები, მაგალითად, აჭარლები, თითქოს ქართველები არ იყვნენ.

დ. ყიფიანი ნათლად ითვალისწინებდა იმ ზიანს, ჩვენს ხალხს რომ სხვადასხვა აგრესორებმა მოუტანეს. კერძოდ, იმ მარცხს, რაც ჩვენს ქვეყანას თურქთა გამეზობლებამ და მათ მიერ სამხრეთ საქართველოს ხელში ჩაგდებამ მიაყენა. სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, დ. ყიფიანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თურქთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლებას. აჭარის შემოერთების აღსანიშნავად გამართულ შეკრებაზე, 1878 წელს, თავის სიტყვაში, დიმიტრი აღნიშნავდა: დღევანდელი დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის... ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ბუნების გამომძიებლობით ვიცით, რომ ქვეყანაზე უძრავი არა არის-რა, და არც ჩვენი ერთობა და სიმაგრე მდგარა უძრაველად. დროთა ბრუნვაში არაერთი შეტაკება მომხდარა და ერთი ისეთიც, რომ დაურღვეევია ჩვენი გვარტომობითი კავშირი, და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია რა; —ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ, ჩვენ იმათთვის;—ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით რა, იმათ ჩვენი. „ვისურვოთ... სიმტკიცე ახლად აღდგენილის კავშირისა უკუნისამდე“[1].

საქართველოს შემადგენლობაშიაჭარის დაბრუნების შემდეგ, დ. ყიფიანი, სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ცდილობდა ხელი შეეწყო ქართველი ხალხის მთლიანობის აღდგენა-განმტკიცებისათვის. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად ყოფნისას, იგი მხურვალედ გამოეხმაურა ბათუმის ოლქის ბეგების წარმომადგენლის ჰუსეინ ბეგ სანჯაყ ბეგ-ზადეს წერილს, იმერეთის თავადაზნაურობაზე მათი მიწერის თაობაზე. თურქების ბატონობიდან განთავისუფლებულ ქართველებს დიმიტრი ძმურ ერთგულებას და მეგობრულ დახმარებას ჰპირდება. „მამა-პაპეული შთამომავლობითი ჩვენ შორის კავშირი დროთა მიმდინარეობამ შეასუსტა, მაგრამ დარღვევით ვერ დაარღვია“. საყურადღებო იქნება, რომ „დავიზაროთ, ამ ძველის კავშირის განახლებას და განმტკიცებას არ დავადგეთო“[2].

მთავრობა სამეგრელოში თავისი აგენტების საშუალებით ეწეოდა იმის ფართო პროპაგანდას, თითქოს მეგრელები ასევე ქართველობას არ ეკუთვნოდნენ. ისინი ცალკე ერია და ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ თავისი დამწერლობა, თავის ენაზე წირვა-ლოცვა, ქართული ენა მათთვის

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 286.
[2] „დროება“, 1885, № 178.

საჭირო არ არის და რომ ქართულ ენას მეგრელებს ხელოვნურად თავზე თითქოს ქართველი ნაციონალისტები ახვევდნენ. შოვინიზმის შხამით მოწამლული მეფის მოხელენი ქართულ ეროვნულ საქმეს — სამეგრელოში ქართული ენის არსებობას — ნაციონალიზმად აცხადებდნენ, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას ცდილობდნენ და მეგრული დამწერლობის შექმნისათვის ყოველგვარ ხერხებს მიმართავდნენ.

დ. ყიფიანი გადმოგვცემს, რომ 50-იან წლებში, სამეგრელოში შეეცადნენ წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე შემოეღოთ, მაგრამ ამ ცდამ არ გაამართლა, თავი იჩინა პროფანაციის საშიშროებამ. სამეგრელოს მოსახლეობამ ქართველი ხალხის მტრებს მხარი არ დაუჭირა: თხუთმეტი საუკუნე აქ წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, რომელიც უმრავლესობამ კარგად იცოდა, ხოლო დანარჩენებს კარგად ესმოდათ[1].

მართლაც, ქართული საეკლესიო მწიგნობრობის მცოდნე დიმიტრი ფურცელაძის ცნობით, საქართველოს ეგზარქოსის—ისიდორეს დროს[2], სამურზაყანოს ეკლესიათა ბლაღოჩინს, დეკანოზ მაჭავარიანს, ეგზარქოსის წინადადებით, ქართულიდან მეგრულ ენაზე გადაუთარგმნია ლიტურგია წმ. იოანე-ოქროპირისა. ამ თარგმანის ღირსების შესამოწმებლად და იმის გასარჩევად, გასაგებია იგი ხალხისათვის თუ არა, აღნიშნული ხელნაწერი გაგზავნეს სამეგრელოში ქართულ ტექსტთან შესამოწმებლად და ხალხის წინაშე წასაკითხად. ხელნაწერი ჩქარავე დაბრუნეს თბილისში: „სამეგრელოს სამღვდელოება და ერისკაცნი ერთხმად ამბობდნენ, რომ თარგმანი უვარგისია, ხალხისათვის გაუგებარი; ამასთანავე დასძენდნენ: ხალხს არა ჰსურს რომ საეკლესიო წიგნები მეგრულ ენაზე გადაითარგმნოს, რადგანაც ქართული საეკლესიო ენა მეგრელთათვის კარგად გასაგები არის და მათთვის მას იგივე საღმრთო მნიშვნელობა აქვს, როგორც საეკლესიო-სლავურ ენას რუსებისათვისაო".

„დროებამ" ზემოთ მოტანილი ცნობის თაობაზე თავის მხრივ დასძინა: როდესაც ერთს ეკლესიაში მოწიწებით მლოცველ მეგრელთა მრევლს მოესმა მოძღვრის „მოხედენ" მეგრულად გადათარგმნილი, ასეთმა ღვთისმოსავმა ხალხმა, როგორც მეგრელნი არიან, ძალიან თავი შეიმაგრა, რომ ეკლესიაში ხარხარი არ ატეხილიყო. საუკუნეობით შე-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 78.

[2] მიტროპოლიტი ისიდორე ნიკოლსკი საქართველოს ეგზარქოსად იყო 1844—1858 წლებში („საქართველოს ეკლესიის კალენდარი", 1978, თბილისი, გვ. 192).

თვისებული ქართული წირვის წესის შეცვლა, რა გასაკვირია, რომ, უცხოდ, სასაცილოდაც სჩვენებოდათ[1].

სამეგრელოში 50-იანი წლების წარუმატებლობის შემდეგ, 80-იან წლებში ქართულ ენას პირველ ყოვლისა სკოლაში შეუტიეს. სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის მიზნით, კავკასიის სასწავლო უწყებამ საკმაოდ რთული მანევრი განახორციელა. 1881 წლის 13 იანვარს მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით დაწესდა, რომ პირველდაწყებითს სასწავლებლებში ბავშვებს სწავლება თავის დედაენაზე უნდა დაეწყოთ, შემდეგ კი რუსული ენის სწავლება ადგილობრივი ენის დახმარებით წარმართულიყო. აქ, თავისთავად, თითქოს არაფერი არ ჩანდა უცნაური, მაგრამ ადმინისტრაციის ეს ღონისძიება უფრო შორს უმიზნებდა. უკვე 1884 წლის ნოემბერ-დეკემბერში სასწავლო უწყების წარმომადგენლებს შეუმოწმებიათ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები. ამ შემოწმებას შედეგად მოჰყვა ამ სკოლების დირექტორის ფ. ლევიცკის 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარი (№ 62), რომლითაც სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა იკრძალებოდა[2].

ცირკულარში აღნიშნული იყო, რომ სამეგრელოს პირველდაწყებითს სასწავლებლებში სწავლა იწყება არა მეგრულ ენაზე, როგორც ეს უნდა ყოფილიყო 1881 წლის 13 იანვრის სასწავლო გეგმის თანახმად, არამედ მ ე გ რ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რ უ ლ ი ა დ გ ა უ გ ე ბ ა რ ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე. ცირკულარში აგრეთვე მითითებული იყო: სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას ქართველი მასწავლებლები შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: 1) მეგრული ენით არ შეიძლება სწავლის დაწყება, რადგან ამ ენაზე დამწერლობა არ არსებობს, 2) ქართული ენა მეგრელებისათვის სჯულის, განმანათლებელ ენად ითვლება და, მაშასადამე, ქართული ენის დაკარგვით მეგრელნი სარწმუნოებრივ შემეცნებასაც დაკარგავენო.

ამ დაბრკოლებებს ცირკულარი შემდეგნაირად უვლიდა გვერდს: პირველ საბუთზე უნდა შევნიშნოთ, რომ შეიძლება რუსული ანბანის შემოღება მეგრული დამწერლობის შესაქმნელად; რაც შეეხება მეორე საბუთს. უნდა ითქვას, რომ მღვდლები წირვის წესებს ქართულ ენაზე ასრულებენ იმის გამო, რომ საღმრთო წერილის წიგნები მეგრულ ენაზე არ არის გადათარგმნილი ქართული ენის განდევნა სამეგრელოს სკო-

[1] „დროება", 1885, № 59.

[2] Циркуляр директора народных училищ Кутаисской губернии, 11-го января 1885 г., № 62, «Новое обозрение», 1885, № 421; ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირკულარი № 62, 11 იანვარი 1885 წ. „დროება", 1885, № 59.

ლებიდან სარწმუნოებრივ განვითარებას არ მოაკლებსო მეგრელ მოწაფეებს—ლოცვები და საღმრთო ისტორია შეიძლება შესწავლილ იქნას მეგრულ ენაზე.

ცირკულარის დასკვნით ნაწილში ნათქვამი იყო: ზემოთ აღწერილის თანახმად და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობის (№ 7992) ძალით, ვავალდებულებ სენაკისა და ზუგდიდის სასოფლო-საზოგადო სკოლების მასწავლებლებს, რომ სკოლებში რუსული ენის სწავლება აუცილებლად იწყებოდეს მეგრული ენის სწავლების შემდეგ, 1881 წლის სასწავლო გეგმის საფუძველზე. მასწავლებლებმა რუსული ენის სწავლების დროს უნდა იხელმძღვანელონ მეგრული ენით, ისევე როგორც ხელმძღვანელობდნენ ამ ენით რუსული ენის გვარად მეგრელებისათვის უცხო ქართული ენის სწავლების დროს. რაკი მეგრულ ენაზე დამწერლობა არ არსებობს, მასწავლებლებს რაიმეს ახსნისა და თარგმანის გამოსახატავად შეუძლიათ იხელმძღვანელონ რუსული ანბანით[1].

ამრიგად, ცირკულარის მიხედვით, ქართული ენა, როგორც მეგრელებისათვის „სრულიად გაუგებარი“ და „უცხო“ უნდა განდევნილიყო სამეგრელოს სკოლებიდან. ამასთან, საყურადღებოა ცირკულარის მითითება, რომ სახალხო სასწავლებლების დირექტორის მოთხოვნა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნაზე პირდაპირ ემყარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის 1881 წლის სასწავლო გეგმასა და ამავე უწყების საგანგებო მიწერილობას.

* * *

განათლების შავრაზმელი მოხელეების მიერ განხორციელებული ღონისძიებების „თეორიული“ საფუძვლების მომზადებაში ხელის შემწყობი აღმოჩნდა ზოგი სწავლული, რომელთაც ვერ გაითვალისწინეს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მათს არასწორ შეხედულებებს. ერთი მათგანი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. მან 70-იანი წლების მეორე ნახევარში, გარკვეული შრომა გასწია მეგრული ენის ბუნების შესასწავლად და 1880 წ. გამოაქვეყნა გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“[2]. ეს იყო პირველი ცდა ქართველურ ენა-

[1] «Новое обозрение» 1885. № 421; „დროება“, 1885, № 59.

[2] Ал. Цагарели. Мингрельские этюды. Выпуск I, II СПБ., 1880.

თა მორფოლოგიის შედარებითი შესწავლისა[1]. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში დაშვებული შეცდომების გამო, ქართულმა დემოკრატიულმა პრესამ ალ. ცაგარელი მკაცრად გააკრიტიკა, აღნიშნა, რომ „ეტიუდების“ ავტორი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლისას ჭეშმარიტების საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგა, რომ მან ეჭვქვეშ დააყენა ქართველური ენების (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური) გენეტიკური ნათესაობის საკითხი. ა. ცაგარელის აზრით, მეგრულსა და ქართულ ენებს შორის დაახლოებით ისეთივე მსგავსებაა, როგორიც, მაგალითად, სანსკრიტულსა და ბერძნულ ენებს შორის[2]. პრესა მიუთითებდა, რომ „ეტიუდების“ ავტორის მიერ უარყოფილი იყო ქართველური ტომების მიერ მთელი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურული ტრადიცია, რომლითაც ქართული ენა ყველა ქართველური ტომის ერთადერთი მშობლიური სალიტერატურო (სამწერლობო) ენაა.

ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ 1880 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა დაბეჭდა ორი წიგნი, რომელიც მეგრული ფონეტიკის შესწავლის პირველ მეცნიერულ ცდას წარმოადგენდა, ამასთან „ქართველთა მოძულე რუსიფიკატორმა მოხელეებმა ალ. ცაგარლის ნაშრომი, სრულებით მოულოდნელად, ისედაც დევნილი და დაბეჩავებული ქართული კულტურის საბოლოო განადგურებისათვის გამოიყენეს“[3].

1885 წლის 11 იანვრის ცირკულარმა და ზოგიერთი ლინგვისტის არაზუსტმა თეორიულმა მოსაზრებებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. ქართულ პრესაში ბევრი წერილი გამოქვეყნდა ქართველური ტომების ნათესაობისა და მათი მოდგმის საკითხებზე, ქართულ ენასთან მეგრული ენის ურთიერთობაზე. პრესამ გაილაშქრა 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგ.

1885 წლის გაზეთ „დროების“ 6 მარტის მოწინავე წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას ექვსი-შვიდი წლის წინათ, უცხოეთში ყოფნისას ერთს გერმანულ ჟურნალში წაუკითხავს წერილი ხევსურებზე, რომლის ავტორი „თბილისში თითქმის პირველ მეცნიერად ცნობილი ბ-ნი რადე“ მოუთხრობდა მკითხველს, რომ ხევსურები სრულიად სხვა ხალხია, ქართველებთან არავითარი კავშირი არა აქვთ და ამ ორ ხალხს ერთმანეთისა სრულიად არაფერი ესმის-რაო. იმ დროს ხევსურებში სასწავლებ-

---

[1] არნ. ნიკობაძე, იბერიელ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 311.

[2] Ал. Цагарели, Мингрельские этюды, Вып. II, с. 91.

[3] ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 7.

ლები რომ ყოფილიყო, ბ-ნი რადე იმასაც გვეტყოდა, თუ როგორ სასარგებლო იქნებოდა ხევსურებისათვის, თავიანთ სასწავლებლებში მხოლოდ ხევსურული ენა ესწავლათ და ქართული ენისათვის კი, როგორც უცხო ენისათვის, თავი დაენებებინათ[1].

მაგრამ რადე უცხოელია და არაა საკვირველი, რომ კავკასიოლოგის სახელის მოხვეჭის სურვილი გაჰღვიძებოდეს. უფრო საკვირველია ის, როცა ჩვენივე ქვეყნის შვილი მეცნიერული კილოთი ამოგკითხრობს უხამსობას და თავის უმეცრებით დოქტოროზის დიპლომს სწირავს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას. „დროების" მოწინავე მიუთითებდა: ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ „მეგრული ეტიუდების" ავტორის მეცნიერული ბორძიკი შეიძლება ვინმემ თავისთვის გამოიყენოს და ცრუ-მეცნიერულ გამოკვლევას უტყუარობის ბეჭედი დაასვასო.

მოწინავეს ავტორი ეხება საკითხის არსს და აღნიშნავს, რომ კავკასიურ ენებში ორი ისეთი ენა არ არის, რომელნიც მეგრულსა და ქართულსავით ერთმანეთთან დაახლოებულნი იყვნენ. ჩვენ ლინგვისტები არა ვართ, მაგრამ უბრალო ფაქტებით ვიცით, რომ მეგრული ენა ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს საფეხურს ქართული ენის შესწავლისათვის. მეგრელები ორ-სამ თვეში სწავლობენ ჩინებულ ქართულს და ეს ყოველად შეუძლებელი იქნებოდა ამ ორ ენას შორის რომ სრული „მამაშვილური" კავშირი არ არსებობდეს. ენის შესწავლის სიადვილეს თავი დავანებოთ და გავიხსენოთ თუნდ ის, რომ ქართული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს მეგრულებისათვის სანატრელ შესათვისებელ საგანს და ყოველ მეგრელს თავი მოსწონს, როცა ქართული ენა კარგად ესმის. ეს უკანასკნელი მეგრელებისათვის სადარბაზო ენაა. ის იხმარებოდა და იხმარება სამეგრელოში ერთმანეთს შორის მიწერ-მოწერის დროს და მთელი საქმის წარმოება ამ ქვეყანაში, როდესაც მას ავტონომიური უფლებები ჰქონდა, ქართულ ენაზე იყო. დიდებული ჭყონდიდის ეკლესია ითვლებოდა თითქმის ქართული მეცნიერების ცენტრად და თვით ჭყონდიდელსაც იმისთანა გავლენა ჰქონდა მთელს ქართველობაზე, რომ კმაროდა ეთქვათ — „ჭყონდიდელმა ბრძანაო" და მისი სიტყვა სრულის ავტორიტეტის ძალას ამოიპოვებდა.

მეგრელები თვითონვე კარგად გრძნობდნენ ამ კავშირს, რომელსაც ცრუ მეცნიერები და ხალხის ცრუ მზრუნველები ვერას გზით ვერ შეარყევნო,—დაასკვნიდა გაზეთი.

---

[1] „დროება", 1885, № 49.

„დროებამ" მომდევნო ნომრებში არაერთი წერილი მოათავსა, სადაც ენობრივი შესადარებელი მასალის განხილვის საფუძველზე არასპეციალისტისათვისაც კი ცხადი ხდებოდა მეგრული და ქართული ენების ერთი ძირიდან წარმომავლობა და ახლანდელი დიდი მსგავსება-სიახლოვე[1].

1885 წლის 10 მარტის „დროებაში" მოთავსებული იყო წერილი მეგრული ენის თაობაზე. მისი ავტორი, „მეგრელის" ფსევდონიმით ასევე საკმაოდ გმობდა ქართველი ერის დანაწევრების მსურველებს, რომლებიც თავს ძალას ატანდნენ და ვითომდა მეცნიერების გამდიდრების საბაბით, ჭეშმარიტებას არღვევდნენ და აფერხებდნენ. იგი აღნიშნავდა: მეგრული ენა რომ ქართული ენის ღვიძლი შვილია, ამაში შეიოტანს ეჭვს მხოლოდ ის, ვისაც მეგრული ისე გაეგება, როგორც ბ-ნ რადეს ხევსურული. მეგრელები და ჭანები ღვიძლნი, ნამდვილნი შვილნი არიან ქართველი ერისა. მაშასადამე, შეიძლება, რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს? ნუთუ ეს ბუნების კანონის წინააღმდეგი არ არის? რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთისგან დაშორება! „ჩვენ მეგრელები ნამდვილი შვილნი ვართ ქართველი ერისა და ჩვენი დედაენა ქართულია. სამეგრელოს ცხოვრება, გონებრივი განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამყარებული და ეხლაც არის".

წერილის ავტორი შემდეგ მიუთითებს სხვა ხალხების ეროვნული შემადგენლობის ანალოგიურ ფაქტებზე. „ნემეცურ ენას" თორმეტი თუ ცამეტი განყოფილება აქვს. შვაბელი თუ პრუსიელი გერმანელები რომ ერთმანეთს შეხვდებიან ხოლმე, თუ თავიანთ ადგილობრივ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთისას ვერას გაიგებენ. გერმანიის ორ სალაპარაკო ენას—პლატ-დოიჩსა და ჰოხ-დოიჩს—შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილ ქართულსა და მეგრულს შორის. მაგრამ ვინ იტყვის, რომ შვაბელები გერმანელები არ არიანო? ვინ იტყვის, რომ ლესინგი, გოეთე, შილერი, კანტი, მთელი გერმანიისათვის სააამაყო შვილნი არ იყვნენ? რომელი შვაბელი იტყვის, ფაუსტის ენა ჩემი ღვიძლი დედაენა არ არისო?

ნაკლები განსხვავება არ არის ფრანგულ ენაშიც: პროვანსული ლაპარაკი შამპანიის მცხოვრებს თითქმის არ ესმის, მაგრამ არავის აზრად არ მოუვა პროვანსული ენა ისეთ ენად მიიჩნიოს, რომლისთვისაც ნამდვილი ფრანგული უცხო, გარეშე იყოს. ეგეთსავე მოვლენას

[1] „დროება", 1885, №№ 51, 62, 64.

ვხედავთ სომხურ ენაში: ზოკური ენა არ ესმით ყარაბაღელებს, მაგრამ სალიტერატურო ენა ერთი და იგივეა. „მეგრელი, იმერელი, გურული, ქართლელი, კახელი, ხევსური, ქობულეთელი თუ აჭარელი — ყველანი ერთსა და იმავე ქართველ ერს შეადგენენ; იმათი შემაერთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამეტი საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვ. მართალია, უკუღმართ დროთა ბრუნვას პოლიტიკურად ხანდახან ერთმანეთს დავუშორებივართ, მაგრამ ეს ამბავი ყოველ ქვეყანაში მომხდარა: საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. ენის ერთობა, ზნეობრივი კავშირი და ეროვნული დამოკიდებულება არასოდეს არ მოსპობილა". ახლა ჩვენ ყველანი — ფშაველიც, ხევსურიც, მეგრელიც, კახელიც, ქობულეთელიც რუსეთის მფარველობის ქვეშ შევერთდით—ახლა უფრო უნდა გავაძლიეროთ ის გრძნობა, რომ ჩვენ ყველანი ერთ ერს შევადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და იგივე მიზანი. „როგორც ხევსური, ისე მეგრელი ამაყობს საუკეთესო წამებით საქართველოს ისტორიისა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდელი წმინდა სახელებია როგორც გურულისა, ისე მეგრელისათვის, კახელისათვის და სხვ".

თავისი წერილის დასასრულს ავტორი ბოდიშს იხდის მკითხველთან და ქართველ საზოგადოებასთან, რომ ამისთანა ყველასათვის კარგად ცნობილ საგანზე ლაპარაკობს, მაგრამ რას იზამთ, როცა ახირებული მეცნიერი „მზრუნველები" არ გვასვენებენ,—მაინცა და მაინც ახალი თეორიებით უნდა გავამდიდროთ მეცნიერებაო. „ვაი, საბრალო ის მეცნიერება, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მეგრელებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი ენა არ არისო. მებრალება ჭეშმარიტად! მეგრელებს ასე ადვილად ვერ გაგვაბრიყვებენ"[1]

ჩვენი პუბლიცისტიკა ქართველი ერის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში სატირასაც მარჯვედ იყენებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია „დროების" ერთი „საკვირაო ფელეტონი"[2]. მასში აღნიშნული იყო: ამ დღეებში ერთ-ერთ ჩვენს მოწინავე წერილში მივაქციეთ ყურადღება მეგრელებისათვის ძალად მზრუნველზედ და ავხსენით შეძლებისამებრ, თუ რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ მეგრელები ამ „მზრუნველისაგან". ასეთსავე სიკეთეს უქადის საბრალო ესტონელებს ერთი იმათი თანამემამულე, თბილისში მცხოვრები პედაგოგი, ვიღაც რეცოლდი.

---

[1] „კიდევ მეგრული ენის თაობაზე", „დროება", 1885, № 53.

[2] „საკვირაო ფელეტონი". „დროება", 1885, № 53.

მას კორესპონდენტობისათვის მიუყვია ხელი და აფხაზეთის ჭაობებს თავისი ქვეყნის ხალხს ქვეყნიურ სამოთხედ უხატავს. ვინ იცის რამდენი ესტონელი გადმოსახლებულა ამ კორესპონდენციების წყალობით და რამდენისათვის გაუთხრიათ უდროოდ სამარე „ქვეყნიურ სამოთხეში“. ამ შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივე მეურვეები გამოსჩენიან ესტონელებსაც და მეგრელებსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბრალო ესტონელებს შავი ზღვა გამოუცურავთ კორესპონდენტის წყალობით, ხოლო გონებამახვილმა მეგრელებმა ნეტა სხვა არავინ გააცურონ, თორემ იმათი გამცურებელი ჯერ არავინ აღმოჩენილაო.

80-იან წლებში რეაქციონერები მეტი დაჟინებით ცდილობდნენ რუსული ანბანის საფუძველზე მეგრული და სვანური უმწერლობო ენებისათვის ანბანის შემუშავებას. მეგრული ანბანის ავტორად ყალბი საბუთების შედგენაში დახელოვნებელი ცნობილი აშორდია გვეველინება. იგი ცნობილი „კალიგრაფი“ იყო, ყალბი საბუთების შედგენა საუცხოოდ იცოდა და მთავრობამ ამ სიყალბის ჩადენაც მას მიანდო. აშორდიამ ეს დავალება შეასრულა,—რუსული ანბანიდან მეგრული ანბანი შექმნა[1]. სვანური ანბანის პირველი შემქმნელი პ. უსლარი იყო. ეს ანბანები არაერთხელ განაახლეს შემდეგში. ორივე ეს ანბანი, რუსული ასოებით იყო შედგენილი, ხოლო ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი რიგი ბგერების აღსანიშნავად, მათში დამატებითი ნიშნები იყო ჩართული. ეს ანბანები გამოქვეყნდა 1890 წელს, ჟურნალში, რომელსაც კ. იანოვსკი რედაქტორობდა[2].

1888 წელს ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების თავმჯდომარის, ეგზარქოს პალადის ინიციატივით შეუდგენიათ აფხაზური და სვანური ანბანები. ამ ანბანით შეადგინეს პირველდაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოები, გადათარგმნეს აფხაზურ და სვანურ ენებზე ლოცვები. ეს ნაწარმოებნი მან გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს განსახილველად, მოსაწონებლად და დასამტკიცებლად[3]. 1892 წელს ლევიცკი მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს ადგენს ხელახლა გამოგონილი მეგრული ანბანის საფუძველზე, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა რუსული-

[1] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 263–264.

[2] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Издание управления Кавказского учебного округа, вып. X. Тифлис, 1890, с. VII. 255.

[3] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 263.

საგან. ამ ღონისძიებათა დამუშავებაში მთავრობამ მეცნიერებათა აკადემიაც ჩაითრია[1].

მეგრელების წინააღმდეგ მიმართულ შავრაზმულ ღონისძიებებს ივ. ჯავახიშვილი ასე გვიხატავს: რუსი ეგზარქოსები და მათი მოციქულები სასწავლო ოლქის მზრუნველთან ერთად მეგრელებისათვის — ამ ქართველური ტომისათვის,რომელმაც საუკუნეების მანძილზე არ იცოდა და არც სურდა სცოდნოდა სხვაგვარი დამწერლობა, გარდა მისთვის მშობლიური ქართულისა, ქმნიდნენ სასულიერო და საერო ლიტერატურას, ვითომცდა ახალ საკუთარ წიგნიერებას, რომელსაც საფუძვლად რუსული ანბანი ედვა. პოლიციური სამღვდელოების ეს ახლად მოვლენილი აგენტები საღვთო წიგნებს მეგრულად სთარგმნიდნენ. მაგრამ ამაოდ! ხალხს არ სურდა მოესმინა სამშობლოს გამყიდველების მიერ შხამით შებილწული ღვთის სიტყვა და ყველგან ზიზღითა და სიძულვილით ხვდებოდნენ მეგრელთა ამ „განმანათლებლებს"[2].

ყურადღებას იპყრობს გადაგვარებული ქართველის, ცაიშის სკოლის მასწავლებლის თადა აშორდიას წერილობითს დასმენაში დაცული ცნობა (ეს დასმენა იანოვსკის 1887 წლის 28 აპრილს გაეგზავნა). აშორდია აღწერდა თავის არასახარბიელო მდგომარეობას — ყველა მე მემუქრება, ჩემი მოკვლა უნდათო, იგი თავის შეფს — იანოვსკის — სთხოვდა დაეჩქარებინა მეგრული ანბანის დაბეჭდვა, და ეს უფრო იმიტომ, რომ ხალხს სურს გაიგოს მართალია თუ არა, რასაც მას ქართველი მოღვაწეები ეუბნებიან: ქართული დამწერლობა მოსპეს, მეგრული დამწერლობა არც ყოფილა და არც იქნება, მხოლოდ თქვენი გარუსება უნდათო[3].

მართლაც, მეგრელი ბავშვებისთვის შედგენილ „Мингрельская азбука"-ს წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებდა, რომ მეგრული ანბანი იბეჭდება მარტოოდენ მეგრელი ბავშვებისათვის რუსული წერა-კითხვის შეთვისების გასაადვილებლადო. ამ სიტყვების გამო დუტუ მეგრელი შენიშნავდა: გასაკვირველია ამ წიგნს რატომ ჰქვია «Мингрельская азбука» და არა ყოველ შემთხვევაში «Русская азбука для мингрельцев»[4].

---

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 264

[2] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., с. 41.

[3] „საისტორიო მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 477.

[4] დუტუ მეგრელი, აქეთური-იქეთური, ერთი ფაქტის გამო, „ივერია", 1903, № 128.

ასეთ ცდებს არც ადრე, არც შემდეგ არ მოჰყოლია სასურველი შედეგი მათთვის, ვინც მას ახორციელებდა. ნ. მარი წერდა: ჩვენმა განმანათლებლებმა აიღეს და მეგრელებს რუსული ალფაბეტისაგან საწერი ანბანი გამოუკოპიტეს;! მაგრამ ნათქვამია: „უგუნურო, შენ რომელი დაჰსთესი, არა ჰსცხოვნდის“, და თესლი იგი არ აღმოცენდა ... პირიქით, ეს უგუნურები შეეწივნენ მის აღორძინებას, რასაც ისინი ჯვარცმასა და დახრჩობას ექადნენ[1].

ივ. ჯავახიშვილი ადასტურებდა, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისა და სხვა რუს მოხელეთა წყალობით, XIX ს-ის 80-იან წლებში სამწერლობო ქართული ენისა და კულტურის დევნა გაძლიერდა. იმავე დროს მეგრულისათვის ქართული დამწერლობის მაგიერ რუსული ანბანის ასოები იქნა შემოღებული, ვითომცდა მეგრული კულტურის შესაქმნელად. საბედნიეროდ, მთელი სამეგრელოს საღმა მოქალაქობრივმა შეგნებამ, შორსმჭვრეტელობამ და მოსახლეობის ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ მეფის მოხელეების მთელი ეს გეგმა ჩაშალა[2].

ცარიზმის დამქაშთა ვერაგული გეგმებისათვის ხელის შეშლა საჭიროებდა ძალთა უდიდეს დაძაბვას, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები მცირე როლს როდი ასრულებდნენ. დ. ყიფიანი, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

აშორდია ზემოთ დასახელებულ დასმენაში აგრეთვე აღნიშნავდა, რომ სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან ხოლმე დ. ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვები. ისინი წყვეტენ საკითხს, როგორ ააღელვონ ხალხი 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგო[3].

დ. ყიფიანის მკვლელობის შემდეგ „ივერიამ“ გამოაქვეყნა განსვენებულის სიტყვა, თქმული სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში 1885 წლის 20 ოქტომბერს[4]. სიტყვის ავტოგრაფი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული[5]. თავისი სიტყვა დ. ყიფიანს სწავლა-განათლების საკითხისადმი მიუძღვნია. ორატორს აღუნიშნავს, რომ ადამიანი, რაკი მას შვილი მიეცემა, მასზე ზრუნავს. ზოგი ფულს უტოვებს, ზოგი—მამულს. ფუ-

---

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 36—37.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 8.

[3] „საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 477.

[4] „ივერია“, 1887, № 236.

[5] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 290.

ლი გაიფლანგება, მამული შეიძლება სადავოდ გახდეს და დაკარგოს კაცმა. ერთადერთი სწავლაა, რომელიც ყოველთვის თან სდევსო ადამიანს. „სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ხე აღავლენს და ღირს ჰყოფს დაუსაბამოსთან შიახლოებას. ეს დაჰყევება სწავლას და ამ სწავლისათვის არის ეს სკოლა გაძართული“.

ხალხის წინაშე ჩვენი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლების ასეთი გამოსვლების მნიშვნელობა განუზომლად დიდი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შესანიშნავ ქართულ სალიტერატურო ენაზე გამოთქმულ სიტყვებში პროპაგანდას უწევდნენ მოზარდი თაობის განათლების საქმეს, ხოლო ცოდნა-განათლების გარკვეული დონე, რაც სწავლით მიიღწევა, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, სწავლა-განათლების გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება.

ცხადად ჩანს, რომ ჩვენი ერის მეთაურები, მათ შორის დ. ყიფიანი, სიტყვით და საქმით ცდილობდნენ დაერაზმათ ხალხი გადაგვარების მოსურნეთა წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ თავისი საქმიანობა მათ გადააქვთ იქ, სადაც საფრთხე უფრო ხელშესახებია და სადაც მტერი ერის ერთიანობას მეტ საშიშროებას უქმნიდა. უეჭველად ამ შეკრებების მონაწილეთა ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ხალხისათვის განემარტათ ის მომაკვდინებელი საშიშროება, რასაც წარმოშობდა ქართველი ხალხისაგან მისი რომელიმე ნაწილის, რომელიმე მისი თემის ჩამოცილება-გამოთიშვა.

შალვა გულორდავა იგონებდა (1985 წ.): მარად ჩვენი დიდი თანამედროვე ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70—80-იან წლებში უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საშეგრელოს მოსახლეობის ყველა ფენაში. სალხინოს მკვიდრმა, უკვე ღრმად მოხუცებულმა გლეხმა—სვიმონ უტუს ძე გულორდავამ—1925 წელს გაიხსენა ამის შესახებ და თქვა: „ჩემს ახალგაზრდობაში ხმა გავრცელდა, ილია ჭავჭავაძე სოფელ ბანძაში, მექი ფაღავას ოჯახში ჩამოვიდაო. სალხინოს დადიანისეულ სასახლეში ჩემი ყურით მოვისმინე ხალხი რომ ამბობდა—ილია ჭავჭავაძე, ციწახე მოსიარულე ღმერთი (შეგრულად: დიხას გილუმალუ ღორონთი) ეწვიაო ჩვენს კუთხეს“.

სამეგრელოში ილიას ეს სტუმრობა 1885 წლით უნდა თარიღდებოდეს[1].

---

[1] რ. შამელაშვილი, ხსოვნის ძეგლად იქცეს, გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1985, № 226 (10493).

თედო ჟორდანია იხსენებდა: იანოვსკიმ რომ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან ამოაგდო, შემდეგ ამისა ხელი მიჰყო საეკლესიო ენის დამხობას სამეგრელოში. იანოვსკის მხარდაჭერით მეგრულ ენაზე დაიბეჭდა ლოცვები. მე ვამტკიცებდი: „მეგრელებს ქართული ლოცვები არანაკლებ ესმით, ვიდრე თვით ქართველებს მეთქი: მეგრული ენა ძველი ქართული ენა არის მეთქი და ამიტომ მეგრელებს ძველი ქართული უკეთ ესმით, ვიდრე ქართლ-კახელებს მეთქი"[1].

ვასილ მასხულია წერდა: „რომელი ერიც თავისთავს და სამშობლო ენას ჰღალატობს, იმ ერს თავის დღეში სიკეთე არ დაეყრება"[2]. იგივე ავტორი განაგრძობდა: სამშობლო ენის ღალატზე გამახსენდა ჩემი სამშობლო სამეგრელო და ამ ჩემს სამშობლოზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა: ვისაც რაიმე გაეგება ქართველი ერის თავ-ბოლოსი, ყველა დარწმუნებულია, რომ მეგრელები ვართ ღვიძლი ძმები ქართველებისა, ერთის სისხლისა და ერთის ხორცისა. მხოლოდ, ჩვენდა საუბედუროდ, მეგრელებს ამ ძმობაზე ჯერ-ჯერობით ხელი აგვიღია. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ სამი წლის წინ ჩვენში გამოჩნდა ორიოდე იესეთი მეტიჩარა ვაჟბატონი, როგორც მაგალითად, აშორდია და უარი ჰყვეს ქართველობა და ქართული დამწერლობა. უარი ჰყვეს იმ საბაბით, რომ ვითომც მეგრელები სხვა ტომისანი ვართ და ვითომც ჩვენი შთამომავლობა ევროპის ფრანგებიდან წარმოდგება და არა ქართველებისაგან. ამ საბუთით ამ ვაჟბატონებმა კირილე და მეთოდეობა[3] იკისრეს თავზე სამეგრელოსათვის: შეუდგნენ მეგრულ ენაზე ასოების შედგენას და მეგრული ლიტერატურის შექმნას, ქართველებიდან გამოთიშვას, ცალკე ერად გარდაქმნას,—მაგრამ უკეთესის მდომი უარესს წააწყდაო—ისე მოუვიდათ ამ ცრუ კირილ-მეთოდეებს. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, თუ აშორდიებმა დროზე თავს არ უშველეს, ისე დაემართებათ, როგორც ღამურას დაემართა...

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ, მეგრელებს, უხსოვარი დროიდან საღმრთო წერილი, წირვა-ლოცვა და ყოველი მძიმე და საპატიო მიწერ-მოწერა და გუჯრები ქართულ ენაზე გვაქვს,—და, თუ ქართული არ ვისწავლეთ, მეგრულად როგორ მოვახერხებთ წირვა-ლოცვას? მეგრულად წირვა-ლოცვის მოსმენა ჩვენთვის ცოდვის მეტი მაღლი არ იქნება,

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წლებში, ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, ქუთაისი, 1913, გვ. 15.

[2] ვასილ მ ა ს ხ უ ლ ი ა, საერთო წყნულების განკურნების სახსარი, „მწყემსი", 1890, № 20.

[3] კირილე და მეთოდე—სლავური ანბანის შემდგენლები.

რადგან ვერაფერს ვერ მიუხვდებით,—და აბა რა სიკეთე დაგვეყრება, თუ კი ღმერთს ქართული ტკბილი ენით ვერ ვაქებთ და ვადიდებთ. წერა-კითხვას ნუ დაუკარგავთ, ვითხოვოთ ნება ქართული მშობლიური ენის სწავლისა, რომლითაც დავასკვნათ ჩვენი აღსრდის საძირკველი და შემდეგ სხვაც დავაშენოთ ხედ, თორემ ვინ იცის, რა წყევა-კრულვით მოგვიხსენიებს ჩვენი მომავალი თაობა.

თავის სხვა წერილში, ავტორი დასცინის მათ, ვინც შეიძიეღო მეგრული დამწერლობა, თანაც რუსული ასოებით. მოაქვს „მამაო ჩვენოს“ თარგმანი და დაასკვნის, რომ ამ ენას არა აქვს იმდენი შესაძლებლობანი, რომ ამ ენით აღსრულებულ იქნეს საღმრთო წესები. მეგრულ ენაში თითქმის ნახევარი ქართული სიტყვებია. „მიხვდით, რომ მეგრული ენა არის საშინაო სახმარებელი ენა და არა საღმრთო და სალიტერატურო. სამეგრელოში ქართული წირვა-ლოცვა და ლაპარაკი ყველას ესმის და უფრო კარგადაც; დასამტკიცებლად, თუ გნებავთ დავასახელებთ ძთავარ ღვით დადიანის დროის მოხუცებულებს და გასინჯეთ, თუ ყველამ წმინდა ქართული არ იცის; ეს იმიტომ, რომ მანამდი სამეგრელოში უფრო ხმარებაში იყო ქართული მშობლიური ენა, ვიდრე ახლა“[1].

ამ სტატიების ავტორი წინადადებას იძლეოდა, რათა მოსახლეობაში შეეკრიბათ ფული, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა წიგნების გამოცემა, გიმნაზიების, სემინარიების, სამეურნეო, სახელოსნო სასწავლებლების დაარსება, „დედაენას ცამდის ავაფრენთო“;—წერდა იგი[2].

ცარიზმი და მისი აგენტები, რომელთა შორის არა ერთი ქართული წარმოშობისა იყო, კვლავ არ ცხრებოდნენ. ამის გამო ჯაჯუ ჯორჯია აღნიშნავდა, რომ მეგრელების სარწმუნოება, ჩვეულება და საყვარელი თავისი ქართული ენა ვიღაც ვიგინდარებს აბუჩად აუგდიათ. ვის შეუძლია თქვას, გარდა აშორდიას, პალმის და მათ მსგავს მოციქულების, რომ „მეგრელისათვის უსაჭიროესი არაა შინ და გარეთ ქართული ენა, რომ ქართული ენა მეგრულთან შესისხლხორცებული არაა, რომ მეგრული კილო (და არა ენა, როგრც ზოგიერთები ხმარობენ და შეცდომით იმეორებენ) იგივე ქართული ენა არ არის?“ „არსად არავის გაგვიგონია, არსად არ გვინახავს, არ შეგეხვედრია, რომ ჩვენს წინაპრებს გულში გაეტაროთ ქართული ენის უარყოფა და საკუთარი ენა-ანბანის შედგენა. სამეგრელოსაც არაერთხელ ჰქონია „ოქროს დროება“. ჰქონია ისეთი

---

[1] ვ. მასხულია, მეგრულს ენაზე წერა-კითხვის გამოგონებისა გამო, „ცნობის-ი“, 1891, № 1.

[2] „ცნობისი“, 1890, № 20.

დროც, რომ თითქმის დიდი ნაწილი საქართველოსი მისგან დამოკიდებული ყოფილა, მაგრამ ასეთ თავისუფალ დროსაც მცირეოდენ ფიქრსაც არ გაუცლია მეგრელის გულში, რომ იგი ქართველი არ არის"[1].

იგივე ავტორი განაგრძობს: როდესაც ვიგინდარებმა სცადეს მეგრული წირვა-ლოცვის შემოღება, მთელმა მეგრელობამ საშინელი გულისწყრომა გამოთქვა, გასეთისა და მკითხველისა მერიდება და მაგალითიც არ მომყავს, თუ რა სასაცილო და მასთან საზიზღარი გმობადაცინვა გამოიწვია ამ ცდამ: უმრავლესი ქართული ლოცვა-ვედრებანი, რომელსაც ქართულად დიდის მოწიწებით და სასოებით იმეორებდნენ, მეგრულ ენაზე უსიამოვნო და სალანძღავი გახდა.

თუ გსურთ მეგრელი ყმაწვილი გახდეს შეგნებული მოქალაქე, მიეცით მას საშუალება ქართული ენის სწავლისა და ხელს ნუ შეუშლით. „მეგრელს თვისი თავი მიაჩნია ქართველად, იგი ეკუთვნის ქართველ ტომს, მისი ღვიძლი შვილია. მე ვამბობ ამას, მე მეგრელი ქართველი. აი, აზრი და სამართლიანი რჩევა ყოველი ჭეშმარიტი მეგრელისა".

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ შავრაზმელმა „ხალხის განმანათლებლებმა" დიდი ხანია გასცეს თავისი საქმე, თვითონვე გამოააშკარავეს საზოგადოების საწინააღმდეგო თავისი საიდუმლო გულის წადილი, რომ საქართველოს ეროვნული საქმისათვის ჩამოეშორებინათ ნაწილ-ნაწილ ქართველთა ტომები და დაეყენებინათ ისინი ნამდვილი სულიერი გადაგვარების გზაზე. შავრაზმელი სასულიერო და საერო პირები იმ მიზნით, რომ გაემართლებინათ სკოლებიდან და კულტურის სხვა სფეროებიდან ქართული ენის განდევნის ტენდენცია, აგრეთვე ცდილობდნენ არასალიტერატურო ენებისგან ცალკეული ქართველი ტომებისათვის შეექმნათ სალიტერატურო ენები. ამ ხერხის გამოყენებით ვარაუდობდნენ, რომ ქართულ საზოგადო სალიტერატურო ენას დაუკარგავდნენ ეროვნულ მნიშვნელობას ქართველების სხვადასხვა ტომების, მათ შორის მეგრელების, თვალში „რომელთაც, ქართულის საზოგადო სალიტერატურო ენისგან ჩამოშორებით, ხვდებოდათ უთუოდ ნაციონალური გადაგვარება"[2]. უეჭველია, რომ ნამდვილი სულიერი და კულტურული განვითარება მეგრელებისა და სვანებისა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ განუწყვეტელის კავშირით მრავალსაუკუნოებით შექმნილი საზოგადო ქართულ ეროვნულ კულტურასთან და

[1] ჯაჯუ ჯორჯია. საშეგრელო. „იუდეია". 1904. № 50.
[2] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება. გვ. 35.

მწიგნობრობასთან, რომელიც ნაყოფია სულიერის მოღვაწეობისა, რაშიაც მათ დიაღაც შესამჩნევი წილი უდევთ. ამაში გამოიხატება მათი ეროვნული იდეალები და ეს არის მათი ღვიძლი დედა, საყვარელი აღმზრდელი მათი სულიერი არსებისა. ამგვარი ჭეშმარიტი განვითარება მეგრელებისა და სვანების, უეჭველად ეროვნული საქმეა, ზოგად ქართულია და პირდაპირი საგანია საზოგადო საზრუნველი ყოველთა საქართველოს ტომთათვის, რაც მოითხოვს მათგან შეერთებულს და შეთანხმებულს მოღვაწეობას[1].

1891 წელს ბესარიონ ნიჟარაძე აღნიშნავდა, რომ ქათული ენა შესანიშნავის სისწრაფით იკაფავდა გზას სვანეთისაკენ...ჩვენ გვწამს, რომ ასეთი მედიდური მსვლელობა ქართული ენისა თავის მონათესავე სვანურისაკენ ბუნებრივია და ამისათვის დროთა განმავლობაში თანდათანობით გაძლიერდება, გვერდში ამოუდგება სვანურს და იმ სათანადო ადგილს დაიჭერს, რომელიც, უეჭველია ძველად ეკავა[2].

ქართულის ცოდნა სვანს სასახელოდ მიაჩნიაო, წერდა იგივე ავტორი[3].

1903 წელს, ლეჩხუმის თავადაზნაურობის კრებაზე თავად ლევან ბექირბეის ძე დადეშქელიანს აღუძრავს საკითხი იმის გამო, რომ სვანეთის სკოლებში ქართულ ენას არ ასწავლიანო და მას აღუნიშნავს ასეთი მოქმედების უგუნერება. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას სვანეთის სკოლებში ქართული ენა არ მოისპოს, ისევ შემოიღონო. ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია[4].

ქართველი ხალხის შემადგენლობიდან მეგრელების, სვანების, აჭარლებისა და სხვა ქართველი ტომების ჩამოცილებას ცარიზმის აგენტები ყოველთვის დაჟინებით ცდილობდნენ. ისინი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არაიშვიათად, პედაგოგების ნიღბითაც გამოდიოდნენ. მაგალითად, თუ 1880 წელს იანოვსკი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა აშკარად დაედასტურებინა მის მიერ ახალსენაკის სკოლის ზედამხედველთან გამოთქმული აზრი მეგრელი ბავშვებისათვის ქართულ ენაზე, ესე იგი, სამწერლობო დედაენაზე სწავლების არასასურველობის თაობაზე, შემდეგში, რეაქციის პარპაშის პერიოდში, იგი უკვე აშკარად მოქმედებდა. როგორც ითქვა, მისი მითითების საფუძველზე შედგენილი 1885

---

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 35.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 169.

[3] იქვე, გვ. 170.

[4] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურიერთობა საქართველოში, გვ. 266.

წლის 11 იანვრის ცირკულარი სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას მოითხოვდა, ხოლო 1886 წლის 11 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორის სახელზე წარდგენილ მოხსენებაში იანოვსკი უარყოფდა ხმებს არსებული სასწავლო გეგმის გადასინჯვაზე. მოხსენების ავტორი აღნიშნავდა, რომ ამ ხმებს ავრცელებს ის პარტია, რომელიც მისი თქმით, თითქოს მტრულად იყო განწყობილი სოფლის მოსახლეობაში რუსული ენის გავრცელებისადმი და რომელიც ცდილობდა ქართული ენა გაევრცელებინა არაქართველ მოსახლეობაში. ამ შემთხვევაში იანოვსკი „არაქართველებში" მეგრელებს გ'ულისხმობდა.

—მე ვურჩიე, რომ სამეგრელოში ბავშვებს სკოლაში თავის მშობლიურ ენაზე, ესე იგი, მეგრულ ენაზე ასწავლონო, — დაასკვნიდა იანოვსკი[1].

იანოვსკი ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ ერთ-ერთ მორიგ დასმენაში ჩიოდა: ქართველი სამღვდელოება ცდილობს ქართული ენა გავრცელოს მეგრელებსა და სვანებში, რომლებიც არ შეიძლება ქართველებად ჩაითვალონ. მათთვის საჭიროა საგანგებო, არაქართული ანბანი, საჭიროა მათთვის საღვთო წიგნების გადათარგმნაო.

იანოვსკის ამ გამოხდომას უპასუხა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), რომელმაც აღნიშნა, რომ მეგრელები და სვანები ისე ჩამორჩენილნი როდი არიან, რომ „წინაპართა გადმოცემის საფუძველზე თვითონ ვერ შესძლონ თავისი ტომობრივი კუთვნილების განსაზღვრა". „მეგრელები და სვანები თავის თავს ქართველ ტომს აკუთვნებენ". მათი სამწერლობო ენა იყო და არის ქართული, რომელსაც ისინი დედაენად სთვლიან. ღვთისმსახურება მათთან ყოველთვის ქართულ ენაზეა, ძველი წარწერები ეკლესიებში, ასევე სიგელები—ყველა ქართულ ენაზე გვხვდება[2].

ნ. მარი აკრიტიკებდა ქართველი ხალხის დაშლის მოსურნეებს და ირონიულად შენიშნავდა: მათ ჰგონიათ „საქართველო" მხოლოდ ეთნოგრაფიული (ეთნიკური) ტერმინია და ქართველთა ტომები იმდენადვე განსხვავდებიანო ერთმანეთისაგან, რამდენადაც გერმანელი და რომანული ტომები[3].

ნ. მარი განმარტავდა, რომ „საქართველო" არის ტერმინი უპირვე-

---

[1] სცსსა, ფონდი 12, აღწერილობა I, საქმე 326, ფურც. 17.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) ფონდი, № 51.

[3] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 8.

ლესად ნაციონალურ-კულტურული. საქართველო ლინგვისტურად დანაწილებული ყოფილა ძველისძველადაც სხვადასხვა ძმურ მონათესავე ენებად, დიალექტებად და კილოკავებად. იგი ჩვეულებრივ გაყოფილი იყო სხვადასხვა სახელმწიფოებად. „ამაგრამ ამასთანავე საქართველო ყოფილა მთელი, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი შეპაერთებელი იყო, ქრისტიანობის მიღებიდან, სხვათა შორის, ეკლესია და საზოგადო სალიტერატურო ენა[1]. შემდეგ ლიტერატურა შეშუშავდა და კიდევ უფრო მჭიდროდ და ძლიერად შეაკავშირა საქართველოს ტომები. „განმტკიცდა და დამყარდა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა ერთის სალიტერატურო ენითურთ და ეს სალიტერატურო ენა ცნობილი იქნა ქართულად". ამ საქმის მოთავეობა ეთნიკურად და დიალექტოლოგიურად ქართველებად (ესე იგი, ქართები. ი.უ.) ცნობილ ტომებს ეკუთვნოდა. ეს იყო მეხუთე საუკუნეში ქრისტეს აქეთ. VI და VII საუკუნიდან ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში მონაწილეობენ „ქართლელ-ქართველებს გარდა სხვა ქართველთა ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვინემ თვით ქართლელებს"[2]. ტომობრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ეროვნულად და სალიტერატურო ენა ქართული დიალექტურიდან ზოგად ქართველთა ენად. აი, ამის გამო, მრავალი ადგილი ქართველთათვის უძვირფასესის პოემის „ვეფხისტყაოსნისა" უფრო კარგად ესმით, მაგალითად გურულებს, ანუ იმერლებს, ვინემ თვით ქართლელებს. „ამის გამოვე მრავალი ფორმები აზრის გამოხატულებისა და სიტყვები საუკეთესო ქართულის პროზისა და პოეზიისა, რომელნიც შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილას უცნობი არიან, სრულიად ჩვეულებრივად შიაჩნიათ ცოცხალ საუბარში ამჟამად მაჰმადიანებად მყოფ იმერხევლებს ბათომის მაზრაში. ამის გამოვე საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურს, ანუ მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალური კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურულია და იმერული, რამდენადაც ქართული. ის არის ღვიძლი სამწერლობო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის, სულ ერთია, რა კილოზედ, რა დიალექტზედ, ან რა ენაზედაც უნდა საუბრობდეს იგი სახლში, თავის კერასთან და ეს აუნაირი მდგომარეობა მათი გუშინდელისგან კი არ

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9.

იწყება, მას აქეთ ათს საუკუნეზედ მეტს გაუვლია"[1]. ქართველთა ტომების ეროვნული ერთობა ბრწყინვალედ გამოიხატება „ყველასათვის საღვთოდ-მიჩნეულ ქართულ ენაში"[2].

არნოლდ ჩიქობავა წერს: „ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც". „არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს), სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ დედა ენას ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის"[3].

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი იყო თავისი ხალხის ეთნიკური, ტომობრივი შემადგენლობის საკითხი. 1877 წელს ი. ჭავჭავაძე სასაცილოდ იგდებდა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორის ცდას, ქართველები ქართველებად არ მიეჩნია. სემინარიის დირექტორი აღნიშნავდა, რომ ჩამომავლობით სემინარიის მოწაფენი თორმეტს გვარტომობას ეკუთვნოდნენ. მათ შორის, დირექტორის განცხადებით, იყვნენ რუსები, ქართველები, იმერლები, სომხები, პოლონელები, ინგილოები, გურულები, ფშავლები, აფხაზები, უდინი, ჩერქეზი, ბერძენი. „ამგვარად, — წერდა ილია, — ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი —ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი — რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ"[4].

1885 წელს, თბილისში საზოგადოების წინაშე რეფერატით გამოსულა ვინმე სმირნოვი, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სომეხთა სხვადასხვა შტოებს შორის სრული ერთობაა როგორც ენის, ისე ისტორიის მხრივ და ამიტომ ეს ხალხი ერთ ტომს წარმოადგენსო, ხოლო რაც შეეხება ქართველებს, მეგრელებს, ლაზებსა და სვანებს, თუმცა მათი ენები ერთისა და იმავე ფესვისაგან წარმოსდგებიან, მაგრამ თვითონ ამ ხალხთა ერთი გვარტომობა კი დამტკიცებული არ არისო.

---

[1] ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, გვ. 9—10.

[2] იქვე, 11.

[3] არ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 363.

[4] ი. ჭავჭავაძე, ვიცინოთ თუ ვიტიროთ, „ივერია", 1877, № 10; თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 316.

„დროება" მიუთითებდა წინააღმდეგობებზე, რასაც სმირნოვის რეფერატის სხვადასხვა დებულება შეიცავდა და დაასკვნიდა: უმეცრებით წათამამებულ სმირნოვს თავისი თავი მართლა მეცნიერად მიაჩნიაო[1].

1887 წელს „კავკაზმა" მეგრელები, სვანები, ხევსურები არაქართველ ტომებად გამოაცხადა[2]. ილიამ გაიცხა „კავკაზის"ეს თეორია[3], აგრეთვე ამ გაზეთის განცხადება, რომ ქართველთა პირველსამყოფელი ივერია არაა, აქ ისინი მოვიდნენ და მათ არავითარი კულტურა არ გააჩნიათო. „კავკაზს" სად ჯანდაბაში დაჰკარგვია თვალთახედვის უნარი, რომ თავის გარშემო ვერ ხედავს ათასი წლების ნაშენებსა და ნაკეთებსო, — შენიშნავდა ილია[4].

რეაქციონერთა შემოტევა შემდეგაც არ შეწყვეტილა: ისინი ცდილობდნენ ქართველი ხალხის ერთიანობის გაუფასურებას. ი. გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა „თბილისის სამაგიდო კალენდრის" (რუსულ ენაზე) შემდგენლის გერცენშტეინის ცდას ძირფესვიანად დაერღვია ქართველთა ეროვნული ერთობა და მთლიანობა. იაკობი აღნიშნავდა, რომ ამ კალენდარში ყველა ევროპელი და აზიელი ერი მოხსენებულია, როგორც ორგანული ერთეული: რუსები, სომხები, ფრანგები, გერმანელები, ლეკები, ოსები, აისორები და სხვანი. ქართველების მიმართ კი კალენდრის შემდგენელი სხვაგვარად იქცევა—ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გადაუქცევია, თემები ცალკე ხალხებად და ერთი ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ სხეულად მოუჩვენებია. ქართველები ამდენნი არიან, მეგრელები—ამდენნი, იმერლები—ამდენნი, ფშავლები—ამდენნი, თუშები—ამდენნი, ხევსურები—ამდენნი. უყურეთ რამდენი ნაცია აღმოუჩენია ქართველებშიო,—წერდა იაკობი[5]. ამით კალენდრის ავტორი ძირს უთხრის ეროვნულ ერთიანობას, საბუთს აძლევს მტრებს თქვან, რომ ქართველები ერის დონემდე ვერ ასულან და თემების დონეზე დარჩენილანო და ამ მხრივ დაბლა დგანან არამც თუ სომხებზე, არამედ ლეკებზედაც, ოსებზედაც, აისორებზედაც და კავკასიის ყველა სხვა ხალხებზე, რომლებიც მთლიან ერებად იწოდებიანო[6].

---

[1] „დროება", 1885, № 63.

[2] «Кавказ», 1887, № 332.

[3] „ივერია", 1887, № 268; ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 17—20.

[4] „ივერია", 1888, № 16; ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 21—24.

[5] ი. გოგებაშვილი, ქართველი ერის დაქუცმაცება, „საქართველოს კალენდარი"", 1904, გვ. 246—247.

[6] იქვე, გვ. 252

რეაქციონერებმა ბევრი იღონეს ქართველებისაგან აგრეთვე აფხაზების ჩამოსაცილებლად. მათ განდევნეს აფხაზეთის ეკლესიებიდან ქართული ენა, ეკლესიას სავალდებულო გაუხადეს სლავური ენა, აქაურ სკოლებშიც სასტიკად ებრძოდნენ ქართულ ენას[1], მიუხედავად იმისა, რომ უძველესი დროიდან აფხაზთა სამწერლობო ენა ქართული იყო. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა: აფხაზთა სამეფოში ყოველ შემთხვევაში IX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა იყო ქართული. საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ წარმოშობილ აფხაზეთის სამთავროში ქართულ ენას ეს როლი არ დაუკარგავს. თვით XIX საუკუნის აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობდა[2].

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის დარღვევა-დაკნინებას, სიტყვით და საქმით, რეაქციის არაერთი აგენტი უწყობდა ხელს. ქართველი ხალხის ამგვარ მტრებზე ვაჟა დამცინავად შენიშნავდა:

კაცი ის არის, ვინაცა
არა კითხულობს გაზეთსა,...
გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა[3].

არარუსი ხალხების სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები სრულიად გაუგებარი იყო რუსეთის მონარქიული სახელმწიფოს სხვადასხვა ჯურის მოხელეებისათვის. მაგალითად, კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო ჯერ კიდევ 1871 წლამდე წერდა: მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების სწავლებაზე ზიანს აყენებს რუსული ენის წარმატებას. „ყოველ შემთხვევაში ვნიშნავთ რა სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მასწავლებლებს სამსახურებრივი უფლებებით,

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, „საქართველოს ისტორია“, ნაწილი II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1950, გვ. 66.

[2] გიორგი შ ა რ ვ ა შ ი ძ ე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, ს. ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 26.

[3] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბ., 1964, გვ. 305.

ვაჯილდოვებთ მათ ჩინებითა და პენსიით, ჩვენ ამით არ მივდივართ ინოროდცების ასიმილაციისაკენ, რაც, ვფიქრობ, ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენსო", ეს, რა თქმა უნდა, მარტო ილიაშესკოს აზრი არ ყოფილა[1].

1871—1872 წლების მიჯნაზე თბილისში შედგა საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორთა ყრილობა, რომლის მიერ შექმნილმა კომისიამ აღნიშნა შემდეგი: კომისია ერთხმად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადგილობრივი ენების მასწავლებელთათვის დანიშნული ხელფასი ამჟამად წარმოადგენს არამწარმოებლურ ხარჯს, როგორც სახელმწიფო, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით. კომისიას მიაჩნია, რომ რუსული სკოლა კავკასიაში ისახავს ორგვარ მიზანს: ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა ჩააბას საერთო საკაცობრიო განვითარებაში, მეორე მხრივ კი იმისათვის, რომ თანდათანობით მოამზადოს ადგილობრივი ტომები საერთო რუსულ ოჯახთან შერწყმისათვის, რომელთაც ერთნაირი ინტერესები და მისწრაფებები ექნებათ, ხოლო ადგილობრივი ენების სავალდებულო სწავლება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს განკერძოებულობას, მეორე მხრივ კი, არ შეიძლება მათ ჰქონდეთ რაიმე საგანმანათლებლო მნიშვნელობა. სამართლიანობა მოითხოვს მსურველებს ნება მიეცეთ შეისწავლონ ადგილობრივი ენები, მაგრამ მხოლოდ საგანგებო საფასურის სანაცვლოდ, რასაც მოსწავლეთა მშობლები გადაიხდიან[2].

მომდევნო პერიოდში, აჯამებდა რა კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველობის მიერ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე (1879—1899) იანოვსკის ხელმძღვანელობით გაწეულ საქმიანობას, ჟურნალი «Русская школа» აღნიშნავდა, რომ კავკასიის სახალხო სასწავლებლების არარუს მოსწავლეთა აბსოლუტური რაოდენობა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ციფრს, რაც გაცილებით აღემატება 50 ათას კაცს. კავკასიის მრავალეროვანი ბავშვების მთელი ეს 50-ათასიანი მასა უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ენის ძალზე ენერგიულ პროპაგანდისტებად. სკოლაში საფუძვლიანად დაეუფლებიან რა რუსულ მეტყველებას, ინტერესს გამოიჩენენ რუსული წიგნისადმი, შეიყვარებენ რუსულ ზღაპარს და რუსულ სიმღერას,—ბავშვები ამ ენას, ამ წიგნს, ამ ზღაპარსა და სიმღერას თან წაიყოლებენ ადგილობრივი

[1] ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ., 1951, გვ. 42—43.

[2] ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომში, გვ. 43—44.

დასახლებული პუნქტების ქუჩებში, თავისი ნათესავებისა და ახლობლების სახლებში[1].

ჟურნალი განაგრძობდა: და აი, დაახლოებით, რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში მოხვედრილი მოგზაური ყურს მიუგდებს ხალხის ლაპარაკს და ვეღარ გაიგონებს იმ მრავალენოვან საუბარს, რაც ამჟამად ასე გვაოცებს; გაბატონებულ ენად აქ რუსული ენა გახდება, ხოლო რუსული წიგნი, რუსული ჟურნალი და გაზეთი გადაიქცევა განათლების მთავარ საშუალებად, რომელთა გავლენითაც ჩამოყალიბდება ყოველი კავკასიელი მკვიდრის ეროვნული გრძნობა, პატრიოტული და პოლიტიკური შეხედულება[2].

1904 წელს, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლების ზედამხედველი დეკანოზი ვოსტორგოვი სინოდის წინაშე თავის გამოსვლაში ნეტარებით აღნიშნავდა: მე აფხაზეთში მითხრეს, რომ აფხაზებს საკუთარი სიმღერები არა ჰქონიათ, და აი, საეკლესიო სკოლის კურსდამთავრებული აფხაზი ყმაწვილი თურმე ზის ურმის კოფოზე და მღერის საეკლესიო-სლავურ ლოცვას „აცხოვნე, უფალო, ერი შენი"[3].

ვოსტორგოვი აშკარად აზვიადებდა იმ როლს, რასაც სამრევლო საეკლესიო სკოლები კავკასიელი მოზარდი თაობის მიმართ ასრულებდნენ. იმ პერიოდში, როცა ვოსტორგოვი ზემოთ მოტანილ სიტყვებს ამბობდა, თედო სახოკია ამ სკოლებს ასე აფასებდა: 1863 წელს სოხუმში პირველად დაარსდა რუსული სკოლა აფხაზთათვის, ორკლასიანი, ხუთი წლის კურსით. ეს სასწავლებელი „მთიელთა სკოლად" წოდებული სოხუმში დღევანდლამდე არსებობს. მაგრამ აფხაზთა ცხოვრებას ნირი არ შესცვლია, არაფერი დასტყობია. ხუთი წლის განმავლობაში შეძენილ რუსულ წერა-კითხვას სკოლიდან გამოსული შეგირდი ერთი წლის განმავლობაში თითქმის სრულიად ივიწყებდა.

დღეს ბევრ სოფელშია გახსნილი სამრევლო სკოლა, მაგრამ იმ

---

[1] Н. П. Попов, Деятельность управления Закавказского учебного округа за последнее двадцатилетие (1879—1899), Журн. «Русская школа», 1901, №1, спб., с. 77.

[2] იქვე, («И вот чрез каких-нибудь полвека или около того прислушается путник говору в Кавказских городах и весях и уж не услышит того разноязычия, какое поражает его теперь там; господствующей речью станет там речь русская, а русская книжка, русский журнал и газета явятся главными образовательными средствами, под влиянем которых будут слагатся национальная чувства, патриотические и политические взгляды всякого кавказского обывателя»).

[3] «Спаси господи люди твоя», И. Восторгов, Церковная школа в Закавказии, курн. «Народное образование», том I, книжка 3, март, 1905, с. 337.

უკულმართი მიმართულებისა გამო, საზოგადოდ ჩვენებურ სკოლებში რომაა გამეფებული, აქაური სკოლები ყველაფერს ემსახურებიან, ყველაფერს ასრულებენ, გარდა მთავარი დანიშნულებისა—ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი გაწვრთნისა. აქაურ მკვიდრთ არც ამ სკოლათა არსებობა ჰმატებს რასმე და აღარც უმისობით დააკლდებათ რამე[1].

ცნობილია, რომ ქართველი მოღვაწეები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსულ ენას, აგრეთვე სხვა მოწინავე ხალხების ენების ცოდნას და ამ ენებზე შექმნილ ლიტერატურას. ი. გოგებაშვილი წერდა: მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ანაბრადო[2]. რათა ქართულმა ეტლმა ტაატით არ იაროს, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მოვუბათ რუსული ენა და სხვა ენები[3].

რც შეეხება ასიმილატორებს, მათ რუსული ენისა და „რუსული სულის“ გარდა, სხვა არაფრის გაგება არ სურდათ. რასაკვირველია, შავრაზმელი პოლიტიკანები ვერ მისწვდებოდნენ ქართველი, სომეხი და კავკასიის სხვა ხალხების მიერ მრავალი საუკუნეების მანძილზე შექმნილი სულიერი კულტურის სიდიადეს. ასიმილატორების აზრით, კავკასიაში თვით კავკასიური ზღაპრები და სიმღერებიც კი უნდა გამქრალიყო. მათი წარმოდგენით, კავკასიის ხალხები უბირთა რაღაც ერთიან მასას წარმოადგენდა, რის გამოც ეს მასა ეროვნული გრძნობების შენარჩუნებასაც კი ვერ შესძლებდა და უეჭველად დასაღუპად იყო განწირული. ახლო მომავლიდან კავკასიელ ხალხთა პატრიოტიზმი, მათი ეროვნული შეგნება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ძირისა უნდა ყოფილიყო. კავკასიის ხალხების განათლება-დაწინაურების საქმეში რუსულ სკოლას რაღაც ზღაპრული როლი ენიჭებოდა: თითქოს მხოლოდ ამ სკოლის საშუალებით მიაღწევდნენ კავკასიის ხალხები მათთვის სანუკვარ საბოლოო მიზანს.

სინამდვილეში, საქმე ასე როდი იყო. მთელი ოცდაათი წლის მანძილზე, ამიერკავკასიაში, მეფის ხელისუფლებას მხოლოდ ერთადერთი საერო სასწავლებელი ჰქონდა მოწყობილი, ეს იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1804 წელს გაიხსნა. მასზე

---

[1] თ. სახოკია, აფხაზეთში, „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2367; თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 312, „აფხაზეთი“; თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984, გვ. 213.

[2] ი. გოგებაშვილი, ძირითადი უკულმართობა, „ივერია“, 1890, № 102; თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 223.

[3] იქვე, გვ. 224.

მთავრობას არც ერთი კაპიკი არ გაუღია. ჭარ-ბელაქნის ლეკებზე ხარკად დადებული 220 ფუთი აბრეშუმის საფასურიდან (13200 მანეთი), ციციანოვმა 10 ათასი მანეთი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის გამოყო[1]. შემდეგში სასკოლო ქსელი ჩვენში საგრძნობლად გაფართოვდა, მაგრამ არც ამას მოჰყოლია სათანადო შედეგი. და ეს იმის გამო, რომ ამ სკოლებში სწავლის პროცესი მშობლიურ, ქართულ ენაზე არ ყოფილა დაფუძნებული. აქ საჭიროა მოვუსმინოთ ნ. მარს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე აღნიშნავდა: საქართველოში სკოლები ცოტა იყო, განსაკუთრებით რუსეთთან შეერთების მომენტში. რუსეთის მთავრობამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ბევრი გააკეთა ქართული მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებისა და სასკოლო პირობების ორგანიზაციისათვის, მაგრამ საქმე ქართველთა დედაენის დევნამ წაახდინა. დაწყებით სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების შემოღებამ ეს სკოლები დანაიდების კასრად აქცია: სახელმწიფო თუ ადგილობრივი სახსრები და შრომა უსარგებლოდ იყრებოდა ამ უძირო ჭურჭელში. დაწყებითი სკოლადამთავრებულები, როგორც წესი, უცოდინარობით გამოირჩეოდნენ. საშუალო სკოლებში მშობლიური ენა შევიწროებული იყო და ხშირად ცალკე საგნადაც კი არ ისწავლებოდა. ყოველივე, რასაც შეეძლო ხელი შეეწყო ადამიანური ღირსებებისა და ქართული ჯანსაღი ეროვნული თვითშეგნების განვითარებისათვის (ვთქვათ, საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა) განდევნილი იყო საშუალო სკოლიდან, ან მათი შესწავლა ისე საძაგლად იყო დაყენებული, რომ ისინი ქართველთა შორის მხოლოდ გულგრილობას, ან ზიზღსაც კი იწვევდნენ. ყოველივე ეს კეთდებოდა „სახელმწიფოებრივი სარგებლობის მაღალი მიზნებისათვის", ყოველივე ეს გაანგარიშებული იყო იმისთვის, რომ ქართველ მოზარდ თაობაში ჩაენერგათ სიყვარული ყოველივე რუსულისადმი. იქნებ ამ გზით მთავრობამ მიაღწია მიზანს და სინამდვილეში ხელი შეუწყო ქართველების სულიერ გარუსებას? შედეგები, რომლებიც თვალწინა გვაქვს, სავსებით, საწინააღმდეგო მნიშვნელობისაა. საქართველოში მოწყობილი რუსული სკოლები, სადაც ყოველივე ქართული ეროვნულის დევნა ბატონობდა, ხელს უწყობდა ან უკიდურესი ქართული ნაციონალიზმის განვითარებას, ან ყოველივე ეროვნული იდეალების არა მარტო ქართულის, არამედ, პირველყოვლისა, რუსულის — სრულ უარყოფას[2].

---

[1] ტრ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 5.

[2] Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок), с. 14.

ნ. მარი განაგრძობდა: თუ მხედველობაში მივიღებთ არა ბედნიერ გამონაკლისებს, არამედ მასების ინტერესებს, რუსული მთავრობის მიერ საქართველოს სკოლებზე დახარჯული მთელი შრომა უნდა მიჩნეულ იქნეს ქართველი ხალხის განათლების საქმისათვის არა მარტო უსარგებლოდ, არამედ პირდაპირ მავნედ. მთელი სისტემა ისე იყო გაანგარიშებული, რომ ქართველები სამუდამოდ ამოეშალათ რუსეთის კულტურული ხალხების რიცხვიდან. ეს სისტემა მიჩნეული იქნებოდა მცდარ სისტემად მაშინაც კი, ქართველების სახით, ჩვენ ნახევრად ველურ ტომთან რომ გვქონოდა საქმე. მაგრამ როცა ეს ეხება ისტორიული წარსულისა და საუკუნეების მანძილზე განვითარებული კულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხს, მაშინ მის სკოლებში მისი ეროვნული სიმდიდრის უგულებელყოფა, ყოველგვარ სისტემას გადააქცევს არა მარტო ღრმად მცდარ, არამედ აგრეთვე დანაშაულებრივ სისტემად[1].

ნ.მარი დაასკვნიდა: რუსულმა სკოლამ...ხელი შეუწყო ქართველი ხალხის იმ ნაწილის გონებრივი დონის დაცემას, ვინც სასწავლო კურსი მმართველობის სკოლებში გაიარა. და თუ ეს დაცემა არ გამოიხატა სრულ გაველურებასა და სულიერ გადაგვარებაში, ამის მიზეზი ისევ ქართველთა ისტორიულად მიღებულ მემკვიდრეობითს კულტუროსნობაშია[2].

ყურადღებას იქცევს დ.ყიფიანის კრიტიკული ძოსაზრებანი იმ შედეგებთან დაკავშირებით, რაც ცალკეული ერების გათქვეფა-შერწყმას მოჰყვებოდა. გაზეთ „კავკაზის" რედაქტორისადმი მიმართულ წერილში (1882 წ.), რომელიც ცენზურამ არ გაუშვა, დ.ყიფიანი აღნიშნავდა: შეუძლებელია მოვითხოვოთ, რომ ერთ სახელმწიფოში ან ერთ საზოგადოებაში, თუგინდ ერთ ოჯახშიაც კი ყველა ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდეს და მასთანავე ერთი და იმავე საშუალებით, შეუძლებელია იმ დღესავით ნათელი მიზეზების გამო, რომ მაშინ არავინ არაფერს არ გააკეთებს...მოთხოვნა იმისა, რომ ყველა ერებმა იცხოვრონ, განვითარდნენ და იმოქმედონ ერთნაირი სახით, — რომ გამოიკვებონ ერთნაირი საჭმლით, ჩაიცვან ერთნაირი ტანსაცმელი, ღმერთი ილოცონ ერთი და იმავე ენით და მიწა დაამუშავონ ერთი და იმავე იარაღებით, — განა ნათელი არ არის, რომ ეს იქნებოდა მზის სინათლეზე ისეთი განხეთქილების გამოტანა, რომელიც მხოლოდ იმისთვის გამოდგე-

[1] Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок), с. 14-15.
[2] იქვე, გვ. 15.

ბა, რომ უდროოდ დაუდვას სახღვარი ყოველგვარი სახოგადოებრივი წარმატების საქმეს[1].

ამრიგად, რეაქციის პერიოდში დ. ყიფიანი მკაცრად გმობს ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას. იგი მეტად მძიმე სიტუაციაში ახერხებს ღასცინოს იდეებს, რომელიც მთელს რუსეთში, კ.ზმა პრუტკოვის მსგავსად, ახლოლდ ერთნაირი აზრების შემოღებას ქადაგებდა[2]. დ. ყიფიანი დასცინის მეფის ხელისუფლების შეხღუდულ, მავნე, მგლურ ნაციონალისტიკურ პოლიტიკას მთელ უზარმაზარ მრავალეროვან იმპერიაში ერთფეროვანი, ყაზარმული წესების მიხედვით მოწყობილი ცხოვრების განხორციელებისაკენ რომ იყო მიმართული.

ი. ჭავჭავაძემ კონკრეტულ-ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ცხადყო ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის სრული უპერსპექტიეობა. 1881 წელს „დროებაში" ილია წერდა: „ავსტრიაში, საცა რუსეთისამებრ სხვადასხვა ენის ერი ცხოვრობს, ბევრსა სცდილობდნენ, რომ სკოლების შემწეობით გაევრცელებინათ ნემეცური ენა, როგორც სახოგადო სახელმწიფო ენა. ბევრი სისტემები სცვალეს, ხან ერთი კანონი დაადგინეს, ხან მეორე, მაგრამ ნემეცური ენა ისე ვერ გაავრცელეს, როგორცა სურდათ, და ერს კი აწყენინეს და გული ტყუილუბრალოდ აუმღვრიეს[3]. ამ კანონმა გული აუმღვრია საერთოდ სლავებს, უნგრელებსა და იტალიელებს. ბოლოს იძულებული გახდნენ 1848 წელს დაედგინათ, რომ სკოლაში მთელი სწავლება დედაენაზე მოწყობილიყო, იმ პირობით კი რომ გერმანული ენაც ესწავლებინათ, როგორც სახელმწიფო ენა. 1869 წელს კანონი შეივსო იმით, რომ დაადგინეს: თვითონ საზოგადოებამ, რომლის ხარჯითაც იმართება სკოლა, გადაწყვიტოს: ა) რა ენაზედ უნდა მოაწყონ სწავლება და ბ) მეორე ენაც, იმ ქვეყანაში მოქმედი უნდა ისწავლონ თუ არაო.

აი, სად მიიყვანა ავსტრია თითქმის სამოცდაათი წლის გამოცდილებამ, — დაასკვნიდა ილია[4].

ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა (1890 წ.): უწინ ევროპაში პატარა ხალხებს დევნიდნენ, გაბატონებული ერები ცდილობდნენ დამორჩილებუ-

---

[1] ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 226.

[2] Козьма Прутков, Проект о введении единомыслия в России. Полное собрание сочинений. М., Л., 1965, с. 151—154.

[3] ი. ჭავჭავაძე, ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო, „დროება". 1881, № 33; თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 285—286.

[4] იქვე, გვ. 287.

ლი ერებისათვის დაეწყებინათ დედაენა, სამშობლო ისტორია და ლიტერატურა და გადაეგვარებინათ. ახლა დიდი ერები დაადგნენ სხვა გზას, უარყვეს პატარა ერების დევნის პოლიტიკა და სრულ უფლებას ანიჭებენ მათ. ასეა, მაგალითად, ინგლისში ირლანდიელების, უელსელების და შოტლანდიელების მიმართ, ავსტრია-უნგრეთში მადიარებისა და სლავების მიმართ[1].

მაშასადამე, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, ცარიზმის რეაქციულ ეროვნულ პოლიტიკას გარდაუვალი კრახი უწინასწარმეტყველეს: რა შედეგებიც უკვე მოჰყვა ერთი ერისა და ერთი ენის გაბატონების პოლიტიკას ევროპის რიგ დიდ სახელმწიფოებში, იგივე მოჰყვება ანალოგიურ ეროვნულ პოლიტიკას რუსეთის იმპერიაშიო.

ჩვენს მოღვაწეებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული დემოკრატია დიდად აადვილებდა ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას. რუსეთის იმპერიაში ასეთი დემოკრატიის ნიშანწყალიც კი არ არსებობდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, ძალზე აფერხებდა არარუსი ხალხების ეროვნულ განვითარებას. ჩვენში ისეთი ვითარება იყო შექმნილი, როცა ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხის გადაჭრა ერის მოწინავე პირებისგან ძალთა უდიდეს დაძაბვას და არაიშვიათად თავგანწირვასაც მოითხოვდა.

XIII თავი.
დ. უიფიანი—რეაქციის პერიოდში. მისი ცხოვრების დასასრული

შაერაზმელთა მიერ დ. უიფიანის ღვაწლის დაკნინების ცდა

ცარიზმის აგენტები ცდილობდნენ დაემცირებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა, ამ მოძრაობის ხელმძღვანელთა ღვაწლი. კერძოდ, დიდმპყრობელობის მოხელეები ესწრა-

[1] ი. გოგებაშვილი, „ივერია", 1890, № 104; თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 235.

ფოდნენ, აბუჩად აეგდოთ ყიფიანის ეროვნული თავდადება და იგი ისეთ მოღვაწედ წარმოედგინათ, რომელიც მხოლოდ ფუჭი სახელისა და დიდების მოსაპოვებლად იბრძვის, ეს მაშინ, როცა თითქოს საბრძოლველი არაფერი იყო—ქართველი ერის წინსვლის საქმე ისედაც საიმედო ხელშია და მასზე თვითონ მძართველობა ზრუნავსო.

მაგალითად, აი, რას სწერდა 1886 წლის 25 ივნისს კავკასიის მთამთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი შინაგან საქმეთა მინისტრს დ. ტოლსტოის—ეგზარქოს პავლესადმი ყიფიანის მიერ გაგზავნილი წერილის გამო: ამ წერილში ყიფიანს აშკარად სურდა გაეთამაშებინა თავგამოდებული ქართველი პატრიოტის როლი, ვ ი თ ო მ დ ა შეურაცყოფილი სამშობლოს ღირსების დასაცავად, რათა ამით თავის თავს, თვისტომთა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს[1].

ამ მოწერილობაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ თვით ხანში შესვლის შემდეგაც დ. ყიფიანი თითქოს ყოველთვის გამოირჩეოდა პატივმოყვარეობით და მისწრაფებით, რომ რითიმე განედიდებინა თვისი სახელი, აეძულებინა ხალხი, მასზე ელაპარაკნა და ამ მიზნისათვის მას არაერთხელ მიუღწევია. მან თანამემამულეებს ჩაუნერგა აზრი, რომ იგი არის გამოჩენილი ქართველი პატრიოტი, რომელიც თავის სამშობლოს იცავს ყოველივე იმისგან, რასაც, მისი რწმენით, შეუძლია შეასუსტოს ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობა. დონდუკოვ-კორსაკოვის აზრით, ვერც წლებმა და ვერც გამოცდილებამ ვერ შეანელა დ. ყიფიანის ავადმყოფური მისწრაფება გაითამაშოს ქართველი ერის მოწინავე მებრძოლის როლი[2].

სტავროპოლში გადასახლებული დ. ყიფიანი დაწვრილებით განიხილავს კავკასიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზემოთ დასახელებული წერილის შინაარს და მასში ქვას ქვაზე არ ტოვებს. იგი აღნიშნავს: აქ აშკარაა მხოლოდ ერთი რამ: თავადი დონდუკოვი რამდენიმე წლით, რამდენჯერმე იმყოფებოდა კავკასიაში, მაგრამ ეტყობა არასდროს არ ჩაჰკვირვებია საკითხს თუ „რა ხალხია ეს ქართველები“[3]. თავის ამ ჩანაწერებში, დ. ყიფიანი, ურყევი საბუთების მოშველიებით, ქართველ ხალხს დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე და საკაცობრიო ცივილიზაციის წარმატების მონაწილე ხალხად წარმოაჩენს:

---

[1] სცსსა, ფონდი 12, აღწერილობა I, საქმე 326, ფურც. 32; „საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 436.

[2] სცსსა, ფ. 12, აღწ. I, საქმე 326, ფურც. 33; „საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 436.

[3] Д. К и п и а н и, Записка о фактах, ფურც. 20.

—ვინც ჩვენ (ესე იგი, ქართველებს) გვიცნობს, ის ან სიყვარულით, ანდა პატივისცემით მაინცაა გაშსჭვალული ჩვენს მიმართო, —წერდა იგი[1]..

დონდუკოვ-კორსაკოვის საპასუხოდ დ. ყიფიანის მიერ შედგენილ ჩანაწერებზე დაკვირვებას მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ისეთი წარსულისა და ტრადიციების ხალხს, როგორიც ქართველებია, ცხადია, აქვს ეროვნული ღირსებისა და სიამაყის სრული შეგნება. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ხალხის შვილები შშობელი ერის შეურაცყოფას და დამცირებას, მის შეგინებას ადვილად არავის შეარჩენენ. —მე როლს კი არ ვთამაშობ, არამედ ნამდვილად ვარ ქართველი პატრიოტი, მაგრამ არა თქვენი, არამედ ჩემი გაგებით, —ამაყად პასუხობდა დ. ყიფიანი „ინოროდცების" მოძულე მეფის სატრაპს[2].

ქართველი მოაზროვნეების მიერ დიმიტრი ყიფიანის ღვაწლისა და მსოფლმხედველობის შეფასება

ქართულ პროგრესულ პუბლიცისტიკაში დიმიტრი ყიფიანის ღვაწლის პირველი სერიოზული შემფასებელია ილია ჭავჭავაძე.

ილიამ 1871 წელს თავის „კიდევ გამოცანებში" გაკიცხა და გაამათრახა მაშინდელი ჩვენი საზოგადოების მაღალი ფენის არაერთი წარმომადგენელი, რაკი ისინი თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბლისადმი უსულგულობას იჩენდნენ. ილიამ მხოლოდ დ. ყიფიანს უძღვნა საქებარი სტრიქონები:

ამ უკაცურ კაცთა შორის
შე იგი კაცად შგონია
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
მას სიყვარული ჰქონია.

ილია განმარტავს დიმიტრის დამსახურების საფუძველს:

ბანკის ძირი იმან ჩარგო,
ღონე ხსნისა მოგვცა ხელთა;
ვახ! დაგვიშხეს ზოგთ ეს საქმეც!
წუეა ჩვენი მათ—ჩვენ მტერთა![3].

როცა დ. ყიფიანი მოკლეს, ილიამ „ივერიაში" სამი წერილი დაბეჭდა

[1] Д. Кипиани, Записки о фактах, ფურც. 23.

[2] იქვე.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1951, გვ. 91—92, 390.

გამოჩენილი მოღვაწის ხსოვნისათვის და მის ნაღვაწს ფრიად მაღალი შეფასება მისცა[1].

ამ წერილებში ილიამ მთელი სისრულით წარმოადგინა დ. ყიფიანის პიროვნება; მისი ა'ხრით იგი იყო უდიდესი ნებისყოფისა და უაღრესად პირნციპული ხასიათის მოღვაწე, რომელიც მართალთა გზით მიდიოდა, ესე იგი, რომლისთვისაც სიცოცხლის უმთავრესი მიზანი მშობელი ქვეყნის, თავისი ჩაგრული და პატივაყრილი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა გახლდათ. ილია წერდა: ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, —ყველანი ერთად და თვითეული ცალკე ჰგლოვობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში[2].

რა არის ის საიდუმლო, რომ ჩვენი სული და გული ჰკვნესის დ. ყიფიანის დაკარგვის გამო?—კითხულობს ილია და თვითონვე პასუხობს: — ის, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც სიყმაწვილის დღიდანვე ბოლოს ჟამამდე სამართალი მიუძღოდა. დიმიტრი ყიფიანი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას". დ. ყიფიანი იყო მართალი კაცი, „იგი იყო კაცი ხასიათისა". ილია მიუთითებდა, რომ არიან ბევრნი დიდხარისხოვანნიც, მეცნიერნიც, მოღვაწენიც, მწერალნიც, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულით სრულნი.

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ ხასიათობა; ყოველი დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა თავს იწონებს, ქმნილია ხასიათის კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისგან.

დიმიტრი ყიფიანის მაგალითი გვწვრთნის, გვასწავლის და გვზრდისო, —დასძენდა ილია[3].

ნიკო ნიკოლაძე (1875 წ.) მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიაში სამიოთხი კაცი თუ იქნება ისეთი, რომლებიც მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარულნი არიან. მათ იცნობს და პატივს სცემს ამიერკავკა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, „ივერია", 1887, № 227, 230, 235; თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 221—230.

[2] „ივერია", 1887, № 227; ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 221.

[3] „ივერია", 1887, № 235; ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 230.

სიის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა, მათს ჭკუასა და პატიოსნებას ენდობა ყველა დიდიდან პატარამდე, ამ ბედნიერთა შორის თითქმის პირველთაგანია დ. ყიფიანი[1].

ნ. ნიკოლაძემ დაახასიათა დ. ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, მიუთითა, რომ მან, როგორც შესანიშნავი წერილების ავტორმა და როგორც მთარგმნელმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში.

აკაკი წერეთელი ყოველთვის დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული დ. ყიფიანისადმი. 1885 წელს იგი მიესალმა დ. ყიფიანის არჩევას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად[2]. ყიფიანის პიროვნება და მისი მოღვაწეობა აკაკიმ დიდად შეაქო დიმიტრის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვასა და ლექსში—„განთიადი". ა. წერეთელი დ. ყიფიანს ქართველი ერისათვის თავდადებულ გმირად მიიჩნევდა[3]. გარდა „განთიადისა", დიმიტრისადმია აგრეთვე მიძღვნილი აკაკის ლექსი „ქართველი უცხოეთში" (1888 წ.)[4]. ცენზურული პირობების გამო ავტორს ამ ლექსისათვის სათაურად მიუცია „ქართველი სპარსეთში", ხოლო ქვესათაურად „ძველი ამბავი".

ვაჟა-ფშაველა დ. ყიფიანს „ქვეყნისათვის თავდადებულ" პიროვნებას უწოდებდა[5].

ქვეყნისა, სამშობლოსათვის
მხოლოდ რჩეული კვდებისა.

პასუხი ეგზარქოს პავლეს გამოხდომაზე

XIX საუკუნის 80-იან წლებში, გარდა საყოველთაო ხასიათის რეაქციისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველების მიმართ მიღებულ იქნა სასტიკი და დამამცირებელი ზომები: სამსახურში ქართველებს არ იღებდნენ თუარა განსაკუთრებით ერთგულთ, სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართულ ენას სულ უფრო სდევნიდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ სა-

---

[1] «Тифлисский вестник», 1875, № 132; რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, № 2—37; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, 1964, გვ. 306.

[2] „დროება", 1885, № 113; ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად (შემდეგში: „თხზულებანი"). ტ. 14, თბ., 1961, გვ. 608.

[3] ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 238—239.

[4] „ივერია", 1888, № 21; ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 177—178.

[5] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. II.თბ., 1964, გვ. 266—267.

მეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი ქართული კულტურიდან გამოეთიშათ[1].

ქართველების დევნა იმდენად სასტიკი გახლდათ, რომ დ. ყიფიანი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო (1885—1886 წწ.), იძულებული გამხდარა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა. ამ დროს გამწვავდა კამათი იმდროინდელ მმართველობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე მოღვაწეთა შორის ქართული ენის, სკოლის, ქართველების უუფლებო სამსახურებრივი მდგომარეობისა და მათი დევნის თაობაზე. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის წელს დ. ყიფიანს კავკასიის მთავარმართებლობასთან შეტაკება მოუხდა. დ. ყიფიანმა, როგორც აღვნიშნეთ, ინახულა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი და დაჰგმო დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის მავნე შედეგები, განსაკუთრებით განათლების სისტემის ასიმილატორული პოლიტიკის საფუძვლები[2].

ამასთან დაკავშირებით დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებითი ბარათი წარუდგენია იმპერატორისათვის, რომლის პასუხად, შინაგან საქმეთა მინისტრი დ. ტოლსტოი ატყობინებდა: იმპერატორმა წაიკითხა დასახელებული ბარათი და აღნიშნა, რომ დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს სრული საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისათვის, რომ იმპერატორი სავსებით დარწმუნებულია სამეფო ტახტისადმი ქართველების ერთგულებაში და თავისი მამა-პაპის მსგავსად ყოველთვის იქნება მათდამი კეთილად განწყობილი, ხოლო რაკი ეს უდავოა, დიდი მთავარი დ. ყიფიანს ნებას რთავდა ამ განწყობილების შესახებ ყველასათვის ეთქვა. მაგრამ დიდი მთავრის ეს ნებართვა რწმუნებას არ აძლევდა დ. ყიფიანს, ბორჯომის ამ კერძო საუბრისათვის წერილობითი სახე მიეცა და გაერცელებინა, ან საუბრის ტექსტი ოფიციალურად გადაეცა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიისათვის. დ. ყიფიანის მოქმედებას იმპერატორი უადგილოდ მიიჩნევდა და ავალებდა მისთვის საყვედური გამოეცხადებინა[3].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დ. ყიფიანი უპირისპირდება არამარტო კავკასიის ადმინისტრაცი-

---

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 245.
[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 92.
[3] სცსსა, ფონდი 12, აღწ. I, საქმე 326, ფურც. 2—3.

ას, რომელიც იმპერიის რთული სამმართველო სისტემის ერთ-ერთი რგოლია. ეს რგოლი უკიდურესი ცენტრალიზმის პირობებში მთელი ძალით ცდილობს ზევიდან მიღებული მითითებებისა და საერთოდ დასახული კურსის განხორციელებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ყოველი მნიშვნელოვანი ღონისძიება საერთო საიმპერიო მმართველობის სანქციით ხორციელდებოდა. იმპერიის მმართველობა თავისი მკაცრი დისციპლინითა და სუბორდინაციით ძალზე წააგავდა სამხედრო ორგანიზაციას, არმიას.

მიუხედავად იმპერატორის ოფიციალური გაკიცხვისა, დ. ყიფიანმა უკან არ დაიხია. შემდეგი კონფლიქტური სიტუაცია დაკავშირებულია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკისა და ეგზარქოს პავლეს სახელთან.

ქართული ენა განსაკუთრებით თბილისის სემინარიაში იყო შევიწროებული. 80-იანი წლების შუახანაში თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენა არ ისწავლებოდა, ხოლო ქართული ლიტერატურის საგანი რუსულ ენაზე იკითხებოდა; ეკლესიაში წმინდანთა სახელების ქართული წარწერები სლავურით შეიცვალა[1]. სემინარიიდან არაერთი მოსწავლე გარიცხეს ქართული წიგნის, გაზეთის, ან, საერთოდ, პროგრესული ხასიათის ლიტერატურის კითხვისათვის. სემინარიაში პირდაპირ ჯოჯოხეთური რეჟიმი დაწესდა. მოსწავლეთა დევნაში განსაკუთრებით სემინარიის რექტორი ჩუდეცკი აქტიურობდა[2]. ამის გამო სემინარიის მოსწავლეს, სილიბისტრო ჯიბლაძეს, 1885 წელს რექტორი გაულახავს. ჯიბლაძე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მსმენელად სწავლასა და ყოფაქცევაში მას ფეხზე სიმსივნე გასჩენია და სავადმყოფოში დაწოლილა. იქ ის, სანცნობისაგან ნათხოვარ წიგნს (შელგუნოვის წიგნს) კითხულობდა. სემინარიის დირექციამ მოსთხოვა წიგნი, მაგრამ უარი მიიღო, ამის გამო ჯიბლაძე გარიცხეს, თუმცა დამამთავრებელ კლასში იყო. ჯიბლაძე საშინლად გამწარებულა—14 წლის შრომა წყალში ჩამეყარაო—უთქვამს. იგი დაუყოვნებლივ გამოუწერიათ სავადმყოფოდან, ვითარცა სემინარიიდან გარიცხული. ჯიბლაძე დაუდარაჯდა რექტორს და სცემა[3], თმა და წვერი აგლიჯა. შემდეგ მოწაფე-

---

[1] ი. გოგებაშვილი, ცულილებანი საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, «Современные известия", 1887, № 14; თხზულებანი, ტ. 2, გვ. 173.

[2] არკ. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფილისი, 1932.

[3] ი. გოგებაშვილი, თბილისიდან „Современные известия", 1885, № 88; თხზულებანი, ტ. 2. გვ. 80—81.

ებში, ეს წერილი და თმა კონვერტში ჩადეს და წააწერეს — «Твоя от твоих, тебе приносяще от всех и за вся". ნიშნი მიუგეს: შენი თავიდან მოგლეჯილ ბალანს შენვე გიბრუნებთ შენი ნამოქმედარისთვისაო.

ჩუდეცკის მკვლელობის ამბავს გვაცნობს არკადი ხუნდაძე.

1886 წლის 24 მაისს, სემინარიის მოსწავლე იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ეს ნაბიჯი მას გადაადგმევინა მისადმი ერთობ შეუბრალებელმა და არაადამიანურმა მოპყრობამ: ლაღიაშვილს უპოვეს დღიური, წაართვეს და სემინარიიდან გარიცხეს. ეს სასჯელი რექტორმა არ აკმარა. მისი აზრით, ლაღიაშვილს წილად უნდა ხვდომოდა სადმე ქუჩაში შიმშილით სიკვდილი. ლაღიაშვილი ბუვრს ეცადა, რომ საქმე მკვლელობამდე არ მისულიყო. სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ იოსები შეუდგა თავისი შრომით, — რეპეტიტორობით, — ლუკმაპურის შოვნას. ჩუდეცკი აქაც გზაზე გადაეღობა ლაღიაშვილს. რექტორმა დაიბარა მოწაფის მშობლები და სასტიკად აუკრძალა მათ ლაღიაშვილთან მეცადინეობის გაგრძელება. იოსებს მოესპო უკანასკნელი საზრდო. ლაღიაშვილი მიდის რექტორთან და სთხოვს აღადგინოს სემინარიაში, და თუ ამაზე არ დათანხმდება, მაშინ მისცეს სემინარიის სამი კლასის დამთავრების მოწმობა. რექტორი ცივი უარით ისტუმრებს. უკანასკნელად იოსები სთხოვს რექტორს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მოწმობას, რომ სადმე სოფელში მასწავლებლად წავიდეს. აქაც უარი მიიღო. მაშინ იოსები მიდის ეგზარქოსთან და სთხოვს, რომ გაამწესონ თუნდაც დიაკვნად, მაგრამ მის თხოვნას აქაც არ მოჰყოლია შედეგი. იოსები დაადგა იმ აზრს, რომ რექტორი უნდა მოეკლა. ლაღიაშვილი, პალტოს ქვეშ დამალული ხანჯლით, უკანასკნელად მიდის რექტორთან, კიდევ სთხოვს პატიებას და სემინარიაში აღდგენას, ან გორის სასწავლებლის დამთავრების მოწმობას. რექტორს მისი მოსმენაც კი არა სურს. მაშინ იოსები აღელვებული ხმით ეუბნება რექტორს:

—მამაო, მითხარ, როგორ მოვიქცე, უაჩაღად ხომ ვერ წავალ?

—შენ მართლა უაჩაღობის ღირსი ხარ, —პასუხობს რექტორი.

ამ დროს იოსები იღებს ხანჯალს და თან ამბობს:

—დღემდე საყაჩაღო არაფერი დამიშავებია და ახლა ვნახოთ, ამ სიტყვების შემდეგ სასიკვდილოდ დაჭრის რექტორს[1].

ჩუდეცკის დაკრძალვის შემდეგ, მის საფლავზე—ალექსანდრე ნევე-

[1] არკ. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფილისი, 1932, გვ. 35—39.

ლის ეკლესიის ეზოში, ჯვრის ქვეშ მკვდარი ძაღლის ლეკვები დაყარეს და იქვე დააგდეს წარწერა სახარებიდან ამოღებული სიტყვებით „...მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართა თვისთათვის“[1]. ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, სადისტი „ღვთისმსახურის“ მიმართ დამცინავად ჟღერდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის მაგალითი სრულიადაც არ იყო გამონაკლისი. პობედონოსცევი კისლოვოდსკიდან 1886 წლის 17 ივლისს იმპერატორს ატყობინებდა: თბილისის გიმნაზიის დირექტორმა მარკოვმა მითხრა, რომ სასწავლებელში წესრიგის დამყარებას ის მხოლოდ მტკიცე ხასიათისა და ფიზიკური ძალის საშუალებით ახერხებს. მაგრამ მისი ფიზიკური ძალა, როგორც ეტყობა, საკმარისი არ ყოფილა და დირექტორს ჯიბით უტარებია რევოლვერი, რომლის დახმარებითაც არაერთხელ შეუჩერებია მოწაფეთა „მოურიდებელი დანაშაულებრივი“ შეტევები. მარკოვს, ისევე როგორც სასწავლო ოლქის მზრუნველს — იანოვსკის სიკვდილით ემუქრებოდნენ[2].

ჩუდეცკის დაკრძალვისას საქართველოს ეგზარქოსმა არქირეაქციონერმა პავლემ საჯაროდ დაბუჭყევლა ქართველი ერი. დაკრძალვის დროს ეკლესიაში იყო თბილისის მთელი გენერალიტეტი, რომლის ქართველ წევრებს პროტესტის ნიშნად დაუტოვებიათ ეკლესია და გარეთ გამოსულან[3]. „კავკაზმაც“ კი ვერ გაბედა დაებეჭდა წუეველის ეს ადგილი და ხალხი მას ზეპირად ამბობდა[4]. ეგზარქოსის ასეთ თავხედობას ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია.

ეგზარქოსის გამოხდომის ამბავი დ. ყიფიანს სოფელ ქვიშხეთში გაუგია. დამსწრეთა გადმოცემით, მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მთელი დღე მოუსვენრად დადიოდა აივანსა და ეზოში. ბოლოს მან მეტად გაბედული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა. 1886 წლის 8 ივნისს ქვიშხეთიდან ეგზარქოსს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემს-მთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი. № 18530—ხ.

[2] Письма Победоносцева к Александру III, т. II, с. 116.

[3] ილია ფერაძე, მოგონება დიმიტრი ყიფიანზე, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი.

[4] ეგზარქოსს უთქვამს: „Да будет проклята страна, которая производит таких убийц. Убийца был грузин, стало быть экзарх проклинает Грузию“ — შენიშნავდა დ. ყიფიანი (Д. Кипиани, записка о фактах, ფურც. 17).

ჩემი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც საშწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდველეს სიტყვების გამო, რომელიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოს ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემს-მთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი. 8 ივნისი 1886 წელი. სად. მიხაილოვო"[1].

ეგზარქოსმა ვერ გაბედა გაემეორებინა საქართველოსადმი მიმართული წყევლის სიტყვები და ყიფიანს უპასუხა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაური წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზში" № 199. რაც შეეხება უგუნურ ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემი ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური პაველ არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი. 9 ივნისს 1886 წელს[2]„.

მოტანილი წერილების შინაარსი მოწმობს, რომ ვითარება ძალზე დაიძაბა. ერთმანეთს შეხვდა ორი საპირისპირო ძალა: დიდმპყრობელი მოძალადე და თავისი ეროვნული ღირსების დამცველი, ერთმანეთის წინ დადგა რეაქციის მაღალი რანგის ანაფორიანი წარმომადგენელი და

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ. 173; Д. Кипиани, записка о фактах. ჟურც. 18; „საიტორიო მოამბე", 1917, ტ. 3, გვ. 133.

[2] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, გვ. 173—174.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი რაინდი. ეს იყო ღრმა ტრაგიზმით აღსავსე შეხვედრა.

ამ ამბებთან დაკავშირებით ლეო ქიაჩელი ამოგვითხრობს:

„მე უნდა ვსთქვა ჭეშმარიტება, რაც უნდა მწარე იყოს იგი. ამას ჩემს მეტი ვერავინ იკისრებს!"—უთქვამს დიმიტრის ეგზარქოსისადმი წერილის დაწერის წინ. ჩვენ ვიცით ახლა, რა ჭეშმარიტებას გულისხმობდა დიმიტრი ყიფიანი. ეს იყო ჭეშმარიტება საქართველოს უფლებათა გათელვისა.

თამამად შეიძლება ითქვას, როცა ამ სიტყვებს ამბობდა დიმიტრი ყიფიანი, საქართველოს ჰყავდა მეფე, და ბრძანებაც გაისმა მისგან:

„შეურაცმყოფელი ადამიანი შეურაცყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს!—ეს ეკუთვნოდა ეგზარქოსს პავლეს, რომელმაც გაბედა საქართველოს დაწყევლა საქართველოში"[1].

გადასახლება სტავროპოლში

შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში (1886 წ. 25 ივნისი) დონდუკოვ-კორსაკოვი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად იმპერატორის საყვედურისა, დ. ყიფიანი არ გამოსწორდა. ჩუდეცკის დაკრძალვისას, ეგზარქოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო, მან თავს ნება მისცა მიემართა ეგზარქოსისადმი უადგილო, შეურაცმყოფელი და მუქარის შემცველი წერილით, რაც ამასთან დაწერილი იყო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის ოფიციალურ ბლანკზე. დ. ყიფიანის წერილისა და ეგზარქოსის პასუხის ასლებს ვურთავო.

დონდუკოვ-კორსაკოვი იძულებულია აღიაროს, რომ დ. ყიფიანმა შეძლო თავის თანამემამულეებში ჩაენერგა აზრი, რომ იგი არის გამოჩენილი ქართველი პატრიოტი, რომელიც თავის სამშობლოს იცავს ყოველივე იმისგან, რასაც შეუძლია შეასუსტოს სამშობლოს ეროვნული თვითმყოფობა. შემდეგ, დონდუკოვ-კორსაკოვი შეახსენებდა მინისტრს, რომ 1832 წელს ყიფიანი ერთ პოლიტიკურ საქმეში იყო გარეული, რის გამოც რამდენიმე წლით იყო გადასახლებული. ხოლო შემდეგში დ. ყიფიანი სწრაფად დაწინაურდა თავისი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის წყალობით. წლებმა დაწარსულის გამოცდილებამ ვერ შეანელა დ. ყიფიანის მისწრაფება შეესრულებინა მოწინავე ქართველი ეროვნული

[1] ლეო ქიაჩელი, დიმიტრი ყიფიანი, გაზეთი „ლომისი" 1922, № 11.

მებრძოლის როლი. მე მის მოქმედებას არაფრად ჩავაგდებდი, რომ არ ეკავოს თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობა.

წერილის დასკვნითს ნაწილში, კავკასიის მთავარმართებელი სთხოვდა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს დაეყენებინა საკითხი იმპერატორთან, რათა დ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან დაეთხოვათ და გადაესახლებინათ სტავროპოლში, სადაც მისთვის უცხო გარემოში ვერ შეძლებდა განეგრძო თავისი გასაკიცხი საქმიანობა[1].

რეაქციული ხელისუფლება ვერ ითმენდა მისი პოლიტიკის ერთგული გამტარებლებისადმი რაიმე შენიშვნას. დ. ყიფიანის საქმეში ჩარეულა აგრეთვე პობედონოსცევი, რომელიც კისლოვოდსკიდან იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში (1886 წ. 20 ივნისი) აღნიშნავდა: დონდუკოვი სამართლიანადაა აღშფოთებული წარმომადგენლობითი პიროვნების საქციელით, შინაგან საქმეთა მინისტრს უგზავნის წერილს და მოითხოვს ყიფიანის გადასახლებას; რათა დაუსჯელი არ დარჩეს ეს თავხედობა და სხვები არ გაამხნევოს.

პობედონოსცევი ცდილობდა გაემართლებინა „ინოროდცების" მიმართ სასტიკი ზომების მიღების საჭიროება და თავის წერილში განაგრძობდა: ძლივს მოვასწარი წამეკითხა ეს დოკუმენტები (ყიფიანის წერილი ეგზარქოსისადმი და უკანასკნელი პასუხი), რომ მივიღე დეპეშა ოზურგეთიდან. იქაური სასულიერო სასწავლებლის ერთი 18 წლის მოსწავლე, რომელიც გარიცხული იყო ცუდი ყოფაქცევის გამო, თურმე თავს დაესხა სასწავლებლის ზედამხედველს და ჯოხით თავი გაუხეთქა.

რეაქციის ბურჯი დაასკვნიდა: ყველა ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ ამ მხარეში საჭიროა მკაცრი სისტემა წესრიგის დასამყარებლად და ხელისუფლებისადმი პატივისცემის ჩასანერგად. სამწუხაროდ, აქაურ „ინოროდცებში" განმტკიცდა რწმენა, რომ ახლანდელი მმართველობა მათ ავიწროებს[2].

პობედონოსცევის ეს წერილი მთავარმართებლის წერილზე უფრო ადრე გაიგზავნა. წერილის გაგზავნის პერიოდში კისლოვოდსკში მყოფ პობედონოსცევთან ყოველდღიურად საათობით იკრიბებოდნენ დონდუკოვ-კორსაკოვი და ეგზარქოსი პავლე. ეს ჯგუფი ერთხმად უჭერდა მხარს ყიფიანის სამშობლოდან გადასახლებას, სადაც მას შემდეგ ბოლო მოუღეს.

---

[1] სცსსა, ფონდი 12, აღწ. 1, საქმე 326, ფურც. 32—34.

[2] Письма Победоносцева к Александру III. т. II, с. 112—113, Кисловодск, 20 июня 1886 г.

ამის შემდეგ იმპერატორს საკითხი სწრაფად გადაუწყვეტია. როგორც კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ასახული იყო კავკასიის ადმინისტრაციის მოთხოვნა დ. ყიფიანის დასჯაზე, იმპერატორმა 4 აგვისტოს ბრძანა დიმიტრი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან დაეთხოვათ და მისთვის საცხოვრებელ ადგილად სტავროპოლი მიეჩინათ[1].

თვითონ დ. ყიფიანს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან მოხსნა სრულ უკანონობად მიაჩნდა. ეს აზრი მას გაუზიარებია იონა მეუნარგიასთვის, რომელიც 1886 წლის 11 ოქტომბრის ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: „დიმიტრი ივანიჩს გამოვუარე ქვეშხეთს. მითხრა: დაარღვიეს კანონი, რომელიც იცავს ყოველ ადამიანს. დამსაჯეს, რომ მიზეზიც კი არ დაუსახელებიათ“[2].

დ. ყიფიანს დაატოვებინეს სამშობლო, რომელზეც ჯერ კიდევ 1860 წელს პეტერბურგიდან გრ. ორბელიანს სწერდა: „საქართველოს მოშორება ღმერთმა მაშოროს... გუთანს მოვუდგები, ნაბადს მოვისხამ და ადვილათ-კი ჩემს ქვეყანას ვერ მოვსცილდები“[3].

დიმიტრი ყიფიანი ისეთი პიროვნება იყო, რომელიც თავისი სამშობლოს—საქართველოს—საკეთილდღეოდ სიცოცხლესაც შესწირავდა, ქონებისა და სამსახურის შეწირვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი[4].

დ. ყიფიანის პიროვნება, ჩვენი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს დროს, 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში, სრულყოფის იმ საფეხურზე იმყოფებოდა, როცა ის სავსებით მზად არის თავისი ქვეყნის, თავისი ერისათვის თავდადებისათვის.

დიმიტრის გამოუცხადეს, რომ იგი საცხოვრებლად სტავროპოლში უნდა გადასახლებულიყო. გამგზავრებისას მას აცილებდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, იყვნენ არაქართველებიც. მცხეთაში გაიმართა საუზმე, წარმოითქვა მრავალი სიტყვა „გამამხნევებელი დიმიტრისა და ერისა, რომელიც დღეს ტანჯვა-დევნას განიცდის“.

პასუხად დიმიტრიმ თქვა, რაც გულში ჰქონდა და სიტყვა ასე დაასრულა: „ოღონდ ჩემ სამშობლოს გამოადგეს ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე, ყველაფერზე მზად ვარო“[5].

---

[1] სცსსა, ფონდი 12, აღწ. I, საქ. 326, ფურც. 35.

[2] რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, № 13—168.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრ. ორბელიანის ფონდი, № 688; ლიტერატურის მუზეუმი, № 2298—ხ.

[4] ლიტერატურის მუზეუმი, 13502—ხ.

[5] იქვე.

დიმიტრის ეს სიტყვები სრულიადაც არ იყო შემთხვევით ნათქვამი ლაპარაკი და გულაბანუყებელი თქმა. დ. ყიფიანმა მთელი თავისი ნაზრევით, მთელი თავისი ღვაწლით დააბტკიცა, რომ საბრძოლოსათვის თავდადება მთელი მისი ცხოვრების შინაარსის განმსაზღვრელ დევიზს წარმოადგენდა. ეს იყო მისან-მიმართულება უაღრესად პრინციპული პიროვნებისა, რომელიც, როგორც ვიცით, თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას"[1].

დ. ყიფიანს მიაჩნდა, რომ სოციალურსა და ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებების („გმირების") ხვედრი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ასეთ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება ჩვეულებრივად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. სამშობლოსათვის და თავისი ხალხისათვის თავდადება, ჩანს, დ. ყიფიანს ფართო ჭრილში ესახებოდა — მისი აზრით, ქვეყნისათვის თავის გაწირვა ერთგვარად თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო გორის საპყრობილეში მოთავსებული პატიმრებისათვის — სოფრომ მგალობლიშვილისა და კოტე ყიფიანისათვის — 1878 წლის სექტემბერში დ. ყიფიანს უთქვამს: „მე მწამს, ჩვენი სული გაღონივრდება, გაძლიერდება იქამდე, რომ მსხვერპლად შეწირვა თავისა სამშობლოსათვის თითით საჩვენებელი აღარ იქნება. იშრომეთ, იმოქმედეთო"[2].

ამგვარად, დ. ყიფიანის აზრით, განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის მხოლოდ ერთეულების ძალისხმევა არამც და არამც საკმარისი არ იყო.

იმპერატორის გადაწყვეტილება გადასახლებაზე დ. ყიფიანს ქვიშხეთში აცნობა ამ ამბით შეწუხებულმა გორის მაზრის უფროსმა, რომელსაც ბოქაული ახლდა. ამ დროს ქვიშხეთში იყვნენ დიმიტრის შვილები კოტე და ელენე. გამოსათხოვებლად ქუთაისიდან დაუყოვნებლივ ამოვიდნენ დიმიტრის უფროსი ვაჟი ნიკო და სიძე ანტონ ლორთქიფანიძე. მათ ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი მოჰყვა. მოვიდნენ მეზობლები და ნათესავები. მეორე დღეს ქვიშხეთისა და ახლომახლო სოფლების გლეხობა შეგროვდა გამოსამშვიდობებლად. დიმიტრი მაშინვე ჩავიდა გლეხებთან, სალამი უძღვნა ყველას და თქვა: „ხელმწიფის ბრძა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, „ივერია", 1887, № 227; თხზულებანი, ტ. 4. თბ., 1955, გვ. 222.

[2] ს. მგალობლიშვილი, კ. ყიფიანის 45 წლის არტისტული მოღვაწეობის გამო (მოგონება), გაზეთი „თემი", 1914, № 160.

ნებით, მე თქვენ უნდა მოგშორდეთ. იცოდეთ, რომ სადაც უნდა ვიყავ, ჩემი გული თქვენთან და ჩემ ტანჯულ სამშობლოსთან იქნება"[1].

დიდად აღშფოთებული და დაღონებული ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ერთმანეთს შესჩიოდნენ თუ ვიღა იქნებოდა მათი პატრონი და დამრიგებელი.

ერთი ამბობდა:—ეგ დალოცვილი თვით ხელმწიფესაც არას უთმობს და დასჯიან მაშ რას უსამენ.

მეორე პასუხობდა:—დიდი ნასწავლი და ჭკვიანი კაცია, მასთან დიდგულა და თავმოყვარე, რის გამოც უსამართლობას და ჩაგვრას არავის უთმობს.

მესამე ამბობდა:—ყველაფრით რომ ჩვენს მთავრობაზე მაღლა დგას, იმიტომ სდევნიან და არ უნდათ მაგისი აქ ცხოვრება. მაგ დალოცვილს რომ ისევ დაეთმო მთავრობისათვის, სჯობდა, რადგან მაშინ არც თითონ დატანჯებოდა და ჩვენც უპატრონოდ არ დავრჩებოდით.

მეოთხემ თქვა: კაცია დიმიტრი და კიდევაც კაცობსო. მეფის მთავრობამ თავზე დაჯდომა იცის, თუ დაგიბრიყვა, ამიტომ დიმიტრი მართლმარტო ებრძვის მთავრობას და არ აძლევს ნებას, რომ მისი სამშობლო დაჩაგრონ და სხვა ხალხი დაასახლონ საქართველოში[2].

დ. ყიფიანი 1886 წლის 27 ოქტომბერს „ნებაყოფლობით" გაემგზავრა გადასახლების ადგილას სტავროპოლს[3].

ხაშურამდე დიმიტრი ასობით ნათესავმა და გლეხობამ გააცილა. მცხეთამდე კი—იმერეთის თავადაზნაურობამ და ბევრმა ნათესავ-მეზობელმა. მცხეთაში დახვდა თბილისის ინტელიგენცია.

კავკაზში დიმიტრის მისი ბიძაშვილი, იქაური გამოჯვნის სამმართველოს უფროსი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი დახვდა. მან დიმიტრი სტავროპოლამდე გააცილა, და იქ დააბინავა. მიხეილი დიმიტრის შემდეგაც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა.

სტავროპოლში დ. ყიფიანი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს მეთვალყურეობა იმპერატორის ბრძანებით იყო დაწესებული[4].

სტავროპოლის გადასახლებაში დ. ყიფიანმა სრული ერთი წელი გაატარა (1886 წლის ოქტომბერი—1887 წლის ოქტომბერი). დიმიტრი

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] იქვე.

[3] შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის შესწავლისათვის, „საისტორიო მოამბე", 3, თბ., 1947. გვ. 349.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 66.

სტავროპოლშიც, მისთვის ნაკლებად ნაცნობ გარემოში, თავისი პირადი თვისებებით ხიბლავდა ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

გადასახლებაში ყოფნისას დიმიტრის მკურნალი სტავროპოლელი ექიმი პ. სკლოტოვსკი დიმიტრის პიროვნებას ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა. აღნიშნავდა, რომ თავისი ცხოვრების 47 წლის მანძილზე მას დ. ყიფიანისთანა პიროვნება არ შეხვედრია; პიროვნება, რომელსაც ასევე ჰყვარებოდეს ადამიანები და მათი სიკეთე-ალალმართლობა, ასე ძლიერ ყოფილიყოს დარწმუნებული კეთილის საბოლოო გამარჯვებაში, ყოფილიყოს ესოდენ უცილობლად კეთილი ყველგან და ყოველთვის, სიმართლისათვის შებრძოლთა ხვედრი-გასაჭირი ესოდენ მხნედ გადაეტანოს, როგორც დ. ყიფიანსო,—წერდა იგი[1].

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დიმიტრი გადასახლების პერიოდში, თავისი ერის სახელისა და ღირსების სადარაჯოზე კვლავ ამოღებული ხმალია. იგი ცდილობს გამოიყენოს ბრძოლის მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება.

1887 წლის აპრილსა თუ მაისში დიმიტრისაგან მის მეუღლეს—ნინოს—წერილი მიუღია. დიმიტრი სწერდა: როგორც გავიგე, მალე ბორჯომში მოვა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელთანაც შენ და ლოკუნა (ესე იგი, ელენე) ახვალთ; ჩემს მაგივრად გადასცემთ თხოვნას მომიხერხოს ხელმწიფესთან აუდიენცია და არასგზით არავითარი შუდარა პატიებაზე. თუ ეს აუდიენცია დიდმა მთავარმა მომიხერხა ხელმწიფესთან, ჩემი დაწვრილებითი მოხსენების შემდეგ, რაც უნდა ასიმილატორი იყოს, ის მე გამათავისუფლებს და დიდ გამოძიებასაც დანიშნავსო[2].

ივნისის პირველ რიცხვებში მიხეილ რომანოვი ბორჯომში ჩამოსულა. იქ დიმიტრის მეუღლე და ქალიშვილი ასულან ქვიშხეთიდან და დიმიტრის თხოვნა გადაუცია თ. დიდ მთავარს უპასუხნია: მისწერეთ დიმიტრი ივანეს ძეს თავისებურად მხნედ იყოს. მალე დავბრუნდები პეტერბურგს და ვეცდები თხოვნა შევუსრულო; მანამდე ეცადოს თავისებური საქმიანი მოხსენება დაამზადოსო. ეს აცნობეს დიმიტრის. მოვიდა მისი წერილი. სთხოვდა შეეგროვებინათ მისგან დასახელებულ პირებთან და დაწესებულებებში სოგიერთი საბუთები, რაც მალე უნდა გა-

---

[1] „საისტორიო მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 496.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, 13502—ხ.

დაეგზავნათ მისთვის სტავროპოლში. ყველაფერი სასწრაფოდ შეუსრულეს და სტავროპოლს გადაუგზავნეს.

მოტანილი ცნობიდან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დიმიტრი გადასახლებაშიც ცდილობს არსებული საშუალებების გამოყენებას თავისი ერის მტრების მხილებისათვის. ამ მიზნით მას შესაფერისი მასალა შეუგროვებია. ამასთან, როგორც ზემოთაც ითქვა, მისი ცდა შეხვედროდა იმპერატორს, ეურდნობოდა იმის ვარაუდს, რომ თვით ყველაზე დესპოტური და აღვირახსნილი მმართველობაც კი იძულებულია ხოლმე დროდადრო მიმართოს მანევრირებას. ასეთი მმართველობა, ხალხის გარკვეულ ნაწილში ავტორიტეტის შესანარჩუნებლად, ცდილობს სიმართლისა და პროგრესის ხელის შემწყობად გაასაღოს თავი. მაგრამ არ გაამართლდა დიმიტრის ვარაუდი, რომ იმპერატორი მას მიიღებდა, მისი მოხსენების შემდეგ იძულებული გახდებოდა გაეთავისუფლებინა იგი და გამოძიებასაც დანიშნავდა მოხელეთა იმ საქმიანობაზე, რაც საერთო საიმპერიო გეგმით ხორციელდებოდა.

ნათლად ჩანს, რომ დიმიტრი შესანიშნავად გრძნობდა იმ საფრთხეს, რაც მას ელოდა და არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა იმპერატორის სამართლის გულუბრყვილო მოიმედე. კერძოდ, ამ აზრს ადასტურებს შემდეგი ცნობილი ფაქტი: სიკვდილის წინა ხანებში დიმიტრის სანახავად და გასამხნევებლად მისული სტავროპოლში მცხოვრები ქართველებისა და რუსეთის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის დიმიტრის იგივე სიტყვები უთქვამს, რაც მცხეთაში, გამოსათხოვარ საუსმეზე: „ოღონდ ჩემ სამშობლოს გამოადგეს ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე—ყველაფერზე მე მზად ვარო[1].

ამრიგად, დ. ყიფიანი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ცარიზმს ყოველგვარი ცბიერებით შეეძლო მისი ფიზიკურად მოსპობა. ამ პირობებში დ. ყიფიანს არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ მის თავზე ცარიზმის მიერ ფარულად დაკიდებული დამოკლეს მახვილი მის სიცოცხლისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა, მაგრამ მისი ძლიერი სული ურყევი გახლდათ.

1887 წლის 30 ენკენისთვეს (სექტემბერი) სტავროპოლიდან სილოვან ხუნდაძისადმი გაგზავნილ წერილში დ. ყიფიანი აღნიშნავდა: „ჩემი ექსორიად ყოფნა სწორეთ არ არის საწუხარი. შეიტყეს მაინც რომ, რასაც... მე ვესარჩლებოდი,—ღირსია რიდისა და პატივისცემისა. ასე რომ არ მომხდარიყო, უსომოდ დავძაბუნდებოდით"[2].

---

[1] ლიტერატურის ძეგლები, № 13502—ხ.

[2] დ. ყიფიანის წერილი სილოვან ხუნდაძისადმი, ჟურნ. „კომაღლრდისათვის", 1956, № 1.

ჭეშარიტად, სიცოცხლისუნარიანი ერი კლერიკალთა თავხედურ გამოხდომებს უპასუხოდ ვერ დატოვებდა და რუსთაველის ავთანდილის მსგავსად დ. ყიფიანსაც შეეძლო ეთქვა: „მე... სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. მისი სათაყვანებელი მოყვარე კი,—იმ დროს ჩაგრული ერი,—ქართველი ხალხი, მთელი საქართველო იყო.

დიმიტრი ჯიფიანის მკვლელობა

დიდ მთავარს, მიხეილ რომანოვს, როგორც ჩანს დ. ყიფიანის საქმის მოგვარება უშუალოდ ჯერ კავკასიის მთავარმართებელთან უცდია, მაგრამ ამ ცდას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში, 1887 წლის 13 ნოემბერს, დონდუკოვ-კორსაკოვი აღნიშნავდა, რომ დიდ მთავარს მიხეილ რომანოვს მისთვის უთხოვნია, შუამდგომლობა აღეძრა დ. ყიფიანის განთავისუფლებაზე. მთავარმართებელს უარი უთქვამს: ყიფიანის განთავისუფლება ეს იქნება უდროო და უხერხული ნაბიჯიო[1]. რაკი დონდუკოვ-კორსაკოვთან დიდი მთავრის შუამდგომლობა უშედეგოდ დამთავრდა, ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, შეეცდებოდა იმპერატორთან ეშოქმედნა.

იმპერატორს, ეტყობა, გაუჭირდა პირდაპირ გამოეხატა თავისი უკმაყოფილება დიდი მთავრისადმი, რომელიც დ. ყიფიანის მიმართ მმართველობის უკიდურესი იძულებითი ღონისძიებების მომხრე არ ყოფილა. ამ ასპექტში საინტერესოა პობედანოსცევის მიერ კისლოვოდსკიდან 1886 წელს გაგზავნილი დასმენა. რეაქციის ბურჯი ატყობინებდა ალექსანდრე III-ს, რომ საჭირო იყო კავკასიის მთავარმართებლის აღჭურვა მეტი უფლებებით, რათა მას შეძლებოდა უშუალოდ გასწორებოდა მმართველობისათვის არასასურველ პირებს (მაგალითად, შესძლებოდა „მავნე“ აგიტატორების გადასახლება და სხვ.). ეს იმიტომ, რომ ხშირად პეტერბურგი არ ამტკიცებს, ან არბილებს მხარის გამგებლის მიერ წარდგენილ წინადადებებს, ეს კი ასუსტებს კავკასიის ადმინისტრაციის ავტორიტეტს, იწვევს მითქმა-მოთქმას ხელისუფლებაზე და პეტერბურგიდან მავნე ელემენტებისადმი მხარის დაჭერის იმედს. ყველა იმას მეუბნება, რომ ხელისუფლების გასაჭირი ყოფილი

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 66, „საისტორიო მოამბე“. ტ. 3, 1947, გვ. 513.

მეფისნაცვლის შარშანდელი აქ ყოფნის შემდეგ გადიდდაო, ვინაიდან ქართველებსა და სომხებს, ახლანდელ მმართველობასთან ურთიერთობაში, მიხეილ რომანოვის მხარდაჭერის იმედი აქვთო[1].

ალექსანდრე III ყიფიანის საკითხის გადაწყვეტისას ორჭოფულად იქცევა: ერთი მხრივ, ის რაც შეიძლება მკაცრი ზომების მომხრეა, და, მეორე მხრივ, ეტყობა სიტყვიერად ეთანხმება მიხეილ რომანოვის თხოვნას დ. ყიფიანის განთავისუფლებისა და მისთვის აუდიენციის დანიშვნის თაობაზე; ალბათ, ამის გამო იყო, რომ თბილისში ხმა გავრცელდა: ხელმწიფემ დ. ყიფიანი გაათავისუფლა და აუდიენცია დაუნიშნაო. ყველა ელოდა დიმიტრის ჩამოსვლას, მაგრამ რეაქციამ საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტა. იმპერატორმა ზედმეტად მიიჩნია იმ მასალის გაცნობა, რასაც შეეძლო საზოგადოების თვალში მისი ხელქვეითების კომპრომეტირება, ან კი იმპერატორი ამ გზით რა ახალ ცნობას მიიღებდა: ყველა ღონისძიება, რასაც რეაქციის თავგამოდებული მოხელეები ახორციელებდნენ, იმპერატორისა და რეაქციის სხვა ბურჯთა უშუალო ან შუალობითი კარნახით ხდებოდა. ალექსანდრე III არათუ არ შეხვდა დ. ყიფიანს, არამედ მან, როგორც ჩანს, ველურ ღონისძიებას დაუჭირა მხარი,—დ. ყიფიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ან კი რა იყო მოულოდნელი იმ მმართველისაგან, რომელიც გაოცებული კითხულობდა: ჩუდეცკის მკვლელ იოსებ ლაღიაშვილს სიკვდილი რატომ არ მიუსაჯა სასამართლომო[2].

1887 წლის 25 ოქტომბერს (ძველი სტილით), კვირას, დილის 8 საათზე, დიმიტრი მოკლული ნახეს თავის ბინაში[3]. ასე, რომ მკვლელობა 24—25 ოქტომბრის ღამით მომხდარა.

ნ. ლომოური დ. ყიფიანის მკვლელობას ასე გვიხატავს:

—იგი მოჰკლა ავაზაკმა, რომელიც ფეხაკრეფით შეიპარა დიმიტრის ოთახში. —რას სჩადიხარ იუდავ? მოშორდი მაგ წმინდა მოხუცებულს! უბედურო, ალბათ, შენ არ იცი — ვინ არის ეგა?

—ეგ არის მამა დაჩაგრული ერისა, ეგ არის მფარველი ფეხქვეშ გათელილი ქვეყნისა, ეგ არის წარმომადგენელი ივერიის ძველი დიდებისა, ეგ არის გულის ძგერა და მეოხება მთელი აწინდელი საქართველოსი.

მაგრამ მკვლელს არ ესმის... წყეულს მარჯვენას იღებს მაღლა და მძიმე იარაღს პირდაპირ მოხუცებულის საფეთქელს უმიზნებს. გაჭეჭ-

---

[1] Письма Победоносцева к Александру III. т. II. с. 116.

[2] იქვე, გვ. 114.

[3] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ბ.

ყილი თავიდან ტვინი ბალიშზე გადმოესხა. მკვლელი კარისკენ წავიდა, შემდეგ კვლავ მობრუნდა და მოკლულს ხელ-ფეხი მაგრა შეუკრა—ვითომდა მკვლელობა გაძარცვის მიზნით ჩაიდინეო[1].

ბინა, რომელშიც დ. ყიფიანი ცხოვრობდა და სადაც ის მოკლეს, პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელ გარემოში—ქალაქის ცენტრში, ნიკოლაევსკის პროსპექტზე, გუბერნატორის სახლის მახლობლად მდებარეობდა. ეზოში იყო აფთიაქი, რომლის მომსაბურე პერსონალი ძირერიცხოვანი არ ყოფილა. სახლში აგრეთვე ბევრი ოჯახი და მათი შინამოსამსახურე ცხოვრობდა. ამას გარდა, ჭიშკარი საღამოს ათი საათიდან იკეტებოდა. ეზოში შემსვლელ-გამომსვლელი ვერ ასცდებოდა სადარბაზო შესასვლელს, რომელსაც, ყოველ ცალკე შემთხვევაში მეეზოვე კეტავდა და აღებდა.

სტავროპოლში ყოფნის პერიოდში დ. ყიფიანს კუთვნილი პენსიიდან ოჯახი ყოველთვიურად, ას მანეთს უგზავნიდა. სტავროპოლიდან გამოგზავნილი კორესპონდენციის ავტორი ა. სურინი მიიჩნევდა, რომ ეს გარემოება ეჭვს აღძრავდა მოსახლეობაში—შესაძლოა მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე იყოს მოწყობილი, ხოლო მიცვალებულის კუთვნილი მცირე თანხისა და საათის გატაცება, შესაძლოა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნითაა ჩადენილი[2].

დ. ყიფიანის ტრაგიკულ სიკვდილს სტავროპოლის მცხოვრებლებზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია. როგორც კი ხმა გავარდა ამ სამწუხარო შემთხვევის გამო, ყველა აღელდა, ყველა ამაზე ლაპარაკობდა, თითქმის მთელმა ქალაქმა მოინახულა შემთხვევის ადგილი, — აღნიშნული იყო სტავროპოლიდან გამოგზავნილ წერილში[3].

დიმიტრის მკვლელობის დროს სტავროპოლში გამომძიებლად ყოფილა ნიკოლოზ ტარსაიძე, შემდეგში თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი[4]. მას ებარა ამ შემზავარი მკვლელობის გამოძიების საქმე, რომელსაც თვალყურს ადევნებდა დიმიტრის იურისტი შვილი ნიკო. სტავროპოლში ხანმოკლე ცხოვრებისას დიმიტრის ხალხში დიდი პატი-

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 19683—ხ.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის პირადი არქივი, № 51; „Новое обозрение", 1887, № 1340.

[3] იქვე.

[4] «Кавказский календарь»-ში დაცული ცნობების თანახმად, ნ. ტარსაიძე სტავროპოლში სასამართლო გამომძიებელია 1891 წელსაც, შემდეგ, 1897 წლიდან — თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი (მოადგილე), 1904—1916 წლებში კი თბილისის საოლქო სასამართლოს წევრია.

ცისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, ეს კი დიდად უწყობდა ხელს გამოძიებას. ნიკო ამბობდა, რომ გამოძიებამ ბევრი რამ აღმოაჩინა, მაგრამ მისი გამყღავნება შეუძლებელი ყოფილა, რადგან მთავრობას დიდ ჩირქსა და ჭუჭყსა სცხებდა. როგორც ნიკო ყიფიანი ამბობდა ხოლმე, ნიკოლოზ ტარსაიძეც დიდად წუხდა, რომ მას არ შეეძლო ეს საზიზღარი მკვლელობა გამოძიებით დაეშტკიცებინა და გამოეაშკარავებინა, რადგან წინასწარ იყო გაფრთხილებული; დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა[1].

ვალერიან გუნიას გადმოცემით, იმ დროის საზოგადოებრივი სინდისი დ. ყიფიანის მკვლელობაში ერთხმად ამტყუნებდა ეგზარქოს პავლეს, მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს და სწავლა-განათლების მზრუნველს იანოვსკის[2]. მაგრამ რუსეთის აბსოლუტისტური მონარქიის პირობებში, რა თქმა უნდა, იმპერიის რომელიმე კუთხის მოხელეებს ძალზე გაუჭირდებოდათ ესოდენ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე მარტო თავის თავზე აეღოთ. ზემოთ მოტანილი შესატყვისი მასალაც, ვფიქრობთ, მოწმობს, რომ დ. ყიფიანის მკვლელობა იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ იყო სანქციონირებული.

დიმიტრის ჩამოსვლის ცნობის ნაცვლად, დეპეშა მოვიდა ოჯახში, რომ ბოროტმოქმედებმა დიმიტრი მოკლეს. ამ ცნობამ ყველას თავზარი დასცა: „ქართველი, სომეხი, კათოლიკე თუ რუსი—ყველანი ერთნაირად ააღელვა, შეაშფოთა ამ ამბავმა და ყველას გული გამოუთქმელმა მწუხარებამ მოიცვა“[3].

ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი მწუხარებისა და პოლიტიკური მკვლელობისადმი თავისი პროტესტის გამოსახატავად პოეზიაც მოიშველია. მაგალითად, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში შემონახულია მუშა ვასილ კირვალიძის ლექსი, დაწერილი დ. ყიფიანის გარდაცვალების გამო, 1887 წელს[4]. დ. ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები შეუქმნიათ აგრეთვე ქუთაისელ მოსწავლეებს[5].

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[2] ვალ. გუნია, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, გაზეთი „ლომისი“, 1922 წლის 12 ნოემბერი, № 11.

[3] ნ. ლომოური, სიტყვა თქმული დ. ყიფიანის პანაშვიდზე 1887 წელს, ლიტერატურის მუზეუმი, № 19683—ხ.

[4] ლიტერატურის მუზეუმი, № 13166—ხ.

[5] საისტორიო მოამბე“, 1947, ტ. 3, გვ. 515.

სტავროპოლიდან გამოსვენებისას მთელმა ქალაქმა, განურჩევლად წოდებისა, დ. ყიფიანის კუბო გვირგვინებით შეამკო, კარგა ბანძილზე გამოაცილა. ბევრი სიტყვა ითქვა. ბოდიშს იხდიდნენ და სინანულს გამოთქვამდნენ, რომ მათ ქალაქში დიმიტრისთანა ადამიანს მხეცური სიკვდილით გაუმასპინძლდნენ[1]. გამოსვენებისას სტავროპოლში სავაჭრო სახლები დაიკეტა. ელადიკავკაზშიც, როცა მიცვალებული მოასვენეს, ვაჭრებმა დუქნები და მაღაზიები დაკეტეს[2].

დიმიტრის ცხედარი ყაზბეგის გზით წამოასვენეს. გზადაგზა ყველა ქართველი და სხვა ხალხების წარმომადგენლებიც მოვალედ სთვლიდნენ თავს მიცვალებულისათვის პატივი ეცათ, შეემკოთ ყვავილგვირგვინებით და კუბოს კარგა მანძილზე გაყოლოდნენ. დუშეთში გლეხობა დიმიტრის ცხედარს მთელი ღამე ყარაულობდა[3]. მცხეთას რომ მიუახლოვდნენ, მცხეთის სვეტიცხოვლის და სხვა ეკლესიების სამღვდელოება შემოსილი შეხვდა. სვეტიცხოვლის ტაძარში დაასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს. ბევრი სიტყვა ითქვა, შემდეგ პროცესია თბილისისკენ გაემართა. მცხეთაში ათასამდე ხალხი იყო მოსული ქუთაისიდან და თბილისიდან. ისინი თბილისისაკენ მიმავალ პროცესიას ეტლით და ფეხით მიჰყვებოდნენ.

გზადაგზა, თეთრ დუქანთან, საბურთალოსთან, ვერის ჯვართან ათასამდე ხალხი, თითქმის მთელი ქალაქის მცხოვრებნი დახვდნენ. აქ იყო თბილისის მთელი სამღვდელოება. გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტის დასაწყისში კორტეჟს შეხვდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), საქართველოს ეპარქიის პირველი ვიკარიუსი[4].

გლოვა საქართველოში საყოველთაო ყოფილა. დიმიტრის სიკვდილის აღსანიშნავად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში პანაშვიდებს იხდიდნენ, მათ ბევრი ხალხი ესწრებოდა: დიდი და პატარა ძწარედ ქვითინებდაო, — აღნიშნავდა „ივერია“[5]. დიმიტრის გარდაცვალებას გამოეხმაურა მრავალი ქალაქი (ყარსი, ოდესა, ბაქო, ხარკოვი, ყიზლარი, შემახა და სხვ.)[6]. პანაშვიდებს ესწრებოდა არა მარტო ქართველობა,

---

[1] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.
[2] „ივერია“, 1887, № 235.
[3] იქვე.
[4] «Новое обозрение», 1887, № 1344.
[5] „ივერია“, 1887, № 234.
[6] „ივერია“,, 1887, № 233, 234, 235.

არაშად სომხები, რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები[1].

მეფის მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, დ. ყიფიანის დაკრძალვა, ილიასა და აკაკის მეთაურობით, ნამდვილ დემონსტრაციად იქცა.

გ. ტატიშვილი გადმოგვცემს: დიმიტრის მოკვლის ამბავი ილიას ბანკში გაეგო. მუშაობა შეწყვიტა, შეკრიბა თანამშრომლები და უთხრა: მოგვიკლეს ის დიდი ქართველი ადამიანი, რომელმაც ეს ბანკი მოგვცა და პევრი სხვა დაწესებულება და კულტურული საქმეები. დიდი უბედურებაა დ. ყიფიანის დაკარგვა ერისათვის. იგი მოკლეს იმისათვის, რომ იგი დიდად დიდი იყო ჩვენთვის. დღეს საღამოზე ქაშვეთის უკლესიაში შევიკრიბოთ საღამოს 6 საათზე და ბანკის სახელით პანაშვიდი გადაეუხადოთ[2].

დიმიტრის დაკრძალვის აქტიური მონაწილე ვალ. გუნია მოგვითხრობს: როგორც კი შევიტყეთ დიმიტრის მკვლელობის ამბავი, მაშინვე ვაცნობეთ ილიას, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა ბანკში. რედაქციაში მოსული დეპეშით მას უკვე გაეგო ეს ამბავი. ყველა ტიროდა. ივანე მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა. პირმოკუმულ და წარბშეკრულ ილიას ჯერ ქვედა ტუჩმა დაუწყო თრთოლა, მერე კი თვალთაგან ორი მსხვილი ცრემლი გადმოეწურა და ლამაზ ულვაშებზე დაეთხია. მე არასდროს არ შენახა ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარება[3].

ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის ინიციატივით ბანკში მოიწვიეს გაფართოებული კრება, რათა შეეპუშავებინათ დ. ყიფიანის დაკრძალვის წესი და რიგი. კრებას დიდძალი ხალხი დასწრებია. აგრეთვე „იყვნენ სრულიად გარეშენი: სომხები, თათრები და რუსებიც კი. ყველა ძმად იყო საქმისათვის — ოღონდ დაგვავალეთ რამეო"[4]. ხალხი, დიდი და პატარა, აშკარად გრძნობდა, რომ დ. ყიფიანის სახელთან დაკავშირებით რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა და თანდათან თვალი ეხილებოდა მთავრობის ვერაგობაზე. ცენზურა მძვინვარებდა—გაზეთებში არაფერს აწერინებდნენ. ერთადერთი მძლავრი გოდება იყო ილიასი „ივერიაში"[5].

განიზრახეს, პროტესტის ნიშნად, დ. ყიფიანის კუბო გოლოვინის პროსპექტზე მთავარმართებლის სასახლის წინ გაეტარებინათ და შემ-

---

[1] „ივერია", 1887, № 232.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 13502—ხ.

[3] ვალ. გ უ ნ ი ა, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, „ლომისი", 1922, № 11.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე.

დეგ მამადავითზე აეტანათ. მთაწმინდისაკენ მიმავალ პროცესიას წინ უძღოდა მგალობელთა სამი გუნდი, ლადო აღნიაშვილის გუნდის თაოსნობით.

პროცესიის მონაწილენი ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგი ცხენით, ზოგი ეტლით. დაკრძალვაზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. უამრავი ხალხი მოსულიყო, ნამდვილად მთელი საქართველო[1]. 1887 წლის 8 ნოემბერი, კვირა დღე გახლდათ.

ყველა გულწრფელად წუხდა, დუმდა, ღელავდა. გულში ყველამ იცოდა, რომ დიდად ღირსეული კაცის ამ მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, რომელიც ჩაიდინეს თვით მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვის მონაწილეობით, ამის გამო, ხალხი მზად იყო იარაღით ხელში პროტესტი განეცხადებინა მთავარმართებლისა და მისი დამქაშებისათვის. დაკრძალვის საქმის ორგანიზატორებს წინასწარ ჰყავდათ შედგენილი რაზმი ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურთაგან ნიკო დიასამიძის, ანტონ ლორთქიფანიძის, სვიმონ აბაშიძის და სხვათა მეთაურობით. ამ რაზმს გამოყოფილი ჰყოლია ცხენოსნებიც. რაზმის მიზანს შეადგენდა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია მთავრობის აგენტებისათვის, თუ ნებას არ მისცემდნენ ხალხისა და ჭირისუფლების გეგმის თანახმად დაესაფლავებინათ დიმიტრი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს გულისათვის ბრძოლაში გაატარა და ამ ბრძოლაშივე გამოეთხოვა წუთიოფელს[2].

პროცესიის მსვლელობის დროს წესრიგს იცავდა ინტელიგენცია და მთავრობის წარმომადგენლებს ნებას არ აძლევდა ჩარეულიყვნენ დაკძალვის საქმეში. პროცესიას თან მიჰქონდა უამრავი გვირგვინი სევდიანი და ამაღელვებელი წარწერებით. სულ წინ მიუძღოდა მესტამბე მუშების შესანიშნავი გვირგვინი წარწერით: „უდიდეს ადამიანს დიმიტრი ყიფიანს". სხვა გვირგვინზე ეწერა: „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, დიდო ქართველო, მაინც დარჩება" და ა. შ.[3]

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში (1887 წ. 13 ნოემბერი) დონდუკოვ-კოსაკოვი აღნიშნავდა, რომ მან მითითება მისცა გუბერნატორს, რათა სამგლოვიარო პროცესიას მანძილი ქა-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I თბ., 1968, გვ. 241—242.
[2] ლიტერატურის მუზეუში, № 13502—ხ.
[3] იქვე, უცრც. 32.

ლაქიდან წმინდა დავითის მონასტრამდე პოლიციის ძიერ წინასწარ მითითებული უმოკლესი გზით გაევლო. მაგრამ,—წერდა მთავარმართებელი,—მიცვალებულის ძმისწულმა თბილისის ნოტარიუსმა დავით ყიფიანმა და ხიძემ თავადმა ლორთქიფანიძემ უარი თქვეს შეესრულებინათ პოლიციის მოთხოვნა და გენერალ-მაიორ იანკოვსკის უპასუხეს: დაკრძალვის საქმესთან უფროსობას არაფერი ესაქმება, ყველაფერს განაგებს ყიფიანის ქვრივი და რომ პროცესია უფრო ამჯობინებს უკან დაბრუნდეს, ვიდრე პოლიციის მითითებული გზით წავიდესო.

სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობასთან დაკავშირებით ვ. გუნია გადმოგვცემს:

სანამ გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისთან მივიდოდით, პოლიცმეისტერი როსინსკი მომიახლოვდა და მითხრა: სჯობია ამ გრიბოედოვის ქუჩით ახვიდეთ. აქედან უფრო ადვილი ასატანი იქნება კუბოვო. მე ზრდილობიანად დავამშვიდე და ვუპასუხე: გმადლობთ რჩევისათვის, მაგრამ ჩვენი ხალხი ისეა გამსჭვალული სიყვარულით და პატივისცემით მიცვალებულისადმი, რომ არავითარ სიმძიმეს არ მოერიდება მეთქი.

ჭავჭავაძის ქუჩას რომ მივუახლოვდით, ჟანდარმების უფროსი ღენერალი იანკოვსკი[1] გვერდზედ ამომიდგა და ყურში ჩამიჩურჩულა: გირჩევთ სკანდალს თავი მოარიდოთ, პროცესია ჭავჭავაძის ქუჩით გაატაროთ, თორემ იძულებული ვიქნები სხვა ზომები მივიღოვო.

—თქვენო აღმატებულებავ, მე მხოლოდ მიცვალებულის ქვრივის სურვილს ვასრულებ და, როგორც ის ინებებს, ისე მოვიქცევი მეთქი. იანკოვსკი გაექანა ეტლისაკენ, რომელშიც იჯდა დიმიტრის ქვრივი და მოახსენა: „თქვენო აღმატებულებავ, უბრძანეთ, რომ პროცესია ჭავჭავაძის ქუჩით გაემგზავროს მამა დავითზე". ჩვენ ყველანი გარს შემოვერტყით ეტლს და ქართულად ვუთხარით ნინო იაგორის ასულს—„მაგრად დაუხვდით, არ დათანხმდეთ!"

—მე ჩემს მიცვალებულს ისე ვცემ პატივს, როგორც ჩემი გრძნობა და სინდისი მავალებს. თქვენთვის სულ ერთი არ არის, ასე ავალთ დავითზე თუ იმ გზით... მე კი გოლოვინის პროსპექტით ვამჯობინებო,—უპასუხა დიმიტრის მეუღლემ.

ამ ლაპარაკის დროს პროცესია უკვე გასცდა ჭავჭავაძის ქუჩას და დაწინაურდა. კრუზენშტერნის ქუჩასთან როსინსკი და იანკოვსკი მივი-

---

[1] გენერალ-მაიორი ვიქტორ ოსიპის ძე იანკოვსკი—თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი („Кавказский календарь на 1887 г." адрес-календарь, с. 107).

დნენ ეპისკოპოს ალექსანდრესთან და ისევ ის რჩევა მისცეს—აქედან მიბრძანდით მაშა დავითზეო. ეპისკოპოსმა ძლიერ იუცხოვა თურმე:

—თქვენ გენერალო, თუ პოლონელი ხართ უნდა იცოდეთ, რომ სამღვდელოებას მეტი პატივი და თავახი შეეფერება. რა ჩემი საქმეა პროცესიის ამ გზით თუ იმ გზით ტარება[1].

იანკოვსკის მოუბოდიშებია და პროცესიამაც გასწია წინ. რა თქმა ნდა, რაც ლაპარაკი იყო პოლიციასა და ჟანდარმერიასთან ყოველივე ელვის სისწრაფით ხალხს ედებოდა და ყველა ღელავდა, მუშტებს კუმშავდა და იმუქრებოდა.

პროცესია, როცა მამადავითის ქუჩას მიუახლოვდა, გოლოვინის პროსპექტზე უკვე პოლიციელების ძლიერი რაზმი იდგა,—ქუჩა შეეკრათ. წინ მიმავალი ლადო აღნიაშვილი თავისი გუნდით შედგა პოლიციელების წინაშე. მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქმნა. პროცესია შეჩერდა, არც პირდაპირ მიდის და არც ქუჩისაკენ უხვევს.

ვალ. გუნია განაგრობს: გამოვიდა დარბაისელი და მოხუცებული ღენერალი კონსანტინე მაშაცაშვილი, მომკიდა ხელ, წამიყვანა იანკოვსკისაკენ, რომელმაც მყისვე მომახალა:

—თქვენ, ჭაბუკო, ტყუილად გვეწინააღმდეგებით, გირჩევთ სკანდალს ნუ ახდენთ, ასე წაიყვანეთ პროცესია და ჩვენც მადლობელი დაგრჩებითო.

—თქვენო აღმატებულებავ,—მოვახსენე მე,—ჩვენ არავითარ წინააღმდეგობას არ გიწევთ, პირიქით, წინააღმდეგობა პოლიციის მხრით არის და რაც შეეხება სკანდალს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სკანდალი მოხდება მაშინ და ისეთი სკანდალი, ომლის მსგავსი არ ყოფილა რუსეთში-მეთქი, როცა ჩვენ ყველანი—ჭირისუფლები, სამღვდელოება, მგალობელთა გუნდი და მთელი ეს მილეთი ხალხი აქედან გაგეცლებით და მიცვალებულს თქვენ დაგიტოვებთ, როგორც გენებოთ ისე დამარხეთ-მეთქი.

—სრული ჭეშმარიტებაა! სწორედ ასე მოვიქცევით, თუ ჩვენ სურვილზე არ გაგვიშვით,—დაადასტურა ყველამ. იანკოვსკი შედრკა, მოხსნა დარაჯები და ჩვენ ნელ-ნელა გლოვის გალობით გავწიეთ წინ სასახლისაკენ, სადაც პროცესიის მიახლოებაზე ყველა ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ. ხალხი ზიზღით შეჰყურებდა სასახლეს და ბევრი მოურიდებლად იფურთხებოდა ბაიყუში მმართველისაკენ.

სამგლოვიარო პროცესიის გეზის შეცვლა ჟანდარმერიამ და პოლი-

[1] ვალ. გ უ ნ ი ა, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, „ლომისი", 1922, № 11.

ციამ, სერიოზული ცდის მიუხედავად, ვერ შეძლო. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო მოგონება აქვს დატოვებული ნიკო ავალიშვილსაც. იგი წერდა: დიდი მეხსიერებით არის აღწერილი ვალ. გუნიას მიერ გაზეთ „ლომისის“ №-11 ნომერში დ. ყიფიანის დასაფლავების ამბავი. მაგრამ ერთი მომენტია, როგორც ჩანს, ავტორისაგან შეუმჩნეველი. ეს ეხება სამგლოვიარო პროცესიის გოლოვინის პროსპექტზე თავისუფლად გავლას.

მამადავითის უკანასკნელ შესახვევამდის პროცესიის მსვლელობა ვერ შეაჩერეს. ხოლო რათა მთავრობის სურვილი შეესრულებინათ, აქ აიმართა პროცესიის წინ კედლად პოლიციის საკმაოდ ძლიერი რაზმი. ნურავინ იფიქრებს, რომ რუსი გენერალი და მეტადრე ჟანდარმი, რაიმე ანგარიშს გაუწევდა კერძო მოქალაქეთა თხოვნა-ვედრებას და მოსალოდნელი ხიფათის შიშით, ანუ დაკრძალვის მომწყობთა შუქარით, მთავარმართებლის ბრძანებას გადავიდოდა. რუსი გენერლები უფროსის ბრძანებას ორჭოფად არ ეკიდებოდნენ და დონდუკოვის ბრძანებას—სასახლის წინ არ გამოატაროთ პროცესიაო—უეჭველად მტკიცედ შეასრულებდა გენერალი იანკოვსკი, რაც უნდა უბედურება მომხდარიყო. მაინც პროცესიამ თავისუფლად გაიარა გოლოვინის პროსპექტზე და აი ეს როგორ მოხდა:

როცა პოლიციის რაზმი სამგლოვიარო მსვლელობის წინ კედლად აიმართა, მაშინ დაკრძალვის საქმის გამგენი და მათ შორის ვალ. გუნია, ამ რაზმიდგან სამოციოდე ნაბიჯით მაინც წინ იყვნენ, მთავრობის პირთ ემუდარებოდნენ რაზმის მოხსნას და პროცესიის პროსპექტზედ თავისუფლად გაშვებას. ამან სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობა თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით შეაყენა. ამ ხნის განმავლობაში პროცესიის მონაწილე ხალხი თანდათან მჭიდროდ გაერთიანდა, სამღვდელოება შეჯგუფდა, ცხედრის მახლობელი ყველა ცხენოსანი ყმაწვილკაცობა რაზმის ახლოს აქეთ-იქით შეიკრიბა. ხალხის ღელვა თანდათან მატულობდა. მოთმინების უნარი ხალხს ელეოდა. წაბიღა აკლდა ხალხის გულის-წყრომის აფეთქებას. და აი, მაშინ სამღვდელოების წინ მოქცეულს ალექსანდრე ეპისკოპოსს თითქოს ზეგარდმო შთაგონება მოევლინა, რუსის რაზმის შიგ პირში მდგარმა, მოხღვავებულ ხალხს თვალი გადაავლო, ჯვარი მაღლა ასწია და დაიძახა: გზა დაუთმეთ ჯვარს[1]. და მტკიცე ნაბიჯი გადადგა რაზმში. რაზმი მსწრაფლ გაირღვა. ბოქაულმა გლეხებმა ცხენი მარცხნივ გადააყენა, მოშორდა პროცესიას და კმაყოფილე-

[1] «Дорогу кресту!»

ბაც კი დაეტყო სახეზე. ბუნებრიეიც იყო ეს, რადგან, ყველაზე მეტად მისთვის საშიში ხალხის რისხვა იყო. წინ, მაღლა აღმართული ჯვრით ხელში იწყო სელა ეპისკოპოსმა, საძღვდელოება უკან მოექცა მას და მთელი პროცესია აღარაეის შეეხერებია, თავისუფლად გაიარა პროსპექტზე, სასახლის ქუჩა და ყველა ის ქუჩები, სადაც გეგმით უნდა გაეარა პროცესიას.

მთელი ამ გაჭირვების დროს თითქმის გვერდით ვედექ ეპისკოპოს ალექსანდრეს, ამიტომაც მტკიცედ მახსოვს ეს ამბავი და შემდეგშიაც ხშირად აღტაცებით გამიხსენებია ეს ძღვდელმთავრული თავისგამოდება[1].

ღ. ყიფიანის დამკრძალავი პროცესიის მიერ საბოლოოდ დაბრკოლების გადალახვის დრამატულ მომენტზე შემოუნახავს ცნობა აგრეთვე გ. ტატიშვილს, რომელიც წერდა:

დაბოლოს, ღობურად გადაბმული ყაზახ-პოლიცია დახვდა პროცესიას და შეაჩერა. დიმიტრის ქვრივმა განრისხებული ხმით უარი უთხრა პოლიციმეისტერს, რომელიც გზიდან გადახვევას მოითხოვდა და სთხოვა ალექსანდრეს განეგრძო გზა გოლოვინის პროსპექტით. ალექსანდრემ ჯვარი დაჰკრა პოლიციმეისტერს ხელზე, ღობური ჩააშლევინა და წინ გაემართა. ყაზახებმა და პოლიციამ ვეღარ შეაჩერა ეს დიდათ აღელვებული ხალხი,—ფეხოსანი და ცხენოსანი,—რომელთაც იარაღიც კი იხმარეს და ხმლის ყუით დაეწყეს ცემა მოწინააღმდეგე პოლიციელებს[2].

სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე ექვთიმე თაყაიშვილი აგრეთვე ადასტურებს, რომ ცნობილმა ქართველმა პატრიოტმა ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ გამბედაობა გამოიჩინა: მიუხედავად პოლიციის რაზმის მეთაურის გაფრთხილებისა, მან მაინც წინ განაგრძო გზა, ხოლო შემოსილი მღვდელმთავრის შეჩერება პოლიციამ ვერ გაბედა,

---

[1] ლიტერატურის ძეგლების, № 3818—ხ. 6. აკაკი შალიშვილი დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების შესახებ. ქ. თბილისი, 1922 წ. 14 ნოემბერი. ეპისკოპოსს ალექსანდრეს გაბედული მოქმედება ნიკო აკაკიშვილს, შესაძლოა, ასოციაციით გაახსენებდა თავის გამოჩენილ მოგვარეს, ძარაბდის ომის/1625 წ./ მონაწილე მრეველ ეპისკოპოს აკაკიშვილს. ბრძოლის წინა დამეს, როცა ძროველმა ჯარის ხალისება დაიწყო, ის თურმე უთხრეს: „უკეთუ დღეს აღიღებ ბახვილსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვჰხიაროს სხეულმან. და უკეთუ არა, უჰჯობეს არს შენ მიერ". სოლო აკაკიშვილმა მიუგო: „ამაოეა, უკეთუ უწინარეს თქუენსა არა დაეხოცოთ სისხლი ჩემი ძახვილის აძლებამან". (ეხ. უშტი, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973. გვ. 38).

[2] ლიტერატურის ძეგლები, № 13502—ხ.

თან ხალხიც მიაწყა, გაარღვია პოლიციელთა წყება და ძლევრად გასწია წინ[1].

ამრიგად, სამგლოვიარო პროცესიაში მოსაწილე პასის უკომპრომისო განწყობილებამ აიძულა მოხარკისტული წყობილების იძულების ორგანოების წარმომადგენლები დათმობაზე წასულიყვნენ და ხალხისათვის გზა მიეცათ. ამ შემთხვევაში ეპისკოპოს ალექსანდრეს მოსახვრებულება და მოქალაქეობრივი სიმამაცე მართლაც რომ გლოვის მონაწილეთა ნების გამომხატველი ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდია.

ადმინისტრაციას ყოველი ღონე უხმარია, რომ დ. ყიფიანის დაკრძალვის გამო მოწყობილი ხალხმრავალი თავყრილობა. მთავრობის საწინააღმდეგო ეროვნული ღელვსტრაცია ნაკლებად თვალსაჩინო ყოფილიყო. ამ მიზნით, პოლიცია და ჟანდარმერია არა მარტო სამგლოვიარო პროცესიის გეზის შეცვლას ცდილობდა, არამედ გაელენიანი პირებისგან მოითხოვდა, რათა ისინი სამგლოვიარო მსვლელობას ჩამოსცილებოდნენ. მართლაც, ხალხის მასას არაერთი თანამდებობის პირი გამოთიშვია. საარქიო საქმეში დაცულია სია იმ პირებისა, ვინც, მიუხედავად პოლიციის გაფრთხილებისა, პროცესიას არ ჩამოშორდა. ესენი იყვნენ[2]: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ფლიგელ-ადიუტანტი შერვაშიძე[3] და სხვანი და სხვანი.

მთავარმართებლის სასახლესთან ცხედარი შეუჩერებიათ და დემონსტრაციულად მიცვალებულის მოსახსენიებელი ლიტია გადაუხდიათ. სასახლიდან არავის გამოუხედავს[4].

ერევნის მოედანზე (ლენინის მოედანი) მცირე ლიტანიის შემდეგ, პროცესია სოლოლაკის (კიროვის), ლაბორატორიის (პეტრე დიდის, ახლანდელი ძერჟინსკის) და ერმოლოვის (მიო ჩიტაძის) ქუჩების გაყოლით მამადავითისაკენ გაემართა.

მთაწმინდაზე უამრავი ხალხი ყოფილა, ეკლესიის ეზოში მისი მცირე ნაწილი თუ მოთავსდებოდა. ხალხი მოეფინა მთას და მთლად დაფარა იგი. ხელისუფალთაგან სიტყვის თქმა აკრძალული იყო[5]. მაგრამ, მიუხედავად ამ აკრძალვისა, დაიწყო გამოსვლები. ყველა ორატორი გაბუ-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი. ჩემი ნაამბობი, ტ. I, გვ. 242.

[2] „ისტორიის მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 310.

[3] ვფიქრობ, ეს არის გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე – თბილისის კოცე გუბერნატორი (Кавказский календарь на 1887 г., отдел II, с. 23).

[4] ექვთიმე თაყაიშვილი, ჩემი ნაამბობი, ტ. I, გვ. 242.

[5] ლიტერატურის მუზეუმი, № 18530–ბ.

დულად და აღელვებით ამბობდა სიტყვას, მადლობას უხდიდა დიმიტრი ყიფიანს საქმოსნისათვის თაყვანების გამო. განსაკუთრებით შთაბეჭდავი ყოფილა აკაკის გამოსვლა, რომელსაც შესანიშნავი ლექსი და სიტყვა წარმოუთქვამს[1].

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია აკაკის მიერ დ. ყიფიანის დაკრძალვისას წარმოთქმული სიტყვის ტექსტი: „შენი სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მოწიწებით შენ წინ თავმოხრილი. დღეს მოწიწებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანი ვსცე შენს გაცივებულ გვამს, ავაზაკებისაგან სიცოცხლე დამწარებულს. მშვიდობა, სხივ-მოსილებით ამობრწყინებული, სხივ გაფანტვითვე ჩაესვენება იმავ დიდებით და ძლიერებით, რომლითაც ამოელვარებულა და ნათელი სრბოლია მისი ყველასათვის სათვალ-და-თვალოა, თვინიერ ბრმებისა. და შენც, არსება ნათელო, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი შეიქმნა ყველასათვის სათვალ-დათვალო და მაშ შენდა საქებად, სადიდებლად რაღა ვსთქვათ ისეთი, რომ საქართველოს ერთის კუთხიდან მეორემდე არ ენახოთ, არ გაეგონოთ და არ ეგრძნოთ.

უმეტესმა ნაწილმა იმერეთისამ, შენზე მგლოვიარემ, არ იცის რაგვარ გვირგვინი უნდა გადმოგხუროს, დაფნისა, თუ ყვავილებისა... არა, არც ერთი... და ეგ ხომ ჩვეულებრივ მოვლინებათ გადაიქცა ჩვენში და შენ კი, რომლის სიცოცხლეც და სიკვდილიც არაჩვეულებრივი იყო, შენ, რომელმანაც შენს სიცოცხლეში მხოლოდ ეკლის გვირგვინი ატარე, ჩვეულებრივი აღარა გაგებედებოდა რა და ვერც შემოგკადრეთ. და აჰა, ხელცარიელი უგვირგვინო ვდგევართ შენ წინ და მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევთ გულწრფელად შენს ბედშავს, მაგრამ დიდებულ კუბოს. დაე, უღვთო-უსჯულოდ დათხეულს შენს სისხლს შეეთანაზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულწრფელობისა, რომ ორნივე ერთად შეერთებულად წმინდათ დაიდვას იმა მომავლისათვის, რომელსაც შენ მთელ შენს სიცოცხლეს სწირავდი და ღირსიც გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად. მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილოდ მოკავშირევ ჩვენო დიდებულო მოძღვარო!"[2].

აკაკის აქვე წაუკითხავს ლექსი „განთიადი", ჩვენი მხატვრული ლი-

---

[1] „დიმიტრი ყიფიანი". ტფილისი. 1892. გვ. 41.

[2] ლიტერატურის მუზეუმი, № 18541—ბ.

ტერატურის უკვდავი ჰიმნი, რომელშიც პოეტი დ. ყიფიანს „თავდადებულს“ და მტრის ურჩ რაინდს უწოდებდა[1].

ს. მგალობლიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ლექსის კითხვის დროს აკაკის გული აუდუღდა, ცრემლები წასკდა თვალთაგან და ტირილით გაათავა ლექსიო[2].

მთაწმინდამ დიმიტრი ყიფიანის ნეშტი საშუდამოდ მიიბარა.

დ. ყიფიანის დაკრძალვისას ქართველი ხალხის გრანდიოზული პროცესია ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული დიდი და გაბედული დემონსტრაცია იყო. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე, რომელმაც განსვენებულისადმი საერთო სახალხო პატივისცემა გამოხატა[3].

მომდევნო ხანის ქართულმა პუბლიცისტიკამ აღნიშნა: „იმ მოხუცის წყალობით, მთაწმიდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრიო და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისაგან და ბურანისაგან. მაშ განისვენე მშვიდობიანად დიდო მოხუცო, შენი სახელი კი აღბეჭდილია ქართული, ეროვნული შემეცნების ისტორიაში“[4].

მოკლე დასკვნები

დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სფეროში სცილდება მემამულეთა კლასის უშუალო ინტერესებს და საზოგადოებას პროგრესისაკენ უხმობს. ის, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ყველა ძირითად სფეროში, მეტ-ნაკლებად, ახალი წარმოებითი ურთიერთობის განვითარების ინტერესებს ეხმაურება.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დ. ყიფიანი დაზღვეული იყო ყოველგვარი კლასობრივი შეზღუდულობისაგან. ბატონყმობის გაუქმების პერიოდში იგი ძირითადად მებატონე-თავადაზნაურთა მოთხოვნებს იცავდა. დასაწყისში, ჩვენი თავადაზნაურობა თანახმა

---

[1] „დიმიტრი ყიფიანი“, ტფილისი, 1892, გვ. 41; ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938, გვ. 184—185. ექვთიმე თაყაიშვილის ახსრით კი ეს ლექსი აკაკის დაკრძალვისას არ უთქვამს, მერე დაუწერია (ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი. 1968 გვ. 242). დაკრძალვისას შესაძლოა აკაკიმ წაიკითხა „განთიადის“ ერთ-ერთი ვარიანტი, რომელმაც შემდგომ მიიღო საბოლოო სახე.

[2] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938, გვ. 184—185.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, გვ. 242.

[4] არ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 813.

იყო გლეხებისათვის დაეტოვებინა რეფორმამდე მათ ხელში არსებული მთელი მიწები, მაგრამ შეძლეგ პოზიცია შეიცვალა და მოითხოვა ყმათა გადაყვანა ხი'სნურ მდგომარეობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გლეხებს სანადელო მიწები მიეცემოდათ, გათვალისწინებული იყო მემამულეთა სასარგებლოდ რენტის მნიშვნელოვანი გადიდება იმასთან შედარებით, რაც რეფორმამდე იყო დაწესებული.

ქვეყნის სა'სოგადოებრივი განვითარების თაობაზე, დ. ყიფიანის ნააზრევში დომინირებენ პროგრესული იდეები—როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ გარდაქმნებში. საზოგადოებრივ უოთიერთობათა ცვლილება მას საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნდა.

დ. ყიფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ასახულია, როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ხანის საქართველოს აგრარული ურთიერთობა. მან მიუთითა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ სახეებზე, აღნუსხა მიწაზე ფეოდალური გვარის საკუთრების არსებობა. საკუთრების ეს ფორმა, დ. ყიფიანის აზრით, ახალ პირობებში პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ჩვენი ავტორი ემხრობოდა სათავადოთა საკუთრებაში მყოფი ვრცელი მამულების დანაწილების პროცესის დაჩქარებას, მოითხოვდა მთელი ამ მამულის გადასვლას ცალკეული მემამულეების სრულ კომლობრივ საკუთრებაში. საკუთრების ასეთი შეცვლა დიდად შეუწყობდა ხელს მემამულური მეურნეობების რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობას, ბურჟუაზიულ ყაიდაზე მათ გარდაქმნას, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებას. დ. ყიფიანის აზრით, მიწის საკუთრების ფორმების ევოლუციის პროცესი, XIX საუკუნის 40-იან წლებში, უკვე ამ მიმართულებით მიმდინარეობდა.

დ. ყიფიანი მომხრეა საზოგადოებრივი ურთიერთობების, კერძოდ, წარმოებითი ურთიერთობის ისეთი რადიკალური გარდაქმნისა, რომორსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. თავისი გამოსვლებით და საქმიანობით დ. ყიფიანი, როგორც მოღვაწე, ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარების მქადაგებლად და ხელშემწყობად გვევლინება.

დ. ყიფიანი, როგორც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, მრავალმხრიობით, თანმიმდევრულობით, შეუპოვრობითა და მაღალი მიზანსწრაფვით გამოირჩევა. არც ერთი ნაბიჯი მის ეროვნულ მოღვაწეობაში მოუფიქრებელი და უსაგნო არ ყოფილა—1832 წლის შეთქმულებაში მისი მონაწილეობიდან 1886 წელს რეაქციული ძალების წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებამდე.

ეროვნულ საკითხში დ. ყიფიანი თავისი ერის მაღალი ღირსების სრული შეგნებით გამოდიოდა. იგი მოწინააღმდეგეებს შეახსენებდა იმ ისტორიულ უფლებას, რომელსაც ქართველ ხალხს 1783 წლის ტრაქტატი ანიჭებდა, იმას, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება უპირობო არ ყოფილა (ქართველებს არ უნდა აკადრონ მათი ენის, ხალხის ამ წმიდათაწმიდის, შებღალვა, ქართველები რუსეთის მონარქთა მფარველობაში შევიდნენ ნებაყოფლობით და შეგნებულად).

ძალადობის აპოლოგეტებს დ. ყიფიანი მოაგონებდა, რომ ვერც მურვან ყრუმ, ვერც ჩინგის ყაენმა, ვერც თემურლენგმა, ვერც შაჰაბასმა და ვერც ნადირშაჰმა ვერ შემუსრეს ქართველი ხალხი და ახლაც არავის არ უნდა მოუნდეს ჩვენი შემუსვრაო. აქ ნათლად ჩანს, რომ დ. ყიფიანს სჯერა თავისი ერისა, რომელიც ვერავითარმა ამქვეყნიურმა ძალამ ვერ შემუსრა. დ. ყიფიანის ამ სიტყვებიდან გამომდინარე დასკვნაც ცხადი და ერთადერთია: ის, რაც ვერ მოსპო მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის უდიდესმა დამპყრობლურმა ძალებმა, მას ვერც ცარიზმი მოსპობს, შეუძლებელს ვერც ის შეძლებს.

იმ მძიმე დროში, თავისი ხალხისადმი რწმენისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივება-განმტკიცება დ. ყიფიანის, ისევე როგორც არაერთი სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, უდიდესი დამსახურებაა. დიმიტრის პირადი მაგალითი თვით ისტორიის პასუხია მერყეთა და უსუსურთა, გადაგვარების მომხრეთა და მოსურნეთა მიმართ.

დ. ყიფიანის ცხოვრება მშობელი ერისადმი უერთგულესი სამსახურისა და თავდადების შესანიშნავი ნიმუშია. მთელი მისი მოღვაწეობა, მთელი მისი სიცოცხლე იმის მაგალითია, თუ როგორი თავდადებით, შეუპოვრობით, ენერგიით უნდა იბრძოლოს ადამიანმა თავისი ხალხის, თავისი ერის თვითმყოფობის შესანარჩუნებლად, მისი წინსვლისათვის. დიდი იყო დ. ყიფიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული შემეცნების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციაში.

დ. ყიფიანის ნააზრევი და პრაქტიკული საქმიანობა, ეროვნული ურთიერთობის სფეროში, ჩაგრული ერის ყველა ძირითადი სოციალური ფენის, პირველყოვლისა კი მშრომელი ხალხის (გლეხობის ძირითადი მასა, ფორმირებაში მყოფი მუშათა კლასი...) ინტერესებს ეხმაურებოდა. ამის გამო, ჩვენი მოღვაწის სწრაფვა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად, იმისათვის, რომ ქართველი ერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ფართო გზაზე

გამოეყვანა, ხალხის ფართო დემოკრატიულ ფენებში სრული გაგებით და მხარდაჭერით სარგებლობდა.

არ შეიძლება იმ ფაქტის დავიწყება, რომ დ. ყიფიანისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების მონაწილეობა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო გარკვეული წვლილი რუსეთის იმპერიის არარუსი ხალხების საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, წვლილი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიმიტრი ყიფიანისთანა მოღვაწეები ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებას მეტ ელვარებას მატებენ. ასეთ მოღვაწეთა ნააზრევი და ნამოქმედარი აწრთობდა და აწრთობს ხალხის მთელ თაობებს, მათ უნერგავს შეუდრეკელ სულსა და ხასიათს, აძლიერებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, აღრმავებს ეროვნულ თვითშეგნებას და ერის არსებობის სულიერ საფუძველს მეტ სიმყარეს ანიჭებს.

ამ გაგებით, დიმიტრი ყიფიანი თითქმის ილიასავითაა უფლებამოსილი წარმოთქვას ღვთაებრივი სიტყვები:

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.

И. И. УТУРАШВИЛИ

ОБЩЕСТВЕННО — ПОЛИТИЧЕСКИЕ И ЭКОНОМИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ Д. КИПИАНИ (1814—1887 гг.)

РЕЗЮМЕ

В труде на основе первоисточников и изучения достижений грузинской историографии освещены жизнь, деятельность и мышление Дмитрия Ивановича Кипиани.

Взгляды Д. И. Кипиани на экономическое развитие страны, выходящие за рамки непосредственных интересов помещичьего класса, охватывают и все основные сферы экономического развития Грузии XIX века. Эти взгляды были созвучны (в большей или меньшей степени) новым производственным отношениям. Это, конечно, не означает, что Кипиани были чужды классовая ограниченность и односторонность. Так, в период отмены крепостного права он преимущественно защищал интересы грузинского дворянства.

В литературном наследии Д. И. Кипиани отображены аграрные отношения Грузии, как феодального, так и капиталистического периода.

Д. И. Кипиани указывал на существование общей земельной собственности отдельных феодальных родов. По мнению Кипиани, такая форма собственности, являясь тормозящим фактором экономического развития, задерживала и социальный прогресс. Он был сторонником ускорения затянувшегося процесса размежевания и раздела обширных земельных владений между однофамильцами. Требовал окончательного перехода всей земли в непосредственную собственность отдельных помещичьих хозяйств. Такое изменение собственности способствовало бы устройству рациональных помещичьих хозяйств, преобразованных в капиталистические, ускорило бы в целом хозяйственно-экономическое развитие страны.

По наблюдениям Кипиани процесс эволюции форм земельной собственности в 40-х годах XIX века уже шел в этом направлении.

Д. И. Кипиани был сторонником таких радикальных изменений общественных отношений вообще и производственных, в частности, какие имели место в странах Западной Европы. Словом и делом Кипиани всячески поддерживал экономическое развитие своей страны по капиталистическому пути.

Одним из руководителей национально-освободительного движения Грузии XIX века, Д. И. Кипиани являлся подлинным патриотом и интернационалистом, которому были чужды как космополитические идеи, так и национальная ограниченность и замкнутость.

В книге показана роль Д. И. Кипиани в деле углубления национального самосознания грузинского народа. Документально освещены важнейшие факты и явления национально-освободительного движения, связанные с именем Д. И. Кипиани. Повествуется о большой гражданской отваге, столь характерной для грузинских деятелей, боровшихся против царизма и колониализма.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი

თ ა ვ ი I

ცნობები დ. ყიფიანის ოჯახსა და მის წინაპრებზე 7
(ზოგიერთი ცნობა დ. ყიფიანის გვარის წარმოშობელობასა და ოჯახზე. პოლკოვნიკის პირადი ღირსებანი. ერთი ცნობა ნ. ბარათაშვილზე).

თ ა ვ ი II

დ. ყიფიანის შეხედულებანი აგრარულ ურთიერთობაზე 23
(მიწის საკუთრების ფორმებსა და ფეოდალურ ურთიერთობაზე. ბატონყმობა და საგლეხო რეფორმა. ხიზნობა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება).

თ ა ვ ი III

დ. ყიფიანის მოღვაწეობა სამეგრელოში 54
(სამეგრელოს მთავრის მაჩხუალის მეურვე. სამოსაკრო მიწების საკუთრებისა და მიწათსარგებლობის ფორმები. სამეგრელოს გლეხთა ზოგიერთი ბეგარა-გადასახადები. სამთავრო მაშულის შემოსავალ-გასავალი. სამეგრელოს მოსახლეობა).

თ ა ვ ი IV

დ. ყიფიანის მეურნეობრივი საქმიანობა და გლეხობასთან კონტაქტები. . . .81
(მეურნეობრივი საქმიანობა. კონტაქტები გლეხობასთან. სამხედრო საქმეში გლეხობის გათვითცნობიერების იდეა)

თ ა ვ ი V

დ. ყიფიანი—თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. მისი ღვაწლი თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში (თავადაზნაურობის წინამძღოლი. ბანკის დაარსება) . .92

თ ა ვ ი VI

კულტურულ საგანმანათლებლო მოღვაწეობა 113
(მონაწილეობა ქართული თეატრის დაარსებაში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება. სიკვდილით დასჯის მიწინააღმდეგე).

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

თ ა ვ ი VII

ზოგი რამ დ. ყიფიანის მოღვაწეობის ისტორიულ გარემოზე .123

თ ა ვ ი VIII

მოსაზრებანი დედაენაზე, საქართველოს წარსულსა და ქართველ ისტორიულ მოღვაწეებზე 147
(საქართველოს წარსულსა და ქართველ ისტორიულ მოღვაწეებზე. ენის მნიშვნელობა. ქართული ანბანი. ქართველთა ზოგიერთი ტრადიცია და ჩვე-ჩვეულება. დ. ყიფიანი და ახალგაზრდობა. ნიკო დადიანი და ნიკო მარი)

თ ა ვ ი IX

დ. ყიფიანის შეხედულებანი პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებზე . . .186
(საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1832 წლის შეთქმულება. პოლიტიკური შეხედულებანი. ეროვნულ შეხედულებათა სოციალური საფუძველი. მეფის მთავრობის ჯილდოები. დ. ყიფიანის აზრი რევოლუციონერ მოღვაწეებზე)

თ ა ვ ი X

XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ცარიზმის შემოტევის ზოგიერთი მომენტი .217

თ ა ვ ი XI

80-იანი წლების რეაქცია .235

თ ა ვ ი XII

ქართველთა ეროვნული შემადგენლობა და ბრძოლა საქართველოს დანაწევრება-გათიშვასთან 253

თ ა ვ ი XIII

დ. ყიფიანი რეაქციის პერიოდში. მისი ცხოვრების დასასრული 282
(შავრახშელთა მიერ დ. ყიფიანის ღალწლის დაკნინების ცდა. ქართველი მოღვაწეების მიერ დ. ყიფიანის ღალწლისა და მსოფლმხედველობის შეფასება. პასუხი ეგ'ხარქოს პაკლეს გამოხდომაზე. გადასახლება. მკულელობა. დაკრძალვა)
მოკლე დასკვნები .312
Pe з ю м e .316

ИОСИФ ИЛЬИЧ УТУРАШВИЛИ

Димитри Кипиани

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1988

რედაქტორი ი. ზაალიშვილი
მხატვარი ილ. უთურაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი
გამომშვები მ. მჭედლიძე.

ს. ბ. № 6388.

გადაეცა წარმოებას 10. 07. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 06. 88
საბეჭდი ქაღალდი № 60X84¹/₁₆. გარნიტურა აკადემიური. ბეჭდვა ოფსეტური.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18, 6 პირ. საღ.-გატ. 18, 6 საღრ.-საგამომც. თაბახი 17,6
უე. ₢2020 ტირაჟი 10000 შეკვ №2463
ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

Типография АН Груз. ССР, Тбилиси 38060, ул. Кутузова, 19
საქ. სსრ აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19.